

114
1960/2

887 742



მნათობი

10

მეცხრამედი



1960

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო
 ჟურნალი „საბჭოთა საქართველო“

წელიწადი 37-ე

№ 10,

ოქტომბერი, 1960 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

8037

ალექსანდრე აბაშელი — აკაკის, ლექსი	3
გიორგი ლეონიძე — დავიწყებული სადღეგრძელო, მოთხრობა	4
ალექსანდრე ქუთათელი — ზემი ნატურა, ლექსი	27
რევაზ ჯაფარიძე — ჯარისკაცის ქერიეი, რომანი, წიგნი მეორე, გაგრძელება	30
არჩილ სულაიაური — ლექსები	42
ნინო ნაკაშიძე — მოგონებები, დასასრული.	44
ა. ი. კუპრინი — ანათემა, მოთხრობა, თარგმანი შაყვალა ჭიჭინაძისა	63

საბჭოთა წერეთლის დაგეგმვის 120 წლისთავი

პროფ. გიორგი ჯიბლაძე — ერის დიდება	69
ირაკლი ტატიშვილი — აკაკი წერეთლის იუბილე მოსკოვში	79
ტ. ზუნდაძე — აკაკი წერეთელი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება	83
ვახტანგ თვანი — აკაკი ასეინების პროცესზე	87
ა. ზინთიბაძე — აკაკი წერეთელი პოეტური ხელოვნების შესახებ	93
შოთა ლომსაძე — აკაკის მოგზაურობა ევროპაში	100
ლევან ებანიძე — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურები საქართველოში	104

იხ. მეორე გვერდზე





ვიორჯა თავიშვილი — იაკობ გოგებაშვილი	105
სოლომონ ზუციშვილი — მხატვრული ლიტერატურა „დედა ენისა“ და „ბუნების კარგი“	117
სერგი მაკალათია — ქართველი ხალხის ისტორიული წარსული ო. გოგებაშვილის შემოქმედებაში	123
ანა ღვინიაშვილი — მარალ უკვდავი	130
ბაბო მჭედლიძე — იაკობ გოგებაშვილის მოთხოვნების ზნობრივ-აღმზრდევლობითი მხარე	136
ვრ. წარდადიშვილი — იაკობ გოგებაშვილი — საქართველოს ევოგრაფიის სხელმძღვანელის პირველი ავტორი	138
შალვა გოზალიშვილი — იაკობ გოგებაშვილის წერილები ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან	142

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ზიმონ ზიქოვანი — ვერონტი ქიქოძე	152
ელადიერა ჯაბუტი — რომანი სიყვარულსა და ერთგულუებაზე	158
მარგარიტა დონდუა — გ. დ. ბალმონტი და ქართველობა	162
პროკოფი რატაიანი — ქართველი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან. გაგრძელება	166

ხელოვნების საკითხები

ლალო გუდიაშვილი — მხატვარი გეორგი (ჯოტო) გრიგორიანი	178
ვულნარა ჯაფარიძე — მხატვარ ნ. იანჭოშვილის გამოფენა	182

წიგნების მიმოხილვა

მარიამ ზედელიძე — მირიჯანის საბავშვო მოთხოვნები	186
აკაკი კენჭოშვილი — საეკრატლებო ნაშრომი ქართული აზროვნების ისტორიაზე	188
ა. ენაქლოფაშვილი — ვრიხოვდოვის დიპლომატიური მოღვაწეობა	190
ახალი წიგნები	გარეკანის III გვერდი.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პრეზ. მდიანი),
- გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42; 2-11-66.

ხელშეწერილია დასაბეჭდად 5/XI-60 წ. ქალაქის ზომა 70x108, ანაწილების ზომა 7 1/4 x 12 1/2, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უფ. 05745 ტირაჟი 6500. შეკვეთა № 2012.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლშეგრამოშვიტებთან ზეშდვითი სიტუვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ



აქესანდრა აბაშელი



ა ბ ა ბ ი ს

აქ შენი სახე ანათებს ისე,
როგორც ლაქვარდში მთვარის მოქცევა,
როგორც მყინვარი, წასული მზისკენ,
და ცა-ფირუზზე შენი ოცნება.

ჩონგურს რომ შენი ცრემლი დასცვივა,
შუქი იელვებს თვალეზში წამსვე.
დგას საქართველო ოქროს თასივით
შენი ლექსების ნექტარით საესე.

გული აიტანს ყოველ სიმძიმეს,
თუ პოეზიის შეაღო კარი,
თუ ლექსში ცრემლი ისე ციმციმებს,
როგორც ყვავილში ჩამდგარი ცვარი;

თუ გულში ჩუმად სხივები სხედან,
როგორც ბარტყები ჩიტის ბუდეში,
თუ ხედავ მყივარს უქულო მხედარს,
მცურავს არაგვის მქუხარ უბეში.

იმ დროს სხვა იყო ქვეყნის ნალველი
და გულს სხვაგვარი სახმილი სწვავდა.
შენ იცი: ჩვენგან როცა წახველი,
სამშობლო ეპყრა სისხლიან სევეთა.

იყო გოდება სიცოცხლის წესად,
ისმოდა გმინვა ჩანგრეულ მკერდთა
და ქარს მოჰქონდა ნესტანის კენესს
ქაჯეთის ციხის ღრუბელთან ერთად.

ცეცხლმა ის ფამი უკვე ალაგმა,
და ძველი ქვეყნის სასტიკი ძღვენი
დრომ თან წაიღო, როგორც არაგვმა
ბაში-აჩუკის დამხრჩველი ცხენი.

და ღღეს რომ ჩონგურს ცრემლი
დასცვივა,
შუქი იელვებს თვალეზში წამსვე.
დგას საქართველო ოქროს თასივით
შენი ლექსების ნექტარით საესე.



დავით აღმაშენებლის საღვთისმშობელი

ახალწლის მეორე დღეს, შატროვანიდან სოფელ შელისყურში გადმოსულა თაყამ ჩემს მეზობელ ღვინჯუა ფოთოლაშვილს ნათლიაობა სთხოვა:

— ტყუბი ვაჟი მეყოლა, მომინათლეთ — ღვინჯუამ არ იუარა, მირონზე უარტქმა არ შეიძლებოდა, მაინც, ზრდილობისათვის ურჩია, ნათლიად უფრო პატივსადები კაცი ამოერჩია.

— შენა ხარ ჩემთვის პატივსადები ვარჩიე, ამოგარჩიე, მირონს ნუ დამიპერო! — შესთხოვა თაყამ, თან ჩოხის მასრა ამოაცალა და ჯიბეში ჩაიღო ზედ.

— ხომ დავიბუეე? ნათლილებას უნდა გადმოხვიდე შატროვანში და ჩემს ოჯახში მირონი შემოიტანო! ხომ იცი საუფლო დღეა, არ გაცდები. ამ დღით ირემიც კი არ გაეჭექება ხეს.

— ეგრემც იყოს! — კვერი დაუკრა ბოლოს ღვინჯუამ, რატომღაც თქმის ქუდი მოიხადა და თავი მოიქექა...

ორივენი შეძლებული ოჯახისშვილები იყვნენ, სოფლის თავკაცები, წინაქაცები, ქონებითაც ერთმანეთის მოთანასწორენი, ორივენი პურისა და ღვინის მომყვანები, ორივეს უყვარდათ მტკაველზე აყრილი ჯეჯილი და ვაზგაქვილი ვენახი...

ღვინჯუას ნათლიად მიწვევა უფრო მისი თამალობის ბრალი იყო. განთქმული იყო ღვინჯუას გლეხური მკერმეტყველება... სიტყვის ჭაბრაკები იცოდა, სიტყვას კილოს უბოვნიდა, ხან ისე დააღრმავებდა სიტყვას, გაჰკვირდებოდი ენადკარგი იყო, არ იცოდა ენით მოფინფვლა! სიტყვის მოზარბაზნეც როდი იყო!

— სიტყვა ვთქვათ, ხალხი დაეძარღვიანოთ!

არც ისე ბნელი გეგონით ღვინჯუა, ვაჟა-ფშაველას ლექსები იცოდა! ერთხელ, თიანეთში კიდევ შეჰყროდა ვაჟას და ღვინოც ერთად გადაეკრათ, რაც მუდამ საამაყოდ ჰქონდა.

მკვეთრად ჩამრჩა მეხსიერებაში ღვინჯუა: დათუტრად ნაკვეთი, მკერდჯაგრიანი, მსხვილად დაყრილი უღვაშებით, ბარაქიანი ცხვირით. სუფთა, სათნო, ძალოვანი, გულოვანი, ღონით ძლიერი...

ყველას მისთვის უყვარდა ღვინჯუას თამადად მიწვევა, რომ სიტყვაშიანობასთან ერთად დაუთრობელიც იყო. „საყველაწმიდოს“ უსათუოდ იტყოდა ისე არ წამოდგებოდა სუფრიდან, სუფრის ლელოს ბოლომდე გაიტანდა. ეს იყო მისი მთავარი ღირსება თორემ, რამდენი თამადა მინახავს რომ ღვინჯუას შუაგულში აშლია სუფრა და მასპინძლის ამდენი სამზადისი და პურ-მარილი მთლად წყალში ჩაუყრია. დაუთრობელი თამადა ბევრსა ნიშნავდა! განსაკუთრებით „საყველაწმიდოში“ უნდა გამოჩენილიყო ღვინჯუას სასაღვთისმშობელი მკერმეტყველება, სიტყვის ალიანობა. აქ საბოლოოდ უნდა მოეხიბლა სტუმარმასპინძელი, უნდა დაემკვიდრებინა მოზარბაზნისა და მკერმეტყველის სახელი! ეს ბოლო საღვთისმშობელი ძალზე უყვარდა ღვინჯუას და მით თავს იწონებდა. ამიტომ საგანგებოდ, იკლიკანტურად იტყოდა ზოლზე „საყველაწმიდოს“. იცოდა თაყამ ვინ მოჰყავდა თამადა! იცოდა!

ყოველთვის ახალი სახელი მიჰქონდა სუფრიდან ღვინჯუას.

— ვინც ბუდექართველია, უამსადღეგრძელოდ არ უნდა ადგეს სუფრიდან! ჩვენი ქვეყნის პატივია! რა ნება გვაქვს

მამაპაპური ანდერძი გავტეხნოთ? მარტო შეილება და შეილიშვილებს კი არა, ბოლოქართველებსაც უნდა გადაეცეთ!

იმდენად ღვინო კი არა, ნადიმი და ლხინი უყვარდა ღვინჯუას. ხედმეტი სმა არ იცოდა.

— ღვინო, როგორც ვარდი, ისე უნდა იდგეს მინაში წყლის დასხმა როგორ შეიძლება ღვინოზე! ჰქია არ უნდა შექანჭყარო, რომ ღვინო არ გაფუჭდესო! ყველაინმე გულჭუჭყიანი, აფშრუყული, ძმობის გამტეხი, პურუხვედრი არ არის ღვინის ღვინის სმისა! ღმერთმა ღვინო სალხინოდ მოგვცა, სანადიმოდ, სამეგობროდ, განა ჩხუბისა თუ კაცის კვლისათვის? ღვინო ქართველი კაცის ხმალია!

ასე იტყოდა მოწაფებული ყანწის სარდალი, ღვინჯუა, — დიდკაცურად, დიდმაჯურად!

— კარგი თამადა სახლს პატივად შეემატება! — ფიქრობდა შატროვანისკენ გზად მიმავალი თაყა.

ღვინჯუას ახალი ნათლიმამა, თაყა, მხნე, გულძალი, ჩალისფერულვაშა, ლალი, ფიცხი, კერპი ხასიათისა იყო. ამბობდნენ, მეტად ჯიქი ქალი მოიყვანა ცოლად, მაგრამ სახრით მოარბილაო!

თაყა ვენახიანი, ბარაქიანი მეკომლე იყო. ქეაცა ჰქონდა და ქადაც! სარჩოცა და სახადურიც! წრეულს ღვინის დიდი მოსავალი მოუვიდა, პირთამდე აივსო, ისედაც საესე კაცი. მისი ოჯახის ბარაქის ნიშნად მეზობლები იმასაც იტყოდნენ, თაყას მამას მეწველი ირემი ჰყავდა მოშინაურებულიო.

ოჯახიშვილი თაყა არ იყო თავკერძა. მებურმარილეს — სტუმარი უყვარდა. მამის უტკბესად იღებდა სტუმარს! არაფერს ზოგავდა: აკი ცოლიც უჟავრდებოდა: — იმარე, ნუ დაანეღე ოჯახი შენი ბურმარილითაო. სუფრაც უყვარდა თაყას, სუფრის ლაზათიც, ამიტომ თამადის არჩევას დიდ მნიშვნელობას აძლევდა. თამადა ხომ სუფრის ჯავარია!

— კარგმა თამადამ ხორციანი, ბედაური სიტყვა უნდა იცოდეს! — ოცნე-

ბობდა მომავალ ღრეობაზე თაყა. ენა თაფლით უნდა ჰქონდეს სველი! ოქრობაგეთი უნდა იყოს; ბორჯულაზე გულზე დამბოლავ სიტყვას უნდა ერიდებოდეს. რაგინდარა მიზეზით სუფრა არ უნდა აშალოს, არ ჩაამწაროს პურტკბილობა. ასახელოს თემი და სოფელი!

— არ უნდა გამოსწიროს, — სამთელქვეყნო, საყველაწმიდო, სამწყვდევო, სატაახო, — სუფრა ბოლომდე უნდა მიიყვანოს! თუ თამადა კარგია, — მას პინძელიც გულდადებულა. ჩვენი ღვინჯუა მართლაც გამორჩეული თამადაა: ყელმოქედელი, ჰუამომატებული, მართებული კაცი! სწორედ კარგი არჩევანი მომივიდა! — დასძინა ფიქრებში კმაყოფილმა თაყამ.

დადგა წყალკურთხევის დღეც. მზიანი დარი გამოვიდა, ნამდვილი საკაიდლეო, სამოყვრო ამინდი. იცი, რა არის სამოყვრო ამინდი? არა?

პატარა თოვლი რო წამოვა ფინფლებად, მიწას რომ ოდნავ წაჭჭირსლავს ნელა, ტკბილად, თბილად, უხრუნველად, მაშინ, თუ სოფლად ხარ და უკვე აკრეფილი გაქვს მიწის ზურგიდან მოსავალი და მარან-ბეღელში დაბინავებული, შინ რაღა უნდა გააკეთო, ისიც ასეთ ამინდში? და უტბად, შეგახსენდება, რომ ამდენი ხანია არ გინახავს შენიანი, ზაფხულ-შემოდგომის საშრომელმა არ მოგაცალეს, ახლა კი წყურველით მოგწურდება მოკეთის, მოყვრის ნახვა. წახვალ და მოინახულებ, გაუხარდება, გაგიხარდება! აი, რა არის სამოყვრო ამინდი, ალერსის დღე!

ღვინჯუა სასტუმროდ მოირთო: ჩაიცვა დაწინწკლული ახალუხი, თავისი „საწუთროს ნახევარი“ ჩოხა, გადაიკვა ცხვრის ტყაბუჭი, თავზე დოლბანდურად შემოიბორბლა ყაბალახი, ხელთ აიღო იფნის ობოლი სახრე, გაუდგა გზას და... მალე მიადგა კიდევ ნათლიმამის კარს, შატროვანში.

აგერ, ეზოში, გამოკოდილი მუხა, წათოვლილი ლედნარი... წერილფეხობამოზარდები გამობობოდნენ ნათლიის სახახავად! დათოკილმა ძაღლმა ჯერ კი

იყვება, მერე მიხვდა, მოკეთე მოსულაო და ჩაჩუმდა.

თაყას ოჯახი მორთულიყო... ბავშვებს ჰყავთელია ჩითჩუთები და ბამბაზიები ეცვათ. დიასახლისს თავზე შეურცხვენელი ლეჩაქი უფრიალებდა. აქაიქ მოსჩანდა გახუნებული ლეჩაქებიც მეზობლიანთ ქალებსა:

აი, დამტკბარი ვარდი, ხათუთა, აი, უსნიფერა, ბუხრიას ქერივი, თმადანშვებული ძმაზე, პირანთებული, ამოფუჩიფუჩებული თაეთუხა; თვალნათლიანი, კაშკაშა, ბაირალის ფარჩასავით მხიარული თათია, ფურფუტაანთ ქალი ტაშდარიყო, შეიღმისა, ნაზიკა, ნაძრახი ქალი, ფერცემული ნუშო და სხვანი — ივრის ასულნი, ზოგნი წვეულნი, ზოგნიც მომხმარე მეზობლები... ზოგი სუფრას შლიდა, ზოგს ნათხოვარი ჭურჭელი, სკამი თუ სკამფეხა შემოაქონდა ეზოში. ფუსფუსებდნენ, ირეოდნენ, ხუმრობა ხომ არ იყო, ნათლობის ღრეობა იმართებოდა, კახური პურობა, მადღარი ჰმეულობა, სმეულობა, — ოჯახიშვილის, შეძლებული მეკომლის ოჯახში!

თაყაც გარეთ იყო, ხართუთას ქვეშ, შავს კუნძზე დაფუფქულ ღორს აფეშავებდა სათონეში, ეზოში თონიდან ამოვარდნილი თბილი პურის სუნი ტრიალებდა. ორკეცი ალი ცას წვდებოდა... ცეცხლზე მდგარი დიდი შავი ქვაბი თავს იკლავდა, სხვა თანგირა ქვაბებიც შიშინით მღეროდნენ, თავს შავ-ყვითელი ქაფი გადასდიოდათ: ზოგში ღორის ლურთები იხარშებოდა, ზოგში ძროხის ხორცი, ზოგში — მოშსებული, ჩაკვერცხილი დედალი, კოჭობიც კი არ იდგა ცეცხლზე უსაქმოდ, შიგ დანიგვზული შეჭამანდი თუხთუხებდა... ორივე ძაღლი — ხენეშია და ჯაგია ქვაბებთან შორიახლოს მიყრილიყვენ და ხორცის სუნით იზნიდებოდნენ...

ნათლია ღვინჯოს გულტკბილად შეეგებნენ. ძველი წესით, ჯერ მარანში შეიყვანეს. გოდრებში ჩაყრილი ვაშლი და კომში საამურ სურნელებას გამოსცემდა. სხვენში ყურძნის ჩხები, აკიდო-

ები, ხახვისა და ნივრის გალები ეყიდა. უზარმაზარი, ამოფურღული ხის ნაჯე შავად გამოიყურებოდა, შიგ გოგონებ და კართოფილი ეყარა. იქვე ქვეერის სარცხები ეყულდა. კუთხეში, ქვამარლის დიდრონ-დიდრონი ზოდები ელაგა...

წითელი ღვინო ამოედოთ, ახლა „ვარდის ქვეერი“ რომ ერქვა, იმას მოჰხადეს. შიგ იდგა ქარვალაი.

— თაფლია თუ თაფლღვინო? რძეც არის და თაფლიც, ერთად შეზავებული! — მოუწონა ღვინჯომ, ჰაშნიკი რომ იგემა.

მეორე ნათლიაც მალე გამოჩნდა, მთასავით ვაყვაცი, მგელხარი. დიდი ხანჯალი ერტყა, თავზე ჩამომანჯგულე ქუდი ეხურა, კერატივით დაამობტებდა. ღვინჯუა და მგელხარი ერთმანეთს გაეცნენ, თათები გადააწოდეს: — დღეიდან მირონის ძმები ვართო!

— ეს წითლისა, ნამდვილი ზიარებაა, — აქო მგელხარმა. სახელდახელოდ პატარა ლურჯი სუფრა გაიშალა მარნის ბაქანზე, ცხელი მწვადი ახლიჩეს, სასიყვარულო სადღეგრძელოები გადაჰკრეს! ხომ ნათქვამია — დილის საუზმეც ცოლის მზითვეს სჯობიაო!

თაყაც, ღვინჯუაც, მგელხარიც დარწმუნებული იყვნენ, რომ პირველად ღმერთმა ნათლია გააჩინა.

„პირველ ღმერთმა გააჩინა;

ნათლია და მირონ-ზეთი“ — აკი ამბობს ხალხი! განა ღმერთმა არ იცის თავისი საქმე? მაშ, ქვეყანა რაზე უნდა მდგარიყო, თუ არა მირონზე? უმადლოდ დარჩენილი ხომ დაიღუპებოდა? ამიტომაც ევლებოდნენ თავს ღვინჯუასა და მგელხარს, რომელთაც ოჯახში მირონი შემოაქონდათ!

— მცხეთის სამირონეს გეფიცები, მაშ, სვეტიცხოვლის დამქცევი ვიყო, თუ გილაატო! — ეფიცებოდა ღვინჯუა ახალ ნათლიამას.

— ქართველების ღმერთს გეფიცები და კერის ანგელოზს, შენი გულის ძმა ვარ — შეჰტიკა მგელხარმა თაყას.

— დღეიდან თქვენი შესამატი და სამგლობნარი გამიხარდება, თქვენი მირონ-

ნი ჩემს სახლს პატივად შეემატებო! — თავის მხრივ დასძინა მასპინძელმა თაყამ-სასწრაფოდ ჩამოილოცნენ და გარეთ გამოვიდნენ. ნათლიებს დატარეს ეზო-ყურე, აჩვენეს ბოსელი, — ჩატრუკე-ბული საქონელი, მხევარდა კამეჩი, ირ-მა ზაქი, ძროხა დემფილაც.

თაყას ეზოში თავს იყრიდა სტუმრე-ულობა: ნადობი, ნაძმობი, განაყოფი, მოსადევარი, კარის მეზობელი, — ყველა მოსულიყო უკლისად... პურად მასპინ-ძელს დღეს სუფრაზე დაელაგებინა ზევი, როვლის ბარაქა, საზრდელი, ნა-შრომი, ნაწალმართევი: პური, ღვინო, ხორაგი, სისხლით ნასუჭი მიწის ამაგი.

სუფრა იმართებოდა, ქურქელი მწკრივდებოდა, ყველაფერს და მით უფრო სუფრას, უნდა თავისი რიგი და წესი თორემ აგერ, მელორე ყოტალა, ღორის აფესეაში რომ ეშველებოდა თაყას, — ხელთუყარი, წელიწვეტია, გამონიქული-განა მისთვის არ დარჩა უცოლოდ, რომ სუფრის ნაწესობა არ იცოდა?! ჰკითხეთ ქალებს, გაიმბობენ; ყოტალას თურქე ქალი არ მისცეს, მიზე-ზად ზნეობის უცოდინრობა მოუდეს! პირველად რომ მისულა სასიამაოროს ოჯახში ქალის გასასინჯად, სუფრა გაუ-შლიათ, სასიძოსთვის მოხარშული დე-დალი მიურთმევეათ:

— დასტერიო!

— არ ვიცით!

აბა, საწყალ მელორეს საიდან ეცოდინებოდა? კეთილ სასიამაოროს, მოხუც მელორეს, ჩუმად უკარნახნია: ჯერ ბარკლები ამოსტერიო! მაგრამ, თავგა-მოუბმელ ყოტალას ვერ გაუგია, ვერც მიხვედრილა, ვერც ქათამი დაუჭრია! იმ დამეს კი პური აჭამეს, დილით გამოუ-ცხადეს: ვერა, გეთაყვა, ქალს ვერ მო-გცემთო!

ასე გაბათილდა ყოტალა, ახიცი იყო მასზედ! ხუთი ბატი რომ მიგებარებინა, ექვსს დაჰკარგავდა, დაბმულ ვირს ვერ მოუვლიდა! სუფრის წესი საიდან ეცო-დინებოდა?

მზე კიდეც გადაიწვერა... როგორც

იყო დასხდნენ, კი არ დასხდნენ, ცივად დაბრძანდნენ სტუმრები.

სუფრის ზემოთავეში, სახლისუფე-ლი — პირბამბა პაპა დასვეს, — ამირა-ნა, — მყუდრო კაცი, სიბერით სავეს, ასი წლისააო! ნაჯაფარი, ნამაშვრალი, შვილთა, შვილიშვილთა და შვილთა-შვილიშვილთა გამზრდელი, ოჯახის თავმომყრელი, მოჭირანხულე პაპა, ახლა მხოლოდ სულის საქმეზე და პატარა საზედაზე ვენახის გაშენებაზე-და ზრუნავდა, რათა მისი შესანდობარი და-უყვედრებლივ დაეღიათ!

— როგორ ბრძანდები, პაპა? — ეკი-თხებოდნენ წვეულები:

— ძველ ჯავარზე ველარა ვარ, შვი-ლებო, მუხლები დამიწყლიანდა, ცალი თვალითაც კარგად ვერ ვიხედებო; ეხ, სიბერე, — სიბნელეაო! სიკვდილს დაე-ლონებივარო, მაინც წუთისოფელს ვე-სურვილებო! — თან ბალამწარას ყა-ლიონს სწუწნიდა...

პაპა გაჰხედავდა დარაზმულ სუფრას, დაზვიანებულ ხორაგს: წააგონდებოდა რა თავისი უკბილობა, უძლურება, წამოიო-ხრებდა: ვაჰ, გულო, ვაჰ, გუნებო! და თან ღვინოში პურს ალბობდა.

ტახტზე ყარყუმით იჯდა პაპას მე-ულლე, ცხრა შვილისა და თორმეტი შვილისშვილის ბებო მარადია, სიბერით გადაღწეული, შრომაში გადამდნარი, გაცვეთილი; ქმართან ერთად ერთ მუ-თაქაზე დაბერებული. ნაზბალიში ეღო მუხლებზე. სუფრაზე ჯდომის არაქათი აღარა ჰქონდა, თითქოს გაქვავებული-ყო, უხედავი გეგონებოდა, თუმცა მის გამჭრიახ თვალს არა გამოეპარებოდა რა და ტახტიდან რძლებს თადარიგს აძ-ლევდა. კარებთან ბერი-ქედანივით იმ-ზირებოდა.

მეორე, უმცროსი ბებო, — თანანა, თავ-პირჩამოღრუბლული ხომ გავიგონიათ:

— დედამა ჰკითხა მხესაო, — ქვეყანაზე ყველაზე ბეჩაფი რა გინახიაო?

— გასათხოვარი ქალი სახლშიო და სიღედრი სიძის კარსაო!

ასეც იყო...

„მობრძანდის კაცი“, ანუ მოპატრე, — თლოშიაური, გუშინ, მთელი დღე ხუსხუსით დარბოდა, დაპატრეებულთ ეძახდა, ნათლობაზე მობრძანებას სთხოვდა, თუმცა ხევწნა და ჭიმილი არავის დასჭირებია.

გაიცანით, მუცელმწერთა თლოშიაური, სუფრის მუსუსი, ლეშის მოყვარე ყორანის როგორც ბუზი ჯივარს, ისე გაჰყვებოდა სუფრას ვისიცი და სადაც გინდ ყოფილიყო. მუდამ სხვისი სუფრის მოკუმნიკე, სხვის პურმარღზე ჩაბურებული, ჩასუქებული. თლოშიაურზე ამბობდნენ დედის მუცლიდან კბილიანი დაიბადაო!

— დილით რომ გამოვალ სოფელში, ბუხრის საკვამურების ბოლზე ყნოსვით ვივებ, ვის სახლში დღეს რა კერძი და შეჭამადი იხარშებაო! — იკვებინდა მსუხავი თლოშიაური.

როცა თლოშიაურმა პაპას ჩაუნუსხა წვეულთა ვინაობა, პაპამ ბრძანება გასცა:

— ქაჩას დამიძახეთო, ჩემი კბილისაო, ცოდოა, ერთი კარებგამოხურული კაციაო!

საწყალი ქაჩა, აღარავინ ჰყავდა, ამოწყვეტილიყო.

ერთი ყომრალი ვირი ებოგინა ტყისა და წისქვილისათვის, ისიც კლდეზე გადასჩებოდა! მის მერე ერთი მისანდოლა ჰყვანდა ამ ქვეყანაზე — ბოთვერა ძაღლი — იმაზედა იყო მითვალული ამ წუთისოფელში!

ბოთვერა კი აღმასა იყო! მის მშვიერ კბილებს ვინ გადაურჩებოდა!

ქაჩა სოფლის განაბირას იდგა, სულ ბოლოს, მიუვალ კლდოვან კონცხზე, უკეთ, კონცხის ქიმზე. ამიტომაც, ცალკე იმ კონცხის მიუვალობის გამო, ცალკე ბოთვერას შიშით, მოსაქმენი, ხარჯისა და გამოსაღების ამკრეფნი, მგხარკენი, ვერ უდგებოდნენ და ქაჩა, საწყალი ქაჩა, თითქოს დამოუკიდებელ სამთავროში ცხოვრობდა მარტომმარტო! ამიტომაც ეზარებოდა გასივისივებულ თლოშიაურს მიუდგომელ ქაჩასთან წასვლა, მაგრამ პაპამ ისეთი მბრძანებელი თვა-

ლით გადახედა შეყოყმანებულ, სულ მოკლე თლოშიაურს, რომ თლოშიაურმა მაშინვე მოცხრილა ქაჩას სასაბურთო ებლადა... მიდიოდა საქნელო გზაზე, მაგრამ მუცელგადმოგდებულ თლოშიაურს ნათლობის სუფრაზე ღორის მსუქანი ლურთები აგონდებოდა და მხნედ მიაბიჯებდა...

აი, ოქროს ქოჩრიანი ბაიებიც დანათლეს მღვდელმა ოხროხინემ და დიაკვანმა აზარიაშ. მაღლი და კურთხევა დატოვეს სუფრაზე, მაგრამ თითონ მღვდელს შინ სტუმრები ჰყოლოდა და მალე წაივინდნენ. დიაკვანი აზარიაც უღვდლოდ ხომ ვერ გაბედავდა სუფრაზე დარჩენას? არა უშავს რა, — ერთი ხურჯინის თვალი ხორავი და ღვინო თაყამ სახლში გაუგზავნა და მით სული იტონა!

დამავიწყდა მეტყეა, რომ პაპამ სანათლო წყალი საგანგებოდ „მიმინოს წყარო“-დან ჩამოატანინა, რომ ბავშვებს მიმინოს სიმკვირცხლე დაენათლოთო; პირველ ბიჭს გელა უწოდეს, მეორეს — არსენა! თუმცა პაპა ერთს ღრინქოლას ეძახდა, მეორეს კოკროქინას!.. ვინდა არ იყო წვეული? ვინ არ გინდა, ისიც სულ გადასახლებული ხალხი, ნათლობის სახელი თითონაც რომ აღარ ახსოვდათ!

— დევკაეი, ფოლადგულა, ნათლია მგელხარი...

ტყავის ფეშტემალაფარებული ელაში კალატოზი ყიჭალა, სულ მთვრალი! კედელს რომ ამოიყვანდა, უეცრივ ზემოდან ჩამოსძახებდა: „მეეცათო!“ და ნავაგლახევი კედელი ან პირდაპირ წამოვიდოდა, ან გვერდზე გადმოინგრეოდა.

სოფელი მაინც მაღლიერი იყო ყიჭალასი: — სხვა არც მაგ სიკეთეს გეზამდაო!

კალატოზის გვერდით იჯდა შავსევიდიანი, მუშტრის ავთვალდაკრული, გაკოტრებული მეწვრილმანე ჩანჩუხა, რომელიც ხშირად შეურევებით ამოიგმინებდა: ავამე, გაკოტრდიო!

ქვემოთ, სოფლის დალაქი, თავებრა,

მიკვირია კაცი, რომელზედაც სოფელში იტყოდნენ; ეშმაკები რომ ჯოჯოხეთში შილაფლავს ხარშავდნენ, პილაპილი მაგის მოყრილიაო!

კიდევ ქვემოთ: კეთილის მოწადე, მოხატორე, ყველას შემწყნარებელი, თავანკარა კაცი, — გუთნიდელა თარიმანი.

მეზურე ჯიშშიტა — ძვირუხსენებელი. ბერდიკი — კარგი მცელავი, მთიბავი. ღრეული — ყანის მესვეური — ფაქიხი კაცი, ბედოვლათიანი.

ტროყია — მეტყეურე, — ანუ ტყის მცველი, გაურანდავი კაცი, თვალხუჭია, ტყეპნით მოლაპარაკე.

ულვაშის მრხეველი, მეშუმე კლაკო, — შემპარავი, ავის მდომი, მტყუარი და ცრუ მოწმე, შემწყნებელი სახისა.

— ენამძინარი, ღეჭია მეველე — ყრუჩა, გადაბარჯდულ ხეს რომ ჰგავდა! თვალჩანხი, ჯულურა.

თოხიტარა — ნალევა კაცი, უღდეურა, უფრთიანო, უვარსკვლავო! და კიდევ რომელი ერთი? ვადამბულიც იქა ბრძანდებოდა. — მაღალი კაცი თითქოს ორი კაცი ზედ-ზედ ვადაუბიათო!

ლობემძვარალა, ასქინილა, წიპრუა, — ნაცარწყარილი, გაბათილებული ცალკე სიღარიბისა, ცალკე აშარი ცოლისაგან.

მეღორხბოვე — ცხვირგატეხილი ბაჭყურა.

უენო, უტყვი, კოსინე-ძეძვის მკრელი, დაძონძილ ჩოხაში.

და განა ვინგინდავინ ან ყველაინმე? არა, სულ ნარჩევი, დარბაისელი ხალხი! — რუმბია, ყლარტია, ბოტი, ბანჯურა, ლაჩინა, ოდოკა, ფუმფლა, ყლინწო, ქვიშრაფა, ღინტალა, ბატატა, ხიწვა, ყბალია, ტარაკუჭა.

კიდევ: — ბაჭიკაური, ტიტლია, ბრაცანა, ციცილიბა, ჩვენი თლოშიაური სუფურის ჭირი, ან ყოტალას ვინდა დააკეებდა?

ჰო, კიდევ ერთი, არ მახსოვს კარგად, ბოყო ერქვა, ყეყე თუ ყოყო! და ბოლოს ვინმე პირიქითელი, ტყიდან შემოხეტებული მონადირე, გოდერძი... და ტალიკ-ტალიკი ბიჭები!

გულისხმისმყოფელს რომ თავიერი გადაეგლო სუფურისათვის, გაიფიქრებდა: ადვილია დევთა შეყრა, მაგრამ ვაჟურა გაინელდებისო! ამოდენა მგლის ღმუილი, უამბოდ არ ვადაწყდებო!

ზარობდნენ ლიტრის კაცები, რომელთაც სხვილი კისერიცა ჰქონდათ და სხვილი სამამულე რქაც ბელელი და ქურპარანი ხავსე!

სუფურის მეორე ნახევარში დამცრობილი, უყოლელი, უქონელი, უპოვარი, უზარაქო გლეხები დამსხდარიყვენ — უხაროები, „მჭადი-აყვირები“, ფიცგაწყვეტილი ღარიბები, — ფარაჯებში, დაკონკილ ახალუხებში, ამერიკოს ლურჯ განიერ შარვლებში, ტულაპანდებულ ქალამებში. რა მისაჩემი იყო ეს სუფრა მათთვის? ამიტომ ცოტა დამკრთალები იყვნენ. მუდამ უსაკმარონი, სიმშლის კარს დაბმულები, თავს უხერხულად გრძნობდნენ სუფრაზე, სადაც ქონის ღვარი დიოდა. ნათლიდედის ხონჩაზე თონის ნამცხვარს, შოთსა, ვადაკეცილ ლავაშს, ნახუქს რომ უშხერდნენ, შინ პირმოხეილი ქერის პური აგონდებოდათ და სუფურისა ეხათრებოდათ, სალუქმაპურო ფიქრებში გართულებს.

პაპა, მახსოვარი ძველი კაცი, ძველ ამბებსა და თავის თავგადანაყარს იგონებდა. უამბო კახეთში შამილის შემოსევა, ჰევკავაძინათ ქალების გატაცება წინანდლიდან. მღვეარში პაპაც გაეწვიათ. სულ ხმაღზე ვიყურებოდით, გულადი ვიყავით!

პაპამ ისიც უამბო, თუ როგორ გამოცხადა პაპის-პაპა საომრად რომ მიდიოდა ლეკეთში. განა სიზმარი იყო, ბაღში ვიჯექით, ჩვენ კაცის ხეს ვეშვიდობებოდით, იქნება ველარც ვნახომეთქი! უცებ, რაღაც განათდაო. დღე იყო, მაინც ასინათდაო. ვხედავო, მოაბიჯებს, მრავალღონე, ახოვანი ვაყკაცი შუახორცად, ლევა ჩოხაში, ხმალი მიწაზე სთრევედაო, სულ შუქი გადასდიოდაო, მკაცრი სახე ჰქონდაო! ჯერ ვეება კაცის ხეს ძირი მოურყვიო, მერე წინ დამიდვა. — პაპის პაპა ვარ, შენი, —

თორელიო! — ბიჭო, არ შემარტყვიინო! სახელი სჯობს ქონებასაო, დაჭრილობა და ჭირნახულობა სჯობია ტყუილად ხეტიალსაო! მტრის გამბრუნებლები ვიყავითო, ხმლით გვეჭირა მამულიო! საქართველოზე ხელი არ აიღოთო! ენით ნუ ჩქარობთ, საქმით იჩქარეთო! და უცბად, გაუჩინარდა, განქარდაო, მას მერე, რკინის გული ჩამეღვა, აღარაფრისა მეშინოდაო; როცა სხვები ფერხთ იხდიდნენ, მე მაშინ ვიკვამლიო!

— მერე, პაპა, როგორ ეომე შამილს? — ეეთხებოდნენ ომსმოწყურებული ქეჩიანნი ბიჭები.

— ომში ველარ მოგვიხდა წასვლაო, მხოლოდ მდედარში კი ხშირად ვყოფილვარო! ერთხელ, ყაჩაღებს გამოიყვანიდო, მესროლესო, ტყვია ზედ ჩოხის მასრაზე გადამეტრიაო; ჩემს ხორცს ტყვია არ ეკარებოდაო!

გულმართლად უამბობდა პაპა და ყველაფერს ზედ დაატანდა: — შენმა მზემ და ჩემი სულის ცხონებამაო!

— გეთხარი, პაპა, შესაგონარი რამი — ყელგამოწევით ეხვეწებოდნენ მოსხებილი, საქორწილო ბიჭები.

— შეწყალება, შეწყნარება, სიმართლეო; იქეთეთ, შეილებო, იმხიარულეთო, ჩვენ წავალთ, სხვა დარჩებაო, ქეიფი შეგვრჩებაო! მხოლოდ, არ ავრიოთ დიდმა ნდომამ, პატიოსან ლუქმას დასჯერდითო; შრომა, ოფლი და ამაგი ყველაზე დიდი სიმდიდრეაო! ეშმაკის ნატეხი პური ნუ გინდათო!

მსუქანი, მაძლარი სუფრის დანახვით გამხიარულებული გლეხები ერთმანეთს ეხუმრებოდნენ:

— ეს რა მოგვლია კაცო, წინათ დაბალი იყავი, ეხლა მაღალი მეჩვენებო! — ეუბნებოდა „გადაბმულს“ დიდბნის უნახავი გლეხი მეზობელ სოფლიდან.

— ვერ მიხვდი ბიჭო, ეშმაკებს გაუწევითო!

— ჰაი, შე დაუწებავო, შე ქვაფქვიავ! — ჰაი, შე კეტურავ, ჰაი, შე გოჭისკულავ! აღერსობდნენ ქიმუნჯისა და წიპურტის წაკერით...

თამადად ღვინჯუა აირჩიეს ერთხმად, არც იუარა... ყველამ იცოდა, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო. ტოლს ვინ დაუდებდა, სად იყო მისი ფანდი?

გულმა გულში, სულმა სულში ჩაიხედა!

ხომ ქართული სუფრა იყო! —

— თქმა იყოს და გაგონება! გასუნთქულები უსმენდნენ თამადას; ისეთი სიჩუმე დადგა, როგორც უფრინველო ტყეში!

თამადამ სიტყვა ჩასო მარგალიტში ახალნათლული ტყუბები აღღეგრძელა. საღღეგრძელო მოაჩარჩოა, პატარები ხართო, მაგრამ რკოდან დიდი მუხა ამოდისო; თან უჯარანგელოსი, ხატიცხოველი და საქართველო დაალოცა...

ტყუბის ცალი სულ ტიროდა, არტახებიდან მკლავები ამოეყარა. დედა ჩიოდა, ნაკიანიო, მეორეს კი მამილა თანუშიამ ძუძუ ჩაუღო: — მამილამ რომ მოაწოვოს, მომღერალი გამოვავ!

ბებია მარადია სულ მთვარის ამოსვლას ელოდა და მთვარემ ვერცხლი რომ გადმოშხეფა, შვილს აუტყდა, — ნაკიანი ბიჭი მთვარეზე გაიყვანე, მთვარეს შეუტახეო: — მთვარევე, მთვარევე, თუ შენია, წაიყვანეო, თუ არა და, შენსავეთ გაავსეო!

თაყამ იუარა, — ძველი, აჯამი ხალხი ზომ არა ვართო, შესცივა და უარესი დაემართებაო!

— ბავშვი კი არა და, მოდი, წიპრუთ გავიყვანოთ მთვარეზეო, იქნება მთვარემ გაავსოსო, თორემ სანამდის უნდა იაროს ასე დაღეულმა და გამოჩხივეულმაო! იხუმრა კალატოზმა ყიჭულამ და ქალ-რძალი გააცინა. ბიჭები კიდევ მიიწვედნენ წიპრუთს გარეთ გასაყვანად, მაგრამ წიპრუთ სუფრის ქვეშ შემძვრალიყო და იქ გატრუნულიყო...

გაიშალა საუბარი... სიტყვამ გაინავარდა! კისერქანგიანები, ჭირდათმენაძე ჩვეულები კოქანდარა ხელით გაკაქებულ ყამრის რომ ამობდნენ, ახლა გაძმობილდნენ. ერთმანეთის ტოლის დამდებნი ერთად ისხდნენ, ამხანაგურად,

თუმცა მათი ერთად-ერთი ამხანაგი შრო-
მა იყო.

— გუშინ იმდენი ვიმუშავე, ძაღლის
სული ამოვიღეო.

წრევანდელ მოსავალს აყენებდნენ:

— ხორბალს მაწივრობა არა აქვსო,
ყინვამ მოთუთქა, ღოჯი ვერ გაიტანაო,
ჭიკოტა, გულდაფუტა მოერიათ, ყანები
აიხალაო!

— გაზაფხულზე ყინვამ კვირტს წელი
შეუშინაო! ამ ზაფხულს ღრუბელი
დახშაო! შატროვნელები კი ღვინის მო-
სავალს აქებდნენ, ჭურჭელი არ გვეყო.

კარგუნახავეები, გულდათოვლილები
გმინავდნენ: — სიღარიბე ძილსაც გვიშ-
ლისო! შეუტურთხეს ცოდვიან ხელმწი-
ფეს, მის რჯულსა და სამართალს! შე-
ჩვენეს ჯვარზემცემლები, ჯიბეგასუქე-
ბულები, შემოპავეები, სოფლის სათოკე
კაცები... დაასკენეს: სიღარიბე ღვთიდან
არის! ორივე აკლდათ: პურიცა და მზეც.

— ღმერთო, შენითა! — დაიძახეს და
ღვინოს მიეძალნენ მზემწყურვალენი.

ისმებოდა მიწის ნაწური, მზის მონა-
კური, მათი ნაოფლარი — ივრის ღვი-
ნო, ივრის წვენი...

თავიდანვე სიტკბო და გულითადობა
გამეფდა. მოდიოდა გამტკიცული სი-
ტყვა, სულ შაქრის ღენა იყო.

გული გაითაფლა... წყლები წყლებს
ესართებიან, კაცი-კაცს!

— ჰეი, ძმაგულავ, ეგრე მომები გულ-
ზე, ეგრე შემიტკბე! — ეთანადებოდნენ
ურთი-ერთს!

— გულისათვის გული ჩამიდგო!

— ერთმანეთისანი ვიყვნეთ, საერთ-
ბანეთონიო!

ხალხი დამწყემსდა...

პურწმინდა დიასახლისს პირზე ვარდი
ემულებოდა... გახარატებული კაკლისა და
თელის ხონჩები შედიოდ-გამოდიოდნენ;
ჯამი, კახა, ჯიხვები, ჭიკლიყურა სა-
ღვინე, გოზაური თახჩებიდან იყურე-
ბოდნენ და თამადის გამოძახებებს ელო-
დნენ.

თამადა იჯდა მორკმული, თავგზიანი...
დამყარებული, დადგინებული, თამა-

დობა-დაკურთხებული, შეერთნებულ/ო/
სუფრასთან.

ოქროს ქონრიან ბაიებს მკლავები
ამოეყარათ ხოჭოქიდან..

უეცრივე, სუფრაზე შემოვლევარდა, შე-
მობრიალდა პატარძალი დუღღუბა, —
ცოლი თაყას უმცროსი ძმისა, რომელიც
ეხლა რუსეთში სალდათობის ბეგარას
იხდიდა, ამ ზაფხულს წაიყვანეს. ბეზო
მარადიას რუსეთიდან მოწერილი შეი-
ლის წერაზე ბალიშქვეშ ედო და
ცრემლით ასეველებდა. ახსოვდა კი პა-
ტარძალი? — არ ვიცო! მხოლოდ ქალები
ტუტუნებდნენ: უმაქნისიაო, დონდლო-
ჩინაა, ბოტოტინააო!

პატარძალი—გაცივებული მისი! ლა-
ლი და ბროლი გადღადებული სახე,
ჩაბნელებული შავი თვალები... ოთხი
დაწვნა თმა სადრეკამდის ჩამოდიოდა,
ფარშევანგულათ იარებოდა, ყაყაოსა-
ვით წამოწითლება იცოდა! ფერხორცი-
ანი, — ნამდვილად მზის გამონაყოფი!
თვითვე გრძნობდა თავის ძალას, — აბა,
ჩემსავით ვინ გამოსულაო! ახალვარდი
ვარდკაბაში იყო... ყველას უხაროდა
პატარძლის შემოცქერა! — ამოშვებული
აღვა! მისი ვარდული შეღიმება, ჩაკდე-
მით დგომა; — ხომ გაგიგონია გლეხური
ნათქვამი: დედაკაცს დღეში სამი სიტყ-
ვა ეყოფაო! მისი ხოხბური რონინი,
ყველას აგიყებდა. შენ მზეს ელოდა
თვალი ამასლა-იტყოდი მაგრამ სუფრაზე
არავის უფიქრია, ნეტამც ერთი მაკოც-
ნინაო! — ყველა ლამაზი ცოლის დაა! —
ეს ახსოვდათ კარგად!..

თამადა ღვინჯულამ იმედები გაამართ-
ლა, პირიდან ოქრო სცვიოდა. ზღვაზე
ხიდი გადო; ცაზე კიბე მიიდგა, მზესთან
აღიოდა-ჩადიოდა, მართლაც, სწორუპო-
ვარი თამადა იყო, უტოლუმბაშესი! სუ-
ფრაზე ვარდმანანა სწვიოდა...

— რათ არა ლხინობ დარბაზნო, დარ-
ბაისელებით სავსეო! — მკახედ შეუძა-
ხა პაპამ ჯერ მოკრძალებულ სტუმრებს,
ჭამაში გართულებს. ის-ის იყო ღვინჯუ-
ამ პირველი ჯამი გაავსო და... კარებში
შემოყო თავე შარვალგამოდარულმა
თლოშიაურმა, შეშინებულმა, უფრო

იმით, ვაი, თუ სუფრას თავშივე ვერ მიუსწროო, ხორცის პირველ ნაჭრებსო მან თავმოძვრუნელ უჩვენა მასპინძელსა და სტუმრებს ძაღლისაგან დაგახული წვივი; ბოთვერა ძაღლს ჭიშკარშივე დაეგლიჯა. ქაჩასთვის ხმა სულაც ვერ მიეწვდინა, ისე გამოქცეულიყო უკან. პაპამ დასცინა: — აბა, შენ გაგზავნიდა ნეფე ერეკლე საომრათაო! კაცებმა მაშინვე ჩგრიათა და აბლაბუდით შეუხვიეს სუბუქი ჭრილობა და შუაში ჩაისვეს, როგორც ნასახელარი გმირი და ღვინით საესე ჯამფთაღა დააღვინეს, რის შემდეგ დაქიმითუბული თლოშიაური გლეხმურჯივით ეცა ღორის მცხინვარე ლურთებს! ცხიმისაგან თითები და ლაშები უბზინავდა... დიდხანს იჯდა ჩაგინძრული, რბილი გადაყლაპა, ძვალი ჩატკვერა, და წარმოიდგინეთ, სახე კიდევ გამოუბირგვალდა! სუფრაზე მუცელპირმიდგმულმა პირწმინდათ მოტვლია ყველაფერი, მაგრამ ვერაფერ შეამჩნია. მერე სამზარეულოში გაჩნდა; აქ გავლივებულ ცეცხლთან ჩატუცქული მწვალებს ხანხლავდა. მწვადის დამძნარი ქონი რომ ნაკვერჩხალს შხივილით ეღვენთებოდა, ის უყვარდა, ახალი მადის საღერდელს უშლიდა...

ღვინო დარუფდა... აღდევრძელეს გლეხკაცის ყოველი საფიცარი: ღმერთი დაუსაწყისი, ცამზე, ღედამიწა უღვეელი, უშრეტელი, ყანის მუხლი, ვაზის ღედა, მებაღის ნობათი, ხარის ქედი, აკვინის ფიცარი, წისქვილის დოლაბი, სიმინდის ფრჩხილი, ახალ-ერგი; რქადაბვეული ყოჩი, მინდვრის თარგი, აბრეშუმის ჭია, ქარფეხა ცხენი, ფუძნარი გუთანი და ხმალი! ჰე, ვინ იცის, კიდევ რამდენი!

ღვინჯუა ჯამს ხელადას დაჯახებდა, გადააწვდიდა თაყას და ეტყოდა:

— იყავ ჩემი ნებისა!

თაყა მორჩილად მიიღებდა ჯამს და შეაგებებდა:

— ვარ, შენი ნებისა!

თავისმხრივ, თაყა სხვასთან ვადადიოდა ალავერდს და სუფრას ამაგრებდა, აძლიერებდა.

— მამულზე რომ თბოლი დადგება, იმას გამარჯვებო!

— მამაპაპის ძვლების ნაცხარს ვაუ მარჯოსო! — ასწია თამადამ ყანწი ახორხორდნენ გლეხები, — გაუმარჯოსო!

— ორბთ-ხელმწიფის შვილს გაუმარჯოსო ისევე დასძახა თამადამ, თუმც არავინ იცოდა ვინ იყო ორბთხელმწიფის შვილი, ან რატომ სემდნენ მის სადღეგრძელოს, — მაგრამ არწივი გულში ყველას უყვარდა!

ბუხარი ცეცხლის ბურჯღლებს ჰყრიდა... პატარძლის ლოყებივით გაჰქონდა ლაღღადი... იწვოდა რცხილის კორჩხლები. უცბად, გაკვირვებულმა წიბრუამ შეჰყვირა: ხალხნო, ცეცხლმა ვაიცინაო! ღმერთმანი, ჩემი თვალით დავინახე როგორც ლამაზი ჭაღი, ისე იციწილაო!

პატარძალმა შეიკდიმა...

ყველას უხაროდა ბედნიერების ნიშანი!

გახარებულმა თაყამ კიდევ წაუჩინჩხალა ცეცხლს; ბუხრიდან ბროწეულივით ნაკვერჩხალი გადმოვარდა. თაყამ ფეხით მოსწია.

— არ ვარგა, შვილო, ფეხით ცეცხლის მოწევა, საიქიოს კბილით მოგაწევენებნო! — შენიშნა ბერდემამ, რომელიც აქამდე ისე გახევებული იჯდა, თითქოს ვერაფერს ჰხედავსო!

სწორედ ამ დროს კარებში გამოჩნდა კოკობზიკა მეჩანგურე ცანგალა თავისი ჩანგურით. ის იყო მისი ცოლიცა და შეილიც! შეზარხოშებული იყო, — პირნაკევილარი, დაკენკილი, ქერაქოჩრიანი.

— განა ეგრე იქნება? საგანგებოდ მოგიწვიე და ესე კი დაიკვიანე! საყვედურით მიმართა თაყა მასპინძელმა.

— რა ვქნა, რომ აღარ გამომიშვეს?! თავი იმართლა ცანგალამ. საგარეჯოში სხვის სუფრაზე გატყბილებულიყო!

— აი, გაქრეს შენი სარჯულავი! ერთად მიაძახეს მესუფრეებმა და მიესაკვარლნენ სიმღერების მწყემსს.

— კაქკაპო, კარიოქელო, ენაზე კორძი არა გაქვს, ამოთქე და ამოთქე! თამადამ დაგვიანების ჯარიმა დააღვიანა ცანგალას სამი ჯამი და მერე უბრძანა:

— გამოთქე და შეგვაძეკო!

— ქერონა ჩიტი ვარ, სიმღერების ამომღები, მეტი არაფერი! — ზარზოშულად იღიმებოდა ცანგალა; რასაც გულიდან ამოვიტან, იმას ამოვლექსავ. თქვენ სამქებროდ როდი მცალიან!

და გულშეფრთხილებულმა თვალი შეჰკრა პატარძალ დუღლუბას:

— ხატულავ, ჩემო ხატულავ, ჩემო ედემევაგილო! ადუღდა გულში პირველი სიყვარული! ძლივს არ მოვითავებულე? სად გამოუთხოვებიათ, რამდენი ვეძებე!

— დახე, ამ მაწანწალა — ჩიტირეკი — ამ, ამ ბუხუნძელა ქიამ, სად მომაგნო?! — წყინობდა უღეთო ლამაზი — თავი მტკიოდა მაგის შაირებისაგან!

დამლექსებელმა ყველას მიუღუქსა, გაგულისებულნი ატრიალებდა ჩონგურის ყელს:

— სუყველას ლექსს გამოუთქომ, რაც მოხდეს ქვეყანაზედა!

— ნეტავი ზოგი ვაყვიდო, ლექსი რათ მინდა ამდენიო!

— ვაჟა-ფშაველას ავჯაბრდი, აკაკის — იმის ძმასო!

შინც არ შეუყვარდებოდა პატარძალს მოშაირე, როგორც არ ვათეთრდებოდა ტურფას შავად შებურული წამწამი!

კენესოდა, კი არა მღეროდა ცანგალას შეთელილი გული, შესეტყვძლი სიყვარული.

მოქნილი ყბების პატარონი, ქვეყნის მალხინებელ — მააქებელი; თუმც ბაქი-აობდა მაგრამ ეს, გარეგანი, ზერელე ბუნება იყო მისი; შიგნიშიგან კი ცანგალას სული სევდით იყო მოქსოვილი! გულს უწვავდა გასრესილი ბავშვობა, უწყალო დუღლუბას სიყვარული. გაცრუებული წადილი, ამოფხეკილი იყვინდა! ბედნაკლები მოშაირე, ახლა ჩონგურის სიმებით ემოციულებოდა დუღლუბას დაკეტილ გულს...

— ვაჰმე, რა ტუბილი ლამაზი, ნეტამც არ ვათენაო!

ვაქკაყური გვითხარ, სეგმირო! მოსძახეს აქეთ-იქიდან მეჩონგურეს.

ცანგალამ ძალა მოიკრიფა და დაამღერა:

— ვაქკაცს თუ ემთქნარებთან, ან ჰშიან, ანა სწყურთან; მოუელის თმის ხალისი, გულის ფიცარნი სტყვიან!

აქ, მონადირე გოდერძიმ მკერდზე დაიკრა ხელი და პატარძალმა მის განიერ მკერდზე მიყრდნობა ინატრა.

სუფრის ბოლოში, კარებთან ახლოს, ღურგალი „დაღამდა“ იჯდა მოწყენით, — ოქროს მარჯვენის, განთქმული ხელსანი, მაგრამ ღარიბი, რადგან სხვა სოფლებში არ დადიოდა სამუშაოდ ათქვირებული, მკერდელა ცოლის, ტატლასამ გამო. ეშინოდა, მასთან ერთხორცობა არ შელახულიყო. მუდამ მოქუშული, სახეჩამომტირალი, გულდაბურული... არასდროს არ გაეცინა, აქი, ახლაც ეხვეწებოდა ყიპალა:

— ოღონდ ერთი გაიციენე, მამა არ წამიწყდება, ცხვარს დაგიკლავო!

„დაღამდა“ ფიქრით შინ იყო და სუფრიდან ბარე ორჯერაც გაიპარა ცოლის შესამოწმებლად. მეზობლებმა იცოდნენ მისი ხასიათი და ხათრით ვერას უბედავდნენ, თან კიდევ იმიტომ, რომ ქალი — ეშმაკის ქისაო, ვინ დახარჯავს, სად დაიხარჯება, რას გაიგებო? როცა „დაღამდა“ — მესამედ მიატოვა სუფრა, გამწყარალმა პაპამ ბრძანა:

— გეთაყვა, ძალღი დააბით სუფრაზე მაგის ადგილასო!

დაღვინიანდნენ...

ონავარ ცანგალას ჩონგურზე გადაჰქონდა თავისი გულის ნაცეცხლავი:

— მოუტკბილე, მოუშაქრე! — დასძახოდნენ აქეთ-იქიდან.

— ეგრე შეუნეღლე, ეგრე! — აქეზებდნენ მოშაირეს გულშესრულებული მოქვიფენი.

— სახელის ქნაზე დაღვივარ, ვანა ქამა-სმისათვის, — პატარძლის გასაგო-

ნად კვებულობდა სახედასხივიანებუ-
ლი, გულში ჩასინათლებული ცანგალა
და ხან საესე ჯამს ჩაპყურებდა, ხან საე-
სე მთვარეს, გაფუებულ დუღღუბას:

პატარძალი კი... ჩავიშრული თვალებ-
ბით მონადირეს ჩამტერებოდა. დუღ-
ღუბას მარტო მონადირე ესურვილებო-
და... ირმებსა და დათვებზე შეყვარე-
ბული რეგვენი მონადირე კი, ვერ ამ-
ჩნევდა პატარძლის ყურადღებას.

მონადირე გოდერძი ისეთი ლამაზი
ვაჟაკი იყო, რომ ქალები მასზე ჩუმად
წილს იყრიდნენ: წელში გამონაკეთული,
მხარბეჭიანი, ჯილა-თვალემა, შავათ
დაბუჩქებული ქოჩორი, — მართლაც,
მოსაწონი იყო ირმის ნაფრენის მღვეარი!

კლდეზე ავიდოდა უკიბოდ, თვალი
ვერ გაეკიდებოდა!

— ბეჩაეი, ნისლებს უწევდა მთაში,
მარტოდ-მარტო!

ეცოდებოდა პატარძალს, ის კი არ
იყოლა, რომ წკირის წვერზე დაბადე-
ბულს, წკირზე სიკვდილი ურჩევნია!
შავმთის მონადირე ჰყვებოდა თავის
მონადირულ თავგადასავალს: უსიერ,
დაუბოლოვებელ ტყეებში სიარულს,
დათვებთან შეხვედრას; ან თუ შემოდ-
გომით როგორ აიარა ჩამომძვლეული
კლდეკიბური; თუ როგორ დაინახა
მწვერვალზე ჯიხვის ხრო განთიადური
შუქით განათებული; როგორ დააფრთხო
ვეძახე ნამარილევი ირმები და როგორ
დააწვინა ცხელი ტყვიით ქორბუღიანი!
თითქოს კვებნა არ უყვარდა მონადი-
რეს, მაგრამ მაინც ამბობდა: ტყიდან ნა-
დირი არ გამივალ! აგზნებული ხელს
იშვარდა ფანჯრისკენ, — და ვენებინად
გაძაბოდა:

— იმ თეთრ მთას გაჰხედე, იქ, ჩემი
ნახოციის კვალია! ახლა, ამ შავ-მთას გა-
მოჰხედე, ჩემი ნასროლის ნასისხლი
დღესაც ეტყობა საჯიხვო ბილიკებსაო!

პიროქობრწყინვალე პატარძალი
დუღღუბა მონადირეს ეკერძებოდა; მო-
ნადირეზე ეცვიოთებოდა თვალები... ცან-
გალა კი თვალებს პატარძალზე იმრუდე-
ბდა, ლექსით ცაში აპყავდა, რათა მას
ვარსკვლავისთვის მოეხვია ხელები, მაგ-

რამ დუღღუბას არად მიაჩნდა ცანგალას
სიტყვები.

ალტრფობილი ცანგალა მონადირეს
შემხედვარე, თანდათან სულით ეცე-
მოდა. ძნელი იყო მზეთვალას გადაშო-
რება გულიდან, ჯაერით გული გაუ-
ცხელდა, აღუღებული რკინის ქანვის
ფერი გაუხდა სახე! არც არავინ უთხრა
კარგობა, — ქირიმე შენი ყებებისაო,
აღარც სიმღერა სთხოვეს; ივრძნო პა-
ტივკლება და მოიღრუბლა...

— მადლობა ღმერთს! ძლივს არ და-
ჩუმდა წისქვილის სარეკელა, მოვისვენე-
ნეთ! — მონადირის გასაგონად წარმოს-
თქვა პატარძალმა, თუმცა მონადირეს არ
გაუგონია, ან სად ეცალა! უჰ, რამდენი
ხანია, თურმე რაც თეთრი მთის თეთრ
ირემს დასდევს! მხოლოდ ორჯერ ჰყავს
ნანახი! ერთხელ, თვალები აება მის და-
ნახვაზე, მეორედ ნახვისას კიდევაც ეს-
როლა, მაგრამ მყისვე მკლავი დაეხუთა!

— იქნებ წმინდა გიორგისაა! — შეეკ-
ვებით იციოთა პაპამ.

— ალბათ, ეშმაკია ირმად ქცეული! —
დამტყიცებით სთქვა თავებრა დალაქმა
და კალატოზმა ყიჟალამაც კვერი დაუ-
კრა.

— როგორ იქნება ეშმაკი ეგრე ლამა-
ზი? ახ, როდის იქნება ხელთ მოვიგ-
დო? — ამბობდა აგზნებული მონადირე
და ოცნებით ავიზვიზებული თვალები
უელვარებდა.

— ხვალ ინათებს თუ არა, თეთრ
მთაში უნდა წავიდეთ!

— არ წახვიდე, არა! უშენოდ გავნი-
ავდები! ქოჩორზე მოგებმევი! ჩოხას
დაგიქსოვდი, ახალღზის საყელოს დაგი-
ქრელებდი, ოქროს წყლით ფეხებს ჩაგ-
ბანდი! — დნებოდა ძარღვემ-გაცხელე-
ბული დუღღუბა.

— ახ, ნეტავი შენი წარბის ფერფლი
მქნა, წამწამზე დაგყურებოდე!

ზარბოშობა შეიქნა...

— ძმასაც, ისეთი ძმა უნდა, რო-
გორც რა უსიპს ჰყოლია, ზადრი კლდეს
გადავარდნილა, უსიპიც გადაჰყოლი-
აო — მოულოდნელად და უთხოვნე-
ლად დაეღლილი ხმით წაიმღერა პაპამ,

რომელიც, თურმე, ოდესღაც სიმღერას ჩემობდა.

— ყველა გულისძმა და ძმაცაი გი-
ცოცხლოთ! — წარმოსთქვა პაპამ, —
მთისა და ბარისა, ზენაური, ქვენაური,
გალმური, გამომღაური, გიღვეგრძე-
ლოთ! — გამოცალა ხარის რქა და წა-
მოდგა ვაგლახით:

— ეხლა კი, მშვიდობით, შვილებო,
მეტი აღარ შემოძლიანო, მაღლი მომიხ-
სენებიაო! — შვილიშვილები შეუდგნენ
მხარში პაპას და ლოგინთან წაიყვანეს
დასაძინებლად.

ცანგალამ ჩუმი ღიღინით მიადევნა:
„დაბერებულხარ, ბიძაო, აბჯართა ვე-
ღარ ჰზიდაო!“

ბებო მარადიას ისევ ჩასთვლიდა...
ახლა პატარძალი უფრო გათამამდა; —
უფრო თავისუფალი მოძრაობა დაეტყო.
ყელყარყარობდა, თითქოს ვარდი იღვა
მზის კამკამში!

თამადას სიტყვები და აღ-აქრული
პატარძლის ლოყები ანათებდნენ სუფ-
რას. ენამძლავრი არავინ იყო სუფრაზე,
მაგრამ უეცრად, ყველა ენაშხიანი შე-
იქმნა! მასპინძელა არას იშურებდა, ჩი-
ტის რძის ყველსაც კი ჰპირდებოდა
წვეულებს.

ბროლნათელა პატარძალი ქურჭლის
შეტანა-გამოტანისას, იქ, მეორე ოთახში,
ხშირად სარკეს ეგრიხებოდა. აღესილი
თვალით მზვერავი დედამთილი მიუხვდა
პატარძალს! ბებომ განმკაცრებით გად-
მოხელდა ტახტიდან, ეპვი დაიმართლა,
გაღმამსადა.

— დახეთ, შეყვარებული შემომიყვანა
სახლში! ქალი — ეშმაკის ბარტყიაო!
წააგონდა ბევრჯერ ნასმენალი... ისიც
კი მოელანდა, თითქოს, მონადირემ ვე-
ღრებით შესძახა პატარძალს.

— ჰეი, სახელგმრიელო ჰეი, ოჭროს-
ყელავ, მოდი, კაბის ნაწიბურზე გემთხ-
ვიო! — ბებოს დამშხალულ სახეზე
ნაოჭები ამოძრავდნენ.

— აბა, ერთი გაბედე! სულ კაწაწე-
ბით გათრიო! — აღმოიქმინა სიკაპასით.
საწყალი ჩემი ბიჭი! ვინ იცის, რა

დუხჭირშია ყინულეთში და ეს კი აქ
კვანწიობს! — გული ეწვებოდა ნაზო-
ლარა შვილზე, საღდათად რომ იყო გა-
დაგდებული ჩრდილოეთში! პატარძალმა
მყისვე იგრძნო ტანზე დედამთილის ნაწ-
კებლარი, და კრძალვა დაიმჩნია, დაკმი-
ნებულმა უკვე წარმოიდგინა ხვალინდე-
ლი წაიკდება დედამთილთან და წამით
შეძრწუნდა.

ღრეობა გახურდა... ყველაზე მეტად
თაყა ლხინობდა — კაცი რომ იხარჯე-
ბოდეს, აღარას არგებს ღრეკაო! — ხუ-
მრობდა თავის თავზე. სახლიდან თქა-
რათქური, ღრიანცელი გამოდიოდა. სიმ-
ღერას შეუკიდეს:

— ჩვენ, ვაჟი დაგებადებია,
დუშმანსა ქალი ჰგონიაო! —
გუგუნებდა სუფრა, ღულუნებდა ბუ-
ხარი...

სიმღერა და ვარდ ძაღლების ღარღა-
ტი ერთმანეთში ირეოდა...

რა ტყუილად ემართლებოდა ბებო
შეწამებულ დუღღუბას!

ნათვალევი პატარძალი სულაც არა
ფიქრობდა ხორცტკბილობას! არა, ეს
მხოლოდ ნამცდარი ოცნება იყო. გა-
ლღდა დათოკილი ზვირთი, აფრინდა,
ერთხელ ეწია თავის ნებას, ისიც გულ-
დანამალად, ხომ გასსოვთ:

— თერთმეტი უღვაშ-სოკოები,
ქალმა მე მოვკალ იამა,
განა თავს რამე შეემატე?
ცოტა რამ გულზე მიამა!

და მეტი არაფერი, ღმერთმანი!
— განა ლეჩაქი სითბოსთვის გვხუ-
რავს, ჩემო რძალო? ნამუსისათვის!
ეს დაიხსომე! — და ბუს წითელი თვა-
ლის ნაკვერჩხალივით ელავდა დედამ-
თილის მრისხანე თვალი.

ნაკვერჩხალმა მოსუსხა, მოსწვა, მო-
თუთქა პატარძლის მზეტანი..

— ჯვარი აქაურობას! — კაპასი ქა-
რივით შემოვარდა, შემობრაცუნდა დაუ-
პატიეებელი ქათათა; ნაარყალი, გამტყე-
რალი, ღვინის აღმური გადასდიოდა.

ჯოჯოხეთს კიდევ ერთი მუგუნალი
მიემატა...

წვრილი, შამფურით ვამხდარი,

ცხერი მამლის ბიბილოსაგით გალურჯ-
წითლებოდა, ზედ ქლიაგვივით მემკვი
ეყარა, ჩოხა მხარში ჰქონდა მწვანე ნა-
ქრით დაკერებული; ღარღლიანი, ღირ-
წი, ღლტურა, კამეჩების მარჩოლარი—
ყველას მომაგებული!

— ხევრე და ხევრე, სულ ხევრე! —
სიცილით წაიძახეს გლეხებმა. — ისე
გვინდა ახლა შენი თავი, როგორც მე-
ლას მონადირის კვამლი სოროში.

მეზობლები კი შიშით ლხინშიაც არ
იკარებდნენ განთქმულ ჩხუბისთავს, რა-
დგან სუფრიდან ადგომას ვეღარ ახერ-
ხებდა და კიდევ იმიტომ, დაბატიყებას
მიეჩვენა, ხელს აღარ აიღებდა!

— ვერ წავალ დაუთრობელი, ვინდაც
გამაგდოთ ძალითაო! — ქათათას დათ-
რობას კი არა ეშველებოდა რა მუდამ
არა ჰყოფნიდა ღვინო, ხანჯლით მივარ-
დებოდა ტიკჭორას, თუკი მასრიდან ღვი-
ნო იკლებდა:

— პატარა იყავ ტიკჭორავ,
მოგიკედეს გამტყავებელი! — და ბე-
ჯრჯერაც აუფუკია ახლაც ისე მივარდა
ღვინოს, თითქოს ნათენი, შშიერი ხბო
ღედის ჯიქანზე მიუშვესო!

— ვეწაცვალე, ვინც ბლომად დალია!
მაგრამ, თამადამ ნება არ მისცა თვით-
ნებობისა: — დაიცა, ვაგიცნოთ ვინა
ბრძანდებო, თამადა ვარ, მომისმინე,
ძმავილურადაო, კითხვითა და ნებადარ-
თვით უნდა დალიო!

ქათათამ ვაკვირვებით შეჰხედა: —
— ეს ვინ არის, ჩემი დამჩრდილვე-
ლიო?

— დალიე ნათლულებსა — უთხრა
მკაცრად თამადამ, თან ყანწი გადა-
წოდა.

— რომ არ დამპატიეხს, მაინც და-
ლიო?!

— კარგი ქვა კედლიდან არ გამოვარ-
დება!

თამადამ დაიურვა უბელო, მოჭიხინე
ცხენი.

ქათათას კიდევ შეხედა ჯამი: — სად-
ლეგრძელო მასპინძლისა. დალიე და და-
გვეწიეო!

ქათათამ ნარგები ჯამოილო. — ემ,
ყისმათი არა მქონია, ისევ ჯამი შემხვდა,
რას იზამ, დავლევ, როგორც სანახარებ-
ში სწერიანო!

მესამედაც ჯამი მიაწოდა თამადამ: —
ნათლიებისა!

ქათათამ ხელთ იპყრა ჯამი: — სამი
სახარება შეგეწიოს, მეოთხე ზეილამ
დაგყურებდესო! ე. ი. მეოთხეც დამა-
ლევინეთო! მაგრამ, დარბაისელმა თამა-
დამ მეოთხე ჯამის უფლება აღარ მისცა.
ქათათა გაგულისდა, ბოროტად შეა-
ქურდა თამადას:

— რა გინდაო? — წყნარად შეეკითხა
თამადა. — რავინდა?

— რა შინდა და... საფერავით ავსე-
ბული ჯამი!

— ჯერ რაც დალიე იკმარე!
— პიტნავ გიცნობ, რაცა ხარ, მიძე-
ვინარ წინაო! — დაემუქრა ქათათა ღვი-
ჯუს.

— დიდი ზეავი ხომ არა ხარ, რას ხო-
რხორობ, კაცი ხარ, მოკვდავი, ხვალე
ნაცრად იქცევი! ხვალე მიწა დაგაფი-
სებო! — ეუბნებოდა თამადა.

— მიაშავე, მიაშავე! — ეხვეწებოდა
თაყა, მაგრამ თამადამ არ მისცა დას-
ტური.

— დიამც იყოს, დიამც იყოს! — ჩაი-
ხარხარა გაიძვრა ქათათამ.

გიმარჯვა თამადამ, მწყობრში ჩაყე-
ნა თავხედი, მოსპო ურჩობა!

ყველას დაავიწყდა მათი შეკამათება.
ლხინი გაგრძელდა. ჯამებმა აიარ ჩაი-
რეს... შეღვინიანდნენ... ოროველა, ურ-
მულიც და „გურჯანელნი“ — შემოსძა-
ხეს. საღერღელ-აშლილი ქათათა კი ქა-
ქანებდა, როტავდა:

— მე იმიტომა ესეამ, რომ წუხელ,
პაპაჩემი მეხვეწებოდა სიზმარში: —
არიქა, ბიჭო, ნამამასახლისარს ცოდვე-
ბი მერევა საიქიოში, ჩემი შესანდობარი
მალე დალიეო, ან აქამდი რათ დამიგვი-
ანეო! თანაც ჩემი გვარი ზედამიძეა, —
აბა, როგორ არ დავლიო ბიძის კაცო:
თორემ ღვინისათვის სად მცალიანო?!

ყაყანებდა, ყბედობდა დაუპატიყებე-
ლი ხაპირა; ღვინისაგან შებულბულებუ-

დან ის ღვინჯუა აღარ იყო, რაც წინა დღის სულის დროშა ძირს დაეშვა! თითქოს ფრთებიც დააჭრესო, — აღარც წაღიერება, აღარც რიხი გახსოვთ, წელან, რა დაკრიალოსნებდით წარმოსთქვამდა ჩამარგალიტებულ სიტყვებს!

— უყურე, რა ხლინიკი მიგდოეს რა აქლემი გამოიკეთა? მორჩა! საყველაწმიდოს დავლევ და წავალ, გავშორდები! მე ამითთვის ვიტანჯები, თორემ, ნეტავ რა მრჯისო! — ჩიოდა ღვინჯუა...

გული მოუკლეს თამადას...

მადლი და მფარველობა მოაკლდა სუფრას, ლხინის ნათელი ჩაქრა! რივი და წესი აღარ იყო; ირგვლივ ყაყანებდნენ, ყვიროდნენ, თითქოს წისქვილში არიანო; თითქოს ერთმანეთს ხმაურით ეჭებდნენ ყარყატის ტყეში!

— დავლიოთ, კიდევ დავლიოთ, შევიდეთ დროშაშია! — ყვიროდა წიპრუა.

ღვეის სისხლი გაჯდა ძარღვებში სუფრა გამოცოცხდა, შეადანდგარა გლეხების ხრომ, ამღერდნენ, აღმუვლდნენ...

გაჩნდა ცეცხლზე გაფიცებული მოყდრიალე დაირა... უცბად გადმოხტა მონადირე, ჩაიღვკურა და პატარხალს მიიმედ თავი დაუკრა, დუღღუბაც თითქოს ელოდაო — გულის ფანქვალით გადმოერია აშოლტილი, თვალშეკველი, გადამხიბლავი... ხორბალივით ტრიალბდა... წითელი ხოხობი ქვეყანას აყვიდრებდა თავის სილამაზეს!

დაირა უფრო გაფიცდა...

— რა ლამაზი ხარ, ხოხობო, რა კარგი რამ ხარო! — უკრავდნენ ტაშს.

რა ბედნიერი იყო!.. მაგრამ დუღღუბას ბედნიერება მაშინ გათავდა, როცა მონადირის მავიერ პატარხლის წინ მგელხარი აქუნძულდა მწყემსურად, გეგონებოდა ზვავი ზანზარებსო!

— რას ამეყუდა, დალოცვილი, თითქოს შვის ნაცვლად ღამე დამიდგა წინაო!

წიპრუამ, ტარაკუქამ, თლოშიაურამ ჩარფუზანა დაბეს, — ილანცალეს, იბრაძუნეს, თავი ვერას გამოაბეს და ისევ სუფრას დაუბრუნდნენ...

გაბუტული თამადა განზე გაჯდა, უსარბიელოდ...

— აუმატე, აუმატე, თამადავ! ახლა თითონ ეხვეწებოდნენ ღვინჯულები ღვინჯუს, მაგრამ თამადა მსკესნუგებულოც გეგონება, წისქვილს სათავე გადაუდგესო.

— აბა, ეგრე იცის, ერთი წუნწკლიანი თაგვი მთელ ქვევრს წაბილწავსო! რა ყურს უგდებ მაგ ტენგადაბრუნებულს ზღვასა ჰხნავს და ქვიშას სთესავსო. რა ექნა, ხომ ვერ დავითხოვო, ხვალე კი, ენახოთ რასაც ვუზამო! — ემუღარებოდა თაყა თამადას...

თამადას კი, გული მოსდიოდა, რატომ მასპინძელმა მაშინვე ხელი არ დასტაცა და ქკუაცეტი ქათათა ფანჯრიდან არ ისროლაო! რატომ ყველანი არ აუჯანყდნენ და ქათათა ფეხით არ გათქერესო?

— პურის ვარდის სადღეგრძელო და მალევივით! — იხვეწებოდა სუფრის არეულობაში შემთვრალბული გუთნიდვდა თარიმანი, დასტურს კი არავინ აღწევდა.

— აწყფუზ ღვეი ვარ! — ჩემობდა თვალბეგადაბრუნული წიპრუა, ვაზაფხულის მელასავით რომ გასწვრილბოდა კისერი! კაი ქარი მართლაც წააქცევდა!

— აზამბარში, აზამბარში! — ბუხუნებდა მგელხარი:

— დალიე, თავმადლიანო! — ვილაცა ეხვეწებოდა ვილაცას.

ტარაკუქა წიპრუსთან გადადიოდა ალავერდს, სვამდნენ, თან ილოშნებოდნენ, ერთმანეთს თავიბრი ჩამოაცალეს...

გულდაკეტილ იჯდა ვაფასებელი თამადა... თაყა ეხვეწებოდა გამხიარულბებას: — რა მოგივიდა, წვიპურტი პანლურად გეჩვენაო!

თამადას ესმოდა რა გრიალ-გრიალით წამოვიდა კვარცხლბეკიდან მისი დიდება და დაენარცხა მიწას...

— ვინ ააყენებს დაცემულ სახელს?

— არა, წავალ და თან წავიღებ ჩემს თამადაობას! მე კი ბრალი ამიყრია, როგორც უნდათ, ისე დალიონ... მასპინძელმა შეამჩნია, რომ სუფრას გამოთიშული თამადა სთვლემდა, ჯამი დააჯახა

ხელადას და ახლა თითონ თამადას გადააწოდა:

— იყავ, ჩემი ნებისა!

— ვერა, ვერ ვიქნები შენი ნებისა! — აი, საყველაწმიდოს დაღვევ და გავწევ კიდევ შინსაცენ, დროა თორემ შინჯალაბი შემროდებმა! ეუბნებოდა თამადა მასპინძელს და თვალების ფშვინტით ძილს იგერიებდა.

— ამ ქვისხეთქელა სიცივეში სად გავიშვებო?

— ამინდი აირიანო, — წუწუნებდა გულნაზუქა დიასახლისი.

— არა უშავს რა, მე ძანძახისა არ მემინიან!

აიღო კიდევ ყანწი, საყველაწმიდო დააპირა და ის-ის იყო სადღეგრძელო უნდა დაეღია, რომ შესძახეს:

— სამირონო, სამირონო დაგვაღვეინეო!

დალია სამირონოც! ახლა უკვე მწყობრში ჩააყენა, დარაზმა დიდმნიშვნელოვანი სიტყვები საყველაწმიდოს წარმოსათქმელად, რომ წამოიძახეს: რატო საქალეთის სადღეგრძელო არ დალიეო! — უშმაგათოდ არ ვარგვიართო! შეილის გამჩენები, პურის ჩამკერელები, დამრეცხავები ეგენი არიანო! აღერსიანად ამბობდნენ შეზარხოშებული, გულჩუყებული გლეხები.

ძარღვდაშინებულმა თამადამ გადასწყვიტა საგმირო ნაბიჯი გადაედგა და ერთი კიდევ ევაქაცანა წასვლის წინ, მერე ბოლო სიტყვას იტყოდა და თავის გზასაც გაუღებოდა!

თამადამ აიღო ღვინით სავსე ჩაფურა, დიდი ქებითი სიტყვა წარმოსთქვა, დამსწრე ქალები ერთობლივად აღეგრძელა, ნახევრი გამოსცალა და თავს ვადააწოდა... თაყამ ჭურჭელს ძირი მოუმშრალა!

ფათერაკი მწყერის ფერიანო, უცბად წინ ამოვიხტებაო! ისევ გამოიღვიძა ჭირვეულმა ქათამამ, გეგონება, დაფეთებულმა ცხენმა საბელი ვაგლიჯაო! რომ შეჰხედა ღვინჯუას ისევ ჯამით ხელში მდგომარეს, გაღეჭებულმა შესძახა:

— კიდევ ღვინჯუა თამადომს? — გადაეყენითო, ყვიროდა ქათათა, ყვიროდნენ ქათათას მოერთჯამენც! თამადის ამღენი ხნის მღუმარებინ გამო უღვინობით დაზარალებულნი.

სიტყვა გაღორდა... ზღვის რყევა დაიწყო; ერთ პირზე როდი დგა წუთისოფელი?

სმლის ენახე ალაპარაკდა სუფრა:

— მკვდრებს აკლიხარ, საიჭიოს ნისიავე! თამამად ჰკიცხავდა წაბრუა ქათათას — განა შენგან ეკადრება პატივღებულ თამადას, მაგრამ ბოროტი აგებულობისა ხარო!

— ჰაი, შე სტუმარშინმიუყვანელო, კიწიმწვარავ, თვალებიდან რომ წიწკავ გამოგდისო.

— დახეთ, რწყილიატყავეს, ეს რა სიტყვა გამოიღარუნა!

— ჰაი, შე ნახშირის ჯორო, ჰაი, შე ძაღლის კბილო! — და უცებ დაეტაკა ქათათა წიბრუას, ზედ შეაფრინდა და ჩაბღუჯა.

— გამიშვით! იერიშზე გადასვლას იხეწებოდა ქათათას მკლავებში ჩამწყვდეული წიბრუა.

— ზოგი შენ ხმალსაც აპატიე! დაციწვით ეუბნებოდა ქათათა და თავის ჩინჩხვარა მკლავებიდან არ უშვებდა წიბრუას.

ქონში მთვლემარე თლოშიაურმა ცალი თვალი გაახილა, მაგრამ მალე ისევ დახუჭა.

წაძიძგილავდნენ. შეიქნა ზედახორა, ჯღებხა. ერთმანეთი დაქოჩრეს, აბუმბლეს, სუფრა დააირილეს. სუფრის ბოლოში იგრილა ჭურჭელმა, დაიფშენა, ჩანაჭუქდა ერთიანად. ფრთხილმა სტუმრებმა იჩქარეს, — ვაცლა სჯობსო, — ხელერთმირად გარბოდნენ, თითქოს ფული მოუპარიათ და ეშინიათ ზედ წასწრებისაო!

— ღმერთო და აღდგომის მადლო, შენ მიშველე! გვინავდა ამრინებული დიასახლისი, თან თვალზე ხელს იფარებდა, რომ ზარალი თავის თვალით არ დაენახა! მეორე ოთახშიც ვავარდა. თაყას აღვიძებდა, — მიშველეო, მაგრამ გონებაში ვერ ჩაეგდო.

— ვერა, ვერ დაველოცო! წამოილულ-
ლულა თაყამ. ალბათ ეგონა, ჯამით
თავს ადგა თამადა და ლეინოს აძალუბდა.

მაშინ უმწუგო დიასახლისმა მუდარის
თვალით შეხედა ნათლია მგელხარს,
რომელიც თავისთვის მშვიდად იჯდა
და... მგელხარმა გამეტებით სტყურუშა
ყურის ძირში ჯერ ქათათას, მერე
წიპრუას; ერთი იქით ისროლა, მეორე
აქეთ მიაწყვიტა.

— შენმა მარჯვენამ იხაროს! — არ
დამალა დიასახლისმა.

დაწოკებული სუფრა... დაკოკებული
ლეინის წამონღლეკი...

წიპრუამ თავს უშველა, თავის სორო-
ში გაძვრა, სუფრის დამშლელი, მაქცე-
ველი და მავნებელი ქათათა ძირს ეგდო
ლეინით შესვარული... პირზე შეჰხმო-
ბოდა თავისი სისაძაგლე. შეურაცხყოფა
მიიყურისისხლა, მითამ აღარც ახსოვდა,
ნაძალადევად იღმიკებოდა, — ლეინის
ნაყური დამალევენით, მაშინ წამოვდგე-
ბიო!

დამწყაზრული პატარძალი იდგა, რო-
გორც აღმასცხებული ყყაჩო, მაგრამ ამ
აღიპოთში აღარავის ეცალა მისი სილა-
მანისათვის, თითქოს ყველა დამრმავე-
ბულიყო, ვეღარა ჰხედავდნენ მის ელ-
ვანა შემოხედვას და ახლა, უსაპარუზოს,
გული მოსდიოდა... ღარიბი კაცის ბელე-
ლივით დაცარიელებულიყო დუდღუბას
გული.

— თამადა? —

თავხრილი, გაკიდურებული იჯდა
თაფლერბოიანი სიტყვის პატრონი! წარ-
ბი აყუარა, თავმართალი ვერ გაეგო!

აკი დაეტყო კიდევ სუფრას დაკლე-
ბულობა, დაუწყნარებლობა! აღარ ის-
მოდა სიტყვის გება, კარგგამომთქმე-
ლობა; აღარ ჩანდა თამადის თანაშეერ-
თება სუფრასთან;

— სადა გყავს ლეინჯო, დასამხრისი,
სულის თვისტომი? გული ნაცრით გაი-
მშრალე!

— დაბერებულხარ ბულბულო! —
იძახდა ქვეგამხედვარი!

— ჰაი, ოქროს ენავ, ტყუილად
დახარჯულო დაშაქრულო ენათქმავ,

წყალში გადაყრილო! ვინ დაგაფთხ-
ენამძლევარი? ჰაი, უმადურობავ, კაცის
დაუფასებლობავ!

მერე, ვინ დასცა ლეინჯუს დიდება?
ვინ შეეჭიდა სახელგასულ კაცს?
ენამთვრალი, ლიკლიკა როხილა, თავაქა-
რა, ყალბანა ქათათა! დაჯანა მარტო
ის? — მისი ამდევრებიც! — ყვიციანი
თავებრაც ხმას აწევდა ქათათას! გულ-
ნამცეცა, ფილთაქვიანი ცხვირის პატრო-
ნი, — ბუკყურა, ცხვირი რომ ვერ მოუ-
ხოცია, ისიც ქათათას მიუდგა, დახე-
როგორ ყვიროდა, — გამოვცვლოთო!

— გვისამართლეთ, გაიგონეთ სარჩე-
ლი პატივდებული კაცისა!

მაგრამ სად იყო გამგონე! ეჰ, გული
გაუხიეს და ის არი!

— განა ღირს ჩხუბი, ისიც სუფრაზე?
ქამეთ, სვით, გაიხარეთ! — ქადაგობდა
წამით გამოფხიზლებული ლეინჯო, თან
დაწყნარებას იხვეწებოდა: სიბრძნის დე-
დას ნუ დავკარგავთ, თაროს ანგელოზი
დავატკობთო! — ნაქადაგარი არავინ შეი-
სმინა!..

ღარიგება კი წარმოსთქვა, მაგრამ
ისევ მიელტულა თვალები. ჩაფურამ ყინწი
მოსწყვიტა თამადას და მასპინძელსაც!
სუფრაზე აქა-იქ მოჩანდნენ მოსამკალ
თავთავივით თავდამძიმებული სტუმ-
რები...

თაყასაც ლეინჯოსავით თავი ჩაექინ-
დრა. მალე ორივენი თვლემამში შეცურ-
დნენ...

მარტო ლეინო რას დასჯახბნიდა ლეინ-
ჯუას, გულზე წყენის ჯანლია რომ არ
შემოხვეოდა! და გაჯავრებული კაცი
ხომ მალე თვრება! თაყამაც ლეინჯოს
ხათრით გასწირა თავი და თუმცა ნთ-
ქამია „საბძელი რო გეწოდეს, ხელი
მოითბეო“, — მაგრამ, დაქანცულიყო!
სუფრის შემზადებას ხომ რამდენი და-
ვიღარაბა უნდა!

ორივენი დაბანგულებივით ისხდნენ.
ლეინჯოს კი თითქოს ხელი თბილ ბა-
ლიშისთვის შემოუხვევიაო და იქიდან
ამოღება ეზარებაო.

დიასახლისმა ჯერ მთვრალი თაყა-
წამოაყენა დიდის ვაივაგლახით და წა-

აბრძანა სამზარეულოში საძილედ; — აქ დაეგდეთ — მერე გამობრუნდა და ღვინჯუას მიმართა: წამობრძანდი, ნათლი, თაყასთან მოისვენეთო! ჰკვიანი ქალი ატყობდა, რომ სათამაღო პირი აღარ უჩანდა.

— ვერა, შენი ჰირიმე, შინ უნდა წავიდე, ჯალაბი შემოდონდებია აი, დაწყენარდებიან, საყველაწმიდოს დაეღვე, ისე ხომ ვერ წავალო, და დააბირა კიდევ წამოდგომა ჯამის ასაღებად, ბურანითა და სითბოთი შეპყრობილმა, — მაგრამ, ახ, სულ ჩაფურას ბრალია, — ვერც ხელი ვაშალა და ვედარც ფეხი! ისევ სანეტარო თვლემაში და ნეტარყუნობაში წავიდა..

პატარაძალმა, მონადირის ხათრით, ეგებ ისიც დაარჩინონო, ტკბილად მიმართა ღვინჯუას: — რა გეჩქარებათ, გარეთ ცივაო, გამოიშუშეთ, ისე წაბრძანდითო, თან ისე ნაზად ისე ნარნარად უთხრა ეს სიტყვები, რომ ღვინჯუას ბანჯგელიან ყურებს არასოდეს გაუფონდიათ...

— არა, შენი ჰირიმე, საყველაწმიდო და... გზა-ყივის წამაველისაო!

ბუზარს ემატებოდა და ემატებოდა რცხილის კორჩხლები, ღველფური ცეცხლი თაფლივით დნებოდა; სითბო და ღვინო ტკბილად უვლიდა ძარღვებში, გარედ კი, ვარსკვლავებით მოქიქიქე, გაჩაყრაკებული ცა უეცრივ გაპირბნელებულიყო.

ღია კარებიდან სუსხიანი ქარი შემოვარდა, თოვლის ნაგუნჯალი შემოიტაცა... ოთახში გამჭრალეყო თბილი და ნეტარი მყუდროება.

შემოქროლილმა სიცივემ დაჰკრა თამადას! ტვინზე ნისლოდებული მაშინვე გამოფხიზლდა, დაავლო ქუდსა და ყაბალახს ხელი და ის იყო კარებთან გაჩნდა, რომ რომელიღაც მოჩხუბარის შემთხვევათი მუშტი მოხვდა ვოგრაში! მუშტმა მთლად გამოაფხიზლა, —ღმერთმა გიშველოსო, — კიდევცა წაიღუდუნა და გავარდა ბნელში, სადღაც წაეფეთა მაინც უმაღურ სუფრას თავი გააღწია! წასვლა ვერაფერ შეუტყო.

ღრო ჩამოიძაფა... სპა, ლხინი, გზარეუბა, წარმავალია. დარღუბულს კედელნიც დაცარიელდა... კედელნიც სუფრაც მალე დაიშალა. ყაყანი, ყარყაშიც მისწყდა.

პატარაძალი ჭურჭლის ნამსხვრევებს ჰკრეფდა იატაკიდან. აი, სადამდე დაბდა მისი მშვენება!

ღისახლისი გულკლებით ჩიოდა, ახსენებდა ძველებურ დამპურიან სიყვარულს, სიყვარულიან პატივისცემას და ჰკიცხავდა ძმობისა და მოყვრობის გამტებს! — დღევანდელ ვაყაყებს გული პილპილით აქვთ გატენილიო!

ღვინოში მიხლილ-მოხლილი მგელხარი ახლა ჯონჯოლს მისძალბოდა. ჰიან ტყემლადაც არ მიანდა წედანდელი გაწამაწია. ჯამზე ღვინო დაუშვა და რომ არავინ იყო სადღევარკლებელი, — შენ ეი, თავიგვირია, შენც ვაგიმარჯოსო, კარგად მოუარე აქაურობასო! — ჯამით მიელაციცა ციცას, რომელიც ნაბუარ, ნაოხრალ სუფრაზე სადავლოდ გამოსულიყო და სიამოვნებით კრუტუნებდა...

პაპა და თაყა დიდი ხანია ხვრინვით ებრძოდნენ ერთმანეთს...

გარედ ამინდი არეულიყო; ქარი ხეებს ეჩხებებოდა...

თავი მორი

სოფლის წნური ორდობიდან გამოვინდა ღვინჯუა და მტკიცედ დაადგა დიდ შარას. — ახლა დაზომე გზა! — უთხრა თავის თავს. მოდიოდა კმაყოფილი, რომ სუფრას დააღწია, ისე იყო დატკობილი, გეგონებოდა ტკბილოსნის მინდორშიაო თუ ვარდის ქალაშიო! და სულაც ვერ შეამჩნია, რომ ამინდი შეცვლილიყო, ცა შავად ჩაღრუბლულიყო, შაგრაგინილიყო. ირგვლივ ჯანდი ბუღრაობდა, ქარი იღრინებოდა, უცბადვე თან აჰყვა ნისლაურა; ცრიატი ნისლის კოტორი ხან წინ გადაუდგებოდა, ხან გვერდით მოუდგებოდა, ხან ქალივით მოეხვევოდა, ხან სუდარასავით; აღარც კი მოჩანდა თეთრად დახეწრული..

გამოსცდა მოზრევილ ხევს წყაროს თავის დაპირდაპირებით თუ არა, დაადგა აღმართის ჩახვევებულ გზას. ქარის გზა ხომ აღმართია! უეტროვ ტყიდან, მთიდან, გამოვარდა ასპიტი, მარბიელი ელდა ქარი კრჩხილითა და წივილით. ნამქერმა თვალემა აუბა ღვინჯუას. აღმასა ფიფქი თვალემა სთხრიდა; თოვლის დათქრიალებმა, ნამქერი, ქარბუქი გზას არ აძლევდნენ...

— ღმერთო, შენ აღმართე ხელი ღვინჯუას!

თითქოს მხარგაბმით სეტყვა წამოვიდაო და უცბად, ვიღაცამ ცხელი სილა დააეცხლა და მერე მუშტებიც დააყარა.

— ეს რომელი ხარ? — უკან მიიხედა სახტად დარჩენილმა ღვინჯომ, თან სახრე მუჭარით შეატრიალა.

— შე ვარ, მე! — გაღიხარხარა ქარიშხალმა და ყოჩის რქასავეთ დაეტყა, დაეჭიდა ღვინჯუას, ჯერ მოგვერდით, მერე კისრულით, ბოლოს სარმა გამოჰკრა და წააქცია, მაგრამ ფეხზე წამომდგარი მგზავრი არ შეერთა და კიდევაც გამოემკლავა, — ვერ შემაშინებ, მაგისთანები მინახავსო ბრდღვინავდა, მკლავსალობდა, ვეშაბივით ბრუნავდა უტეხარი, დამთმენი ღვინჯუა, — ღვინისაგან შეხურებული და ქარისაგან შესუბებული.

— რა ძალამ ამოაქანა? ჰკვირობდა, ვერ გაეგო... მაგრამ, საზარელი ის იყო, თითქოს გვერდი-გვერდ ვიღაც ჩუმად ატორღილებული მოსდევდა თან; — ავი სულია, ღვთის იასაული, ეშმაკი, ქაჯი თუ ქარის ანგელოზი! — ეკითხებოდა თავისთავს, აღონებდა ვიღაცის უჩინობა. თმა ყალყზე ღებოდა, ებურძგნებოდა.

— ახ, ნეტავ მგელი მინც გამოჩნდებოდეს, რომ მარტო არ ვიყო, თან თავს იმხნეებდა: — დამაგრდი, ბიჭო!

პატარა დაქნილი, დაკვერილი ბილიკიც კი არსად ჩანდა; თითონ, ღვინჯუას გზა აღარა ჰქონდა სულს იქით!

მინც, გულთან ექირა იმედო!

— რა დიდი გზაც მე მაქვს, გასაველქელი: ავივლი გძელას, ნატბუურას, შინდუაკეს და სახლსაც ვადავებდავ! ააბიჯე — მთა არი, ჩააბიჯე ბარი — გაიმხნევა თავი!

გრიგაღეთი ზემობდა... ქარი ქარელი ბღღვირს აყენებდა, წიწმატობდა, აფთარივით კბილებს აღრჭიალებდა, შოლტებს იტყალაშუნებდა... დაღესილ აღმასის ფხასა და ცეცხლის ნაკვესის წიწწალს თვალემაში აყრიდა ნათამადარს.

— მართალი გზის კაცი ვარ, ეშმაკო, ჭერ მომერევი! და მკერდით მიააობდა ნამქერს... ცისა და ხმელთაშუა არა სჩანდა საზღვარი, თვალდასაწიერი. არაფერი ჩანდა აღარც თეთრად, აღარც შავად; თეთრად ბნელოდა. ის კი ახსოვდა ღვინჯუას, რომ წინ, მთაზე, თოვლი გადმოწოლილიყო თეთრი ვეშაბივით.

ორგვლივ თითქოს დაოთხებული, დაგივებული ცხენები ჰიხვიებდნენ; ხან თითქოს მგლები ღმუოდნენ, ძაღლები ღვლავებდნენ, ქამიდაქამ ეცვენები ჭრიანლებდნენ; წამიერად თვალემაში ვარდი აყვავებოდა; ხან თითქოს, აღიდებული, აღვართქაფებული იორის ხმა ჩაესმოდა და ამ გაგანაში, — ვერა გაეგო რა!

თოვლეთური ქარიშხალა მთებზე ჰკიოდა, ჰკიოდა, მინდვრად ზრიალებდა, ზრიალებდა, დგრიალებდა და მთის ხვლანჯებიდან, ორწოხებიდან ახვეტილ ზეავრიელ თოვლს ზედ აყრიდა ღვინჯუას.

მოკრუნჩხული, გაფიჩხული ხან საღღაიმულებდა, ხან საღღაიხეთქებოდა ნაბრალში, ხან, თოვლგადავლილ ბუჩქნარებს, ბუწნარებს, ჯღრღევებს გადააწყვებოდა; ხან, რომელიღაც ხის ტოტს ჩაებლაუჭებოდა, ჩაეჭანჩურებოდა... ოფლი დასკდა, მუხლი გამოეთქვიფა... ქარიშხალმა კინაღამ ქედო მოგლიჯა! თითქოს დაუღონოვდა, კიდევ; უარაქათო, დამონავეებული, მაგრამ, ეხტიბარგაუტეხელი, დაუღეწელი გულის პატრონი ქარიშხალმა ვერ მოიმორჩილა. კიდევ ჩაიჩხვა, ჩაიფლო, კვლავ აქეთ-იქით მიაწყვიტა შემოტეულმა ქარბუქ-

მა... მუხლები ეკვეთებოდა, ირგვლივ უკუნი იდგა... ეშმაკებისა თუ ქარის შხუილი აყრუებდა, თითქოს ზარფუში ჩამოახურესო, ტეხვრა სტეხავდა; ავაზასავით შემოფრენილი ქარიშხალი, სამუქარო, გასამტვერები ხმითა და საყვივრით — ეკაპასებოდა, სარისხველი სიტყვით ეჩხუბებოდა და ღვინჯუამ კიდეც წარმოიდგინა თავი თოვლის სანგარზე მკვდარი წამით, თავისი კუბოს სანთელიც კი ეჩვენა. — ჰეე ბეჩაე, შავბიჭოსად იღუბები?

— ხმელეთის გამჩენო, შენ დაეკეტ ნადირის კბილი, შენ დააბრმავე ყორანის თვალი! მაგრამ, ასეთ ამინდში რომელი ნადირი ან ყორანი გაბედავდა გარედ გამოჩენას!..

— ეჰ, რად აიხირა სუფრიდან წამოსვლა?

— არა, საძაღლორეთ გამხდარ სუფრაზე ჯდომას ისევ ქარბუქთან ბრძოლა სჯობია! ამბობდა ვიღაცა ღვინჯუას გულში!

— მოდი და გაუძელი მოყინულ ნიადავზე აგორებულ ქარიშხალს, ასპიტ ყინვას!

ბუქი ახრჩობდა, ხელჩართული ებრძოდა, *კიდევაც მიამკვდარა და მეტი არა?

ბორბალა ქარი უფრო ბასრმხხვლეტელობდა, თითქოს მთელ ზამთარს მისთვის იკრებდა ღონეს, რომ ღვინჯუას დასტაკებოდა! ნაქარი თოვლი აღიყორა. სულ აირია ზემოეთი, ქვემოეთი, თითქოს ცისა და ქვეყნის შუა დაბორიალებდა გადაქაჯული ღვინჯუა ქასქანჯიელივით! ქვეყნელის ფსკერში ეგონა თავი! დამის ბალანიც კი არაჩანდა, არა თუ იძვრისი!

— ღმერთო, ერთხელ კიდეც დამანახვე საწუთრო, მზისთვალი! — ახლა კი დარწმუნდა ღვინჯუა, რომ ქვეყნის შერყეულობა მოხდა; რომ შეიძრა ის ვეშაპი, რომლის რქაზედაც იდგა დედამიწა!.. როგორც იყო, გათოშილი თათებით პირჯვარი გადაიწერა და წმინდა გიორგის შველა შესთხოვა კერატის აღთქმით, — ციდან ჯაჭვი ჩამოუშვი და აქე-

დან გამიყვანეთ! ფეთიანი ქარიშხალი კი საქოლავს უგებდა: ყიფილი წოდლებიძნობდა თავის უთვალავ ღვინჯუას პირქვე დასამარხავად!

კიდეც შემოურგვალა გრიგალმა, ცხვირი მიანაყა, ნაბურვალით ამოუვსო თვალეზი, რკინით შეკრულს დაამგვანა ყინვამ საწყალი თამადა!

ღვინჯუა ადამიანს აღარა ჰგავდა; უღვაში მთლად დასჭირბოვებდა, უღვაშს ვილა ჩიოდა, წამწამებზედაც ყინვის ეკალი აჰსხმოდა. მოხეტეობდა და თან ყინულს მოახჩარუნებდა:

— შეჩვენდი! — წამოიღმუვლა ღვინჯუამ, როცა კიდეც ერთხელ რაღაც ორმოსა თუ ქაში ჩავარდა ყელთამდე და უბე თოვლით ამოევსო! მხოლოდ ახლა მიჰხვდა ღვინჯუა, რომ სუფრიდან გამოქცევის დროს მოშლილიყვებულად გადახსნილი მკერდი ღელელა დარჩენოდა. ნათბილარი, ნაღვინარი, სიდ შეამჩნევდა, ისიც ლტოლვის დროს?! ახლა, როგორღა შეეკრა, როცა გაფიჩხული ხელის ტევიანი აღარ ემორჩილებოდა. ხმელეთი, წყლეთი, სულ გაყინულიყო!..

მაგრამ უტეხარი ისევ მიიბოტებდა...

ქი არ მიდიოდა! უხა-ვაყაკი, ბრმულად მიცოცავდა. მუხის ფესვივით, ნელა, ზანტად, დაეინებით, რკინის კვერვიით მაგარი, გულგაუღრეკელი!

ნამქერმა ისევ გამუშტა ღვინჯუა ისეთი სიმწარით, ღამის თავბერი ჩამოაცალა ხან, თითქოს ქყანტობში იფლობაო, ხან კლდოვან ღირღატიდან ფეხს ველარ ამოიღებდა, თითქოს მუხლსა და ფეხში ათასი ალქაჯი ჩასქიდიებიაო! კიდეც ერთხელ ამოყელყელავდა ღვინჯუა; კიდეც ერთხელ გულადად გადასჭრა თოვლის გადანაკვეთი, კოწიაწობით გაძვრა ნამქერის ზერელობაში, თოვლის ღრმა მღვიმეებში, გარდავლო ქარისგან დიდნაგები ზვავის ვალავნები და ზედ თოვლის კოშკებზე გადაფრინდა თავისი სახრით! ყინტიყორა გადადიოდა, თან ბრე ასდიოდა! უკან რჩებოდა დათვის ნაბოტარების კიდეც კარგი, მოხეტიალე მონადირე ვერ დაინახავდა ათოვლებულ ღვინჯოს. თორემ ყელქედანა დათვი ეგონებოდა

და ტყეისა ზედ დააყრებდა — რათ უნდა ლაპარაკი!

ფეხ-აყრეფით, ბარგანაობით იკვლევდა გზას კენტი კაცი, მარტორქასავით! არსად საყუდარი არსად მებიდური!

თოვლმა განა ჩამოიკლო, ბარდნიდა და ბარდნიდა, თუმცა ქარი ჰაერში ატრიალებდა... დაბელტდა თეთროსანი მარმარის ზოდები... ნაქარი, ნაყორი...

ისევ ზეინივით მიიბიჯებდა ყინვიო შეჯავშნული, მუხლადი ღვინჯუა, ასჯერ დაცემული, ასჯერვე წამომდგარი — გათოშლი, კრიჭა-შეკრული, ყურებდაგლეჯილი, დაოსებული, გამოძალული, გარქვანთებული... გაჭირვების ყუაზე მიმდგარი!

კინლამ სული გასწურა! დამძლავრებულმა ქარბუქმა შეაზავთა, შეაყელთა გაშფოთებული ღვინჯუა! ყინვამ უფრო მოუჭირა კახარაი; კისერზე ჯაჭვი, ფეხზე უდრეკი ბრაკილი დაადო — არც ახლა გატყდები, ღვინჯო?

ღვინჯუა მაინც მყარკლდეობდა, — იბრძოდა... ისევ ებღოტებოდა... და ის იყო, საღდაც, სიმაღლეზე წამომდგარმა და თოვლში ღრმად ჩაფლულმა, წამით, რალაცა მოღანღალე შუქს შეჭკრა თვალი, რომ თითქოს ნათელი შემოადგაო — ვაჭკვირდა, — კიდევ დაინახა საწუთრო.

— ეს ხომ მისი სოფელია, შვლისყური აპანდე, ესეც მახარაკანთ გორა, ძირში კი, სოფელი! შეიტყო მართლმელობა სწორი ვარაუდით, თუმცა ბეგობეგ უვლია გზის ასწვრივ; ისე შენ გაიხარე, როგორც ღვინჯომ გაიხარა!

ქვემოღ, ტაფობში, ბუნება გაბატონებულიყო, ბრალის სიჩუმე იდგა; იქ ისე აღარ გაისმოდა ქარის ხივილი! გადაჭხედა წათოვლილ მშობლიურ სოფელს და გულში ჩაიხვია, როგორც ოცი წლის უნახავმა. ვგონებ, თავისი სახლიც იაზრა დიდი აღვისხის გვერდით. ღვინჯუასთვის რომ გეკითხათ, ისიც კი დაინახა, სახლიდან ლიფლიფას ოღნავო ნათელი რომ გამოჰკრთოდა. ჯალაბს არა სძინავსო! მგონი ბუნარში მოტყინარე ღველფი, მდულარი ნაკვერცხალიც კი შეენიშნა...

ენა ამოიგნო... სანახევროდ დააფრეხა და ქარ-ყინვასთან ომი, დაუდგარა ბრძოლა და გამოჰქიდედა: ყინულის მუხამ დაჩხვლეტილი თვალი გააღო, განახილა!

— ყოჩაღ, ძმით ღვინჯო, ყოჩაღ! ერთი შემოკვრით ხე როდი წაიქცევა! ქარბუქთან გამარჯვებით ნასახელარი, ყინჩიყურად იდგა გაბოტილი, მიწას დამყარებული ილიმებოდა... დატბა... დაშაქრდა... თვალწინ წამოუდგა დატოვებული ჰრელი სუფრა, — ბრძოლის პირველი ასპარეზი — თაყა, თანამეინახენი, რძენაყუენი ქათათა, რომელზედაც ახლა მხოლოდ გაეღიმა დიდ ბრძოლა-გადახდილს!

ერთხელ კიდევ შემოატარა გონების თვალი სუფრას, შეიხსენა თავისი ნათქვამი სადღეგრძელოები და თავიც მოიწონა... რა უყოთ, ქარბუქმა ჯვარზედ აცვა, კინლამ სული არ ამოკვლიჯა ბოლოკივით, მაინც, სახლკარს ხომ მიადწია!

— აგერ, წმინდა ესტატე, ჩრდილოთ, — წმინდა გიორგი! ეალერსებოდა თავის სალოცაეებს. — აგერ, დაბალში, კონცხზე — ღვთიშობელი! და თვალი გაუშტერა ამაყ ნასაყდრალს... რამდენი საღვთიშობლო-საყველაწმიდო და... უცბად ელდანაცემივით შეკრთა, აფეთქდა; რამ დაცეცხლა, რამ გაფათრა, რა მოუვიდა? გულში რამ გამოფეთქა?

— ეს რა მომსვლია, ხმელეთის გამჩენო! — მეხდაცემულივით იდგა ღვინჯუა და არაქათი აღარ ჰქონდა, რომ მუხლებზე დანახებით ხელი დაერტყა!

შელაშქრებული ქარიშხალი აგულიანებდა ღვინჯუას, მაგრამ ღვინჯოს ქართან საბრძოლველად აღარ ეცალა, მან უეცრივ რალაც უმერყეო გადაწყვეტილება მიიღო, ძლიეს აიღო გათანგული ხელით სახრე, მოსწყდა ადგილიდან და... ისევ უკან დაბრუნდა და ისევ მგელივით გადაერია თეთრ ნამქერში!

გახარებულმა ქარიშხალმა სამპირად წამოუშინა და წამოუშინა! თითქოს კლდიდან ზვაგები აგლეჯილან და ბარად ჩამოქანებულან ღვინჯოს დასანთქმელად!

ქარს უხაროდა, რომ სამშვიდობოს გამოსული ღვინჯუა უკანვე გაიტყუა; გულს იოხებდა, ზრიალებდა, მთაბარს ატყობინებდა ძღვევასა და გამარჯვებას!

— ახლა ვერ მომერევი, ვერა, ხომ შევიტყე მიზეზი! — შესძახოდა ქარს ღვინჯუა, თითქოს ახალი ხერხემალი ჩაედგა ტანში!

მიდიოდა შეფოლადებული, დაგულისგულბული, რკინის მთა რომ შეხვედროდა, გააპობდა!

ბევრჯერ ფეხი აერია, ბევრჯერ წაიფორხილა; კიდევ რამდენჯერ ჩაირეხება, ჩარუყდა ჩათოვლილ ღრანტეში, ძლივს ამობორტყდა, სული ძლივს ამოაღწია და... ცისკრის ზარი, რომ დაირეკა შატროვანში, ღვინჯუამ მხნედ შეიარა თაყას ჭიშკარი, ეხო-ყურე და თეთრად წანამჭრულ კარებზე მაგრა დააკეცუნა, — განა მორიდებით?

— ვინ ხარ?

— ნოეს კიდობნის ხურო ვარ! — ვითომც იხუმრა ღვინჯუამ.

აღარ დააყოვნა ნოეს მტრედმაც:

— რომელი ხარ?

პატარძალი დუღლუბა ნაზ მოსიზმრებაში მყოფი, მონადირეზე ტყბილი ფიქრებით შეფუთვნილი, შიშველ მხრებზე შალწამოგდებული, ნათბილარი, ათრთოლებული, კარებთან ნაზად ჰკითხულობდა:

— რომელი ხარო, რომელიო იმ იმედით, ეგებ, რაიმე სასწაულთ, მონადირე მობრუნდო!

— ღვინჯუა ვარ, შენი ჭირიმე, თქვენი ნათლია!

პატარძალმა თუმცა ვერ გაიგო გაყინული კაცის პასუხი, მაინც ოდნავ გამოალო კარი, თითქოს უნდოდა, ჩუმად შეეპარებინა მონადირე და გულში ჩაეკრა, როგორც პურის გუნდა მკვრება გახურებულ თონეს!

— მე ვარ... მე...

ნახევრად ბურანში მყოფ პატარძლის წინაშე იდგა თოვლითა და ჭირხლით შეხურხული, შებორობილი თოვლის ყორე, რომელიც... აღამიანივით ლაპარაკობდა.

პატარძალმა შიშისაგან იჭყე ჩაიკეცა.

— ნუ გეშინიან, ჩემო დო! — ეხვეწებოდა დაფეთიანებულს თანხელს სულს და თან ზეზე აყენებდა:

— არა, მითხარი, მართლა ვინა ხარ? ეკითხებოდა გონს მოსული გულგადაფერებული ქალი; მაშ, ავი სული არა ხარ?

— ავი სული რათ ვიქნები, კეთილი სული ვარ! თქვენს ოჯახში მირონის შემოშტანი!

პატარძალი ძლივს დონეზედ დადგა კიდევ შერცხვა თავისი თავისა!

ღვინჯუა ულვაშებს იფშენებდა, ყინულის ლულებს იმსხვრევდა თავპირზე და თან ლულულულებდა:

— ღვინჯუა ვარ, შენი ჭირიმე, თქვენი ნათლია! ჩემი ცოდვით საყველამშიდო დამეიწყებია, მახარეს გორიდან დავბრუნდი, ძნელია ღვთის ვალი! ეგებ ან ჯამი ან რქა გამომაწოდო რომ ჩემი ვალი მოვიხადო!

— შინ შემობრძანდი, უკაცრავად, ავი სული მეგონე: — ბოდიშობდა, დუღლუბა.

— რა ბრძანებაა, მეჩქარებო, შინ დაიდარდებენო!

— გენაცვათ, ეს რა ღვინის მსუნაგი ყოფილა, საიღამ სად წამოსულა ერთი ჯამი ღვინის გულისათვის! — გაივლო გულში მონადირეზე გაქარწყლებულმა დუღლუბამ და ორივე ერთად გამოუტანა, — რქაც და ჯამიც ისე გალიცილიცებული, რომ ორიოდ შეხუფი ზედაც გადელვარა, პერანგზე!

ღვინჯუა ეცა მწუხრვალებით! ორივე სასამისი ხელიდან გამოვლიჯა.

— აი, აგაშენა ღმერთმა! ახლა კი მოვიხდი ვალს ღვთისა და ქვეყნის წინაშე!

— ღვთისმშობელო, მიშველე, შენ მაბატე, რომ საყველამშიდო დაულეველი გაგამეცი! ავი კიდევაც მომაყარე თოვლი და ქარაშორტი დიდება შენ სახელს! უნებურად მომივიდა! მაპატიე, აღთქმას გაძღვე აღარ ჩაუდენო!

პატარძალი გაოცებით შეჰყურებდა, — ეს შეშშიში რასა ჰროტავსო!

— ღმერთს ვაწყენინე, პატარძალო, ღმერთს წინ გადაუდექი, სიბრიყვით შევეთამაშე! იცი, რა მიყო? სიკვდილის უბიდან გამოვძვარი მთელი სახმელეთო ხომ დამცინებდა, უკან რომ არ გამოვბრუნებულყავ? ყველაწმიდა შეგეწიოთ! მისი მადლი სწყალობდეს ამ ოჯახს, — სასობებით წარმოსთქვა ღვინჯუამ. — რა ანგელოზიც მუშაობს ადამ და ევას აქეთ, ის შეეწიოს. თაყას ოჯახს, ჩემს ნათლულებს, საქრისტიანოს, საქართველოს! შენც შეგეწიოს, პატარძალო! ღმერთო, შენ მაპატიე, სიბრიყვე! — ჩამოილოცა გახარებულმა ღვინჯუამ და ისე სულმოუთქმელად დაცალა ჯამიცა და რქაც, შიგ ნამიც არ გაუშვია! რადგან ჩამომრთმევი აღარავინ იყო. პატარძალი შინ შებრუნებულყო. თავდახსნილმა ღვინჯუამ ასწრათებით გამოსწია შინისაკენ, ჯალაბისაკენ!

პატარძალიც მალე გამოჩნდა ხელში პატარა თეთვით, ზედ ღორის ლურთები და შოთის ნატეხი ელაგა ღვინოზე დასაყოლებლად, მაგრამ გარედ აღარავინ დახვდა; დირზე ყანწს ფეხი წამოჰკრა. შეკრთა, თეთში ხელიდან გავარდა და, ცივად შინ შეიხვეწა.

დიდხანს ცახცახებდა ლოგინში, თვალზე საბან-წახურული, ფანჯრისკენ მოხედვისა ეშინოდა.

— ნამდვილად ეშმაკი იყო? მაგრამ, ეშმაკი რომ არა სვამს ღვინოსაო?

იყო ძიებაში და ბოლრს დაასკვნა: — ალბათ უპატრონო, მშიერი ადამიანის სული იქნებოდათ!

— ვინ იცის, როგორ მოსწყურდა ღვინო საიქიოში, წამოდგა მკედრეთიდან, ღვინჯუას სახე მიიღო და სიკე-

დილს გამოეპარა. განა ქართველი კაცი უღვინოდ გასძლებს სადმე? დილით და ისევე ჩაეშვა საფლაგში, სულთანს თვამა არ გამოეგოს!

გამოცოცხლებული ღვინჯუა მკვირცხლად მიაბიჯებდა შინისაკენ. იგრის წითელ ღვინოს თბილად დაეველო ძარღვეში, გაეზბო, აეჩქროლებინა, შეეხურებინა!

— ვერც ეშმაკი მომერია, ვერც ქარაშოტი და ვერც ქათათა! ზოგი ახლაც გადამაყენოს თამალობიდან! ღმერთი ეხლა ჩემს მხარეზეა, თავი გავიმართლე, დავზავდით, შევერიგდით; თუ ეს ასე არ არი, — მაშ რად შეიცვალა ამინდი, რად გაკარგდა?

ანჯახი ქარიშხალი დამცხრალიყო, ქვეყანა დამყუდრებულიყო ღვინჯუას შენაცოდარის გამოსწორების გამო!

— როგორ იყო ამორგებული, აჯანყებული, დაონაგრებული! იმიტომ რომ, ღმერთს ვაწყენინე!

* * *

თოვლიანი აღმასით ანაპერწყლები ნაწური ვერცხლით მოსპეტელი გორები თავს უქნევდნენ გამართლებულ ღვინჯუას მისი, საქციელით კმაყოფილები! დილის სული დატრიალდა...

ის იყო მზე ამოდიოდა...

ღობეზე ყოყლიყო ყიოდა: მზე მე ამოვიყვანეო!

...და ყველას სჯეროდა!!!

წიგნითი

სექტემბერი 1960 წ.



ჩემი ნატვრა

1

დედაქალაქს დამსახლა
დედამ სოფლის ბავშვი,
სად ვაღობდა ვარდისუბნის
ნაღვლიანი შაშვი.
ახლა ისევ ამ უბანში
ბერიკაცი ვსახლობ,
ვერის ძველი სასაფლაოს
გალავანის ახლო.
კვლავ გავსცქერი აღტაცებით
თრიალეთის მაღლობს.
ნატრული ვარ მისი ფიჭვი
კალმით გამოვსახო,
გადავლახო მწვანე მთები —
სამადლო და უძო,
სად ხმატყბილი და საამო
კვლავ ბუღბუღი ცუქობს.
წყნეთის ძველი მობინადრე
ვინახულო მინდა,
მასთან ერთად მოვიარო
ადგილები წმინდა.
ბევში ობლად გარინდული
ენახო ბეთანია,
მივაბნო თამარის ხატს
გაზაფხულის ია.
თამარ ქალის — ქვეყნის თვალის
ტრფობა, ხოტბა-ქება
თქვა რუსთველმა, ქართველ ხალხის
გულში რომ არ ქრება.
არ ვიფიქრებთ მის ტყბილ ქართულს,
ჯადოქრულს და მზიანს,
არც ბერ პაპს — ორბელიანს,
ბედდამწვარს და სვიანს.
ვინც თამარის წმინდა სახე,
საშობლოზე დარდი
თან წაიღო სამარეში,
ვით დამწყნარი ვარდი.
მაგონდება ქართლის ბედი
გულდამწვარი, მკედარი,

უკვდავ გრძნობის გამომთქმელი
ურმა და მისი ქნარი.
ნორჩ ვახვივით შემოვიტყამ
მისი გრძნობის ხეიარს.
ვით ყინწვისში ხატობაზე
მინდია და მზია
სამადლოდან მთაწმინდაზე
ფეხშიშველი ვიარ.
მინდა ვეკვამ მიფუტანო
ლილილო და ღვია.
დიდ ილიამ და აკაკიმ
აგვიხილეს თვალი,
რათა ერის სამსახურში
მოგვეხადა ვალი.
ყვავილებით ვალამაზებ
მათ დიდებულ საფლავს.
მსურს ჩავსძახო სამარეში
განუქარვო ზაფრა,
კუთხრა მგოსნებს, ძველ წინაპრებს,
გმირებს კარპარჭიანს,
რომ ვერ დახრა ქართლის ფესვი
ყრუ სამარის კიამ.
არ მომკვდარა საქართველო,
გახდა ლაღზე ლაღი,
დაამშვენა თავისუფალ
ხალხთა ძმობის ბაღი.
შემოვიტყამ ამ დიდ რწმენას,
ვით ხე მაღლარს ხეიარს
და სანამდე მიდგას სული,
ქვეყნად ასე ვიარ.

2

საქართველოს დარაჯობენ
ბუმბერაზი მთები.
რიკრეამდე მთაშობანზე
ციცხლის პირას ვთბებთ.
გადავყურებთ შავ კლდის უფსკრულს
შიშით მე და ვერხვი,
სად ღრიალებს ხანისწყალი,
ვით დაქრილი ვეფხვი.



შხის ამოსვლით მოხიბლულებს
 თვალის არა გვეჯერა:
 მზე ბურთივით ხტის, თამაშობს
 ხელში დასაჭერად.
 ბნელ ზევიდან ამოგორდა
 მოგიზვიზე ალით,
 გააღვიძა მთის ყვავილი
 და ასკილის ვარდი.
 აქანჭახდა შაეი შაშვი,
 შეარხია ზარდი.
 გამეხარდა. ხელმეორედ
 თითქო დავიბადე.
 ხევში ჩაველ, ხანისწყალში
 გადავაგლე ბადე.
 და იქ, სადაც გაუჭიმავეთ
 ბონდის ვიწრო ხიდი,
 სველ ბალახში წინწყლებიან
 კალმახს ბუებერ ვყრიდი...
 როს დაენაყრდით ნედლი თევზით,
 შეეზარხოშდით არყით,
 საირმეზე ავირბინეთ
 ძელქვის ზეთა მყურით.
 ცხრამუხიდან მოსჩინს ნათლად
 საქართველო მთელი.
 თვალწარმტაცი არემარე,
 მთები, მინდორ-ველი.

3

ამერეთს და იმერეთში
 გადგმული მაქვს ფესვი.
 გამიპია მუხიანის
 საზამთრო და ნესვი.
 არ ვივიწყებ ხიდისთაურ
 ყურძნის, ატმის გემოს.
 შემოიყვარდა ატენური
 ჩქეფი სანაქებო.
 ქართლ-კახეთის უხვი რთველის
 მუღამ ვიყავ ხარბი.
 აღაზანზე დარაზმული
 ზერებისაყენ ვავრბი.
 წინანდლის და ყვარლის გზებზე
 ძმებთან სუფრას ვავშლი.
 გამიღიმებს ახმეტაში
 სისხლისფერი ვაშლი.
 მოგრიალე, ჩქარ არაგვმა
 ჩარგალს ჩამიყვანა,
 მათოხნინა მთის კალთაზე
 მგოსნის ოქრო ყანა.

თიანეთი, მთათუშეთი
 მომივლია ფეხით
 და პანკისის ხეობაში
 მაყრუებდა მეხი.
 სენაეთის და ხევსურეთის
 მთებში ვღვედი ჯიხვებს.
 კუმტ მოხვევს მყინვარწვერზე
 სვლაში გავეჯობრე.
 წარმტაცია სამეგრელო,
 გურიაც თუ ნახავ,
 აფხაზეთით მოხიბლული
 ამ სტრიქონებს ვჩარხავ.
 მხიბლავს ლიხის და ბორჯომის
 ტყე, ხეობის ეშხი,
 ცხრაწყაროსთან ჯავახეთში
 მივალ, როგორც მესხი.
 საქართველოს ყოველ კუთხით
 გადგმული მაქვს ფესვი.
 ვარძიაში მოკამკამე
 წყაროს წყალი შეგსვი.

4

მხიბლავს მთები, ზღვა, აჭარა.
 ლეჩხუმი და რაჭა...
 ვარ ყამისგან გაბოლილი
 ძველ კერაზე ნაჭა,
 ერის ნამყო და მომავლის
 ერთი ჯაქვის რგოლი.
 მიხარია რუსთაველიდან
 ავარდნილი ბოლი.
 მხიბლავს ჩვენი მეფოლადე
 ქაბუკები, ყრმები,
 ღუმელები, ბლიოშინგის
 რკინისმჭრელი ყებები,
 მთაში მდგარი ატომური
 ქართლის რეაქტორი.
 მინდა ვავხედ მეცნიერთა
 საქმის თანატოლი.
 მხიბლავს ფერმა, ფარეხებიც,
 ცხვრის საზღაპრო დოლი,
 თოვლის მერმე მინდორ-ველზე
 მიფენილი მოლი,
 მთის კალთაზე მომდინარე,
 უცხოდ შენაქუჩი,
 კრაველივით თმახუჭუჭა
 ჩაის ნორჩი ბუნჭი,
 მალარო და მადნეული.
 სამეურნალო წყალი,

სანაპირო შავი ზღვისა,
მართლაც ქვეყნის თვალი.
წარმტაცია საქართველო,
თუკი თვალით ნახავ.
მის ტრფიალში ამ სტრიაქონებს
გულმოდგინედ ვჩარხავ.

5

ახალ ხანას შევეზარდე,
შიგ ვავიდგი ფესვი,
მაგრამ ძველიც შევითვისე,
შარბათივით შევსვი.
მხიბლავს უცხო უფლისციხე,
გორის ციხე ძველი,
ქვათახევი და ყინწვისის
ანგელოზის ხელი.
მთაწმინდაზე კლდე, საყდარი,
მერცხლის ბუდის მსგავსი,
ქვეშ — სიონი და ქაშვეთი,
სამთავისის ასლი...
მხიბლავს გრემი და იყალთო,
ყვარლის მთების ხედი,
ალავერდი — ალაზანზე
მოცურავე გედი.
სვეტიცხოვლის, ჯვარის ეშხით
ტყვექმნილი ვართ ყველა,
ყველა ტაძრის ბელადივით
კვლავ გელათი ელავს.
არ მასვენებს მდუმარება
დიდ ბაგრატის ტაძრის,
ნანგრევებში დამარხული
ძველ ვარამის აზრი.

6

სიხარულად შეგვეცვალა
ის ვარამი ძველი.

თავისუფალ საქართველომ
გამოიღო ხელი.
გულით აგებს ახალ თბილისს
და მის გარეუბნებს.
მანქანებით თხრის ქოხმახებს,
სპობს ხრამსა და გუბებს.
აგებს ქარხნებს, სასახლეებს,
ზეივნებს და ბაღებს...
ეს ქართველი კაცი შრომობს,
დიდების კარს აღებს,
მხიბლავს ახალ ქუთაისის
შრომის დამახილი,
ახალ ქვეყნის აგებაში
ქართველ კაცის წილი.
არ მსურს იმ კაცს, გმირს ჩამოვრჩე,
გავხდე გასაკილი
და ამიტომ მისებრ შრომას
ვიწყებ ყოველ დილით.
რეაქტიულ თვითმფრინავის
ქუხილს ვუსმენ გმირულს.
მსურს აღნობდეს კაცთ გონება
მყინვარწყვირის ყინულს.
ხალხთა დიად მიზნისათვის
მეცნიერი იღწვის,
გაიყვანა ცის ორბიტზე
თანამგზავრი მიწის,
რომ გააბას ხვალ მგზავრობა
პლანეტათა შორის.
ჩვენ არა გვაქვს სხვა წადილი
რამ სიმდიდრის შოვნის,
თუ არ ნანატრ მშვიდობისა,
ხალხთა შევების, ძმობის,
რომ ქვეყანა არ დაიწვას
ატომური ომით.
შემოვირტყამ ამ დიდ რწმენას,
ვით ხე მაღლარს ზვიარს
და სანამდე მიდგას სული
ქვეყნად ასე ვიარ.



ჭარისკაცის ქვრივი.*

რომანი

წიგნი მეორე

— განათლებიდან არის ვინმე? — ველარ მოითმინა ხათუნამ.

— რას მძღვე სამახარობლოს! — გამოსცრა პეტრემ.

ხათუნას თითქოს ცივი წყალი გადასხეს. პეტრეს წამით თვალი შეავლო, რის მახარობელი უნდა იყოსო, გაიფიქრა უნებურად შემკრთალმა და იგრძნო, როგორ მოედო აღმური სახეს.

— მითხარი, რას მძღვე სამახარობლოს! — პეტრე კვლავ იკრძებოდა და ქორის თვლებს აბაჰუნებდა, — იმისთანა ამბავი მოგიტანე, იმისთანა...

— თქვი, ნუ გამათავე! — ხათუნას უკვე აღარ ეხუმრებოდა.

— რას მძღვე სამახარობლოს!

— პეტრე...

— აბა მოიხედე აქეთ! — მიროტაძე გვერდზე გადადგა და ხათუნამ თვალი გაადევნა ბილიკს.

სივინდებში კოჭლობით მოაბიჯებდა შევალტოიანი ბეროკაცი.

ხათუნა დაიბნა; მამა ერთბაშად ვერ იცნო, რადგან ახლა მის აქ გამოჩენას ვერასვხიო* ვერ წარმოიდგენდა. ხელი მოიხრდილა, ბილიკ-ბილიკ მომავალს ხარბად დააკვირდა.

— უიშე, ღმერთო კი მომეალი, მშობელ მამას ველარ ცნობ, ქალო? — პეტრემ ისე ხმამაღლა შეიცხადა, სახლის უკანიდან უმცროსი ბიჭები გამოცვივდნენ. ამათ ვენახიდან ამოსული ზურაიაც შემოუერთდათ. სამივე დიდის

მონდომებით ზვერაედა კიშკარს, სადაც დედა და პეტრე მიროტაძე იდგნენ. პირველი ისევე ხათუნა მოეგო გონს და კიშკარის გაღებისა და გარეთ გაგარდნის მაგიერ შეიღებს მიუტრიალდა:

— ბავშვებო, ხედავთ? ჩვენი ბაბუა მოდის!

თავი ორმოცდამეთერთხმეტი

სპირიდონ ყანჩაველის სტუმრობის ამბავი მთელ სოფელს მოედო. მიროტაძეებმა ხმა დაარხიეს — ხათუნა თხოვდება, ქმარი ზედსიძედ მოჰყავს და სპირიდონი საქმის მოსაკვარახჭინებლად ჩამოვიდაო. ნამდვილი არავინ იცოდა. გორიჯერის მუხნარში, სადაც საექიმო უბნის მოწყობა დასასრულს უახლოვდებოდა, კრუხის პალო პარმენამ გადაიტანა ეს ამბავი. ისაია მეკუბოვემ ყურები ჩამოჰყარა. სხეებმა არ დაიჯერეს. ერთხელ კიდევ ძირფესვიანად გამოჰკითხეს პარმენას — საიდან რა იცი, ვინ გითხრაო და როცა კრუხის პალომ სარწმუნო ვერაფერი თქვა, ქორის მოგონება მასვე დააბრალებს, ცალყუბადაც შეუკურთხეს და საქმეს მიუბრუნდნენ. ისაია მეკუბოვე დინჯად თლიდა საჩარხოე ძელს. პარმენა სიხარულმა მოაცდინა. ვერავის გაეგო, რა უხაროდა ასე ძალიან. ხითხითებდა, დაცქვეტილ უღვაშებს იგრებდა, დროდადრო ტაშს შემოჰკრაგდა და წამოიძახებდა:

— ეუპ, ერთი გამაგებინა, ვინ არის!

* ვგარტლები. იხ. „მნათობი“ №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7.



იმ დღეს ვერც მარგალიტა მონანგარი-
შემ დაუდო გული სამუშაოს. მაგიდაზე
გადაშლილ ქაღალდებს შიშვე პრესპა-
პიე დაადო და ედუკი მიროტაძეს ჩა-
აკითხა. ედუკი შინ არ იყო. უპატრონოდ
მიტოვებულ ქოხის დერეფანში წითე-
ლი ყვინჩილა დარტყრულებდა და აწო-
წილ ფეხებს ისე მალა-მალა იღვამ-
და, თითქოს წუშპეს უვლის გარშემო
და ეშინია, ოქროსფერი დეზები შიგ არ
დაისვაროსო.

შუადღის მატარებელს სერგო მოჰყვა.
სერგო წითლისწყაროში შეყოფნებულ-
ყო და მოგვიანებით გადმოვიდა. სიმამ-
რის ქიშკართან გელისას გულმა არ მო-
უთმინა — ფეხის წვერებზე შედგა და
ეზოში გადაიხედა.

ტყულები სამზადის წინ საქმიანობდ-
ნენ. ერთს ტაშტი დაედგა ხარხაზე და
აქაყებულ სარეცხში წაერგო გაწითლე-
ბული ხელები, მეორეს კი შავი როდინი
გამოეტანა, სოხანზე მოეკალათა და გა-
მალებით ნაყავდა რაღაცას.

— ჰეი, ჭინკებო! — დაიძახა სერგომ.
ნაცნობი ხმის ვაგონებისთანავე გოგო-
ნები კისრისტეხით გამოცვივდნენ ეზო-
ში. სერგომ სტუდენტობის დროინდელი
ჩემოდანი ქიშკართან დადგა, ეზოში შე-
ვიდა და ატკრიალებული პატარა ცო-
ლისდები გულში ჩაიკრა.

— რად დაგავიანდა? — ერთხმად
ჰკითხეს ტყუებმა.

— დღეს არ უნდა ჩამოვსულიყავი? —
გაუღიმა გოგონებს სერგომ, — მაყვალა
როგორ არის?

— გულმოსულია, — ტყუები იკრი-
ჭებოდნენ.

— მართლა, მართლა, როგორ არის? —
სერგომ ერთბაშად მოიწყინა, ხმაში კი
მოუთმენლობა დაეტყო.

— მართლა გულმოსულია. ჩვენთან
არ შემოხვალ?

— შეჩქარება. ჰო, მამა სად არის?

— ვენახში.

— რომელ ვენახში? — წასვლის წინ
კიდევ იკითხა სერგომ, თითქოს სულ
ერთი არ ყოფილიყოს, რომელ ვენახში
იქნებოდა ახლა ზაქარა მჭედელი.

— სახატოს თავზე.

— გაფუელი აბა. საღამოს ჩამოდი.

ქიშკართან დარჩენილმა დეზმა გულ-
ნაკლულად გააყოლეს თვალი საფიცარ-
სიტეს. სერგოს მარტო მაყვალა უყვარ-
და, მარტო მაყვალასთან მიეჩქარებოდა...

ზაქარა მჭედელს ვენახის წაშობა მო-
ეთავებინა. ახლა მანუელის ოლეში გა-
მომხვრალიყო დელის პირას, აპარატი
ლოდზე შემოედგა და შიგ სუფთა წყალს
ასხამდა გამოსარეცხად.

— გამარჯობა, მამა! — დაიძახა სერ-
გომ.

ზაქარამ დღეში ამოვსებული ფათ-
ქა აპარატის მხარზე ჩამოასვეენა და
მოიხედა.

— ასე რამ გაგალურჯა, კაცო, შაბი-
ამანში იბანავე? — ჩქრილა ლელეს სერ-
გო გზის მხრიდან შიადგა.

— გლახა ნიაფია. ნეტავი კი არ მოწ-
ვიმდეს, — ზაქარამ ფათქა აპარატის
ყელში ჩასცალა და მოღრუბლულ ცას
გვერდელად აშხედა, — ხომ კარგად იმგ-
ზავრე?

— ისე, რა.

— მოაგვარე რამე?

— ერთი წლის შევბულება მისცეს.

— შენ პირს შაქარი. სხვა? ახალ ამ-
ბავს ჩამოიტანდი.

სერგოს კვლავ მაყვალას სახელის ხსე-
ნება უნდოდა, მაგრამ მოერიდა.

— შეუგვიანია მატარებელს, — თქვა
ისევ ზაქარამ, აპარატი ლოდისთან ჩამო-
ილო და ფრთხილად ფერდოზე მიაწვინა.

— ხათუნა ხომ არსად გინახავს? —
სერგო მოუსვენრობდა, აშკარად ეჩქა-
რებოდა წასვლა, ოღონდ არ უნდოდა ეს
სიმამრისთვის შეემჩნევიებინა.

— რაე? — ჰკითხა ზაქარამ.

— ვუკეთებ მგონია საქმეს. დღეს
იპოლიტე ვნახე, განათლების განყოფი-
ლების გამგე.

— რაიო?

— დამპირდა.

— ტყუილი ხომ არ ემარჯვება იმ
შენს იპოლიტეს?

— ტყუილი? — სერგომ კოხები შე-
ყარა.

— თითქოსდა მინისტრად ნიშნავდნენ
ეგ მამაცხონებულები. გაგონილა ამდენი
წილადობილა?

— მე კი დამპირდა და ახლა...

— ელენეზე არაფერი უთქვამს?

— ვინ ელენეზე? — სერგო უცებ ვერ
მიხვდა.

— ელფთერის ცოლზე.

— ელფთერის ცოლზე? რა უნდა
უთქვა ელფთერის ცოლზე!

— ის ადგილი მაგას უთხოვია.

— რომელი ადგილი?

— რომელ ადგილზე ვამბობთ.

— ელენეს უთხოვია, ლაშხს?

— ხო.

— გადავირევი პირდაპირ!

— რა გრევს?

— საბავშვო ბაღის გამგის ადგილი
ელენეს უთხოვია?

— უთხოვია და რა ვქნა ახლა!

— ნამდვილად იცი?

— თავათ ელფთერმა მითხრა...

— შენ... მერე შენ რა უპასუხე?

— მე? მე რას უპასუხებდი, არაფე-
რიც არ მიპასუხნია.

— ოჰ, — სერგომ ძირს დაიხედა და
ჩემოდნის სახელურს მუხლი დააბჯი-
ნა, — ერთმანეთზე უარესები ხართ ყვე-
ლა!

— ვინ ყველა, ბიჭო?

— ყველა. ყველა ერთმანეთზე უარე-
სები ხართ, მამაჩემიც, შენც და სხვებიც.

— იმე, რას გვემართლები, შე კა-
ცო, — ზაქარამ ნაძალადევად გაიღიმა.

— აბა ეგ არის სინდისი? მთელმა სო-
ფელმა იცის, ხათუნამ ჯანი შეალია მაგ
ოხერს და ტიელს. საკუთარი სახლის
აშენებას არ მოკიდებია აგრე გულიანად
და ეგ არის? ბარუსი შეპირებული იყო.
მეც უპირდებოდი. რა ვუთხრა ახლა?

— სერგო, შეილო, ისე მედავები,
თითქოს...

— სად არის თუ იცი ელფთერი?

— სად იქნება, ვენახში.

— ერთი ეს ჩემოდანი წამიძღვანიე
თუ არ გეზარება.

— შენ სად მიდიხარ?

— სადაც მივიღიარ, მე ვიცი!

— სერგო! — ზაქარამ ხმა აიმაღლა,
ბიჭო, გეყურება?

— რა გინდა?

— მოდი, მოდი აქ.

სერგო უხალისოდ დაბრუნდა და
ბალღევით განაწყენებული ზაქარას შო-
რიახლო გაჩერდა.

— ელფთერს ნურაფერს აწყენინებ.
ისიც მეზობელია, — დინჯად დაიწყო
მკვდელმა, ფიცით მითხრა, ელენეს თუ
სამსახური არ დავაწყებინე, აქედან გა-
დასასახლებლად გამიხდება საქმეო.

— მერე რაღა ქვრივ-ოხერს ეცილე-
ბა! — ზიზღით შეაწყვეტინა სერგომ.

— კითხე ხათუნას, იქნება აღარც კია
ისე მოწადინებული.

— გუშინ ყელს მიწვედა და დღეს
უარს იტყვის?

— კითხე მაინც.

სერგომ ქვეშ-ქვეშ გაჰხედა სიმამრს.
ზაქარამ რაღაც იცოდა.

— სპირიდონია ჩამოსული, მამამი-
სი, — საიღუმლოდ განაგრძო მკვდელ-
მა, — შეიძლება სულაც წაიყვანოს უკან.
ხალხი სხვა რამესაც ამბობს...

სერგომ ყურები სცქვიტა.

— ვითამ გათხოვებას აპირებსო, —
ჩაილაპარაკა მკვდელმა, მანქანა წამოა-
ყენა და შეანჯღრია.

— მართლა ამბობ თუ ხუმრობ? —
სერგო საკუთარ ყურებს ვერ უჯერებ-
და.

— გაიწი, წყალი არ მოგეშხეთოს.

სერგომ ჩემოდანი აიღო და უხმოდ
დაიძრა ადგილიდან.

— წაწვედი? — დაადევნა სიმამრმა, —
სალამოს ამოიარე.

სერგომ მიიხედა, მაგრამ პასუხი აღარ
გაუცია. ჩემოდანი ამძიმებდა და ცდი-
ლობდა ამაზე გადაეტანა ფიქრი, რადგან
უდროო დროს მაყვალას სახე აეკვიტა.
ხელზე წვიმის მსხვილი წვეთი დაეცა.
ზემოთ აიხედა. ცის დასალიერზე ლეგა-
ლრუბელი იწვა. გზის პირას ჩაყოლე-
ბულ ტირიფებს შრიალი შეუდგათ.

„მზე დილიდანვე იკბინებოდა. ნეტავი
არ გაავდარდებოდეს, — გაიფიქრა სერ-
გომ და ნაბიჯს აუჩქარა, — მგონი ქვენა

ქარია. ქვენა ქარმა ავდარი იცის. ღრუბ-
ლებს აქეთ ერეკება“.

ახლა ჩემოდანზე მოადინა ტყაპანი
წვიმის მსხვილმა წვეთმა და ჩემოდანზე-
ვე გაიბნა პაწიწკინტელა შზეფებად.

„გლახა დრო შეურჩევია ვენახის შე-
საწამლავად, — ზაქარაზე გაიფიქრა სე-
რგომ, — თუ წამალმა გაშრობა ვერ მო-
ასწრო, წვიმა მოვა და ერთიანად გადა-
რეცხავს“.

დასარწმუნებლად — გამრა თუ არა წა-
მალიო, ღელეზე გადახტა, იქ პაწია ბექა
მონახა, ზედ შედგა და ზაქარას ვენახის
მხარეზე გაიხედა, მაგრამ წინ ხეხილის
ბალი იყო და ვენახი აქედან არ ჩანდა.

ტირიფის ფოთლებზე წვიმის მსხვი-
ლი წვეთები სხრიალებდნენ. ღელეზე
გადმოსვლისას სერგომ დაინახა, როგორ
იბორკლებოდა ერთ ადგილზე დაგუბე-
ბული წყალი.

„ჩქარა, ჩქარა! — დატუქსა თავისთა-
ვი, — გინდა გაიწუწო?“

გახურებულ ქვებზე უმაღლე ქრებოდა
წინწყლების კვალი. ირგვლივ საკირის და
მიწის სუნი იდგა.

„ამისთანა წვიმამ ტყეში უნდა მო-
გისწროს, — კვლავ წინ წამოტივტივე-
ბულ მაცვალას სახეს ებრძოდა სერგო, —
ფიჩხს მოაგროვებ. ცეცხლს დაანთებ და
სანამ წვიმა გადაიკარებდეს, უმატებ და
უმატებ ფიჩხს“.

სერგოს ერთჯერ და ორჯერ როდი
გადაეწვიმა მთაში. ახლა საცოდავად გა-
ლუმბული საქონელი, დამბალი მიწა,
სველი ბალახი და ტანსაცმელზე ავარდ-
ნილი ოხშივარი აგონდებოდა.

„სისულელეა!“ — სერგო ამჯერად
ჯიქურ მიიქრა შემაწუხებელ ფიქრს
თუ ექვს.

წვიმა მატულობდა. შუკაში მიმობნე-
ული ქვები და ცალ მხარეს ჩაყოლებუ-
ლი ყორე გაბრწყინდა. ბზინვდნენ ტი-
რიფებიც, კუნელის ეკალა და ასკილის
მწვანე ბუჩქებიც. ყორეზე გადმობრილი
ბროწეულის ალისფერი კვიპიკები
თითქოს საგანგებოდ გაფერეს, კიშკ-
რებთან აქა-იქ გადამხმარ ბალახს უკე-
დავების წყალი მოასხურეს.

წვიმდა. გაბარდნილმა ღრუბლებმა
დაბლა დაიწია. ჯერ სახატოს ქალ-
დაჟვარა. მერე გორიჯვარს მთლემს
სკოლის შენობაც ყომრალს დახლში გა-
ეხვია და თანდათან გაქპრა.

სერგომ გზა შეიმოკლა — ყანაში გა-
დაუხვია. ახლა უფრო გამეტებით დაა-
ცხრა წვიმა. ყანის პირას ვიღაც იდგა,
თავზე ტომარა წამოეხურა და ძროხას
ამოვებდა. „ტომრის გამოტანა როდისღა
მოასწრო!“ — უნებლიედ გაიფიქრა სერ-
გომ, არ დაჰკვირვებია კი, ვინ იყო. შა-
ლუ ინანა, ნეტავი ამ ატალახებულ ყა-
ნაში ფეხი არ შემომედგაო, მაგრამ
უკან დაბრუნებას ახლა წინ წასვლა
ჯობდა. როდესაც ეზოს მიალწია, წვიმა
უკვე კოკისპირულად ასხამდა. ქისსარ-
ქველზე ვიღაცას ცხრილი დარჩენოდა.
ცხრილი დამსობილი იყო და სქლად
გამოწნულ ძროს შეუჩერებლივ უზა-
პუნებდა მსხვილი წვიმა. სერგომ გზად
გავლისას წამოავლო ცხრილს ხელი და
ტივრთიანად სამზადის დერეფანში შე-
ვიდა. წაქცეულ სკამს უკან მიუყუთუ-
ლი კრუხი დაფრთხა, ნაგვიანვე წიწი-
ლებს ფრთებით გადაეფოფრა.

— არავინ გამოიხედავთ? — დაიძახა
სერგომ.

სამზადის კარი იმწამსვე გაიღო და
ღირეზე მართა გამოჩნდა.

— დედა, შენ შემოგველე, ეს ვინ
მოგვპარვია!

— მაცვალა სად არის?! — ცხრილი
და ჩემოდანი სერგომ კედელთან დად-
ვა და სამზადში შეიხედა.

— სად იქნება, ბიჭო, რამ გაგწუწა
ასე!

— რამ და წვიმამ!

— დიდება შენდა, ღმერთო! თავი
რავა ვერსად შეაფარე. შემოდი, შემო-
დი, შემოიტანე ჩემოდანი. რა გუნებაზე
ხარ თუ იცი! ეგ ცხრილი ვინ მოგცა?

— ვინ მომცა და ეგერ იყო ჰაზე.
აჰა! მაცვალა წევს?

— აგრე არ შეხვიდე, მოასარვალე
იქაურობას. ცეცხლთან იჯდა, ეს წუთია
წამოწვა.

— ბაბუა?

— ფერმაშია.

— ბარემ დასახლდეს იქ.

— ღმერთო კი მომკალი, რა მოგივიდა, დედა, გული ზომ არავენ მოგაყვანინა?

— სერგომ სველი პიჯაკი გაიხადა.

— ჩლატები არაფერია ახორში?

— რეზინის ჩექმებს მოგცემ.

— მოიტა!

სანამ აფუსფუსებული მართა ჩექმებს გამოიტანდა, სერგო სამზადში შევიდა. კერიაზე ღუზღუზა ცეცხლი ენთო. სერგომ სველი შარვალი ამოიკალთავა და ცეცხლს ხარბად მიეფიცხა. გარეთ კოკისპირულად წვიმდა. თქეში ყოველის მხრიდან აწყდებოდა სამზადის ფიცრულ კედლებს.

„მაყვალას შეეშინდება!“ — გაიფიქრა უცებ სერგომ და დედისათვის აღარ დაუცდია, მაშინვე კარს მიაშურა.

— დედა, ვინ მოვიდა? — მოესმა წვიმის თქრიალში.

სერგომ მაყვალას ხმა იცნო. წამსვე ყველაფერი დაავიწყდა. სამზადიდან სახლამდე ოციოდე ნაბიჯი იყო. აფუებულ ბილიკზე წვიმის მსხვილი წვეთების კორიანტელი იდგა. პაწია მწვანე ეზოში წალმა-უკუღმა მოედინებოდნენ მღვრიე ნაყადულები და ალაგ-ალაგ გუბებში იყრიდნენ თავს. სერგომ თვალის დახამხამებაში გაიზბინა ეზო და ოდის დერეფანში გაჩნდა.

მაყვალას სქელი შალი მოეხურა, საცოდავად მობუზული იდგა დერეფანში და წვიმას უყურებდა. სერგოს გამოჩენა, ისიც თავსხმა წვიმაში, იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, არ განძრეულა.

— როგორ მოხვედი? — მხოლოდ ეს გაიგონა სერგომ, როცა ცოლის თბილი ხელები გულში ჩაიხუტა. მაყვალას უნებლიე წამომახილი ალერსით და სიყვარულით იყო სავსე. ეს ალერსი ყოველთვის თავბრუს ასხამდა სერგოს და ნეტარების ბურუსში ხვევდა.

— გზაში მოგისწრო? — ჰკითხა კიდევ მაყვალამ, — პიჯაკი რა უყავი?

ცოლის ახლო ყოფნით ბედნიერმა სერგომ მკერდზე დაიხედა და ახლად

მიხვდა, რომ საზაფხულო პერანგის ამარა იყო — პიჯაკი სამზადში დარჩენოდა.

— სულელი! — გამოაჯავრა ქალმა, — შემოდი, გაცივდები.

— შენ შეგცივდა?

— მწი! — თავი გააქნია მაყვალამ და გაწითლდა, რადგანაც იგრძნო, რომ ქმარი მამაკაცის ხარბი თვალებით ზომავდა.

— რამსისხო ხარ! — დამნაშავესავით გაიღიმა სერგომ და თავდაც გაწითლდა.

— ბევრი მაცვია.

— არ მომელოდი?

— მწი! — კიდევ გამოაჯავრა მაყვალამ და რათა ქმრის მზერას გაპქეოდა, ოთახში პირველი შევიდა.

„სისულელი! — გაიფიქრა სერგომ, — მაყვალას ნამდვილად ვუყვარვარ. სიკვდილამდე ჩემი ერთგული იქნება!“

— მე შენ რაღაცა გიყიდე! — ეშმაკური ღიმილით თქვა ქალმა.

სერგო სულ ახლო მივიდა ცოლთან და თვალბში ჩააცქერდა.

— გაჩვენო? — შეხზაროდა ქმარს მაყვალა.

ის რაღაცა შალის ნაცრისფერი ძაფით წმინდად ნაქსოვი ჯემპრე აღმოჩინდა. მაყვალამ ძველებური შიფონერის უჯრიდან ამოაცოცა ჯემპრე, სასწრაფოდ გაშალა, გულზე მიიფარა და დიდრონი, ოდნავ ნალვლიანი, მაგრამ მაინც სიხარულით გაცისკროვნებული თვალბი სერგოს მიაპყრო.

— ჩქარა გაიხადე, უნდა გაგასინჯო! სერგომ სველი პერანგი გაიხადა და ნოტიო მაისურის ამარა დარჩა.

— აჰა! — ველარ ითმენდა მაყვალა.

— ამაზე? — სერგომ შიშველ მკლავებს და მაისურს დახვდა, — მიკბენს!

— ნახე, რა ნაზია!

სერგომ ჯემპრე გამოართვა, შეატრიალ-შემოატრიალა და თითქოს იმის გასაგებად, მართლა ნაზი იყო თუ არა, წვერწამოზრდილ ლოყაზე მოისვა.

— მოგწონს? — მაყვალა თვალბში შესციცივებდა.

თავი ორმოცდამეთხუთმედი

ერკუნული

— შენი სუნი აქვს.
 — ჩემ პერანგებთან იღო.
 სერგომ გაიცინა და ჯემპრეს სახელო-
 ები მოუძებნა. მაყვალა ეხმარებოდა.
 როდესაც ჯემპრე უკვე ჩაცმული იყო,
 ქალმა თავისი ხელით შეაბნია შალვა-
 დაკრული ღილები და ნახევარი ნაბი-
 ჯით უკან დაიწია.
 — ფუ, სულ არ გიხდება!
 — რატომ? — ახლა სერგომაც ჩაათ-
 ვალიერა მკლავებსა და გულმკერდზე
 შემოსხლეტილი ჯემპრე.
 — გაპატარავებს.
 — მე ძალიან მომწონს.
 — მართლა? — მაყვალას ნაღვლიანი
 თვალები გაუბრწყინდა, — მშვიდობაში
 კარგად ყოფნაში!
 — კიდევ?
 — კიდევ რა?
 — ბიჭიანობაში! — დარცხვენით თქვა
 სერგომ.
 — საძაგელი! შენ რა გენაღვლებდა!
 — მე?
 — ნახე, თუ არ მოვეკვდე.
 — დაიწყო კიდევ!
 — სერგო, იცი, მე შენ სულ არ გიყ-
 ვარვარ.
 — ესეც ახალი აღმოჩენა!
 — საძაგლობა არის ყველაფერი, დი-
 დი საძაგლობა.
 — რა არის საძაგლობა?
 — ყველაფერი.
 — მაინც?
 — აი, მაგალითად ის, რომ... — მაყ-
 ვალას ლაწკები შეუფაცლდა, თავი ჩა-
 ლუნა.
 — ის, რომ მე შენი ქმარი ვარ? —
 ხუმრობით შეეშველა სერგო,
 — ნუ ამბობ მაგ სიტყვას.
 — აბა რა არის საძაგლობა?
 — ყველაფერი.
 სერგო უტყუარად გრძნობდა, რასაც
 გულისხმობდა მაყვალა ამ „ყველაფერ-
 ში“ და ეს კიდევ უფრო უძლიერებდა
 ქალისადმი ლტოლვას. „პატარა მაყვა-
 ლა“ მისთვის დღესაც კი მიუწვდომელი
 იყო, ისე ახლობელი და ისე შორეული...

მთელი ღამის განმავლობაში მადლიერ-
 ლებლივ წვიმდა. ღუზუნია აღიდგა. იქა-
 ურდბას იკლებდა ღრიალით. წვიმა მხო-
 ლოდ გამოთენისას დაცხრა, მაგრამ მდი-
 ნარის ყრუ გუგუნე კვლავინდებურად
 ისმოდა. გათენდა თუ არა, პერანგას
 დაკბილულ თხემზე ვეება წითელი მზე
 ამოიწვერა. მოსარკულ ცაზე ერთი
 ფთილა ღრუბელიც აღარსად იყო. ნაწ-
 ვიმარი ვენახი მზის მოვლამდე არ გა-
 დაშრებოდა. ზურია მოუსვენრად წრია-
 ლებდა ეზოში. ადრევე აპირებდა წყლის
 საზიდავად ვენახში ჩარბენას, მაგრამ
 ბაბუამ და დედამ არ გაუშვეს: მიწას
 გაჯეგ, მაგის ფასი რა უნდა გააკეთოო.
 ზურია ძალაუვნებურად დაყაბულდა. უც-
 დიდა, როდის შედგებოდა მზე შუბის
 ტარზე, როდის დაწდებოდა მთელი ღა-
 მის წვიმით დამბალი მიწა. ნასაუზმევს
 სპირიდონმა გამოუჩინა საქმე: თუ ამ
 დილას ზაქარიასთან არ მიგეჩქარება,
 ღუზუნიაზე ჩავიდეთ და ნარიყი მოვაგ-
 როვოთო. წყალდიდობის შემდეგ ნარი-
 ყი მართლაც ბლომად იქნებოდა. ზურია
 უმაღვე გამოცოცხლდა. გულით ეწადა
 ბაბუსათვის სიყოჩლის მაგალითები
 ეჩვენებოდა და ამ ოხერი წვიმის გადამ-
 კიდე მხოლოდ ახლა ეძლეოდა თავის
 გამოჩენის შესაძლებლობა. ხათუნამ ერ-
 თი კი თქვა, დიდი წყალი იქნება და ვი-
 თუ რამე მოიწოთო, მაგრამ ზურია
 ისე გაფაციცებით დაიწყო მზადება, წი-
 ნააღმდეგობა აღარ გაუწევია.
 — მამა, შენი ჭირიმე, თვალი დაიჭი-
 რე, წყალში არ შევიდეს, — შეეხვეწა
 მოხუცს ხათუნა, როცა ბაბუა და შეი-
 ლიშვილი ეზოდან გადიოდნენ.
 პატარა შალვა ოთახის ბნელ კუთხეში
 იჯდა და სლუკუნებდა.
 — გაჩუმდი! — შეუტია შვილს დერე-
 ფანში შემობრუნებულმა დედამ, —
 აგერ შვილდისარი გაქვს და ოთახაშე.
 შალვას ღაპანუშით ჩამოსდიოდა
 მსხვილ-მსხვილი ცრემლები.
 — არ შეიძლება, — დაუყვავა ბავშვს
 ხათუნამ, — ერთხელ ხომ გითხარი.



— გამიშვი, რა იქნება...
— სანამ გაიწყებლებოდე, ხმა ჩა-
წყვიტე.

— ზურია თუ წაველა?
— ზურია დიდია, იმას ედრები?
— შენც მიდიხარ?
— ჰო, გორიჯვარზე მაქვს საქმე. თუ
გინდა, წამოდი.
— არ წამოვალ!
— აბა სახლში იყავი. შენს სალოლი-
ავოდ მცალია ახლა მე?

— დედა, გეხევეები, გამიშვი... — თა-
ვიდან დაიწყო საყვარელი ბაბუას ჩა-
მოსვლით ზომამზე მეტად განებიერე-
ბულმა შალვამ.

— კიდევ! ფეხზე რატომ არ გაცევია?
— ჩავიცვამ.

— ჩქარა!
შალვა ტახტიდან ჩამოხტა.
— ბაბუას ჩამოტანილები ჩავიცვამ?
— ჰო, — ხათუნამ საჩქაროდ გაიხანდა
შველ შედეგილი ბამბაზის ხალათი და
საწოლის გამირზე გადაკიდებულ კაბას
მისწვდა.

— სად არის?
— სად გაიხანდე?
— ტალახში რომ გამიფუჭდებამ?
— რანაირი შემაწუხებელი ხარ, შა-
ლიკო, შვილო, — ხათუნამ ტახტთან ჩა-
ინოქა და ქვეშ შეიხედა, — ვინ შეყარა
ნეტა აქ!

— პალიკო გაკრავდა ფეხს!
— ახლა პალიკოს დააბრალები მოიტა
ჯოხი!
— ჯოხი?
— ჰო! — ხათუნამ ღრმად შეკყო ხე-
ლი ტახტის ქვეშ და ცალი ფეხსაცმელი
დაითრია, — აჰა, ჩაიცვი!

შუადღე მოტანებული იყო, როდესაც
აღმართზე ნარბენმა ზურიათ დედას
გორი-ჯვარზე მიაკითხა. საბავშვო ბაღის
ოთახებში აეუჯს დგამდნენ. ხათუნა
თავს ადგა ღურგლებს. ამათ სკოლიდან
გამოტანილი ძველი მერხები სავანგე-
ბოდ დაედებლებინათ და შინ შემოჰ-
ქონდათ.

— ბაბუა რა უყავი, ბიჭო? — გამო-
ეგება შეიღს ხათუნა.

— რიყეზეა.
— ვერ წამოიყვანე?
— ერთად ამოველთ.
— შენ ისევე მიდიხარ?
— ხარები უნდა ჩაიყვანო.
— მოაგროვეთ რამე?
— იცი, რამდენია?
— წყალში ხომ არ შესულხარ?
— შევსულვარ კი არა, გაღმა გავედი.
— უი, ღმერთო კი მომკალი! დიდია
წყალი?

— ჩავარდა კალაპოტში. ისე მღვრიე
მოდის. იქით გადავარდნილიყო. მე და
ბაბუამ ფონი მოვქმენეთ.

— ბაბუამაც დაისველა ფეხი?
— არა, მარტო მე გავედი. შეშა სა-
ურმესთან დაყვარე. სამი გზა გამოვა.

— ახლა გინდა ამოიტანო?
— ხარები თუ მათხოვა ბრიგადირმა...
— არ გაბედო! — მკაცრად შეაწყვე-
ტინა შეიღს ხათუნამ, — წადი, ბაბუას
დაუძახე, ახლავე ამოვიდეს!

— ხარებს ჩაგვერი და...
— ხომ გესმის, რასაც გეუბნები: ახ-
ლა ნარიყის ამოტანა არ შეიძლება!

— რატომ? — ზურიას ხმაში მუდარა
გაისმა.

— გინდა ხალხის სამასხარავოდ გაი-
ხადო თავი? ნარიყი გაყდენთილია
წყლით, იმას შენ დასძრავ ადგილიდან?
— აბა რა ვქნა?

— იყოს, სადაც მოაგროვე. ორ-სამ
დღეში მზე გამოაშრობს, წყალიც მოიკ-
ლებს და მეტე ამოიტანე, რა არის ამის-
თანა საშურო!

— დღეს კიდევ იწვიმებს, დედა, —
დარწმუნებით თქვა ზურიათ, — მოვარ-
დება წყალე და იმასაც წამართმევს,
რაც ვიშოვე.

— წადი და იტეხე კისერი! — გაჯავ-
რდა ხათუნა, — ერთი რამე წამოგტყე-
ნია!

— გამოღმა გადმოვიტან. ამდენი ნაშ-
რომი წყალს გავატანო?

— ნუ გაატან. როცა უფროსის არა-
ფერი გეყურება, ნუ გაატან!

— გული რაზე მოგდის, დედა... —
წრფელი საყვედურით თქვა ზურიათ.

— შენ რომ ჩემს გულისმოსვლას ან-
გარიშს უწყევდე, აგრეც არ მოიქცეოდი.

— მე რა ვქნა, ბაბუამ მითხრა და... —
დარცხვენინლმა ბიჭმა სპირიდონის შე-
უვალი ავტორიტეტი მოიშველია და
მშობელს გაუბედავი ნაბიჯით მოს-
ცილდა.

— შენ სადღა მიყვები — ახლა უმ-
ცროს ვაჟიშვილს შეუტია გაზიზღებულ-
მა ხათუნამ.

— წამოვიდეს. ნაპირზე დაეტოვებ,—
გამოესარჩლა უმცროს ძმას ზურია.

— მოდი, შალო, აქ!

აბუხული ბიჭი უსიტყვოდ დაბრუნდა
უკან და ცრემლების დასამალავად მა-
შინვე დერეფნის კარს ამოეფარა.

ხელოსნებს უკანასკნელი მერხები შე-
ქონდათ დერეფნის მეზობელ ფართო
ოთახში. ხათუნას თავსავე არ უნდოდა
ამ მოძულეებული მერხების გადმოტანა
სკოლიდან, მაგრამ ლოლაქმე გადაჭრით
იუარა ახალი ავეჯის შესაძენად თანხის
გამოყოფა. ისაია იძულებული გახდა
მერხები დაეშალა და ხათუნას მითითე-
ბისამებრ შეძლებისდაგვარად გადაეკე-
თებინა. მერხები კედლის გასწვრივ ჩა-
ამწყრივეს. ფანჯრების მხარე მთლიან-
ად თავისუფალი იყო. ავეჯმა დიდი
ადგილი დაიკავა, მაგრამ როგორც არ
უნდა ეტრიალებინა, ხათუნა უკეთ ვერ
დალაგებდა.

სანამ ხელოსნები მერხებს მოახრიგი-
ნებდნენ, ხათუნა რამდენჯერმე მივიდა
ფანჯარასთან, რათა ზურიას ჩაგლა არ
გამოჰპარვოდა. ზურია არ ჩანდა. „აღ-
ბათ, ვერ იშოვნა ხარები,“ — გული და-
იმშვიდა ხათუნამ და ფანჯარას მოს-
ცილდა. ათიოდე წუთის შემდეგ შალი-
კოს ჭყვილი მოესმა.

— ვის უძახი, ბიჭო? — გამოჰხედა
შვილი ხათუნამ.

— ზურია მიდის, ხედავ?

გაღმა, გოგილას ყანის თავზე მართ-
ლაც მოჩანდა ხარ-ურემი, რომელიც
თავდაღმა ეშვებოდა.

„არაფერი მოიწიოს ამ ჩემი ცოდვით
სავსემ, — ჯავრი შემოაწვა ხათუნას, —
ხმას მაინც მივაწვდენდი!“

ამ განზრახვით გარეთ გამოვიდა, მაგ-
რამ ურემს უკვე ჩაეგლო და ხედავს
მიფარებოდა.

— შალო, აქ იყავი, დედა, ამ წუთში
მოვალ! — დაუბარა პატარას ხათუნამ
და სახატოს ჭალისაკენ გასწია, რათა
ბილიკით გზა მოეჭრა და ზურიასათვის
ლუხუნისა რიყეზე ჩაესწრო. როდესაც
სერს გადაადგა, შიში უფრო გაუძლიერ-
და: მღვრიე მდინარე ჯერ კიდევ ვერ
დატეულიყო კალაპოტში და პატარა-პა-
ტარა ფშანებად გაბნეული მთელ რიყეს
ლოკავდა.

„ვიამე, შვილო!“ — აღმოხდა ქალს
და თუმცა წებოვანი ტალახით დამძიმე-
ბულ ფეხსაცმელს ძლივს მიათრევდა,
მოსრიალებულ შუროზე სირბილით და-
ეშვა.

ხარებმა წყალი დაეცოდა და გაუბე-
დავად შედგეს შიგ ფეხი. ბაბუა და შვი-
ლიშვილი ურემზე აბარებულყენენ.

— ზურია, შვილო! — დაიკივლა ხა-
თუნამ.

მდინარის შუილში ელდით გაბზარუ-
ლი ხმა არავის გაუგონია. ხარებს მუხ-
ლებამდე მოადგა წყალი. ხათუნა მიხ-
ვდა — აქედან ხმას ვერ მივაწვდნო.
კრიჭამერკული მისდევდა ორმოებით
დაკბენილ შუროს. ერთი ორგან ფეხი
დაუცურდა და კინალამ პირქვე გადაეშ-
ვა თავდაღმართში.

ხარები წინ მიიწევდნენ. აი, წყალმა
მუცელს უწია. წინ გადახრილი ზურია
ჭალს ჩასჭიდებოდა და გრძელ სახრეს
იქნევდა.

ხათუნას მოეჩვენა, რომ ურემი წყალ-
მა აატრეტივა, ხარები დაიძაგრნენ. ამ-
ჯერად მიმართულება შეიცვალეს და
აღმა-აღმა აუყვნენ წყალს. სპირიდონი
ხარებს უჯავრდებოდა. ზურია გამეტე-
ბით იქნევდა გრძელ სახრეს და ცლი-
ლობდა ხარები ვაღმა ნაპირისაკენ მი-
ეგდო.

ხათუნამ რიყეს ჩაღწია. დაყოვნების
დრო აღარ იყო. მაშინვე გაირბინა
წყალმდე დარჩენილი ორიოდ ნაბიჯი
და ანგარიშმიუცემლად მდინარეში შე-
ვარდა. წყლის შუაგულიდან დაინახეს.

შიშით გულგადმოტრიალებულ ზურციას ხარებმისათვის თავი გაენებებინა, მთელი ტანით მოტრიალებულიყო და ხათუნას რაღაცას უყვიროდა. წყლის მოწოლით გახევებული კალთა ქალს მუხლებზე შემოეთენინა. ხათუნა სიცივეს არ გრძნობდა. გამშაგებით მიიწვედა წინ.

— დედა! არ დამღუპო! გადი უკან! — მოესმა ზურციას შემზარავი ხმა.

ხათუნა ვერც ამ ხვეწნა-მუდარამ შეაჩერა. წყალი უკვე წელზე სცემდა და ყოველ წამს წაქცევით ემოქრებოდა.

ზურციამ დიდხანს ვერ გაუძლო ბიფათში ჩავარდნილი დედის ცქერას. ჭალს ხელი უშვა და მდინარეში მოადინა ზღართან. ამასობაში სპირიდონმა ხარები მოღრიჯა. ნაბიჯით წაიყვანა. ხათუნას მდინარის ნახევარზე მეტი გამოეცლო. დედაშვილმა გათოშილი ხელები ჩასჭიდეს ერთმანეთს და გაღმა ნაპირისაკენ განაგრძეს გზა.

ხარები რიყეზე გავიდნენ. ჯერ ურმის ზედაღვარმა ამოიწია წყლიდან, მერე თვლებიც გამოჩნდა. სპირიდონმა ურეში გააჩერა და უკან მოიხედა. სახეშეცვლილი ზურია და ხათუნა მშვიდობიანად უახლოვდებოდნენ ნაპირს.

საყვედურის მწარე სიტყვები არცერთს არ დასცდენია. სამივე კარგად გრძნობდა საკუთარ დანაშაულს. როდესაც ურემთან თავი მოიყარეს და მღვრიე წყლით გაქლენთილი ტანსაცმლის გაწურვას მორჩნენ, სპირიდონმა ხარები გამოუშვა და თხმელებში შერევა. ზურციამ ავლახა მოისაკლისა. უკანა კალი, რომელზედაც ღვლურჭის ავლახა იყო ჩამოცმული, წყალს მოეტაცა. ბიჭმა ქამარზე მოისვა ხელი, სადაც კაცების წაბაძეთ წალდი ჰქონდა გაჩრილი. „ვაი!“ — დასცეცხლა უმალ, მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რომ დედის მისაშველებლად წყალში ჩახტომის წინ წალდი რიყეზე გადმოავდო, რათა ზედ ხელი არავის შეეჭრა. ძებნას დიდი დრო არ დასჭირვებია. წალდი მოსილულ ქვებში ეგდო.

— შენ მოჭრი? — მოაძახა ზურციას სპირიდონმა.

ბიჭი თხმელის ბუჩქნარში შეეჩრდა და მალე მსხლის შევუღალ ნახარდი ტოტი მოიტანა. მსხლის გულსხევე ტოტისათვის ტირიდის წნელებიც მოეყოლებინა ავლახას დასაგრებად. ხათუნა და სპირიდონი ურემს ტვირთავდნენ. ზურციამ სასწრაფოდ გასხევა ტოტი, ორივე მხრიდან დაამოკლა, წვერი ოთხკუთხად წაუთალა და ზედაღვარის ჭდეს დააზომა. ახლა მხოლოდ ავლახა იყო გასაკეთებელი.

— მაია, ამას ნუ აწვევ, მძიმეა! — მოისმა ხათუნას ხმა.

— მომიკიდე, მომიკიდე ხელი! — ბუზღუნებდა სპირიდონი.

— ზური, მოდი, შევიღო, ამიწიე.

— ამას უყურე! ქალო, მე დამბლადაცემული კი არა ვარ!

— გვაცალე, ჩვენ ვიზამთ.

ორად მოხრილი თხმელის მორი, რომელსაც დახეთქილი შავი ქერქი ჯერ კიდევ შერჩენოდა, ხათუნამ და ზურციამ ძლივს ააცილეს მიწას. სპირიდონის მოხმარება მაინც საჭირო ვახდა.

— ფათერაკს გადავეყრებით, გულში მიგრძნობს, — თქვა ხათუნამ, როცა წყალში თრევეთ ორმაგად დამძიმებული მორი ურემზე მოათავსეს, — წყალი დიდაა.

— ურემსაც დიდი ტვირთი უდევს. დედა, წყალი ვერ მოერევა, — გამოთქვა აზრი ზურციამ.

— ხარებს გაუჭირდებათ, შვილო.

— რას ამბობ, აბა აქ დაეტოვოთ?

ხათუნამ ზემოთ აიხედა. ცაზე თხელი ღრუბელი გაჩენილიყო. აღმოსავლეთით, პერანგას თავზე, ნისლის სვეტები ხევხუეებს ებჯინებოდა.

— მთაში წვიმს. ვაითუ წყალი მოვარდეს.

— ბაბუა, იწვიმებს?

სპირიდონმა პერანგას გაჰხედა და დინჯად თქვა:

— ეს წვიმა აქეთ არ წამოვა.

— ე, ხომ ვითხარის — წამოიძახა გახარებულმა ზურციამ.

— მთაში თუ წვიმს, წყალი ხომ წამოვა აქეთ! — მაინც ეჭვობდა ხათუნა.

მზე ნელნელა მიეფარა ღრუბელს. ცის სილურჯე ძნელი გასარჩევი იყო.

— ღამდება? — იკითხა ზურია.

— გაინძერი, გაინძერი! — აჩქარებდა შეილიშვილს სპირიდონი, — რა დროს ღამბარაკია!

ურემი მალე გაივსო ნარიყით. ზურია მპირი მოაკიდებინა ქალს ზედადგრის ქდემი და ზემოდან წალდის ყუა დაჭკრა. სპირიდონი ავლახას აცემდა მეორე ქალზე.

— მამა, კიდევ წყალში აპირებ გამოსვლას? — ჰკითხა მოხუცს ხათუნამ, რომელსაც უღელდადგმული ხარები მოეყვანა და ქვიშაზე განრთხმული ფრხილეების აქეთ-იქით დაეყენებინა.

სპირიდონმა წაუყრუა. როდესაც ქალზე ჩამოცმული ავლახა საიმედოდ გაამაგრა, ახლა ზურიას ქალს მისწვდა, ხელი ღონივრად ჩასქიდა და ვადმოსწია. ზურიას კბილები დაეკრიკა. ხელმარჯვე ბაბუას ეხმარებოდა.

— მამა, წყალში ნუ გამოხვალ, ბონდზე მოიარე, — მორიდებულად გაუძეორა მოხუცს ხათუნამ, — ხარებს მე და ზურია გავყვებით.

— მე ვერ მოვევლი ხარებს თუ? — გაქვაცობდა ზურია, — ბაბუა, ჯაჭვი რომ არა გვაჭებს?

— უნდა წამოგედღვანა.

— საშიშია?

— თხელ წყალს დაუყვევი, პირდაპირ ნუ ივლი, მარცხნივ დაიჭირე.

— შევება?

— მიდი, მიდი, ჰე!

ზურია ხარებს შემოურბინა, წინ დაუდგა და უღელს მიაწვა.

— დოუხე, ნიკორა!

— მამა, შალიკოს თავს გაფიცებ, ფეხი აღარ დაისველო, — თქვა ადგილიდან დაძვრის წინ ხათუნამ, — გესმის?

— შენ მოდიხარ? — ახლა ზურია მოუბრუნდა დედას.

— შუა წყალმდე მოგყვები.

ურემი ჭრიალით დაიძრა.

— ხიო, წიქარა! — შეუტია ხარებს სპირიდონმა.

ლუხუნია ჩხრიალით მოედინებოდა თავთხელში. ალაგ-ალაგ კვერცხივით დამრგვალებულ რიყის ქვეშ უღელდა თავზე. ხარებს ფეხი უსწლტებოდათ. ურემი ჯაყჯაყით მიგორავდა.

— წინ გავუძღვე? — მოიხედა ცოტა არ იყოს შემკრთალმა ზურია.

— ზემოდან მოუღექია — გააფრთხილა სპირიდონმა, — ეცადე, პირდაპირ არონიო, მარცხნივ თავთ დაიჭერენ.

ზურია წყალში შევიდა და ხარებს წკება უშხუვლა. შეშით დატვირთული ურემი დგაფუნით შეგორდა მდინარეში.

„ღმერთო, შეგვეწიე! — გაიფიტრა ხათუნამ, — მგონია გავასწროთ, სანამ აღიღებოდეს“.

— მიამახე, ბიჭო, მიამახე! — ყვიროდა ნაპირზე დარჩენილი სპირიდონი.

ხარები ერთგულად მიამიჯებდნენ თხელ წყალში. ზურია ხან თავს დაუვლიდა, ხან ზედა გვერდიდან მოუღვებოდა ურემს, ხალისიანი შეძახილით ხარებს ამხნევებდა.

ხათუნამ ფეხის წვერი ჩაჰყო წყალში. უსიამო ჟრვოლვამ დაუარა. წედან რატომ ვერ ვიგრძენი თუ წყალი ასე ცივი იყო — გაუელვა წამით.

სპირიდონი ისევ უჯაერდებოდა ხარებს.

ზურია რამდენჯერმე მოიხედა უკან. ალბათ, დანამდვილება უნდოდა, ნახე ვარი გზა გავლიე თუ არაო.

გაღმა ნაპირთან წყალი საგრძნობლად ღრმა ჩანდა. აქოჩრილ ზვირთებს შემპარავი სივილით მოაგელვებდა. შხივი და ღრმა წყალი ხარ-ურმის სიჯანისა თუ იქნებოდა. მთავარი ის იყო, ხარებს ფეხი მოეკიდათ ქვიშაზე, ნაპირამდე მიღწიათ, იქიდან კი როგორმე აათრევდნენ მშიმე ურემს. ეტყობოდა, ზურია მაც კარგად იანგარიშა ეს. ხარები გააჩერა, თვითონ კი წინ წავიდა გზის შესარჩევად.

ხათუნამ ოდნავ შემშრალი კაბა ამოიკალთავა და ცივ წყალში შეაბიჯა.

— ქვედა მხარეზე არ დაუღვეთ ურემს! — მოამახა სპირიდონმა.

„დედა, რა ცივია! — ფიქრობდა გზა“

დაგზა ხათუნა და რათა თვალი არ აჭრე-
ლებოდა, ერთთავად გაღმა ნაპირზე ეჭი-
რა თვალი,—სეტყვა თუ მოვიდა საღმე!

ურმის თელუბის დგაფუნმა შეაკრთო.
ზურია ცვლავ მარჯვენა მხრიდან ამოს-
დგომოდა ხარებს და შხივში შეჭყავდა.
ხარები ჯიუტად სწევიდნენ თავს. უფრო
წინ წასვლა ვეღარ გაებედათ.

— ხიო, ნიკორა! — დასჭყვილა ზუ-
რიამ.

ხარებმა ფეხიც არ მოიცივალეს. ძლივს
იკავებდნენ უკანდინ მოწოლილ ურემს.

ხათუნას შიში შეეპარა, ვაითუ უღელი
გატყდესო. ღირდა კი ორი ღერი შეშა
ამდენ ვაიუშველებლად?

ღედის მღელვარება ზურიასაც გადა-
ედო. ამოდ უვლიდა ურემს გარშემო,
ამოდ აქეზებდა ხარებს. ეს უკანასკ-
ნელნი გაუნძრევლად იდგნენ ერთ ად-
გილზე, თითქოს წინა ფეხები მიწაში
ჩაურჭვიათო. ბოლოს ზურია მისისაზ-
რა, რაც უნდა ექნა. ურემს უკან დაუდგა
და მთელი ძალღონით მიაწვა, თანაც
ათასგვარ საალერსო სახელებს უძახდა
ხარებს.

— რას შვრები, ბიჭო?! — აღმოხდა
ხათუნას.

ხარებმა ზედმეტ სიმძიმეს ვეღარ გა-
უძლეს, ერთბაშად მოსხლტნენ და შემ-
ზარავი ზმუილით გადაეშენენ შხივში.
წამით ხარები წყალმა დააფარა, მხო-
ლოდ აპრეხილი თავები მოჩანდა წყალს
ზემოთ. ზურია არ დაიბნა. ფეხდაფეხ
მიჰყვა ხარებს.

საშიშროებამ თუ სხვა რამემ ხარებს
უმაღვე მოამაგრებინა მუხლი. ურემი
უკვე მთლიანად შხივში იყო და წყალი
გამაგებული ძალით აწევებოდა. ხარებმა
ნაპირისაკენ გაიწიეს და კიდევ გაიტან-
დნენ ურემს, მარჯვენა თვალი რომ
წყალქვეშა ქვაზე არ შემდგარიყო. ხო-
რად დადგმული შეშა წყლის დინების
მხარეს გადაიზნიჭა. ზურია მკალს ჩას-
ქიდა ხელი და წონასწორობის შენარ-
ჩუნების მიზნით ძალღონის დაუზოგავად
ეპაჩებოდა. უღელი მოიღრცა. თითქ-
მის საშვილობოს გასულ ხარებს ავეუ-
რებმა წაუჭირეს ყელში.

— მოეშვი ურემს, ხარებს შეეშვე-
ლე! — დაიყვირა ხათუნამ და თავდაც
შხივში შევარდა.

ზურია ამხალა შენიშნა, რომ საქმე
ცუდად იყო. ორიოდ გაბრძოლებით ხა-
რებთან გაინდა და ქამრიდან წალდი
ამოიძრო, რათა ავეურები გაეჭრა და პი-
რუტყვი გადაერჩინა, მაგრამ დამტრ-
თხალმა ხარებმა ვერ გაუგეს, თავის საშ-
ველად მარცხნივ გადაქანდნენ და ხელ-
ახლა ჩაცვივდნენ შხივში. ახლა ხარ-
ურემი თავდაღმა მიჰქონდა მდინარეს.
მძიმედ დატვირთული ურმის თვლებ-
წყალქვეშ გრუხუნებდნენ და ისედაც
გადარეულ ხარებს აფრთხობდნენ.

— დავიღუბეთ! გვიშველე, მამა! —
იკვილა ხათუნამ და ურემს წყალ-წყალ
გამოუღდა.

ზურია წინ მირბოდა შხივში. ვალა-
ლაპებუი წალდი თავს ზემოთ აეწია.

— ზური, შვილო, ნუ გეშინია, მეც
შენთან ვარ! — უკანასკნელი სიტყვები
ხათუნამ შლამიან წყალთან ერთად გა-
დაყლაბა, მაგრამ ხელები გაასაგსავა და
ბორძიკ-ბორძიკით ცვლავ ფეხზე დადგა.

ზურია წამით მოიხედა და ღედა და-
ინახა.

— სამატი, სამატი, შვილო, სამატი
გადაჭერი! — ყვიროდა ხათუნა.

ეს ერთადერთი სწორი მოსაზრება
იყო. თუ ზურია სამატის გადაჭრას მო-
ახერხებდა, ხარები მოწყდებოდნენ
ურემს და მშვიდობიანად გავიღოდნენ
გაღმა. ჯანაბას შეშა და ურემი. ახლა
საამისოდ ვისლა სცხელოდა!

ღედის დანახვამ ზურია მოაღუნა.
უნდოდა დაეძახა, ამ წუთში გაღმა გა-
დიო, მაგრამ ტირილი აღრჩობდა.

წინ, ასიოდ ნაბიჯზე მდინარე კლდეს
ეზღინებოდა. კლდის ძირას ღრმა მორე-
ვი იყო. თუ ხარებს იქამდე ვერ გადაუს-
წრებდა, მერე მშვიდობით!

ხათუნა საგრძნობლად ჩამორჩა შვილს.
ზურია ხან ყელამდე ჩაეარებოდა
წყალში, ხან წელს ზემოთ ამოიწევდა.
ეჭვი არ იყო, წყალმა მოიმატა. კიდევ
წუთიც და...

ურემი გადაბრუნდა. ხარები დადგნენ.

ხათუნას თვალწინ ყველაფერი აირია. ნუთუ გონება ეკარგება?

— შეილო! — ეს უკვე ცხოველური ზმუილი იყო.

ურემზე დანაწყობი ნარიყი შეშა წყალს მიჰქონდა. მდინარის შუაგულში თავშიშველი სპირიდონი იდგა და ხარებს უღელს ხდიდა. ზურია მ რიყისაკენ მოისროლა წალდი და ღონემიხდილი დედის მოსაშველებლად წამოვიდა.

— ჩქარა, დედა, წყალი მატულობს! — ყვიროდა გზადაგზა.

— გადაურჩით? ცოცხალი ხარ? — მამა უკვე აღარ ახსოვდა ხათუნას.

ერთმანეთს ხელი ჩახჭიდეს, მიმართულება მკვეთრად იცვალეს და დიდის წვალეებით მიადგნენ დახრამულ ნაპირს.

ზურია ზემოთ აბობღდა, ისე, რომ დედისათვის ხელი არ უშვია. ქვიშაირ ნაპირი იშლებოდა. ხათუნამ მაინც მოაჩერა ზედ მუხლის დაბჯენა და შვილის დახმარებით წყლიდან ამოვიდა.

— მამა სად არის? — ახლალა მოაგონდა მოხუცი.

ბლანგალოკილი ხარები თავბოლო-შექცევით იდგნენ ნაპირზე. სპირიდონი კვლავ წყალში შესულიყო.

— მანდ რა გინდა მამა?! — დაიძახა ქალმა.

ზურია ბერიკაცის მისაშველებლად გაექანა. ორიოდე წუთის შემდეგ მდინარიდან ცარიელი ურემი ამოათრის და სანამ დაოსებული ქალი აქამდე მოაღწევდა, ბაბუაცა და შვილიშვილიც სულის მოსათქმელად ზედ მიეყარნენ.

(გაგრძელება იქნება)

ჯიჩიკ სულავერაძე



ქარლო ქილაჩავას, ველა გაბუნის
და გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას

იმ გზაზე, რომლის მარცხნივ და
მარჯვნივ
მზის დასავლამდე დგანან ალგები,
იღვრება ფერი ვერცხლის და მარჯნის,
ფერი მწუხრის და გამოსალმების.

გზაზე, რომელიც შორეთს თავდება,
გზაზე, რომელზეც ჩრდილი წვებიან,
ისევ ჭაბუკი მიემართება,
თითქოს სხვა გზები დავიწყებია.

მე ვუხმობ: „ეს გზა შენი არ არის,
უკან დაბრუნდი, მოყვასო ჩემო!“



მტკვარგალმა დაგრჩა ბავშვობის კერა,
დედის ცრემლი და მამის ჭაღარა,
აქ სხვა ჭაღარმა მოგაპყრო მზერა
და სხვა ფოთლები გადმოგაყარა...

შენი ბალღობია და სიყრმის მხარე
ახლა სხვაგვარი შექით ნათდება,
ცაზე თვალდათვალ იზრდება მთვარე,
ყრმობის სიზმრებში მიემართება.

მოულოდნელად იელვებს მტკვარი,
როგორც იელვა მამის ჭაღარამ.



უმთვარო ზეცა დასცქერის დიდხანს
მდუმარე ზღვას და უაფრო ანძებს.
ეს ღამე დიდი კვამლია თითქოს,
თვალებს მიწვავს და მეხვევა ტანზე.

ვერცხლისფრად ელავს ცის დასავალი
და ცა ფითრდება ალგების ზემოთ.

ის მიდის, მიდის მხრებში მოხრილი
და უერთდება საღამოს ფერებს.
იქ ჩრდილებია მიყრილ-მოყრილი
და ქარნი ჩრდილში ურტევენ ხელებს.

მარჯვნივ და მარცხნივ,
მარცხნივ და მარჯვნივ
არ ირხევიან სწორი ალგები,
იღვრება ფერი ვერცხლის და მარჯნის
ფერი მწუხრის და გამოსალმების.

გალმა ანთია ცრემლი კვარციით
და ცრემლის შექი ვინ მოგახალა?

მოულოდნელად იელვებს მტკვარი,
დედის ნაღველმა როგორც იელვა,
როცა მიჰგვარე უცნობი ქალი,
ვით სიყრმის ცოდვა და პატიება.

ასე გიმზერს და გიხმობს გაღმიდან
შენი ცხოვრების ნათელი მხარე...
გალმა ბალღობის ფერი დაღვრილა,
ყრმობის სიზმრებში წასულა მთვარე.



ფეხაკრეფილი დავდივარ გარეთ,
ვარ უშენოდ და შენით ვივსებო.
და, როგორც ღამემ ან, როგორც
მთვარემ,
მინდა მოგვეარო ტბილი სიზმრები.



რადგან სხვა არის აწ მშვიდი ძილი,
მე სამშვიდობო ვარსკვლავებს ვახელ,
ძილი მოგეცი შენ ჩემი წილი
და ჩემი წილი სიზმრებიც ნახე.

მოვდივარ...

ზღვაზე თენდება ისევ, **ერქონული**
ზღვაა მდუმარე და ფიქრმაზიროვნება
და მინებევით ჩაღეწილ სიზმრებს
ქვაფენილებზე გააქვთ წკრიალი...

ეს ფიქრი, როგორც კვამლი მხვიარა
ცად მიმავალი ფრთხილად დაირწა...
მე ამ მიწაზე უნდა ვიარო,
ამ მიწად ვიქცე, არა სხვა მიწად.

მე ამ მიწაზე უნდა ვითრთოლო
აქ შევაცენო სიცოცხლის გემი,
გადავითრთვილო, გადავითოვლო
და დავისრულო მიმწუხრი ჩემი.

მე ამ მიწაზე უნდა ვიციხო ,
და ამ მიწაზე დავღვარო ცრემლი.
გადავინისლო, გადავიწვიმო,
და გავიბრწყინო ცისკარი ჩემი.

მხვიარა კვამლი დაირწა ისევ,
ისევ შორსაა ბინდი ღამისა...
მაგრამ მე მინდა ამ მიწად ვიქცე,
ამ მიწად მხოლოდ, არა სხვა მიწად.



მობონებები*

ჩემი აზრით, გიგო და ნინო შარა-
შიძეებისათვის არ არის საკმაოდ ასე
მობონების სახით დაწერილი დახასია-
სებები. იმათ ცხოვრებაზე საქიროა და-
იწეროს მონოგრაფია, სადაც აღწე-
რილი იქნება მათი მრავალგვარი მოღ-
ვაწევითა ყოველ დარგში. მათი მოღვა-
წეობა, რასაკვირველია, არ განისაზღვ-
რება მხოლოდ მასწავლებლის მოღვა-
წეობით, ისინი იყვნენ მწერლები, გიგო
როგორც მეცნიერი, იყო მთავარი ფი-
ზიკური ობსერვატორიის წევრი-კო-
რესპონდენტი. აქ ჩვენ არ შევხვებით
დაწერილებით, თუ რა დეაწლი დასდო
მან განსაკუთრებით ბახვის წყა-
ლის გამოყვანით, საკრედიტო დაწესე-
ბულების დაარსებით, აგრეთვე მევე-
ნახეობის, მებაღეობისა და მეაბრეშუ-
მეობის განვითარების საქმეში. ბიბ-
ლიოთეკის დაარსებითა და სხვ.

ბახვის ახალი სკოლის შენობა მოედ-
ნის განაპირას, მალა დგას ამაყად
და სრული უფლებაც აქვს გამოიყუ-
რებოდეს ამაყად, რადგანაც ლამაზი და
მოხდენილი გარეგნობა ამშვენებს მას.

მთელი ეკლესიის შენობის ქვები ამ
სკოლას მოხმარდა, — მითხრა ერთმა
ადგილობრივმა მოღვაწემ, ამის გარ-
და, დიდი დეაწლი მიუძღვის ამ სკო-
ლის აშენებაში ნატაში ქიქოძეს.

ნატაში ქიქოძე პლატონ მიქელაძის
ქალიშვილი იყო, ბახველი ქიქოძის
მეუღლე. მან მთელი თავისი მოღვაწე-
ობა და საქმიანობა ბახვის საზოგადო-
ებას მოახმარა. ბახვში დააარსა მან
პირველი აბრეშუმსაქსოვი არტელი და
ბახვის მშრომელი ქალები ჩააბა ამ

საქმიანობაში. ამავე დროს დიდი ენერ-
გია მოახმარა სკოლისათვის შესაფერი
სახლის აშენების საქმეს. ამ მიზნით
დადიოდა ის მოსკოვში სერგო ორჯო-
ნიკიძესთან და დიდი მადლობელი იყო იმ
რჩევა-დარიგებისათვის, რომელიც ორ-
ჯონიკიძემ გაუწია ბახვის სკოლის შე-
ნობის აგების საქმეში.

ნატაში ქიქოძემ მთელი თავისი სი-
ცოცხლე ბახვში გაატარა, ძველი ქრის-
ტიანი ასეკტივით, თავისი თავისათვის
არაფერზე არ ზრუნავდა, ყველაფერი
სხვისთვის ემეტებოდა და ისე გარდა-
იცვალა, რომ მხოლოდ ერთი ძროხა
და ერთთვლიანი ჰატარა სახლი დაუ-
ტოვა თავის უფროს შვილს — მიხეილ
ქიქოძეს, რომელიც ახლა იქ ცხოვ-
რობს. ნატაში გარდაიცვალა 1952
წელს, ასე ვთქვათ, თავის „მოვალეო-
ბის“ ასრულების დროს, კრებაზე მოხ-
სენების კითხვისას, ქ. მახარაძეში.

დავბრუნდით ჩვენ ნათესავებთან,
უმეტესობას თავი მოეყარათ ჩემი
ბიძის — მიხეილ ანთაძის სახლში და
გვიცდიდნენ სადილად. აქ ვნახე ჩემი
ჩოხოსანი, გრძელწვერა ბიძების მაგიერ
მათი შვილიშვილები, წვერულეაშგაპარ-
სული, მზიარული, უმაღლეს სწავლა-
ნილებული, ბედნიერი ახალგაზრდობა.
ჩვენ მასპინძელს, ჩემი ბიძის შვილი-
შვილს ა. თოფურიას დაეპატივებინა
მთელი ბახვის მოწინავე საზოგადოება
და მშვენიერი ფაიფურის ქურჭლეუ-
ლობით გაწყობილ მაგიდას, ასე ვთქვათ,
„ჩიტის რძეც“ კი არ აკლდა. სადილო
სიმღერით, საღვებგაქელოებით და სი-
ტყეებით გავეტარეთ.

შე მაკვირვებდა ახალგაზრდობის სი-
ტყეაწულიანობა. ყველას სიტყვაში ჩან-

* დასასრული. იხ. „მნათობა“ № 7, 8.

და, რომ ახალგაზრდობას უნდოდა ახალი ცხოვრების განმტკიცებისათვის არ დაეხოფა თავისი ენერჯია და ცოდნა. იმათი სიმღერები ამტკიცებდა, რომ ძველი ცხოვრებიდან მათ ამოკრიფეს და შეითვისეს, რაც საუკეთესო იყო: ჩონგური, სალამური, ნაღური, ძილისპირები და სხვ., მღეროდნენ ქალებიც და ვალებიც.

ყველა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ჩაის მეურნეობას. ამბობდნენ, რომ ამ მეურნეობამ შექმნა გურიში დიდი დოვლათი და ისეთი შეძლებული მატერიალური ცხოვრება, როგორც ჩვენ წინაბრებს არ დაესიზმრებოდათ.

მე ვუთხარი ერთ ჩემ ნათესავ ქალს — მაღლი ანთაძეს, რომელიც აბრეშუმის ტანისამოსში იყო გამოწყობილი:

— მართალია, ჩაიმ შექმნა დოვლათი, მაგრამ განა უნდა დაგვაფიწყდეს სიმინდი, ყოველმხრივ სასარგებლო და ლამაზიც, მწვანე, შრილა, გრძელფოთლებიანი, ზღვასავით რომ ღელავდა მინდვრებში, ტარობს რომ ვაიკეთებდა და გადმოუშვებდა სირმასავით ლამაზ ფოჩს, მშვენიერი გამოცანაც რომ შექმნა ხალხმა სიმინდის შესახებ:

„ახლამაზა მე მქვია,
ახი ფარჩა მაცვია,
სირმისფერი ქორიო
თავზე ვაღამარცხნია...“

— არა, ჩაი ოქროა, — მითხრა მან.

— მაგრამ, აი, შენი დაკორძებული ხელები ამტკიცებს, რომ ერთობ ბევრს მუშაობ ამ ოქროსთვის.

— მართალია, მე მოზომილი მაქვს მიწის ფართობი და წლის განმავლობაში რამდენიმე ტონა მწვანე ჩაის ვაბარებ მთავრობას. დიახ, ჩაი ოქროა... თუ არ იმუშავე, ოქროც არ იქნება, — გაიცინა მან.

ამის წინააღმდეგ რა ითქმოდა! მომიგონდა ლევ ტოლსტოის ერთი ზღაპარი, რომ მშრომელთა სახელმწიფოში, ვისაც ხელები არ ჰქონდა დაკორძებუ-

ლი მუშაობით, საცხოვრებლად არ უშვებდნენო და ჩემთვის ცხადი გახდა, რომ, ვისაც უნდა კარგად იცნოს ჩვენი მული, ჰქონდეს კარგი ცხოვრება, ე. ი. კარგი საკმელ-სასმელი, ავეჯი, ფაფურის მურქელი, პიანინო, და სხვა, როგორც ახლა აქვს უმეტესობას გურიში, იმათი ხელებიც დაკორძებული უნდა იყოს მუშაობით.

ბახვიდან სოფელ დუბაზუში გამოვიარეთ. დუბაზუ თითქოს გაგრძელებაა ბახვისა. ისევე ლამაზად ამწვანებული ჩაის ხალიჩებით, ვერც იქ ნახავთ უწინდებურ დიდ ეზოებს კონინდრითა და თუთის და მსხლის ხეებით. ეზოების მთელი ფართობი განკუთვნილია ბოსტნებისა და სიმინდის ყანებისათვის.

ჩვენც სწორედ ამისთანა ეზოში მოვხვდით. ბოსტანში მუშაობდა ხანში შესული ჩვენი მასპინძელი — გრიშა დითუნაიშვილი. ეტყობა ხანდაზმულობის გამო კოლმეურნეობაში აღარ მუშაობს და ოჯახში საკმეიანობით არის დატვირთული.

— რა გქნათ, უმკალოდ ვერ ვძლებთ და ეზოებში ვთესავთ ცოტაოდენ სიმინდს. როგორც მოგეხსენებათ, სიმინდი ისე ბლომად აღარ ითესება ჩვენში, როგორც უწინდელ დროში, მისი ადგილი „მწვანე ოქრომ“ დაიკავა, ქათმის საცივს კი მკაღი და ღომი უხდება, ლობიოსაც, მაგრამ ყველაზე უფრო უსიმიანობა დააკლდა ჩვენ საქონელს, — დაუმატა მან სიცილით.

დუბაზუ ლამაზი სოფელია. უწინ აქ იმართებოდა დიდი საეკლესიო დღესასწაული — „გიორგობა“. წირვის შემდეგ მთელი დუბაზუს ახალგაზრდობა გამოდიოდა ეკლესიის ახლო დიდ მინდორში ბურთის სათამაშოდ და ეჯიბრებოდა ახლო-მანლო სოფლების ახალგაზრდობას ლელოს გატანაში. შემოდებულ იყო აგრეთვე ჯირითი, დოღი, ფარიკაობა და სხვ.

— საეკლესიო დღესასწაული გადა-

ვარდა. ხალხი აღარ ეტანება ეკლესიებს. ახლა ჩვენ სოფელში კლუბია და იქ დადიან. კლუბში რადიოც არის, რომელიც ქვეყნის ამბავს გვატყობინებს, წარმოდგენებიც და კონცერტებიც იმართება. ხშირად კინოსურათებსაც აჩვენებენ, — გვითხრა სტუმრად მოსულმა ახალგაზრდა კომკავშირელმა ქალმა.

ჩვენს მასპინძელს კარგად ახსოვდა, როგორ გადაწვეს 1905 წელს ნასაკირალიდან დაბრუნებულმა პლასტუნებმა ღუბაზუს მოსახლეობა და დიდი გულისტკივილით იგონებდა, როგორ შეაგდეს და დაწვეს ცეცხლში პატარა ბავშვი.

— აქამდე ვერ მოგვიწვინებია ეს ამბავი და გული ბოღმით გვეცხება იმ დუნჭირი დროის მოგონებით, — ამბობდა მასპინძელი.

რასაკვირველია, აქაც გაჩნდა მაგიდაზე ხაჭაპურები, ქათამი, ღომი და ღვინო...

მე გამახსენდა, რომ წინათ ღუბაზუში აბრეშუმის პარკის საშრობი დიდი ფარდული იყო.

— ღუბაზუელი ქალები ახლაც მისდევენ მეაბრეშუმეობას, ძველად, — გვითხრა გრიშა დათუნაიშვილის მეუღლემ — ანეტამ, — ქალებს არავითარი სარბიელი არ ჰქონდათ მეაბრეშუმეობის გარდა და ცოტაოდენ ფულს ამითი შოულობდნენ. ახლა კი ისეთი ქალი არ არის გურიაში, რომ ხუთი, ათი ათასი მანეთი თავისი საკუთარი თანხა მიიღოს არ ჰქონდეს დაზოგვლი.

გამოვემშვიდობეთ სტუმართმოყვარე ოჯახს და გავსწიეთ სოფ. შემოქმედის საკენ. მინდოდა შემოქმედის მონასტრიდან ვადმომეხებოდა და დამენახა ის საუცხოო სანახაობა, რომელიც 200 კილომეტრის მანძილზე არის გადაშლილი — ზღვამდე და მენახა ცეცხლოვანი, დიდი და უხარმარარი წითელი მზის ჩასვლა, თუ როგორ ემშვიდობება იგი ცასა და დედამიწას თავისი გრძელი, მოელვარე სხივებით.

გზაში შეეჩერდით, დაეთვალიერეთ მაქუტაძის შეუღარებელი ეზო-ბაღი.

სიტყვები არ მყოფნის ამ საუცხოო ეზო-ბაღის აღსაწერად. გაყვარებული ვიყავი როგორ უვლიდა მან სხე სამაგალითოდ მაქუტაძის ქვრივი, ისედაც დატვირთული მეურნეობის სხვა საქმეებით. ეს ეზო-ბაღი სილამაზით და სიმდიდრით თითქმის არ ჩამოუვარდება ანანუელის ბაღს, რომელიც აღწერილი და დაბეჭდილი მაქვს წიგნში — „მოწაფის დღიურში“.

მაქუტაძის ქვრივი, პავლე მახარაძის ქალი, განაგებდა მეფრინველეობის მეურნეობას. სწორედ ჩვენი იქ ყოფნისას მოუყვანეს მას, როგორც მახსოვს, ინკუბატორში გამოჩეკილი ქათმის ხუთი წიწილა.

აუარებელი საქმე ჰქონდა, მაგრამ არც მან უღალატა მასპინძლობის მოვალეობას... მაშინვე გაჩნდა მაგიდაზე საქმელები, ხილი...

დაღამდა, შემოქმედის მონასტერში ველარ ავედით. 1924 წ. მონასტერში ცხოვრობდა მხოლოდ ერთი მონაზონი, რომელიც დამლამობით კუბოში წვებოდა და იძინებდა: თუ ვინიცობაა ძილში მოგვედი, პირდაპირ კუბოში ვიქნები და დამარხავენო. მონასტრის ეზოში მაშინ, მორწმუნე ხალხის მიერ შეწირული ბევრი ვარია დარბოდა და მონაზონიც ამ ვარიებით იკვებებოდა. „მონაზონი გარდაიცვალა, — გვითხრა მაქუტაძის ქვრივმა, — და მონასტერი დაკარიგებულიაო. შეწირული ვარიებიც აღარ დარბიან მონასტრის ეზოში.“

შემოქმედის სახეც, როგორც ბახვისა და ღუბაზუსი, ძალიან შესცვალა ჩაის მეურნეობამ. შემოქმედის მეზობელ სოფელში — გომში გამართულია საზაფხულო პიონერბანაკები და საქართველოს ყოველი კუთხიდან მოჰყავთ აქ პიონერები. სოფ. გომი პირდაპირ გომის მთის კალთაზეა გაშლილი და საუცხოო სამკურნალო, გამაჯანსაღებელი ჰაერია იქ. რამდენიმე წლის წინათ, გომისა და ქობულეთის პიონერბანაკებში საბავშვო უფროსლების „პიონერისა“ და „ოქტომბრელის“ რედაქციებმა მოაგლინეს ბრიგადა. ბრიგადაში შედიოდა რამდენიმე

კაცი: ლიდა მეგრულიც, ლაერენტი ჭი-
ქინაძე, ალიო შანიძე და მე. გომის პიო-
ნერბანაკის ბავშვებმა აღტაცებით მიგ-
ვიღეს. გაგვაცნეს თავიანთი მიღწევები—
სიმღერები, ცეკვები, ვარჯიშობანი; წა-
გვიკითხეს საბავშვო ლექსები.

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ყველა
ბანაკზე, რომლებიც მაშინ ვნახეთ სხვა-
გან, უფრო სასიამოვნო შთაბეჭდილება
მოახდინა ჩვენზე გომის ბანაკის ჯანლო-
ნით საესე, მხიარულმა ბავშვებმა.



რასაკვირველია, გურიაში ყოველთ-
ვის იყვნენ მოწინავე აზრების მატარე-
ბელი ადამიანები, რომელნიც ოცნებობ-
დნენ სოციალურ ცვლილებებზე, უკე-
თესი მომავალი ეხთვრების დამყარება-
ზე, მაგრამ ისინი გრძნობდნენ მაშინ-
დელი წესწყობილების სიმძიმეს, სი-
დუხჭირეს და ბევრი ვერ ბედავდა თა-
ვის მსოფლმხედველობის გამოაშკარა-
ვებას. ამგვარ მოწინავეთა რიცხვს ეკუთ-
ვნოდა, ჩემი აზრით, მცირერიცხოვანი
ხალხოსნების რევოლუციური ჯგუფი.

მე ვიცნობდი მხოლოდ სამ აქაურ ხალ-
ხოსანს — ისიდორე ჭიქოძეს, იაგორ თა-
ყაიშვილს, ოზურგეთის ექიმს, „ლეკს“,
როგორც ეძახდნენ, და მელიტონ ნა-
კაშიძეს. ყველა ესენი თავის დროზე
ადმინისტრაციულად რეპრესირებული
იყვნენ. იაგორ თაყაიშვილი და ისიდო-
რე ჭიქოძე სამედიცინო ინსტიტუტის
მეხუთე კურსიდან „მგლის“ მოწმობით
იყვნენ დათხოვილი. ი. თაყაიშვილი, რაც
მე მახსოვს, ოზურგეთში თავისუფალ
ექიმობას ეწეოდა. მხიარული, გულის-
ხმიერი კაცი იყო, ყველას უყვარდა, რო-
გორც კარგი ექიმი, დაუხარებელი ადა-
მიანი.

ისიდორე ჭიქოძე კი ვნახე ციმბირში
გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ,
როდესაც ჩვენთან მოვიდა ოზურგეთში,
მამაჩემის სანახავად. რომელ წელს იყო,
ალარ მახსოვს. შეგვეგრემანი კაცი იყო
ისიდორე, მომღიმარი და ხალისიანი.

მის მოსვლასთან დაკავშირებით პირ-
ველად განვიცადე აღშფოთება და შიშ-
მინდა მკითხველს გავუხეივო: მსმენე-
თხევევა.

ჩვენსა ხშირად დადიოდნენ მღვდლე-
ბი — სიმონ და ლუკა იმედარელები.
სიმონ მღვდელი ძალიან მოხუცებული
იყო და თანამდებობა ჩვენს პატარა,
მელექედურის ეკლესიაში გადასცა თა-
ვის შვილს ლუკას. ორივე მღვდელი.
ჩემი აზრით, ახლა რომ ვფიქრობ, წერა-
კითხვის მცირემცოდნენი იყვნენ, განსა-
კუთრებით მოხუცი სიმონი. მე მგონია,
იმათ მხოლოდ საღმრთო წიგნების, სა-
ხარებისა და სამოციქულოს იმ ადგილე-
ბის კითხვა შეეძლოთ, რაც საჭირო იყო
წირვა-ლოცვის დროს. ჩვენ, ბავშვებს,
ორივე მღვდელი გვიყვარდა. როდესაც
მოხუცებული სიმონ მღვდელი მოვიდო-
და ჩვენსას, თუ ჩვენ პარმალზე ვთამა-
შობდით, ტახტზე, ყოველთვის შემოგვ-
ძახებდა წვრილი ხმით, სიცილით: —
„შვილო ნათანიელო, იმისთანა ადგი-
ლას ნუ დაჯდები, რომ ავაყენონო“.

ჩვენ მაშინვე წამოგვკვივებდით და
ვეტყოდით დარცხვენით:

— არ ვიცოდით, მამაო, თუ მობრძან-
დებოდით და იმითმ ვიჯექით.

— არა, ჩემი ადგილი ყოველთვის
თავისუფალი უნდა იყოს, — გვეტყოდა
ის და მოგვეფერებოდა.

ჩვენ ვგრძნობდით, რომ კეთილი
მღვდელი მართალი იყო.

აი, ეს მღვდელი და მისი შვილი ლუ-
კა მღვდელი რომ გვეწვივნენ, სწორედ
იმ დროს მოვიდა ისიდორე ჭიქოძეც.
მამაჩემს ძალიან გაეხარდა ისიდორეს
მოსვლა. როგორც მახსოვს, ისიდორე
მამაჩემის ნათლული იყო.

ყველანი აივანზე დასხდნენ, ბავშვე-
ბი კი გარშემო ვიდექით და ყურს ვუგ-
დებდით იმათ ბაასს.

ლაპარაკი, არ ვიცი როგორ, მაგრამ
ღვთის არსებობაზე წამოიჭრა და ისი-
დორემ ჰკითხა მღვდლებს.

— თქვენ გგონიათ, რომ ღმერთი
მართლა არის?

— რასაკვირველია, — მიუგო ლუ-

კამ, — უღმერთო და ბოროტი აღამიანისთვის არ არის...

— მეცნიერება ამტკიცებს, ღმერთი არ არსებობსო, — უთხრა ისიდორემ.

— რაეა, შენი აზრით, იესო ქრისტე არ იყო. ღმერთი? — იწყინა სიმონ მღვდელმა.

— არა, იესო ქრისტე თუ მართლა იყო, მეცნიერების აზრით, ისეთივე კაცი იყო, როგორც ჩვენ ყველა.

ორივე მღვდელი გაშტერებული, შეზინებული და აღმფოთებული უყურებდა მას, ეტყობოდა, პირველად ესმოდათ ამნაირი „ღვთის გმობა“.

ლუკამ მოინდომა დაემტკიცებინა მისთვის იესო ქრისტეს ღვთაებრიობა.

— თუ ღმერთი არ იყო, აბა როგორ მოხდა, რომ იესო ქრისტემ კანას გალილეაში წყალი ღვინოდ გადააქცია, ან როგორ დააპურა ხუთი ათასი კაცი ორი პურითა და ხუთი თევზით?

— ზღაპარია ყველა ეს...

— აბა, მოსე წინასწარმეტყველმა როგორ გამოადინა კლდეს ქვერთხის დაკვრით წყალი, — დაუმატა აღმფოთებულმა სიმონ მღვდელმა.

ისიდორე მოუყვა იმათ მოსეს ამბავს, რომ მოსე ეგვიპტეში აღზრდილი და განსწავლული იყო და იცოდა სხვადასხვა ხერხი ხალხის თვალის ასახვევად.

ჩვენთვის, ყველასათვის გაუგებარი და აღმამფოთებელი იყო იესო ქრისტეს და მოსე წინასწარმეტყველის ღვთაებრივი მოღვაწეობის გაბათილება და აბუნად აგდება... აივანზე ორი ჩვენი მეზობელს — ესტატე ტრაპაიძე და ვასილ იმედაშვილი ამოვიდნენ. ესტატე ყურადღებით, მძიმედ ისმენდა ისიდორეს ლაპარაკს, მაგრამ უცებ წამოხტა სიმონ მღვდელი:

— ჰე, ბიჭო, ვასილავ, წამიყვანე შინ, — უთხრა მან ვასილ იმედაშვილს. თვარა ეს კაცი გადაშრევს ამ სიბერის დროს.

ვასილმა მამინეგ მოჰკიდა ხელი წასაყვანად.

— გაიგონე, ბიჭო, რას ლაპარაკობდა? ღმერთი არ არისო, იესო ქრისტე

უბრალო კაცი იყო ჩვენსავეთო, ბიროლით ამბობდა სიმონ მღვდელი...

— მერე, შენ დაიჯერე, მაშინვე დაღვერი კი არ უნდა დაუჯერო, რასაც ნასწავლი ხალხი ამბობს...

მასსოვს, რომ ძალიან გამახარა მაშინ ვასილ იმედაშვილის არგუმენტაციამ. „რასაკვირველია, არ უნდა დაუჯეროთ“, — ვფიქრობდი მე. ბოლოს მამაჩემი ჩაერია ლაპარაკში და კამათი შეწყდა.

ისიდორე გამოგვემშვიდობა და წავიდა.

ლუკა მღვდელი დიდხანს ღელავდა.

— არა, იოსებ, — ეუბნებოდა ის მამაჩემს, — ღმერთი არააო, აბა წვიმა რაფერ მოდის, ან ზოშაკაჯალს რა აჩენს?

მამაჩემი ძალიან მორწმუნე იყო თვითონაც და, მგონია, უფრო მღვდლებს თანაუგრძნობდა.

ხალხში ხმა დაირხა, რომ ისიდორე ქიქოძეს და მელიტონ ნაკაშიძეს უნდოდათ ფარული კრება მოეწყოთ ანასუელის ტყეში და ხალხოსნების ჯგუფი დაეარსებინათ გურიისში, მაგრამ კრებაზე არავინ მოვიდაო.

ისიდორე ქიქოძე ცხოვრობდა სოფ. ბახეში და, როგორც ვიცი, შემდგომი აღარ ცდილა გაეწია ხალხოსნობის შესახებ პროპაგანდა. ოჯახს მოეკიდა და მეურნეობას მოჰკიდა ხელი. ერთ დროს, სააქციზო დაწესებულებაშიც კი მსახურობდა.

იავორ თაყაიშვილი კი ოზურგეთისა და მთელი გურიის ავადმყოფებს ექიმობდა. ყველას უყვარდა იავორ თაყაიშვილი, როგორც ზევითაც მქონდა ნათქვამი. იგი ძალიან ხალისიანი, ყურადღებიანი და კულტურული აღამიანი იყო. არ ყოფილა შემთხვევა, რომ გინმესთვის უარი ეთქვას და, რა დროც უნდა ყოფილიყო, არ წაყოლოდა სახლში ავადმყოფის სანახავად. წამალსაც თითქმის ყველას თვითონ უკეთებდა. ამავე დროს, ოზურგეთის სკოლის ექიმიც იყო. ერთხელ მამაჩემს სიცილით უამბობდა: „ბევრი ზარმაცი ბავშვია ჩვენს სკოლებ-



ში, მოდიან და მეუბნებიან ავად ვართ, სკოლაში სიარული არ შეგვიძლიაო, „რა გტკივა, ბიძია“ — ევკიოხები. „გული მტკივა...“ „აბა, სად გტკივა, მაჩვენე!“ თვითონაც არ იცის, სად დაიდოს ხელი, მუცელზე თუ წელზე. „კარგი, ბიძია, იმისთანა წამალს გამოგიწერ, რომ დღესვე მოგარჩინოს და ხვალ წადი სკოლაში, არაფერი გიკირს“. ვუწერ „აკვა დესტილატს“ და ვეუბნები, „ეს ძალიან მაგარი წამალია და სამი წვეთის მგტი არ დალიო, სამჯერ დღეში. ცოტა შეპირიც დაატანე. ღამე დაიძინე და ხვალ დილით სუმთლად საღსალამათი ადგები“. „აკვა დესტილატი“ ხომ დაწმენდილი წყალია. ასე ვარჩენ ზარმაც ბავშვებს. ხანდახან მართლა ავადმყოფებიც მოდიან და მთხოვენ, ბიძია, ჩვენც იმისთანა წამალი მოგვეცი, გუშინ მოსულ ბაღნებს რომ მიეციო...“

საზოგადოდ უნდა ითქვას, დიდი თავმდაბალი კაცი იყო იაგორ თაყაიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ მეტად პოპულარული და პატივცემული იყო ყველასაგან, რეცეპტზე არასოდეს არ აწერდ-ეჭიმო (აწერდა „საეჭიმო ფაქულტეტის მებუთე კურსის სტუდენტ“)“. იგი დიდ შრომას ეწეოდა: ყოველი ავადმყოფის ანკეტას აესებდა და ადგენდა ავადმყოფობის ისტორიას, — ახდენდა დაკვირვებასა და კვლევებას, თუ რა იყო ავადმყოფობის მიზეზი. ამგვარი შრომა ბევრი ჰქონდა შედგენილი. მხოლოდ, სამწუხაროდ, არ ვიცი, რა ბედი ეწია მის ნაშრომს, გაარჩია ვინმემ, თუ დაიკარგა. განა არ იქნებოდა საინტერესო, თუ რა სენი უფრო იყო მოდებული მაშინ გურიაში?!

მელიტონ ნაკაშიძეს ნაკლებად ვიცნობდი. ვიცოდი მხოლოდ, რომ სოფ. გურიანთაში, თავის მამულში ცხოვრობდა და მეურნეობას ეწეოდა. ცოლ-შვილი, როგორც ვიცი, არ ჰყავდა. შემდეგში ეგნატე იოსელიანის, სოფრომ მგალობლიშვილისა და შიო დავითაშვილისაგან გამიგონია, ძალიან პატიოსანი კაცი და კარგი ამხანაგი იყო, ჩვენი პარტია (იგულისხმება ხალხოსნები)

რომ დაიშალა, მერე დასახლდა გური-შიო.

როდესაც ამ მოგონების წერას შევუდექი, ვფიქრობდი, აღმეწერათუ როგორ შეუცვალა სახე ამ კუთხეს ახალი კულტურის — ჩაისა და ციტრუსოვანი მცენარეების შეტანამ და განვითარებამ. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, როგორ გამოიკვალა თვითონ ხალხის ფსიქოლოგია და როგორ გადავიდა ხალხი საესებით ახალ ცხოვრებაში, მაგრამ ზოგიერთი მეგობარი მიჩვენდა, შემეტანა მოგონებაში იმ ადამიანების ცხოვრების შესახებაც რომლებიც, ასე თუ ისე, ემსახურებოდნენ ხალხს, ეწეოდნენ კულტურის სხვადასხვა დარგში მოღვაწეობას. კერძოდ, მისახელებდნენ: ფილიმონ ქიქოძეს, გრიგოლ გურიელს და პეტრე ნაკაშიძეს. მეგობრები მეუბნებოდნენ, რომ ყველა ამ პირს მიუძღვის დიდი, გულწრფელი ღვაწლი და დამსახურება არა მარტო თავისი კუთხის, არამედ მთელი სამშობლოს წინაშე. და არ არის კარგი იმათი მოღვაწეობის დაეწევა.

მე ვიცნობდი გრიგოლ გურიელს, თუ შეიძლება ნაცნობობა დაერქვას მოხუცი გენერლისა და ბავშვის ნაცნობობას, რომელსაც ეს დიდი გენერალი ხან ჰრულ ფანქარს, ხან რამე საბავშვო წიგნს, მგალითად, „თორნიკე ერისთავს“, ან რამე სათამაშოს — ფაიფურის თოჯინას აჩუქებდა. ვიცოდი, რომ ის მშვენიერი წიგნი, რომელსაც „ქილილა და დამანა“ ერქვა და რომელსაც ეუკითხებოდა საღამოობით, შედიდ წლის რომ ვიყავი, მშობლებს, ჩვენ მოჯამაგირეს, მეზობელ ესტატე ტრაპაიძესა და დედაჩემის გამძღვლს — ლამაზისახარს და ყველას ძალიან რომ მოსწონდა მტრედების — „ვაზანდა და ბრანდას“ იგავ-არაკები, იყო გრიგოლ გურიელის გამოცემული. რომ გრიგოლ გურიელი მოგზაურობდა „მთავრობის დავალებით“ ექსპედიციაში“, იყო ეგვიპტეში, პალესტინასა და საფრანგეთში, რომ ამ ექს-

ბედობაში იყო მამაჩემიც, რომელსაც მთელი მგზავრების ფული ებარა.

მამაჩემი გვიამბობდა ამ ქვეყნების ამბავს. გვიამბობდა, როგორ აღიოდნენ ისინი ეგვიპტეში პირამიდებზე და რა ძნელი იყო პირამიდების მალალ საფეხურებზე ასვლა, როგორ ვიწროვდებოდა პირამიდები მწვერვალისაკენ, ვიწროვდებოდა არა პირდაპირი წესით, არამედ ყოველი ზედა წრე იწყებოდა ახალი ხანით, ქვედა კი რჩებოდა გარეთ გამოწეული და საფეხურების მავიერობას ეწეოდა.

— ძალიან ყოჩაღი უნდა ყოფილიყავი, რომ მეორე წრის საფეხურზე შემხტარიყავი, მალალი იყო, — გვეუბნებოდა მამაჩემი. მგზავრების უმეტესობას ვამყოლი, ადგილობრივი, მშლავრი, ეგვიპტელი თალხი ბიჭები ეხმარებოდნენო.

რასაკვირველია, ჩვენ აზრადაც არ მოგვდიოდა, შეგკითხვით, თუ რა მიზანი ჰქონდა გრიგოლ გურიელის მოგზაურობას ამ ქვეყნებში.

მამაჩემს ჰქონდა პალესტინიდან მოტანილი, მდინარე იორდანეს „წმინდა წყალი“, რომელიც თუნუქის დაბეჭდილდაკავშირებულ კოლოფში იყო ჩასხმული, ისე, რომ კოლოფის გახსნა არ შეიძლებოდა, მხოლოდ წყალი კი ჰყავუნობდა შიგ და ვინახავდით. მამაჩემი ხშირად აჩვენებდა ჩვენს მეზობლებს და ეუბნებოდა, რომ ეს იმ მდინარის წყალია, რომელშიაც იესო ქრისტე მონათლა იოანე ნათლისმცემელმაო. მახსოვს, ყველა დღი* სასოებით ისმენდა. ამის გარდა, მამაჩემს ჰქონდა კიდევ პალესტინიდან მოტანილი, რაღაც მცენარის გამხმარი პატარა ყვავილი, რომელსაც „ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხელს“ ეძახდა და, რომელიც სასწაულმოქმედად მიაჩნდა. ეს „ხელი“ მოკუმშული იყო და თუ ქალის მშობიარეობის დროს წყალში ჩადებდით, ქალი მშვიდობით გადაიტანდა მშობიარეობას. როგორც ჩვენს მეზობლებს, ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებსაც, ბევრს მიჰქონდა. მამაჩემი ძალიან უფრთხილდებოდა

ამ „ხელს“. ბოლოს მიინც დიკარგა და სამაგიერო გრიგოლ გურიელს გამოართვა.

გრიგოლის ექსპედიცია უთუოდ სამოცდაათიან წლების წინათ მოხდა. მამაჩემი ამბობდა, რომ გაზეთებშიაც ეწერა საზღვარგარეთ ამის შესახებო. მაგრამ, როგორც მახარამის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი მწერს, მუზეუმში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს.

1877 წელს თურქეთთან ომში გრიგოლ გურიელიც ღებულობდა მონაწილეობას. როგორც ჩანს, აჭარაში კარგად იცნობდნენ მას.

აი, რას გვითხულობთ ს. ა. ახვლედიანის წიგნში — „ნარკვევი აჭარის ისტორიიდან მე-16—17 საუკუნეებში“ (წიგნში მოყვანილია ამონაწერი „დროებიდან“): „ბათუმის მაზრის ხალხს ბეგები და თურქეთის მოხელეები აქეზებდნენ, რუსები არ შემოუშვათო, ამიტომ არსებობს სამი საშუალება, სწერდა გაზეთი: 1. რუსის ჯარი უნდა შევიდეს კეთილშობილური დამოკიდებულებით. ისინი დასაჩაგრავად კი არ მოდიან, არამედ, როგორც ადგილობრივი ხალხის მოძმე და მეგობარი;

2. ჯარს უნდა მიუძღოდნენ ისეთი კაცები, რომლებიც იცნობენ მათ ჩვეულებას და ისინი ამათს. ასეთები არიან თ. გურიელი და უ. მ. მეფისოვი... დღესაც მოხუცი გლეხები (ახვლედიანის წიგნი დაბეჭდილია 1944 წელს) მოიგონებენ, რომ გურიელი და სხვებიც დიდ დახმარებას უწყევდნენ ამ დროს აჭარელებს, როგორც მატერიალურად (ფულით) ისე ზნეობრივად... რუსეთის შემოსვლის შემდეგ, 1878 წელს, 20 ნომბერს თბილისში აჭარელები მოიწვიეს თათბირზე. აჭარის დელეგაციაში შედიოდნენ: ჰუსეინ ბეგ ბეჟანოლი, შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, ნური ბეგი, სანჯაყ ბეგ აბაშიძე, სული ბეგ მაჭახელელი, ახმედ ეფენდი ხალვაში მარადიდიდან, ოსმან-ალა გონიიდან, ემინ ეფენდი მუფტიზადე არტანუჯიდან და სხვ...

მათი ჩამოსვლის გამო გამართულ ნა-

დამზე ქართველი საზოგადოებიდან და-
ესწრნენ: გრ. ორბელიანი, აკაკი წერე-
თელი, სერგეი მესხი, მამაცაშვილი, ანდ-
რონიკაშვილი, დიმ. ყიფიანი; ნადიმი გა-
იმართა დიმიტრი ყიფიანის სახლში“.

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ არა მარ-
ტო გრიგოლ გურიელი, არამედ მთელი
ქართველი საზოგადოება აპარის შემო-
ერთებით იყო დანტერესებული.

მწერალი ეკატერინე გაბაშვილის სი-
ტყვიით, რომლითაც მან ბათუმის პედა-
გოგიური ინსტიტუტის სტუდენტ ქა-
ლებს მიმართა 1936 წელს — „მთელი
ქართველობა, ილია ჭავჭავაძის ხელმძღ-
ვანელობით, ცდილობდა ეგრძნობინებო-
ნა აპარლებისათვის, რომ ისინი ჩვენი
ძმებია, დროებით ჩვენგან მოწყვეტილი,
და ეჭვბდნენ საშუალებას თუ როგორ
ჩაეგონებინათ აპარლებისათვის ეს. ამ
მიზნით იმართებოდა კრებები და თა-
ბირები, — თქვა ეკატერინემ, — და ერთ-
ერთ კრებაზე მე შევიტანე აზრი, რათა
შოგვეშაადებინა მასწავლებელი ქალები,
გაგვეხსნა ქართული სკოლები აპარაში
და გაგვეზაინა ამ სკოლებში მასწავლებ-
ლებად. რადგან ქალებს თავისუფლად
შეუძლიათ აპარელთ ოჯახებში სიარუ-
ლი, ისინი გასწევენ ჩვენი ძმობის შესა-
ხებ პროპაგანდას-მეთქი, მაგრამ — გუ-
ლისტიკივლით განაგრძობდა, — ვერ მო-
ვახერხებთ, შეგვეჩერებინა აპარლების
გადასახლება და მასობრივად გადადიოდ-
ნენ თურქეთშიო. მარტო ერთადერთ
გრ. გურიელს ჰქონდა მათზე გავლენა,
ბევრსაც ცდილობდა, მაგრამ გადასახ-
ლების საქმეში არაფერი გაუვიდა არც
იმას, ისე იყვნენ ხოჯების გავლენით
ფანტიკურად განწყობილი და გადაგვა-
რებუილიო...

ეკატერინე გაბაშვილი სიამოვნებით
აღნიშნავდა, რომ ის, რაც ვერ მოვახერ-
ხებთ მაშინ ქართველობამ, ახლა ჩვენი
კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელო-
ბით უკვე გაკეთებულია. ბედნიერი ვარ,
რომ სიბერეში მოვესწარი აპარაში ქარ-
თულად აღზრდილი აპარელი ქალების
ნახვას, რომლებმაც იციან ჩვენი ისტო-
რიაო“.

ახვლედიანის წიგნიდან ამონაწერებზე
და ეკ. გაბაშვილის სიტყვა ამტკიცებს,
რა დიდი შრომა მიუძღვის გრ. გურიელს
აპარლების შემოერთებისა და აგრეთვე
ქართული კულტურის სხვა საქმეებში.
გურიასში დიდმა უმეტესობამ არც კი
იცის, სად და როდის გარდაიცვალა, და
სად არის იგი დასაფლავებულიო...

თითქმის ასეთივე ბედი ეწვია ქართუ-
ლი კულტურის მოამაგე ფილიმონ ქო-
რიძესაც. არც იმის საფლავი იციან სად
არის. ნამდვილად კი ბევრს აინტერესებს
იცოდეს, სად განისვენებს ეს შესანიშ-
ნავი და დაუღალავი მოღვაწე.

ფილიმონ ქორიძის შესახებ შესანიშ-
ნავი მონოგრაფია დაწერა ფილიმონის
შვილმა — მიხეილ ქორელმა, თეატრის
დიდმა მოღვაწემ, ნიკიერმა რეჟისორმა.
ამ მონოგრაფიის მიხედვით, რომელიც
იძლევა ფილიმონის ნიჭის, მოღვაწეობი-
სა და ცხოვრების აღწერას, ფილიმონის
ცხოვრებას ვერ გამოაქვებ და ვერც
დაუმატებ რაიმეს. გარდა იმისა, თუ სად
არის დასაფლავებული ფილიმონი.

ფილიმონი გარდაიცვალა 1911 წელს
აგარაკ ბახმაროზე და როდესაც მისი
შვილი მიხეილი ჩამოვიდა წაღვერიდან
ოზურგეთში (ახლა მახარაძე), ფილიმონი
ეკლესიაში დასვენებული, ყვაილებით
მორთული ნახა კუბოში, მამასადაძმე,
უნდა ვიფიქროთ, რომ დასაფლავებუ-
ლია იქავე, ამ ეკლესიის გალავანში.
მაგრამ ამის შესახებ არაფერი სწერია
მიხეილ ქორელის საუცხოო წიგნში, რო-
მელიც ამომწურავად იძლევა ფილიმო-
ნის ცხოვრების სურათს. როცა მონოგ-
რაფიას კითხულობთ, გრძნობთ, თუ რა
დიდი ღვაწლი გასწია ფილიმონმა ქარ-
თული კულტურის ერთერთ მნიშვნელო-
ვან უბანში. რამდენი შრომა, რამდენი
დამტკიცება, ხალხის უყურადღებობის
გამო, რამდენი გაჭირვება გადაიტანა მან,
რათა აღედგინა ძველი ქართული სიმ-
ღერები, თვალსაჩინო გაეხადა ქართუ-
ლი სიმღერების კოლოკაების მიმზიდ-
ველობა, სილამაზე და კეთილზმობანება,
რომ დაემტკიცებინა ხალხისთვის ქარ-
თული მუსიკის საჭიროება, რაც, ფილი-

მონის აზრით, ყოველი ადამიანის სული-
ერ მოთხოვნილებას წარმოადგენდა.
მხოლოდ ისეთი ენერჯის ადამიანს შე-
ეძლო იმდენი შრომის გაწევა, როგორც
ფილიმონი იყო.

მიხეილ ქორელის მიერ დაწერილი
ბიოგრაფია იკითხება დიდი ინტერესით
და მე ვერჩევდი ყველას იმის წაკითხ-
ვას. წიგნს უთუოდ აქვს მნიშვნელობა
ჩვენი მუსიკალური კულტურის განვი-
თარების გაშუქებისათვის, რომ ფილი-
მონი იყო ამ საქმიანობის პირველი პიო-
ნერი და სულისჩამდგმელი. რაც შეეხე-
ბა იმას, თუ სად არის დასაფლავებული
ფ. ქიქოძე, ამის შესახებ მხოლოდ მისმა
„კარგმა რძალმა“, როგორც ფილიმონი
ეძახდა თავისი შვილის მეუღლეს, მართ-
ლა კარგ ადამიანსა და დიდ არტისტს ნი-
ნო (ნუცა) ჩხეიძეს, გვითხრა, რომ ნამდ-
ვილად ოზურგეთის ეკლესიის გალავან-
ში არის დასაფლავებულიო. ეს ცნობა
უთუოდ დაკმაყოფილებს იმ ადამიან-
ებს, რომლებსაც აინტერესებდათ აღ-
ნიშნული საკითხი.

მე მხოლოდ ერთხელ ვნახე ფილიმო-
ნი. მაღალი, გრძელწვერიანი, იარბაისე-
ლი კაცი. გზაში შევხვდი, ოლღას (ახლა
ლენინის) ქუჩაზე მიდიოდა მესტამბეებ-
თან ერთად. თავართქილაძე შეჩერდა მე
რომ დამინახა. ფილიმონმა და კერესე-
ლიძემ კი ჩაუხვიეს ელბაქიძის დაღ-
მართზე.

კოწია თავართქილაძეს ვკითხე, — ვინ
არის ეს კაცი-მეთქი. მას ძალიან გაუკ-
ვირდა, რომ არ ვიცნობდი და მითხრა.

— მიკვირს, რომ ვერ იცნობ. ყოველი
ქართველი ადამიანი უნდა იცნობდეს
ფილიმონ ქორიძეს. დიდი ადამიანია,
ქართული მუსიკის დიდი მოყვარული და
მოამაგე, დიდ საქმესაც აკეთებს. მაგას
ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე უნ-
და დაუდგას ძველი. ხმა აქვს იმისთანა,
სიმღერას რომ დასძახებს, ასე გვეგონე-
ბა, თითქოს ციდან ქუხილი ისმისო.
მთელ თავის ენერჯიას ახმარს ძველი
ქართული სიმღერების აღდგენას. თავის
საკუთარი მომღერლების გუნდიც ჰყავ-
სო.

მე ვიცოდი, რომ კერესელიძე ნიტებს
უბეჭდავდა ფილიმონს და ისიც ვიცოდი,
რომ კონცერტებს აწყობდა, როგორც
ქალაქებში ისე სოფლებშიც. მაგრამ,
სამწუხაროდ, ვერც ერთ მის კონცერტს
ვერ დავესწარი. სამწუხაროდ-მეთქი იმი-
ტომ ვამბობ, რომ ჩვენებს, ე. ი. ნაკაში-
ძეებს ყველას ენახათ და ყველა სხვადა-
სხვა აზრს გამოთქვამდა. მხოლოდ ყვე-
ლა ერთხმად აღნიშნავდა მის დაუშრე-
ტელ ენერჯიას და ღვაწლს ძველი სიმ-
ღერების აღდგენისათვის.

1892 წლის ზაფხულს თბილისში გა-
ვიცანი სტუდენტი ილია ნაკაშიძე.
გავიცანი აგრეთვე მისი ამხანაგი სტუ-
დენტები: ვასილ წერეთელი, იოსებ
ლორთქიფანიძე, ზ. მაჭავარიანი, დ. ქუ-
თათელაძე და სხვ. იმ დროს მე ვცხოვ-
რობდი ყიფიანის ქუჩაზე, ფარესოვის
სახლში, ჩემ მეგობრებთან — ნინო ხუნ-
ჯუასა და ეპიტე ევანიასთან. ორივენი
ჩემთან სწავლობდნენ სამეანო ინსტი-
ტუტში.

სტუდენტები, განსაკუთრებით ვ. წე-
რეთელი, რადგანაც ჩვენ არ ვიყავით საკ-
მაოდ განათლებული, გვაგულიანებდა,
რომ შევედგომოდით საგნების სწავლას.
თვითონ კისრულობდა ჩვენთან მეცადი-
ნობას რუსულ ენასა და რუსულ ლი-
ტერატურაში. ქართულ ლიტერატურა-
ში მეცადინეობა იკისრა ი. ნაკაშიძემ,
მაგრამ არაფერი არ გამოვიდა, მიუხე-
დავად იმისა, რომ წიგნებიც კი შეი-
ძინეს. ამავე წლის იანვარში მე, და-
ვამთავრე ინსტიტუტი და დავრჩი თბი-
ლისში, რათა შევსულიყავი ექ. ქანანო-
ვის მიერ გახსნილ კერძო ერთწლიან სა-
ფერშლო სკოლაში და მართლაც შევე-
დი. ვიამენდი ლექციებს 1893 წლის
ივნისამდე. ივნისში წავედი გურიაში
მშობლებთან და თბილისში აღარ დავბ-
რუნებულუვარ, რადგანაც მამაჩემს უძ-
ნელდებოდა იმ მცირე სახსრის (10 მან.
თვითრად) მიწოდებაც კი, რასაც ის მივ-
ზაენიდა.

ჩავედი ოზურგეთში თუ არა, შე-
ვუდექი რაიმე სამსახურის ძებნას, ჩემი
სპეციალობის მიხედვით.

გურიაში ჩასვლის შემდეგ არ გასულა ერთი კვირაც კი, დაეინახე ჩვენს ეზოში მომავალი ილია ნაკაშიძე. გამოვირდა, არ ველოდი სრულიად და გამეხარდა. მან მითხრა, რომ ამას იქით ზმირად ივლის ჩვენსა, რადგანაც მამამისმა, პეტრე ნაკაშიძემ მიიღო ფული (ოკლდათი ათასი მან.) და სოფ. ნარუჯაში, ნატანების ახლოს, ნავთის საბადოების ნიშნები აღმოაჩინა და უნდა ქაბურღილები დადგას, რომ ნავთი ამოიყვანოს. მოიყვანა ინჟინრები, სპეციალისტი-ხელოსნების მთელი შტატი, შეიძინა იარაღები და უკვე დედამიწის ბურღვას აწარმოებენო. ნავთის მრეწველობა გურიას გაამდიდრებს, ამ წამოწყებას დიდი წარმატება ექნებაო. თვითონაც ნარუჯაზე, სახელდახელოდ გაკეთებულ „ბარაკში“ ცხოვრობს და მეც მასთან უნდა ვიცხოვრო და დავეხმარო.

ამის შემდეგ, მართლაც, თითქმის ყოველდღე დადიოდა ჩვენთან. გადაწყვიტეთ დრო გამოგვეყენებინა და გვემეცადინა ისტორიასა და ლიტერატურაში: ვკითხულობდით ტრაქევსკის ისტორიას, პოლევოის ლიტერატურის ისტორიას და შექსპირის თხზულებებს, რაც ილიას ძალიან უყვარდა.

მამაჩემი არ იყო კმაყოფილი მისი სტუმრობით. და ილიკომ, ასე ვეძახდით ყველა, მამაჩემს გამოუცხადა, რომ თუ თქვენ არ იქნებით წინააღმდეგი, ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს შევუღლდეთო. თუმცა ჩვენ ამის შესახებ მანამდე არ გვექონია ლაპარაკი, მაგრამ ორივე დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს ასე მოხდებოდა, ილიას მიერ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ. მამაჩემს არ ესიამოვნა ეს ამბავი: არაა ჩვენი საქმე თავადიშვილი, ჩვენ მშრომელი ხალხი ვართ და ცხოვრება შრომაში უნდა გვატაროთ, მხოლოდ წინააღმდეგ არ წავიდა, როგორც ნინოს უნდა ისე მოიქცესო.

ილიკომ ჩვენი შეუღლების ამბავი თავის მშობლებსაც გამოუცხადა, მაგრამ იმათ დიდი წინააღმდეგობა გაუ-

წიეს. ილიკოს მაინც იმედი ჰქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს დაითანხმებდა იმათ და ამავე 1893 წელს შრომდომა ჩემი გაცნობა მამასთან. ერთ დღეს მოვიდა და მითხრა: დღეს მამაჩემი ოზურგეთის კლუბში იქნება ვახშმად და შენც მოდი, გავაცნობო.

კლუბში, რაღაც დღესასწაულის გამო, ბევრი იყო ხალხი. ვახშმობის დროს მართლაც, მოვიდა ჩვენ მაგიდასთან ხანში შესული, სიმპათიური კაცი. მე მანამდე არ მენახა პეტრე ნაკაშიძე, რომელზედაც მიამბობდნენ, ძალიან განათლებული, ჭკვიანი კაცი, ილია ჭავჭავაძის მეგობარი, მოსკოვის ლაზარევის სახელობის ინსტიტუტის პროფესორი, იმერეთის თავადაზნაურობის მარშალი, მდიდარი, მთელ საქართველოში გავლენიანი და პატრიცეული პიროვნებაო.

მოვიდა თუ არა ჩვენ მაგიდასთან პეტრე, მე შევერთი, მაშინვე ავდექი. მან გამიცინა და ისევ დამსვა ჩემ ადგილას, თვითონაც ჩემს გვერდით დაჯდა და გამომკითხა: რამდენი ხანია, რომ ვიცნობ მის შვილს, რომელმაც კიდევ რამდენიმე წელიწადი უნდა ისწავლოს უნივერსიტეტში. უკებ შესცავლა ლაპარაკის საგანი და მკითხა:

— ახლა, როგორ აპირებთ თქვენს ცხოვრების მოწყობას?

მე ვუთხარი: სექტემბრიდან ქუთაისში თოფურის საავადმყოფოში მივდივარ სამუშაოდ-მეთქი. მომიწონა, ადგა, ღიმილით გამომემშვიდობა და წავიდა.

ვხედავდი ილიკოს გაუცრუვდა იმედი, მამა არ იყო ჩემი ნახვით ისე აღფრთოვანებული, როგორც შვილი და ამის შემდეგ გადაწყვიტა იმათ უნებართვოდ დაგვეწერა ჯვარი და ერთად წაესულიყავით პეტერბურგში. მაგრამ 1893 წელს ეს არ მოხერხდა, რადგან არც ერთი მღვდელი არც ქუთაისში და არც გურიაში არ თანხმდებოდა მშობლების უნებართვოდ ჯვრის დაწერას. ეპისკოპოსს გრიგოლ დადიანთანაც იყო ილიკო, სთხოვა ნებართვა, მაგრამ ისიც მშობლების უნებართვოდ არ დათანხმდა და უარი უთხრა. შემოდგომაზე ილიკო მარ-

ტო გაემგზავრა პეტერბურგის უნივერსიტეტში. მე კი წავედი ქუთაისში და სამსახური დავიწყე ექ. სამსონ თოფურის საავადმყოფოში, ექიმი გინეკოლოგის თანაშემწედ.

პეტრე ნაკაშიძე ენერგიულად განაგრძობდა ნავთის საბადოების ძიებას ნარუჯაზე. მთელი საზოგადოებრიობა დაინტერესებული იყო გურიაში ნავთის აღმოჩენით. ყველას სჯეროდა, რომ ნავთი უთუოდ ამოხეიქავდა და გაამდიდრებდა ქვეყანას.

პეტრე ნაკაშიძე ერთხელ კიდევ ეწახე ქუთაისში, ჩვენი საერთო მეგობრების — პედაგოგ მარიამ ყაუხჩიშვილის ქალსა და მის დასთან. პეტრეს ეთქვა, მე დარწმუნებული ვარ, ცუდი ქალი არ იქნება რადგანაც ილიკომ აირჩიაო, ბაბალესაც (ილიკოს ღედა, პეტრეს მეუღლე) ამასვე ვეუბნები, მაგრამ ვერ დავაჯერო და იოხუნჯა თურმე: ბაბალეს არ ემეტება თავისი შვილი უბრალო გლეხის ქალისთვისო.

აი, რას წერს პეტრე ნაკაშიძის შესახებ მწერალი და პედაგოგი ვლადიმერ ზამბახიძე: „პეტრე ნაკაშიძე გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართველი საზოგადო მოღვაწეთა დასს ეკუთვნოდა. ქუთაისის გიმნაზიის დარბაზების შემდეგ, იგი სწავლობდა პეტერბურგში. სტუდენტობისას პეტრე ნაკაშიძე დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს, რომელთანაც მეგობრობდა სიკვდილამდე. ლიტერატურული მოღვაწეობაც მან ილია ჭავჭავაძის „ქურნალში“ „საქართველოს მოამბეში“ დაიწყო. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემ თავისი პოემები „ღიმიტრი თავდადებული“ და „ქართლის ღედა“ პეტრე ნაკაშიძეს უძღვნა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პეტრე ნაკაშიძე მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ლექტორად მიწვიეს, მაგრამ პედაგოგიურ საქმიანობას მალე თავი დაანება. ისევ თბილისში დაბრუნდა და საზოგადო მოღვაწეობას შეუდგა. თბილისიდან პეტრე ნაკაშიძე საცხოვრებლად გადასახლდა ქუთაისში, სადაც არჩეული იყო ჯერ

ქუთაისის მაზრის და შემდეგ გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალად. მაგრამ მთავრობამ ამ თანამდებობაზე არ დასმა ტკიცა იმ შეტაკებათა გამო, რომელიც მას ზმირად ჰქონდა მაშინდელ ადმინისტრაციასთან. პეტრე ნაკაშიძე, „ივერიის“ სიტყვებით რომ ვსთქვათ, ის ქართველი საზოგადო მოღვაწე იყო, რომელიც „არც ერთ ქართულ საქმეს გზას არ უხვევდა და ყველას დახმარება სურდა, რითაც კი შეეძლო“... მაშინდელ ქართულ ინტელიგენტურ ოჯახებს შორის — განაგრძობს ვლ. ზამბახიძე, ნაკაშიძის ოჯახი განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი პროგრესულ-ლიბერალური მისწრაფებით. აქ იკრიბებოდნენ ხშირად ქართული მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები და იმართებოდა სჯაბაასი საქართველოს ეროვნული და სოციალური ცხოვრების საჭირობოტო საკითხებზე. პეტრე ნაკაშიძე, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ცხოველ მონაწილეობას ლეგულობდა საქართველოს ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებულ საქმეებშია“.

დიდი მონაწილეობა მიუღია პეტრე ნაკაშიძეს ქართული სათავადაზნაურო სკოლის დაარსების საქმეში.

პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სეით იაშვილი ამბობს, რომ საუკეთესო, შინაარსიანი სიტყვა უთქვამს პ. ნაკაშიძეს, როდესაც მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ რა ტიპის სკოლა უნდა დაარსებულყო ქართველი ბავშვებისათვისო. სეით იაშვილი წერს თავის წიგნში: „1883 წ. საზოგადო კრებაზე, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პროექტი, საზოგადოებამ აირჩია კომისია 15 კაცი-საგან: ნ. ნიკოლაძე, ი. ს. გოგებაშვილი, დ. ი. ბაქრაძე, ვ. მ. ჩერქეზიშვილი, პ. ი. ყიფიანი, პ. გ. ნაკაშიძე, ა. მ. ფირალოვი, დ. ი. მუსხელიშვილი, დ. ა. გამყრელიძე, გ. დ. ყურული, ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ი. მ. ჯაბადარი. ამ კომისიის წევრები მაშინდელი საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწეები იყვნენ და ეს გარემოება ადასტურებს, თუ რა მნიშვნელობას

ანიჭებდა ქართველობა ამ სასწავლე-ბელს.

კომისიის წევრი პ. გ. ნაკაშიძე არ დაეთანხმა უმრავლესობის აზრს და კომისიაში თავისი კერძო აზრი წარადგინა. ჩვენი ფიქრით, პეტრე ნაკაშიძის კერძო აზრი იმ დროისათვის საყურადღებოა და ამიტომ მომყავს ის.

სათავადანაურო სკოლის ტიპის გამომშუშავებელი კომისიის წევრის პეტრე გიორგის ძის ნაკაშიძის განცხადება..

კომისიის მიერ გადასაჭრელი საკითხი, იმის შესახებ თუ რა ტიპის სკოლა უფრო უბასუხებს ჩვენი თავადანაურობის საჭიროებებს, უკვე საბოლოოთაა გადაწყვეტილი იმ მიმართულებით, რომ ამჟამად არსებული სკოლა მიჩნეულია, როგორც ყველაზე უფრო დამაკმაყოფილებლად ჩვენი მოთხოვნების განათლების დარგში, ამიტომ ხსენებულ შეკრებებში შვესლა წინადადებით, რომ ჩვენთან მოწყობილ იქნას აგრეთვე სხვა ტიპის სკოლაც, სახელდობრ სასოფლო-სამეურნეო, ჩემი აზრით, არ შედის კომისიის მოვალეობაში და უფლებამოსილებათა ფარგლებში.

მაგრამ ამ წმინდა ფორმალურ მხარის გარეშე არსებობს უფრო არსებითი მიზეზებიც, რომ აღიძრას ჩვენში ჯერჯერობით სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოწყობის საკითხი, რომელსაც სრულიად არა აქვს გადაუდებლობა-აუცილებლობის ხასიათი.

ჩვენი ქვეყნის მიმართ აგრონომიული განათლების საკითხის მსჯელობისას, ჩვეულებრივ მხედველობის გარეშე რჩება ხოლმე საქმის ერთი საყურადღებო მხარე, სახელდობრ იმ განათლების გამოყენება ჩვენი სოფლის მეურნეობის პირობებში, ჩვენი ეკონომიური ვითარების სავალალო მდგომარეობა, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებენ ხოლმე, როგორც დასამტკიცებელ საბუთს ჩვენი აგრონომიული ცოდნის გავრცელების აუცილებლობისა, წარმოადგენს კიდევაც დაბრკოლებას ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებისათვის. მეცნიერული მიწათმოქმედება ანუ სოფლის მეურნეობის წარ-

მართვა აგრონომიის საფუძველზე, უმეველად მოითხოვს განსაზღვრულ ხარჯებს, რომლებიც ხელმძღვანელობს დღეს, როგორც რაიმე კაპიტალის მართვის უქონლობის გამო, ისე იმდენადვე სხვა მრავალი ჩვენი ცხოვრების არახელსაყრელი ეკონომიური პირობების წყალობით, მეცნიერება ევლინება მაშველად მიწათმოქმედებას, მხოლოდ მისი ამოცანების გართულებისას, რომელნიც ჩვეულებრივ წარმოიშობიან მოსახლეობის გარკვეული სიმჭიდროვის, მიწის მცირე ნაკვეთობის, ბაზრების მრავალფეროვნების, სოფლის მეურნეობის პროდუქციებზე გაძლიერებული მოთხოვნის დროს და საზოგადო კეთილდღეობის და ცივილიზაციის გარკვეულ საფეხურზე. ასეთ პირობებში მიწათმოქმედების გაუმჯობესებელი წესებით წარმართვა მოგებით ანაზღაურებს ხარჯებს. ჩვენში კი მიწათმოქმედება იმყოფება თითქმის პრიმიტიულ მდგომარეობაში, მასზე ვაწეული ხარჯები საზარალოა და ზოგჯერ კიდევაც გამანადგურებელი. მთელი ჩვენი უბედურება იქიდან კი არ წარმოსდგება, რომ ჩვენ სკოლები არა გვაქვს, არამედ საქმის იმ ვითარებით, რომლის ძალითაც მოხმარების ყოველი საგანი, დაწყებული უბრალო პერანგით და ლურსმნით და გათავებული ქსოვილებით და ინსტრუმენტებით, იძულებული ვართ გამოვიწეროთ ზღვების და ოკეანეების გაღმიდან. გარდა ამ საგნების ადგილზე ღირებულება-სა, ჩვენ მათში ვუბნით ჩვენ ვაჭრებს კიდევ უზარმაზარ მძიმე გადასახადს საკომისიო და სხვა ზედნადები ხარჯების სახით, რომელთა გადახდაზე ყოველწლიურად მოდის მთელი ჩვენი შრომის ხელფასი, რის წყალობითაც ასე ძლიერად ფერხდება ჩვენ ქვეყანაში კაპიტალის დაგროვება, რაც თავის მხრივ იწვევს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების სრულ დაქინებას.

კეთილდღეობის განვითარებისაკენ მისავალი გზა ერთია: იგი ზუსტადაა განსაზღვრული ევროპელ ხალხის ათასწლიური კულტურული ცხოვრებით და წარ-

მოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობის მუდმივ და ყოველდღიურ განვითარებას და გავრცელებას.

ზემოდმოყვანილ მოსაზრებათა საფუძველზე, მე არ შემოიძლია დავეთანხმო კომისიის უმრავლესობის აზრს სასოფლო-სამეურნეო სკოლის მნიშვნელობის და ჩვენთვის აუცილებლობის შესახებ და ვთვლი, მის მოწყობის შემთხვევაში, ნაადრევად.

ამასთან მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ შერყეული ჯანმრთელობის გამო, საშუალება არა მაქვს დავესწრო მის სხდომას. თავ. პ. გ. ნაკაშიძე, თბილისი, 1895 წ. მაისი.

1895 წელს პ. ნაკაშიძე მუშაობის დროს გაიყვანა — „ნარუჯაზე“ ნავთის საბადოების ძიების დროს, ავად გახდა ფილტვების ანთებით. ავადმყოფი ჩამოიყვანეს ბორჯომში, სადაც იმ დროს მისი ოჯახი ცხოვრობდა ავარაკად და იქ გარდაიცვალა. როგორც მისი განცხადებიდან ჩანს, უკვე ავად ყოფილა, როცა განცხადება დაუწერია სათავადაზნაურო სკოლის ტიპის გამომშუშავებელ კომისიაში — მაისში. 11 ივნისს ის უკვე დასაფლავებს ბორჯომში.

ამ მომყავს ილია ჭავჭავაძის წერილი, რომელიც მან მისწერა პ. ნაკაშიძის ქვრივს:

ღრმად პატივცემულო კნენია ბაბაღე, ეს-ეს არის ვიახელ სოფლიდამ და შინ დამხვედა დიდად სამწუხარო ამბავი, რომ მე დავეკარგე ერთი ჩემი უძვირფასესი ამხანაგი და უკეთესი მეგობარი პეტრე. მწუხარება ვამიორკეცდა, რომ — ამ უბედურების გვიანად შეტყობის გამო, არ მომიცა შეძლება თქვენს და თქვენის სახლობის ცრემლებთან ერთად დამეფრქვია ჩემი ცრემლიცა, როცა თქვენ ეთხოვბოდით ძვირფასს გვამს თქვენის მუდღისას და ჩემის მეგობრისას. ღმერთმა ნუგეშინი გცეთ თქვენ და თქვენს შვილებს და საუკუნო განსვენება მიანიჭოს ჩვენთვის საუკუნოდვე დაკარგულს პეტრეს. მე კი დამარჩენია ნუგეშად ქეშმარიტის თავ-მოწონებით ვთქვა, რომ

ხელი, რომელიცა გწერთ ამ სამიძიარს, ხელთ სჭერია მეგობრულად იმისთანა გულუბრყვილოს, საყვარელს და პატიოსანს კაცს, — როგორც იყო ჩვენი აწ უბედური პეტრე.

თქვენი გულითადი გულშემატკივარი ამ უბედურობის შემთხვევის დროს.

ილია ჭავჭავაძე, 11 ივლისი, 1895 წ. ასე დასრულდა ამ უანგარო ადამიანის და მოღვაწის სიცოცხლე და, რასაკვირველია, ნავთის ძიების საქმიანობაც შეწყდა გურიაში.

ამ დროს ჩვენი, ე. ი. ჩემი მეუღლე და მე, პეტერბურგში ვცხოვრობდით. ჯერ კიდევ 1894 წ. ილ. ნაკაშიძემ ჩამოიტანა მაშინდელი მინისტრის იანოვსკის ნებართვა ცოლის შერთვის შესახებ და იმავე წელს შემოდგომაზე, ექიმ სამსონ თოფურიას დახმარებით, დათანხმდა ჯგერის დაწერას ქუთაისის „სტრუისკის ეკლესიის“ მღვდელი და ჯვარი დავიწერეთ.

მამაჩემს დეპეშით ვაცნობეთ, ჩამოვიდა ქუთაისში, 200 მან. მოგვეცა და ამ თანხით გავემართეთ პეტერბურგს, რასაკვირველია, მესამე კლასის ვაგონით. ვაგონი სავსე იყო რუსი გლეხებით. საშინელი ვიწროობა იყო. მაშინდელი ვაგონები არ ჰგავდა ახლანდელ ვაგონებს. იდგა საშინელი თუთუნის ბული და არყის სუნი. ღამე დასაწოლი ადგილები აღარ იყო. მე პირველად ვხედავდი ამდენ რუსის გლეხობას ერთად და მაკვირვებდა იმათი ხალისიანი კეთილგანწყობილება და უბრალო, ხანდახან ტლანქი ოხუნჯობა.

ჩვენი მგზავრობა დავმთხვა ალექსანდრე მესამის გარდაცვალებას. მისი გარდაცვალება გავიგეთ როსტოვის სადგურზე. ამ ცნობას ისე გულგრილად შეხედნენ ჩვენი თანამგზავრი გლეხები, რომ გაოცებული ვიყავი. როდესაც ვაგონში ალექსანდრე მესამის პატარა, თეთრი, თაბაშირი ბიუსტი შემოიტანეს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან იაფად აფასებდა გამყიდველი, არავინ არ იყიდა. სიცილით ამბობდნენ: „სიცოცხლეში რა ხიერი დაგვაყარა, რომ ახლა სამაზსოვ-

როდ შისი გამოსახულება შინ დაედგათ და ვუცქიროთო“.

მე რომ ავტობიოგრაფიას ვწერდე, აქ ავწერდი თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე პეტერბურგმა ქუთაისის შემდეგ. პეტერბურგის უზარმაზარმა საბუღალბო, ეტლბის გრილმა (ავტობიოგრაფიები არ ყოფილა მაშინ), აუარებელი ხალხის ტრიალმა ქუჩაზე და ხმაურობამ. ავწერდი, როგორ დავკარგე, ყველა ამ სანახაობით გაკვირვებულმა, პატარა ჩანთა და ხელის სათბუნებელი, როგორ ვნახე შემდეგ ქუჩაში ნიკოლოზ მეორის საქორწილო მგზავრობა, ოქროს კარტით რომ მიდიოდნენ ისაკის სობოროში; როგორ ეგებებოდა იმათ ხალხი. როგორ მიუძღოდა წინ კარეტას საშუალო საუკუნეების ტანისამოსით გამოწყობილი, ოქროსაბჯრიანი და სირაქლემას ფრთებით მორთულქუდიანი რაინდები. როგორ დადიოდნენ ქუჩებში საშუალო საუკუნეების ტანისამოსითვე გამოწყობილი ცხენოსნები, მაცნეები და საყვირების ყვირილით ატყობინებდნენ ხალხს ამ „ბედნიერ“ ამბავს — ნიკოლოზ მეორის დაქორწინებას. იმ ნიკოლოზ მეორისა, რომელმაც ხალხი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, ისეთი ცხოვრება დაამყარა თავის სახელმწიფოში, რომ ხალხმაც აღარ დაინდო ის...

პეტერბურგში ჩასვლის მეორე დღეს, კვირას, ილიკოს მეგობრის — ნიკო მარის სანახავად წავედი.

როდესაც დაკრეკეთ და შინამოსამსახურე დედაკაცმა კარი გაგვიღო და შეგვიძღვა მარის კაბინეტში, ნიკო იდგა შუა ოთახში, ხელში წიგნი ეჭირა და გულიანად იკინოდა (შემდეგში მარი ბევრჯერ მინახავს, მაგრამ ასე გულიანად გაცივებული არ მინახავს). შევედით თუ არა, მაშინვე გამოქანდა ილიკოსაქენ, გადაკოცნა და უთხრა:

— იცი, ილიკო, ერთი საათია ჩაკვირკიტებ ამ სომხურ ლექსს, ვხედავ, ვილაცის ლანძღავენ და ვის ვერ გავიგე, მხოლოდ ამ წუთში მივხვდი, რომ მე მლანძღავს ლექსის ავტორი.

— შენ წარმოიდგინე, არც სახელი/და არც გვარი არაა მოხსენებული სწორედ შენ რომ შემოხვედი... მაშინ წავიკითხე აქროსტიხი „ცენზორი“ და სომხური წიგნების ცენზორი ხომ მე ვარ... უცებ შეჩერდა, — ოჰ, უკაცრავად, ეს შენი მეუღლეა?... მობრძანდით, მობრძანდით... უცებ ისევ შეჩერდა და მოიხედა თავის საწერ მაგიდისაკენ და გაიქცა. მაგიდასთან, საეარქელში დაჩოქილი იყო პატარა ბუთხუზა ბიჭიკო.

— იური, — შეაკვირა მარმა, — შენ ისევ მიფუჭებ ქალაღებს?

იური გაცივებული მობრუნდა:

— არა, მამიკო, მე შენ გეხმარები.

— როგორ მეხმარები? მე ხომ გითხარი, ხელი არ ახლო ჩემ ქალაღებს-მეთქი...

— მაშინ მე შავი მელნით ვასწორებდი, ახლა წითელი ფანქრით ვხაზავ და ვასწორებულს ძირს ვყრი, როგორც შენ.

ნიკომ აალაგა წითელი ფანქრით გადახაზული ქალაღები იატაკიდან.

— დმერთო ჩემო, სულ გაუფუჭებია ჩემი სტატია... მე ხომ ავიკრძალე, — მიუბრუნდა ის იურის, — არაფერი დასწერო ჩემ ქალაღებზე, არ გამიფუჭო-მეთქი, ბოდიშიც ხომ მოიხადე, აღარ გახსოვს?

— მერე რაა, მამიკო, მე ახლაც ხომ მოვიხადე ბოდიში. შენ ვერ გაიგონე, წიგნს კითხულობდი, მაგრამ მე ხომ არ გამიფუჭებია, დაგეხმარე, წითელი ხაზები გაუფუჭე შენსავით, შავი მელნით კი არ დამიწერია...

ნიკოს გაეცინა და იური ძირს ჩამოსვა.

— წადი, წადი დედასთან, — უთხრა მან.

ბიჭი ცქვიტად გაიქცა დედისაკენ. ეს პატარა ბიჭიკო იყო ნიკო მარის უფროსი ვაჟი იური, შემდეგში სპარსული ენის პროფესორი.

გამოვიდა ნიკოს ცოლი, პროფესორ ქუცოვსკის და, სასიამოვნო შესახებაობის გამხდარი ქალი. სადილად აღარ

გამოგვიშვებს და სალამოს გვიანობამდე დავრჩით მათთან.

ნიკო და ილიკო იგონებდნენ ქუთაისის გიმნაზიაში გატარებულ დროს. მოიგონეს ის სალამოც, 14 იანვრის წინობის დღესასწაული, როდესაც ქუთაისის „ქალთა ზავედინიაში“ იმართებოდა ტრადიციული სალამო-ბალი, სადაც მთელი ვაჟთა გიმნაზიის უფროსი კლასის მოსწავლეები მოწვეულნი იყვნენ ხოლმე საცეკვაოდ და დროს გასატარებლად.

ნიკოს უნდოდა ამ დღესასწაულის დღეს გამოეცადა, რამდენად სერიოზული მოქალაქეები იყვნენ გიმნაზიელები და სწორედ ამ სალამოს დანიშნა მან სალიტერატურო სალამო, რომელზედაც ზანსი უნდა ჰქონოდათ გიორგი ერისთავის შემოქმედებაზე. სალამოზე კი მხოლოდ ერმილე და ილიკო ნაკაშიძეები გამოცხადდნენ, — მითხრა მან სიცილით.

მოიგონა ისიც, რომ, რადგანაც ბერძნულ ენაში გიმნაზიის უკანასკნელ კლასში ნიშანი „ოთხი“ ჰქონდა, ერთი წელიწადი კიდევ დარჩა მერვე კლასში, რომ ნიშანი გავსწორებინა და ყველა საგანში ხუთი ჰქონოდა...

— ლექციებს კითხულობ? — ჰკითხა ილიკომ.

— ვკითხულობ, სომეხი სტუდენტები მყავს, ქართულ კათედრაზე არ დამტოვეს. პროფესორმა ცაგარელმა შემიშალა ხელი, მაგრამ არა უშავს: სომეხებს და ქართველებს ისეთი დიდი საერთო ისტორია აქვს, რომ, მე მგონია, სრულიად არ არის საწყენი, რომ სომეხურზე დავრჩი, მხოლოდ საწყენი ისაა, — სთქვა მან, — როგორც მომეჩვენა გულისტყვივით, — რატომ იყო ცაგარელი ჩემი წინააღმდეგი.

სალამოს, ჩაის მერე, ისევ მოიგონეს ქუთაისი.

— იცი, ილიკო, ამას წინათ მივიღე ტანია კოვალევსკიას წერილი. მწერდა, გამაგებინეთ, სად ცხოვრობს ამჟამად ილიკო ნაკაშიძეო.

— მერე, არ მისწერე?

— მე მივწერე: არ ვიცი, ამჟამად

ილია პეტრეს ძე ნაკაშიძე სად იმყოფება-მეთქი. მისი წერილი კი დავხეი და ნევეში გადავყარე.

ილიკოს გაეცინა:

— შენ ხომ იცოდი ჩემი მისამართი, კიდევ ემღერი ტანისა? ტყუილად ემღერი, ტანია კარგი ქალია...

— ძალიან კარგია სწორედ, ჩემი საცოლოდ იყო და მიმატოვა...

— ჰო, მაგრამ ეს ამბავი აწ უნდა დაივიწყო...

— და ვაპატიო, არა? შენ, ძმეო, ქრისტიანულ იდეებს ქადაგებ, — ცოტა ხანს დაფიქრდა და დაუმატა: — არა, რაც გინდა თქვი და, ნიჭიერი კაცი კი იყო იესო ქრისტე, მაგრამ ხომ იცი, რომ ყველა უკანონოდ შობილი ნიჭიერია...

— კიდევ ვინ არის უკანონოდ შობილი? — ვკითხე მე წყენით, რადგან მკრებელობად მიმაჩნდა მაშინ იესო ქრისტეს უკანონო შობილად მოხსენიება.

— კიდევ? — გაიცინა მან ჩემ კითხვაზე, — აი, თუ გინდათ, გერცენი, ქუქოვსკი და სხვებიც...

ამ პატარა შენიშვნით მე არ ეფიქრობ ნიკო მარის დახასიათებას, აღენიშნე მხოლოდ მისი ოჯახური გარემოების ერთი პატარა ეპიზოდი.

1905 წ.

„ვარა, მხალნი ვერ დაისაყუთრებენ მათყანას“.

ქოლა ლომთათიძე

ალარ მაგონდება სადმე წავეციოთხე, თუ მითხრა ვინმემ, რომ ვისაც საფრანგეთის რევოლუცია არ უნახავს, იმას სრული ბედნიერება არ უგზავნიო. როგორც მახსოვს, მაშინ ეს სიტყვები არ დავიჯერე. მერე კი მივხვდი, რომ რევოლუცია აწრთობს ადამიანის ნებისყოფას, სწვრთნის ხალხს და ასწავლის, თუ როგორ გაუმკლავდეს, როგორ გამოავლინოს მთელი თავისი ენერჯია და მისწრაფება, რომ იბრძოლოს და უბედურება ბედნიერებად გადააქციოს.

მწერალი იბსენი ამბობს ერთ-ერთ თავის წერილში: „მე რომ ერთ ხელში თავისუფლების მისწრაფებისათვის

ბრძოლა მომცენ და მეორეში თავისუფლება, მე ბრძოლას ავირჩევდიო“.

ვინ იტყვის, რომ თავისუფლება ბედნიერება არ არის, მაგრამ ამ თავისუფლების მოსაპოვებლად ბრძოლა და მისწრაფებაც ხომ ბედნიერებაა!..

ჩვენ ეს საკვებით განვიცადეთ, 1905 წელს გურიაში და, ვფიქრობ, ვისაც არ განუცდია 1905 წლის რევოლუცია და ბრძოლა, იმას სრული ბედნიერება და თავისუფლების სიხარულის გრძნობა არ განუცდია. და მე ვკადნიერდები, მინდა შეითხველს ვუამბო ათასცხრასხუთი წლის თავისუფლებისათვის ბრძოლისა და თავისუფლების მოპოების სიხარული და ბედნიერება.

ამბავი ცოტათი შორიდან უნდა დავიწყო: 1904 წელს დროებით ბათუმში ვცხოვრობდი. იმ სახლში, სადაც მე დაეზინავდი, ცხოვრობდა თვალის ექიმში ალექსანდრე შატილოვი. უბრალო, კეთილი კაცი იყო შატილოვი. ყველა რევოლუციონერს მფარველობდა და ინახავდა თავის ბინაზე. მან მიაშო, როგორ დაიხურა მანთაშვიის ყუთების ქარხანა, სადაც გურული მუშები მუშაობდნენ და მთელი ეს მასსა წაეიდა გურიაში და 1903 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა გაჩაღდაო.

როდესაც ბათუმიდან წამოვედი გურიაში, ეტლში რომ ვჯდებოდი სადგურზე წასასვლელად, შატილოვმა გამომიტანა ერთი შეკერა პატარა ზომის პროკლამაციები და მითხრა: „ეს პროკლამაციები რამენაირად გურიაში გაავრცელე, გადაყარე, რომ ხალხმა წაიკითხო-სო“.

როდესაც სადგურ ნატანებში ჩამოვედი, შევხვდი ნაცნობ სტუდენტს — ანტონ ჯორჯოლიანს. ეტლი ერთად დავიჭირავთ და წამოვედით ოზურგეთში. მაშინ მატარებელი არ დადიოდა ნატანებიდან ოზურგეთამდე. მე ამოვიღე ჩანთიდან პროკლამაციები და ვუთხარი ანტონს, „რა უნდა ეუყო ახლა ამას. სად და როგორ უნდა გავავრცელო-მეთქი“.

ანტონმა გაიცინა და მითხრა: — მოიტა აქ.

მივეცი, მან გაპყო შუაზე შეკერა, ნახევარი თვითონ დაიტოვა, ნახევარი მე დამიბრუნა და მითხრა:

— თითო-თითოდ გადაყარე შენი მხარეს და მეც ჩემ მხარეს გადავყარი თითო-თითოს.

მართლაც, მოვდიოდით ეტლით, მე-ეტლე მაინცდამაინც არ ჩქარობდა და ვყრიდით ორივე მხარეს ფურცლებს. ფურცლები ცვივოდა ძირს, ზოგი ეფინებოდა მიწაზე, ზოგიც ფრიალებდა ნიაზე და ქვეითად გამლეულ-გამომლეული იღებდნენ, ხანაც მისდევდნენ გაფრენილ ფურცლებს, იჭერდნენ და კითხულობდნენ. ხანდახან ცხენით მომავალიც კი ხტებოდნენ ცხენიდან პროკლამაციების ასაღებად, იღებდნენ და კითხულობდნენ. პროკლამაციაში ეწერა მოწოდება, რომ მთავრობისათვის „ბოიკოტი“ გამოეცხადებია ხალხს და არ მიემართათ თხოვნით და საჩივრებით დაწესებულებებისათვის. სამწუხაროდ, სიტყვა-სიტყვით აღარ მახსოვს შინაარსი.

ქალაქ ოზურგეთის ბოლოს, ყაზარმებთან რომ მოვალწიეთ, ცოტაღა დავგვრჩა და ერთბაშად გადავყარეთ.

— არა უშავს, — ამბობდა სიცილით ანტონი, — სალდათები წაიკითხავნო.

ოზურგეთში მამაჩემი ძალიან ავადმყოფი დამხვდა და გადაწვევით დავრჩენილიყავი და მომეგლო. ექიმი გიორგი ქოდოშვილი ექიმობდა და მითხრა, ძალიან მძიმე ავადმყოფია და შეიძლება ვერ გადარჩესო. არ გასულა ორი დღე, რომ ჩემთან, სოფ. დანუელში სადაც მამაჩემი ცხოვრობდა, ოზურგეთიდან ერთი კილომეტრით დაშორებით, ამოვიდა ლევან გურიელი. ლევანი, მგონია, იმ დროს ბათუმში მსახურობდა „ურიადნიკად“. მე ძალიან გამაკვირვა იმისმა მოსვლამ, უწინ არასოდეს არ მოსულა ჩვენთან, მითხრა:

— ნინო, ერთი რამე უნდა გითხრა და მომისმინე, არ გეწყინოს კი ჩემგან, მაგრამ ვანიჩკა ჯაფარიძე (იმ დროს ივანე ჯაფარიძე მასრის უფროსად იყო გური-აში) დაჭერას ვიპირებს და მე გირჩევ,

ჩქარა წაზვიდე აქედან, იქნება დღესვე გაემგზავრო კიდეცა.

— რატომ? — ვკითხე მე.

— რატომ და, ვანიჩკა ამბობს, პროკლამაციები დაუყრია ყაზარმებთანო. მე გაეჩუმდი. ლევანმა გაიცინა.

— გადაგიყრია თუ არ გადაგიყრია, მაინც გირჩევ წაზვიდე...

ძალიან შემძიმებოდა მომაკვდავი მამის დატოვება, მაგრამ ჩემი ძმის დავითის თხოვნა შევასრულე და წამოვედი. ჩემი ძმა ამბობდა: „მოვლენ, სახლს გავვიჩხრეკენ, აგვაწიოკებენ, მომაკვდავ მამაჩვენს თავზარს დასცემენ და სჯობია წაზვიდეო“.

მეორე თუ მესამე დღეს ოზურგეთის პოლიციაში დამიბარეს თურქე, მაგრამ რაღაც წამოსული ვიყავი, რაღა იქნებოდა. ერთი კვირის შემდეგ მამაჩემი გარდაიცვალა. ჩავედი გურიაში, დასაფლავებან დავესწარი და მამოინვე წამოვედი. ეს იყო 1904 წელს შემოდგომაზე და მის შემდეგ 1905 წლის შემოდგომამდე გურიაში აღარ წავესულვარ.

1904 წ. და ნაწილობრივ 1903 წლიდანაც, გურიაში ცხოვრებამ შესამჩნევად იცვალა სახე: ხალხი თვითონ შეუდგა თავის ცხოვრების მოწყობას, ცდილობდნენ არ მიემართათ მთავრობის დაწესებულებებისათვის, პოლიციის და სასამართლოებისათვის, არ გადახადათ ისე დიდი ღალა მემამულეებისათვის, როგორც მემამულეებს თვითონ ჰქონდათ დაწესებული: შემოსავლის ნახევარი და მესამედი. სამუშაო დღედ, თბილისის მუშების მაგალითის მიხედვით, რვა საათის სამუშაო დღე შემოედოთ.

განშირდა გურიაში ფარული და ღია მიტინგები. ჭავჭავაძე მღეროდნენ თვითმპყრობელობისა და სამღვდლოების საწინააღმდეგო ლექსებს და აწყობდნენ თამაშობებს: მაგალითად, გაუშვებდნენ ხეზე ერთ რომელიმე, პატარა ბიჭს, რომელსაც სახელად ერქვა ნიკო და უყვიროდნენ: „ძირს ნიკოლოზ, ძირს ნიკოლოზ!“

ხალხი არ აძლევდა ჯარში წასაყვან სალდათებს. ყველა გაფაციცებით კი-

თხულობდა ვაზეთებში, როგორ აშა-ცხებდა იაპონიის ჯარი რუსეთის ჯარს და იმედს ამყარებდა, რომ იქნებ დიდი და კარგი შედეგი მოჰყვებოდა. ამ თემაზე ხალხში დაიბრახ სხვადასხვა სიმღერა: „ტოგომ უთხრა მაკაროვსა, აღარ გაქმევ მაკარონსა“ და სხვ. მშობლები ახალდაბადებულ ბავშვებს არქმევდნენ გმირი იაპონელების სახელებს: ტოგოს, კამიშურას და სხვ.

დიდი და პატარა გატაცებით მღეროდა პორფირე მენუშელას ლექსს:

„ყველა სიცოცხლეს გვიმოკლებს,

სუფელა ზენი მტერია;

ხელშიფე, იმპერატორი, ვაჟარი,

მღვდელი, ზერია...

ჩვენ ვეისნის მხოლოდ ერთობა,

ჰეა და გამოცდილება,

კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსის—

სწავლა და შეცნობება.

მათ გვიანდერქეს, შევყაროთ, სოფლები,

მუშათ ლაშქარი,

ვიბრძოლოთ მანამ, სანამღ დრო არ გვეწვიოს
ნეტარი.

მამ, ბრძოლა, ძმებო, გვირული—

მტერებთან ვაუმაძლარს!

მუსრი მგლებს, მუსრი ქოფაკებს!

ძირს მეფე ვაუმაძლარს!

ხალხი დარწმუნებული იყო, რომ დღეს არა ხვალ, დაეცემა თვითმპყრობელობა და თავისუფლად ამოისუნთქავს.

ერთ ფარულ მიტინგს 1904 წ., ოზურგეთში ყოფნის დროს, მეც დავესწარი, ქალაქგარეთ. მიტინგზე ისიღორე რამიშვილი მოუთხრობდა მრავალრიცხოვან ხალხს, სახელდახელოდ გაკეთებული ესტრადიდან, თვითმპყრობელობის აღვირახსნილობაზე. ამდენ ხანსო, — ამბობდა ისიღორე — რუსეთის თვითმპყრობელობა ოთხ შუშის ფეხზე იდგა. ახლა კი ერთი ფეხი უკვე მოსტეხეს და დარჩა სამი შუშის ფეხი, დარწმუნებული ვიყოთ, იმათაც ჩქარა მოსტეხს პროლეტარიატის ძლევამოსილი ერთობაო. ამ სიტყვებმა აღტაცებაში მოიყვანა დამსწრენი და ღამის ბინდ-ბუნდში გაისმა დაუსრულებელი ტაში. აღფრთოვანებულმა ხალხმა ისიღორე ხელში აიტაცა.

ამბობდნენ, რომ მაზრის უფროსი ლაზარენკო მეორე დღეს, ორი ანუელი ჯა-

რისკაცით უკვე წავიდა მიტინგის ადგილასო. მაგრამ აბა, ვის ნახავდა მეორედღეს!

1904 წელმა გურიაში გამოავლინა ბევრი პროპაგანდისტი. ჩამოყალიბდა, და დაარსდა სხვადასხვა პარტია და ხალხიც გაჰყვა მათ. ყველა ეწერებოდა პარტიებში. რასაკვირველია, ყველაზე მეტი ჩაეწერა სოციალ-დემოკრატიის პარტიაში. პარტიებს შორის ხშირად იმართებოდა კამათი.

ხალხს ძალიან მოსწონდა, რომ თავის ცხოვრებას თვითონ განაგებდა არჩეული ამხანაგების დადგენილებით. ყოველი არჩეული პირი, ქალი იყო, თუ ვაჟი, პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და „განაჩენიც“ დამნაშავეთა მიმართ უსიტყვოდ და უყოყმანოდ სრულებოდა.

მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა: ერთმა გლეხმა ააშენა სოფ. ვაკოჯვარში ოდა, მანამდე პატარა ფიცრული, მიწური სახლი ჰქონდა და ცხოვრობდა ცოლთან ერთად. მაგრამ, როდესაც კოხტა ოდა წამოჰქიმა, ცოლმა „ჩოფანო“, ქმარი აღარ იკადრა და ოდაში აღარ შეუშვა: „სამშარეულოში იცხოვრე, ოდაში არ შემოხვიდე შენი დაბრანძული ტანისამოსითო“.

ქმარმა იჩივლა არჩეულ პირებთან. იმათ დაიბარეს ცოლი და ჰკითხეს:

— ვინ ააშენა ოდა?

— ჩემმა ქმარმა, — უბასუხა მან.

— მაშ, იმანაც უნდა იცხოვროს შენთან ერთად ოდაში! — უთხრეს არჩეულებმა და ქალმაც უსიტყვოდ შეასრულა მათი დადგენილება და შეუშვა ოდაში „ჩოფანო“ ქმარი.

მოისპო ქურდობა, მტაცებლობა. თქვენ, შეიძლება, გზაში დაკარგოდათ რამე ნივთი, ან ფული, მეორედღეს გაივლიდით იმ ადგილას და იპოვნიდით დანაკარგს. ცხოვრება რაღაც სასიამოვნო ზღაპარით მიმდინარეობდა.

მოსამართლეებმა თავი დანებეს ბატონების მომსახურებას და წავიდნენ მოვიდნენ თავიანთ ოჯახებში.

მხოლოდ ერთადერთ დაწესებულება-

ში არ დაუნებებიათ მუშებს სამუშაოსთვის თავი, ზვანის ჩაის პლანტაციაში, რომლის გამგეც ვრმილე წავიწირე. ვრმილემ თვითონ მიამბო ვითნელ სიცილით, თუ როგორ მტყიცედ იცავდნენ მუშები დადგენილებას სამუშაოდის შესახებ: „დაირეკებოდა თუ არა დილას სამუშაოს დაწყების ზარი, იმ წამსვე გამოცხადდებოდნენ სამუშაოზე, მაგრამ დაირეკებოდა თუ არა მუშაობის ვათაგებისა, მაშინვე დანებებდნენ თავს მუშაობასო. შეიძლება ზარის დარეკვისას, მუშას ხელი ჰქონდა მოკიდებული სარეველა ბალახის ამოსაძურწავად, კი არ ამოძურწავდა ბალახს, მაშინ ხელს გაუშვებდა და მიატოვებდა სამუშაოს, რომ მეტი დრო არ ემუშავა“.

ხალხის მოძრაობამ შეაშფოთა ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც სრულიად გარიყული დარჩა ხალხისაგან. შეიქნა მიწერ-მოწერა ზემდგომ დაწესებულებებისა და მოხელეებს შორის ხალხის ამგვარი ურჩობის შესახებ. გახშირდა ეგზეკუციები სოფლებში, მცხოვრებლების დატუსაღება, მაგრამ ხალხი მაგრად იდგა თავის პოზიციაზე და არ ასრულებდა მთავრობის განკარგულებებს.

1905 წლის დასაწყისში მთავარმართებელმა გაგზავნა გურიაში საქმის მოსაგვარებლად ცნობილი გენერალი ალიხანოვ-ავარსკი ჯარებით, როდესაც ეს გაიგო ილია ჭავჭავაძემ, შეკრიბა თბილისის მოწინავე თვადანაურთბა, ინტელიგენცია და ქურნალ-გაზეთების წარმომადგენელი. ამ კრებას ვაჟა-ფშაველაც დაესწრო და მიმართა მათ შესანიშნავი სიტყვით:

— გურიაში, ერთ საუკეთესო ჩვენი ქვეყნის მხარეში, გაიგზავნა გენერალი ალიხანოვის მეთაურობით დამსჯელი რაზმი. მე ვიცნობ გენერალ ალიხანოვს, როგორც უკიდურესად სასტიკ ადამიანს და გურიას დიდი უბედურება მოელის. ჩვენ ახლავე უნდა გავგზავნოთ დებუტაცია მთავარმართებელთან, რომ დააბრუნოს გენერალი ალიხანოვი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ შუამდგომ-

ლობას არ შეიწყნარებს, ჩვენ ყველამ უნდა ავისხათ იარაღი, წავიდეთ და, გურულებთან ერთად, ჩვენც ჩავყაროთ ჩვენი ძვლები მიწაში.¹

ვაჟა-ფშაველამ კი გამოაცხადა, თუ წასვლა იქნება, მე ორას შეიარაღებულ ხეცსურს მოვიყვანო.²

ამ კრებაზე აირჩიეს დეპუტაცია, რომელიც წავიდა მთავარმართებელთან შეამდგომლობისათვის.

მთავარმართებელმა შეიწყნარა დეპუტაციის თხოვნა და გენერალი აღიხანოვი, რომელიც ამ დროს უკვე ქუთაისში იყო ჩასული ჯარით, უკან დააბრუნა.

შემდეგ მთავარმართებლობამ სხვა, უფრო კუმანიურ გზას მიმართა, გადასწყვიტა გამოეყვლია თუ რა გზით შეიძლებაოდა ხალხის დამორჩილება, რას თხოულობდა ეს ურჩი ხალხი, გამოეყვლია იმათი ნამდვილი მდგომარეობა

¹ ეს სიტყვა მოყვანილი მაქვს ილია ჭავჭავაძის მოგონებაში.

² კარგა ხნის შემდეგ მე ვკითხე ვაჟას: მართლა მოიყვანდით შეიარაღებულ ხეცსურებს-მეთქი? მოვიყვანდიო — მითხრა.

— შერედა, როგორ გაუძლებდით დამსჯელი რაზმის ზარბაზნებს, უთუოდ დაგზოცავენ-მეთქი.

— მე და ჩემმა ღმერთმა, სჯობდა იქ მოეკლა აღიხანოვის დამსჯელი რაზმის ზარბაზანს სამშობლოს დაცვისათვის შეიარაღებული, მებრძოლი ილია, ვიდრე ის მოკვდა წაწამურში, ავაზაყვის ტყეით — მიპასუხა მან.

და შეემუშავებინა ზომები ნორმალური ცხოვრების აღსადგენად. კავკასიის მთავარმართებლობამ გადასწყვიტა გაეგზავნა მთავარმართებლობის ერთ-ერთი წევრი, სახელდობრ, სულთან კრიმ გირეი ამ საქმის გამო-სარკვევად.

გურულ გლეხებს ნება ეძლეოდათ თავისუფლად, გულახდილად ელაპარაკნათ და ეთქვათ კრიმ გირეისათვის თავიანთი სურვილი, თუ რით იყვნენ უკმაყოფილო და რაგვარი ცხოვრების შემოღება უნდოდათ.

კრიმ გირეის უნდა ჩამოეველო მთელი გურიის სოფლები და გამოეკითხა ხალხისათვის, თუ რას თხოულობდნენ ისინი. კრიმ გირეიმ შეასრულა თავისი მოვალეობა. მისი მოგზაურობა გურიის სოფლებში მთელი ეპოპეაა. ნამდვილი პოემაა, პოეზიაა, გლეხების ის საუბრებია, რომლებიც მათ ჰქონდათ კრიმ გირეისთან, ის გულგახსნილობა და ნდობა, რომლითაც მას (კრიმ გირეის) ეპყრობოდნენ ყოველ სოფელში. გლეხები იმ ყოველმხრივი ჩაგვრა-დამცირებისა და შეურაცხყოფის შესახებ, რასაც ისინი განიცდიდნენ მთავრობის მოხელეებისაგან გულისტკივილითა და ამავე დროს დიდი იუმორით უამბობდნენ გირეის. თუ რაგვარი ცხოვრების მოწყობას მოითხოვდნენ, აღიარებდნენ ნათლად, უშიშრად და მტკიცედ.



ა ნ ა თ ე მ ა

— მამაო დიაკონო, ქვეყნის სანთელი დაიწვა, გეყოფა, ვერ ავუღივართ, — ბუზღუნებს დიაკვნის ცოლი, — ადგომის დროა.

ეს ჩია, უფერული დედაკაცი, ყოფილი ეპარქიელი, მეტისმეტად მკაცრად ეპყრობა ქმარს. მას ჯერ კიდევ ინსტიტუტში ყოფნისას ჩაეპედა თავში იქ გაბატონებული აზრი, რომ ყველა მამაკაცი არამზადაა, მატყუარა ტირანი და ვასაქანი არ უნდა მისცე. მაგრამ მთავარდიაკონი სულაც არ იყო ტირანი. მას სავესებით გულწრფელად ეშინოდა თავისი ოდნავ ისტერიული დამთხვეული მეუღლისა. შეილი არ ჰყავდათ, დიაკვნის ცოლი ბერწი გამოდგა. დიაკონი კი ასე, კარგა ცხრანახევარ ფუტს იწონიდა, გულ-მკერდი მანქანის კორპუსს მიუგავდა, ხმა ჰქონდა შესაზარი, მაგრამ ისეთი გულჩვილი იყო, როგორც, საერთოდ, ძალზე ძლიერ ადამიანებს ჩევეიათ ხოლმე.

მთავარდიაკონი დიდხანს და ბეჯითად იწმენდა ხმას. ვისაც კი სახალისოდ უმღერია ოდესმე, ყველას გამოუცდია ეს მოსაბეზრებელი, ხანგრძლივი და დამტანჯველი მეცადინეობა — ყელის დაღობა, ბორის სიმკვავის გამოვლება და შეორთქლება. მამა ოლიმპიოსი ლოგინშივე ისინჯავდა ხმას.

— იია... ხმში!.. იია-ია! ალლილუია, ალლილუია... ცააა-თა... ხემი!.. მა-მა... მა-მაო...

„არ ჟღერს“, — გაიფიქრა მან. — უ-ფ-ა-ლო შე-გვი-წყალე-ე-ე... ხმ... გამოჩენილი მომღერალივით შიში იპყრობდა მასაც. აკი ცნობილია კიდევ, რომ მსახიობები სცენაზე გამოსვლის წინ ფითრდებიან, პირჯვარს

იწერენ ხოლმე. მამა ოლიმპიოსიც ტაძარში შესვლისას, ღირსებისა და წესის მიხედვით, გადაისახავდა ხოლმე პირჯვარს. მაგრამ, პირჯვრის წერისას, და არც თუ ისე იშვიათად, ისიც ღელავდა, ფითრდებოდა და ფიქრობდა: „ნეტავ ხმა არ ჩამიწყდებოდესო!“. ისე კი, მთელ ქალაქში, და შეიძლება მთელ რუსეთშიაც, მხოლოდ მას შეეძლო რეფის-ლიას ტონით აეფლერებინა ძველი. ჩაბნელებული, ოქროთი მოვარაყებულ-მოხატული ძველებური ტაძარი, მხოლოდ მას შეეძლო თავისი ლიერი, მხეტეური ხმით აეესო ძველი შენობის ყველა კუნძული და ერთ ტონში აეწყრიალეებინა ბროლის წვირები ქორკანდელეებზე.

პრანკია, მოყამულმა მეუღლემ ლიმონიანი უფერული ჩაი მოართვა და, როგორც ყოველ კვირადღეს, — ჰიქით არაყი. ოლიმპიოსმა ერთხელ კიდევ მოსინჯა ხმა.

— მი... მი... ვა... მე-ნელ-სა-ც-ხე-ბელ-ნო... დედაკაციო, აბა ერთი რე ამიღე ფისგარმონიაზე, — გასძახა მეორე ოთახში ცოლს.

ვაისმა გრძელი, ნაღვლიანი ნოტა. — ხმ... ხმ... ეტლზე მჯდარ — ფარაონს... არა, გამპარვია და ისაა ხმა. რა ჯანდაბად ავიხირე ეს მწერალი... რა გვარია?

მამა ოლიმპიოსი კითხვის დიდი მოყვარული იყო. კითხულობდა ბევრს განურჩევლად, ავტორის ვინაობა კი იშვიათად აინტერესებდა. სემინარიულმა განათლებამ, რომელიც უმთავრესად ზუთხვასა და „წესდების“ კითხვაზე, საეკლესიო მამათა აუცილებელ ციტატებზე იყო დაფუძნებული, არაჩვეუ-

ლებრივად განუვითარა მეხსიერება. მისთვის პეკარებზე ერთი თვალის გადავლენაც კი საკმარისი იყო, რათა მთელი გვერდები დაემახსოვრებინა ისეთი ძნელად გასაგები კაზუსტი მწერლების ნაწარმოებებიდან, როგორც ნეტარი ავგუსტინი, ტერტულიანოსი, ადამანტის ორიგენი, ვასილ დიდი და იოანე ოქროპირია. წიგნებით ვიფანის აკადემიის სტუდენტი სმირნოვი ამარაგებდა და სწორედ წინა დამით მოუტანა მან შესანიშნავი მოთხრობა კავკასიაში მცხოვრები ჯარისკაცების, კაზაკებისა და ჩეჩნების ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორ ხოცავდნენ ისინი ერთმანეთს, როგორ სვამდნენ ღვინოს, როგორ მოჰყავდათ ცოლი და როგორ ნადირობდნენ.

წაკითხულმა ააფორიაქა სტიქიური მთავარდიაკვნური სული. სამჯერ ზედზედ გადაიკითხა მან მოთხრობა და კითხვის დროს ხან ტიროდა, ხან იცინოდა ალტაცებისგან, ხან მუშტებს კუმშავდა, შფოთავდა და ხშირად ინაცვლებდა მხარს. ეპ, რა თქმა უნდა, აჯობებდა, ცხოვრებაში გამოსულიყო მონადირე, მეომარი, მებაღური, მხენელი — მთესველი და არა სასულიერო პირი.

• •
•

ტაძარში მისვლას იგი ყოველთვის შეაგვიანებდა ხოლმე, ისევე, როგორც ცნობილ ბარიტონებს ჩვევიათ თეატრში დაგვიანება. საკურთხეველის სამხრეთ კარში გასვლისას უკანასკნელად ჩაახველა და მოსინჯა ხმა. „ხმ, ხმ... რე ელერს, — გაიფიქრა მან, ის არამზადა კი უსათუოდ დო დიეზში გააბამს. თუმცა, სულერთია, გუნდს მაინც ჩემს ტონზე ვადმოვიყვან“.

მთავარდიაკონში საზოგადოების საყვარელი მომღერლის ნამდვილმა სიამაყემ გაიღვიძა, მთელი ქალაქის ნებიერის სიამაყემ, რომელსაც ბიჭუნებიც კი ისეთივე მოწიწებით შესციცინებენ ხოლმე, როგორც ბულგარში სამხედ-

რო ორკესტრის პელოკონის დადებულ ხაზას.

შემოვიდა არქივისკომისიის შეიმურად დაჯდა თავის ადგილას. მიტრა ოდნავ მარცხნივ, ირიბად ეხურა. აქეთიქით ორი იპოდიაკონი ამოუდგა საცეცხლურების ქვარუნით. თათრად, საღლესასწაულოდ მოსილი სამღვდლოება მღვდელმთავრის ადგილს შემოკვებია. ორმა მღვდელმა საკურთხეველიდან მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები გამოასვენა და ანალოიზე დაასვენა.

ტაძარი სამხრეთულად იყო ნაშენი. შიგ, კათოლიკური ეკლესიების მსგავსად, მუხის ჩუქურთმიანი კათედრაც იყო, კუთხეში, კედელზე ბუდესავით აკრული, ხვეული კიბე ადიოდა.

მთავარდიაკონი ტაბატი ადიოდა ხოლმე კათედრაზე, ასვლისას ხელს ფრთხილად კიდებდა მუხის მოაჯირს, რადგან ყოველთვის ეშინოდა — რაიმე არ მოგეტხზო. ახლაც ასევე ღინჯად ავიდა, დადგა, ჩაახველა, ცხვირით ღრმად ჩაისუნთქა, გადააფურთხა, კამერტონს უჩქმიტა, დოდან რეზე გადავიდა და წამოიწყო:

— გელოცავდეს მეუფე ყოვლად წმიდაი...

„არ გამოგვიყ, არამზადა რეგენტო, — გაიფიქრა მან, — უფალზე ვერ გაბედავ ტონი შემიცვალო“. და იმ წუთას კმაყოფილმა იგრძნო, რომ მისი ხმა ბევრად უკეთესად ელერდა, ვიდრე ოდესმე, ტონიდან ტონში თავისუფლად გადადიოდა და რბილი, ღრმა გრგვინვით აზანზარებდა ტაძრის დაგუბებულ ჰაერს.

დიდი მარხვის კვირაძალს წირავდნენ. მამა ოლიმპიოსს ჯერ ცოტა ჰქონდა საქმე. მკითხველი გაუგებრად ბუტბუტებდა ფსალმუნს, თავისთვის დუღუნებდა აკადემიის დიაკონი — ჰომილეთიკის მომავალი პროფესორი.

მთავარდიაკონი დროდადრო ამოდრიოლებდა: „გვესმის“... „უფლისა მიმართ ვილოცოთ“... იღგა თავის აშალებულ ადგილას, უზარმაზარი, ოქრო-

თი მოვარაყებულნი ფარხის ზეშეშა სტიქართ. მხრებზე ლომის ფაფარივით ეყარა ქალაქაშერეული შავი თმა და ხამუშ-ხამუშ ისინჯავდა ხოლმე ხმას. ეკლესია გაეცხოთ წირვლიან დედაბრებსა და თეთრწვერა ბერიაყებს, რომლებიც თევზით მოვაჭრეებსა თუ მევახშეებს ჩამოგავდნენ.

„უცნაური, — გაიფიქრა უცებ ოლიმპიოსმა, — რატომაა, რომ, თუ პროფილში გახედავ, ყველა ქალს ან თევზს მიუგავს სახე, ან ქათმის თავს... ეგე, ჩემს ცოლსაც“...

მაგრამ პროფესიული ჩვევა აიძულებდა არ გადაეხვია და ზუსტად მიპყლოდა წირვას XVII საუკუნის კურთხევათა მიხედვით. მეფესალმუნემ დაამთავრა ლოცვა. გაისმა — ამინ!

დაიწყო მართლმადიდებლის წესის დამტკიცება.

წამლერება ჩაბვეული, მიკიბ-მოკიბული დარჩა. საერთოდ, კვირამალის წირვის თანმიმდევრობა და შეჩვენების წესი ისეთია, როგორც გინდა ისე შეცვალებ. ისიც კმარა, რომ წმიდა ეკლესიას აქამდე შემორჩა სპეციალურ საბაბთა გამო დაწერილი ანათემები: წყველა ივაშკა მახუბასი, სტენკა რახინისა, ერეტოკოსებისა: არიასი, ხატ-მებრძოლებისა, მთავარხუცეს ავაკუშუმისა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მაგრამ მთავარდიაკონს დღეს ისეთი უცნაური რამ სჭირდა, რაც თავის დღეში არ დამართნია. თუმცა, მართალია, დილით ცოლის მიცემულმა არაყმა ცოტა მოთენთა კიდევც...

არ იქნა და ვერ მოიშორა წუხელ წაკითხულზე ფიქრი. გონებაში კვლავ და კვლავ ნათლად ეხატებოდნენ უბრალო, მშვენიერი და დაუსრულებელად მიმზიდველი სახეები. მაგრამ წესი წესია და ჩვეულებისათვის მაინც არ უღალატნია. რიხით ჩაათავა რწმენის სიმბოლო, თქვა „ამინ“ და ძველებურად, ჩაბვეულად აღავლინა: „ესე არს რწმენა მოციქულისა, ესე არს რწმენა მამისა ჩვენისა, ესე არს რწმენა მართლ-ს. „მნათობი“, № 10.

მადიდებლური, ესე არს რწმენა წუთისოფლად დამკვიდრებული“.

არქიეპისკოპოსი დიდი ფორმალისტი, პედანტი და ჰირვეული იურ. არასოდეს არ დაუშვებდა, რომ ერთი მუხლი რაა, ისიც კი გამოეტოვებინათ როგორც უნეტარესი მამისა და მწყემსის ანდრია კრიტელის კანონიდან და დამარხვის წესიდან, ისე სხვა საწირავიდან. ჰოდა, მამა ოლიმპიოსიც თავისი ლომისებრი ღრიალით გულუბრყვილოდ აწკრიალებდა ბროლის წყირებს ქორკანდელეზზე. დაწყევლა, ანათემას გადასცა და შეაჩვენა ხატმებრძოლები, ყველა ძველი ერეტოკოსი — არიადან მოკიდებული იტალიის მოძღვრების ყველა მიმდევარამდე — დაწყველილი ბერი ნილი, კონსტანტინე ბულგაროსი და ირინიკა, ვარლაამი და აკუნდინი, გენი, რონტი და ისაყ არგიროსი, დაწყველა ეკლესიის ყველა მაწყენინებელი — მაჰმადიანები, ლეთისმლოცაეები და ებრაელები, დაწყველა ხარების დღესასწაულის ყველა შემცოდებელი, მექორჩმენი — ქვრივ-ობოლთა დამჩაგვრენი, რუსი გამთიშველები, მეამბოხენი და მოღალატენი: გრიშკა ოტრეპიევი, ტიმოშკა აკუნდინოვი, სტენკა რახინი, ივაშკა მახუბა, ემელკა პუგაჩოვი და აგრეთვე მართლმადიდებლური რწმენის ყველა მოწინააღმდეგე.

ამას მოჰყვა კატეგორიული წყველანი ყველასი, ვისაც უარუყვია შენდობის მადლი, განდგომია წმიდა საიდუმლოებათა, წმიდა მამათა ტაძრებს და გადმოცემანი შეუფინებია.

„ვისაც უფიქრია ხელმწიფენი მართლმადიდებელნი ტახტზე ასულან არა როგორც ლეთისგან სვიანნი და არა როგორც სულიწმიდისა მირონცხებულო, და ამის გამო ამბოხი და ჯანყი განუზრახავთ მათ წინააღმდეგ, ვისაც წმიდა ხატები შეუფინებია და შეუცოდავს“. და ყოველ მის ლაღდისზე გუნდი პასუხობდა ნაზი, მკენესარე, ანგელოზის ხმით: „ანათემა“.

ხალხში უკვე დიდი ხანია ისტერიულად ქვითინებდნენ ქალები.

მთავარდიაკონი ამთავრებდა, როცა მასთან კათედრაზე აბობლდა მეფსალმუნე მამა დეკანოზის პატარა წერილით: „ყოვლად უწმიდესი უფლის განკარგულებით ანათემას გადაეცით თავადი ლევ ტოლსტოი. „იხ. კურთხევანი, თავი. ლ.“ — იყო მიწერილი ბართზე.

დიდი ხნის კითხვისაგან მამა ოლიმპიოსს უკვე ყალი სტკიოდა. მან ჩაახველა და ისევ წამოიწყო — „გვლოცავდეს მეუფე ყოვლად წმიდაი“.

კაცმარომ თქვას, მას არც ვაუგია, გამოიყენო მხოლოდ მოხუცი მღვდელმთავრის კნავილი:

„მთავარდიაკვნობითა შენითა და გვლოცავდეს მეუფე ჩვენი, ანათემას გადაეცეთ ღვთის შემცოდე და სულისაგან განდგომილი, ქრისტეს ღვთის წმიდა საიდუმლოებათა სიძვის სიტყვით უარმყოფელი. სახელითა ღვთითა მამითა, ძითა და სულითა წმიდითა“.

და უეცრად ოლიმპიოსმა იგრძნო, თუ როგორ აებურძვლა თმა და იმავე წუთს არაჩვეულებრივად ნათლად აღუდგნენ თვალიან გუშინდელი მოთხრობის მშვენიერი სიტყვები:

„...შეორშვამ თვალი გაახილა, თავი ასწია და ფარვანებს მიაჩერდა. ფარვანები სანთლის მოპარპალე აღს დაფარვატებდნენ და შიგ ცვიოდნენ.

— სულელო, სულელო! — ალაპარაკდა იგი — საით მიფრინავ? სულელო! სულელო! — წამოიწია და უხეში თითები ფარვანას აუქნია.

— დაიწვები, სულელო! აქვთ გაფრინდი, გეყოფა ადგილი. — ნაზად ეჩურჩულებოდა იგი ფარვანებს. თან ცდილობდა თავისი მოუხეშავი თითებით ფრთხილად დაეჭირა ფრთებით და გაეშვა. რატომ იღუპავ თავს, შეცოდები, მეცოდები“.

— ღმერთო ჩემო, ეს ვის ვწყევლი? — ტანში აერყოლებდა დიაკონს, — ნუთუ მას? მან ხომ მთელი დამე მატირა სიხარულით, გულჩვილობით, სინაზით.

მაგრამ ათასწლეული ჩვეულების

მორჩილი, იგი ისროდა წყველის საშინელ, შემადრწუნებელ სიტყვებს, და ისინი ცვიოდნენ ხალხში, როგორც უზარმაზარი სპილენძის ზარის ხმები...

...მღვდელყოფილი ნიკიტა და ბერი სერგია, საბაოთი და საბაოთიცა, დორთფეოსი და გაბრიელი... წმიდა საეკლესიო საიდუმლოებათ სცოდავენ, ხოლო მონანიება და ჭეშმარიტი ეკლესიის მორჩილება არ სურთ; და ყოველივე ასეთი ღვთისმგმობი საქმისა გამო იყავნ წყვეულნი...

ცოტა შეიცადა, სანამ ჰაერში არ დატბორდა მისი ხმა. სახე უღაყდაებდა და უკვე სულმთლად გაოფლილი იყო. ყელზე ორივე მხარეს ყოველი ძარღვი თითის სიმსხოდ დაბერვოდა.

„ვზივარ ერთხელ მდინარეზე და ვხედავ — აყვანს მოაცურებს წყალი. მთელი იყო აყვანი, კიდე ჰქონდა მხოლოდ ჩამოტეხილი. ფიქრი შემომაწვა — ვისი უნდა იყოს? ალბათ, ვფიქრობ, თქვენნი გადარეული ჯარისკაცები მივიდნენ აულში და ჩეჩნის ქალებს დაერივნენ; ბავშვი მოკლა ვინმე უღმერთოამ; ჩაველო ფეხებში ხელი და მიახეთქა ძვიდეს. განა არ უქნიათ? ეჰ, სული დაკარგა ხალხმა! ჰოდა, ასეთი ფიქრი შემომაწვა. შემეცოდა ყველა. ალბათ აყვანი გადაავდეს, ქალი გაიყოლეს, სახელი გადაწვეს, ჯივიტმა კი თოფი აილო და ჩვენს მხარეს წამოვიდა საყაჩაღოდ.“

...ცდენილია სული უფლისა მისისა, ვითარცა სიმონ მისინისა და ანანიასი და საფირონისა, რამეთუ ძალლი უბრუნდების ნარწყევს თვისას და იყოს დღე მისი მცირე და ბოროტი ხოლო ლოცვა მისი ცოდვა იყოს. და რუჯდეს სატანა მარჯვენაში და იყოს განსჯილი, დაკარგულ იყოს სახელი მისი მთელს სანათესაოში და აღიგავოს პირისაგან მიწისა ხსენება მისი... წყევლა და ანათემა მას... შეჩვენება კენისა მას, კეთრი გიენისა, მოშთობა იუდასი, დალუპვა სიმონ მირონისა. გასკდომა არიასი, უეცარი სიკვდილი ანანიასი და საფირონისა... შეჩვენება და ანათემას ყოფილ იყოს, არ

შეუნდოს არც სიკვდილის შემდეგ, სხეული მისი არ დანაცრულიყოს, მიწას არ მიეღოს და იყოს. ნაწილი მისი გვენიას სამარადისოდ და ეწამოს იგი ღლითა და ღამით...

ნათელი, მკაფიო მახსოვრობა კი მშვენიერ სიტყვებს უკარნახებდა:

„ღმერთს ყოველი ადამიანის სასიხარულოდ გაუჩენია. ცოდვა არა არის რა. თუნდ მხეცი აიღე: თათართა ლელიანშიც ცხოვრობს იგი და ჩვენსაშიაც. სადაც მივა, სახლიც იქა აქვს. იმას ჭამს, რასაც ღმერთი მისცემს. ჩვენები კი ასე ამბობენ, ამის გამო ტაფებს დაუწყებთ ლოკვასო. მე ასე ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს სიყალბეა მხოლოდ“.

მთავარღიაკონი უეცრად შეჩერდა და ტკაცანით დახურა ძველი კურთხევეანი. იქ შემდეგ წვევლის კიდევ უფრო საშინელი სიტყვები მოდიოდა, ის სიტყვები, რომლებიც საერო ადამიანთა აღსარების წესთან ერთად შეეძლო მოეგონებინა მხოლოდ ქრისტიანობის პირველ საუკუნეთა მონაზვნების ვიწრო გონებას.

სახე გაულურჯდა, თითქმის გაუშავდა კიდევ, თითები კრუნჩხვით შემოეჭდო კათედრის მოაჯირს. ერთი წუთით ასე ეგონა, გრძნობას დაეკარგავო. გაუძლო. ჰოდა, მთელი თავისი უზარმაზარი ხმის სიმძლიერით მან აღაგლინა საზენიმოდ:

— მიწიერს ჩვენსას სიხარულს, ცხოვრების ჩვენის მშვენიერებასა და სილამაზეს, ჰეშმარიტად ქრისტეს მემოპარსა და მსახურს თავად ლევს...

წამით შეჩერდა იგი. ხალხით სავსე ეკლესიაში აღარ ისმოდა არც ხველა, არც ჩურჩული, არც ფეხის შრიალი. იდგა სიჩუმის ის საშინელი წუთი, როცა მრავალასიანი ბრბო დუმს ერთს ნებას დამორჩილებული და ერთი გრძნობით შეპყრობილი. და, აი, მთავარღიაკონს თვალები აუცრემლდა და მაშინვე ჩაუწითლდა კიდევ. სახე მისი იმ წუთას მშვენიერი იყო ისევე, როგორი მშვენიერიც შეიძლება იყოს ადამიანის სახე შთაგონების ექსტაზში. მან ერთხელ კიდევ ჩაახველა. გონებაში სცადა გადასულიყო ორნახევარი ტონით და უეც-

რად მისმა ზებუნებრივმა ხმამ შეძრა უზარმაზარი ტაძარი:

— მრავალ-ვა-მი-ერა!
და იმის ნაცვლად, რომ ანათემის წესის თანახმად, სანთელი ძირს დაეწია, მან ზე ასწია იგი.

ტყუილადლა უსისინებდა რეგენტი თავის ბიჭუნებს, ტყუილადლა უკავუნებდა თავში კამერტონს, უჭერდა პირზე ხელს, ხალსიანად, თითქოს მთავარანგელოზის ბუკი წკრიალებსო, ისმოდა მათი ხმა მთელი ეკლესიის გასაგონად: „მრავალ, მრავალ, მრავალყამიერა!“

მამა ოლიმპიოსის კათედრაზე უკვე აბობლდნენ: მამა წინამძღვარი, დეკანოზი, კონსისტორიის მოხელე, მეფსალმუნე და შემოფოთებული დიაკვნის ცოლი.

— თავი დამანებეთ... მომეშეთ, — ამოიხრიალა მამა ოლიმპიოსმა მრისხანედ და ამჟყად გასწია მამა დეკანოზი, — მართალია, ხმა ჩაიფიყვიტე, მაგრამ დე იყოს იგი სადიდებლად ღვთისა და მისისა... გაიწიეთ!

საკურთხეველში გაიხადა ფარჩის სამოსელი, გულაჩუყებულმა გამოსამშვიდობებლად დაკოცნა ოლარი, გადაისახა პირჯვარი და ტაძარში გამოვიდა.

მიდიოდა იგი მთელი თავით ხალხზე მალალი, უზარმაზარი, დიდებული და დაღვრემილი. ხალხი კი, თითქოს უცხაურ შიშს შეუპყრიაო, უნებლოდ უთმობდა გზას. გაქვავებული სახით, ისე რომ არც კი მიუხედიო, ჩაუარა მან მღვდელმთავრის ადგილს და გავიდა გარეთ.

მხოლოდ ეკლესიის ეზოში დაეწია მას მიყნაელებული მუღღლე. იგი ტიროდა და ანაფორის სახელოზე ექაჩებოდა ქმარს:

— ეს რა ჩაიღინე, შე წყეულო, სულელო!.. ხეტქე დილიდანვე არაყი, ცოდვილო ლოთო. კიდევ კარგი თუ მარტო მონასტერში გიკრეს თავი და ფეხისალაგები გაწმენდინეს; ბუღავ შე ჩერქებულო! რამდენი თაყვანი უნდა ვცე ამიერიდან შენი გულისთვის. მკვლელო, შე უპყუოვ. შენ მოსპე ჩემი სიცოცხლე.

— სულ ერთია, — მიწას ჩაუხრიალა დიაკონმა. — აგურების მტვირთავად წავალ. მეისრედ წავალ, მეგორაკედ, მეეზოვედ, წოდებას კი მაინც დაეთმობ. ხელვე, აღარ მინდა. არ მსურს. სული ვერ ითმენს. სჯული მწამს ჭეშმარიტად, მწამს ქრისტე და ეკლესია მოციქულთა, მაგრამ ბოროტებას ველარ ავიტან. „ღმერთს ყოველი ადამიანის სასიხარულოდ გაუჩენია“, — წარმოსთქვა მან მოულოდნელად ნაცნობი მშვენიერი სიტყვები.

— ო, შე სულელი! ყეყეჩო! — იკვივლა დიაკვნის მეუღლემ, — როგორ არა — სასიხარულოდ. საგივეში გამოგამწყვე-

დევ, იქ გაიხარებ სწორედ. გუბერნატორამდე ვივლი, მეფემდე ~~ქვეყნის~~ სულ გამოგატეინა არაყმა არა? შე მტუხუხ მორო.

მეტს კი ველარ გაუძლო, ოლიმპიოსი შედგა, მიუბრუნდა, ხარის თვალები გადაუბრიალა:

— აბა?!

დიაკვნის მეუღლე პირველად შედგა მოკრძალებით ქმრის წინაშე, მოშორდა, სახეზე ცხვირსახოცი აიფარა და აქვითინდა.

იგი კი მიდიოდა უზარმაზარი, შავი და დიდებული, როგორც მონუმენტი.

თარგმანი მანუშაძის მიერ

პროფ. გიორგი ჯიბლაძე



ერის დღეება

ქართული ლიტერატურის სიამიყე, დიდი პოეტიკური მრავალფეროვნება და დემოკრატიული მოაზროვნე აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წელს, 9 ივნისს, სოფელ სხვიტორში, მამისეულ სახლში¹, და იქვე მიიყვანა 1915 წელს, 26 იანვარს, ღრმად მოხუცებული. ამდენად, როგორც აღმზანა, იგი მთლიანად წარსულს ეკუთვნის, მაგრამ, როგორც პოეტური გენია — წარსულს, აწმულისა და მომავალს აერთიანებს. ეს განუყოფელი ტრიადა — თვისი, ანტითვისის, სინთვისი არაყის ისე არ გამოუხატავს ჩვენს ლიტერატურაში, არაყის ისეთ სიმძლავრე არ აუყვანია ქართული კაცის განცდა წარსულის, აწმულის და მომავლის ერთობისა, როგორც იგი შესძლეს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ ქართული პოეზიის დიდმა მოგვებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა.

ილიასა და აკაკის ბოლომდე თანმიმდევრული, ნამდვილად კონსკვენტური დამოკიდებულება წარსულისადმი გამჟღავნებულია მთელს მათ შემოქმედებაში, მაგრამ უველაზე მკაფიოდ ისეთ თხზულებებში, როგორცაა „ანტილია“, „მწვე დიმიტრი თადაღებელი“, „ნიკოლოზ გოსტაშვილი“, „თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატი დიდი“, „ნათელა“, „ბაში-ანჯი“, „პატარა კახი“, რომ აღარაფერი ვთქვათ ღირიკელის ლექსებისა და პუბლიცისტური წერილების მთელ ციკლზე. აქტი და ილია მთელი ძალით

უბრძოდნენ მკედურ კაბალისტრიკას ისტორიის დარგში, გამოდიოდნენ ხალხის ცხოვრების ინტერესებიდან, თუმცა უოველთვის ვერ ახერხებდნენ მკაცი მენიერული მოთხოვნების სიმძლავრე დარჩენას. მაგრამ ორივე უნდა შეფასდეს არამარტო თანამედროვეობის თვალსაზრისით, რაც აუცილებლობას წარმოადგენს, არამედ, იმ კონკრეტული ისტორიული პირობების სრული გათვალისწინებით, რომლებშიაც მათ ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდათ.

მოულოდბელი 1858 წლიდან, როცა პირველად გამოჩნდა აკაკის სახელი „ციცქარში“, დამთავრებული 1915 წლით, საქართველოს ერთ-ერთი უველაზე დიდი დედაბოძის წაქცევით, ჩვენი ხალხის ცხოვრებას არ წამოუყვანებია არცერთი საქარბოროტო საყთახი, რომელსაც აკაკი წერეთლის მადლიანი კალამი არ შეხებოდეს, და არ განჩილა საქმე, მკირე თუ დიდი, უბადლო „განთიადის“ ავტორს ყურადღების საგნად არ გაეხადოს და მის შესრულებაში მხრეალე მონაწილეობა არ მიეღოს, ასეთი მასშტაბის შემოქმედება ადამიანები მსოფლიო ისტორიაში ერთეულები იყვნენ და აკაკისაც მისივე თანამედროვენი, მათ შორას დიდი ილია, „ერთადერთ აკაკის“, „ქვეყნის რჩეულს“ უწოდებდნენ. ნუსხა საყთახებისა თუ საზოგადო საქმეებისა, რომლებიც დაკავშირებულია აკაკის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან, იმდენად დიდია, რომ მარტოდენ ჩამოთვლას ვერ გაუძლება ვერც ერთი „in folio“. ვერც ერთი მკითხველი, მაგრამ მთავარი მანც იყო: რუსული რანზონინეტული ინტელიგენციის — ბედნიესკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ნეკრასოვის, პისარევისა და ზაიცევის მოძღვრებათა თვისებური გაზრების საფუძველზე ახალი სისტემის გამოყენება იმდროინდელი საქართველოს პირობებში; ბრძოლა ქართველი ხალხის ნაციონალური და სოციალური განთავისუფლებისათვის, რისთვისაც საქარო იყო ადგილობრვი ძალების დაზარება, „ახალგაზრ-

¹ ავტობიოგრაფიულ თხზულებაში — „ჩემი თავგადასავალი“, აკაკი თვითონვე ამბობს: „... ამ ჩიხურის (მდინარეა სოფელ სხვიტორში — გ. ჯ.) პირად, მადლობზე, სდგას ორსართულიანი ჭეთიკრის სახლი. ამ უწნა შენობას სიმძლავრე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე კიხის, მაგრამ არც ერთ მთავანს კი არა ჰგავს...“ იო, ამ სახლში დაბადებულეარ მე 9 ივნისს, განთიადისას 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობა-კი 1941 მიწერია“ (აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. IV, 1948 წ., გვ. 10).

და რუსეთთან ერთად, შეფის თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის დასამბობლად; საგლეხო რეფორმის ჩერნიშევსკისეული კრიტიკის დაეცა ქართულ სინამდვილეში; შეფის მოხელეთა ბერანგესებური გამართახება სტიკრის ენართი; ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებათვის ზრუნვა; „ახალი ქართლის“ ინტერესთა დაეცა პრაქტიკულ ცხოვრებაში, ფილოსოფიისა, მხატვრულ ლიტერატურასა, პუბლიცისტიკასა და ესთეტიკაში; მოძმე თერგდალეულებთან ერთად ახალი ქართული სალიტერატურო ენის შექმნა და დამყარება; ძველის არაბილიტიკა, ნგრევა, და „მამათა“ კონსერვატიზმის დაუნდობელი მსილება; ამ ბრძოლაში თეატრის, როგორც ფრანგ განმანათლებელთა მიერ აღიარებული იდეების ხალხში გატანის ყველაზე პლასტიკური ფორმის გამოყენება; აზვირთებელი მსახების მხურვალი თანაგრძობა 1905 წელს, როცა ძლიერი სოციალური რევოლუციის ტალღებმა პირველად შეარყიეს ძველი ფეოდალურ-ბურჟუაზიული სამყაროს საფუძვლიანი დედაბოძები; ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანთა რკალი, როგორც ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა პოეზიის საშუალებით; პირველი მსოფლიო ომი და ხალხის ბედ-იბნადი, — ასეთი იქნება სულ მოკლედ და სულ ზოგადად 56 წლის მანძილზე აკაის ინტერესთა ეპირცხად ფართო, თითქმის ამოუწერავი სამყაროს მხატვროდენ დასახლებანი. მხოლოდ ტიტანს შეეძლო არ შეშინებოდა, ბოლომდე მიჰყოლოდა ამ დიდ ოკეანეს და აკაციც ტიტანი ამოიწნა, რომ მისსახე ტალღების ნახევარსაუკუნეიან ლელაში წარმუხურვლად გასცურა სამიში ოკეანის კიდევანთ.

გადააღეთ თეალი აკაის მთელ შემოქმედებას — ლირიკას, პროზას, დრამატურგიას, პუბლიცისტიკას და ოქვენ ერთმანად იგრძნობთ, თუ რამდენად დიდი აღმანი დგას ჩვენს წინაშე, გენიალური ოსტატა, სიმართლისათვის მებრძოლი, მხურვალე პატრიოტი და თავისი ერის მართლაც უსაყვარლესი შვილი.

როგორც ლიტერატორი, აკაცი თითქოს აცოცხლებს თუ აღადგენს ძველ ლუმიანსტერ ტრადიციას თავისი მარაგანდლით, მავგამ, ამავე დროს, უნაერო ძალით, სრულიად ახალი ფორმით, ორიგინალური თვალთახვედვით შეგვიყვანს ქართულ ლირიკულ ეპოქის უმდიდრეს საგანძურში, რომლის თვალისმომხრელ სილამაზეთ თან ერთიან აღორთაქებულ გრძნობათა შექმნებელი ნაკადები. მისი ლირიკა, პიროვნული გრძნობით ესოღენ ძლიერი, ტანჯვა-ვებებით, სვედით, სულერი დრამატოზითა და გოდებით აღსასყე, ყოველთვის გამოწყვეულია იმ ერთი დიდი მიზნით, რომელსაც პოეტი ხან „სატრფოს“ უწოდებს, ხან „ავადმყოფს“, „გმირ-

თა-გმირს“, ხან კიდევ „ხატს“ ან „სულთოს“, რომელსაც სამოგან ფუნქციონლობა მიუღია — გადაქცეული უარდამბულბულად და ვარსკვლავად უნდა წყდფირუზ, ხმელეთ-ხურმუხტი“ სამშობლო პოეტისა.

რა შილალია ყველა გრძნობა, რომელსაც აკაცი მშობულ ქვეყანას მიუძღვნის, და რა განუზომლად დიდი სიყვარული, რომლითაც იგი საქართველოს მოსავს. „შოქასტანი“ (1862 წელი) ხომ მართლაც თვალთახვან „ნაღვლიანი მღვდლების“ განუწყვეტელი დენაა, „ცრულთა ღერა“ და ქართლის ტანჯვის გამოხატებაა „ძველსამეფოში“ (1863 წელი) ჩაუშვარლი იმედის ცეცხლია, რომ „თუ დრო შეიკვალა, გაოცხლდება საქართველო“, ხოლო მართლაც უნაერო ძალის გენიოსურ ამოსუნთქვაში — „აღმართ-აღმართ“ (1875 წელი) ასეთი შინაგანი ტანჯვა და წყნობა, რომლის მსგავსი მსოფლიო პოეზიას ძალიან ცოტა მოუბოვება. სამშობლო ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობით გულგანსენილი პოეტი, როცა დაბრწუნდა, რომ მისი სატრფო სხვას მონებდა, ისარს ვეღარ ხედავდა. ქინკარში ვარდებოდა თითქოს იქ ია-ვარდებით ვეღვებოდა, თან შარბოთში სიწამლავს სეანდა. ხოლო ერთგულის ვედრებას აღარ ისწენდა, საუკუნო მწუხარებით დანაგული მოსთქვამს და გოდებს:

„ჩემო თავო! ვეღარ გვტრნენ წამალით დაღმართ-დაღმართ დაუფლო, წა შილით იქ ჩაბანდი, სად გვლიან ელოდებით ბართ, ნინბით, კუბოთი და ლოდებით დაიკიწე, ვინც გახსოვდა მარად ის, ხელ-დაკრებით ვანისყვენ მარადის“!

მნელია უფრო ღრმად განიცადით სამშობლო ქვეყნის მდგომარეობით გამოწყველი ოდისცა, განიცადით და სრულ სასოწარკვეთას მიიკეთ, როგორც ჯაჯომო ლეოპარდი, რომლის გლოვა უნებლად შეიძლება გაგახსენდეთ. როცა აკაის ანალოგიური სვედით აღმუქვდილ ლექსებს კითხულობთ. მაგრამ ლეოპარდი რომანტიკოსი იყო, ისიც პასიური რომანტიზმის წარმომადგენელი, მისტიკურ სამყაროში რომ ეძებდა თავშესაფარს. აკაცი წერეთელს კი საერთო არაფერი ჰქონდა არც პასიურ რომანტიკოსთან და არც მისტიკურ მიღმა სამყაროსთან. რაც მასში რომანტიკული იყო, შეიძლება მიეჩნით აქტიური-რომანტიკოსის ელემენტებად, ხოლო სევდამ რაც შეეხება, იგი უფრო საზოგადოებრივი ყოფის გამოღვიძებას უმსახურებოდა, ვიდრე აწმყოზე ხელის აღებას. როგორც ამას პასიური რომანტიზმი ჰქადაგებდა.

ახლა ნახეთ „მუხამბანი“ (1876 წელი), რომ-

აკაცი წერეთელი, ლექსები, 1948 წ., გვ. 32.

რა იციან, რომ ეს გული მკვდაობაა
რომ სიცოლი ბევრჯერ ცრემლზედ

შწარია! * 1

ასეთი ღრმად ტრაგიკული ამ-ნაგვესი იშვია-
თად სწენია ქართულ ლირიკას, როცა პოეტის
გულის სიღრმე მთლიანად არის გადმოშლილი
თავისი სამხედრო უფსკრულგზობა და ნაოღე-
ბით, როცა სამშობლოს მწარე ხეყდრი სასოწარ-
კვეთილებამი აგდებს ადამიანს, გამოუვალ
რკალს უქმნის და ტანჯვისაგან სავალიოდ
აყინებს. მართლაც რომ ზოგიერთი „სიცოლი
მეყრველ ცრემლზედ შწარია“, უმაღლესი ტრამ
გედია, რომლის დროსაც ნორმალური გრძნობა
იფერფლება, დროებით ქჭრება ან სულ იყარ-
გება. ვანა აქვს აბსოლუტურად ეს სურათი არ
არის წარმოსახელი? უფრო ღრმა პატრიოტული
განცდა, ამაღლებულ ტრაგიკულითან შეერთებუ-
ლი, ლირიკული მგონი ახარც შეიმღებოდა.

შაგრამ თურმე შესაძლებელი ყოფილა, რაკი
უფრო ადრე დაიწერა გენიალური „ჩემო თავო,
ბედი არ გიწერია“ (1871 წელი), ქართული ლი-
რიკული პოეზიის ეს ერთერთი უზრწინავადესი
მშვენიება და დღემდე ობ-ლი მარგალიტი: რაივე
„მუხამბაზი“ — „რომ იცოდე ჩემი გულის
დარღება“ და „ნახეყარი ცხოვრების გზა გავ-
ლიე“, აგრეთვე „ღმერთ-ადამიანთ“ და „ჩემო
თავო“ — ეს ერთი და იგივე გულისტკივილია,
ერთი და იგივე ამონაგვესია, ერთი და იგივე
დაუსრულებელი გოდებაა, რომელსაც ოთხი
ფორმა თუ ოთხი სახე მიუღია. დააკვირდით
„ჩემო თავოს“ ოთხსტრიქონიან რეფრენ-
საც, რა ძალით შეუერავს ღღესთა ამ ციკლის
ძირითადი აზრი, როგორც ფერმწერლის ხელში
რადურსი ახერხებს ხოლმე, შე გამოცემულია
მთელი შინაგანი ვნებათა ღლევა:

„ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიფერია!
გულო ჩემო, ტუბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედაე, ჩემი

მტერია! * 2.

ეს განუზომელი სიყვარული სატრფო-სამშობ-
ლოსადმი, ასე ოსტატურად გამოცემული და
ტრაგიკულამდე ამოღებული, თან ნახა, როგორც
გახაფხულებს სიოს ზურჩული, ბუნებრივად ეხ-
მურებოდა ქართული ხალხის, მისი მშრომელი
ნაწილისადმი ასევე გულმხურვალ სიყვარულს.

რამდენი სინამდე და სინატივე ჩაჰსულია პოეტ-
მა მშრომელი ხალხისადმი სიყვარული „იმი-
ერულ ნაწინაში“, რომელიც სამახსოვრო 1864
წელს არის დაწერილი და მიძღვნილია „საბა-
ტონო ვნების ახალმობალი გლეებისადმი“.

1 აკაკი წერეთელი, ობხულებანი, ტ. I, 1930 წ., გვ. 255.

2 აკაკი წერეთელი, ობხულებანი, ტ. I, 1930 წ., გვ. 210.

მხოლოდ ხალხისადმი უღრმესი სიყვარულით ან-
თებულ მომღერალს შეეძლო ასე გულში ჩაშწე-
დომათ, პირდაპირ მანანსებურად მანან მოუღე-
ბოდა იმ დროს ყველაზე დანატრული მსხმანის
უმაწყო ხალხს, ჯერ კიდევ აკვანში ჩაყრულს,
და დედის გულგამბარა სიტყვებით ეთქვა მის-
თვის:

„გაუბრელო გლეხის შეილო, შენ ბაწწინათ
აგრე ტუბილად, უღარდელად რამ
დაგადინათ?
დედის მკერდში მიგვიანა შენ ტუბილი
ბინაო...
დაიძინე ვარდო-ნანა, იაე-ნანინაო! * 1...“

და იძინე! შაგრამ რამდენი სიხარულია ამ
პირველ ძილში, ამ უტუბილეს იაე-ნანინაში,
რაკი ბატონისადმი უღრმესად თავდისხინლ
ყმათა შეილებს მამების ბედი იცულებს, სულ
სხეი ვარსკვლავს იბილავენ, ბატონი ხომ აღარ
ჰყავთ, თავისუფლად გიზრდებიან, „დიდი-კაცის
შვილს სკოლაში“ გვერდით მოუჯდებიან, „ძველ
ბატონის შეილს სწავლაში“ არ ჩამორჩებიან,
სწავლითა და შრომით „დაზარულ მძებს იხს-
ნის“, მოხელეები ვეღარ დაიბრყიყებენ და სა-
კუთარი თავის ძალას ბოლომდე შეიცნობენ. ეს
იყო მაშინ სახალხო იმედი, რომელიც
აკაკიმ არაჩვეულებრივი სისადაეთი, უშუალო-
ბითა და მხატვრული სიღამაზით გამოთქვა, მაგ-
რამ, თუ ასე არ მოხდა, პოეტი როდი იყო დამ-
ნაშავე, პირიქით, რუსი რანზონიციების კვალად,
იგი მთელი თავისი შესაძლებლობით აუზმუდრდა
საკვლებო რეფორმის ფიქციას, და
სასელებო ჩერნიშევსკისებურად, გიორგი
წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძეს-
თან, ილია ქავჭავაძესთან შეერ-
თებული ძალით დაჰგმო გლეხთა შასების სა-
ხელმწიფოებრივი მოტყუება.

თითქოს სხეიარად შეუძლებელიც იყო.
წარმომობით თავადიშვილი, წერეთლიანთ სა-
ხელგანთქმული გვარის წარმომადგენელი აკაკი,
სულ პატარაობიდანვე ხომ გლეხის ოჯახზე იყო,
გაძიძვეებული და ექვს წლამდე, უბრალო სავა-
ნელი გლეხების საღერძოშვილები ზადენენ. თა-
ვიდანვე გლეხოზასთან, ხალხთან დაკავშირებამ
წარუშლელი კვალი გააელო მგრძნობიარე ბავ-
შვის არსებაში. მან ურმობიდანვე იგრძნო, თუ
რა არის შრომა, სიმშვილი, სიცოცხე
ცხოვრების შეაგული, როცა ადამი-
ანს არსებობისათვის ბრძოლა უხდება უშუალოდ
ბუნების შაკერ პირობებში. ფაქიშმა და სტრატე-
მა გლეხურმა მოკალმა ნიჭიერი კეთილი ბავ-
შვის სულიერი სიყვარო სულ სხვაგვარად შეა-
ფერადა, ვიდრე შეიძლება ამავი შაის ძველ
ფეოდალურ ოჯახში მომხდარიყო. ყველაფერა

1 აკაკი წერეთელი, ღეშებსი, 1948 წ., გვ. 18.

ეს თვით აკაციის დაწერილებით და დიდი უშეაღობით აქვს გადმოცემული ბრწყინვალე ავტობიოგრაფიულ თხზულებაში — „ჩემი თავგადასავალი“ (1894-1908 წლები). იქვეა აღწერილი ბუნების უშეაღობო გავლენის ძალა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, თუმცა ქალაქური აღზრდის დაპირისპირება სოფლურ პირობებთან, გონებაშახვილობის მიუხედავად, ყოველთვის როდია გამართლებული (ვახსენეთ აგმინსტიკის* ცალმხრივი კრიტიკა). გლებთა წრეში უშეაღობო გატარებული ექვსი წელი იმდენად მნიშვნელოვანი შეიქმნა მომავალი პოეტისათვის, რომ აკაციმ თვითონ მიუთითა: „...თუ კი რამ და რჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში კიყვიე ვაბარებულდი და გლებების შეიღებთან ერთად ვიზრდებოდი“¹.

ხალხის წილში აღზრდამ მომავალი პოეტი ისე ახლოს მიიყვანა თვით ხალხის გულთან, მის პირეარამთან, ისე დააკავშირა ერის ინტერესებს ისეთის ბრძოლას, რომ ყველაფერი მას დაუქვემდებარა. აკაციის ხომ ხალხის სამსახურისათვის არაფერი დაუშურებია, ახალ თეატრს საფუძველი ამ მიზნით ჩაუყარა, თარგმნისაც (განსაკუთრებით კრილოვიდან) ამიტომ მოჰკიდა ხელი, „ცხელ-ცხელი ამბები“ შემოიღო, განავითარა საბავშვო ლიტერატურა, საერთოდ, თავისი მოღვაწეობით იგი შეიძროდ იყო დაკავშირებული მშობელი ხალხის ცხოვრებას, როგორც მეაკრი, მაგრამ ღრმად მოსიყვარულე მამა შეიღებოსაგან განუშორებელია. მთელი მისი ლიტერატურული შემკვიდრეობა ასახავს ქართველი ხალხის ისტორიის უძველესი საეკუნეებიდან ჩვენი დროის ოციან წლებამდე.

ძნელად შეიძლება მოიხაზოს ლიტერატურის ისტორიაში მეორე მავალით, როცა მწერალს ისე ფართო პანორამა მოუცეს მშობელი ერის ცხოვრებისა საუკუნეების მანძილზე, როგორც ეს აკაცი წერეთელმა შეიძლო. გადაიკითხეთ მისი საოცარი ლექსები, გამწყაზრული პოემები ან დრამები, მშვენიერი ტბილქართული დაწერილი პირობა, პუბლიცისტური წერილები, მოგონებანი, ცხელ-ცხელი ამბები, ფელეტონები და თქვენს თვალწინ გაიკობლდება მთელი საქართველო თავისი ნიჭიერი მამაკი ხალხის გიჟიერი წარსულით, აწმყოთ და მომავლით. ამ მხრივ აკაცი გვერდით აღმონდებიან მხოლოდ ილია ქავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი, ეს გასაოცარი მზილველი სოციალური დრტივისა და ასევე გასაოცარი გამოუმოქმდნი გროველი გრძნობისა, რომელიც მათ ყოველთვის ზოგადკაცობრიულან ქმონდათ შეერთებული. გტყობა მე-19 საუკუნის მეორე ნახე-

ვარს, როგორც პირველს, დიდი მწერლები ემართა და ისინიც მოვიდნენ ამ დიდი ოთხეულის სახით. მათ გზას გაყვენენ ჩვეულებრივ ლიტერატურა დაამშვენეს, ხელუღრის ისტორიაში ღრმა კვალი გავლეს ხალხის თვითშეგნების ამაღლებისა და მისი მძიმე ცხოვრების გეუმჯობესებისათვის.

ეს იყო წარსულისადმი პატივისცემაც, ვინაიდან აკაცი ღრმა ჩუქნით ამბობდა: „ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზედაც ხელს იღებს და, მართო იწმყოზე შეჩერებულა, უსუღდგმულა, საპირუტყვო ფარგალში რჩება. და ჩვენ კი გვინდა მისთანა მომავალი თობა, რომელიც უარისმყოფელი კი არ არის წარსულის, მკვლევარია...“²

ასე ოცნებობდა ქალარა პოეტი თავისი სიცოცხლის უთანასწოლ ხანებში იმ თობის შესახებ, რომელსაც წარსული შემკვიდრეობა ნიღლისტურად კი არ უნდა მოეხსნა, პირიქით, მიუღო, კრიტიკულად აეთვისებინა და ცვლევადობის ობიექტად გაეხადა. მაგრამ ხომ არ ვსწავლობთ იმას, რაც არ გამოვადგება ჩვენზე აღმამიურია ან საზოგადოებრივი მიზნებისათვის? არა, ასეთ შესწავლას არავითარი ღირებულება არ ექნებოდა არც შევნიერებისა და არც ცხოვრებისათვის. შესწავლა გულისხმობს საგნის არსებაში შეჭრას, მის შევეცნებას, ცხოვრებისათვის გამოყენებას. ხოლო თუ წარსულს ვსწავლობთ, არა იმიტომ, რომ ისარსული შევისწავლოთ, არამედ მისი მავალითები გამოვიყენოთ აწმყოს გზის გასაკვლევად და მომავლის მოსამზადებლად. წარსულის სეკრეაციის არვისთვის სიკეთე არ მოუტანია, როგორც ბავშვობის დაიწყება ადამიანს ვერ განადღებს. აკაციის ისტორიული კონცეფცია ყველაზე სუეკეთესოდ მისივე სიტყვებშია გამოხატული: „აწმყო წარსულს უნდა ეთანხმებოდეს და ორივე ერთად კი მომავლისკენ მიიწეოდეს.“³ მაგრამ, თუ „წარსულმა თავისი პერი მოსჭამა“, როგორც ღვეტოლსტოისადმი მიძღვნილ წერილში აკაცი ამბობს, მაშინ „ქველს რაც მალე დაემხო ბიან ისა სჯობს“⁴. ამ დროს „საკირთალი ახალი გზა და სხვა მიმართულება“⁵, მართალია, ეს აზრი აკაციმ 1910 წელს გამოთ-

¹ აკაცი, „ორი პუბლიცისტური სტატია“, 1903 წ., გვ. 14.

² აკაცი წერეთელი, თხზულებანი, ტ. IV, 1957 წ., გვ. 156.

³ აკაცი წერეთელი, თხზულებანი, ტ. IV, 1957 წ., გვ. 184.

⁴ იქვე, გვ. 184.

¹ აკაცი წერეთელი, თხზულებანი, ტ. IV, 1948 წ., გვ. 11.

ჭვა, მაგრამ ეს იყო 60-იან წლებში ახალი მიმართულების მედროშეთა — თურქულად ეწოდებოდა ერთერთი ძირითადი და სამოქმედო იდეა, რომელიც ქართველ რანზონიკთა „კონსისტორიასაც“ არასოდეს შეუცვლია.

სულ ამ ისტორიული კონცეფციით არის დაწერილი აკაკის პოემები, აგრეთვე ვრცელი მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ (1895 წელი), რომელშიაც წარსული სინამდვილე მე-17 საუკუნისა, ირანის მმართველ შაჰაბასის წინააღმდეგ ქართლ-კახეთის ბრძოლა, ვაძლიერებულია რეალური ფაქტების დონზე. მართალია, ბევრია გაშლილი ტიპი, ზღაპრული ჩანარებები (პირიშისა, პირიმთვარისა და შაჰაელი სხვა) და ძაბული სიუჟეტის შესაქმნელად და მოთხრობის პერიპეტეიული განვითარების მისაღწევად, მაგრამ ძირითადი ტენდენცია ავტორს მაინც დიდი ოსტატობით აქვს გადმოცემული, ნამდვილად არსებული ქართველი გმირები — ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, გურაგი დამპყრობლები — შაჰ-აბასი და აილი-ხანი ისე ბუნებრივად მოქმედებენ მოთხრობაში, რომ მთელი ეპოქა მეთხველის წინაშე საესკებით გაიკვლინებულნი ჩანს. რაც შეეხება ენას, იგი იმდენად მხატვრულია, აღარ ბუნებრივად და ცოცხალია, რომ „ბაში-აჩუკი“ დღემდე რჩება ქართული პროზის ბრწყინვალე ნიმუშად. ამ ვნითვლა დაწერილი აკაკის დანარჩენი პროზაული თხზულებანი: ისტორიული მოთხრობები და ლეგენდები, სიყმაწვილო ამბები და სატორები.

რატომ მიმართავდა აკაკი წერეთელი თავის მოთხრობებსა და პოემებში გარდასულ დროებს? რატომ ეძებდა მათ წილში თვითდადებულ მებრძოლებს, დიზიფერად და სულიერად ვეცავ წინაბრებს?

არა წარსულისა და მისი განდიდებისათვის, არამედ, აწმყის საშველად და სამსახურად.

წარსულში უშიშარი გმირებისა და რაინდების ძეგლა აწმყის ინტერესებისათვის რომანტიზმის ზოგადი იდეალი იყო და ამიტომ შემხვევითი როდია აკაკის პარალელი პოეტოსთან: ერთსაც და მეორესაც ორგანიზულად შეერწყამთ რომანტიზმი რეალიზმთან, როგორც პროზაში, ისე პოეზიაში. და იმინი ორივენი წარსულში ეძებდნენ ძლიერი სულისა და გუნტხელი ნებისყოფის გმირებს, რომლებიც კიდევ, მაგრამ, როგორც გარდასულ დროთა არდილებს, და არა აწმყის შვილებს, და ამიტომ აკაკი განუწყვეტლევ ეძებდა მათ:

„არა! აყვიდეს იმედი!
გულს ვერ გამოტყუებს ჭიარა...
გმირებს უჩახის... უცივის
ჩემი დადი და ნაღარა...“

ეს გმირები ახალ პირობებში ვერ ნაპა აყვე წერეთელმა, როგორც ვერ შეიძლო მისი პოეზია საერთოდ მთელმა რომანტიზმზე დასყველეთ ევროპასა და რუსეთში. ეს გმირებზე უკეთესად შეასაუკუნეთო ან აღორძინების ხანის ფოლიანტებში ცოცხლობდნენ, რეალური არსებობა კი წარმეული ქონდათ. ტრადიციამ თორნიკე ერისთავის ან ბაგრატი დიდის ძლიერებისადმი, თუნდაც პატარა კახის ელვარე ზღისადმი მაინც წარსულს ვეუთვნოდა, ხოლო აწმყისათვის მხოლოდღა ნუგეში შეეძლო მიეცა. მაგრამ ნუგეში უკვე აღარ იყო საგმარისი. აქედან გამომდინარეობდა სეველა, პესისისტური პანგებიც, ასე ხშირად რომ გვეხმის აკაკის ჯადოსნური პოეზიიდან. სხვათაირად შეუძლებელიც იყო: სინამდვილე ცოცხალად განდებს მოითხოვდა, ისინი კი, რომანტიკული ვაგებით, საღვთო სიუჟეტით სიღრმეში იყვენენ დამარხულნი და არ შეეძლოთ მხრებით გაენგრიათ უკველესი საყოფაგები აწმყში შემოსასულად.

მაგრამ აკაკი იხედებოდა არამარტო შობილებრი ქვეყნის ისტორიულ წარსულში, დაძირული საუკუნეებისა და ოდესღაც აყველებული, შემდგე კი ავანსუნიდან გამაქრალი სახელმწიფოების ეტრატებში დიდი პოეტის კითხულობდა საქართვლოს უძველესი კოფის ანალოგიებს. სხვიტორში, აკაკის პირად ბიბლიოთეკაში, შეგვილიათ ნახოთ მღვტარტაქს პარალელური ზოიგრაფიების ძველი რუსული გამოცემა, რომელსაც დღემდე შერჩენია მისი დიდი მუპატრონის ნაკვალევი. ანტიკური საბერძნეთისა და რომის მღვტვარ ისტორია, სამხედრო კატასტროფები და ხელოვნების უმშვენიერესი შედევრები აკაკის ისევე იზიდავდნენ, როგორც დიდი სულიერი კულტურის შქონე ადამიანს, რომელსაც სურს შობილები ერის სამსახურში სხვა ერების გამოცდილებაც გაითვალისწინოს. და აკაკის მთელი მხატვრული შემოქმედება, პუბლიცისტიკისათვის ერთად, აღსავსა სხვა ერებისადმი, მათი წარსულისა და კულტურული მიღწევებისადმი ღრმა პატივისცემით, საკუთარი ერის უდიდესი საყვარელი საფუძველზე. აქ იყრის თავს რეალისტური პოეტის ეროვნული გრძობის ვეველა სათავე, მისი პტრიოტიზმის მაგისტრალები და კოსმოპოლიტიზმისადმი დამოკიდებულება. ეს იყო ორტოდოქსია, რომელსაც ერთნაირად გაყვენენ ქართველი თურქულადელები 60-იან წლებში, შემდგე კი მე-19 საუკუნის საქართველოს მეორე ნახევრის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ზღვმძვანელები და წარმომადგენლები ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის საბით. ცოტა უფრო გვიან ვაზბეგისა და ვაჟას კონცეფციაც ზომ აყვე გზით წარემართა, როგორც საესკებით ბუნებრივი შედეგა. აკაკი თვითონვე

მითითებდა, რომ „მესამოცე წლებში-
ვე ჩვენი საერთაშორისო მცნე-
ბა ძმობა და სიყვარული იყო და
სხვა არა გვიმთქმლებია არაო“¹ რომ
ამ მოძღვრებას მისდევდნენ როგორც გიორ-
გი წერეთელი, ისე სერგეი მესხი-
და თვით ილია ქავჭავაძე, თერგდალე-
ულთა საყოველთაოდ აღიარებული მეთაური
და ბელადი. აკაცი დაბეჯითებით ამბობდა:
„ჩვენს რწმენას ვერ ვუღალა-
რეთ და ყოველთვის ამას ვუარ-
ჩევთ ჩვენ თანამოქმედებს, რაც
დღემდისაც გვიარჩევია: ძმობას,
სიყვარულსა და ერთობას არა თუ
მეზობელ ერებთან, შორეულბ-
თანაც“². მთელი თავისი ხანგრძლივი მოღ-
ვაწიების მანძილზე აკაცის არსად არ გადაუხ-
ვევია ამ ძირითადი იდეალებისათვის ერთგულ
საკითხში, არსად არ გამოსულა საწინა-
აღმდეგო თვლსაზრახისით, რასაც მოწმობენ მი-
ნი შემდეგი განცხადებანი: ყველაზე პირ-
ველად მე ქართველი ვარ, რად-
განაც ქართველად დავბადე-
ბულვარ. მაგრამ ეს არ ნიშ-
ნავს, რომ მე შოეინისტი ვიყო.
სხვა ხალხის უბედურებით, რომ
ჩემი ხალხი იყოს ბედნიერი, ეს
არ მინდა. არც ჩემს ხალხს შევ-
სწირავ. მსხვერპლად რომელიმე
ერს. ჩემი სურვილია, რომ ყვე-
ლა თავისთავად ბედნიერი იყოს,
ერთი მეორის გადაუჯიბდებლად“³.
სხვა ადგილას პოეტმა კვლავ უბრუნდება ამავე
საკითხს და უფრო ვრცლად იწვევს მსჯელო-
ბას: ყველა ეროვნება „...თავთავეს გამ-
შვენებულის ზორკით უნდა იყოს
და სულიც ყველას ერთი უნდა
ეფასოს... სული ქაცობრიული...“⁴ აი
ამას უნდა ედგინებოდეს ყველა
შეგნებულო, ვინც-ცა ქვეყნისათ-
ვის ზრუნავს, — ასე ეფიქრობ-
დით ჩვენც და „შევების საღვურა-
საკენ“ ცხოვრების გზა, შეძლე-
ბისა და გვარად, გაგვიყავდა, რომ
ჩვენ მოქმედებს გავლა გაადვი-
ლებოდათ... საქმებს ვაქმედით და
წუნსადებს ვაძაგებდით. აგრეთ-
ვე სხვა ერებთანაც ვიქცეოდით:
ვაქმედით მათთან ძმობა-ერთ-
ობას, სიყვარულს და ვუყოფდით
მხოლოდ იმათ, ვინც ჩვენ ხალ-
ხზე სამტროდ მოდიოდა. და ეს

მგონი არ უნდა იყოს შოეინის-
ტობა... არა, შოეინისტობა. და სა-
ძაგლობა ის არის, რაც ყველა
ჩველად, შენი ხალხს... მოგწონს და სხვების მტრობა-
უბედურებით ეძებ შენი ხალხის
კეთილდღეობას, და ჩვენ კი ამ
გვარი რამ ფიქრადაც არ მოგ-
ვსვლია“¹.

ეს იყო არამარტო აკაცი წერეთლის ერთგუ-
ლი credo, არამედ, თერგდალეულობის, რო-
გორც მოძრაობისა და მიმართულების, მთელი
კონცეფცია, მთელი სისტემა, რამაც
პრაქტიკაში, და არა მარტო მხატვრულ შემოქმე-
დებამი ჰყოფა თავისი განხორციელება.

განა ამავე იდეებში არ ვხვდებით აკაცის სატი-
რასა და ივე უმარში, სადაც სიმართლისათვის
მებრძოლი აღამიანის ისეთი ძლიერი აზრობრივ
ნაკადია, რომ დასავლეთ ევროპის პოეტთაგან მის
გვერდით მხოლოდ ბერანე თუ აღმოჩნდება,
ხოლო ალგორითის მნიშვნელობით მარტოდენ
ერაზმ როტერდამელი? საკმარისა და-
ვისახელით „ფარისეველი“, „აბელაკისის მყოფ-
ნი“, „ქართული პატრიოტობა“, „ნეიტრალი“,
„პატრიოტი“, „რუსეთში“ და მრავალი სხვა.
ძველი თაობა და ძველი სამართა „მამების“ სა-
ხით ახალ პირობებში აკაცის არც ესახება, რო-
გორც ფარისეველი, თუმცა ისე მათი „შეიღუ-
ბი“ — ახალი თაობის წარმომადგენლები მოაზ-
ნია იდეალურ აღამიანებად. მათაც თავისი ნაყო-
ფით, თუმცა „მამებზე“ გაიკლებით უკეთესნი
და პროგრესულნი არიან, ნაწილი კი „რუსეთ-
ში“ სახელმწიფო, პირდაპირ სასაცილო, საილა-
ლოსა, პრაქტიკულ ცხოვრებას მოწვევებით, ზე-
რეულ, ანგარებითი მიზნებით რომ მოქმედებს.

გაბთველია შორის ცრუპატრიოტები, მარტო-
ოდენ ლიტონი სიტყვით მოყვარულნი სამშო-
ლისი, მაგრამ აზაფრის გამკეთებელნი, სამარც-
ხეინო მონბე არიან გაკრულნი, ხოლო „აბელა-
კისის მყოფნი“, ჩანწერას შვილი, ბიუროკრატი,
თაღლითი და მგვრთივე მოხელე რომ გაშადარა,
დაუნდობელი საკაცების ობიექტად არის ქვეუ-
ლი. ყველა ისინი გუმწინდელი ჩვენი ცხოვ-
რების მახინჯი შვილები არიან და ამდენად მუ-
ზეულის საკულტურუას წარმოადგენენ. მაგრამ ეს
უფე ისტორიაა, რომელიც აკაცის მძლავრი
კლამის მოსმით უკვლავ ანალეუმში აღიბუქდნენ.
ისინი ხომ ერთგულები არ არიან: ვარგუმობას
ხელი რომ არ შეეწყო, როგორ შეეძლოთ ამ მა-
ხინჯე აღამიანებს საზოგადოების მოწონება და
მხარდაჭერა სქონოდეთ? ამდენად, თვით საზო-
გადოებია დამანაწივე, რაჟი ასეთ აღამიანებს
ცხოვრების გზას აძლევს, ტაშსაც კი უქრავს, ნა-
ცვლად იმისა, რომ განგაში ასტუხოს და გარ-
ყვნილი კერპები ძირს დაანარცხოს, ამ დიდ-
ებულ აზრებს სქადაგებდა აკაცის რეალისტუ-

¹ აკაცი, ორა პუბლიცისტური სტატია, 1903 წ., გვ. 23.

² იქვე, გვ. 29-30.

³ პროფ. მ. ზანდუჯელი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1954 წ., ტ. II, გვ. 349.

⁴ იქვე, გვ. 349-350.

რი პოეზია ყველა ენარით და ამითვე ზელს უწყობდა ქართული საზოგადოებრიობის თვითშეგნების ამოღებას.

გაიხსენეთ მრისხანე 1905 წელი. მართალია, პირველი რევოლუციის გრაგალს აყავი წერეთელი ფიზიკურად მოძრავილი შეხვდა, მაგრამ სულით კვლავ ძლიერი იყო და ახალგაზრდული აღტაცებით შეიძლო ყოველივე განეცადა. საკმარისია გაიხსენოთ მის მიერ რაგანული „ინტერნაციონალი“, აგრეთვე 1905 წელს დაწერილი რაი ლექსი — „ნატურა“ და „ხანჯალს“. პირველ ლექსში პოეტი თავის თავს სვიმონ შოპენჰაუერს ადარებს, რაჟი იმედი მოუფინა, მძინარე ხალხმა გამოიღვიძა და მოითხოვა თავისუფლება, შრომა, ერთობა, შვება, თანხმობა. ხალხის შეერთებული ძალა ზომ სტიქიონია, რომელსაც ვერაფერი ვერ შეაჩერებს, თუნდაც მეფის ბრძანება გამოიცეს. რა უყოთ, თუ „სობა სისხლის ღვრა“ მოხდეს: ზომ შეიძლება მოპკალა ზა ზელი გაიჭრას? პოეტი წუხს, რომ ასეთ მნიშვნელოვან დროს მიხუციებულია, ახალგაზრდობით ბეერის გაყვება არ შეუძლია, მაგრამ სიამის თვლით შეკურება ეკლის სატრედად გეშოსულ მებრძოლებს, რომელთაც ეუბნება: „მეც შორიდან ბანს გეტყვით ყველას, რასაც კი შეეძლებ უკანასკნელად“. ეს მართალია იყო მოხუცი პოეტის სასიცოცხლო ძალების სრული დაბანა უკანასკნელ საზღვართან. ამ დროს დაიწერა შერისგებისათვის გამოჩნული „ხანჯალს“, რომელშიაც შედრებით აღმდგარი პოეტი ახალგაზრდული გატაცებით უმღერის „ხეარანის რკინას“, ლესავს და ლესავს, რათა ეშმოს „უმართლოდ დანაგრულს“, ამოვიღეს ქარქამიდან, მტერის ეკეთოს და შეასრულოს ისტორიული მისია:

„მიმოიქეულე მტრის გულთან,
მიმიძღვენ ჩემი საღამი:
ეს ეითომ სწერელია,
ნატრევე, როგორც კალამი!
მისი წითელი მგლნიბა
შეაღებინე ქალარა.
იმისი კენესა იქნება
ჩემთვის დაფი და ნალარა“¹.

პოეტი ამ დროს კვლავ გმირებს უწოდოდა, თავისკენ იხმობდა, ზილო უფრო ადრე ძეგლი აუჯო თავდადებულ გამზრდებებს, რომლებიც სიმშობლოს რაინდებს უზრდიდნენ. ამ თვალთახედვით პოემა „გამზრდელა“ (1898 წელი) პედაგოგიური აზროვნებისა და პედაგოგიური პრაქტიკის უმშვენიერესი პოეტური ტრაქტატიია, რომელშიაც აღზრდა გააზრებულია, როგორც აღმზრდელის ამსოლტურია პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და თვით აღმზრდელის წინაშე. ამ გრძნობას გამოხატავს ღარიბი მოხუცი

პაეტი-უსუბი, ყაბარდოში გამზრდელად წოდებულნი, „კუთით და გონებით“ განთქმული ადამიანი, რომლის აღზრდილმა საფარ-ბეჭემა სწავნული ცოდვა ჩაიდინა: გასტეხა მორდუდებმა ტრატტკობა დაარღვიო თავისი მოძღვრის ქადაგებანი, დივიო წყა მოვალეობა, აყუვა პირველულ ვნებათაულად ვას და ძიბიშვილ ბათუს, ძმად რამ ეყუთუნოდა, საარეული შეურყენი. ბათუს სადგარელი, ახლდ-შერთული მეუღლუ ნაზიბროლა ფეხქვეშათელილია, „ჩემად ტრისი, პირს იბოკავს, იკაწრავს ყელს... თმავილილი ტრისი, კედელს თავს ახლის და ზნას არ იღებს“... ამ სერაოს წაწყუდებმა საფარ-ბეგის შიშიმ დავალების უტსრულების შემდეგ შინ დაბრუნებული ბათუ, მიხედება უოველი-ვეს, ძვირღვას მეუღლეს ამშვიდებს, ყველაფერს ცუდ სიზმრად მიიჩნევს, მორდუსაც არაფერს ვაუხმებს, პირიქით, პატრიცისკმითაც გამოისტუმრებს, მაგრამ, როცა მინდვრის პირად ჩაივინენ, სადაც ერთმანეთს უნდა დამორდნენ, ბათუ საიღუმლოს ვამზღვს: ის არ კვლავს საფარ-ბეგს, რომელიც პატრების თხოვნის ნაცკლად მკერდს მიუშვერს, და ეუბნება ფიცის ვამტებს მორდუს:

— „არა, შენ ვერ შეგეხება
სასიკედლოდ ზესი ტყვიო:
დღედიმის ვაზრდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვიო...
მარც ქვეყანას მიჩინია
რეკულზე უფრო უმტკიცესად,
რომ გასტეხე ის გეყოფა
სოკვილადად შენ საყენსად.
წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობითი!...
დღეიდან ჩვენ წმინდა გულთ
ერთმანეთს ვერ მივენდობითი!
„მაგრამ ერთს კი დაგვაულებ,
ამისრულე უეჭველად:
რომ მიხვიდე ყაბარდოში,
იცოდე, რომ სულ პირველად
წადი, ნახე ის მოძღვარი,
ვინც შეილიყო გამოგზარდა,
და უამბე შენი პირით,
რაც სარცხელი დაგემართა“¹

საფარ-ბეგი მართალია ასრულებს მორდუს ამ დავალებს, მიდის თავის მოხუც აღმზრდელ პაეტი-უსუბთან და უოველავს დაწერილებით უამბობს. მაგრამ ხდება ის, რაც ნამდვილ აღმზრდელს უნდა განეცადა: პაეტი-უსუბი დაღონდა, საესებით ნათლად წარმოიდგინა „ამ მხობლობის“ მფელი სიგრძე-ვანი. მართალია, პოეტს სავსებით სმართლიანად მიიჩნია, რომ ადამიანის საბოლოოდ ჩამოყალიბება მართოდენ აღზრდაზე არ არის დამოკიდებული. გარეშე ფაქტორე-

¹ აკავი წერეთელი, ლექსები, 1948 წ., გვ. 103. 131—132.

ბი ც მოქმედებენ, მაგალითად, თვით
ზაგვის აღზრდაში

„...მარტო წერთა რას იზამს,
თუ ბუნებაში არ უშველი?“

ეს ნაწილობრივ მაინც ამართლებს აღ-
ზრდელ — მასწავლებელს, როგორც არაკრთი
პედაგოგური დოქტრინა ითვალისწინებს, მაგრამ
პაუკ-უსები სრულიად სხვა ვალებს ადამიანთა
მის არ შეუძლია მოითმინოს აღზრდილის ასეთი
დაცმა, და მთელი მისი შემდგომი მოქმედება
საერთაო ნამოღაწარის საშინელი განვითება,
ისეთივე მკაცრი და მიუდგომელი, როგორც
მხოლოდ სპარტანულად აღზრდის დოგ-
მატიკას შეუძლია განახორციე-
ლოს. აქ უფოოდ არის შაქსიმალიზმი,
მაგრამ იღვან იმდენად მომხიბლავია, რომ ჰგენ
ნაკლებად კრიტიკულნი ეხდებით პაუკ-უსების
მოქმედების მიმართ, და მიგვაჩინა იგი, როგორც
აღზრდელი — მასწავლებელთა პირადი მოვ-
ლეობის აბსოლუტური შეგნების ბშვიათი
მაგალითი, შესაძლოა იღვანდურზე
მეტეც. პოემა ხომ შემდეგ მრავალსმეტყველო
ეპილოგით მოაგრდება:

„ოხრით კეთიხა: მერე? მერე?
როა გაიგო, რა სთქვა ქარამა?“

— „მამატივა შეყოლება,
როგორც მამა და შევობარმამა.“

„მხოლოდ ეს-კი დამავალა:
ნახე შენი გამზრადელი“

და მაც შენი საქციელის
პასუხს მისგან მოველიო!“

— შესისი, შესისი და პასუხი
ჩემი მხოლოდ ეს არიო,
რომ ნამუსის გასაწმენდად

ჩემი ზელი სისხლს დავღებოი..
შეაუენა ზედა ფეხზე

მან დამბაზა გატენილი;
მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს

სადარ, მისი გამზორდილი.
მაგრამ უსუნე ეუნებება:

„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?
სა-იკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდინა!“

წარმოსთქვა და საფეთქელში
მიიქნდა ცხელი ტყვიას..

ჩაიკეთა სულთმობრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია!“

ამით დაითავრდა ტრაგედია, რომელიც იმ
დროს დაიწყო, როცა საფარ-ბეგს მშვენიერებით
განთქალა ზია-ხანუმმა სიყვარულის ნიშნით
ინალიფას ცხენი მოახიფა. ეს ცხენი საფარ-ბეგს
უნდა მიეპარა, მაგრამ საბიფათო დავალების
შესრულება ბათუმ იქისრა, შესრულა კიდევ,
ხოლო თვით საფარ-ბეგმა მძანდაფის ნამუსი
გაუტეხა.

ნამდვილად სახალხო იღვანელების გა-

მომხატელება პოეტურმა თხზულებებმა აკურს
უღიღესი ავტორიტეტი შოუპოვეს. ილიასთან
ერთად მასაც უგვირგვინო შედეს. **ქართული
საყოველთაო-სახალხო სიყვარულე** — **ქართული
გარემოსილი იუო აკაკი წერეთელი** ი მთელი
ცხოვრების მანძილზე, წარმოადგენდა მისი დამ-
სახებრების უმადლესსა და უხეიანეს ჯილდოს-
როგორც პოეტი, ვსაოცრად პოპულარული იყო,
და მგონი ამ მხრივ მას მხოლოდ ერთი —
რუსთაველი ჰყავდა წინამორბედად. იშვიათი
სისხლადი, უშუალოებით, ბუნებრივობითა და
არანვეულებრივი სინატიფით დაწერილია ლექ-
სებმა პოეტს თავიდანვე დიდი სახელი გაუთქვეს
და ხალხის გულში სიყვარულის ტაბრეტვანზე
ბინა დაადებინეს. ფორმის სიმსუბუქე,
შაღალი გეშოვნებით რაფინირე-
ბამ დაიდევების სახალხო ხასიათმა,
რასაც თან ერთოდა ქართული
მეტყველების უმადრესობამდე
განვითარებულ პლასტიკა, ლექ-
სებს შესძინა ის დიდი უნარი, რომ-
ლითაც თავისუფლად შეეძლოთ შე-
ქრილიყვენრ მკითხველთა მასაში
და გამზღარჩევნენ ისევე ადვი-
ლად დასამახსოვრებელი, რო-
გორც გულში ჩამწველოში სიმღერა.
ამიტომ იყო, რომ აკაკის ლექსებს მთელ-
ი ხალხი, მთელი საქართველო
იმეორებდა, როგორც საკუთარი
გულის ხვედრსა და საიდუმლოს,
მათში ხედავდა თავისივე სახის
სრულ გამთხატულებას. თვითონ აკა-
კისაც ხომ ღრმად სწამდა თვითთელი ეროვნული
ლიტერატურის უაღრესად საკეთილყო რასია-
თი, რაკი მანანდა, რომ „თითოეულ ერს თავის
საკუთარი ერთი მეორისაგან განსხვავებული სა-
ხე აქვს და მათ ლიტერატურასაც, როგორც სარ-
კეს ამა თუ იმ ერისას, განსაკუთრებით ელფერი
უნდა ეღვას. ჩვენი შერლომა უტუთარი საყ-
უნდა იყოს ქართველობისა: ზოგ უნდა ისახებო-
დეს საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება
მისის მიწა-წყლით, მთა-ბარით, ტუით და ველით
და სხვანი. ქართველის გრანობა-ვინება ხორც-
შესხმულად უნდა მომართდეს ზოგ უმეტნაყელ-
ბოდ, ზომიერად“¹. ეს თვორიული პრეტეზა-
ტები მეტეფიზიკის სამეაროში კი არ რჩებო-
დნენ, პოეტი თვითონვე ანხორციელებდა თვითე-
ულ შთავანს საკუთარ შემოქმედებაში.

მსოფლიო პოეზიას ამშვეენებს აკაკის ღირ-
ქული შედეგები — „აღმართ აღმართ“,
„ჩემო თავო“, ორივე „მუხამბაზი“ —
„რომ იცოდე ჩემი გულის და-
რები“ და „ნახევარი ცხოვრების
გზა გაგიღიე“, რომლებსაც ისეთი დიდი
პოეტებიც კი სიხარულით მოაწერდნენ ხელს,

¹ აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. VI,
1957 წ., გვ. 156.

¹ აკაკი წერეთელი, ლექსები 1948 წ., გვ. 134.

როგორც არიან შეიღებოდა და გოეთე, პუშკინი და ლერმონტოვი, პიუგო და პაინე, თუ ავაციის ლირიკულ პოეზიაში თათქმის არა ჩანს ბაირონის დემონიზმი, სამაგიეროდ იხედება გოეთეს ეტუბური სინაზის თვალის და შეიღებვის სეპტური ძალა გვიტყვებს თავისი დიდი შინაგანი ვენებათაღვლით.

ავაციმ ისე შორს ვასტყორცნა ქართული ლირიკის სადავეები, რომ ძნელი იყო მის შრავლარცხოვან მოწაფეთაგან ვინმეს შეძლებოდა მასწავლებლის ახლოს დამდგარიყო. ეს ვერ შეიძლო მათ შორის ყველაზე უნიჭიერესმა გრიგოლ აბაშიძემაც, რომლის პოეზიამ, მართალია, ავაციის უშუალოდა გვაგვარძნობინა, მაგრამ ავაციისებური სიღამაზე, შინაგანი ძალა და სიმძლვე ვერცერთ ლექსში ვერ შეინარჩუნა. იტყობა გენიოს პოეტს გენიოსი მოწაფე ისტორიულად იშვიათად, ან სულ არ მყოლია, მიუხედავად იმისა, რომ „გენიოსობა არის გროვანების ნაყოფი“, როგორც თვითონ ავაცი ამბობს, და „მხოლოდ გენიოსს ერს შეუძლია წარმოშობის ვინმე გენიოსისი“¹. თავის სანელკანოქმულ „უკანასკნელ ლექსშიც“, სიყვადლის წინ რომ პოეტს დაუწერია, წინასწარმეტყველურად არის ნათქვამი:

„ღარ გსურს ჩემი ანთება,
მნათე ხარ სხვისი ლამაზისა...
დამწუნებელი ბუღბუღის,
გიჟვარს ჭიკჭიკი სხვა მხრისა...
უშენოდ ველარ ჭიკჭიკობს,
ენა ჩაეარდა ბუღბუღსა,
მიუახლოვდა სიყვადილი,
შხაში აქურა მის გულსა.
მეგრამ ეს შენთვის ერთია:
ცოცხალი ვიყო, გინდ მკვდარი...
ღარ ანთვის აწ სხვისგან
ჩემი დამქარალი ლამაზისი“²

პოეტის გარდაცვალების შემდეგ ეს ლამაზი მართლაც არაჩნს აუნთია და ვერც აანთებდა, როგორც ვაგას პოეზიის მომავალში ვერაინ მზარა ვერ აუნდა, იმ მიზეზის გამო, რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ.

მართალი იყო ილია ქავჭავაძე, როცა

¹ ავაცი წერეთელი, თხზ., ტ. VI, 1957 წ., გვ. 199.
² ავაცი წერეთელი, ლექსები, 1948 წ., გვ. 111.

შენიშნავდა, რომ ავაცი თავისი პოეზიით „...ატებობდა ქართველის ყურს, აფხიზლენდა გონებას და მძარბოვდა ქართველის გულს, ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის“. ამაზე მეტის გავითება იმ დროს არც შეიძლებოდა და სწორედ „...ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თვითონ ავაცი წერეთელს არაერთხელ დაუკენესებია თავისი ტუბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმიზიდველი ნიჭიერება, თავისი მართლიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართული“, როგორც ეს დღემდე ილიამ სრულიად მიუკერძოებლად აღნიშნა.

დიდხანია აგრეთვე აღსრულდა ილია ქავჭავაძის სიტყვები, რომელიც მან მიუძღვნა თავის დიდ თანამოსავტრს: ავაციის „...სამსახურს და ღვიწლს ქართველი გულში ჩაიჩენს სამუდამო სახსოვრად“, ხოლო მისი „შვენიერის ლექსებით დაიტკბობს ყურს და გრძნობას, და არაერთხელ გულს მოიციქვს მამულიშვილობისათვის“. მართლაც, ავაცი წერეთლის პოეტური ქნარის პანგები ხან ციერ მანანად, ხან კიდევ მიწიერ გრგვინად ედებოდა მთელ საქართველოს, ატებობდა, ამხნევებდა, გმირებს მოუხმობდა, როგორც საომარ ველზე სარდალი შთაიგონებს ხოლმე თავის ჯარს გამარჯვების ბელოვნებას. და მთელი საქართველო იყო ავაციის ჭირისუფალი, საქართველო, რომელსაც მან მიუძღვნა ყველაფერი, რაც გააჩნდა, რათა განედიდებინა მისი წარსული, აწყო და მომავალი, ხოლო ქართველის შეილებიასათვის მიეცა სამშობლოს დამი თავდადებულის სამსახურის გაბედული მაგალითი. ერთი აღამიანის სიცოცხლისათვის ეს უკვე უღადესი ღვიწლი იყო და ერმაც ღირსეულად დაფასა სახელოვანი შვილი ყველა ამ დიდი დამსახურებისათვის.

დღეს მთელი ქართველი ხალხი ისევე მიმართავს თავის პოეტურ მეუფეს, როგორც თვით ავაცი უმღეროდა ჩუისთაველის უკვდავ გენიას:

„სულმნათო! მადლი შენს გამჩენს
დიდება ერსა შენს მშობელს!“

ამ უბადლო სიტყვებს დღეს არამარტო საქართველო, მთელი ჩვენი საბჭოთა საშობლო იმეორებს და უკვდავების გვირგვინს კვლავ ადგამს თავის სულმნათ შვილს, რომელიც ერის სამსხვერპლოზე ფენიქსიით დაფერვლა.

დიდება სულმნათს, ჩვენს პოეტურ მეუფეს, მადლი მის გამჩენს, დიდება მის ერს, მის მშობელს, დიდება უკვდავ ავაცი წერეთელს!



აკაკი წერეთლის იუბილე მოსკოვში

რუსეთში ქართული სტუდენტობა განსაკუთრებული აღტიყებით გამოეხატა აკაკის იუბილეს. ქართული სტუდენტების თაოსნობით მოსკოვში აკაკისადმი მიძღვნილი ორი სათუბილეო საღამო გაიმართა: ერთი 6 დეკემბერს, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, მეორე კი — მოსკოვის ქართული საზოგადოების თაოსნობით — 7 დეკემბერს „სალიტერატურა-სამხატვრო წრეში“¹.

ამ საღამოების მოსაწყობად მოსკოვის უნივერსიტეტში რამდენჯერმე შედგა საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. მოსკოვის უნივერსიტეტის ქართული კულტურის მოყვარულთა წრის ბიურომ ერთ-ერთ სხდომაზე დაადგინა: „იუბილეს დღე-ღეობის მგოსანს დღეებით და მიართვინ იბრუნეს; 2. გაიმართოს მოსკოვში სალიტერატურო საღამო, რომელზედაც პროფესორები — ა. ხახანაშვილი, საყელინი და ფრინე წაიკითხავენ რეფერატებს და რუს საზოგადოებას გააცნობენ აკაკის, როგორც მგოსანს, რეფერატებს წაიკითხავენ აგრეთვე სტუდენტებიც. 3. გამოსცეს რუსულ ენაზე აკაკის ნაწარმოების კრებული და გაავრცელოს რუს საზოგადოებაში და 4. გამართოს ხელისმწერა ფონდის გასაძლიერებლად“².

დადგა იუბილეს დღეც. 6 დეკემბერს მოსკოვის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში სადღესასწაულად იყო მოჩატული. ესტრადაზე იდგა წითელ მიუდგადაცარებული მავიდა, მაგიდის უკან, ამაღლებულ ადგილზე დადგმული იყო ამ დღესასწაულისათვის დახატული აკაკის დიდი სურათი. სურათს დადგინა გვირგვინი ამშვენებდა. მაგიდის გარშემო, ქართული კულტურის მოყვარულთა წრის ბიუროს წევრებისა და ქართულ სათვისტომოს წარმომადგენელთა გარდა, ისხდნენ პროფესორები — პ. ნ. საყელინი, ა. ს. ხახანაშვილი, ლაზარევის ინსტიტუტის არაბული ენის პროფესორი მ. ი. ოტაია შამბინაძე და სხვ. საღამოს დაესწრო 800-მდე სტუდენტი, მრავალი რუსი და სხვა ეროვნების მწერალი, საზოგადო მოღვაწე და არასაკერძოელი, ყველა მოსკოველი

ქართული. კრება გაიხსნა ქართული სათვისტომოსა და ქართული კულტურის მოყვარულთა წრეების სახელით. ილია კავჭავაძის სახელობის წრის თავმჯდომარემ გ. ყორღანიამ დაამსწრეთ წინადადება მისცა, თავმჯდომარედ აერჩიათ პროფესორი პ. ნ. საყელინი, კრება ამ წინადადებას ხანგრძლივი ტაშით მიეცემა, რის შემდეგაც პ. ნ. საყელინი თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა და პირველი სიტყვაც მანვე წარმოთქვა „მან აღნიშნა, — წერს „დროება“, — ის მსგავსება, რომელიც არსებობს საერთოდ ქართულსა და რუსულ ლიტერატურას შორის, მან შეაღარა ერთმანეთს ის სულიერი პროცესები, რომელსაც განიცდიდა რუსი და ქართული პოეტები“³. შემდეგ პ. საყელინი თქვა: „თქვენ, ქართველებს თითქმის ერთადერთ ვერ დედამიწის ზურგზე, წინებული ჩვეულება გქონიათ: წარჩინებულნი გლუბებს აძლევდნენ აღსაზრდელად თავიანთ ბავშვებს. და თი ამიტომ იყო, რომ რაც ბავშვს მისმა აღმზრდელმა წააგონა, ის აკაკის თვით ხალხის გულიდან აღმოხუთქილმა ხმამ ავრჩინებდა. ერთი გამძღვლის მავიდა, მას მთელი სოფელი ავინებდა თავისი ჭირ-ვარამის ამბავს...“².

შემდეგ ა. ს. ხახანაშვილმა წაიკითხა ვრცელი, შინაარსიანი მოხსენება, რომელშიც ყოველმხრივ შეეხო აკაკის მოღვაწეობას და განსაკუთრებით მის ლირიკას.

ქართული საზოგადოებისათვის ცნობილმა კომპოზიტორმა დ. ი. არაყიშვილმა ფრიად საინტერესო მოხსენება წაიკითხა აკაკის იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც სახალხო მუსიკამ შეითვისა. აკაკიმ ბევრი იშრომა ხალხური პოეზიის გამშვენებაზე, — სიტყვა დ. არაყიშვილმა. — ქართული თქმულებების შემუშავებაზე, მაგრამ ხალხშიც არ შეინარჩუნა მისი ეალი, მან თავისად შეითვისა მწერლის ნაწარმოები, ბევრი მათგანი სიმღერებში შეიტანა, ეს კი ისეთი ჯილდოა, რომლითაც ური მართო ერთიანულ გმირებს აჯილდოვებს“³.

შემდეგ სტუდენტებმა — კ. ფანაშვილმა, შ. ქარუშიძემ, ს. ვინაძემ, გ. ყორღანიამ წი-

¹ დროება, 1908, № 25, გვ. 2.

² დროება, 1908, № 3, გვ. 2; 1908, № 6, გვ. 1.

¹ დროება, 1908, № 25, გვ. 2.

² იქვე.

³ დროება, 1908, № 25, გვ. 2.

კითხვს თავიანთი მოხსენებანი, რომლებითაც სხვადასხვა მხრივ დაახასიათეს ავაციის მოღვაწეობა. კრება ხანგრძლივი ტაშის ცემით ეგებებოდა მათ მოხსენებებს. განსაკუთრებით კი ვურადღებდა დანისახერეს ე. ფანაშვილმა, რომლის მოხსენებებში მხატვრულად იყო წარმოდგენილი ავაციის მოღვაწეობა იმ ისტორიულ პირობებთან დაკავშირებით, რომლებშიც ის ცხოვრობდა, და ე. კორდანიას მოხსენებამ.

მოხსენებათა შემდეგ წაითხული იქნა მისალოცი დეპუტებში: უნივერსიტეტის რექტორის ა. მანუილოვისა და აღ. სუმბათაშვილისა. ბოლოს წარმოთქვეს მისალოცი სიტყვები სტუდენტურის წევრების დეკანატებში. შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა საყოველთაო ინსტიტუტის ავაცი წევრების სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრის წარმომადგენელმა სტუდენტმა ვანო დვანაშიძემ.

დასასრულ გაიშარათა მუსიკალურ-ფოკალური განყოფილება. პირველად ქართულმა ზარომ, სტუდენტ ტრეტე მგალობლიშვილის ლობჯანიძის, მწყობრად შეასრულა რამდენიმე სიმღერა. შემდეგ წაითხული იქნა ავაციის ლექსები (ქართულად და რუსულად). ილიაო აბაშიძემ გაოლენიელზე შეასრულა დ. არაყიშვილის რამდენიმე ქართული რომანსი. მომღერალმა ქალმა იმღერა აგრეთვე დ. არაყიშვილის „სალამერო“.

„საზოგადოდ, საღამომ ჩინებულად ჩაიარა, — წერს გაზეთი, — და დამსწრე საზოგადოებამ დაყოფილი დაშალა. დამის წინ პროფ. საკლარის წინადადებით მისალოცი დეპუტე გაეგზავნა თვით ავაციის“ 1.

მოსკოვის ქართულმა სტუდენტობამ შეასრულა თავისი განზრახვა და გამოსცა პატარა წიგნაკი — კრებული ავაციის ლექსებისა რუსულად. კრებულში მოთავსებული იყო ოცამდე ლექსი, ზოგი კერძოდ აღ კრებულისათვის გადამკრებილი. კრებულს წინ უძღოდა პროფ. ა. ს. ხახანაშვილის წინასიტყვაობა.

შეორე დღეს, 7 დეკემბერს ქართველმა საზოგადოებამაც იდღესასწაულა ავაციის იუბილე. ჭკუ დიდძალი ხალხი შეიკრიბა. საღამოს თემუჯლომარეობდა ა. ა. სუმბათაშვილი. მოხსენებები წაითხეს — თვით ა. ა. სუმბათაშვილმა, უფრო სწორად, მან თქვა შესავალი სიტყვა, შემდეგ აღ. ჯგავანიშვილმა დამსწრეთ გააცნო ავაციის ბიოგრაფია. სტუდენტმა შ. ნათაძემ კი დაამასიათა ავაციის შემოქმედება. ამ სდომანზე უნივერსიტეტის ქართულ სათვისტომოს სახელით სიტყვა წარმოსთქვა სტუდენტმა ს. მანტურნიშვილმა, შემდეგ წაითხული იყო პროფესორ ს. მერაბიშვილის, ა. ლუდნიცისა და სხვათა დეპუტები.

დღი ზემოთ იყო აღნიშნული ავაციის საღამო პეტერბურგში 1.

„ავაციის სათბილო საღამომ“ სურეზოვოდ ჩაიარა. ქათარაძემ მშვენიერად დაახასიათა ავაცი წევრების პოეზია. შემდეგ დადგეს ცოცხალი სურათები მგონის ნაწერებიდან.

ავაციის იუბილე დღი ზემოთ იყო აღნიშნული აგრეთვე ხარკოვის ქართველი სტუდენტების მიერაც. აქაც, რამდენიმე შინაარსიანი მოხსენების შემდეგ, ქართველ სტუდენტთა გუნდმა, სტუდენტ დანიელ ქინჭაძის ორგანიზებით, შეასრულა რამდენიმე ქართული სიმღერა. შემდეგ წაითხული იქნა რუსულ ენაზე ავაციის ლექსები: „ავადმოვი“, „ქართველი ღელა“ და სხვ. ბოლოს ნაწევრები იყო სამი სურათი. ერთი — ავაციის სიმზარის: ნინო, ქეთევან და თამარ, მეორე — ორი ქართველი: თათია შესხი და ადამ ბებურიშვილი და მესამე — ქართველი ღელა ავანთან მუჯლომი. ამ სურათის ჩვენების დროს გუნდმა ივალაობა „ნანა“. როგორც სურათებში, ისე ამ სიმღერამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენებელზე 2.

შესანიშნავი საღამო მიუძღვნა ავაციის იუბილეს ოდესის ქართველმა სტუდენტობამ.

იობილე გადახდილ იქნა 5 დეკემბერს მალორსთა საზოგადოების დარბაზში, სადაც, ქართველი სტუდენტებისა და ოდესაში მცხოვრებ ქართველთა გარდა, ესწრებოდა შრავალი რუსი და ეზაელი ადგილობრივი მცხოვრები.

„დღესასწაული დიწყო საღამოს მსაათზე, — წერს გაზეთი, — ფარდის ახლისას სცენაზე გაიჩნდა ავაციის დღი სურათი ნადის შრეებით შემკული. პირველად უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა სვ. ავლიანმა დამსწრე საზოგადოების რუსულ ენაზე გააცნო იუბილარის ვინაობა.“

ავლიანის მოხსენებას მოჰყვა წარმოდგენა პირველად ითამაშეს მესამე მოქმედება „პატარა კახიდან“, „პატარა კახს“ მოჰყვა „ბუტობა“.

ამის შემდეგ წაითხული იქნა ორი რეფერატი ავაციის შემოქმედების შესახებ სტუდენტ ცეცხლამისა და არღიშვილის მიერ.

შემდეგ რუსულად წაითხეს ავაციის თარგმნილი ლექსი.

იობილე დამთავრდა ტფილისში გამოგზავნილი ადრესტების წაითხვით. ადრესტების წაითხვის შემდეგ სტუდენტებმა იმღერეს „პრავალამიერი“ 3.

დღი ზემოთ იქნა აღნიშნული ავაციის იუბილე იურევის უნივერსიტეტში 4.

ავაციის იუბილეს დღეს თბილისში, მოვიდა

1 დროება, 1908, № 12, გვ. 1.

2 ჩვენი საქმე, 1908, № 19, გვ. 3.

3 დროება, 1908, № 24, გვ. 2.

4 დროება, 1908, № 12, გვ. 1.

აუარებელი დეპუტატი, მოსკოვისა და სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან. აქვე იყო მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის დეპუტატი, რომელსაც ხელს აწერდა საიუბილეო კრების თავმჯდომარე საკულისი.

„აუარებელი სტუდენტები მოსკოვის უნივერსიტეტის ქართულ სტუდენტებისა, — სწევიანი დეპუტატი. — რომელიც შევირბინენ უნივერსიტეტში ქართულ ეროვნულ პოეზიის სიამაყის პატივის საცემად, საღამოს უძღვრის ქართულების დიდებულ მგოსანს და სასიკეთლო მამულში მგოსანს, ვუსურვებთ დიდებულ მგოსანს დღევანდლობას.“

კრების თავმჯდომარე პროფესორი მოსკოვის უნივერსიტეტისა საკულისი¹.

ცალკე იყო დეპუტატი მოსკოვის ლაზარევის სახელობის ინსტიტუტიდან, რომელსაც ხელს აწერდნენ ინსტიტუტის დირექტორი და ალექსანდრე ხახანაშვილი: „თქვენს მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის შესრულების დღეს აღმოსავლეთ ენათა ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორთა საბჭო გილოვნიტ მხურვალე საღამოს, გულწრფელად გისურვებთ, რომ თქვენის საუცხოო და ჰუმანიტარი ქმარით კიდევ მრავალი წლის განმავლობაში დღევანდელნი ქართული პოეზია. დირექტორი ინსტიტუტისა შილაღერი, მდივანი ხახანაშვილი“².

გულთბილი დეპუტატი მოუვიდა აკაკის მოსკოვის ქართული სალიტერატურო და სამხატვრო წრისაგან. დეპუტატი ხელს აწერდა ალ. სუმბათაშვილი:

„მოსკოვის სალიტერატურო და სამხატვრო წრე თავის გულწრფელ საღამოს უძღვრის კულტურის დიდ იდეალების მძლავრ მატარებელს, საქართველოს სიამაყეს და შესანიშნავ მწერალს აკაკი როსტომისძე წერეთელს, მისი ნაყოფიერი შემოხმის 50 წლის იუბილეს დღეს. დირექციის თავმჯდომარე ალ. სუმბათაშვილი“³.

არა მხოლოდ იუბილარის, არამედ ყველას სიხარული გამოიწვია ნემიროვიჩი-დანენკოსა და სტანისლავსკის დეპუტატი.

„მოსკოვის სამხატვრო თეატრი გულმხურვალედ საღამოს უძღვრის საქართველოს მგოსანს“⁴ — წერენ ისინი.

შემდეგ აკაკიმ დეპუტატი მიიღო პეტერბურგიდან. პეტერბურგის მოწინავე საზოგადოების წევრებიდან. პირველად დეპუტატი მოვიდა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან, ამ ფაქტობრივად, რომლის თავისუფალი მსმენელიც იყო აკაკი.

„აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტი პეტერ-

ბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტისა, უერთებს თავის ხმას ამ დღესასწაულს, რომელიც ქართველმა ხალხმა გამართა საღმრთო სიტყვის ხელოვნებისა, ზეგარდმული ნიჭისა დიდებულ პოეტ ლირიკოსისა, საღამოს უძღვრის თავის ყოფილ მოწაფეს, რომელმაც ლექსებში და პროზაში გამოხატა ქართული ენის სიმდიდრე“¹.

„პეტერბურგის სალიტერატურო საზოგადოება ეგებება საქართველოს მსოფლიო პოეტის, მშვენიერებისა და ცხოვრების სიხარულის საუცხოო მომღერალის ორმოცდა ათი წლის მოღვაწეობას და უსუჯუბეს კიდევ მრავალ წელს ნაყოფიერ შემოხმას.“

თავმჯდომარე ანენსკი².

„უერნალ „რუსკოე ბოგატსტვო“-ს რედაქცია ქართველი ხალხის მსოფლიო პოეტს, მის სალიტერატურო მოღვაწეობის საიუბილეო საღმრთოწაულად დღეს, უზახვის გულწრფელ საღამოს. კოროლენკო“³.

„საღამოს მშვენიერი საქართველოს დიდებულ მგოსანს და მოქალაქეს მისი ძველი თაყვანისმცემლებისაგან“, — წერს ფალბორკი.

აუარებელი დეპუტატი მოვიდა კიევის, ხარკოვის, იუჯაის, ოდესის, ყენევის, პარიზის, პოუნხენის ქართველი სტუდენტებიდან, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრებ ქართველთაგან საერთოდ და სხვადასხვა ეროვნების პირებისაგან კერძოდ⁴. ბოლოს წერილები გამოგზავნეს ორგანიზაციებმა.

განსაკუთრებით გულთბილი დეპუტატი იყო სხვადასხვა ერნალ-გაზთის რედაქციებისაგან.

„მალოროსიული ერნალის „ლიტერატურნო-ნაუკოვი ვესტნიკის“ რედაქცია უერთებს თავის ხმას ქართველი ხალხის ხმას და იუბილეს დღეს საღამოს უძღვრის მის ეროვნულ პოეტს“⁵.

„მალოროსიული გაზთის „რადს“ რედაქცია გთხოვთ შეუერთოთ მისი ხმა მთელი ქართველი ერის ხმას, რომელიც იუბილეს დღეს ეგებება თავის სახელოვან პოეტს“⁶.

გაზთ „რადსი“ უკაცილი წერილია მიძღვნილი აკაკისადმი. — „ქართველების ეროვნული დღესასწაული“ — ასეთია ამ წერილის სათაური.

„7 დეკემბერს ქართველმა საზოგადოებამ, — სწერია გაზთში, — ტფილისში იღმრთოწაულად ორმოცდაათი წლის იუბილე თავისი სახელოვანი პოეტის წერეთლისა. ერთი მუჟა ქართველ ხალხს არა ერთხელ გამოუჩენია უმწვერვალო-სად განვითარებელი ეროვნული თვითშეგნება

1 ალი, 1909, № 32, გვ. 1.

2 დროება, 1908, № 19, გვ. 2.

3 იქვე.

4 ალი, 1908, № 33, გვ. 1.

5 დროება, 1908, № 19, გვ. 2.

6 იქვე.

1 ალი, 1908, № 32, გვ. 1.

2 დროება, 1908, № 19, გვ. 2.

3 დროება, 1908, № 19, გვ. 2.

4 ალი, 1908, № 32, გვ. 1.

6. „მეათობი“, № 10.

და სიყვარული თავისი ხალხისადმი, ენისა და ლიტერატურისადმი. ქართველები ვითარდებოდნენ მტკაღ მძიმე პირობებში და დაუსრულებელ ბრძოლაში თავიანთი თვითაჩვენების დასაცავად. ისინი შეეჩვივნენ თავიანთ საუნჯეთა დღესაებას, ამასთან ქართველები დიდის თანაგრძობით უცქერიან სხვა დანაგერულ, დამონებულ ერთა მოძრაობას. თუმცა ქართველები ყველაზე მოშორებით ცხოვრობენ, თუმცა ჩვენ მათთან პირდაპირი დამოკიდებულება არა გვაქვს, მაგრამ ისინი დიდის პატრიისკემთა და თანაგრძობით უცქერიან უკანონო მოძრაობას. ჩვენ ვვახსოვს, რომ როდესაც ჩვენი ხალხი კიევში დღესასწაულობდა, უკრაინულ მოღვაწეთა იუბილეს, ქართველებმა გამოგზავნეს თავიანთი დეპუტატები, რომ მოელოცათ უკრაინელებისათვის ერთგული დღესასწაული. უკრაინელები თავიანთ მხრივ ასევე თანაგრძობით ეპყრობიან ქართველი ხალხის მოძრაობას, ჯერ კიდევ ძველ უკრაინულ ევონალებში იბჭებდებოდა წერილები ქართველ ხალხის მოძრაობის შესახებ, ხოლო ჩვენ ლიტერატურაში ცოტა არ მოიპოვება მათარგმნი ქართველი დიდებული პოეტების ნაწარმოებებიდან. ამ მთარგმნელთა შორის, რომელთაც ქართველი პოეტების ნაწარმოებები ჩვენს ენაზე გადმოიღეს, პირველი ადგილი პაველ გრაზოვსკის უკიაჩეს, ახლაც, როდესაც ეშხადებოდნენ წერეთლის იუბილეს სადღესასწაულოდ, ქართველ ლიტერატორთა და საზოგადო მოღვაწეთაგან შემდგარმა კომიტეტმა გამოგვიგზავნა ქართულად და უკრაინულ ენაზე მოწვევის წერილი და მოგვიწოდა შევედოთ მონაწილეობა საიუბილეო დღესასწაულში. ვულოცავთ ქართული ლიტერატურის პატივცემულ მოღვაწეს ნახევარი საუკუნის იუბილეს, ამასთან ვუგზავნით ძმურ საღამს მთელ ქართველ ხალხს და მის პატრიოტულ ინტელიგენციას, რომელიც იჩვენს ჩვენს დროში იშვიათ მაგალითს თანაგრძობისას უკრაინის ხალხისადმი

და შეხზარის მის მისწრაფებას, გზა ვაყვარის დავისუფალი ერთგული განვითარებისათვის, ჩვენთვის ძალიან ძვირფასია ეს თანაგრძობა და ყურადღება ჩვენდამი შორეული ქართველი საზოგადოებისაგან¹.

საუბრადღებო წერილია დაბეჭდილი აგრეთვე „კიევის ამისლ“-ში.

„ამ 50 წლის წინათ ქართველი ერის დიდებულმა მგოსანმა პირველად აიღო კალამი, — აღნიშნულია წერილში, — და ერთ ქართულ გზებში მოაფხვსა ლერმონტოვის ლექსის „შალესტინის რტოს“ თარგმანი. აკაკის მოუხდა მოღვაწეობის დაწყება რმ დროს, როდესაც ქართული საზოგადოებრივი აზროვნება უიმედობით იყო დატყვევებული და შშობლიური მწერლობა მოკლებული იყო ფხიან მოღვაწეებს, რის გამოც საქართველოს სიციცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა და თითქმის სულს დავადდა. მაგრამ გაიხსნა მძღაერი და იმედიათი ხმა აკაკისა. ამ ხმამ თითქმის გაატანტა შავბნელი ბურუსი, რომელიც საქართველოს გაარს შემორტყმოდა. დიდებული მგოსანი ნათლად შერტბდა, რომ მისთვის ძვირფასი საქართველო უფსკრულის პირას იდგა და შველას ითხოვდა. ამიტომ მან დაუყოვნებლივ იწყო მუშაობა, სამეცდრო-სასიციცხლო ბრძოლა გადაგვიარებასთან. აკაკი ხან ნაზის, ხან კი დამცინავის სიტყვებით ცდილობდა გაეღვიძებინა მიძინებული საზოგადოებრივი აზროვნება და აღფრთოვანებით მოუწოდებდა ქართველ ხალხს აღორძინებისაკენ. სწამდა რა თავისი შემოქმედებითი ნიჭი“². წერილში აკაკი დახასიათებულა, როგორც სამშობლოსა და ხალხის მოყვარული დიდი შემოქმედი, რომელიც ზრუნავს ქართული ენის სიწმინდისათვის, მომავალი თაობის აღზრდისათვის საქართველოს წინსვლის მიზნით.

¹ დროება, 1908, № 27, გვ. 1.

² დროება, 1908, № 27, გვ. 1.



აკაკი წერეთელი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დაარსებული 1879 წელს ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მიერ, მთელი ორმოცი წლის განმავლობაში წარმოადგენდა ქართული კულტურის მესვეურსა და წამყვან ორგანიზაციას. მისი ხელმძღვანელები იყვნენ მწერლები, მეცნიერები, ეურნალისტები, საზოგადო მოღვაწენი. სხვადასხვა დროს საზოგადოებაში ხელმძღვანელ მუშაობას ეწეოდნენ: დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ივ. მაჩაბელი, ნ. ცხევედაძე, ა. გოგებაშვილი, გ. თუმანიშვილი, ა. ჭყონია, გ. იოსელიანი, ექ. თაყაიშვილი, დ. კარიკაშვილი, გ. ვახტანგი, ა. ყიფშიძე, შ. დედამიძე, ლ. ზოსცაძე, ვ. ბურჯანაძე და სხვანი. ქართველი ხალხის მთელი შეგნებული ნაწილი, მეტად თუ ნაკლებად, დაკავშირებული იყო ამ ორგანიზაციასთან და ხელს უწყობდა მის კულტურულ საქმიანობას. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან უახლოესი კავშირი ჰქონდა ჩვენ სახელოვან მწერალს აკაკი წერეთელს. წერა-კითხვის საზოგადოების წევრებად ითვლებოდნენ: დამაარსებელი ი, რომელთაც საზოგადოების წესდებამუ ჰქონდათ ხელი მოწერილი; ასეთი იყო 126 კაცი. მათ ან ერთდროულად 300 მანეთი ჰქონდათ გადახდილი, ან ყოველწლიურად 20-20 მან. იხდიდნენ. საპატრიონი — ასეთ პირებად ირჩევიდნენ იმათ, ვისაც დიდი სარგებლობა აღმოუჩენიათ მწიგნობრობის გავრცელებისათვის თავისი პირადი მოქმედებით, ან საზოგადოებისათვის დიდი ნივთიერი შეწირულებით, ნამდვილი წევრები, რომელთაც ევალებოდათ წლიურად ექვსი მანეთი საწევრო ვახალო, ან ერთდროულად ასი მანეთი გაეღოთ. წერა-კითხვის საზოგადოების ნამდვილ წევრად აკაკი წერეთელი საზოგადოების საერთო კრების მიერ 1880 წლის 20 იანვრის სხდომაზე იქნა მიღებული. 1885 წლის მაისში საზოგადოების საერთო კრების მიერ აკაკი წერეთელი გამგეობის წევრად იქნა არჩეული. გამგეობის წევრებს სამი წლით ირჩევიდნენ.

1896 წელს ა. გოგებაშვილის მოხსენებით, გამგეობის მიერ და შემაღლეს საერთო კრების მიერ, მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის ქარ-

თული მწერლობისა და კულტურის წინაშე საზოგადოების საპატიო წევრად არჩეულ იქნა აკაკი წერეთელი (ერთდროულად ილია ჭავჭავაძე და ალექსანდრე ებისკოპოსი). ამ წელს წერა-კითხვის საზოგადოების საპატიო წევრებად იყვნენ: ნიკო დადიანი, ა. გოგებაშვილი, რ. ერისთავი, ოლა ჭავჭავაძისი, გ. ქართველიშვილი, ებისკოპოსი ალექსანდრე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დავ. ჩუბინაშვილი (გარდაიცვალა 1890 წ.)

აკაკი საქიბორტო საკითხების შესახებ თავის შეხედულებებს გამოთქვამდა საზოგადოების საერთო კრებებზე, მონაწილეობას იღებდა აგრეთვე მნიშვნელოვან საკითხების გამოსარკვევად გამოყოფილ კომისიებში.

ცნობილია, რომ მოაწრობდა სხვადასხვაგვარ დაბრკოლებებს უქმნიდა წერა-კითხვის საზოგადოებას სკოლების გახსნის საქმეში, რაც საზოგადოებას ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა. იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რა მიზეზებით ბრკოლდებოდა სკოლების გახსნა და თუ რა საშუალებით შეიძლებოდა ამ საქმის გამოსწორება, 1894 წლის 9 იანვარს წერა-კითხვის საზოგადოების წლიურმა საერთო კრებამ კომისია გამოაქვა ნ. ცხევედაძის თავმჯდომარეობით და აკაკი წერეთლის მონაწილეობით. კომისიის სხდომაზე აკაკის მეტად თავისებური აზრი გამოუთქვამს სკოლების შესახებ: მას ხაზი გაუსვამს იმ ვარაუდებისათვის, რომ ხშირ შემთხვევაში, ენაიდან სკოლა არ აძლევს მოსწავლეებს ნამდვილ „გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას“ და, პირიქით, „ზნეობრივად აქვეითებს“ კიდევ მათ, სკოლადამოკრებულები იმ ორიოდვე რუსულის ცოდნას, რომელსაც სკოლა აძლევს, ხალხის საყვედურად და სავენებლად ხმარობსო. აკაკი წერა-კითხვის გასავრცელებლად იაფი და ადვილად ვახაგები სახალხო წიგნების ბეჭდვა მოიხთოდა.

1880-იან წლებში მთელს რუსეთში რვაქციის უკიდურესი შემოტევა დაიწყო. საქართველოში მოაწრობის რვაქციული კურსი სასტიკი გამარტებულ პოლიტიკაში გამოიხატა. ქართველი ხალხის დენაციონალიზაციის მიზნით მოაწრობამ განიზრახა შეგრელები მოეწყვიტა დედა სამშობლოს — საქართველოს და ამით მთლიანი

ეროვნული ქართული სხეული დაეხსტებინა და დაეშალა. სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენა განდევნეს. დაიწყეს საღვთო წერილის მეგრულზე თარგმანი და სცადეს ეკლესიებში წირვა-ლოცვის მეგრულ ენაზე შესრულება; მეგრული სახელმძღვანელო შედგენა; განიხილეს და ამისათვის მცირედი ცვლილებებით რუსული ანაზანი გამოიყენეს. მეფის მთავრობას ამ ვერაგულ საქმეში „მასწავლებელი“ თადა ამორღია ეხმარებოდა, სასწავლო ოქლის მზრუნველის იანოვსკის აგენტი და ამ უკანასკნელს მიერ რუსულიდან გამოწვეული ავადმთისა იდიუნკტი გრენი. ამ მზაკერული ღონისძიებების წინააღმდეგ მთელი სამეგრელოს მოსახლეობა აშხედრდა განურჩევლად მდგომარეობისა. ცარიზმის მიერ სამეგრელოში წარმოებულ ვერაგულ პოლიტიკას გამოეხმაურნენ მეცნიერები (ნ. შარი), მწერლები, საზოგადო მოღვაწენი. მოზღუდები იმ სკოლებში, სადაც ქართლის ნაცვლად მეგრული ისწავლებოდა, ბავშვებს არ ავზუნდინდნენ. მეგრულ ენაზე წირვა-ლოცვის შესრულება მთავრობამ დასაწყისშივე შეწყვიტა, რადგან ხალხმა ის მკრეჭლობად ჩასთვალა, „იხველა“, როგორც ვახუშტის აღნიშნავდნენ, და ასეთი უკუპასუხი მიატოვა. ვერა-კითხვის საზოგადოებამ ქუთაისის ქართული სკოლის მოსამზადებელი კლასებით პარალელური განყოფილებანი ძველ სენაკში გადაიტანა 1884 წელს და ეს სკოლა სამეგრელოში ქართული კულტურის კერად გადაქცია, რომელსაც წარმატებით უძღვეობდა იქ ინსპექტორად დანიშნული სამსონ ყიფიანი. 1885 წლის 27 ოქტომბერს ამ სკოლის დაარსების წლისთავზე, სკოლის საკუთარ შენობაში გადაიტანა დიდი სახალხო ზეიმით ეწნა აღნიშნული, რასაც დაესრულა და შესაფერი სიტყვები წარმოთქვეს დნი. ყიფიანმა, ვახლო მამაბულმა, ნ. ტ. დიდიანმა, ბაბუა ფალავამ. ვერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ ამ ზეიმზე დასწრება დაავალა აკაკი წერეთელს, რომელმაც იქ სიტყვა წარმოთქვა („ივერია“ 1885 წ. № 10, 11). აკაკი ამ წლებშიც და შემდეგ-მდე ბებერს წყვილ სამეგრელოში ცარიზმის ვერაგულ პოლიტიკის საწინააღმდეგოდ და სწორადაც ჩადიოდა საქართველოს ამ კუთხეში, რაც ცარიზმის აგენტი — თადა ამორღი დიამ ერთ-ერთ დამაბუღლებელ პატაქში იცნობდა კაცულ სასწავლო ოქლის მზრუნველ იანოვსკის — აკაკი წერეთელი მიხედვით შეუნარების და მისხ ზვილის იონას თანადასწრებით სიყვლილით დამემქნარო. სამეგრელოში აკაკი წერეთლის სწორი სტუმრობა ჰქონდა მხედველობაში ამორღის, როდესაც 1887 წლის 28 აპრილის ბტაყით ატყობინებდა სასწავლო ოქლის მზრუნველს, რომ წერა-კითხვის საზოგადოების ხელმძღვანელები (აკაკი ამ წლებში — 1885 — 1888 საზოგადოების გამგეობის წევრი

იყო) ხშირად იკრიბებიან ძველი სენაკის ქართულ სკოლაში, რომელიც ამ საზოგადოების შტაბად არის გადაქცეული („სამეგრელო“ 1887 წ. № 107, საქ. № 1723, ფ. 13936; „მეგრელების განზრახვა, გადღვნა ქართული ენა ძველი სენაკის ქართული სკოლიდან, მარცხით დასრულდა — ამ სკოლაში მისი სახელოვანი ხელმძღვანელებისა და მოწინავე მასწავლებლების მეოჯებით დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ამ მხარის კულტურულ წარმატებას.

ვერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა გაბნეული ძველი ხელნაწერების, ძველი წიგნებისა და საზოგადოდ ძველი მატერიალური კულტურული ძეგლების შექენა-შეგროვება, აკაკი წერეთელი თავებოდებით იბრძოდა იმისათვის, რომ ქართულ ხალხს არ დაეაროდა მის წინაპართა მიერ შექმნილი კულტურის ძეგლები. აღ. წერეთლის ხელში თავმოყრილ მის წინაპართაგან გადმოცემულ ხელნაწერების შესახებ აკაკი წერეთელი წერს: „...ძველი ქართული წერილების მითვისება და დამალვა საზოგადოებისაგან, არის მითვისება საზოგადოების და შოამომავლობის საკუთრებისა...“ („დროება“, 1871 წ. № 28), როგორც „დროება“ აღნიშნავდა, აკ. წერეთელს აუწერია ის მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ნიკო დადიანმა 1885 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოებას გადასცა („დროება“, 1885 წ. № 60).

აკაკი დაიჯდა ედგა ვერა-კითხვის საზოგადოების მიერ შექმნილ ბიბლიოთეკა-მუზეუმს და დაურიღებლად ამხელდა, განურჩევლად პიროვნებისა, ყველას, ვინც იქიდან იშვიით ხელნაწერებს მითვისებდა, რაც დასტურდება აკაკის და სხვების მიერ ვახუშტეში მოთავსებულ წერილებიდან და ვერა-კითხვის საზოგადოების მიერ მათთვის მიცემული პასუხიდან (იხ. „ველი“ 1893 წ. № 13, გვ. 10; № 16, გვ. 7, № 17, „ივერია“, 1894 წ., № 66; აგრეთვე საქ. ც. ისტ. არქივი, ფ. 481, საქ. № 420, ც. 57).

ცნობილია, რომ აკაკი დიდად ზრუნავდა ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრებაზე. 1881 წელს ვერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის ხელმძღვანე ი. გოგებაშვილმა შემოიტანა წინადადება მიემართათ მასწავლებელთათვის ფოკლორული მისლის შესაკრებლად და თითო ფორმისი გადაეხალათ 20 მანეთი. უსახსრობის გამო შრომის ანხლოვებამდე ვამგეობამ უარი თქვა, ხოლო მასწავლებლებს სათანადო თხოვნით მიმართა. ამ სამუშაოს პროგრამის შედგენა ი. გოგებაშვილმა უმჯობესობა მიანდო, 1884 წელს, 27 მაისს ვერა-კითხვის საზოგადოების წიფორ კრებაზე აკაკიმ კვლავ დააყენა ეს საკითხი: „ბოლოს აკაკიმ ჩამოაგდო ლაპარაკი სახალხო ნაწარმოების შეკრებაზე და საზოგადოდ ხალხის სიტყვიერების მნიშვნელო-

ბაზე... რომ საზოგადოებას დაენიშნა მცირე ჯამაგირი იმისათვის, ვინც იყისრებდა ამ საქმეს სოფელ-სოფელ სიარულით..." (საქ. ც. ისტ. არქ. ფ. 481, საქ № 67, ფ. 14).

1907 წლის 9 დეკემბერს მიმდინარეობდა წერაკიბების გამაერცელებელი საზოგადოების წევრთა საერთო საინგარიშო კრება, რომელსაც საქმიოდ დამაბული ხასიათი ჰქონდა. კრებაში გამოითქვა აზრი, რომ საზოგადოებამ არ უნდა ხარჯის სახსარები ძველ ბელანწერათა შექმნაზე, არამედ უნდა მოიხმაროს ისინი თავიანთი პირდაპირი დანიშნულებით. აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ჯერ კიდევ 1880-იან წლებში წერაკიბების საზოგადოების ზოგი წევრი გრ. ყიფშიძე, გ. თუმანიშვილი, ნაწილობრივ იაკობ გოგებაშვილიც ამ აზრისანი იყვნენ, რომ წერაკიბების გამაერცელებელ საზოგადოებას თავისი სახსარები წერაკიბების გაერცელებისა და სახალხო წიგნების გამოცემა-გაერცელებისათვის უნდა ეხდოდა და არა ძველ ბელანწერების შესახებ და გამოსაცემად, მაგრამ აღნიშნულ კრებაზე საკითხი უფრო მწვავედ დასვა.

ამ კრებას აჯყო წერეთელიც ესწრებოდა, რომელმაც განაცხადა: „ნათქვამია აწმყო შიშლი წარსულისგანა, არის მშობელი მომავლი-სა; ხალხს, რომელსაც წარსული არა ჰქონია, მომავალიც არა აქვს, ის შედარა. ჩვენი ხალხი ასეთი არ იყო, ის ცხოვრობდა, კულტურა ჰქონდა. პატარა ხალხს რომ მტერი მოერევა, ღველაფრის წამლას და წართმევას მოუნდობს. გვეუბნებიან: წარსულში არაფერი გქონიათ, არც მომავალი გეწინებათო. ჩვენ ამას არ უნდა იყვეთ. განა ქართველი ამით წახდება, რომ თავისი კულტურა უყვარდეს, ხოლო აწმყო და მომავალი შეუეთხმნით წარსულს. რუსთველი ძველად იყო; მე ახლა, განა მე შევდარებში იმას? არა, წარსულს უნდა ვეფასებდეთ და ისე უნდა შევიძინოთ ძველი ბელანწერები, როგორც დღემდის ვიძინებთ“ (საქ. ც. ისტ. არქივი, ფ. 481, საქ. № 1044, ფ. 3).

ქართველთა შორის წერაკიბების საზოგადოების გამგეობამ განიზრახა ლექსიკონის შედგენა და გამოცემა. 1911 წლის აპრილის თვეში მიმდინარეობდა წერაკიბების საზოგადოების წევრთა საერთო კრება, რომელსაც გამგეობამ მოახსენა ლექსიკონის შედგენისა და გამოცემის აუცილებლობის შესახებ; ერთადერთი ქართულ-რუსული ლექსიკონი ნუბინაშვილისა არ იმოგება და მოძველებულია, საბაბი — მცირეა. 15 კაცისგან შემდგარმა კომისიამ საჭიროდ სცნო ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონის შედგენა და გამოცემა 2.000 ცალად, 1500 გვერდის მოცულობით ნუბინაშვილის ფორმატისა, რაც 10.000 მანეთი დაუჯდება; ფული უნდა ეთესებოთ, რედაქტორი უნდა გამოეყოთო (სკია, ფ. 481, საქ. № 3085, ფ. 7). ლექსიკონის შედგენისა და გამოცემის შესახებ მრავალჯერაი აზრი გამოითქვა: ყველანი საჭიროდ და დროულად სცნობდნენ მის შედგენასა და გამოცემას. ამ სხდომას აჯყო წერეთელიც ესწრებოდა, რომელმაც საქვა: „მართალი უნდა ინახება მდამიო ხალხში, აქ არის ენის საღარო. ბევრი სიტყვაა დარჩენილი ხალხში, რომელიც ჩვენ არ ვიცით. კანონები მოგონილ ქართულ სიტყვებს, ყოველთვის სჯობი: ის ბუნებრივი ქართული სიტყვები, რაც ხალხში მოიძებნება. ამიტომ საჭიროა ხალხური ზეპირ-სიტყვაობის შეკრება, რომელიც ავსაიცილებს თავიდან კანონებში მოგონილ უხერხულ სიტყვებს. ზეპირსიტყვაობის შედგენა იქნება პირველი ნაბიჯი ლექსიკონის შედგენისაგან“ (სკია, ფ. 481, საქ. № 3085, ფ. 92).

აღნიშნული ლექსიკონის შედგენა-გამოცემა შეჩერდა საჭირო თანხის უქონლობის გამო. ნუბინაშვილის მიერ ამ საქმისათვის გაღებული 3.000 მან. საქმიო არ აღმოჩნდა. 1915 წლის დსაქვისში წერაკიბების საზოგადოების გამგეობამ გადაკრით დასვა საკითხი ლექსიკონების შედგენა-გამოცემის შესახებ და ეს საქმე დ. კარიკაშვილს მიანიდა, რომელსაც ამისათვის სათანადო პირობები შეუქმნა. მას უნდა შეედგინა რუსულ-ქართული ლექსიკონი 1916 წლის პირველ აგვისტოსათვის; ქართულ-რუსულ ფრანგული — 1917 წლის პირველ ოქტომბრისათვის და ფრანგულ-ქართული — 1918 წლის პირველ იანვრისათვის. დ. კარიკაშვილი ენერგიულად და მონდომებით შეუდგა ამ დროა დავალების შესრულებას, მაგრამ საერთო ვართულებებისა და ძვრების გამო ეს საქმე დაუსრულებელი დარჩა.

ვალერიან გუნიამ წერაკიბების გამგეობაში განცხადება შეიტანა აჯყო წერეთლის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავი იუბილეს მოწვეობის შესახებ. გამგეობამ ეს განცხადება 1908 წლის 18 სექტემბრის სხდომაზე განიხილა და დაადგინა: „ამ საკითხის შესახებ დანიშნოს შებაბის გამგეობის სხდომა, რომელზედაც მოწვეულნი იქნან წარმომადგენლები: ერთნალ-ვახუთების, დამამტილ საზოგადოების, ფლამბონილ საზოგადოების, „განათლების“ საზოგადოების, ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების კომიტეტის, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და ქართული გიმნაზიის, აგრეთვე იაკობ გოგებაშვილი, ევ. გამაშვილი, სოფრომ მეგობლიშვილი, ანტონ ფურცელაძე“ (სკია, ფ. 481, საქ. № 2046, ფ. 127).

წერაკიბების საზოგადოების ბელმქვანლობით აჯაკის თბილისში დიდი იუბილე მოუწყვეს, რაც შემდეგ თითქმის ყველა ქალაქსა და დაბებში ვგრძობდა. გამგეობამ აჯაკისათვის აღარესი მართმევა დაადგო ი. დლიაძის, რომელიც მაშინ საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი იყო, ალ. ყიფშიძისა და პეტრე სერგუ-

ლაცს. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან აკაცის სახელობის ფონდი შეიქმნა. 1909 წლის 29 იანვარს გამგეობა იხილავს აკაცის თბოვნის შექმნის გამგეობას მისგან საიუბილეო დღესასწაულზე მიღებული ნივთები. უსახრობის გამო გამგეობამ ამ თბოვნაზე უარით უპასუხა; ხოლო შემდეგში განმეორებულ ასეთსავე თბოვნაზე გამგეობამ უპასუხა, რომ ასეთი ნივთები გამგეობის საკუთრებას შეადგენს. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ აკაცის ყოველთვიური პენსია დაწინააღმართა და მანეთის რაოდენობით; ადრეც, დროგამოშვებით, გამგეობა აკაცის ერთდროულ დახმარებას აძლევდა ხოლმე. დანიშნული პენსია ხშირად ხდებოდა გაუგებრობისა და უსიამოვნების საგანად აკაცისა და გამგეობას შორის. 1909 წლის 19 მარტის სხდომაზე გამგეობამ მოისმინა აკაცის თბოვნა, რომ მას „აკაცის ფონდიდან“ მიეცემოდა მისი პენსიის ანგარიშში 1.500 მანეთი. გამგეობამ მიიღო მხედველობაში წესები „აკაცის ფონდის“ შესახებ და დაადგინა, რომ მას არა აქვს უფლება მისცეს აკაცს წინააღმდეგ 1.500 მანეთი. აკაცის თითქმის ყოველთვის 2-3 თვით წინასწარ გაქონდა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობიდან მისი ეფთვილი პენსია, მაგრამ მიიწვ საყვედურობდა გამგეობაზე, რადგან აკაცის ფულს მომჭირნობდა არ ებრუნებოდა, ხშირად საჭიროებდა ფულს, ხოლო წერა-კითხვის საზოგადოებას გარკვეული წესებით უნდა ეხელმძღვანელა.

1915 წლის იანვარში სოფ. სხეიტორიდან თბილისში მოვიდა ამბავი აკაცის ავადმყოფობის შესახებ. გამგეობამ მასთან მიავლინა ნინო ნაკაშიძე, რომელსაც დაავალა გამგეობისაგან სალამის გადაცემა. 20 იანვარს გამგეობამ 200 მანეთი გადასდო აკაცისათვის გასაჯავანად. 1915 წლის 26 იანვარს გამგეობამ მოისმინა ცნობა აკაცის გარდაცვალების შესახებ. განსვენებული პოეტის პატივსაცემად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ადგენს: 1. საჩხერეში გივიზაგნის კირილუ ნინიძე, რომელსაც დაევალა სიტყვის თქმა; 2. თბილისის სადგურზე პოეტის ცხედარს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა მთელი შემადგენლობით უნდა დახედროდა; 3. დასაფლავების დღეს სიტყვის თქმა დაეთ კარიბჭამილს დაევალა; 4. დაიბეჭდოს აკაცის პატარა სურათები პოეტის მოკლე ბიოგრაფიით

5.000 ცალი ხალხში უფასოდ დასარეგებლად; 5. გვირგვინის ნაცვლად აკაცის ფონდისათვის გადაიღოს სამასი მანეთი; 6. წერა-კითხვის საზოგადოების სკოლებში გაიმართოს აკაცის დღეა და დაჩივდეს პოეტის სურათები; 7. წერა-კითხვის საზოგადოების სკოლას ზუგდიდში დაერქვას აკაცის სახელი; 8. აკაცის დაკრძალვის ხარჯებისათვის გადადებულ აქნას 300 მან. (საქ. ც. ისტ. არქივი, ფ. 481, საქ. № 6056, ფ. 16). აკაცის ქვრივს დახმარებად მიეცეს 200 მ.

1912 წლის 7 ნოემბერს აკაცის შეუღდენი ანდერძი, რომლითაც სოფ. სხეიტორის სახლსა და ეზოს ის უტოვებდა ცოლშვილს, შემდეგ კი წერა-კითხვის საზოგადოების ხელში უნდა გადასულიყო, პირობით, რომ იქ უნდა გახსნილიყო ქალთა პროფესიონალური სკოლა. ვენახი აკაცი უანდერძა ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას. მთლიანი ქონება შეფასებული იყო 14.000 მანეთად; მამულს ვალი ედო 7.000 მ. აკაცის სხვა წერილობრივ დოკუმენტებშიც დარჩა. ცოლშვილმა მამიდანვე სთქვა უარი მეშვიდობობის მიღებაზე. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამაც უარი განაცხადა ვენახის მიღებაზე, დაუმოთ უს უფლება წერა-კითხვის საზოგადოებას, მაგრამ საზოგადოებასაც გაუჭირდებოდა მისი მოვლა და ფორმალური მიღება, რადგან აკაცი ავადმყოფი საეთნოგრაფიო საზოგადოებას ზეპირსიტყვიერების შეკრება-გამოცემას. (საქ. ც. ისტ. არქივი, ფ. 481, საქ. № 6237, ფ. 6).

ბეერაჯერ ჰქონდა წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა კრებას მსჯელობა აკაცის ანდერძის მიღებისა თუ არ მიღების შესახებ, რადგან ვართულებულ მდგომარეობის გამო ძნელი ზღენობდა ანდერძის ყველა პირობის შესრულება. მაგრამ, ამევე დროს, საზოგადოებას არ სურდა დაეკარგა ის კარმიდამო, სადაც დიდი პოეტი დაიბადა და აღიზარდა; მას სამარცხვინოდ მიიჩნდა აკაცის სახლი კერძო პირის სასახლეში. ამიტომ 1919 წელს წერა-კითხვის საზოგადოების საერთო კრებამ საბოლოოდ გადაწყვიტა აკაცის ანდერძის მიღება.

შეზოლოდ საბჭოთა პირობებში ვახდა შესაძლებელი აკაცის კარმიდამოს გონიერული გამოყენება: აკაცის სახლი მოეწყო აკაცის სახელობის მუზეუმი, რომელიც ასახავს პოეტის ცხოვრებასა და მის მრავალმხრივ მოღვაწეობას.



აკაკი „სვანების პროცესზე“

აკაკი წერეთელი პროფესიით იურისტი არ ყოფილა, თანაც ფართო ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელსაც იგი ეწეოდა, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელს ხდის იმ გარემოებას, რომ მას დროებით მინც ხელი შეეკიდოს, თუ გინდ ისეთი ღარგისათვის, როგორც იურისპრუდენციაა. მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი რამ მოხდა. აკაკი 'სოციალისტური რევოლუციის' პერიოდში, მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, დიდ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, ეწეოდა მეტად ინტენსიურ საქმიანობას, როგორც პრაქტიკოსი იურისტი. მისი მოღვაწეობის ეს უზნაი უკერძოობით ნაკლებადია ცნობილი. ჩვენი სურვილია, ამ საკითხს, შესაძლებლობის ფარგლებში, ცოტაოდენი შექვი მოვინათ.

აკაკი როგორც იურისტი პირველად ე. წ. „სვანების პროცესში“ გვევლინება.

„სვანების“ საქმე პოლიტიკური ხასიათისა იყო და აკაკი პროცესში მონაწილეობდა როგორც პოლიტიკური საქმის დამცველი. აკაკის სხვა პოლიტიკურ სასამართლო პროცესებშიც მიუღია მონაწილეობა. პოლიტიკურ პროცესებში აკაკის გამოჩენა უშუალოდ დაკავშირებულია მის ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობასთან. აკაკი, როგორც იურისტი, ჩამოყალიბდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობასთან დაკავშირებით წამოჭრილ უამრავ სამოქალაქო უფლებრივ დავაში მონაწილეობის შედეგად. როგორც ცნობილია, აკაკის დიდი წვლილი აქვს შტაინილი ზვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების აღმოჩენაში; აკაკიმ ჩაუყარა საფუძველი ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას. მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან აკაკი იბრძოდა იმისათვის, რომ ქართული მარგანეცი—ერის ღირსება და ეკონომიკური სიძლიერის დემონსტრირების წყარო—ქართულ საზღვარებში უფრო მეტად ყოფილიყო გამოყენებული, რომ მარგანეცისა და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლოატაცია მეფობეებს, ჩარჩებს, მაკლერებსა და თაღლითებს არ ჩაეზღოთ ხელში. აკაკი თავის მოგონებებში ჭიათურის მარგანეცის შესახებ წერს, რომ ხანგრძლივი შრომისა და ბრძოლის შედეგად, რომლებმაც მას უანმრთელობა შეურყიეს და დიდი

მატერიალური ზარალი მიაყენეს, ხელთ შეიტანა გაუთავებელი სასამართლოს პროცესები... სწორედ ეს სასამართლო პროცესებია, რომლებმაც აიძულეს აკაკი ღრმად დაეფლებოდა სამართლის დარგის მეცნიერებას, გარკვეულიყო მოქმედ კანონმდებლობაში და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ებრძოლა როგორც პირადი უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დასაცავად, ვინც მას მხარში ედგა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარების საქმეში. აკაკი ხშირად მიმართავდა გამოცდილ იურისტებს—ექვიკო გელოვანს¹, ალექსანდრე გამრეკელს², პესარიონ კვიციანიას³, მაგრამ ეს მხოლოდ პირად საქმეებზე, რადგან მათი დაძლევა, მოცულობისა და ხანგრძლივი დევნის აუცილებლობის გამო, აკაკის ფიზიკურად არ შეეძლო. შავალითად, აკაკიმ 1912 წ. აღძრა სასამართლოს საქმე მსხვილი მრეწველის მადათოვის მიმართ. მადათოვმა გლეხი სამყურაშვილისაგან მოტყუებით შეიძინა სოფ. ბუნეკეთის მარგანეციანი მიწები, რომლებიც აკაკის ეკუთვნოდა. ამ საქმის განხილვა დასთავრდა 1914 წ. „სახალხო გაზეთი იტყობინებოდა, რომ: „ოქტის სასამართლოში გაიჩნა თავად აკაკი წერეთელსა და მადათოვის შორის ატეხილი დავა მიწის თაო-

1. საქ. სახ. მეზ. ფონდი, №1493, ფურ. 50.

2. ექვიკო გელოვანი, მოღვაწეობდა პეტროგრადში, იყო სახელმწიფო სათათბიროს წევრი. ნახსენებია აკაკის მოგონებებში ჭიათურის მარგანეციან დაკავშირებით (საქ. მეზ. ფონდი №1393, ფ. 49-53).

3. ალ. გამრეკელი თავის წერილში აკაკისადმი 1910 წლის 1 აგვისტოს, სთხოვს აკაკის გაუგრძელოს მას ექვიკოვის რწმუნება, რათა შესძლოს შემდეგში საქმის წარმოება (საქ. მეზ. ფონდი № 1496/24; ფურ. 9).

4. ბ. კვიციანიას იხსენიებს კორე აბდუშელიშვილი 1914 წლის 19 თებერვალს აკაკისადმი მიწერილ წერილში. აბდუშელიშვილი აცნობებს აკაკის თუ როგორ შიღის გამოჩენაში მისი დავის გამო მადათოვთან და გამოთქვამს უკმაყოფილებას, რომ კვიციანს არ ესწრებოდა ჭიათურაში მადათოვის მოწვევის დაკითხვას (საქ. სახ. მეზუემის ფონდი, № 1496/120, ფურ. 10).

ზახ. სასამართლოში მადათოვი და მისი ვეჭილი არ გამოცხადებულან. საქმე გაიჩნა; რეზოლუცია გამოცხადდება 6 თებერვალს¹. აღნიშნული საქმე მადათოვმა მოიგო, როგორც აკაცი აღნიშნავდა, მადათოვმა „ფულით ყველა შერყიდა“². ამ საქმეს, აკაცის დავილებით, აწარმოებდნენ ა. გამარჯველი და ბ. კვიციანი.

ახსებელი მასალებიდან ირკვევა, რომ საქმე თავისი შინაარსით მეტად რთული ყოფილა, სპეციალური გამოძიება და მისი წარმოება თითქმის ორ წელს გაგრძელდებოდა. თავისთავად ცხადია, რომ აკაცის ასეთი საქმის პირადად მოვლა არ შეეძლო და საქმეს მასთან ერთად კიდევ ვეჭილი აწარმოებდა.

აკაცი არა მარტო ამ საქმეების დასაცავად გამოდიოდა, რომლებიც უშუალოდ მის ეხებოდა, ან უშუალოდ მის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, იგი ზოგჯერ აწარმოებდა საქმეებს სხვების დავილებითაც. ახსებობს დამადასტრუბელი დოკუმენტები, რომ მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან აკაცის ოფიციალურად მიმართავენ თხოვნით, აწარმოოს სასამართლოში საქმეები. მავალითისათვის შეიძლება დაეახებოთ სერგეი მესხის მიერ 1882 წლის 30 იანვარს აკაცისადმი მიწერილი წერილი, რომელშიაც იგი სთხოვს აკაცს, იყოს მისი დაცვა ქუთაისის საგლეხო საკრებულის წევრს, ნიკო ქუთაისს — სერკატოვისს. რომელიც ბარონ მარცენფელდის წარმომადგენელი იყო, აღუძრავს სიტლის სასამართლის საქმე სერგეი მესხის და სხვების მიმართ, როგორც ეტყობა, ცილისწამებისათვის. ამ პირების მიერ, სერკატოვისკა და მარცენფელდი მხილებული ყოფილან თალითურ გარაგებში, რომლითაც მათ ზღლი ჩუგდიათ გლეხების მამულები. სერგეი მესხი ატყობინებს აკაცს მის მიმართ საქმის აღძვრას, სთხოვს, იყოს მისი დაცვა-ვეჭილობა და შეაგროვოს სათანადო დოკუმენტები³. აკაცის თავის მხრივ, ამ წინადადებაზე თანხმობა მიუცია⁴.

ცნობილია ის ამბავიც, რომ მეფის ცენზურის მიერ აკაცი არაერთხელ ყოფილა პასუხისცემაში მიცემული. როგორც წესი, აკაცი თავის თავს თვითონ იცავდა, რაც აგრეთვე ადასტურებს, რომ იგი გამოცდილი პრაქტიკოსი იურისტი იყო და გარეშე დახმარებას ნაკლებად საჭიროებდა. ამას უნდა დაემატოს აკაცის მიერ წარმოქმნილი დაცვითი სიტუების ლიტერატურ-

ბული პერსონალები, კერძოდ „გიორგი სააკაძის“, „სამშობლოს“ და „ლილასის“ გვირგვინი ლიტერატურულ გასამართლებათა დროს აღბათი სული კარგი გამოსვლებით იყო შევსებული ნიკო ნიკოლაძე, როდესაც მან აკაცი წერეთელს უჩინა ხელი მოკვია იურისპრუდენციისათვის. აკაცის პირველადე ცდა ნაყოფიერი გამოდგა ამ სფეროში.

თუ რა პრობლემაში მოხდა აკაცი წერეთლის „გაიურისტება“, ამ საკითხზე ამომწურავ პასუხს იძლევა მასალები, რომლებიც ეხება „აჯანყებულები“ სვანების სასამართლო პროცესს.

აღნიშნულ სასამართლო პროცესში, რომელიც „სვანების პროცესად“ იარს წოდებული, აკაცი მონაწილეობის იღებს, როგორც სასამართლოში მიცემულთა ინტერესების დამცველი.

„სვანების“ საქმე განიხილა კავკასიის სამხედრო სიალქო სასამართლომ (საველე პრობლემაში, ომისდროინდელი კანონების გამოყენებით), ოლქი სასამართლოს თავმჯდომარის — გენერალ-მაიორ ლეიტის თამაზ-მარკოზის თანამდებობაზე და ოლქის პროკურორის თანამდებობაზე კაპიტანი შლეტინსკი. სასამართლოში მიცემულებს იცავდნენ ნაფიც ვეჭილები — ლუარსაბ ლოლა (იმ დროს გამოჩენილი ვეჭილი და საზოგადო მოღვაწე), დავით ლორთქიფანიძე, დიდი ქართული მგოსანი აკაცი წერეთელი და სასამართლო თანამდებობაზე დანიშნის კანდიდატი დრობიშვილი¹. სასამართლოს პროცესი მომდინარეობდა ქ. ქუთაისში 1876 წლის 27 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე. სამხედრო სასამართლომ შეტენი მკაცრი განაჩენი გამოიტანა, რომლითაც სასამართლოში მიცემულთა ნაწილს ჩამოღობა და ნაწილს ხანგრძლივი კატორღა მიესაჯა. განაჩენი მეფისნაცვალმა, მისმა უფილებულესობამ, დიდმა თავადმა, მიხეილ ნიკოლოზისძემ შეარბილა, ჩამოსაღობაში სასჯელი კატორღით შეუცვალა და ნაწილს საკატორღო ვადები შეუშვირა. რომანოვმა ეს გააკეთა საზოგადოებრივი ზეგავლენით, შემდგომი ვართულებების თვითდან ასაკლებლად, მაგრამ მისცა ისეთი ფორმა, თითქოს პირადი ჰუმანობა და ქართველი ხალხისადმი განსაკუთრებული პატივისცემა ამოძრავებდა. მისი უფილებულესობის მიერ ეს იაფდისიანი მოქმედება საზოგადოების თვალში პირადი ავტორიტეტის ასამაღლებლად იყო გაკეთებული.

„სვანების პროცესის“ ისტორია ასეთია:

1. ვ. შერეშვილის თავისუფალი სვანები² ბატონიშვილი ულსისაგან თავის დასაწყველად, რომ-

1. დრობიშვილი სამხედრო სიალქო სასამართლოში სასამართლო თანამდებობაზე დანიშნის კანდიდატი იყო და, როგორც ეტყობა, იგი სვანების დამცველად თვით სასამართლოს ინციტით დანიშნა.

¹ „სახალხო ვახუთი“ № 805, 1913 წელი, ქრონიკა, „ახალი ამბები“.

² მადათოვის ინტერპეტაცია იცავდა ნაფიც ვეჭილი იუზუბაშვილი, ლიტერატ. მუშაურობის ფონდი 17946—6.

³ საქ. სახ. მუშაურობის ფონდი — 1496—9, ფურ. 19.

⁴ იქვე.

კატორღა და ზოგს ხანგრძლივი პატიმრობა მიესაჯა.

დამსჯელ ექსპედიციას მოსახლეობამ გადთარებული წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ, სამხედრო ძალით ეს სტიქიური, გლეხური აჯანყება სწრაფად იქნა ჩაქრობილი. სულ მოკლე ხანში პოლიციამ შესწლო აჯანყების კიდევ 22 აქტიური მონაწილის დაპატიმრება. დაპატიმრებულითა შორის იყვნენ გერმან ვასიანი და ზერვახ ჯოხაძე...

სასამართლო პროცესზე აქაი წერეთელის დაცვით სიტყვა საინტერესოა არა მარტო როგორც ქართული მწვერულმეტყველების ღირსშესანიშნავი ნიმუში, იგი, ჩვენი აზრით, ქართული სამართლის დარგის მეტად მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. აქაის სიტყვა არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც რიგითი დაცვითი სიტყვა ჩვეულებრივ სასამართლოს პროცესზე, რადგან თვით ეს პროცესი არ შეიძლება მივეთვინოს „ჩვეულებრივითა“ რიცხვს. ვინაა ამისა, აქაის სასამართლო პროცესში მონაწილეობა იყო შედეგი იმ დიდი აღშფოთებისა, რომელიც მოწინავე ქართულ საზოგადოებაში გამოიწვია „სეიანების“ ამბავმა საერთოდ, და შემდეგ მეფის მთავრობის მიერ ინციტირებულმა სასამართლო პროცესმა, „სვანების პროცესზე“ აქაი წერეთელი ფაქტობრივად ერის წარმომადგენლად წარსდგა და სასამართლო ტრიბუნლიდან ამხილა რუსეთის თვითმპყრობელურ-კოლონიური პოლიტიკა, რომელიც ფაქტურად თელავა არა მარტო მეორე ერების ღირსებასა და თავისუფლებას, არამედ, საკუთარი კანონიერებისადმი ცინიკური დამოკიდებულების შედეგად, საფუძვლს აცლიდა თავისივე სახელმწიფო წყობილების სიმტკიცეს. აქაიმ ილევითი ფორმით, მოკლედ, სათანადო დამაჯერებლობითა და ფაქტური მდგომარეობის სწორი ანალიზით შესწმო დაემტკიცებინა, რომ საბრალდებულო სკამზე სრულიად უდანაშაულო ადამიანები ისხდნენ და, რომ მათი საქციელი (დანაშაული) გამოწვეული იყო ხელისუფლების წარმომადგენელთა უკანონო მოქმედებით, კანონის ელემენტარული მოთხოვნის დაუკაცობითა და არსებული თვითნებობით. აქაის სიტყვა მეტად თავმჯავებელი და თავიანთი იყო. ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ იმაში, რომ მას კარგად ესმოდა სამართალში მიცემულთა მეტად მძიმე მდგომარეობა. საბრალდებულო სკამზე მდგომითა ბედობილი წინასწარი იყო განსაზღვრული და სასამართლო პროცესი წარმოადგენდა სწორედ იმ პოლიტიკის მიქმალვის ერთ-ერთ საშუალებას, რომელსაც აწარმოებდა რუსეთის თვითმპყრობელობა საქართველოში, ამიერკავკასიისა თუ შუა აზიის ქვეყნებში. ვარდა ამისა, აღმინისტრაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქმიდან გამოეთავსა და დაეცვა ფაქტობრივად დანაშაული პირები,

რომლებმაც შექმნეს სვანეთის „ინციტინტი“ და საბრალდებულო სკამზე დასვეს ფუქვეშ, გათელილი, შეურაცხყოფილი და წამოღებული დაზარალებული ხალხი...

მიხეილის ამ წერილებმა, როგორც ჩანს, იმოქმედა პოეტზე და ღია ბართით სასწრაფოდ შეატყობინა: „ახლა, თქვენი წერილი როგორც მომივა, მაღე წამოვილა“. მაგრამ აკაკიმ ვერ შესძლო „მარადიულ ქალაქში“ ჩასვლა. ჩოშიში მომლოდინე თამარაშვილმა მამის აღბათ არ იცოდა, აკაკის მასთან ჩასვლელობის ერთ-ერთი მიზეზი, რომ მამან აკაკე მისავით „სახალზე ნაელებდა“ იყო და ამის სახსარი აღარ ჰქონდა. 1909 წ. 24 ოქტომბერს აკაკი პარიზიდან ატყობინებდა: „ბატონო მიხეილ, ამ დღეებში მივდივარ ვაქსიაში. ვარემოვამ ისე მოიტანა და ვეღარ ჩამოვალ სამ თვეზე აღრე; და მამინ კი პირდაპირ ჩოშიში ჩამოვალ უფრო დიდი ზნითო“³. ამ ამბის შეტუბამ მ. თამარაშვილი ისე დაანადვლანა, რომ აკაკის პირდაპირ მისწერა: „სწორედ მოგახსენებ, რომ დიდდ დამაღონა ამ ამბავმა, რომ უხლა ვეღარ მობრძანდებთ აქ. დიდის აღსწრაფებით მოველოდი აქ. ახლა მოთმინების შეტა რალა გზა მიქცეო“⁴. ბუნებით ობტიმისტი თამარაშვილი იქვე შეინაშნავდა: „ვინუტყებ იმით, რომ სამი თვის შემდგომ მობრძანდებით“ რომში, გავიცნობთ ერთი მეორეს და საჭირო საგნებზედ კვლავ ვილაპარაკებთო, აკაკის ჩასვლელობის მიუხედავად, თამარაშვილმა გული არ გაიტეხა და, როგორც იტყვიან, თავისი გაიტანა. რომში ჩაატარა პოეტის საპატივემულო ლიტერატურული საღამო და ამის აღსანიშნავად პარიზში მას მცირე ჰელენი და იდრესი მიართვა.

როგორც ჩანს, ამ დროს არც აკაკის არ მიზნდა თავისი მისია შესრულებულად და ევროპა-

ში, ისიც პირდაპირ ჩოშიში დაბრუნებას დეკრობდა. მაგრამ ამის შემდეგ აკაკი, ევროპაში ვეღარ ჩავიდა და ამიტომ ვერც მისი ჩასვლებს ელიჩას სრული გამოშვებება.

ზევე გვეონია, რომ სტოლიაინის მავნებელი რეპეიის დროს, აკაკის ევროპაში მოგზაურობის მიზანი, მართლაც, არ უნდა ყოფილიყო თავისუფალი ეროვნულ-პოლიტიკური ტერიტორიისაგან, რომ ეს მოგზაურობა მართლ პოეტის მეტრანალობის ინტერესებით არ ამოიწერებოდა და ეფიქრობთ, შემდეგში მისი საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლით დაინტერესებულნი მკვლევარი ამ საკითხსაც მიჰაქცევს სათანადო ყურადღებას. ეს შით უმეტეს საგულისხმოა, რომ მას ზოგიერთი „ქართველთა მესიას“ უწოდებდა, მის ამ მოგზაურობას კი სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობას აღარებდა და პრაქტიკული მოქმედების გვეგებს აღგვანდა.

ევროპიდან დაბრუნების შემდეგ აკაკის არ გაუწყვეტია ურთიერთობა არც ისტორიკოს მისიელ თამარაშვილთან და აჩუ სხვა კათოლიკე მოღვაწეებთან. პირიქით, აკაკი წერეთელი მათ დიდი სიყვარულითა და გულისსიყვრებით ეტყვიდა. აღბათ ამიტომ იყო, რომ მ. თამარაშვილი ერთგვარ დავლებსაც უხედავდა და თავის ფიქრებს გულმართლად უხიარებდა მას. საქართველოში მომავალ აკაკის იგი თავისი „საქართველოს ეცლესიის ისტორიის“ ფრანგულ ხელნაწერზე ესაუბრებოდა და თან აღნიშნული შრომის საძიებლს უფზავნოდა, რომ პოეტს სრული წარმოდგენა ჰქონოდა შრომავზე. „ეს დიდი შრომა ორი სამი წლის წინედ უნდა დაიბეჭდა, — სწერდა ამ წერილში მ. თამარაშვილი, — მაგრამ სამწუხაროდ აქამდის მისი დაბეჭდვა ვერ დაიწყო, რადგან დიდად ხარჯი უნდა... ბევრგზის მივართეთ ქართვლებს საუბაროდ თავადაზნაურთა წარმომადგენელს, რომ ცოტა რამ შემწეობა აღმოეჩინათ ამის დასაბეჭდათ, ვარნა ჩემდა დიდ სამწუხაროდ, ატარელა პასუხიკ კი არ მაქადრეს. წინათ ზებდააშვილებმ წლიურს სუბსიდიის მაძლევდნენ, ისიც მომისპეს ამ ბოლო წლებში. ეს ჩემი შრომა რა გაციუნეს პოლიაკებმა, ასე წარმოიდგინეთ, იმათ შემწეობა აღმოეჩინეს და ქართველებმა კი მთლად ზეტიკ მომაქცეს. ამნირ მათ უყვარადლებობამ ძლიერ დიდად გული გამოიტეხა. ამისათვის არ ვიცი შემდეგში კიდევ ვაგებდავ სხვა შრომას თუ არა საქართველოს სასარგებლოდ.

უკეთო კეთილ ინიებთ და ქართველ საზოგადოებას ჩავკონებთ, რომ ცოტა მანეც შემწეობა აღმოეჩინონ ამ წიგნის დასაბეჭდათ, ძლიერ დაგვიმადლებ.

ბოლო ამას კი გაზოვთ უმოჩინლესად, რომ ეისი საშუალებითაც კი შეიძლება ზებდააშვილებს, მეტადრე იაკობს შემხვეწოთ, რომ ის წლიური სუბსიდია გადაეცვიტლი თაიანიო.

¹ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, № 10, საქ. 467, ფ. 2.
² ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაკის ფონდი, საქ. 404, ფ. 2. 3.
³ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი, № 10, საქ. 467, ფ. 6.
⁴ აკაკის ფონდი, საქ. 404, ფ. 4.



მიცავლებული ამის სტეფანეს მიერ, ისევ გამოიგზავნონ, როგორც მისი სიკვდილის შემდგომ კიდევ გამოიგზავნეს. უკეთუ ამ სუბსიდიას კვლად თქვენის საცალკეო თხოვნით გამოაგზავნიან, ძლიერ დამაჯალბებ, რადგან მაშინ კი საშუალება მიქნება, რომ ამ ჩემი წიგნის საქმე ვაწარმოო" ¹. და, მართლაც, აკაი წერეთელს ძალ-ღონე არ დაუშურებია თამარაშვილის თხოვნის აღსასრულებლად. აკაი წერეთელი ქართველ კათოლიკებს მიიჩნევდა ბატონოტრპის, დაუღალავი შრომის, ევროპული განათლების ნამდვილ განსახიერებად. მას მოსწონდა მათი მდიდარი და ძარღვიანი დედაქართულიც. ამიტომ იყო, რომ იგი ივანე გვარამაძეს სთხოვდა შეედგინა ქართული ლექსიკონი და შეედარებინა იგი დღემდე არსებულ ყველა ლექსიკონისათვის. ამ დიდი დავალების მიმართავდა — შენს მეტი ამ საქმეში მე დაბმარებას ვერაფერ გამოიწვესო. დიდი და გულმოდგინე მუშაობის შემდეგ იე. გვარამაძე აკაი წერეთელს მოახსენებდა: „თქვენ რომ შემოამოკეთეთ ქართული ლექსიკონის დაწერა, ხელი ვახლე უკეთ, ბ. ჩუბინოვის ლექსიკონი გადაებრუნ-გადმოვებრუნე და კი თათსი ლექსი მოვუმატე სულ კობა რომ ესთქვა. ახლა დაბადების წიგნიც გადავსწავლე და ვაუტყვებარო ლექსები ამოვკრიბე" ², და დასაბუქლად გავამზადეო.

აკაი წერეთელი ბევრს ზრუნავდა ივრეთუე ამ კათოლიკე მოღვაწეთა პოპულარუზაციას საკითხებზე. მისი პირადი შეკვეთებიც და ლექსებიც ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ — ზ. ჭიჭინაძემ ცალკე წიგნებად გამოცა ამ მოღვაწეთა ბიოგრაფიები, ხოლო მათი სტრათეგი თავის ფურცლებზე დაბეჭდა საქართველოს კალენდარში.

ეს ქართველი კათოლიკე მოღვაწე თავის მხრივ აკაი წერეთელს დიდად აღასებდნენ, ერის მცველ-მფარველსა და ენის ვაიკოცხლებელს უწოდებდნენ. აი, როგორ შეფასებას აძლევდა ივანე მესხი აკაი წერეთლის იუბილეზე დაწერილ თავის სიტყვაში პოეტს: „ერთად ერთი ენა დაგვრჩინოდა პირში სატირელ-სავაგლასო, ისიც ჩვენს მოსწრებაში 60-70 წლის წინად მიხავსებულ-მიხრწნილი იყო. ის იყო სული უნდა დაეღია, რომ დმერთმან სხვათა შორის ამ წლის წინად მცველმფარველად გავვიჩინა აწით ძლიერი მგოსანი თ. ილია ჭავჭავაძე და იქით აკაი წერეთელი. ღეთის მაღალ ნიჭ მადლებით დალოცვილი და უბრთხელნი. ამათ და ამათ მოწაფეებმან გამომართულ-გამოკეთებით გამოვეციოცხლებს ენაჩვენი, სიციცხლე და სული ჩვენის“.

მართლაც, ამ დროისათვის ილია ჭავჭავაძეს და აკაი წერეთელს ქონდათ ისეთი მავიუჩი ძალი, რომელიც, წარმატებით ახდენდა რევოლუციამდელი საქართველოს ეროვნულ კონსოლიდაციას და მას ახალ გზებსა და მიზნებს უსახავდა. ევროპაში მყოფი კათოლიკე ქართველებისა და აკაი წერეთლის სხენებული ურთიერთობა ამ ერთიანობის ნათელი დადასტურება იყო.

¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაის ფონდი, საქ. 404. ფურცელი 4-5.

² ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაის ფონდი, 448, გვ. 3.



ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელი—ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურები სამხრეთში

თერგდალეულები მგზნებაზე პატრიოტიზმი აყენენ. მათი პატრიოტიზმის სიღრმე ის იყო, რომ იგი რევოლუციურ-დემოკრატიულ საფუძვლებს ემყარებოდა. მათ, როგორც დიდი ილია იტყოდა, ხელახლა აღმოაჩინეს სამშობლო (რომელიც მრავალთაგან დაიწვევული იყო) და ყოველივე მის სამსახურში დააყენეს — პოეზია და პროზა, სკოლები და სამკთხევლოები, თეატრი და ბეჭდვითი სიტყვა.

აღდგენილი, განახლებული და თავისუფალი სამშობლო — იმ რას შეტრფოდნენ და რისთვის იბრძოდნენ ქართველი განმანათლებლები. „აწმყო შობილი წარსულისაგან არის შშობელი მომავლისა“, — არაერთხელ განუმეორებია ხოლმე ილია ჭავჭავაძეს. „ეხსილ თავისი სამშობლო არ უყვარს, არ შეუსწავლია და არ თთვალისწინებს, ის კაცი არ არის...“ იტყოდა ხოლმე აკაკი წერეთელი.

სამშობლოსადმი უხანძვრო სიყვარული, პატრიოტული ზრუნვა მის აწმყოსა და მომავალზე (და არა გოდება წარსულზე, როგორც ეს ზოგიერთს ეჩვენებოდა) უკარნახებდათ თერგდალეულებს თავიანთ საქართველოს გმირული ისტორიული წარსულის გაიცოცხლებასაც.

„ვია“ და „უი“ წარსულსა, „უი“ და „ვია“ აწმყოსა, თუ მომავალსა იმედი მალამოდ გულს არ ატოსა“ — წერდა აკაკი, და ამით მშვენივრად გამოხატავდა თერგდალეულთა საერთო შეხედულებას ისტორიულ წარსულზე.

„აჩრდილში“ ილია ჭავჭავაძემ ვარკვევით მიუთითებს, — ქართველი ხალხის გმირული წარსული მჭიდროდ უკავშირდება მისი ბრწყინვალე მომავლის თავდებას.

ცარილხის კოლონიური ჩაჯვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლების ერთ-ერთ პირობათ თერგდალეულებს შიანით პატრიოტიზმის დანერგვა ფართო მასებში. მათ მტკიცედ სჯეროდათ, რომ პატრიოტული ერთსულოვნებით მებრძოდ ხალხს ვერაფერი იქნება ვერ ვაუმჯობესებია.

ტურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში ილია ჭავჭავაძემ თერგდალეულთა სამოქმედო პროგრამის ძირითადი თეზისი ასე ჩამოაყალიბა: „ჩვენნი საქმე საქართველოს ხალხის სიხურებაა; მისი ვაჟებობებისა ჩვენნი პირველი და უკანასკნელი სურვილია“.

თერგდალეულთა პატრიოტიზმის დამახასიათებელია, რომ ისინი, დაუნდობლად აშხელენ და ებრძვიან ყველა უარყოფით მოვლენას ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ცხადია, მშობლიური ქვეყნისადმი ასეთი რგალისტურ-კრიტიკული დამოკიდებულება ბევრ თანამემამულეს არ მოსწონდა. ზოგიერთი მათგანი ტერორითაც კი იმუქრებოდა¹. მაგრამ თერგდალეული ასეთ მუქარას არ უშინდებოდნენ და შეუპოვრად განაგრძობდნენ თავიანთი ხალხის ნამდვილ პატრიოტულ სამსახურს.

აკაკი წერეთელი ამბობდა: „ჩემს სამშობლოს ეკრავდ ვიცნობ, მომეცლია კიდით-კიდით. მართლის თქმით და გულსწრფელობით ქირი-ქირზე გადავივად“. ილია წერდა: „ჩემზედ ამბობენ ის სიყვეს ქართლისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიტყვებია! ბრწყინ ამბობენ, კარგი გული კი მამიწვეტნობს —

ამ სიტყვებში რათღენა სიყვარულია“ კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს საზოგადოებრიობის ორა ერთმანეთის სიწინააღმდეგო განწყობილება აქვს მხედველობაში აკაკის, როდესაც იგი აღნიშნავს, რომ „დაცემული არის ორგვარი“:

ერთი მოვლის კაცთაგან შევლს ებრძვის თვის დამცემს, რაც შეეძლება; მეორე ვერ გრძნობს ამებს ყველს და მტერს პირუტყვებს ემორჩილება პირველს თუ შევლედ, შრომა უაერობზე. ხელა მიეცი, წამოაყენე, და მეორეს კი ზედ დააფრთხე... იტრე, მაგრამ ზურგი უჩვენე!...

ამრიგად, საქართველოს უსახლვრო სიყვარული, რომელიც გულისხმობს ჩვენი საზოგადოების ავტარკანონის ფხიველ რეალისტურ გაჩვენებას და სხვა ერებისადმი პატივისცემას—ასეთი საქართველ განმანათლებულთა პატრიოტიზმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები.

„ასე მავალითად, აკაკი წერეთელს წერდნენ: „ხელით იღე წერაზედ, თორავთ ცუდად მოგივა საქმე. ამ მოყლე ხანში, ავით თუ კარვად, ვაკაქრობთ... შენი წესი აგებულაია...“ და ა. შ.

ვიზიარებთ რა მკვლევართა იმ აზრს, რომ ქართველმა განმანათლებლებმა ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების საკითხებზე ბოლომდე შეინარჩუნეს თავიანთი კრედო, ჩვენი ძირითადესქენით, რომ ეს ყველაზე მეტად შეეხება მათ შეზღუდულებს ეროვნულ საკითხზე. ქართველ განმანათლებლებმა მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქაში, როცა გერომაში ვარაუდებული იყო ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობა, ისტორიული გამაერთიანებელი მოძრაობა გერმანიაში და იტალიაში, ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობა ავსტრო-უნგრეთის და რუსეთის იმპერიაში — ასეთი იყო სურათი. ქართველი განმანათლებლები ვატაკებით ადევნებდნენ თვალყურს მიმდინარე მოვლენებს და თავიანთი სამშრომლოათვის შესადგურ სამოქმედო პროგრამას იმუშავებდნენ.

რუსეთთან ერთად მოძრაობაში ჩაება იმპერატორის განაპირა ქვეყნები, მათ შორის საქართველო.

აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე და ავტოწერეთელი მთელი თავიანთი არსებით უთანატრანაზღუნენ მსოფლიოს ყველა ხალხის ეროვნულ-განმანათლებლებელ მოძრაობას. ისინი მუდამ კოლონიური და ჩაგრული ხალხების მოსარჩლელ გამოდიან და სპარაკებენო ბოძზე აკრავენ იმპერიალისტებს. ისინი მუტრვალედ თანაუგრანობდენ ელზასისა და ლოტარინგიის მტოვრებელ და კიცხვდნენ გერმანულ მოძალადეებს, ისინი ექომაგებოდნენ ბერძნებს თურქების წინააღმდეგ, ხოლო თურქებს ევროპის იმპერიალისტების წინააღმდეგ. ისინი მხარს უჭერდნენ ირანადიელი ხალხისა და ბერების ბრძოლას ბრიტანელი მჩაგრელების წინააღმდეგ და ა. შ.

მეტად საყურადღებოა ის, რომ ასეთივე თანაგრანობით ექცეოდნენ ჩაგრულ ხალხებს და მათ ეროვნულ-განმანათლებლებელ მოძრაობას დიდი რუსი განმანათლებელი. ამ დარგშიც რუს და ქართველი განმანათლებელთა შორის სრული იდენტო ერთობა არსობდდა. რუსი განმანათლებლები უღრესი პოპულარობით და პატივისცემით სარგებლობდნენ რუსეთის იმპერიაში მტოვრები ჩაგრული ერების მოწინავე აღმავანთა შორის. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ რუსი განმანათლებელი მხარს უჭერდნენ ერთა თავისუფლებისა და თანასწორობას.

რუსი და ქართველი განმანათლებლების ამ აღდურ ერთიანობაზე საუცხოოდ მეტყველებენ იაკობ გოგებაშვილის მიერ დაწერილი შემდეგი სტრატონი: „იგინი (ქართველი) ბატონოტები — ლ. ეკ., ნატრობენ იმასი ე. რასაც მოისურებდნენ ჩვენს ქვეყანაში რომ ემოქმედნათ, რუსეთის უნეკიერესი მოღასაელებოენი (სპაიდ-

ნიკები)“: ბელინსკი, დობროლინი, ავტორები რომანებისა აენ სტუენს“ და „რა ექნათ“, შიედრინი და ქუენენ-ელის გაჩემობა, რომ რუსეთს მტოვრეულს ზოგადოებრივი მოღვაწენი ებრძოდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას და მხარს უჭერდნენ არაირსი ხალხების ერთნელ-განმანათლებლებელ მოძრაობას, რუსეთს ხლდა მიზიდულობის ცენტრად, ნიადაგს აცლიდა სეპარატისტულ მოძრაობას განაპირა მხარეებში.

ამიტომ განმანათლებელთა ძირითადი ღამისათებელი ნიშნები, რომელთა შესახებ ვ. ი. ლენინი ღამსააკობს სტატიაში „რა შევძინეოობაზე ვიპობ უარს?“ საესებით შეეხება ქართველ განმანათლებლებსაც. ეს ნიშნებია: შეუპოვარი ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ, განათლების, თვითმმართველობის, თავისუფლების, ცხოვრების ევროპული ფორმების მტრვადე დაცვა, ხალხის მასების, უმთავრესად გლეხთა ინტერესების დაცვა!

ასეთია ეს ძირითადი ნიშნები, რომლებიც ახისათვის განმანათლებლებს როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში. მაგრამ ამასთან უნდა იღინიშნოს, რომ ქართველი განმანათლებლებმა შექანიერად ეს არ გაღმორგეს ჩვენში რუსეთის განმანათლებელთა იდეებს, არამედ შემოქმედებითად გამოიყენეს ისინი საქართველოს კონკრეტული-ისტორიულ პირობებში. საქართველოს, როგორც კოლონიურ მდგომარებაში მყოფი ქვეყნის, თავისებური ეთარება წარმოადგენდა იმ სოციალურ საფუძველს, რომელზედაც აღმოიყენდა და განვითარდა ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობა საქართველოში.

საგლეხო რეფორმების შემდეგაც რუსი განმანათლებლები პირველ პლანზე აყენებდნენ სოციალურ საკითხს. მაშინ, როცა ქართველი განმანათლებლები გასაგები მიზეზების გამო, თითქმის ყოველთვის წინა პლანზე აყენებდნენ ეროვნულ საკითხს. „შინაურ მიმოილუაში“ 1881 წელს ილია ჭავჭავაძე, მიუთითებდა რა საქართველოს სპეციფიურ პირობებზე წერდა: „მეორეები (განმანათლებლები. ლ. ეკ.) დაავიარდნენ ჩვენის ქვეყნის ეთარებასა და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტივილი აქვს, სულ სხვა ფათერატ სდევს... ის სხვა რაზე“ იყო — ჩვენის დაცემლის ეინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველი მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ ავტოღენია, — ყველსათვის ცხაღზე ცხაღია... ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ეინაობა თავის შესაფერის და ეუთენილს ადვილს არ დაიქვრს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში

1 ი. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 626-627.

არ მოქცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ცხლანდელს საქართველოს წილს“.

მწელი მისახვედრი არ არის, თუ რა ფაქტორაზე ანუ საფრთხეზე ლაპარაკობს ილია და რას გულისხმობს იგი „ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენაში“. ცხადია, აქ იგულისხმება აღდგენა საქართველოს სუვერენული სახელმწიფოსი, რომელიც სათავეში ჩაუდგება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას, საქართველოს ეროვნულ აღორძინებას. ხოლო ფაქტორა ანუ საფრთხე იმაში მდგომარეობდა, რომ თვითმპყროველობის სტრდა ყველა განაპირა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ, ეროვნულ უმცირესობათა ასიმილაცია და ამ მიზნით ატარებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას.

ამ უმძიმესი საფრთხისაგან სამშობლოს დასახსნელად ქართველმა განმანათლებლებმა საშობოლელო ასპარეზზე თავიანთი გამოსვლისთანავე წამოაყენეს ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პრინციპი. ეს პრინციპულ პროგრამული დებულება შეტად ლაბორატორიულ გამოკვლევა ილია ჭავჭავაძემ: „ჩვენი თავი ჩვენსადვე გვეუდნისო“. ეს პროგრამული დებულება წარმოადგენდა ერთეულ — განმთავისუფლებელი მოძრაობის ლეიტმორტივს საქართველოში. ამ საფუძველზე გაიშალა განმანათლებელთა მოღვაწეობა, რომელთა სათავეში ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იდგნენ. ამ პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის მოახმარეს მათ თითქმის მთელი თავიანთი შემოქმედება და ძალღონე.

ილია ჭავჭავაძის დიდებული სტრუქტურები: „მარად და ყველგან, საქართველოც, მე ვარ შენთანა... მე ვარო შენი თანამდევი, უცვლადი სული“ — საუბრობდ გამოხატავენ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის მედროშეთა ილიის და აკაკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დედაარსს.

თავის პირველწავე პოემებში („ამარდელი“, „პირთელის დედა“) ილია ჭავჭავაძე სიმარცხე ერთ ბოძზე აკრავს ყველა მათ, ვინც „დაჯანგებულ ბორცვებზე“ ცელის „თავის მამელის თავისუფლებას“. ილია გმირული ბრძოლებისათვის მოუხმობს ხალხს, რათა გამოიხსნას სამშობლო, რომელიც „უცხო კალთის ქვეშ, ვითა ობოლი, შეფარებული“.

ილიასა და აკაკის მთელს შემოქმედებაში სამშობლოს თავისუფლება უმაღლეს იდეალად არის დასახტლი, ხოლო მისი მოპოვებასათვის ბრძოლა ყოველი ადამიანის ღირსებისა და ღირდების საქმედგა გამოცხადებული.

საქართველოს ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთ შებდევშიც არ შეუცვლიათ სამოციან წლებში შემოშავებული თა.

ვინათი ეროვნული პროგრამა. ამ პროგრამით შეხედნენ ისინი რუსეთის პირველ პეტროვი-ნიულ-დემოკრატიულ რევოლუციურ მოვლედ-შიც ისინი თავიანთი იდეალებს „განმთავისუფლებას, საქართველოს ეროვნული ჩავჯრისაგან განთავისუფლების გარანტიას ხედდებდნენ. ამ რას წერდა მოხეტო აკაკი 1905 წელს:

ისე ვფურცებ იდეალს, ვით ვფურც მყურებია: მის შესახები სიბერე თითქოს, არც გამყარებია. ჯერ ახალგაზრდა ვიყავი, რომ დაეინახე ეს ერთად ჩემ სათავეანოდ, ჩემ რჯულად, ჩემ მბრძანებულად, ჩემ ღმერთად.

დავბერდი, ახლაც ისევე, ისა მყავს იდეალად, გულში მიდგა თაფლივით და მიქოლია ილად.

ასე რომ, ზავგასმით უნდა აღინიშნოს: ქართველ განმანათლებელთა მეთაურები — ილია და აკაკი საკვდილამდე თავიანთი ეროვნულ-განმთავისუფლებელი პროგრამის ერთეულნი დარჩნენ. მართალი იყო ვფა ფშაველა, როცა თქვა: „ამბობენ, ილია ჭავჭავაძემ თავის პირვანდელ მიმართულებას უდალატო მე ეს არა მყურა. პირიქით, უნდა დარწმუნებულნი ვიყენეთ, ილია სამარკედის მთლიან აღმჩინად დარჩა, როგორც ზოგა ოქროსი...“ „მთელი 50 წელი განსვენებულმა საქართველოს ზღვი კალთით ატარა, იყო მისი დარჯერი, როგორც დედა ერთადერთის შეილისა, ისე დარწმონდა და დამკანკალებდა, ამ არ შეშოკებდეს, არ მოშიშვადესო. მოსულს მტარს, ვინც საქართველოს ისრებს ესრატა, იგი პირველი აგებებდა თავის მყარს, შემოქმედელ ხმალს პირველი უფარებდა ღარს“.

ვაგას ეს შეხედულება ილია ჭავჭავაძის შესახებ, შეიძლება უცვლელად გავიმეოროთ აკაკი წერეთლის მიმართაც.

რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობასთან, რუსეთის ხალხთან კავშირისა და ცარიზმთან ერთობლივი ბრძოლის იდეა ჯერ კიდევ ს. დოდაშვილმა და ნ. ბარათაშვილმა წამოაყენეს. ი. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მათ ტრადიციებს ავრძელებენ ახალ ვითარებაში.

ქართველმა განმანათლებლებმა თავიანთი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე საქართველოს ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობა მკიდრად დაუკავშირეს მოწინავე რუსეთის დიდ განმთავისუფლებელ მოძრაობას, და ამრიგად იმთავითვე იდგნენ რუს ხალხთან მეგობრობის გზაზე. ქართველ განმანათლებელთა სიდიადეს არის, რომ ისინი არასოდეს არ უთიშებოდნენ რუსეთში აზვირებულ განმთავისუფლებელ მოძრაობას.

მართალია, ქართველი განმანათლებლები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებს პირველ რიგში აყენებდნენ და მას სოციალური თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის ამოცანებს არ უქვემდებარებდნენ, მაგრამ იმაში კი ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ საქართველოს ეროვნული თავისუფლების მოპოვება შეუძლია მხოლოდ განახლებული რუსეთის პირობებში და ამიტომ თავიანთ საბრძოლო ღრმას უერთებდნენ რუსეთში მომდინარე მძლავრ განმათავისუფლებელი მოძრაობის დროსას.

მარქსისტები, — წერდა ვ. ი. ლენინი, ეროვნული თვითგამორკვევის მოთხოვნას პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს ემორჩილებენ. „სწორად აღ პირობებში მდგომარეობს საციონალტორი საკითხის ჩვენს მიერ დაყენების განსხვავება მის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დაყენებისაგან“.

რუსეთის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებაზე მსჯელობის დროს დიდი რუსი განმანათლებელი საუბრებით სპარტაკოვს ნაღვ მიმოხვდნენ ერთმანეთისაგან მკაფიოდ განესხვავებიათ ცარიზმი — რუსეთის ხალხთა საპრობლე, და რუსეთის ხალხი, რომელიც სხვებთან ერთად იჩაგრებოდა ცარიზმის უღელქვეშ. წინააღმდეგ ზოგიერთი პოპულარული მოღვაწისა, რომელიც ამ სავალდებულო მოთხოვნას არღვევდა, ა. ი. გერცენი წერდა: „ყველა ამათ, რომელთაც უნარი არ შესწევთ გამოჰყონ რუსეთის მთავრობა რუსი ხალხისაგან, არაფერი არ გაეგებათ. მთავრობის ოფიციალური რუსეთთან ერთად არსებობს სხვა რუსეთიც ... Кроме Муравьева, который вешает есть Муравьевы, которых вешают“.

ქართველ განმანათლებლებს კარგად ესმოდათ ეს ქვეშაბრტყეა ისინი საუცხოვოდ განისხვავებდნენ ერთმანეთისაგან რუს ხალხს და მის მოწინავე ადამიანებს, რომელთა სახით თავიანთი სიმწიფე მეგობრებს ხედავდნენ. რუსეთის თვითმპყრობელი მთავრობისაგან, რომელიც მთელი არსებით ეზიზღებოდათ, როგორც ეროვნული და სოციალური ჩაგვრის სიმბოლო.

გამოთქმული აზრის დასადასტურებლად ჩვენ ნებას მივცემთ თავს მოვტანათ რამდენიმე ადგილი ქართველ განმანათლებელთა შრომებშიან.

„ჩვენ მართლა რომ დიდად ვაფასებთ მშობას, ერთობას და მეგობრობას რუსის ერებათნ, ამბობდა აკაკი წერეთელი, — მართალია რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენს ასეთი მძვინკეშირი, მაგრამ არის სამაგიეროთ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთა ნაც ჩვენ გვსურს ხელიხელისაყიდებით სიარული, არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსა-

ზორციელებლათ, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება მშობა, ერთობა, თანაწირობა“.

ასევე მკაფიოდ განასხვავებს „რუსეთის ილია ქვეყანაზე“ ეს ჩვენი სიყვარული ჩვენს სამშობლოს იგი მავარი და შეამდგომელი გაქვი, რომელიც აერთიანებს, ჩვენს ზრახვასა და სასოებას უკეთებს რუსთა ზრახვასა და სასოებასთან.

სამწუხაროდ ჩვენდა, ესე არ ესმის ყველას კეთილმოქმედი მნიშვნელობა სამშობლოს სიყვარულისა. ამიტომაც მცირედი გამოცხადება ამ სიყვარულისა იმისთანა წუნარ და მშვიდობიან საქმეში, როგორც ეთნოგრაფიული თვითმყოფელობა, ავლიათ რაღაც შეუნდობელ ცოდვად“.

საბედნიეროდ რუსეთისა და მისს მფარველობის ქვეშ მყოფ სხვადასხვა ერთა, მარტო ამისთანა ცაცებზე არ არის შედგარი საქმე, არიან რუსეთში იმისთანა კაცნიც, რომელთაც ნამდვილად გაუგიათ ქვეშაბრტი დანიშნულება რუსის მოღვაწეობისა რუსეთის განაძირა ქვეყნებში“.

თვითმპყრობლობის დამქაშებს სქულთ ჩვენი ქვეყანა და მისი მოსაზოა სწაღიათ, — წერდა იაკობ გოგებაშვილი, — მაგრამ „საბედნიეროდ, რუსეთს ჰყავს მრავალი შეიღნი, რომელნიც სრულიად სხვაგვარად ფიქრობენ. ისინი ზიღს უხალბებენ ხალხების, მით უფრო მეგობარი ხალხის, შევიწროების სისტიმას და ამქამად ენერჯიულად იბრძვიან პოლიტიკანკარიფისტიკა კაცთმოძულე მისწრაფებათა წინააღმდეგ უკველია, რუსეთის მომავალი მის ამ უკეთეს შეიღთა ხელში იქნება“. „ეს პოლიტიკერი ერთობა, შეურყვეველი კავშირის რუსეთთან ჩვენთვის იყო და იქნება ძვირფასი საუნჯე“, რათა ავალრობინათ „ჩვენი ეროვნული ღონენი და საუნჯენი“.

„ხალხი, — წერდა გიორგი წერეთელი, — რომელიც არ უნდა აიღო, — რუსის, ქართველის, სომხის, თათრის და სხვა, ყველა უბრალოა, ყველა სინდისინია, პატრიოსანი... მაგრამ ყოველს იმაში გამოიძენება თითო-ორიღა ავაზაკები, არამც თუ თითო-ორიღა, მთელი პარტიაცი, მთელი წოდებაი“.

სტატიაში „გლუხთა განთავისუფლება საქართველოში“ 1865 წლის ივნისში ნიკა ნიკოლაძე, ეხებოდა რა ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს, წერდა: „ქართველი ხალხი დღითიდღე და უფრო და უფრო მეტად იმსუქლება თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით. მცირეოდენადაც არ შეუცდებიათ, თუ ვიცყვით, რომ რუსეთის მთავრობას საქართველოში ამქამად მეგობრები და კეთილის მსურველი არა ჰყავს, ვარდა დიდი მთავრის კარის ერთი მუქა კლერტებისა და ბოზოღა მოხელეებისა“.

მაგრამ თანამედროვე რუსეთი თვითმპყრობელი მთავრობით და მისი ადგილობრივი მო-

ბელეტიბი როდი ამოიწერება. რუსეთში არსებობენ ქვეყნის განახლებისათვის მოქმედი ძალები ამ მოსახრებათა გამო, განაგრძობს ნიკო ნიკოლაძე, — ჩვენ ვუჭარბობთ, რომ რაღაც საქართველო თავის სუბ-ხედს თუნდაც თანამედროვე რუსეთს დაუკავშირებს, იგი უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მის მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება... ვეროპის რომელიმე ვარი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა ან სპარსეთზე, რომლებსაც საქართველოში არცერთი საღად მოახრავნე ადამიანი მოწადინებელი არ არის¹.

ასეთია შევჩარბეტე სატუნის მეორე ნახევრის გამოჩენილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ეს შეხედულებანი მოწმობენ იმას, რომ ქართველი განმანათლებლები, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების შეფასებისას, არ ენდობიან გულუბრყვილო იდეოლოგიებს, ისინი რეალისმის ნადავზე დგანან. ხოლო რეალური პოლიტიკა მათ უკარნახებდა საქართველოს ეროვნული განთავისუფლების იმედები დემოკრატიული რუსეთის განახლებაზე, რომლისკენაც ასე გაღებრიათ მოსწრაფებოდნენ რუსეთის მშრომელი ხალხი და რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი ძალები.

ამრიგად, ქართველ განმანათლებლებს ღრმად სჯერათ, რომ განთავისუფლება საქართველოს, რომელმაც თავისი ბუდი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთს, შეიძლება მხოლოდ რუსეთის თვითმპყრობელობის დაშლის გზით, რუსეთის დემოკრატიულ საფუძველზე განახლების გზით. ეს, ცხადია, სრულიადაც არ ნიშნავს რაიმე უკანდახევას იმ პრინციპულ-პროგრამული მოთხოვნებიდან, რომლის თანახმაა — „ჩვენი თავი ჩვენზე უნდა გვეყუდებოდეს“ — ამ მხრივ განმანათლებელთა შეხედულებანი, როგორც უკვე ვთქვით, უცვლელია¹. ცვლილებები განიცადა, და ეს ბუნებრივიც არის, მათა ტაქტიკაში.

სამოციან წლებში, როცა ობიექტურმა ვითარებამ რევოლუციური სიტუაცია შექმნა, განმანათლებლები თავიანთი შეხედულებების განხორციელების რევოლუციური მეთოდებისაკენ უკმაობენ („ქართველი ხელი ხმალს იკარა...“). მაგრამ ოთხმოციან წლებში, როცა დგება კანტონალიზმის წ. წ. მშვიდობიანი განვითარების პერიოდი, განმანათლებლები ახალი ვითარების შესაბამის ტაქტიკას მიმართავენ. მათ ესმით ის ტემპარატება, რომ განსაზღვრული აზრით „ყოველი მოცემული კეთილი არს“, რომ განსაზღვრულ პირობებში რევოლუ-

ციები საერთოდ, კომპრომისები და შეთანხმებები კერძოდ — აცილებელი და სასარგებლოა¹.

განმანათლებლებს ერთი წამითაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, საქართველოს ეროვნული აღორძინების წყაროდ მათ ისევ და ისევ მიანინათ დევიზი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდებოდეს“. მაგრამ ახალ ვითარებაში მისთვის ბრძოლა სხვა მეთოდით წარმოებდა. იგი გამოიხატებოდა იმ ტიტანურ მუშაობაში, რასაც განმანათლებლები ეწეოდნენ საქართველოს თვითმყოფლობის დაცვისა და განვითარებისათვის, ქართული ელტერნის აღორძინებისათვის.

რევოლუციის შემდგომი პერიოდი, განსაკუთრებით ოთხმოცი და ოთხმოცდაათიანი წლები საქართველოში ხასიათდება არა მარტო კანტონალიზმის განვითარების მაღალი ტემპით, არამედ თვითმპყრობელობის მხრივ ნაციონალურ-კოლონიური ჩავერის გამოვლენითაც. ცარიზმი ყველა განაპირა მხარეში, მათ შორის საქართველოში, ცდილობდა მოეპოვა ყველაფერი, რასაც კი ეროვნული თვითმყოფლობის ელფერი ჰქონდა. იგი ატარებდა რუსიფიკაციის, ერების ძალით ასიმილაციის ანტიპოლურ პოლიტიკას. მან აიღო, რომ ნაციონალური ფორმის ყველაზე მკვეთრი და ძირითადი გამოხატულება ეროვნული ენა და ამიტომ, პირველყოფისა, ეროვნული ენას დევნიდა.

განმანათლებელი მთელი თავიანთი შესაძლებლობით წინააღმდეგენ ცარიზმის უხეში ძალადობის პოლიტიკას. „რადღაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული — ენაა, ამიტომ ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეებისა ყველაზე უწინარეს ენას მიწვედა“. წერდა ილია, ცარიზმის წინააღმდეგ ასეთივე პროტესტი არავითარ გამოვლენაში იღას თავის პოეზიაშიც: „ერის იმულის, სასოების, ნიჭის მშვერტები თვით ერის ენას, მაგ ერის განას — იგი სუფენიდა.“

განმანათლებლებს ბოლომდე ესმოდათ ენის უდაღესი მნიშვნელობა ერისათვის, მისი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყოველმხრივი განვითარებისათვის. ისინი სწრაფ მომარჯვებულენ ხოლმე გრავოლ ორბელაანის შესანიშნავ თქმას: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“¹, და თავკამოვებით განბოძდენ მისი დაკვრა და ყოველმხრივი განვითარებისათვის. განმანათლებლები ეროვნული განსაკუთრებულობისა და პრივილეგიების შოეინსტრუქტორების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მათთვის პატრიოტიზმი და ხალხთა შორის მუგობრული ურთიერთობის ქადაგება განუყრელი იყოს.

კატკოვის ტმის მკლანელები ჰყავდა მხედველობაში, როცა აჯავ წერებოდა წერდა-

¹ ი. ბ. სტალინი, ლენინის მის საკითხები, მე-11 გამოცემა, გვ. 80.

„შოენისტობა, ესე იგი, სამშობლოს უკუღმართი სიყვარული, როცა იმას ანაცლებენ სხვების კეთილდღეობას და ზედწერებას, სამაგლობაა, მეგრამ ერთი ათასად უფრო სახზუნობაა, თავისი ქვეყნისათვის სამშობლოს გარეწობა. ვისაც თავისი მშობელი არ უყვარს, ის სხვებსაც ვერ შეეყვარება. ვინც თავის პატარა ერს არ ემსახურება, ის ვერც კაცობრიობას გამოადგება. თავისი ქვეყნის სამსახურში, მსოფლიოც გამიხიბრება“.

კატკოვის ტიპის არამზადები ჰყავდა მხედველობაში აგრეთვე გიორგი წერეთელს, როდესაც სასტრკად ილაშქრებდა მეფის რუსეთში არსებული ეროვნული დისკრიმინაციის წინააღმდეგ: „ყოველმა ნაშევლიმა მამულმოდლმა შთელი თავისი ღონისძიება იმას უნდა მოაწოდოს, რომ იქადაგოს შემდეგი: უთანასწორობა, ერის ერთი ნაწილის მეორე ნაწილზე გაბატონება, გადამტრება, გვირის გვიარზე აღდგენა უზედურებებსა და დაცემის შეტს არას შეგუქნის“.

ქართულ განმანათლებლებს სამართლიანად შეანდათ, რომ საქართველოს განთავისუფლება ვანუერელდ არის დაკავშირებული ამაერთკავსაის ყველა ხალხთა განთავისუფლებასთან. ისინი განსაკუთრებით ხასს უსჯამდენ ამიერკავსაისის სამი ძირითადი ერის ქართველების, სომხების და აზერბაიჯანელების შეგობრობას და ერთობლივ ბრძოლას თეითშყრობელობის წინააღმდეგ. ეს საესებით ვსაკუბნიე არის. ამიერკავსაისის ხალხები საუკუნეებში ვნამაღვლ ერთად იბრძოდენ მრავალრიცხოვან უცხოელ მოძალადეებთან, და გვიარულად იყავდენ თავიანთ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ეროვნულ თეითშყრობას. ილია შიკვაძევე პოემაში „ქართულის დედა“ წერდა:

ჩემი მამული, საქართველო, დღეს
მიოცებულდები
ხალხი აზერბაიჯანის, ხალხი აღსდგა, ხალხი
მოქმედობს,
კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა
ფიქრობს,
და ეს ფიქრი მთელ კავსაისს თავისუფლებამ...
დღია ხალხი, როს ეს ვრძნობა წინ

წარუძლებამ
მეფის თეითშყრობელობა მრავალეროვან
ამიერკავსაისში ხალხთა შორის შტრობასა და
შედლს აღუვიებდა. ამ პოლიტიკის ვატარებაში
შს მხარში უდგენენ პრივილეგიური კლასები —
თავადაზნაურობა, შემამულებანი, ბერკლე-
ზია. ასეთ ვითარებაში ამიერკავსაისის ხალხთა
დახლოებებსა და ურთიერთშეგობრობის ქიდა-
გებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონ-
და, და ქართველი განმანათლებლებიე მას თა-
ვიანთი ყურადღების ცენტრში აყენებდენ.

„დღეს კავსაისის აქეთა მხარეში, — წერდა
გიორგი წერეთელი, — სამი მკუდრი ეროვნული
ქართული, სომხები და მამადიანნი, ვინც
პოემაში არიანი ჩამდგარი, ერთი მოძველი მზ-
ზანი, ერთი და იგივე კეთილდღეობა აქეთა მზ-
რუნველი, ჩვენ საქართველოს ხალხს და იმათს
დაწინაურებულს კაცებს დღეს ბიარჩენ... ეს
უნდა ეწეროს: ერთმანეთთან დაახლოება, ერთ-
მანეთის პატივისცემა, სამივე ერის გულმან-
ათვის ერთად ზრუნვა, ძმური კავშირი... ეს
სამი ტომი... ერთმანეთის დახმარებით აშენდ-
ებინ, ერთმანეთის შტრობით კი დაიქციეიან“.

ასეთია ქართველ განმანათლებელთა ეროვნულ-განმთავისუფლებელი იდეები და საშოქმედო პროგრამა. განმანათლებელთა ისტორიული დამსახურება ეროვნული საქათის დემოკრატიულ საფუძვლზე დაყენება. როცა განმანათლებლები ხალხზე ან ერზე ლაბარებენ მათ პირველყოლისა მხედველობაში ჰყავთ ფართო მშრომელი მსახევი, „უბრალე ვლხო-
ბა, — ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სუ-
ლი და ვგლი ჩეენის ეროვნულის იმედებისა“. ასევე აფასებენ მშრომელ ხალხს აკაცი წერეთელი, რომელიც „დაბალ ხალხს“ „ეროვნებს ფესვს“ უწოდებს.

განმანათლებელთა მოღვაწეობას, მიმართულს ქართველი ერის ვათეითწინიერებისა და კონსოლიდაციისათვის, სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე პროლეტარიატის კლასობრივ ვათეითწინიერებისათვისაც.

მარქსიზმის კლასიკოსები არაერთგზის აღნიშნავდენ, რომ პროლეტარიატის კლასობრივ თეითგამორკვევას ამა თუ იმ ერში წინ უსწრებს ისტორიული პროცესი ერის თეითგამორკვევისა. პროლეტარიატის წარმატებით ისტერნაციონალური მოძრაობა, — წერდა ფ. ენგელსი 1882 წელს, — შესაძლებელია იმ ერებში, რომელთაც გარკვეული აქეთ თავიანთი ეროვნული ვინაობა და პოზიციია.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „ერები საზოგადოებრივი ვანეითარების ბერკუბიული ეპოქის აუცილებელი პროდუქტი და აუცილებელი ფორმა და მუშათა კლასის არ შეეძლო განმტკიცებულოცო, დავაკაცებულოცო, დარაზმელიყო; თუ არ ამოეწყობოდა ერის ფარგლებში“, თუ „ნიციონალური“ არ იქნებოდა (თუცკა სრულებითაც არა იმ მნიშვნელობით, როგორც ეს ბერკუბიზის ესმის).“.

ამრიგად, ქართველი ერის ჩამოყალიბებას, მის ეკონომიკურ და კულტურულ აღორძინებას, რასაც მთელი თავიანთი მოღვაწეობა მიუძღვნეს განმანათლებლებმა, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების ყველაზე მოწინავე ძალის — პროლეტარიატის კლასობრივ მოძრაობის ვანეითარებისათვის.



გიორგი თავზიშვილი



იაკობ გომგებაშვილი

სამშობლოს მგზნებაზე სიყვარული ენთო მის გულში. ხალხს ეუფთვნოდა მთელი მისი გვირგვინი სიკაცობით. ათეული წლების მანძილზე ჰქონდა იგი ქართული ახალგაზრდობის მომავალს, როგორც გულთამბილავი პედაგოგი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი.

ქართული მეცნიერული პედაგოგია საბოლოოდ ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში. ეს იყო პერიოდი, როდესაც ახალი წარმოების წესის გამარჯვების შედეგად სწრაფად ვითარდებოდა ხალხის საზოგადოებრივ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრება. იზრდებოდა პიროვნების ინსტიტუტი და ამასთან დაკავშირებით მისი მეცნიერული აღზრდის აუცილებლობა, ახალი ცხოვრებისათვის მომზადების საჭიროება. ამ გარემოებამ შეუწებოდა გამოიწვია ქართული მეცნიერული პედაგოგიის აღმოცენება. ჩასაც ხელი შეუწყო საქართველოს სკოლის გამოცდილებამ და აგრეთვე რუსეთისა და უცხოეთის კლასიკური პედაგოგიის შესწავლამ და გამოყენებამ.

სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში იწყება ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში სახალხო სკოლებისა და განათლების სხვა კერების აღმოცენებასთან დაკავშირებით. რიტორიკული განათლების გავრცელებამ და ქრისტიანული რელიგიის აღმოცენებამ დაამატებს მისი განვითარება. მე-12 საუკუნისათვის გიორგი ათონელის, გიორგი მცხეთის (ბერძონაზონის), იოანე პეტრიწონელისა და შოთა რუსთაველის საპროგრესული და სავანეანათლებლო იდეების საფუძველზე უკვე ისახლებოდა ქართული პედაგოგიის კვლევის საგანი, იქვეა სწავლების მიზანი და შინაარსი, ფართოვდება ზნეობრივი აღზრდის სფერო, მე-17 საუკუნეში სულხან-საბა ორბელიანმა ქართულ პედაგოგიაში შეიტანა ხალხობრივი და ჰუმანიზმის პრინციპები და აიყვანა იგი მეცნიერული განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, მე-18 საუკუნეში დაიბნეოდა გერმანიული და იოანე შატერაძისმა გაამდიდრებს მისი შინაარსი მორალური და გონებრივი აღზრდის ახალი ამოცანე-

ბით. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში სოლომონ ლაღაშვილმა დაამუშავა ქართული პედაგოგიის ფილოსოფიური წინამძღვრები და მოამზადა ნიადაგი დამოუკიდებელ დისციპლინად მისი ჩამოყალიბებისათვის.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული პედაგოგია, როგორც მეცნიერების და სახალხო განათლების სხვადასხვა საკითხებს ამუშავებდნენ დიდი ქართველი მწერლები და განმანათლებლები — ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი შესხი, შოთა ჩიტაძე და სხვა საზოგადო მოღვაწეები, მაგრამ ყველაზე უფრო მეტი სიღრმით და უფრო სისტემატურად ქართული პედაგოგიის საკითხებს იკვლევდნენ ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი, მათ დაასრულეს ქართული მეცნიერული პედაგოგიის შენება და გახდნენ მისი ბერძონობრივი წყაროები.

იაკობ გოგებაშვილმა მეცნიერული მუშაობა დაიწყო ქართული ენის სახელმძღვანელოების შედგენით. ამ წიგნების შედგენის პრინციპები კარგად ამტკიცებდნენ მის სოლიდურ ცოდნას არა მარტო დიდაქტიკაში, არამედ ზოგადი პედაგოგიის დარგშიც. შემდეგ თეორიული პედაგოგიის საკითხებს ის ამუშავებდა უმთავრესად მორალური აღზრდის, დედენისა და დედენაზე სწავლების მნიშვნელობაში, ქართული და რუსული ენების სწავლების, სკოლის დანიშნულების, სახელმძღვანელოების შედგენისა და საბავშვო ლიტერატურის საკითხებთან დაკავშირებით.

უმთავრესი დამსახურება იაკობ გოგებაშვილსა მდგომარეობის იმაში, რომ მან ქართულ პედაგოგიასა და საბავშვო მწერლობაში დაამკვიდრა ხალხობრივი პრინციპები. ეს პრინციპი, როგორც აღვნიშნეთ, პირველად სულხან-საბა ორბელიანმა შემოიტანა ქართულ პედაგოგიასა და მწერლობაში, ხოლო გოგებაშვილმა განმარტოვა იგი როგორც აღზრდა-განათლებისა და საბავშვო ლიტერატურის ამოსავალი იდეა.

ხალხობრივი და ეროვნული გოგებაშვილის სინონიმურ ცნებებშია მიანიჭდა. ის აღნიშნავს,

რომ ხალხობა ქმნის „ეროვნულ მიმართულებას“ და ერის, როგორც კოლექტიური პიროვნების, ნაციონალურ ხასიათს. ეროვნება, მისი აზრით, ვერდნობა სამ ბურჯს: ტერიტორიას, ეკონომიკურ მდგომარეობასა და დედაენას. სამივე ეს ბურჯი აუცილებელია ერის შიდაანობისა და ერთობის შენახვისათვის, მაგრამ დედაენა არის მისი მთავარი ბურჯი და არსებითი ნიშანი, რომელშიც აისახება ხალხის ეროვნული სული, მისი გონებისა, გულისა და ფანტაზიის სიმდიდრე.

ხალხობის პრინციპი, გოგებაშვილის აზრით, საფუძვლად უნდა დაედოს მომავალ თაობათა საზოგადოებრივი დარბიერებას მიუღწევად. მან უნდა გამსჭვალოს აღზრდა-განათლების ყოველი ამოცანა, სკოლისა და მასწავლებლის მთელი მოღვაწეობა.

იაკობ გოგებაშვილი, როგორც მოწინავე მოაზროვნე და შემოქმედი, ახალგაზრდობის დანიშნულებას განიხილავდა რეალისტური თვალსაზრისით და მისი აღზრდის მიზნება განსაზღვრავდა როგორც ზოგადკაცობრიული, ისე ეროვნული ამოცანებით. აღზრდა-განათლების მიზნად მას მიიჩნდა ადამიანის მომზადება საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, მისი სულიერი და ფიზიკური ძალების პარამონიული განვითარება და თავისი ხალხის ინტერესების თავდადებული სამსახური. ამის მიხედვით ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების წინაშე ის აყენებდა ყოველმხრივი განვითარებისა და ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დიდ ამოცანებს.

ქართველ მომავალ თაობათა ყოველმხრივი განვითარება და მომზადება „ახალი ცხოვრებისათვის“, გოგებაშვილის აზრით, შეიძლებოდა მიაიღწია „უცუღმართი და ავადმყოფური რეჟიმის... ძირიანად შეცვლის“ შედეგად. ახალი საქართველი, გოგებაშვილის რწმენით, უნდა აშენებულიყო „საუცუღმართო საზოგადოებრივი წყობილების“ საფუძველზე, ხოლო ასეთი წყობილებისათვის ბძობლა შეეძლო მხოლოდ „ახალი ტიპის“ ქართველებს“, რომლებიც შეიარაღებული უნდა ყოფილიყვნენ მეცნიერული ცოდნით, მაღალი მორალური პრინციპებითა და პრაქტიკული შრომის უნარით.

იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა სახალხო განათლების გარდაქმნას ქართველი ხალხის მეცნიერული და პოლიტიკური ინტერესების მიხედვით და გმობდა რა იგი თავისი დროის სწავლა-განათლების სისტემას, წერდა: „ხალხს კი სრულიად სხვა სწავლა ესაქაროება, სრულიად სხვა ცოდნა სწავთარიან. სწავლამ და ცოდნამ იგი უნდა მოამზადოს ერთი მხრით ბუნებასთან ბრძოლისათვის, მეორე მხრით, სოციალურ, ხანატარებს ცვალებებისათვის“. ცხა-

დია, ასეთ სოციალურ ხანატარულ ცვლილებებზე გოგებაშვილს მიიჩნდა ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლება.

ნიშვნულობა

იაკობ გოგებაშვილი ეხებოდა მკაცრსა და მკაცრად ღირსშესანიშნის საქითხაყ. ის საუბრებით იზიარებდა აღზრდის შინაარსის იმ ზოგად განსაზღვრებას, რომელიც მის დროს უკვე მიღებული იყო პედაგოგიის მეცნიერებაში და გულისხმობდა ბავშვის გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ განვითარებას.

გონებრივი განვითარების ამოცანად გოგებაშვილი თვლიდა „ანამდვილე ცოდნას, რომელიც ასწავლის (ადამიანს) ზედმიწევნით ბუნების ძალას მომხარებებს და სოციალური პრაგმატიკისათვის ბძობლას“. ასეთი ცოდნის შეძენისათვის, მისი აზრით, საჭიროა თეორიული სწავლების დაკავშირება მოსწავლეთა პრაქტიკულ შრომასა და ხალხის ყოფა-ცხოვრებასთან. ეს გზა მას მიიჩნდა გონებრივი განვითარების ყველაზე უფრო რეალურ საშუალებად და, საერთოდ, პარონების ყოველმხრივი განვითარების უმთავრეს პირობად.

ზნეობრივი განვითარების ამოცანად იაკობ გოგებაშვილს მიიჩნდა პარონების „ანამდვილე ადამიანური ღირსებების“ შემუშავება, მის მიერ საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნების საფუძველზე. ასეთ ღირსებათა შორის, მისი აზრით, მთავარია პემანინში, შრომისმოყვარეობა. პატრიოტიზმი, ხალხთა მეგობრობა, ზრდილობა, სიმართლე, მეგობრობა, პატიონება და სხვა კეთილშობილური თვისებებ.

პემანინში გოგებაშვილს ესმის, როგორც „მიღრევილება ფართო ადამიანობისადმი“. ეს თვისება ახალგაზრდობის შეგნებაში იზრდება კეთილი ადამიანის ანუ „მოყვასის მზრვალე სიყვარულის“ გრძნობის ნიდაცხე და შოითხოვს, სკოლისა და ოჯახისაგან მთაუნერგონ ბავშვებს ადამიანის ღირსებათა პატიონისეში, მასზე მზრველობა და გულისხმობი დამოკიდებულება ყოველი მისი სამართლიანი მოთხოვნილებისადმი. პემანინში პრინციპით არის გამსჭვალული გოგებაშვილის არა მარტო მეცნიერული სტატება ბავშვთა აღზრდა-განათლების საქითხეზე, არამედ მთელი რიგი მოთხოვნიების, რომელთაც ის ათავსებდა „დედა ენისა“ და „ბუნების კარში“, ან აქვეყნებდა ცალკე გამოცემათა სახით.

შრომისმოყვარეობა, გოგებაშვილიან აზრით, არის ყოველგვარი სიკეთისა და შეძლების წყარო. შრომაზეა დამოკიდებული ადამიანის მომავალი. მისთვის მიღწევისა და შემოქმედებისათვის საკმარისი არ არის მონდომება და სურვილი, არც გადამწყვეტილება. მთავარია შრომის სიყვარული და მისი ონარი, ამისთან. აოჯიბა-შვილი მოითხოვს მოსწავლეები ეხევიდნენ არა მარტო ადვილ და სისამიუნეო შრომას, არამედ „იმისთანა სამუშაოსაც, რომელიც უსი-

1 იაკობ გოგებაშვილი, თხულებანი, ტ. 4, გვ. 87.

მოენოა, მაგრამ მათთვის და საზოგადოებისათვის სასარგებლოა. და იქვე დასძენს: „უმიწისა ამ გვიანის შრომის მიხვედის დიდ მნიშვნელობას აძლევს და ურჩევს მასწავლებლებს სასტამბტროად იმოქმედონ ამ თვისების აღზრდასათვის მოსწავლეებში“¹.

პატრიოტიზმი გოგებაშვილს მიანიჭა ადამიანის ისეთ ამაშალებელ თვისებად, რომელიც მოუწოდებს და აღადგინოვანებს მის დიადი საქმეებისათვის. ნამდვილ პატრიოტად ის თვლის „მას, ვისაც სიცოცხლის საცნაოდ გაუხდია სამშობლო ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავდადებულად... ვებრძვის ყოველ დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე გადალობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიიჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარებია მამულის ზრუნვისათვის“. იაკობი წარსულს არ მისტიროდა. ის იყო ახალი საქართველოს პატრიოტი და იცქერებოდა არა უკან, აზიისაკენ, არამედ წინ, ევროპისაკენ. მისი აზრით, საქართველომ „დასავლეთიდან უნდა სესს განათლება, მეცნიერება და გადმოიხიანოს საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილებანი“. მას უნდა „არა მკვდრის აღდგენა, არამედ ცოცხლის გავრცელება ჰაობიდან“. იაკობ გოგებაშვილი, როგორც ეროვნულ-განმათავისებლებელი მოქალაქის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და მის „აღორძინებას თავისებური ეროვნული გზით“. პატრიოტიზმი, იაკობის აზრით, არ არის შემეცდრული ღვიძება, მას სჭირდება აღზრდა, განვითარება, მოვლა და პატრონობა, როგორც ყველაზე უფრო ნახ და, ამავე დროს, ძლიერ გრძნობას. პატრიოტული აღზრდის ამოცანად ის, პირველ ყოვლისა, თვლიდა სამშობლოს მგზნებარე სიყვარულსა და პატიოსანებას. მშობლიური ენის, როგორც ეროვნების მთავარი ბუჯის, ცოდნისა და მის უფლებებშიათვის ბრძოლას. ერის ტერიტორიული მთლიანობის დაცვასა და ეროვნული კულტურის ყოველი დაზღვის: ისტორიის, ლიტერატურის, გეოგრაფიის, ხელოვნების განვითარებას.

ხალხსა მგზნებრობის ანდ ინტერნაციონალიზმის ენებაში ი. გოგებაშვილი გულისხმობდა ხალხთა შორის „მშერ თანხმობას“ და ორგანულად უკავშირებდა მას პატრიოტიზმის პრინციპს. თავისი ქვეყნის ნამდვილ და მართალ პატრიოტს, მისი აზრით, არ შეიძლება არ უყვარდეს ეპატრიობა და დიდი პატიოსანებით არ ეპყრობოდეს სხვა ხალხებს. პატრიოტული და ინტერნაციონალური გრძნობის საფუძვლად ის სამართლიანად აღიარებს ჰუმანიზმის პრინციპს და საესებით დამარწმუნებლად ამტკიცებს, რომ „ვინც გამსჭვალულია ადამიანისადმი სიყვარუ-

ლით, ის ამ კეთილშობილურ გრძნობას ანთროპოციულებს პირველ ყოვლისა თავის სამშობლოსა და თვისტომთა მიმართ, რომელნიც უტყობს ამ ლა მასთან და, მამისადამე, მამის უმცირესს პატრიოტი. მაგრამ ამავე დროს ის სიყვარულითა და სამართლიანობით ეპყრობა სხვა ერებსაც და, ამგვარად ემსახურება საყოველთაო ძიობის მალალი ცნების განხორციელებას“¹. ასეთი ინტერნაციონალური განხორბობის დამყარებასა და განმტკიცებას ი. გოგებაშვილი მოითხოვდა რუს ხალხთან, რომლის ბედთან, როგორც წერს იგი „ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაერთა ბელი საქართველოსი“, სომხებთან, რომელთა ბელი ისეთივე იყო ისტორიულად, როგორც ბელი საქართველო, და სხვა მგზობელ თუ შორიელ სახელმწიფოებთან და ერებთან. ინტერნაციონალური აღზრდისათვის ი. გოგებაშვილი დიდ როლს აყისრებდა ისტორიის, ლიტერატურის, გეოგრაფიის, რუსული და უცხო ენების სწავლებას, ის მოითხოვდა აგრეთვე კლასიკარეუ საკითხავი მხატვრული და მეცნიერულ-ამოვლარული წიგნების შერჩევას ინტერნაციონალური აღზრდის თვალსაზრისით.

იაკობ გოგებაშვილი წერდა აგრეთვე ზნეობრივი აღზრდის სხვა საკითხებზეც და ყოველ ამ საკითხს ამუქებდა ადამიანის დანიშნულებისა და მისი საზოგადოებრივი მოვლეობის შეგნების თვალსაზრისით.

ეხთბტყური განვითარების ამოცანად იაკობ გოგებაშვილი თვლიდა მხატვრული გემოვნების შემუშავებას, ხელოვნების გავებისა და მისი შეფასების უნარის შექმნას, და, სურთოდ, პიროვნების ემოციური სამყაროს განვითარებას. ამ ამოცანას უნდა ემსახურებოდეს სიმღერისა და ხატვის სწავლება, სკოლის გარეშე მხატვრული აღზრდის დაწესებულებები, ექსკურსიები ბუნებაში, განსაკუთრებით კი მხატვრული ლიტერატურა.

ფიზიკური განვითარების საკითხებსაც ეხებოდა იაკობ გოგებაშვილი და მის მიზნად მიიჩნდა ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, მისი გამძლეობა და ყველა სიმწელის გადალახვის უნარის განმტკიცება, ფიზიკური აღზრდის მრავალ საშუალებასა და ღონისძიებათა შორის უმთავრეს ადგილს იგი აკუთვნებდა პედაგოგიკურად მოღუქრებულ და ჰიგიენურად მოწყესრებულ ფიზიკურ შრომას.

იაკობ გოგებაშვილის განსაკუთრებულ და მსახურება ქართველი ხალხის წინაშე მდგომარეობა იმაში, რომ ის საოცარი ენერჯიით, პატრიოტული გატაცებითა და პოლიტიკური სიმამ-

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, 1, გვ. 485.

ვილით არკვედა დედაენის როლს ხალხის ცხოვრებაში, მეცნიერულად ასაბუთებდა დედაენაზე პატივითა აღზრდის აუცილებლობას და გმირულად იბრძოდა ქართული ენის კანონიერ უფლებათათვის საქართველოში.

დედაენა, გოგებაშვილის აზრით, არის „ქვირფის იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ. მის ფსიქოლოგიურსა და ფიზიოლოგიურს აგებულებას ზედ“¹. ამ აზრით „ყოველ ადამიანს დაბადებულანვე ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედაენის ადვილად და ღრმად შესწავლისა. ბავშვის ყოველ აზრს, გრძნობას, წარმოდგენას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედაენა ქსატყა სინამდვილით და სისრულით“¹. ამ მოსაზრებიდან გამოდის, იაკობ გოგებაშვილი და მრავალი დავითაძის, ფაქტი და მეცნიერული წყარო აქვს გამოყენებული იმის დასამტკიცებლად, რომ თანდაყოლილი მიდრეკილება მშობლიური ენისადმი უფრო აადვილებს და აღრმავებს აზროვნებას ამ ენაზე და უფრო მტკიცედ და ხანგრძლივად ინახავს ადამიანის მეხსიერებაში დედაენაზე შეძენილ ცოდნას, იაკობ გოგებაშვილი ხშირად მიმართავს პედაგოგიკის ელასიკოსებს — კომენსკის, პესტალოცის და განსაკუთრებით კი უშინსკის და მათი მღალაი ავტორიტეტის გამოყენებით მოითხოვს დედაენის დაუმტკიცებელი გავრცელებას როგორც სკოლაში და ოჯახში, ისე ყველა საზოგადოებრივ და სპარტულ (ანუ სახელმწიფო) დაწესებულებაში, ის მოითხოვდა დედაენაზე სწავლების როგორც ბავშვის „გონების გახსნისა“ და მისი აზროვნების განვითარების, ისე ხალხურობის პრინციპის თვალსაზრისით და განხრებულად იცავდა დედაენის ინტერესებს მეფის რეჟიმისა და მისი კოლონიატორების მუდმივი შემოტევისაგან.

1910 წელს, ხეებოდა რა იგი თავის მუშაობას ქართული ენის აღდგენისა და გავრცელების საქმეში, წერდა: „ზემი მთავარი მოძღვრების მიზანი იყო დაცვა, განმტკიცება და გაძლიერება ამ მთავარის ეროვნულის საუნჯისა, რასაც მე ვეპომაგებოდი სიტყვათაუ და საქმიითა“. ეს ნაშთილი ჭეშმარიტებაა და მალეიერი ქართველი ხალხის პირუთენელი ისტორია არ დაიფიქვებს, რომ ქართველი ხალხის ამ მთავარი ბურჯისა და სხვა სასიკოცლო ინტერესებისათვის ბრძოლას შეალია იაკობ გოგებაშვილმა თავისი დიდი სიკოცხლე.



იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკაში მთავარი ადგილი უჭირავს დიდაქტიკას, სწავლების თეორიის სიკოცხლს.

აღზრდა-განათლების მიზნების განხორციელების უმთავრეს გზასა და საშუალებას, გოგებაშვილის აზრით, წარმოადგენს სწავლების პროცესი. ამის გამო სწავლების ყოველი ელემენტი მინაარსი, პრინციპული, ფორმული და მეთოდური განხორციელებული აღზრდა-განათლების მიზნებთანა და ამოცანებით. ამასთან, სწავლების პროცესის მეცნიერული წარმართვისათვის იაკობს აუცილებლად მიაჩნია სკოლის დანიშნულების ანუ ტიპის, მოსწავლეთა ასაკობრივი თვისებების, მათი განათლების დონის, სასწავლო საგნის თავისებურებათა და სწავლების საერთო პირობების გათვალისწინება. მან დაამუშავა ფართე სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები და ვარკვია ინტერესის, ყურადღებისა და შესიერების როლი სწავლის პროცესში.

ადამიანის განვითარების პირველ სადებურა, გოგებაშვილის აზრით, წარმოადგენს დაწვებით განათლება, რომელიც მიზნად ისახავს „სასარგებლო ცოდნის მოღწენას“ ხალხის ფართო მასებში. ამ ცოდნის შინაარსის განმსაზღვრელი მინიმუმად ის თელიდა დედაენის, არითმეტიკის, ბუნებისმეტყველების, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა, რუსული ენის და პიკენინა საწყისების შესწავლას.

დედაენა, გოგებაშვილის მიაჩნდა ცოდნის „პირველ წყაროდ“, ბავშვის გონების გახსნის ყველაზე უფრო ბუნებრივ საშუალებად და განათლების პირველ ნაბიჯად აბოშტეტა — როგორც მათემატიკურა ცოდნის საფუძველი, გოგებაშვილის აზრით გონების წვრთნასთან ერთად ემსახურება პრაქტიკული საყოფა-ცხოვრებო ანგარიშის უნარს, როგორც უპირველეს და უძველეს მოთხოვნილებას, ბუნებისმეტყველების ამოცანად გოგებაშვილს მიაჩნდა ბუნების მოვლენებისა და მათი კანონების გაგნობა, ფიზიკური სამყაროს საიდუმლოებათა წვდობა, ბუნების გამოყენება და მასზე გაბატონება. ამასთან ბუნებისმეტყველებას იაკობი თელიდა ახალგაზრდობის წწორი, რეალისტური მსოფლმხედველობის შემუშავების უმთავრეს და ადვილად მისაწვდომ საშუალებად. ისტორია — ხალხს აკავშირებს თავის წარსულთან, ახალგაზრდობას უხსნის „რანი ვეყავით გუშინ“ და რისი მოპოება შევიძლია მომავალში, ისტორიის შესწავლა არის „მამულიშვილობის საძირკველი“. გეოგრაფიას იაკობ გოგებაშვილი აღიარებდა მშობლიური მიწაწყლის შესწავლის პირობად და მიაჩნდა იგი მამულიშვილობის ისეთსავე საძირკვლად, როგორც ისტორია. რუსული ენის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მნიშვნელობის იაკობ გოგებაშვილი ზედდა იმეში, რომ მისი საშუალებით ახალგაზრდობა ეცნობა ამ ენაზე არსებულ მდიდარ მეცნიერებას, ლიტერატურას და ხელოვნებას, ის უადვილებს ქართველ ხალხს რუს ხალხთან მეგობრობას და ურთიერთობას. მისი ცოდნა ზელს უწყობს

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2. 33, 208.
8. „მთაბთი“, № 10.

ქართველ ახალგაზრდობას პრაქტიკულ ცხოვრებაში საერთოდ. მიჯინის ამოცანად გოგებაშვილი თვლიდა ჯანმრთელობის დაცვის ელემენტარულ ღონისძიებათა სწავლებას და მათი გამოყენების პრაქტიკული ჰევეების შემუშავებას.

აიკობ გოგებაშვილი, როგორც თავისი დროის შვილი და მორწმუნე ადამიანი მოითხოვდა აგრეთვე სამღვთო სკულის სწავლებასაც, მაგრამ მის დანიშნულებას ზღუდავდა ზნეობრივი აღზრდის ამოცანებით.

რამდენადაც სწავლება ორმხრივი პროცესია და გულსახეობს როგორც ცოდნის გადაცემას მასწავლებლის მიერ, ისე მის შეთვისებას მოსწავლელს მიერ, იმდენად აიკობ გოგებაშვილის მიხედვით, სწავლების პრინციპი და მეთოდები ორივე ამ მხარეს უნდა ითვალისწინებდნენ. სწავლებას პრინციპად ის თვლის **გონივრულობას** ანუ **შეგნებულობას**, ხოლო სწავლების საშუალებათა შორის „უპირველესად“ თვლის **თვალსაზრისობასა და თანამიმდევრობას**.

სწავლების მაღალი ხარისხი დამოკიდებულია არა მარტო ამ პრინციპზე და საშუალებებზე, არამედ აგრეთვე, და უმთავრესად, სწავლების მეთოდზე პირტომ, გოგებაშვილისათვის ცხადია, კარგად მოღებებულნი და გამოცდილებით შემოწმებული მეთოდების შერჩევას მასწავლებლის მიერ გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვაკეთოთლის წარმატებისათვის. გოგებაშვილი მოითხოვს სწავლების მეთოდების შრავალგვარობას, მისი აზრით არ არსებობს სწავლების რომელიმე უნივერსალური მეთოდი, მაგრამ ის, რაც საერთოა ყველა მეთოდისათვის აზის — **ცოცხალი სიტყვა**.

სწავლების მეთოდებიდან აიკობ გოგებაშვილს ყველაზე უფრო ღრმად და ყოველმხრივ დამუშავებულ აქვს დედანის ანუ ქართული ენისა და რუსული ენის სწავლებას მეთოდები, რასაც ადასტურებს მისი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელოები „დედა ენა“ და „რუსკოე სლოვო“.



აიკობ გოგებაშვილის ქართული ენის სახელმძღვანელოები ხანგრძლივად და ღირსეულად ემსახურებოდნენ ქართველი ახალგაზრდობის მეცნიერული განათლებისა და მაღალი მოქალაქეობრივი იფის ჩამოყალიბების ამოცანებს. მათ შეუძახეს ქართველ ხალხს შთაგრი ეროვნული ბურჯი — დედა ენა და მტკიცედ აფარავდნენ მას მუდის ხელისუფლების პოლიტიკური რეჟიმის მკაცრი შემოტრევისაგან.

გოგებაშვილის პირველი სახელმძღვანელო „ქართული ანბანი“, რომელიც პირველად გამოიცა 1865 წელს, მის დრომდე არსებული ქართული ენის სახელმძღვანელოებთან შედარებით, შედგენილი იყო უფრო უკეთესი, ბევრი-

თი-ანალიზური მეთოდით, მაგრამ ამ წიგნით მუშაობის პირველი წლების პრაქტიკამ დაარწმუნა იგი, რომ ანალიზური მეთოდით კითხვის დაწყება ბევრ სიმწიფესთან არა დაეკეთებებოდა. იაკობმა სცადა დაბრუნებოდა ძველ, სინთეზურ მეთოდს, მაგრამ უფრო მეტ სიმწიფეს წააწყდა. წლების მანძილზე ეძებდა იგი უკეთეს მეთოდს, უკეთეს საკითხავ მასალას და 1876 წელს გამოიცა თავისი ბრწყინვალე სახელმძღვანელო „დედა ენა“, შედგენილი ახალი, ანალიზური-სინთეზური მეთოდით და განკუთვნილი დაწვებითი სკოლების 1—2 კლასებისათვის.

ახალ მეთოდზე გადასვლა ი, გოგებაშვილს გაუადვილა რაფ. ისარლიშვილის სახელმძღვანელო „პირველი წიგნი წერა-კითხვის სასწავლებლად“, გამოქვეყნებულმა 1875 წელს და განსაკუთრებით კი უმისკის „როდნოე სლოვო“, რომელშიც გამოყენებული იყო ანალიზურ-სინთეზური მეთოდი, გოგებაშვილმა გააუმჯობესა ეს მეთოდი ქართული ანბანისა და კითხვა-წერის სწავლების თვალსაზრისით და ქართული ენის სწავლება მეცნიერულ ნიადაგზე დააყუდა.

„დედა ენა“ შედგენილი იყო ახალ პრინციპებზე, ის იწყებოდა წინასწარი საფარჯისოებით სავსეობისა და ხატვამო, იცნობდა განსხვავებას ბგერასა და ახის შორის, სიტყვასა და მის გამოხატველ თვალსაზრისით საგანს შორის, კითხვა და წერა სწარმოებდა ერთდროულად, ერთმანეთის პარალელურად, ასო-ბგერები განლაგებული იყო არა ანბანის რიგის, არამედ მათი ფონეტიკური და გრაფიკული საადგილო სიმწიფეების მიხედვით, საკითხავი მასალა შერჩეული იყო როგორც საგანმანათლებლო, ისე სააღმზრდელო პრინციპების თვალსაზრისით და ეხებოდა ბავშვთათვის კარგად ცნობილ ვარკეთილს, აიკობ გოგებაშვილი ამავე დროს ცდილობდა „დედა ენის“ საკითხავი მასალა ყოფილიყო ყოველმხრივ მიმზიდველი და საინტერესო როგორც შინაარსით, ისე ილერად და მხატვრულად. „ერთი სიტყვით, ეცდილობდით შეგვერთებინა სასიამოვნო სასარგებლოსთან“ — წერდა გოგებაშვილი პირველი გამოცემის წინ. სიტყვათაში და მართლაც ასრულებდა იგი ამ ამოცანას ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებათა და ცხოვრებასთან სწავლების კავშირის იუცილებლობის გათვალისწინებით.

გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოსვლით სამუდამოდ შეწყდა უაზრო მარცვლების გაზუბირება და „ამოსაღების“ წესით სიტყვების შედგენა. ანბანის სწავლების დროს გააზრებული გახდა კითხვაზე ვადასვლა, გაადვილდა წერა-კითხვა და ქართული წიგნიერების გავრცელება ჩქარი ტემპით წარიმართა.

„დედა ენა“ იყო მე-19 საუკუნის ქართული პედაგოგიკისა და ფილოლოგიის ძვირფასი მო-

ნაოფარი, ვრის საუნჯე, ოჭროს წიგნი. ის იყო ქართველი ხალხის ეროვნულ-გამანათიესუფლებელ მოძრაობის შეუვალი სიმამრე, მისი გამარჯვების უძლიერესი იარაღი.

1868 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოაქვეყნა „ბუნების კარი“, ქართული ენის სახელმძღვანელო დაწესებითი სკოლების 3—4 კლასებისათვის. შემდგენელი მას მიზნად უსახვადი აღძრა ახალგაზრდობაში ბუნების სიყვარული, მისი შესწავლისა და გამოყენების სურვილი და შეეჭმნა რწმენა, რომ „ბუნება მრავალგვარი სიყოფილი დღეს და დაუბრუნებელი ცოდნის წყაროა“. მაგრამ სახელმძღვანელოს ამოცანი მართკ ამით არ ამორწურებოდა: ბუნებასთან ერთად ის ასწავლიდა მეტყველებს საქართველოს გეოგრაფიას, ისტორიას, ლიტერატურას და, რაც მთავარია, — ქართულ ენას. ამის გამო „ბუნების კარს“ უკონდა ენციკლოპედიური ხასიათი. მასში მდიდარ საბუნებისმეტყველო მასალასთან, რომელიც უმოაზრესად უშინესის „დეტსკი მირიდან“ იყო შიკანილი, წარმოდგენილი ნარკვევები, ლექსები და მოთხრობები საქართველოს ისტორიიდან, ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიიდან, მხატვრული ლიტერატურიდან, სახელმძღვანელოში თავსდებოდა აგრეთვე საუკეთესო ნიმუშები ქართული ხალხური შემოქმედებისა, უხვია მასალა აგრეთვე მორალური აღზრდის საკითხებზე. იაკობი წერდა, რომ პატიოსანი, კეთილშობილური ვაჟნობების აღზრდის მიზნით მან თავის წიგნის ყოველ განყოფილებაში დიდი ადგილი დაეთმო „ეთიკურს, ალტრუისტურ ელემენტსა, აღზრდელ შინაარსს“. ეს წიგნი ხელს უწყობდა აგრეთვე ქართველ ახალგაზრდობაში პატრიოლისტური მოსაზრებულობისა და ეროვნულ-გამანათიესუფლებელი იდეების წიგნშეგებისა, სოციალური უთანასწორობისადმი შეურთიგებლობის ვაჟნობისა და მოჭალაქობრივ ღირსებათა შეგნების გაძლიერების.

„ბუნების კარი“ დაწერილი იყო ახალი სალიტერატურო ენით, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იან წლებში იწერებოდა ხაჭინი ილია ქვიპვაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით. და რამდენადაც ეს წიგნი ვრცელდებოდა არა მარტო მოსწავლე ახალგაზრდობაში, როგორც სახელმძღვანელო, არამედ ფართო მოსახლეობაშიც. იმდენად ის წარმოადგენდა ახალი ქართული პალიტრატორი ენის მასობრივად დაწერვის ძლიერ საშუალებას.

„რუსკოე სლოვო“ გამოდიოდა 1887 წლიდან. ის შედგენილი იყო ანალიზურ-სინთეზური (სინკრეტული) მეთოდით და ყველა დიდაქტიკური პრინციპისა და წიხის მიხედვით. მასში გამოყენებული იყო ქართული ენა რუსული სიტყვების თარგმნის მიზნით, რომელიც ახანად მწიფი იყო თვალსაჩინოებისა და სხვა საშუალებებით. პირველი ნაწილი იწყებოდა ლექსიკური გაკვე-

თილებით, მას მისდევდა რუსული ანბანი, შემდეგ საკითხავი მასალა საგნობრივი და სურათოვანი თვალსაჩინოების საფუძველზე. კლასების პარალელურად სწარმოებდა წერის, სწავლებებიც, მეორე ნაწილი — საკითხავი წიგნია. აქ მოთავსებული მოთხრობები, ლექსები, სასაუბროები და სხვა მასალა უმრავლეს შემთხვევაში თარგმნილია „დედა ენიდან“ და, მამასადაც, ნაცნობია ბავშვებისათვის, ეს ძალიან უადვილებდა მათ რუსული სიტყვების აზრის გაგებას და მათ თარგმნის ქართულად და პირველ გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ შეიცავდა რუსული ენის გრამატიკის სწავლების მშვენიერად მოფიქრებულ მეთოდს. კარგად იყენებდა ქართული ენის გრამატიკულ ფორმებს და მის მორფოლოგიურ, სინტაქსურ და დონტიურ თავისებურებებს რუსული ენის გრამატიკის ანალიზურ ფორმებსა და განსხვავებულ თავისებურებათა ახსნა-განმარტების დროს.

„რუსკოე სლოვო“ ქართველ ბავშვებს ასწავლიდა რუსულ ენას შეგნებულად, მტკიცედ, ადვილად და მოკლე დროში. მას იწონებდა ყველა განათლებული მასწავლებელი და ამართლებდა სკოლის გამოცდილებას. მას იწონებდა ქართული, რუსული და სომხური პრესა, თვლიდა რუსული ენის საუკეთესო სახელმძღვანელოდ და მოითხოვდა მის გამოყენებას არა რუსი ეროვნების ბავშვებისათვის. 1905 წელს ცნობილი რუსი პედაგოგი როდესტენის წერდა: „დღევანდლამდე ჯერ კიდევ არა ვაკაქს (რუსული ენის) შესაფერისი სახელმძღვანელო ცალკე ეროვნებათა და ტომებისათვის. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ განუთენილი ქართველებისათვის ჯერ-ჯერობით ჩანდა ერთადერთ სახელმძღვანელოდ, რომელიც შედგენილია უახლესი მეთოდური მოთხოვნათა მიხედვით“. 1. დიდ ხანს ემასხერებოდა ეს წიგნი თავის მაღალ ამოცანებს და დღესაც, საქართველოს საბჭოთა სკოლის რუსული ენის სახელმძღვანელო შედგენილია გოგებაშვილის „რუსკოე სლოვის“ პრინციპებისა და მეთოდების მიხედვით.

ბევრი ერთგული მეგობარი ჰყავდა იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს, მაგრამ არც მტერი და ორგული ჰყავდა ცოტა. უუცი, უპრინციპო და მლიქნელ პირებს სასტიკი იერიშები მიქონდათ მისი სახელმძღვანელოების წინააღმდეგ. იაკობი თავს იცავდა, არაფერს უთმობდა მათ, მაგრამ ძვირი უჯდებოდა მათი მოგერება. „პირ დრო და შრომა მოვანდომე ჩემის სახელმძღვანელოების შედგენის და ხანგამოშვებით გაუკეთესობას, ათი იმდენი დრო და შრომა მომინდა მათი დაცვისათვის სხვადასხვა ცალსწამებებისაგან“ — წერდა იგი 1888 წელს. გოგებაშვილის მხარეზე იყო სომართლ და

მეცნიერება და ამიტომ მისი სახელმძღვანელო-
გების ავტორიტეტი შეურყეველი რჩებოდა.

მოზარდ თაობათა სწავლა-განათლების ამო-
ცანებსა და შინაარსზე წერის დროს იაკობ გო-
გებაშვილი არ იფიქრებდა მათი განხორციელებ-
ის გზებსა და საშუალებებს. პირველ უოკლის
სკოლასა და მასწავლებელს. მან კარგად იცის,
რომ სკოლასა და მასწავლებელზე დამოკიდებ-
ული „ხალხში კეთილდღეობის მოშენი“ და
მისი საიმედო ახალგაზრდობის „კეთესა და ზნე-
ობის ამბავალღებელი ცოდნის“ გავრცელება.
„სკოლამ უმანჭვილი ცხოვრებისათვის უნდა მო-
აშალოს“ აცხადებს გოგებაშვილი¹. და სწო-
რედ ამავე ზედავს იგი მის დანიშნულებას.
სკოლას შეუძლია იდგეს თავისი მოწოდების
სიმაღლეზე იმ შემთხვევაში თუ ის საეკლესიო
შეფუტება თავის დანიშნულებას სტრუქტურ-
ით, სასწავლო გეგმებით, მეთოდებით და მთე-
ლი მუშაობით, სისტემით.

იაკობ გოგებაშვილი სკოლისა და მასწავლებ-
ლის წინაშე აყენებდა არა მარტო მეცნიერული
ცოდნისა და მაღალი ზნეობრივი პრინციპების
გავრცელებას, არამედ მას იგი აკისრებდა აგრე-
თვე პოლიტიკურ ამოცანასაც. ის წერდა, რომ
სკოლამ „უნდა მოაშალოს მოზარდი იმ აარა-
ლის სახმარებლად, რომელიც ზუნების და კაც-
თა უსამართლობის წინააღმდეგ ბაჰირია“. ის
უნდა გახდეს „უცუთება დონისძებვა ჩვენის
ვინაობის აღდგენისათვის“. ამასათვის საჭიროა
სახალხო სკოლას შვიდრო კავშირი ჰქონდეს
ხალხთან და ემსახურებოდეს მის საარსებო
ინტერესებს. ის უნდა გადაიქცეს შრომის სკო-
ლად და ხელს უწყობდეს ბავშვების ჩაბმას
წარმოებაში, განაკეთებდეს სასოფლო-სამეურ-
ნეო წარმოებაში, დიოქტრი და გონებრივი
შრომის მონაცვლეობის საფუძველზე. ის უნდა
საზრდობდეს დედაენით „ვინაიდან დედა ენა
სულია სკოლისა“ და ჰქონდეს გამდგარი დეს-
ვეები საზოგადოებაში ისეთი სასწავლო საგნე-
ბით, როგორცაა: მშობლიური ენა, ლიტერატურა,
ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება,
სკოლის ყველა საგანს უნდა ჰქონდეს ისეთი

ურთიერთ კავშირი, რომ ერთმანეთს აყენებდნენ
და სრულყოფდნენ სწავლების მშობლიური
ენის მეშვეობით. სახალხო სკოლა უნდა ხელს
აგრეთვე მოზარდულ მოსახლეობაში წესიერების
ვის გამაყრდენებელი და ცრუმორწმუნეობის
წინააღმდეგ მებრძოლი დაწესებულება.

სახალხო მასწავლებლის შრომა იაკობს მიან-
და ყველაზე უფრო მაღალი მნიშვნელობის საზო-
გადოებრივ მოვლენად. მასწავლებელი ზრდის
ერისა და კაცობრიობის მოშველს, ამყარებს
ცოცხალ კავშირს აწმყოსა და მოშველს შორის.
გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რომ მასწავლე-
ბელი იმდენად უფრო კარგად შეასრულებს ამ
თავის საპატიო მოვალეობას, რამდენადაც უფ-
რო მაღალი იქნება მისი ზოგადი და სპეცია-
ლურ-პედაგოგიური კვალიფიკაცია, მისი ავტო-
რიტეტი, ამიტომ ის მოითხოვდა მასწავლებელ-
თა მოშაადების გულმჯობესებას, პედაგოგიურ
სწავლებათა ქაელის გაშლას, პედაგოგიური ლი-
ტერატურის გამოცემას, პედაგოგიური გამოც-
დილების ურთიერთ განიარებას და შესწავ-
ლას. მასწავლებელთა უფლებრივ-პატირიადური
მდგომარეობის ამაღლებას, მათ მორალურ
მხარდაჭერასა და პატივისცემის უფელი კაცისა
და ფართო საზოგადოების მიერ.

იაკობ გოგებაშვილი ეხებოდა ბავშვთა აღზრ-
დასა და სახალხო განათლების სხვა საკითხებ-
საც და განხილავდა მათ მეცნიერული სიღრ-
მით, ბავშვის სიყვარულთა და მისი მოშაელის
რწმენით, თავისი ერისა და საკაცობრიო ამოცა-
ნების თვალსაზრისით. ის ამბავილებდა ხალხის
ყურადღებას პედაგოგიის საკითხებზე და იწ-
ვევდა ფართო საზოგადოებრივ ინტერესს ამ
ახალი მეცნიერებისადმი.

იაკობ გოგებაშვილმა გადაჭრა ეროვნულ-გო-
მანთავისუფლებელი მოძრაობის მრავალი თეო-
რიული და პრაქტიკული ხასიათის პრობლემა
და გაიდართოვა მისი კულტურულ-საგანმანათ-
ლებლო ამოცანების სფერო.

იაკობ გოგებაშვილი ღებულობდა უშუალო
და ქმედით მონაწილეობას ქართული ხალხის
საბოლოო ინტერესის დაცვისა და უზრუნ-
ველყოფის საქმეში. მისი მოწინავე იდეები
დღესაც ეხმარებიან ჩვენს თანამედროვეობას
და განაგრძობენ სოცოცხლეს ხალხის დიდ საქ-
მეებში.

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I,
გვ. 445.



მხატვრული დიტერატურა „დედა ენა“ და „ბუნების კარი“

(მასალის შერჩევის პრინციპები)

იაკობ გოგებაშვილი პრინციპული მოღვაწე იყო. მან რაღაც ერთხელ გადაწყვიტა მთელი, რომ მოხელედ არ იმსახურებდა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, საბუთები ცეცხლს მისცა და სამუდამოდ აღიკვეთა შესაძლებლობა „ინოვაციებისა“. ეს ვაქაციური ნაბიჯი ახასიათებს ახალგაზრდა ი. გოგებაშვილს, ასეთი დარჩა იგი მთელ სიცოცხლეში, რომელიც სამშობლოსა და მშობლიური ხალხისთვის ზრუნვას შეაღია. ისეთსავე პრინციპულობას იჩენდა და იტაცდა ი. გოგებაშვილი პედაგოგიური და სამწერლო მოღვაწეობისას. ილია ჭავჭავაძის თანამედროვე და თანამებრძოლი, დემოკრატიული მისწრაფებების მქონე ი. გოგებაშვილი ქართულ პედაგოგიაში ისეთივე ადგილს მკერებელია, როგორც ი. ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურასა და კრიტიკაში. სამშობლოს მომავალი ი. გოგებაშვილის ზრუნვის საგანი და მიზანი იყო, ამ მომავალს აღზრდის, მის გროვულ დავაქციებას, მისი მოქალაქეობრივი შეგნების განმტკიცებას შეაღია უმწიველო ენერჯია ი. გოგებაშვილმა.

ქართველი მოზარდი თაობის აღზრდას სხვადასხვა საშუალებას მიმართავდა ი. გოგებაშვილი. მის ლიტერატურულ-აღმზრდელობით მემკვიდრეობაში მოიპოვება მხატვრული შემოქმედების ფაქტები, პედაგოგიური მითითებანი, პუბლიცისტური წერილები, საბავშვო გამოცემების რეცენზიები... იგი იყო პრაქტიკული ხელმძღვანელი სკოლებსა და სწავლა-განათლების საქმისა, ავტორი „გვერდში“ და „ნაკადულში“ დაბეჭდილი საბავშვო წერილებისა, შემდგენელი ქართული სასკოლო სახელმძღვანელოებისა, რომელთაგან „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ ათეული წლების განმავლობაში ყოველწლიურად იბეჭდებოდა და რომელთაც უსაზღვროდ დიდი როლი შეასრულეს ქართველ ბავშვთა გონებრივი განვითარებისა და აღზრდის საქმეში დაწყებული 1868 წლიდან („ბუნების კარი“ პირველი გამოცემის წელი) თითო ოქტომბრის რევოლუციამდე და მის შემდეგაც კი.

ბუნებრივი ნიჭით აღსავსე და დიდი პედაგო-

გიური გამოცდილების მქონე მოღვაწე ყოველმხრივ შრომობდა უკეთესი საბავშვო ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების შესაქმნელად. მისი „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ იშვიათად თუ უცვლელად გამოცემულა. ამასთან ისიც უნდა მოგახსენოთ, — წერდა ი. გოგებაშვილი სილოვან ხუნდაძეს 1906 წელს, — რომ არც „ბუნების კარის“ და არც „დედა ენის“ განახლება დასრულებული არ არის... სასაზღვროდ სხვადასხვა ცვლილებას მოვალდენ მასში („ბუნების კარი“ — ს. ხ.) ... ასევე უნდა ესაუბრა „დედა ენაზედაც“¹. იგი დამატებითად მუშაობდა სახელმძღვანელოთა სრულყოფისათვის, იყენებდა გამოცდილებას, პრაქტიკოს მსწავლებელთა რჩევა-პოთიობებს, თვალყურს ადევნებდა მოწინავე, დემოკრატიულ პედაგოგურ მეცნიერებას და ისე იუკეთესებდა წიგნებს, რომელთა მეშვეობით დიდი პედაგოგი უკეთესობადა ქართველ მოზარდთაობას.

საბავშვო ლიტერატურა ი. გოგებაშვილს დიდმნიშვნელოვან ფაქტორად მიანდა ქართველი ხალხის ეროვნული სახის შენარჩუნების საქმეში. „საყმაწვილო ლიტერატურას, — წერდა იგი 1884 წელს, — დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საბავშვო, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა, გონებითი მომართა ხალხისა ქვემოთა აგებულა, თუ იგი ღარიბია საყრდენი ნაწარმოებითა, საყმაწვილო ლიტერატურით, იგი მაგრა აღვასა ნაბიჯებს წინ, გვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მისს მოზარდთაობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისი ყრმანი გარემოცულნი აზიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებითა“². ი. გოგებაშვილი დიდ ავტორიტეტებს იშველიებდა თავისი აზ-

¹. იაკობ გოგებაშვილის დოკუმენტური მასალები, გამოქვეყნებული ა. თოფჩისაგან, 1951 წ., გვ. 193.

². ი. გოგებაშვილი, თხზულებანი 2, 1954 წ., გვ. 10.

რებს გასამტკიცებლად, საქვეყნოდ ცნობილ გოეთს, უმინსკის, ილია ქავჭავაძეს, ავადი წერათელს...

სახელმძღვანელოებისათვის საქრესტომათით მასლის შერჩევისას ი. გოგებაშვილი დიდ მოთხოვნად უყენებდა ავტორებსა და მათ თხზულებებს. მისთვის მთავარი იყო ისეთი მასალა, რომელიც „წმინდა ხალხური ენით, პოეტური კლოთი და თბილი გრძობით“ იქნებოდა აღბეჭდილი; მხატვრული ნაწარმოების ყოველი სტრიქონი უნდა გამართული ყოფილიყო, რომ მის მომხმარებელს შესაძლებოდა მისი კითხვა, გაგება და გუადადეგებდა ლექსის ზეობადად დასწავლას, საქართველოს ისტორიის მასალების მწირობება მოზარდთათვის ადვილად აღიქმად მიეძინა მას. „ისტორიულ მოთხრობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ბავშვის აღზრდაში, საუკეთესო მამულიშვილების მხურვალე სიუჟარული თავისი ქვეყნისა, თავისი სარგებლობის დავიწყება მის სიკეთისათვის და თავადედა მამულის ბედნიერებისათვის უპირველეს ღონისძიებად ირიცხებიან ჩასანერგად და აღსაზრდელად მოზარდი თაობის შორის მაღალი ზნის პრინციპებისა“¹. საქართველოს ისტორიის იგი აფასებს როგორც მაღალი ზნის მასწავლებელი ეპიზოდებით აღსავსე მოთხრობის საბავშვო მოთხრობისაგან იგი მოთხოვდა სამართიერ კლოს, სიუჟარულს, სხვისი შრომის პატივისცემას, ერთგულებს, დატყვევებული საღი თანაგრძნობის თვისებებს აღძვრეს ძალს ბავშვში და მოსწავლეში. ი. გოგებაშვილი მტერი იყო სტუმარობისა, პომშროლისა, ბავშვის გონებისათვის მიუღწეველი ცნებების ხმარებისა. „საბავშვო მოთხრობაში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს მოქმედების დახატვას, დრამატიზმი და პლასტიკური აღწერა უნდა იყოს სივლე და შეეჭვბოდება მხოლოდ უმოთაურის საგნის ნაწილებსა... ავტორმა მუდამ სახეში უნდა იქონიოს, რომ საბავშვო მოთხრობებს წერა მეტად ძნელია და მოითხოვს საფუძვლიან მოსაზრებას, გულსყუტის დაშუარებას კი ხზობით და მუყაით შრომას“².

ასეთი პრინციპული საფუძვლები ჰქონდა ი. გოგებაშვილს, როცა თავისი სახელმძღვანელოებისათვის არჩედა ნიმუშებს ქართული მხატვრული ლიტერატურიდან.

„ღედა ენის“ პირველ გამოცემას დართულ წინასიტყვაობაში ი. გოგებაშვილი წერდა ამ ლიტერატურული მასალის შესახებ, რითაც მან ისარგებლა ამ სახელმძღვანელოს პირველი ნაწილისათვის. უპირველეს ყოვლისა, იგი სარგებლობდა ქართული ხალხური სიტყვიერების დაუღვევი სიუჟაით, მაგრამ აქაც მნიშვნე-

ლოვანი სამუშაოს ჩატარება ესაჭიროებოდა რადგან საქართველოს შერჩევა მასაის, ხალხის და მოცულობის მიხედვით. ი. გოგებაშვილი უსარგებლოა პ. უმივაშვილისაგან „სიტყვიერების მასალებით, ამასთან საქმოდ ბევრი გამოუყენებია თავისგან შეკრებილიდანაც, ხალხური სიტყვიერების მასალები იგი ვერ მოიხმარა იმ პირველი სახით, როგორც იყო იგი ჩაწერილი-შეკრებილი, ამისთვის საქართველოს იყო ცვლილებების შეტანა იმ მიზნით, რომ ხალხური შემოქმედების ნიმუშები სახელმძღვანელოს ხალხისათვის დაეახლოვებინა, რომ მას ჰქონოდა „რაც უი შეიძლება მომეტებული მიმზიდველი ძალა ბავშვისათვის, რომ იგი ყოფილიყო მათთვის სავსე ინტერესითა და მეორეს მხრივ — მის შინაარსს წარმოედგინა არა ღირიბი მასალა ბავშვის გონების გასწისათვის და განეითარებისათვის“...¹ „ღედა ენის“ პირველი გამოცემისათვის ი. გოგებაშვილს ვერ შეუძარება საქმით მასალები ქართული მხატვრული ლიტერატურისა. ჩვენი გამოჩენილი პოეტების ლექსებში, საშუხაროდ, სრულებით არ მოიძებნება საბავშვო ლექსები“² — წერდა ი. გოგებაშვილი 1876 წელს³. ამ წიგნის პირველი გამოცემისათვის ი. გოგებაშვილს საქმოდ უსარგებლოა სულსახაბი მხატვრის იგავებით, რომელნიც ნაყლები ცვლილებებით შეიტანა სახელმძღვანელოში. ზოგიერთი სიტყვიერი ფორმისა, შეცვლილია და დაახლოვებულია თანამედროვე სამეცნიერო ქართულთან ისე, რომ ახალი შერჩენილია, ოღონდ ლექსი გასაგებია ბავშვისათვის. ი. გოგებაშვილს ორგანიზაციის შესწორება შეეძინა ს. ორბელიანის ტექსტში: „ჯერ ერთი თანამედროვე სახეს მიღვეს, ხოლო მეორეც, არ ხმარობს ისეთ სიტყვებს, რომლებიც მოზარდს ეთიერ შეხედულებას შეუცვლის. „ღედა ენის“ შეტანილია დ. გურამიშვილის ერთი ადრინდელი სწავლას ეწვეროში გატკობის შესახებ. ი. გოგებაშვილს შეუტანია ნ. ბარათაშვილის ლექსის „ღამქროლა ქარმან“ პირველი სტროფი, ოღონდ პირველი სტრიქონის პირველი პირში დალაგებული სიტყვები შევამე პირში გადუღანია, აქვე იღისა „გაზახუბი“ და ეინმე დადიანის ლექსი „დატყვევებული ჩიტი“, რომლის შინაარსი თავისუფლების ძალა და სიღიდე, თუმცა ლექსი მოკლებულია მხატვრულ სისაფივეს.

„ღედა ენის“ მეორე ნაწილისათვის ი. გოგებაშვილი უხედა სარგებლობს სულსახაბი ორბელიანის შემოქმედებით. იგავები მის გამოყენებული აქვს იმავე წიგნის დაცვით, როგორც პირველი ნაწილისთვის იყენებდა. აქ უკვე ჩნდება სხვადასხვა ქართველ მწერალთა ლექსები, შეტანილია მასალა ქართული ფოლკლორიდან.

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 2, 1954 წ. გვ. 10.

² იქვე.

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 5, გვ. 107.

² იქვე.

ქართულ მოვტოგან დიდი ადგილი აქვს დო-
შობილი აკაეს, რომელიც გულმოდგინედ თა-
ნამშრომლობდა ი. გოგებაშვილთან „დედა
ენის“ გამოცემაში. როგორც პავლე ინგოროყვა
აღნიშნავს „ეს ფაქტი დიდი ქართული პედა-
გოგის თანამშრომლობისა ქართული ნაციო-
ნალური სახელმძღვანელოს შექმნის საქმეში
მეტად საყურადღებო ფერცელაა წარსული
საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიი-
დან“¹. პ. ინგოროყვას ვარკვეული აქვს „აერ-
თხი ი. გოგებაშვილსა და აკაეს თანამშრო-
მლობისა, ზოგიერთი თარგმნილი ლექსი შეს-
რულებული ი. გოგებაშვილისაგან, შთარგმნე-
ლის ნებართვითა და დაკვეთით ახლად თარგმნა
აკაემ, ხოლო 1892 წელს „დედა ენას“ გამო-
ცემისათვის აკაემ ი. გოგებაშვილს მიაწოდა
ათი ლექსი, თუმცა უმეტესი ნაწილის თემაზე
იკარებს ჰქონდა დაწერილი ლექსები. ესენიც
მან აკაეს მისცა გადასამუშაებლად, ამ უკ-
ნასწავლამაც, როგორც პ. ინგოროყვა წერს,
ახალ მხატვრულ მღანში აყენდა ეს ლექსები
და ნამდვილი პოეზიის შექმნი გაანათა. მოუხე-
დავად ამისა, ი. გოგებაშვილმა აკაესისაგან გადა-
მუშაებულ ლექსს მაინც ზოგიერთი ცვლი-
ლებით შეიტანა თავის წიგნში. ეს ცვლილებე-
ბი გამოწვეული იყო პედაგოგიური მისახრე-
ბით, ისე, როგორც ი. გოგებაშვილმა არ შეი-
ტანა აკაეს რედაქციის ზეთი ლექსი, არამედ
ადგილი მისცა თავის რედაქციას, იმის დასა-
დსტურებლად, თუ როგორ შეცვალა აკაემ ი.
გოგებაშვილის ლექსის სახე. პ. ინგოროყვას
მოაქვს ნიმუში:

გოგებაშვილისა:

ჩემსა ბებნის თეთრი თხა ჰყავდა,
ბებნის გიჟნა მებრად უყვარდა

აკაესი:

ერთი თხა ჰყავდა ბებნის,
ნიშანიკორა, ნაცარა,
თავს ივლებოდა, უფლიდა,
უყვარდა წვერებ-ცანცარა.

აკაეს ლექსები ი. გოგებაშვილს საუკეთესო
მისაღად მიიჩნდა სახელმძღვანელოსათვის მათი
კონკრეტულობის, პოეტურობისა და სიმკვირ-
ცლისათვის. განსაკუთრებით, ბავშვებისათვის
დაწერილი თხზულებები, რომლებშიც გასაგე-
ბი, ნამდვილი ცხოვრებიდან აღებული სურა-
თები იყო გამოხატული ბავშვის ფსიქოლოგიის
კარგი ცოდნითა და შესაფერხ ენით. აკაეს
ერთ ლექსზე ი. გოგებაშვილი წერდა: „სამა-
ვიეროდ აკაეს პატარა ლექსი „ყმაწვილი და
პეკლა“ შემუშავდა ყოველი ღირსებში, რომე-
ლიც კი მოეთხოვება საუკეთესო საბავშვო

ლექსს... აკაეს ლექსი სწორედ ზედგამტრო-
ლი საბავშვო ეტრანლის დანიშნულებად.
იგი ადვილია, ფრიად ადვილი შესწავლად
ბავშვისათვის როგორც შინაარსით, ასევე
მით. იგი ხატავს სურათს, რომელიც ერთსა და
იმევე დროს საზრდოს აწვლავს გონებისაც (ი-
წინაობებს უპეკლის ცხოვრებას) და გულსაც...
აკაეს ეს ლექსი საუკეთესო საბავშვო ნაწარ-
მოებს შეადგენს და ნამდვილი მამაკალიტია...“¹

ი. გოგებაშვილი სახელმძღვანელოებს თან-
დთან ამდიდრებდა ქართულ მწერალთა შე-
პოქმედებით იმის მიხედვით, თუ ვინ რა მისა-
ლის მიაწვდიდა ბებნით, მაგრამ ყველას თავი
ცხრილში ატარებდა, აყუთებდა იმის მი-
ხედვით, თუ რამდენად შესაფერისი იქნებოდა სა-
ხელმძღვანელოსათვის. 1890 წელს იქამ ჯე-
ჯილში დაბეჭდა ლექსი „წიწილა“. ი. გოგე-
ბაშვილმა იგი შეიტანა „დედა ენაში“, მაგრამ
არა იმ სახით, როგორც ვაჟამ გამოაქვეყნა. ვა-
ჟას თქვამსტერ სტრიქონი ი. გოგებაშვილმა
თორმეტზე დაიფრანა, ლექსიდან ამოიღო

ღვირი წავიდა სისხლისა,
წალკა-მთა და ბარია,
არავეს გზა დათმობინა
და გადთელა მტკვარია.

ვაჟა ქობისაგან წიწილის მოტაცების სურათს
მეორეს უმატებდა, აღიერებს მას წიწილის
ღვირის მსგავსად წასული სისხლით, რაც გო-
გებაშვილს არ შეუტანია სახელმძღვანელოში
აღმათ იმიტომ, რომ ლექსის წამოთხვეული
ბავშვი ვერ დასწმუნდებოდა ასეთი პიპერბო-
ლით. ამიტომ შეამოკლა ი. გოგებაშვილმა იგი
და ლექსის ამბავი უფრო დააზუსტა: ქორმი
წიწილა წალიო, მისი თეთრი ბუმბული ველად
გაქონდა ნაყეს, ბებნის ეზოში კი კრხინა
ქვითინი ისმოდა, რომელსაც მოკეთებები მოსე-
ლოდნენ. ვაჟას უკანასკნელი სტრიქონები:
ცრემლი იქცევა ჭათმების, დიდი გლოვა და
ზარია, ი. გოგებაშვილმა შეცვალა ასე: ცხარე
ცრემლს ღვირდინენ ჭათმები, იღვა გლოვა და
ზარია.

ი. გოგებაშვილი თავლურს აღვწინებდა ქარ-
თული ენის სიწმინდეს, სახელმძღვანელოში
შეტანილი თხზულებებში იგი ჰყვებოდა დიალექ-
ტიკებს, ზოგად საქართველოს მოსწავლეთა-
თვის ქმნიდა იგი ენას. სწორედ ამიტომ უსწო-
რებდა იგი რადიელ ერისთავს ზოგიერთ ეთ-
ხურ გამოთქმას იმ თხზულებებში, რომლებიც
„დედა ენაში“ შექმნიდა. ზოგიერთ შემთხვე-
ვაში ამოკლებდა კიდევ ლექსს და ამბის მი-
თინარობისა უფრო კონკრეტულს ხდოდა. ასე
მოექცა ი. გოგებაშვილი ა. ერისთავის „მევე-
ნახის სიმღერას“.

1885 წელს დაბეჭდილი ი. დავითაშვილის

¹ აკაე წერეთლის ლექსები — კომენტარი, ტექსტის ისტორია, ქრონოლოგია, ა. წერეთლის თხზულებანი, ტ. 2, გვ. 720, 1941 წ.

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 2, 1954 წ., გვ. 26 — 27.

„ჯეჯილი“ საყურადღებო მასალა იყო „გოგებაშვილისათვის, მაგრამ ლექსში ზევი იხე-
 ვი ელემენტი იყო, რასაც მოსწავლე ვერ გაარ-
 კვედა, მაგ. „ნამგლებით ვარს გუგუევიან ბი-
 კები ჩემისთანაო: პეტრე, გიორგი, თევდორე,
 ზესო და აღმასხანაო“. შეიძლება ეს პიროვნე-
 ბები კონკრეტულ ადამიანს სახელებია, მაგ-
 რამ **ჯეჯილის** სიყვარულის გამოხატვისათვის კი
 სრულიად ზედმეტნი. ი. გოგებაშვილმა ი. გო-
 ვითაშვილის რვახატროფიანი ლექსიდან გააყე-
 თა მოკლე თხზულება და გლუხს კონკრეტუ-
 ლი, ლაონური სურვილი გამოათქმევინა.

ი. გოგებაშვილმა „დღეა ენა“ დაამყენა დე-
 ტუ მებრუნის ერთი ლექსით, რომელშიც გა-
 მობატელი სიყვარული მთელი საქართველო-
 სი, მთელი სამშობლოსი, ესაა „მე პატარა ქარ-
 თველი ვარ“...

„ბუნების კარს“ პირველ გამოცემას ი. გო-
 გებაშვილმა წარუმიღვარა გვიგრაფი: ავიწყ
 რომ სამშობლოს ენას ავიწყებდა და არც ავიწყს,
 ძლიერ კარგე რომ იყოს, ნაყოფს ვერ გამო-
 იღებს“. „ბუნების კარი“ სამშობლოს ენა იყო,
 ავი სწავლების შენაშე და მყოფივე წლისთვის
 იბიზნებოდა და მოზარდისათვის უნდა მიეცა
 სამშობლოს შესახებ ენციკლოპედიური ცოდნა.
 წიგნი ბავშვს ასწავლავდა საქართველოს ბუნე-
 ბას, სამშობლოს ენას, ელტურებს, წარსულს.
 აწმყოს... აძლევდა აუცილებელ ცნობებს გეო-
 გრაფიისა, ეთნოგრაფიისა. ქართული ლიტერატ-
 ურის მასალებიც ამ მიზნს ემსახურებოდა
 მაშინდელი საუკეთესო, მოწინავე ქართველი
 მწერლების თხზულებებით. წიგნის ხასიათი,
 მოსწავლის ასაკი, თანდათან მზარდი ქართუ-
 ლი ლიტერატურა და მისი დიაპაზონი ი. გო-
 გებაშვილს დიდ სარბიელს უქმნიდა. „დღეა
 ენასთან“ შედარებით „ბუნების კარი“ კაცუ-
 ლია არა მარტო მოკლეობით, არამედ მასალის
 სიუხვით, ნაირფეროვნებით, ლიტერატურულ
 მასალაში დაყენებული საკითხებით. დიდი აღ-
 გილი „ბუნების კარში“ ი. გოგებაშვილმა დაუთ-
 მთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რამდენ
 ერისთვის, ვრავლ ოსმელიანის შემოქმედუნ-
 ბას. წლებში განწავლობაში წიგნი ამდრო-
 ეისებრ ვებტანგ ოსტაინი, გიორგი ჭავჭავაძე-
 დელი, ცახელი, ნ. ლომოური, ე. ვაბაშვილი,
 ვაჟა-ფშაველა და მისი ძმები — თედო და ბაჩანა,
 ანტონ დურცელაშვილი, სილოვან ხუნდაძე, დეტრ
 მეგრელი, შიო არაგვისპირელი, ევან. ნინოშვილი,
 შიო ზღვიძელი, ფე. გომბატიანი, იოსებ შვი-
 დიშვილი და სხვანი. ლიტერატურული მასალის
 ქრონოლოგიური ჩარჩო XVIII საუკუნის იჭით
 აღარ შიდას, თანამედროვე მწერლობა უმბრვე-
 ლესი ჟურნალების ცენტრშია.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან ი. გოგება-
 შვილი იღებს ისეთ თხზულებებს ან თხზულებათა
 ნაწილებს, რომელნიც მამულის სიყვარულის
 უმწიველო განძობას, მამულისთვის თავისდაღე-

ბას, ეროვნული სულის გამოთხიზულებას უნდას-
 რებინა. „ძმობის, ერთობისა და თავისუფლების“
 იდეის მიტანა მოზარდის შეგნებამდე უცხოე-
 სათვის მედგარი ბრძოლა და სწავლებლს უფრ-
 თოლებული სიყვარულის გამოხატვა — იყო ის
 სურვილი, რომელიც ამოქმედდება ი. გოგება-
 შვილს და ამიტომაც ილიას თხზულებებიდან
 ისინი ან ისეთი ნაწილები შეტკონდა, რომელნიც
 ეროვნული ძალების შეკავშირებას და აღორძი-
 ნებას ემსახურებოდნენ. „მეფე დიმიტრი თაფ-
 დებუდიდან“ სახელმძღვანელოში შეტანილია ის
 ნაწილი, რომელშიც მოცემულია შეფის გადამ-
 ყვეტილება სამშობლოსათვის თავის დასადებად.

სოციალური უთანასწორობა, ქართველი გლე-
 ხების ყოფა ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი
 იყო, რომელსაც ი. გოგებაშვილი, დაბადებული
 და აღზრდილი გლეხობის წრეში, უნდა გამოხ-
 ურებოდა თავისი სახელმძღვანელოთი. ქართუ-
 ლი ადამიანს უიმედო ბედი, მუდამ მიწისკენ
 ცქარა, პირუტყვზე უარესი ყოფა საუცხოოდ
 იყო გამოხატული ილიას „უთნის დედაში“. ეს
 ნაწარმოები დიდი პროტესტის მატარებელი იყო
 იმ წესების წინააღმდეგ, რომელთაც მხარს
 უჭერდა სახელმწიფოებრივი წყობა. ილიას „რად
 მინდა ხმალი, თუნდ იყოს მკრელი, თუ სიმა-
 რისისთვის დამინდუნდება“ ისეთი მძლავრი
 პროტესტი იყო მონარქიული წყობილების წინა-
 აღმდეგ, როგორც მისივე „კაჟი ყანალი“, რომ-
 ლის ერთი ნაწილიც ი. გოგებაშვილმა შეიტანა
 „ბუნების კარში“.

ი. გოგებაშვილი მოზარდს აწვდიდა ისეთ
 თხზულებებს, რომ აღზარდა და განვითარებინა
 მასში სიყვარული სამშობლოსი, ეროვნული
 თვითშეგნება და გამოუმუშავებინა სიძულვილი
 ადამიანის პიროვნების შემწესვრელი წესების
 მიმართ და მიმართი სიყვარული დაჩაგრული მო-
 შისაღმი.

ი. გოგებაშვილმა ისარგებლა ილიას ისეთი ნა-
 წარმოებებით, რომლებშიც დაყენებულია სა-
 კითხი ადამიანის დანიშნულებებისა და სპოზადო-
 ებრივე სკეპტიციზმი მისი როლისა. „გლახის ნამ-
 ბობიდან“ ი. გოგებაშვილს აღებული იქნეს ის
 ადგილი, სიდაც მოცემულია უსაზღვრო სიყვარუ-
 ლი ადამიანისა. ადამიანის დანიშნულებასზე შე-
 გნება ილიას „დამაკვირდი“, ადამიანის, პოეტის,
 მოქალაქის როლს განმარტავს დეკლი „პოეტი“.
 სწავლა-განათლების აუცილებლობა და სკიპრო-
 ება, ოჯახის მხნედ მოკიდება, საქართველის
 ბუნების სიმდიდრე და სილალე („გლახის ნამ-
 ბობიდან“), „ითარაანთ ქერივიდან“ და „აპარდ-
 ლიდან“ — ყველა ეს გამოყენებულია „ბუნების
 კარში“.

ზუსთო ჩამოთვლილი მომენტები არანაკლებ
 სიძლიერითაა გამოხატული აკაკის თხზულებებ-
 ში. აკაკი, როგორც „თერგდალეული“, შრო-
 ბიერი ქვეყნის მდგომარეობით გულთთოქუ-
 ლი, მძლავრად ამღერდა ღირსიკაში და ეპოსში.
 აკაკის ალეგორიები მეტად ცხადად აჩვენებდ-

ნენ ქართველი ხალხის პოლიტიკურ ვითარებას. აკაის მუხა, დღის სიხდლით დაიწერა, წარმოსახვაში ჰქმნიდა საქართველოს თავისუფლებას. ასეთი ნართული თქმით ლაპარაკობდა პოეტი სინამდვილეზე. ი. გოგებაშვილმა „ბუნების კარში“ შეიტანა „სიზმარი“, რითაც აკაი საქართველოს ძლიერობის ნიშნად მიუთითებდა. ასეთივე მზიანა ჰქონდა ნაწილებს „თორინი ერისთავიდან“, „სათელადან“. მეტად მძლავრი ალუგორიული სახე იყო დატყუებული არწივი, რომელიც ოდესღაც იალბუხის წყერზე, ამაყი და თავისუფალი, იჯდა. მაგრამ რომელიც უძლურმართ ბუდის წყალობით ახლა ვალიამ იყო გამოკერტილი. აკაიმ ვამკვირვალ ალუგორიული ფარდის იქით დიდი პოლიტიკური სიტუაცია დანახა და აკაობამაც სიაშინებებით მოათავსა იგი წიგნში. არა ნაკლებ შეტყველი იყო პოლიტიკე. რად აკაის „დღეს მერცხალი შემოფრინდა...“

აკაის შემოქმედების დამახასიათებელი სატირული ტონი, მიმართული საზოგადოების გადაჯიშებული ნაწილის წინააღმდეგ, საუკეთესო დღეატიკური მასალა იყო სახელმძღვანელო სათვის. „აღელაყის მკოლნე“, „ბუდი გადაგვარებულისა“ კარგი ნიმუშებია აკაის სატირისა, როგორც მასალა წყვილი ჩვეების გამოსაშუშავებლად. მათში მოკმეულია ზედმეტ აღამიანთა ბუდი, ეროვნული გულტურადან ამოკარდნილთა არსებობის უზიზიზობა... აკაის თხზულებათაგან აკაობმა დიდი ადგილი მისცა ივანე აკაებს, აკაე ერთ-ერთი მხარაგმელი, უკეთ გამოშკეტებული იყო ქართული ცხოვრების შესაჭერისად კრილოვისა. კრილოვა და აკაიმ ცხოველთა და ბუნების მოვლენათა სხიით იდამიანთა ზნე-ჩვეულება, საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მხარეები გაიკუცეს. როგორც აღმზარდლობითი მასალა აკაობმა ისინი საუკეთესო თხზულებებად აღიარა და ბევრი მათგანი შეიტანა წიგნში.

ყველაზე მრავლად „ბუნების კარში“ რაოდენ ერისთავის თხზულებებია შეტანილი, განსაკუთრებით ისეთი ლექსები, რომელნიც ემსახურებიან პატრიოტული გრძნობის, გლეხობის ცხოვრების აღწერას. ქართველი გლეხის ჰიერ-ვარამი, მისი შიშის პატარა ნაწერი, ვაჟა და შინი ი. გოგებაშვილისთვისაც მტკივნეული იყო და ამიტომაც მან არ დაიშურა ადგილი, რომ რ. ერისთავის უშუალო ცხოვრების გამომახატული ლექსები ბევრი შეიტანა წიგნში. აქ ჩანს ი. გოგებაშვილის შესანიშნავი ინტელიცია მასალის შერჩევისა. ი. გოგებაშვილმა ხელი შეუწყო ქართველ მწეპალთა შემოქმედების ბოულარობას, მან მიიტანა უშუალო მომხარებლად იას, რაც ხალხის გონებრივ სიმდიდრედ იქცა. „სამშობლო ხევესურისა“ რომ მოაქცია ი. გოგებაშვილმა სახელმძღვანელოში, ეს ნიშანდა დიდი პედაგოგი. კური გემოვნებისა და დავიკრების უნარიანი გამომვლავნებას, ეს ლექსი ქართულ ლიტერატურაში რჩება როგორც წარსული დროისა და

ასლი ცხოვრების დამაყვამირებელი საუკეთესო ნიმუში¹.

გრ. ორბელიანის შემოქმედებების „სახელმძღვანელო“ არის ნაწილ-ნაწილ წარმოდგენილი „ბუნების კარში“, განსაკუთრებით ის ადგილები, რომლებშიც ისტორიულ პირობა დამსახურება არის ნაიკენები. პირველ ყოვლისა, ი. გოგებაშვილმა აქვე მამულის სიუვარულს მიიასირა უურადღება, რაც ილუსტრირებელია ლექსით „ქე, მამულო საუტრავლო...“ სახელმძღვანელოში შეტანილია ამ თხზულების ის ნაწილებიც, რომლებშიც დასახელებული არიან დავით აღმაშენებელი, თამარი, ქეთევანი, ბიძინა, შალვა და ელზნობარი, ვახტანგ საჯღმდებელი, რიფკლე, მათი გამირობა-საქმიანობა. გრ. ორბელიანის შემოქმედების დამახასიათებელი საქართველოს პეიზაჟი, რომლის პირზე პოეტი მომარაობასა და სიოცხლის ჩქეფას ხედავდა, იპურობს ი. გოგებაშვილი² ინტერესს. „ციცქარმა აღმოსავლეთი, ვარდისა ფერად შეღება“ და „საღამო გამოსალაშებისა“ ექსპრესიულობით, პლასტიკურობით, ბუნების ფერათა ცვალებადობით ისეთი მიმზიდველი იყო, რომ ი. გოგებაშვილს არ შეეძლო არ შეეტანა მოზარდის წიგნში გონების ეს ბრწყინვალე საზრდო.

XIX საუკუნის მწერალთაგან ი. გოგებაშვილი არჩევს ისეთ თხზულებებს, სადაც ან ქართველი ხალხის ბრძოლა აღწერილი არსებობისა და ტერიტორიის შენარჩუნებისათვის, ან მოკმეულია სწავლა-აღზრდის იდეები. ამ მხრივ ნ. ბარათაშვილის „ბუდი ქართლისა“ წარმოდგენილია ერცელე მეფისა და ალა-მამადის ბრძოლის ეპიზოდითა და არააკვის ხეობის აღწერით. ვახტანგ ორბელიანის ლექსებიდან აღებულია დამრიგებლობითი თხზულებები „ისწავლეთ ძინო“ და „ქაღც ის არის“, ნაწილი „ობლისა“ — თამარისა და არუსთაველის შესახებ.

გ. ჯალაღიდელის ლექსთან ი. გოგებაშვილმა შეიტანა „დღეს დარიგება“, რომელიც „ბუნების კარში“ დაბეჭდვის შემდეგ სახალხო სასოზღერო ლექსად იქცა. თხზულების იდეა მიმზიდველი იყო პედაგოგიური თვალსაზრისით და ამან განსაზღვრა მისი მოთავსება წიგნში.

სახელმძღვანელოში შესატან მასალას ი. გოგებაშვილი ერთხელ შემოვარებული პიანცობით არჩევდა. იგი უურადღებას ამახილებდა ისეთ თხზულებებზე, რომელთაც უფრო მჭლავრად შეეძლოთ ამა თუ იმ პოეტის გადმოცემა. უკეთ, ისეთ ნაწილებს იღებდა. ან ზოგიერთ შემთხვევაში ცვლიდა თხზულებების სათაურებს, მათ ტექსტს, როგორც უფრო მოთხდებოდა წიგნის ამა თუ იმ ნაწილში გათვალისწინებულ მასალას. არის შემთხვევები, როცა ი. გოგებაშვილი თხზულებებიდან იღებს ნაწილს.

¹ გასახსენებელია ე. გ. გამაშვილის მშვენიერა ფანტაზია „სამშობლო ხევესურისა და კმნა?“, დაწერილია რ. ერისთავის საიუბილეოდ 1895 წ.



ხშირად ნახევარს, ლექსებს შიგადაშიგ აკლებს 'ტროეებს'. ამას აყვებდა თავანჯარის შერწყმის მიზნით. ზოგიერთ ავტორს ი. გოგებაშვილი შედარებით იოლად ექცევა. ხშირად ცვლის კომპოზიციურ ელემენტებსაც, ასხეფერებს და თავისებურად აყვობებს. ზოგიერთის მიმართ თავმჯავებულა. ილია ქავთაძის თხზულებებში ყველანაე ნაკლები ცვალებადი განიცდებს აკიბის ზღვრი. ამისა მიზეზი ილიას სიტყვისა და აზრის ნაკეთიანობა და ლაგონურობა და მოღვაწის ავტორიტეტი უნდა იყოს. ი. გოგებაშვილი შემორკლი იყო ცენზურითაც მის სახელმძღვანელოს სიმკაცრით უკიდებოდნენ სამოქალაქო და საეკლესიო ცენზურა.

შედარებით მეტად არის შეყვლილი აკაიის შემოქმედლის ნიმუშები. ი. გოგებაშვილი ამოკლებს აკაიის ლექსებს, თუმცა შემოკლება არ გნებს აზრის სისრულეს; არის შემთხვევები სათაურთა შეცვლისა.

ყველაზე დიდი ცვალებადი, ოღონდ არა ტექსტის შეცვლის თვისაზრისით, არამედ ნაწარმოების დანაწევრებისა, განუტლია გრ. ორბელიანის „საღვთაგანადას“, რადგან სახელმძღვანელოს ისტორიულ ნაწილში განლაგებული მასალა ამ თხზულების ნაწილებითაა ილუსტრირებული. გრ. ორბელიანის მშენიერი „საღამო გამოსაღებისა“ ი. გოგებაშვილს შეუძლია, დაბეჭდილი მხოლოდ ლექსის პირველი ათი სტრიქონი, სათაურად აქვს „კავკასიონის შიგნი“, ეს თავრაცია გაკეთებულია იმიტომ, რომ აღებულ ნაწილში კავკასიონის ქედის შესახებაა საუბარი.

თეიმურაზ მეორის „ხილთა ბაასი“ შეტანილია „ხილთა ქების“ სახელით. ორმოცი სტროფიდან მხოლოდ ოცდაერთია მოთავსებული სახელმძღვანელოში. იაკობს არ შეუტანია ზოგიერთი ხილის ქება, სამაგიეროდ დაუმატებია წაბლისა და ზეთისხილის ქება, ამასთან, ზოგიერთი ქება ადგალშეცვლილია და თეიმურაზის თანმიმდევრობას არ იცავს. რამდენადაც ლექსი ნებს ამოღეს, იაკობი ქართული სიტყვების ჭველ ფორმის ახლითა ცვლის, მაგ. უნობით — მოხვევით, დაგაწილებით — შეგარცხვანებით და სხვ. საინტერესოა ი. გოგებაშვილის სტროფი, რომელიც მის მიუმატებია თეიმურაზის „ხილთა ბაასისათვის“, მაგ. წაბლის ქება:

წაბლმა სთქვა: ტრრფა ხილი ვარ მეტად დიდსა მითიაო,
სახლი მაქვს შიგან საჯღომი, სხვა არა მინდა სხვისაო,
ტანსა მაცვია მრავალი, შიგნით არ ცევა, თბისაო,
ნაჭვა სწადიანთ უოველთა ტრრფის და ლამაზისაო.

თეიმურაზ მეორის ლექსში და მის ვარიანტებში ეს ნაწილი არსადა, მასთანავე, იაკობს

იგი გაუმართავს თეიმურაზის სტილში, თუმცა კი ემჩნევა, რომ იგი არა XVIII საუკუნის პრეტერსტატი

გ. ჰალადილის ლექსს სახელმძღვანელოში „ღედის დარიგება“ ჰქვია და შეიძლება ეს სათაური უფრო მიზანშეწონილი იყოს; ლექსის ტექსტიც შემცირებულია, „ბუნების კარში“ უფრო დახვეწილია, მაგ. გ. ჰალადილის ლექსის ნაწილი:

ჯერ „ანი“ ჰყოთხეს და მერე „ნარი“,
მაგრამ ყველაზე უხეზარ უარია.
რაკი დარწმუნდნენ არა ვიცოდი,
შამინჯი ჯემით ვამიღეს კარი
და შიშხრეს; რადგან აქ არ ისწავლე,
სასწავლებელში წადი, იწვლე,
იქ ვიჩვენებენ შენ თვალის სვირს,
თუ ეს სიცილე არ მოიშალე.

იაკობისათვის, ცხადია, მიუღებელი იქნებოდა ასეთი ინტერეტაცია, რადგან სკოლისა და მის აღმზრდელთა მნიშვნელობაზე მას არ ჰქონდა ასეთი შეხედულება, როგორც „მოგონების“ ავტორს, სკოლა წააღების კერა არ იყო და არც თუ საჯღელის ადგილი ი. გოგებაშვილის შეგნებით.

ი. გოგებაშვილის ამ სახელმძღვანელოში ქართველი მოზარდი ეცნობოდა აგრეთვე რუსი და უცხოელი მწერლების შემოქმედებას, რომელთა ნიმუშები იბეჭდებოდა წლების განმავლობაში „ღედა ენასა“ და „ბუნების კარში“, მაგ. თხზულებები ესოპესი, ვიქტორ ჰიუგოსი, ლეგ ტოლსტოისა, ივანე კრილოვისა, ივანე ტურგენიევისა, კონსტანტინე უშინსკისა და სხვა.

ასეთი იყო ის პრინციპული პედაგოგიური და ლიტერატურული საფუძვლები, რომელიც ეყრდნობოდა ი. გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელოებისათვის ლიტერატურული მასალის შერჩევისას. ი. გოგებაშვილი გრძნობდა დიდ პაუზისმგებლობას თეიმურაზის აზრის აღზრდის საქმეში, იგი განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა შესარჩევ ლიტერატურულ მასალას, ეყრდნობოდა ფორმითა და შინაარსით გამორჩეულ თხზულებებს. თუ ერთის მხრით იგი მხატვრული ნაწარმოებებით ეარგ ილუსტრაციას ავითებდა თავისი სახელმძღვანელოების სხვადასხვა კონცენტრებში გათვალისწინებული მასალისა, მეორეს მხრით ზელს უწყობდა ქართველ მწერალთა შემოქმედების პოპულარიზაციის, რაც მეტად მნიშვნელოვანი იყო მომხატვრული წყობილების მეორე ქართული წიგნის გაყრცელების შეზღუდვის ეპოქაში.

ი. გოგებაშვილი თავის იდეოლოგიას, საზოგადოებრივ ინტერესსა და პედაგოგიურ მიდრეკილებას ახვედრებდა იმ ლიტერატურული მასალის შერჩევასა და განლაგებაში, რომელიც ავსებდა და ამშვენებდა მის „ღედა ენასა“ და „ბუნების კარს“.



ქართველი ხალხის ისტორიული წარსული ი. გოგებაშვილის შემოქმედებაში

წარსული საუკუნის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის ი. გოგებაშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი იყო დიდი პედაგოგი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი, ამავე დროს ნაციონალურ-განმანათლებლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური და აქტიური მებრძოლი. ი. გოგებაშვილი მხარში ედგა დიდ ილიასა და აკაკის და მათთან ერთად იბრძოდა ქართველი ხალხის ეროვნული ღირსებისა და კულტურულ-ეკონომიკური ინტერესების დაცვად.

ამ ჯგუფს, როგორც ვიცით, განსაკუთრებულ ძალს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მიზნებში უხდებოდა მუშაობა და ბრალა. ეს იყო ჩვენში ცარიზმის სასტიკი რეჟიმი, როდესაც რუსეთის თვითმპყრობელთა სდევნიდა ვ. წ. „ინოროდცებს“, ჩაგრავდა მათ პოლიტიკურად და ეკონომიკურად, უკრძალავდა მშობლიურ ენაზე არა მარტო სწავლა-განათლების მიღებას, არამედ საუბარსაც კი.

ასეთივე დამცირებისა და სდევნას განიცდიდნენ ქართველებიც. ეს იდეოლოგიური იყო, რუსეთში მოსახლე ერებს შორის ქართველებში იყვნენ უძველესი ერი, რომელსაც ჰქონდა მდიდარი ისტორიული წარსული და ამხვე დროს თავისი საკუთარი ენა, დამწერლობა და დიდი კულტურული მემკვიდრეობა. ამიტომ გარუსების პოლიტიკა უკრძალავდა მისი მებრძოლ მწვევე ხასიათს ატარებდა. ცარიზმის აგენტები უველა ზომის იყენებდნენ ქართველი ხალხის გადასავარებად: სკოლებში, დაწესებულებებში თუ თავიანთი გაბატონებული იყო რუსული ენა, ქართული ენა კი იღვევებოდა და სკოლებში არ ისწავლებოდა, თუ სდმე ასწავლიდნენ, იქვე არ იყო საკვლავებული.

ბავშვის ქართულად, მშობლიურად აღზრდა პოლიტიკურად საშიშროებას წარმოადგენდა და ასეთ აღზრდილს ვასაქანი არ ჰქონდა იმდროინდელ რუსეთის იმპერიაში. ასეთ მიზნებში ქართველი ახალგაზრდობა იდგა ვადაგებობისა და გარუსების გზას და ქართველი ხალხის არსებობას მოელოდა ეროვნული განსაცდელი.

საქირო იყო ამ უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლა, მკვრამ ეს ბრძოლა არ იყო იდეოლოგიური, იგი თავგანწირვასთან ერთად მოითხოვდა დიდ საფრთხილსა და წინადახედულებას, რადგან,

მეფის რეჟიმი ასეთ მებრძოლებს სასტიკად უსწორდებოდა. ამიტომ საქირო იყო ფრთხილი და შეინიღებული მოქმედება, კლმის მიმართულებით და მწერლობის საშუალებით ნაციონალურ-განმანათლებლებელი იღვევების შეტარება ხალხის თვითგამორკვევის საქმეში.

ასეთ მებრძოლთა მესვეურები იყვნენ: ა. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ი. გოგებაშვილი და სხვ.

აკაკი თავისი მომხიბლავი ლექსებით ცდილობდა ქართველთა გულში გაეღვივებინა სამშობლოს სიყვარული და პატიოტული გრძნობა. ილია პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში მოუწოდებდა ქართველებს ეროვნული თავისუფლებისაკენ. იაკობმა კი თავისი კალამი მოიმარჯვა ნორჩი, მოზარდი თაობის პატიოტულად აღზრდის საქმისათვის. ი. გოგებაშვილმა, როგორც დიდმა პედაგოგმა, კარგად იცოდა, რომ თავისუფლებისათვის ამ ბრძოლაში მთავარი იყო ახალგაზრდობის პატიოტულად აღზრდა და სასკოლო ასაყდრებე მშობლიური ენისა და ლიტერატურული წარსულისადმი სიყვარულის ჩანერგვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი იყო გადაგვარებული მოზარდი თაობის გათვითცნობიერება და სამშობლოს სიყვარულის ჩაფერფლილ გრძნობაზე ზემოქმედება პატიოტულ ლექსითა თუ პროზით.

ი. გოგებაშვილმა დიდი სწორედ გუბი და ნაციონალ-განმანათლებლებელი ბრძოლის სტრატეგია გადითანა მოზარდი თაობის სამყაროში. სწორედ ამისა ი. გოგებაშვილის დიდი ღვაწლი და დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე.

რა არის სამშობლოს სიყვარული და როგორ ესმის იგი ი. გოგებაშვილს?

ამაზე ი. გოგებაშვილი იძლევა ასეთ განმარტებას: „მას, ვისაც სიციცხლის უმოთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ეინც თავგამოიდებულად და შეუპოვრად ებრძვის დუღალავად ყოველ დამპყრობებს, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე გადალობებდა, ვისაც მთლიანად დაკარგულად მიჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ვედავის გული მამულის ტანჯვითა, უხარის

მისი ლტენითა, ეინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურობით და ეინც უნად არის ღმერთი შესწაროს მას თავისი სიკაცებე“¹.

მამულის ასეთი სიყვარული, იაკობის აზრით, ბავშვობიდან უნდა ჩაუნერგოთ ადამიანს. ამისათვის კი საჭიროა გავაყნოთ მას სამშობლოს გოგამაფია, ისტორია და ლიტერატურა. ი. გოგებაშვილი სამართლიანად უმბრატყობს ამ ქვეს ისტორიული წარსულის ცოდნას. იგი ამბობს: „ისტორიულ მოთხრობებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაში საუკეთესო მამულიშვილის მხურავლე სიყვარული თავისი ქვეყნისა, თავისი სარგებლობის დაეწევა მისი სიყვითისთვის და თავდადება მამულის ბედნიერებისათვის, უბირველეს დონისძიებად ირიცხებიან ჩასაწერად და აღსაზრდელად მოზარდი თაობის შორის მაღალი ზნის პრინციპებისა“².

ამის გამო ი. გოგებაშვილი ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის ვაცნობა-შესწავლას აქტუალურ მნიშვნელობას აძლევდა ზვენი მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში, რომ ახალგაზრდობა პატრიოტიზმიდანვე გამსჭვალულიყო თავისი ხალხისა და სამშობლოს სიყვარულით. ამის გარეშე, ჩასაკვირველია, ძნელი იყო სიზარტლიან და კაცობრიობისათვის თავდადებადელი მებრძოლი ახალი თაობის აღზრდა; მით უმეტეს, რომ ქართველი ხალხის ისტორიული წარსული მდღერია პატრიოტიზმისა და თავდადების ეპიზოდებით.

თავითონ ი. გოგებაშვილი, როგორც ნაციონალურ-განმთავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მებრძოლი, თავის ლიტერატურულ შემოქმედებაში უხვად იყენებდა გმირულ ეპიზოდებს საქართველოს ისტორიული წარსულიდან. მაგრამ ი. გოგებაშვილი არ არის წარსულის ბრმა დაყვანისმცემელი, მას არ სურს წარსულის შემობრუნება, მისა მიზანია წარსულის ვაცნობით არსებულის ვარდაქმნა, რომ წარმოქმნას ახალი, კულტურულ-ეკონომიურად დაწინაურებული, თავისუფალი საქართველო.

ასეთი პრინციპით ხელმძღვანელობდა იაკობი, როდესაც იგი საქართველოს ისტორიის ფიქტიურ მასალას ამუშავებდა საბავშვო ასაკისათვის გასაგები ენითა და თხრობით. ამ ისტორიული ხასიათის მოთხრობებში იაკობი ცდილობდა მოზარდ თაობაში ვანგმტყევიბინა პატივისცემა წარსულისადმი, შეურთებლობა არსებულ უფლებართობისადმი და ბრძოლა უკეთესი მომავლისა და თავისუფლებისათვის.

აი, რა მაღალი ზნეობრივი პრინციპით ხელ-

მძღვანელობდა ი. გოგებაშვილი, როდესაც მან ხელში აიღო „ქართლის ცხოვრება“ რომ ვაცნობოდა ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს და ეს წარსული მხატვრული ნაწარმოების სახით მიეწოდებინა მოზარდი თაობისათვის. მაშინ ეს აჩუ ისე იოლი საქმე იყო, მით უმეტეს, საქართველოს ისტორია არ იყო საფუძვლიანად შესწავლილი და არც არსებობდა სათანადო სახელმძღვანელო, რომ ი. გოგებაშვილს ესარგებლა. ამის გამო, მას პირდაპირ უხდებოდა ქართული საისტორიო წყაროების ვაცნობა და მასალის ვადამუშავება.

იაკობმა პირველმა გამოიყენა საქართველოს ისტორიული წარსულის მასალები საბავშვო ლიტერატურაში. მან ამ მხრივ მოგვცა საქართველოს ისტორიული წარსულის სანიმუშო კონსპექტი, რომელიც დართული აქვს მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოს — „ბუნების კარი“ ასეთი სათაურით: „მოთხრობები საქართველოს წარსულიდან“¹.

ი. გოგებაშვილი ამ მოთხრობას იწყებს უძველესი დროიდან და რომ ვანუმართოს ბავშვებს თავიანთი გვარტომობა, ასე მოუთხრობს: აჩვენ ვიცით, რომ ვველა ქართველი ბავშვი დედ-მამისაგან იზადება. ეს ღელვამა ვილასაგან დიბადა? რასაკვირველია, თავის დედ-მამისაგან, ამ უკანასკნელსაც თავისი შრობები ჰუედათ. ასე რომ ვიართო წარსულისაგან, ბოლოს შივალთ იმ პირველ ქართველ დედ-მამისთან, რომელთაც თავდაპირველად წარმოშობეს ქართველები.

პირველ ქართველს თუჩუე ქართლოსი ერქვა და ამის გამო მის შთამომავალთ დიერქვათ ქართველები. თავდაპირველად ქართველები შროლოდ ერთ დიდ ოჯახს შეადგენდნენ. შემდეგში ამ სახლობამ იბარტყა, მრავალად და ბევრ სახლობად ვადიქვა. ქართველებმა თანდათანობით დაისაუთურეს ის მიწაწყალი, რომელსაც საქართველო დიერქვა“.

ასე მარტივი ენით ვადმოსცემს ი. გოგებაშვილი ბავშვებს ლეონტი მროველის კონცეციას ქართველთა წარმოშობის შესახებ. თავდაპირველად, ამბობს იაკობი, საქართველო დამოუღიო იყო სამამისახლისობად, შემდეგში მამისახლისობა ვაქქმა და მეფობა დაწესდაო.

რა მიზეზით მოხდა ეს? კითხვას სეაშს იაკობი და კითხვაზე იქვე ასეთ ვანმარტყბას იძლევა: „საქართველოს ვარშემო სხვა სახელმწიფოები არსებობდნენ. ამ სახელმწიფოებში დაწესებულები იყო ერთმთავრობა ან შეფობა.

მეფე იყო ერთად ერთი ვამგე მეფეს სახელმწიფოსი, ის თავის ნებაზე შეპირებდა

¹ ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, II, III, 83.

² ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, II, 33, 175, თბ. 1940 წ.

¹ ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი (შესაშე და მეოთხე წლისათვის), თ. ა. 1912 წ., გვ. 549—611 (26 ვამოტყმა).

ჯარს და უცებ შემოესვოდა საქართველოს. მანამ მამასახლისობის შეიკრიბებოდნენ და განკარგულებას მოახდენდნენ, მტერი აიკლებდა ჩვენს ქვეყანას.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ქართველებმა მოიწადინეს მამასახლისობის გაუქმება და დაეწესებინათ ერთმეფობა. მაგრამ არც კი ამან ქვეყანას? — სვამს კითხვის იაკობი. — მართალია, ამბობს იგი, ერთობისათვის და ვერაშე მტრის მოგერიებისათვის ერთმეფობა უკეთესი გამოდგა მრავალ მამასახლისობაზე, მაგრამ სამეფოროდ ეს არ მოუხდა ხალხის თვითმმართველობას.

მეფეებმა თანდათანობით წაშორებულს ხალხს საარჩევნო უფლება და თვითონ დაიწყეს დანიშნვა მოხელეებისა და მამასახლისებისა. კანონის დადგენაც და გამოცემაც თვითონ მითვისეს, მაგრამ ხალხი ამ შევიწროების შეურთავდა, რადგან გარეშე მტერს მეფე უფრო მარჯვედ აცხადებდა*.

აი, ისეთ მართებულ შეხედულებას უნერგავდა ახალგაზრდობას იაკობი მეფეების მიერ ხალხის უფლებების უზურპაციასა და ძალმომრებობაზე და ხალხს უსვამდა დემოკრატიული წყობილების სამართლიანობას.

მეფეების მოღვაწეობის შეფასებისას ი. გოგებაშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქართველებს ბევრი მეფე ჰყოლიათ. მაგრამ ესენი ხალხს ახლა თითქმის ყველა დაიწვებული ჰყავს.

ქართველი ხალხი იხსენიებს და აღიღებს მხოლოდ იმ თავის მეფეებს, რომელნიც დიდ ქებას და მამაცობას იხენდნენ, მტერზე ბრწყინვალედ იმარჯვებდნენ, კაცთმოყვარეობით იყვნენ შემეყლნი, ხალხზე ზრუნავდნენ, მის თავისუფლებას ნაკლებად ავიწროებდნენ და განათლებას პოულობდნენ მის შორის. ასეთები იყვნენ: პირველი მეფე საქართველოსი ფარნაოზი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დიმიტრი თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე და ერეკლე II*.

ამ ისტორიული პირების მოღვაწეობის ვალმოცემის დროს ი. გოგებაშვილი განსაკუთრებით აღნიშნავს მათ გმირულ საქმიანობასა და სამშობლოსათვის თავდადებას, რომ მათი სომავალითი ცხოვრება მისამაძი იყო მეთხველი ახალგაზრდობისათვის. ყველაზე დიდ შეფასებას იაკობი აძლევს ვახტანგ გორგასალს, რომელმაც დააფუძნა თბილისი და გმირულად დაიღუპა სამშობლოს თავისუფლებისათვის სპარსელებთან ომში.

საქართველოს ისტორიის თხრობისას იაკობს ყველა მთავარი პერიოდი აქვს სათანადოდ აღნიშნული და შეფასებული. არაბთა ბატონობამ და მურვან ყრუს ლაშქრობამ, — ამბობს ი. გოგებაშვილი, — საქართველო აიოხრა, განსაკუთრებით სარწმუნოებრივმა დევნამ ქართველები აიძულა მათთვის შემდგარი წინააღმდეგობა გაეწიოთ იყვნენ არაყრუნი მძაფრესი დაეითი და კონსტანტინე, რომლებიც უკეთესად შეებრძოლნენ მტრთან ყრუს და თავი შესწირეს სამშობლოს თავისუფლებას*.

იაკობმა კარგად იცოდა, რომ სამშობლოს დიდებისა და დამოუკიდებლობის დაცვაში, ხმალიან ერთად არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა კალამსა, რომელიც ემსახურებოდა ხალხს ელტერული დაწინაურების დიად საქმეს. ამიტომ იაკობი ვრცლად მოგვითხრობს „ივერიის“ მონასტრისა და იქ მოღვაწე პირების: იოანე, გაბრიელ, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელის დიდ ამავს სამშობლოს წინაშე: „ამ სასრქადლო შესხეთის შეილთა, — ამბობს ი. გოგებაშვილი, — შშენიერად იყოდნენ ქართლის გარდა ებრაული, ბერძნული და არაბული ენები, იყვნენ ღრმად განსწავლულნი, შეთვისებული ჰქონდათ ფილოსოფიაც, საეცხოოდ სწერდნენ და თარგმნიდნენ, ესლაც განცვიფრებაში მოჰყავს მკვლევარი მათს წმინდა, უნაკლებო ქართულ ენას, მათს დაუღლავს შრომას და სიუყარულს ქართული მწიგნობრობისას“.

ამ მავალითი იაკობი იხსენიებს ახალგაზრდობა და მოუთითებდა მათ მიუბამათ მთაწმინდელისათვის სამშობლოს ელტერულად დაწინაურებაში.

საყურადღებოა, რომ თხრობის დასასრულს ი. გოგებაშვილი, შთაბეჭდილების გაღრმავების მიზნით, მიმართავს პედაგოგიურად გამართლებულ სერკს და თვამსთან დაეკუშირებით მოჰყავს რომელიმე ლექსის თუ პოემის ნაწყვეტი.

მივალითად, ივერიის მონასტრის მნიშვნელობა და თორნიკეს ღვაწლი, ამბობს იგი, დავიხატა აკაკი წერეთელმა თავის პოემაში „თორნიკე იკისთავი“. და აქვე მოჰყავს ნაწყვეტი ამ ნაწარმოებიდან.

საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ხანის — XII საუკუნე. შესახებ ი. გოგებაშვილი, კონკრეტულ ფაქტებზე დამყარებით, მოგვითხრობს დამაჯერებლად, ქმნის ისტორიულ პირობა მიმოხილვულ სახეებს, აღნიშნავს მათ სავირო საქმეებს, მაღალ შორალსა და პოლიტიკურ ნიჭს. დავით აღმაშენებლის დახასიათებაში იგი აღნიშნავს დავითის ჰემანთრობის სარწმუნოების თავისუფლების საკითხში, ავრთვედ დემოკრატიული იდეების შეტანას საეკლესიო უწყებაში.

თამარის დახასიათებისას ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ თამარი იყო კაცთმოყვარე, მან მოსპო სასჯელი სიყვდილით და დასახიჩრებით. საზოგადოდ მეფეებს ი. გოგებაშვილი უმთავრესად აფასებს მათი ჰემანთრობისა და სამშობლოს დაცვაში გმირობის მიხედვით.

საზოგადოდ მეფეებს ი. გოგებაშვილი უმთავრესად აფასებს მათი ჰემანთრობისა და სამშობლოს დაცვაში გმირობის მიხედვით.

მონღოლთა შემოსევას საქართველოში ი. გოგებაშვილი ასე იწყებს: „დიდ ამაღლებასა თამარის მეფობის დროს მოჰყვა დიდი უბედურება, საქართველო მონღოლებმა ხელში ჩაიგდეს. მონღოლებმა შეიგნეს საიდ იყო საქართველოს მონღოლის სათავე დათვი აღმამწებლისა და თამარის დროს და მოიწადინეს დაეშროთ ეს სათავე. მტკიცე ერთობა და ძმობა ყველა ქართველთა შორის — იმ სათავე საქართველოს ძლიერებისა. მაშინ მთელი საქართველო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ერთს შეკონილს საბელმწიფოს შეადგენდა, ემორჩილებოდნენ ერთ მეფეს, ქონდნათ ერთი სატახტო ქალაქი, თანხმობა და სიყვარული.“

მაშინ საქართველო მოვაგონებდათ იმ მაგრად შერტულს ისრების კონას, რომელსაც ერთმა ძლიერმა ღეფემ ვერადერი დააკო, ვიდრე არ გზისა და არ გააქალკევა და იმ მონღოლებიც ამ განცალკევების გზას დაადგნენო.“

ი. გოგებაშვილის ამ თხრობაში ნათლად არის გადმოცემული ის მთავარი მიზეზი, თუ რამ გამოიწვია საქართველოს დაქვემდებარება მონღოლთა ბატონობის ხანაში. ამავე დროს იაკობი აღნიშნავს, რომ ქართველები ვერ ურდებოდნენ მონღოლთა ბატონობას და მათს წინააღმდეგ აწუიბდნენ შეთქმულებებს. რაც მოთხოვდა გმირობასა და თავგაწირვას. ასეთი იყო დამიტირი თავდადებული, რომელიც ამბობს: „მტერი ძლიერია, ჩვენ ეი სუსტი ვართ. ბაძალა შეუძლებელია. მსხვერპლი კი აუცილებელია. ამიტომ მე გადაწყვიტე წაივდე მონღოლთა მტრძანებელთან, მივიღო მისგან სიყვდილი და ამით ავიცილო ხალხის დიდი უბედურებაო.“

იაკობი აფასებს შეფის ბრძნულ გადაწყვეტილებას და სამშობლოსათვის თავდადებას და, რომ მკითხველში შთაბუძლილება უფრო გააძლიეროს, იქვე მოჰყავს ნაწევები ილიას პოემიდან — „დამიტირი მეფე და მღვდელმთავარი“.

ი. გოგებაშვილს შემთავებელი ჰქონდა მტკიცე რწმენა ქართველი ხალხის გაუტეხელობის შესახებ დამპყრობელთა წინაშე და ამ რწმენით იგი ამხნევებდა და ასულდგმულებდა მომავალ თაობას, რომელსაც იგი თემურ-ლენგის შემოსევაზე ასე მოუთხრობდა: „თუმცა შვიდჯერ განიმეორა შემოსევა, მაგრამ ვერ დამარჩილა ჩვენი ქვეყანა, რომელიც თავგანწირული იბრძოდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ეს ხანგრძლივი ბრძოლა ცხადად გვიჩვენებს, რაოდენი ძალ-ღონე ტრიბუნდა კიდევ მასში. ამ ძალ-ღონის მიზეზი იყო მტკიცე ძმობა, მჭიდრო კავშირი და ერთობა იმერ-აშერთაო.“

იაკობი ყველგან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძალა ერთობაშია და იგი ცდილობს ეს ერთობის იდეა ჩაუნერგოს ახალთაობას, განუტკიც-

ოს მას რწმენა თავისუფლებისათვის ბრძოლასა და საბოლოო გამარჯვებისადმი.

მაგრამ XV საუკუნიდან დაწყებული დამპყრობლები შინაც ახერხებენ საქართველოს ამ ერთობის ჩაშლას, ქვეყნის დახმარებასა და დაქვეითებას. ი. გოგებაშვილი საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, გამოყოფილი აქვს ცალკე სათაფროთ... „დანიშნულება საქართველოსი და მისი დაქვეითება“ და ასე ახასიათებს: „საუბედუროდ მტერთა ვერაგობამ და შინაურმა ურედმართობამ ხელახლა ბოლო მოუღო ქართველთა ერთობას. ამასთან ერთად ჩაიკეცა შვე საქართველოს სიძლიერისა და დადგა მწუხრი მისი დაქვეითებისა, უძლიერებისა, დაძაბუნებისა.“

ძმობა ქართველთა შორის მოისპო, ერთობა გაჭრა, მაგრად შერტული და გაუტეხელი კონი ერთგუნებისა დიშალა და აღვილი სალექი გახდა მტრისაგან.“

ამაზედაც არ შეჩერდა უბედურება, მძებმა, რომელიც დახვეული იყვნენ საერთო ბრძოლას მტერთან, ახლა ერთმანეთს დაუწყვეს ბრძოლა, გახშირდა შინაური შფოთი, ძმებს შორის სისხლის ღვრა.

თითქმის სამას წელწინას ასეთს უკიდურეს გაჭირვებაში იყო, როგორც აღმოსავლეთი საქართველო, ისე დასავლეთი. მართალია, მონღოლის უღელს არ ემორჩილებოდნენ, ხშირად ურედავდობდნენ მტრის თავგანწირვით ებრძოდნენ და ხან კიდევაც სძლეოდნენ, მაგრამ დამოუკიდებლობას კი დიდი ხნობით ვეღარ იბრუნებდნენ, რადგანაც ცალკე იბრძოდნენ და არა ერთად.“

იი, ასეთი გულისტკივილით მოუთხრობდა იაკობი მოზარდ თაობას სამშობლოს სავალალო მდგომარეობაზე სპარსეთისა და ოსმალეთის ბატონობის ხანაში.

მაგრამ ი. გოგებაშვილი არც ამ შემთხვევაში უძლევდა სასოწარკვეთილებას და აღნიშნავს, რომ მშობლიური ქვეყნის, მისი კულტურის დასაცავად ამ დროსაც იყვნენ თავდადებული გმირები და მათ შორის ასახელებს ვახტანგ მეექვსესა და ერეკლე მეორეს.

„მე-18 საუკუნეში, ამბობს იაკობი, საქართველოს წყვედილი გაანათა ერთმა საიმედო სხივმა, ეს იყო ქართველი მწიგნობრობის ვალ-იქება და აქორძინება, ერთ-ერთი უმბარი წამალი ამ განცალკევებისა, რომელიც აუძლიერებდა საქართველოს. ქართველების ერთობა მოისპო მას უკან, რაც განათლება ჩაჭრა ზვეს ქვეყანაში ველურ მტრათა ხანგრძლივი ბრძანებლობის გამო. მაშასადამე, ამ ერთობის აღდგენა შესაძლებელი იყო მხოლოდ მიმჭარბა განათლების გავლივებით. ანუებით. ეს ყარგად ესმოდა ზოგს შორსმჭერტულ ქართველს და გულმოდგინეთ შეუღგნენ განათლებას საქმეს.“

ამ მოძრაობის სთავაზუმი ჩუღდგა მეფე ქართლისა ვახტანგ VI, ნიჭიერი, სწავლული და ფრიალ მხნე მეფე“.

როგორც ვხედავთ, ვახტანგ VI დახსიათებაში ი. გოგებაშვილი მიუთითებს ახალგაზრდობის განათლებისა და მწიგნობრობის მნიშვნელობაზე. რასაც იგი სთვლის ერთგული ერთობის ერთ-ერთ მთავარ ძალად და საშუალებად.

ი. გოგებაშვილი განსაზღვრებული სიყვარულით მოგვითხრობს ერეკლე II გმირულ თავდასაჯელზე. იგი იტყობება იერეკლეს პირადი ღირსებითა და ჭკუით, განსაზღვრებით სამშვედრო ნიჭით. და მას ასევე ახსიათებებს: „ვახტანგ გორგასალისა, დავით აღმაშენებლისა და თამარის შემდეგ ქართველი ერთი უდიდესი თავანისციემით იხსენიებს ერეკლე მეფესა, ხალხის თვალში ერეკლე გაჯეროვულია საოცარი გმირის შარავანდედით. მისი მეფობა შეუჩაღებელი და ძლევა-მოსილი, ბრძოლა თავის ხალხის დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისათვის“...

ი. გოგებაშვილი დიდი პატიოტული გრძნობით ვაძმოგვეყვამს ერეკლე II ბრძოლას ასპინძალთან I.

„...ერეკლე — ამბობს ი. გოგებაშვილი, — არ შეუშინდა თურქთა ძლიერისა და მრავალრიცხოვან ლაშქარს. მან კარგად იცოდა, რომ ბრძოლაში გამარჯვების საწინდარი სამართლიანობა და მშველელი სიყვარული და ერეკლემ ასე მიმართავს თავის ლაშქარს: „ჩვენ ან უნდა ვავიშარჯვით მტერზედ, ან შთლიანად დავიხოცნეთ. ისე დაბრუნებაჲი საშწიმლოში ზევნთვის თავზე ლაფის დასხმა იქნება. რა უნდა უფხრათ ჩვენს დედებს, ჩვენს ცოლებს, ჩვენს დეებს და შთელს ქართველობას, როცა ხელცარიელი დაბრუნდებით, ვანა ამისთანა ლაჩრობა ქართველებს შეუფერის? არა, ძებო, ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც წინეთ მოიქცეულვართ, როგორც შეუფერის ქართველთა მიამცობას და ვაეცაიკობას. წინ და არა უკან“.

ი. გოგებაშვილი ერეკლეს ურთიერთობას რუსეთთან დადებითად აღსაქმს და საქართველოს რუსეთთან დაკავშირება პრაგმატულ მოვლენად მიაჩნია, „თავისი იმედი, ამბობს იაკობი, ერეკლემ დაამყარა რუსეთზედ სამი საფუძვლის გამო: იგი იყო თუმცა ახალგაზრდა, მაგრამ ჯარით ძლიერი სახელმწიფო, რუსნი აღარებდნენ იმავე შართლმადიდებელ სარწმუნოებას როგორც ქართველები და ამ მხრივ არავითარი შიში არ იყო; ძველი დროიდან საქართველოს მუდამ მეგობრული ვაწყოებითა ჰქონდა რუსეთთან და არც ერთხელ არ

მომხდარიყო ქართველების შეტყუება რუსეთთან; ქართველი ერთი ყოველთვის სასურველი იქნებოდა ჩრდილოეთისაკენ მიმავალ ელოდ ძმურ დახმარებას“.

ი. გოგებაშვილი საქართველოს ისტორიის ამ მკაცრ კურსით არ კმაყოფილდება და წერს ცალკე ეპიზოდური ხასიათის ისტორიულ მოთხრობებს, რომელთა მიზანია შეიხვედრას ახალგაზრდობას გააცნოს სამშობლოსათვის თავდადებული ქართველების გმირობა და ეს გმირები გახადოს მათთვის მისაბამი. საუბრაღებოა, რომ ი. გოგებაშვილი სამშობლოსათვის თავდადების საქმეში უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ყველა წოდებას აერთიანებს, მიუხედავად მათ შორის კლასობრივი წინააღმდეგობისა, ისინი ერთად იბრძვიან მტრის დასამარცხებლად.

ი. გოგებაშვილი თავის ისტორიულ მოთხრობებში ღრმა ფსიქოლოგიურ განცდებით ვაძმოგვეყვამს თავდაცვითი ბრძოლის სამართლიანობას, უცხო დამპყრობთა ვერავინ და მათ წინააღმდეგ ბრძოლას ვანურჩველად წოდებისა ასეთი თვალსაზრისით აქვს მას დაწერილი თავისი შესანიშნავი მოთხრობის „თავდადებულნი ქართველნი“¹, რომელიც იწყება თვედორე მღვდელის თავდადებით. იგი შეიხვედრებს უფროდმა თათრებმა და სიკვდილის დამუქრებით მოსთხოვეს გზის ჩვენება. ამ განსაუბრების მომენტს ი. გოგებაშვილი ასე მოგვითხრობს: „თვედორე სწორედ ჯოჯობეთის ცეცხლში ჩავარდა. თუ თათრების ნებას დაჰყვებოდა მეფეს დაატყვევებდნენ, საქართველოს ააოხრებდნენ, სისხლითა და ცრემლით აავსებდნენ, თუ თვედორე უარს ეტყოდა და სამშობლოს ვერ გამოიმეტებდა, მას მოელოდა გამოუთქმელი ტანჯვა, წამებით სიკვდილი და დაობლება ცოლშვილისა, მესამე გზა ყოველად შეუძლებელი იყო, ან თავი უნდა შეეწირა ქვეყნისათვის, ან სამშობლო ენაცვლებინა თავისი თავისათვის“. თვედორემ თავი გასწირა, იგი თათრებმა აწამეს და მოკლეს. „ამით მან მოიპოვა, ამბობს იაკობი, ამისთანა სახელი, რომელიც ქებით, დიდებით და კურთხევით იხსენიება ყველა ქართველისაგან, ვიდრე დედა მიწის ზურგზე ჩვენი ერთი იციოცლებს“. ბოლოს იაკობი ამ მოთხრობას ამთავრებს ასეთი პათეტური სიტყვებით: „დალა, თვედორე მღვდელმა თავის თავზედ იციხა და დიდებულის რუსთაველის ლექსი: „სჯობს სიციოცლებსა ნაძარასსა სიკვდილი სახელოვანიო“.

ამას მოჰყვება მისი მეორე მოთხრობა „თავდადებულნი ანაჟური — იორამ ზედგინიძე, რომელმაც თავი დასდო და მეფე ვადაარჩინა შეთ-

1 ი. გოგებაშვილი, ასპინძლის ომი, თბ. 1895 წ.

ქელთა სიკვდილს და ამით იხსნა სამშობლო მტრის ოხრებებისაგან*.

მესამე მოთხრობა ეხება თავად ცოტნე დალიანის თავდადებებს. ი. გოგებაშვილის დახასიათებით, ცოტნე დადიანმა მონღოლთა წინააღმდეგ შეთქმულებაში ამხანაგებისადმი გამოიჩინა თავდადება და მათთან ერთად გაიზიარა ტანჯვა და წამება სამშობლოს თავისუფლებისათვის.

იაკობის ეს მოთხრობები დასტურავენბუღაათითოეული სურათი წარმოუდგენდა ნორჩ მკითხველს იმ ტანჯვა-წამებას, რომელსაც ქართველი ხალხი განიცდიდა უცხო დამპყრობლებისაგან.

იაკობის ამ მოთხრობებზე აღიზარდა მრავალი თაობა და არა ერთ ჩვენთაგანს განუტეოდა მძიმე წუთები მათი წაყთვის დროს. ყოველთვის თავაღწინ გვედგა თათრების შიგა თევდარტის წამების სურათი და ცოტნეს თავდადება მონღოლთა ბანაკში.

იაკობის ტკბილი ენით დაწერილმა ამ მოთხრობებმა ბევრს შეაყვარა შრობიური ისტორია და განუტკიცა ნებისყოფა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ასევე თავდადებას იჩენდა გლეხობა სამშობლოს დაცვის საქმეში. ი. გოგებაშვილი თავის ერთ მოთხრობაში — „სამასი თავდადებული გლეხი“¹ იფიქრებს კრწანისის ბრძოლას, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ერთი რაზმი — სამასი ფშავ-ხევსურისა და არაგვისპირელ გლეხებისაგან შეადგარი.

თმის დაწყების წინ, მოკვითხრობს ი. გოგებაშვილი — „ამ მეომრებმა შეფიცეს ერთმანეთს: თუ ბედმა გვიღალატა და ვერ დავძლიეთ მტერი, შერტყვნილი იყოს, ეინც ჩვენგან ცოცხალი თავით შინ დაბრუნდეს; ან ვამარჯვდება, ან სიკვდილი ბრძოლის ველზე! ეს ვაჟაკური ფიცი ვაჟაკურადვე შეასრულეს ჩვენმა რაზმელებმა.

როცა იუბაბეღმა სპარსელებმა სძლიეს პატარა ქართულ ჯარსა, არც ერთმა რაზმელმა მტრის ზურგი არ უჩვენა, არც ერთი არ შეუშინდა სიკვდილს, ყველანი ებრძოდნენ მტრის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და თავისი გმირული ხელი ყველამ ბრძოლის ველზე დაიღა, თბილისის ქვემოდ, კრწანისის ველზეო“.

ი. გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რომ გმირებს ზღადა გმირი დედები, რომლებიც შეილეს აჯანყებულ, იანაწასთან ერთად უმღერაიან გმირულ ლექსებს და ჭაბუკს რძისთან უნერგავენ მათ სამშობლოს სიყვარულს, მტრის სიძულვილსა და თავისუფლებისათვის თავდადებას;

დღეისა და სამშობლოს სიყვარული აღმართა ყველაზე უჭვირფასესი გრძნობა, რომელიც ოათიელ ერიისათაგმა ხევსურის მტრად ასე ვერ მოსთქვა:



„სამშობლო, დედის ძუბუი, არ გიცივლებს სხვაზედა, ორივე ტკბილია, მშობილო, მიჩნევის ორსაც თვალზედა“.

ასეთი გმირი ქართველი დედების აღსაზრდელად ი. გოგებაშვილი წერს საბავშვო მოთხრობას „ცხრა ძმანი ზერხეულძენი“². ამისათვის იგი იყენებს ხალხურ თქმულებას და ასე იწყებს: „სამასხს საქართველოს ჯარი ვადიდობა, განადა. სამიწელი ბრძოლა, ქართველნი თავგანწირულად იბრძოდნენ სამშობლის დაცვისათვის. მეტადვე საოცარ ლეიშობას, სამაგალითო ვაჟაკობას და საარაკო თავდადებულობას იჩენდნენ ცხრა ძმანი ზერხეულძენი, რომელნიც ერთად მხარდახმარ ებრძოდნენ მტერს, მაგრამ მეოთხე დღეს სპარსელებს ახალი ჯარი მოეშველათ და დაადულ-დაქანცულმა ქართველმა ლაშქარმა ვეღარ შეიკაო მტერი. ამ სამიწელის წამის დროს ძმანი ზერხეულძენი არამც თუ არ შედრჩენენ, არამედ ლომებად გადაიქცევი და უფრო მომეტებული თავგანწირვით იბრძოდნენ. თავდადებულნი ძმანი ერთიერთმანეთზე ზედ შეაკვდნენ მტერს და თავისი გმირული ხელი დაღიეს ბრძოლის ველზე.“

ხალხის თქმულებით მათი დედაც ბრძოლის ველზე იყო, ამხნეველდა მათ და როცა ერთ მის ვაჟს, სასიყვდილოდ დაჭრილს, ქართული დროშა ხელიდან გაუვარდა, დედამ აიღო დროშა და მეორე შეიღს მისცა ხელშიო“.

ისევე გმირულად მოიქცა ინგილო ქალი. ი. გოგებაშვილის მოთხრობაში — „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“³. ამ ინგილო ქალს სამიწლიად სძულდა დამპყრობელი სპარსელები, რომელთა შემოსევებით განადგურებულა იყო საინგილო. მან სპარსელების სიძულელით არ დაინდო მეფე ერეკლე, რომელიც ატარებდა სპარსულ ქუდს და მას ქლაიეები დაყარა, ეგონა სპარსების შიკოი. ამაზე ერეკლემ გულაწად გაღამაზაბარა, ამბობს იაკობი, მოიხალა სპარსული ქუდი და შესძახა ინგილო ქალს: „ყოჩად ქალო სრულიად მართალი ხარ, სპარსული ქუდი არ უნდა მუხუროს მე ქართულ მეფესო, გარეგნობითაც, ტანისამოსითაც ქართველი უნდა იყოსო, ბარაქალა შენ ქართულ ქალობასო“.

¹ ი. გოგებაშვილი, „სამასი თავდადებული გლეხი“ (მოთხრობები, თბილისი, 1940 წ., გვ. 163).

² ი. გოგებაშვილი, მოთხრობები, თბილ. 1940 წ., გვ. 67

³ „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, სახალხო მოთხრობა, თბ., 1897 წ.

ამ ინგილო ქალის ორი ვაჟი დაიხოცა კრწანისის ველზე გმირულად, ერეკლეს თვალწინ. დედას მალე მოუფიდა საინგილოში ამბავი, რომ შენმა შეილებმა გამოიჩინეს ვაჟაკობა და თავი შესწირეს მეფესა და საქართველოსათ.

ასეთ მძიმე წუთებში, იაკობის მოთხოვნით, ინგილო ქალი არ ვარდება სასოწარკვეთილებას, წინააღმდეგ ამისა, იგი ერთბაშად გამხრევდება, გამსჭვალება გმირული სულისკვეთებით და წამოითქვებს: „გმაღლობ, მხურვალედ ემიდობ უფალსა, რომ მან აღიხსა ჩემს შეილებს გმირული სიკვდილი, სიკვდილი სახელოვანი მამულიშვილებსა.“

მაგრამ ნუ ვაუხარდებით მტრებსა, დევის წვალობით შე კიდევ მყავს ოთხი ვაჟი და ორი ქალი. შე მათ დავზრდი უფრო უკეთესს, უფრო გულმხურვალე მამულიშვილებად და ისინი სხვა ქართველ დედების აღზრდილ მამულიშვილებთან ერთად გადაუხსიან მტერს სამაგიეროს და ჩვენს საქართველოს დააყენებენ ზედნიერ გზაზეთ.“

აჰ, ასეთი თავდადებული დედების აღზრდას ემსახურებოდა იაკობის კალამი და იგი ამ მიზნისათვის იყენებდა ქართულ საისტორიო წყაროებსა და ხალხური ზეპირსიტყვიერების მახალებს.

როგორც ვხედავთ, ი. გოგებაშვილი დროთაღმდეგად იყენებდა ქართული ხალხის ისტორიულ წარსულს თავის შემოქმედებაში, ემსახურებოდა სახელმძღვანელოებსა და საბავშვო მეთოდურ ნებში.

დიდი ი. გოგებაშვილის დეწლი საქართველოს ისტორიული წარსულის პოპულარიზაციაში, განსაკუთრებით მონარდ თაობაში, რომელმაც იაკობის ტყბილი ენით შეიყვარა მშობლიური ისტორია, იაკობის გულწრფელ თხოვნით ვაეცნო მის გმირულ წარსულს და იაკობის ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზით აათვისა მაღალი ზნეობრივი პრინციპები: წარსულისადმი პატივისცემა, საშობლოსათვის თავდადება, ადამიანის ღირსების დაფასება, მეგობრობა, გამბედაობა, გულწრფელობა და დემოკრატიული სოლიდარობა.

იაკობს ეს ამბავი დაუფასდა. დასახული მიზანი, ჩისთვისაც იგი წერდა და იბრძოდა, განხორციელდა და მის „დედა ენასა“ და „ზუნების კარზე“ აღზრდილმა თაობამ, დიდ რუს ხალხთან ერთად, იბრძოლა ცარიზმის სულთმშობელი რეჟიმის დასამხობად. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოუბოვა ქართველ ხალხს თავისუფლება და სოციალისტური წყობილების საბოლოო გამარჯვება.



მარალ უკვდავი

(იაკ. გოგებაშვილის ხსოვნას)

ბაღღებო, თქვენი ჭირბიფ,
იმედო ჩვენი ღვინისა,
იმღერეთ, როდი მოპყდარა
მომცემი „ღვინისა“.

შოი მღვიმელი

იაკობ გოგებაშვილს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის მე-19 საუკუნის ქართული საბავშვო ლიტერატურის შექმნაში.

იაკ. გოგებაშვილის მდიდარი მემკვიდრეობა ბევრჯერ გამოიცა, მის მრავალფეროვან შემოქმედებაზე ბევრი საინტერესო წიგნი თუ წერტილი დაიწერა და დაიბეჭდა, მაგრამ მასზე წერა ჯერ არ დასრულებულა და ვერც დასრულდება, რადგან მისი შემოქმედება მარად უწყვეტია.

იაკ. გოგებაშვილი, მარტო დღემდეცელი შემოქმედი, მგზნებარე ქურნალისტი და პუბლიცისტი კი არ იყო, არამედ დიდი ორგანიზატორიც. რაც მთავარია, ბევრი საბავშვო მწერალია მისგან დაეღებულა, რომლებსაც მწერლობაში გზას უხსნიდა და გაბედულად შეპქონდა მათი ნაწერები სახელმძღვანელოებში.

იაკ. გოგებაშვილის სოფელი ვარიანი შეტად უწყვეტა და ღარიბი იყო. სამაგიეროდ იქაურ გლეხობას გააჩნდა დიდი სულიერი დოვლათი, უხვი საუნჯე — ხალხური ლექსები, ზღაპრები და სიმღერები. აი, ეს შეითვისა, ეს შეისწავლა იაკობმა ვარიანელებისაგან, ხოლო იგი შემდეგ ხალხსავე დაუბრუნა, როგორც უწყვეტი სიბრძნე და მშვენიერება.

მის შესახებ თვით იაკ. გოგებაშვილი მოგვითხრობს: „... პატარა და ღარიბი ვარიანი, მაგრამ მე კი ეს სოფელი ძლიერ მიყვარს, მიყვარს იმის გამო, რომ იქ დაეიბადე, იქ ვიბილე სინათლე მზისა, იქ გავატარე ბედნიერი დღეები ჩემის ბავშვობისა, იქა ვტყებოდი მშობლების, მშობისა და ღვთის სიყვარულით, იქ ჩემს ყურებს ასიამოვნებდა წყლების ჩხრიალი, ჩიტების კიკვიკი... იქ ვისწავლე ბევრი ხალხური ლექსი და მოთხრობა. იქ შევითვისე და შევიყვარე მშრომელი ხალხი“. ამ ქაობიანი და ცუბიანი სოფლის სიყვარულმა იაკ. გოგებაშვილი მთელი საქართველოს დიდ მოსიყვარულე და მოჭიანჭულე რაინდად გადაქცია. ვარიანი

მოსმენილმა ჩიტების კიკვიკმა იაკობი შთაგონა, რომ ფრინველების სამშობლო ხოლოდ საქართველოა, რომ „არც ერთი ჩვენებური ფრინველი ზამთრობით თბილს ქვეყნებში სრულ მზიარულებას არა გრძნობს. ფრინველებს აგონდებათ თავიანთი სამშობლო, სადაც დროს მზიარულად და ბედნიერად ატარებდნენ, სადაც საყვარელი ბარტყები დაზარდეს და ნაღვლიანად არიან“. ვარიანში ნასწავლმა ხალხურმა ლექსებმა და ზღაპრებმა იაკობს შეაყვარა და აღუძრა სურვილი ღრმად შეესწავლა საქართველოს ყველა კუთხის ხალხური ლექსები, ბრძნული ანდაზები, გმირული ეპოსი, ჯადოსნური ზღაპრები. დაბოლოს, ვარიანში მოსმენილმა ხალხურმა სიმღერებმა იგი „მომღერალად“ გადააქცია. როდესაც იაკ. გოგებაშვილი თბილისში ცხოვრობდა, მას თურმე უყვარდა თავის აივანზე, ხელებუქანდაწყობილი, ბოლის ცემა: და თან ღლიინებდა სოფლურ სიმღერებს — „შენი ჭირბიფ ვუთაინო, ღირღიტაე ბანი უთხარო“ ან „ორიველას“, ან „კალოურს“, ალბათ, მაშინაც თავისი სოფელი ეხატებოდა თვალინ და თავს, როგორც ბავშვობაში, კვლავ თავის ტოლამზანავებსა და ნათესაებში ჰგრძნობდა.

ყველა დიდი ბუნების ადამიანს უყვარს თავისი კუთხე, უყვარს თავისი სამშობლო, თავისი ხალხი. ეს გრძნობა უმუშავეს ადამიანს სისხეტაკეს პირად ცხოვრებაში, პატიოსნებას საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, სიდაჯიბუნესა და უნაგრობას მწერლობაში.

იაკ. გოგებაშვილი უხვად იყო შემგული ყველა ამ თვისებით.

პატარა იაკობს თავისმა უჩინარმა, წყნარმა, პაწია სოფელმა ბევრი რამ შესძინა, ბევრი რამ ასწავლა.

იაკ. გოგებაშვილის პედაგოგიურ და ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლა დაიწყო იმ პერიოდს, როდესაც ქართული საბავშვო ლიტერატურის გზა გაუქადვი იყო, როდესაც, ქარ-

თელი ბავშვები მიტოვებული იყვნენ მხატვრულ მასალას მოკლებული „ანბანის“ აშარა. რამდენადაც ნაკლები იყო ქართული ენის სახელმძღვანელოები, ეს მით უფრო სასიხარულო იყო მეფის რუსეთის სატარაპებისათვის, რომლებსაც უნდოდათ მოესპათ ქართული კულტურა, რუსილიკაციის გზაზე დაყენებით ქართული ახალგაზრდობა და ქართველი ხალხის განათლებისა და განვითარებისათვის „კრიტიკა შეეკრათ“, როგორც ამბობს ი.ვ. გოგებაშვილი.

ი.ვ. გოგებაშვილი თავგამოდებით, უშინზრად აბრძოდა ქართული კულტურისა და ქართული ენისათვის და მისი სწავლებისათვის სკოლაში. ხუმრობით კი არ უთქვამს დრამატურგ ავსენტი ცაგარელს: „ქართველებს და ქართულ ენას ისეთი ასპარაზაა და რაჯი პაყეს, რომ მას ვერაფერს დაეკლებს, არავის ვახარებ, თუ ჯიბრზე მიღვა საქმეო“.

ვინც ზოგადად მაინც იცნობს საბავშვო ლიტერატურის ისტორიას, ეცალინება, რომ ყოველი ერის საბავშვო ლიტერატურა დაწყებულია განვითარებულია ხალხური სიტყვარებითა და იმ სახელმძღვანელოებით, სადაც მხატვრული საკითხები მასალა უხვად არის წარმოდგენილი.

ჩვენს შავბუნელ, ქართველიან დროში, როცა ჩრდილოს ქარი უწყალოდ აზრობდა ქართულის კანების ნორჩ ყვეილს სკოლაში — „ბუნების გაწი“ იყო მუდღერო ნავსაყდარი, სადაც მოზარდობა პოულობდა სულიერ დაეყოფილებას, სულიერ საზრდოს, პურს, ნაცვლად ქვისა, რომლითაც მას სასწავლებელში უშასპანძღვებობდნენ“ (ი.ვ. გოგებაშვილის სახსოვარი, 1913 წ., გვ. 44). ქართული ხალხის მეგობარი, გერმანელი მწერალი ანტურ ლასტი ამბობდა: „ქართველებს აქვთ სახელმძღვანელო წიგნები, გოგებაშვილის მიერ შედგენილი, ისინი, რომელიც ვინდა, ეყრბობს ლიტერატურას დაამშვენივდნო (გერმანულ ენაზე გამოცემული „ქართული პოეტების“ წინასიტყვაობა).

„დიდა ენაში“ და „ბუნების კარში“ შეტანილი ი.ვ. გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები, წარმომადგენს XIX სულე, ქართული საბავშვო ლიტერატურის მშვენივბას და ძვირუას განძს. ი.ვ. გოგებაშვილი სამართლიანად ითვლება XIX სულე, ქართული საბავშვო რეალისტური ლიტერატურის ფუძემდებლად. მისი დამსახურება მართო საბავშვო ლიტერატურის შექმნით როდი ამოიწურება. იგი იყო ქართული საბავშვო წერანლების პირველი შემფასებელი, საბავშვო ჟურნლის პირველი კორექტორს; ი.ვ. გოგებაშვილის დამსახურება ამოიაც არ თავდება. დიდი პატივისცემელი და მცოდნე იყო კ. უშინსკის, ლ. ტოლსტოისა და მრავალ სხვათა პედაგოგიური მეთოდებისა და მხატვრული ნაწარმოებებისა; ამიტომ იგი უხვად თარგმნიდა მათ ნაწარმოებებს. მისი თარგმნილი, გოდმოკრებული, ან

გოდმოჭართლებული მისალა იყო ყოველ მსოფე შემოქმედული, დახუსტებული, ამავე დროს ქართულ ნიადაგზე ისე მყარად დარგულნი, რომ ზოგჯერ მათი პირეანდელი წყარბს მითვებდა.

ი.ვ. გოგებაშვილის შემოქმედების დოდლეველი წყარო იყო ქართული ხალხური შემოქმედება. ხალხური ანდაზებზე არა ერთი შესანიშნავი მოთხრობა აქვს დაწერილი, მაგ., „ქარი და საბარძელი“ — ქარისა არე შემოტანილი მინდა და არე გატანილი; „მერცხალი და მეცხარი“ — ერთი მერცხლის ჭიჭიყი დაფახტული ვერ შიიყვანის; „მეცხარი და მარტი“ — მარტი რომ წინ გადოს, ზამთარს ნურეც აქებ და ნურეც აბაგებო, და სხე.

ი.ვ. გოგებაშვილი აქ ლ. ტოლსტოის ჰგავს. ლ. ტოლსტოი ერთ წერილში ამბობს: „თიიყელი ანდაზა მე თეაღწინ მიყენებს იმ ადამიანის სახეს, რომელიც იძულებული იყო მოკლე პასუხით — ანდაზით მოეკრა სიტყვა თაისი მოწინააღმდეგესათვის. ჩემი მუღმევი ოცნება იყო ანდაზებზე დამწერა პატარა აშბავიო“ — (წერილი: „ვინ ვისგან უნდა ვისწავლოთ წერა“).

ქართული ხალხური სიტყვიერების ღრმა ცოდნა დაეხმარა ი.ვ. გოგებაშვილს მიეგნო მოთხრობების ფაბულისათვის, განეშტაკებინა ისინი კომპოზიციურად და ენობრივად დაეხვეწა.

რა მიმართულებით ეთარდება და რა მიზანს ისახავს იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები?

ი.ვ. გოგებაშვილის მთელი მხატვრული შემოქმედება ორ დიდ მიზანს ისახავს: განუეთაროს ბავშვს პატრიოტული ვრძობა, ჩუუნერგოს გმირული სულსცვეთება ისტორიული ხასითის მოთხრობებით და მისიკეს ყოველგვარი ცოდნა — შეეცნებოთ ხასითის მოთხრობებით.

ი.ვ. გოგებაშვილის არე ერთი მოთხრობა არ არის შემთხვევითი ან ნაცუბათევი, ყველა მათგანი ღრმა მთოქმებული და მხატვრულად სრულქმნილი მთელი სისტემა იშისა, თუ ბავშვს როგორ უნდა მოეწოდოთ ცნობები ადამიანის თვისებებზე, მათს ურთიერთდამოკლებულუბაზე, ჩვენს მდიდარ ბუნებაზე. ასეთი რთული ამოცანის შესრულება შეუძლო საკითხები წიგნების მხოლოდ ისეთ შემღვენელს, რომელიც, პირველ ყოველისა, თავის თავის მიმართ იქნებოდა დიდად მომთხოვნი და დიდი შემოქმელი. ვერაფერია თარგმნა, გადამუშავება, მიბაძვა, იგი უნდა პასუხისმგებლობით ყოველიურ შესრულებული, ვერ დაეხმარებოდა ასეთი თანამიმდევრული, საინტერესო და მდიდარი სახელმძღვანელოების შექმნაში, თუ მას არ ექნებოდა შინაგანი მაღალი ბუნება, დიდი ნიჭი და შემოქმედებითი ცეცხლი.

გარდა ამისა, ი.ვ. გოგებაშვილმა ზედმიწევნით იცოდა ბავშვის ბუნება. მისი პირდაპირი, აქტი-

ური და უყოყმანო დამოკიდებულება ცხოვრებისათვის, უწყალო განცდა და სულერი კავშირი ამა თუ იმ მოვლენასთან. იაჲ. გოგებაშვილისათვის ბავშვი იყო სიწყისი დიდი ადამიანისა და მასთან მხოლოდ და მარტო განსაზღვრულ თემაზე კი არ საუბრობდა, არამედ ყველაფერზე, რაზეც საჭირო იყო ბავშვის ცოდნის განსაზღვრელობა. ამ მხრივ იაჲ. გოგებაშვილი რაოდენ წინასწარმეტყველურად უახლოვდება მ. გორკის, რომლის მიერ დასახული თემები ქვაკუთხედი გახდა საბჭოთა საბავშვო ლიტერატურისათვის.

ი. გოგებაშვილი თამამად მოუწოდებდა ბავშვებს მოვლენობის, პასუხისმგებლობის, თავისუფლების, მოყვასის, უფროსის პატივისცემის, სამშობლოს ერთგული გმირების სიყვარულისა და საერთოდ უიარისო კეთილშობილებისაკენ.

იაჲ. გოგებაშვილი ბავშვს ცოცხალი მკვლევრობით, პაწია დეტალებით აცნობს ბუნებაში და სამყაროში არსებობისათვის წარმოებულ დაუცხრომელ ბრძოლას და სწამს, რომ ეს დეტალი ბავშვის გულწრფელ დაკვირვების უნარსა და ცოდნის შეგნების ინტერესს. მისთვის ლიტერატურული და მეცნიერული ზნისათვის ყველა თემა მისაღები იყო, თუ კი მას ფორმა ექნებოდა მხატვრული, ვმოციფრის, ლექსთა მდიდარი და მარტივი, სახეები ღამაში და ნათელი, მართლაც, იაჲ. გოგებაშვილმა თავის მრავალფეროვან თემებს გამოუმტენა ისტატური თხრობისა და საუბრის ფორმა, ცოცხალი სახეები. იგი მოთხრობას ავითარებს თანამიმდევრულად მძაფრად, კულმინაციურად, ამიტომ ბავშვს მისი მოთხრობების ათვისება ეადვილებდა.

იაჲ. გოგებაშვილი მეცნიერული წიგნებიდან ამოკარგულ ცნობებს ფრინველებსა და ცხოველებზე, ყოველთვის თავის დაკვირვებას უმატებს და საკუთარი ცოცხალი ხმით აძლიერებს.

იაჲ. გოგებაშვილი ზედმიწევნით იცნობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებას და ამ დიდი სამეფოდან არჩეული ჰუჯის ის ფრინველები და ცხოველები, რომლებსაც განსაკუთრებულ სიკეთის მოტანა შეუძლიათ ადამიანისა და ჰირონოსისათვის. ადამიანს რაც უნდა სძულდეს ესა თუ ეს უსიამოვნო და უშრო ფრინველი ან ცხოველი (ჭრტი, ზღარბი, ლამურა და სხვ.), მით იაჲ. გოგებაშვილი ასეთ ფერებში აღწერს, ისე თავგამოდებით იცავს მათ დაღებით მხარეებს — ერთგულებას, სარგებლიანობას, რომ კაცო დაიჯერებს კიდევაც და ძალაუფლებრად დასიძვეს თავის უწინდელ უარყოფით შეხედულებას.

მწერალი თუ სიყვარულითა და ქმნიერობით გვიხატავს უშნოებსა და უღასათოებს, წარმოსადგენია, რა დიდი ოსტატობით აღწერს და აუვარებს ადამიანს გარეგნულად ისედაც მიმზიდველს, ღამაზს, საამურსა და ტიბილად მოკიტიკი-მოღულურე ჩიტებს — მერცხალს, ბუბბულს, ბეჭულს და სხვ.

ჩიტებისა და საერთოდ, ფრინველების მიერ

სარგებლობის მოტანა რომ არაფრად მივიჩნევთ, ისინი მაინც ღირსნი არიან ყურადღებისა, რადგან თავისუფლების დიდი მოტრფივენი არიან მათ ტყვეობაში მიძღრად და ფიქვად ქრფისს ურჩევნიათ თავისუფლებაში შიშშილი და სიკვდილი დავი, გადაიარონ თავაუწადენელი ზღვები, დევი, დაქანსენ, დევი, დილუნენ, ოლიონდ გაღაში ტყვედ არ დაჩინენ და არც დაჩინებიან.

თუ ფრინველებს უყვართ თავისუფლება, ლლად ყოფნა, ადამიანი მით უფრო, თავგამოდებით უნდა იბრძოდეს თავისუფლებისათვის. იაჲ. გოგებაშვილი სწორედ თავისუფლების სიყვარულს, მისთვის ბრძოლის სურვილს უნერგავს ბავშვს მრავალი მაგალითით, თუნდაც ფრინველთა სამყაროდან.

თავის მოთხრობებში იაჲ. გოგებაშვილი სრულ სურათს იძლევა ფრინველების ზნე-ჩვეულებებზე, მათ გადაფრენა-მოფრენის წესებზე, ბუდის აშენების ზერებზე, დედალ-მამლის ურთიერთდამოკიდებულებაზე, ბარტყების მოვლაზე, შობილიერ გარნობებზე, სიკეთის გადაცდის უნარსა და ბოლოს, ბრძოლაზე, თავისუფლებისა და არსებობისათვის. გუგული, ტროლია, შოშია, არწივი, მერცხალი, ჰრაქინა, ჰინწველა, კრუხი, ბელურა და მრავალი სხვა, — აი იაჲ. გოგებაშვილის მოთხრობების პერსონაჟები, რომლებიც თითქმის გააღამიანებული არიან. მაგრამ ბუნების სამყარო უსასრულია, მდიდარი და საიდუმლოებით მოცული, დაბურულ ტყეებსა და საღ კლდეებში უამრავი ბინადარია, რომლებსაც თავისი ცხოვრება, ზნე-ჩვეულება და თვისებები გააჩნიათ ფრინველებით.

იაჲ. გოგებაშვილი აქაც ისეთ ცხოველებს არჩევს, რომლებიც ერთგულ სამსახურს უწევენ ადამიანს, მათი თანაშემწენი არიან, ემხარებიან მათ. ასეთებია: ძალი, აქლემი, სპილო; დავიწყებული არ არიან: სირაქლემა, მიმინი, ლომი, კრალელი, მეგო, მელა და თავი და სხვ.

ამ ცხოველების ცხოვრებაც სისრულით არის წარმოდგენილი. გამოტოვებული არ არის წერილობრივ კ. მწერლის ყურადღებას აყარობს დასახელებული ცხოველების გარეგნობა: სიღამაზე, მიხრა-მიხრა, სმენა, ყნოსვა, თვალდაფევა, გამბედაობა, სიმამაცე. მართალია, ბევრი ცხოველი მტაცებელია და ადამიანისათვის ზიანი აქვს, მაგრამ ამ ცხოველთაგან ბევრი მტაცებელია მხოლოდ შიშშილის დროს, ზოგი კი კამასდება და გააფთრებულად იბრძვის, როდესაც შეხვდება თავის დაუნდობელ მტერს. ცხოველთა ყოველი თვისება ახსნილია აქვრება ცოცხალი მაგალითით.

იაჲ. გოგებაშვილმა ბევრზე ბევრი რამ ასწავლა ჩვენს ბავშვებს, სახელდობრ: რა იწვევს დედამიწის ცვლილებებს; საიდან წარმოიშენა ნაში, ცისარტყლა, რით სუნქიანს და სასარდოობს ადამიანი, საიდან წარმოიშენა ტყის, ბალვენახების, ხეხილთა ფოთლოვანობა, უვავილე-

მის ფერადოვნება, როგორ წნდება ქიები, როგორ ცხოვრობს თევზები, როგორ ხდება ღება-შინის ტრალი, რა არის მნათობები, ზღვა, წყალი, სინათლე, სითბო და სხვ., რითაც ზვენი პოპულარულ-მეცნიერული ლიტერატურა გაამდიდრა.

იაკ. გოგებაშვილის შემეცნებითი ხასიათის მოთხრობები მეტად ემოციური, ლაკონიური და ლაიდატრულია. ამიტომაც ისინი წარმშულელ მოაბეჭდილებას სტრუბევენ ბავშვებზე.

იაკ. გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობები სხვა ხასიათისა და ნაელებადე არის შესწავლილი. გოგებაშვილი საქართველოს ისტორიის დრმა მკოდნე და გამჭირახი ისტორიკოსი იყო. იგი თავის ცნობილ ისტორიულ წერილებს წერდა ხელხისათვის, რათა მის ვაგეოთუ რას წარმოადგენდა ქართველი ხალხი და როგორი იყო მისი წარსული. ილსანიშნავია, რომ იაკ. გოგებაშვილის საბავშვო ისტორიული მოთხრობები, («ერეკლე მეფე და ინგილო ქალი», «სხივი წარსულისა», «სპინძის თმა», «თავდადებულნი ქართველნი», «საარაკო თავდადსავალი ტაბტის მეშვიდრისა», «ქართველი მეფე გლეხის ქოში სტუმრად» და სხვ.), დაწერილი აქვს 90-იან წლების შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ, რაც გარკვეული შეზღუდლება ქონდა უკვე შემუშავებული ბავშვებისათვის დაწერილი ისტორიული მოთხრობების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ. ეს შეზღუდლება მან ვერ კიდევ 1884 წ. გამოთქვა, როდესაც დაწერილობით გააჩხია ეერნალ-«ნობათის» პირველ სანიშნო ნიშერში დაბეჭდილი ლეგენდები — «პაატა თემურიშვილი» და «ახელის «მარინე».

იაკ. გოგებაშვილს თუ ცახელის ლეგენდა «მარინე» მარგალიტად მიაჩნია, რადგან მისი მშალა პოეტური კილო, ხელოვნურად დაბატული შექმშული სურათები, ისე ხელოვნურად, თითქმთ თვალწინ ზედადვ მათ, დრმა დრამატრში და თავგანწირული სიყვარული მამულისადმი შეადგენენ უმთავრეს ღირსებას ამ ლამაზი ქმნილებისას», სიმაგიეროდ, მეორე ლეგენდა სასტიკად გააყრტიკა.

იაკ. გოგებაშვილს «პაატა თემურიშვილის» დაბეჭდვა მიაჩნია «ნობათის» შეცდომადა, რადგან, იგი არის «კორცების ნაფლდობი, უნიკოდ მოგონილნი, კიდევ უფრო უნიკოდ გამეორებულნი, უხეიროდ ერთმანეთზე მიბშულნი, მოკლებულნი მარილს, კავშირის, აზროვნებას, სიამართლესა და ყოველის ღირსებას გონებისის წყარობებისას». კრიტიკოსის აზრით, ამ ნაწარმოებში «ისტორიული გმირები ისე მოქმედებენ, თითქო უბრალო მოხეტიალენი იყვენენ, გზისა და კვალს დაბნეულნი». რაც შეეხება ლეგენდში ერეკლე უფლის დაბასიათებას, იაკ. გოგებაშვილი აღწერილებულია, რომ პაატარა მკითხველი შეეხე ისეთ შეზღუდლებას გამოიჩინას, თითქო იგი უბრტური გოლების და წუხილის კაცი იყო, რომ მის სიტყვას ისეთი ნაელები ძალა ჰქონდა, რომ

თუ თვითონ არ დაადგებოდა თავს ცოცხალ-შეშებლებსა, ხელს არაიენ ვიანძრედა რემ თავდაბნახურთა ღალატობდა ქვეყნისა და მთავრისა გლეხობის, რომ კარისკენე უწოდებენ სხვისსენ იყვენენ და ჩუმად ხოდენენ იმისათხა დაწინახურებულე პირებს, როგორიუ იყო თემურიშვილი, რომ მაშინ ვმირის სახელის დამსახურება ძალიან ადვილი საქმე იყო» და სხვ.

იაკ. გოგებაშვილმა ძალიან კარგად იცოდა საქართველოს ისტორია. ისიც კარგად იცოდა, რომ თავდაზნაურობაც და მწირად თვით მეფეებიც ღალატობდნენ როგორც ხალხს, ისე სამშობლოს; ისიც კარგად იცოდა, რომ დიდი ფეოდალები გლეხებს სტანჯავდნენ და ავიწროვებდნენ, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ იმ დროს ქართველი ბავშვებისათვის, რომლებსაც ქართული ენისა და ლიტერატურის გაეცნობი კვირამი ერთხელ ჰქონდათ და სრულიად არ იცნობდნენ თავისი ხალხის ისტორიას, ლიტერატურას, «საპირთა და სასარგებლო არა ხელოვნური აღწერა გმირების მთელი ცხოვრებისა და მოქმედებისა, არამედ ცალ-ცალკე ემზოდების მოთხრობა ცოცხლად და მარლიანად». იაკ. გოგებაშვილის აზრით, მხოლოდ ასეთი ხასიათის ისტორიული მოთხრობები ზრდის ბავშვში მამულიშვილობას, პატრიოტულ გრძნობას, იაკ. გოგებაშვილი ისტორიული გმირების აღწერას მოთხრობდა პლუტარქესავით.

იგი თავის მოთხრობებში გმირების ისტორიულ მოღვაწეობას უყურადღებოდ ტოვებდა და მხოლოდ მათ ინდივიდუალურ თვისებებს, საკვეყნო დამბასიათებულ მოქმედებას, მხოლოდ მათ პირად ღირსებებს ანიჭებდა დიდ უპირატესობას.

ამ პრინციპებით არის დაწერილი მისი ყველა ისტორიული მოთხრობა: «ერეკლე მეფე და ინგილო ქალი», «სხივი წარსულისა», «სპინძის თმა», «ქართველი მეფე გლეხის ქოში», «საარაკო თავდადსავალი ტაბტის მეშვიდრისა», «თავდადებულნი ქართველნი» და სხვ. ი. გოგებაშვილი დასახელებულ მოთხრობებში ერთგვარად ტენდენციურტია, მაგრამ მისი მიზანი იყო ბავშვებისთვის მიეწოდებინა საქართველოს ისტორიული პირები გმირული მოქმედების ფორზე.

მთხრალიდ მოთხრობას «საარაკო თავდადსავალი ტაბტის მეშვიდრისა», ატორში ასეთი შენიშვნა გაუკეთა: «საქართველოს ისტორია წარმოადგენს ისეთს ხანგრძლივსა და რთულ დრამას, რომელსაც ასი შექმპირიუ ვერ ამოლვესო, სთქვა ამასწინათ ერთმა რუსმა მეწრალმა. ამა, მკითხველო, ერთი მეათასელი, ასე უთქვათ, მოქმედება ამ საოცარი დრამისა, რომლის შინაარსი ამოღებულია ქართლის ცხოვრებიდან».

მიუხედავად იმისა, რომ იაკ. გოგებაშვილი თითქმთ მოქმედება ქართლის ცხოვრებას, მატრიანეს და სხვა ისტორიულ წყაროებს, ის მაინც თავის კონცეპციას არ ჰღალატობს, და

საქუთაირი განწყობილებითა და ინტერპრეტაციით ვადმოგვეცნოს ისტორიულ აზრებს.

იყ. გოგებაშვილს სძულს მოღალატეანი, რომლებიც ზიარადი კეთილდღეობისათვის ჰყიდნენ სამშობლოს, მეფეს, სარწმუნეობასაც კი. მწერლის აზრით, ასეთ მოღალატეებს... „მთელი საქართველო წასწმედეს, არ აღირსებს ქრისტიანულ წესით მიწის მიხარებას და მათ მშვირი მგლებს შესკველად დააგდება“. მწერლის რაინდი გმირები კი დაჯილდოებულნი არიან ვეღა აღამიანური ღირსებით. ისინი არიან ჭკვიანები, ლამაზები და მოხდენილები, გულწრფელები, თავდაბალინი, თავზიანები, მშობლიური ქვეყნისა და ხალხის მოყვარულნი, მტკირნაზღუნნი, მზიარულნი და, რაც მთავარია, მათ ასულდგმულნი იმედი, სრული იმედი მტერზე გამარჯვებისა. ამგვარი გმირები მეფეებისა და საზღვლების წინამძღოლობით ქართველი ჯარი, რომელიც მაშაღიანურ ქვეყნებთან იბრძოდა, მართლაც გამარჯვებული გამოდიოდა, მით უფრო მაშინ, თუ მთელი ქართველი ხალხი ერთი იდგიით იყო გაერთიანებული. ასეთ შემთხვევაში აღამიანთა მსხვერპლიც ნაკლები იყო. მაგალითად რინობლ ასპინძის ომში ოდნაათი ქართველი დაიღუპა და ასიოდღე დაიჭრა. მაშინ როდესაც ქართველი ჯარი ორი ათასი კაცისაგან შედგებოდა, ხოლო მოსული მტერი ათი ათასს აღწევდა.

იყ. გოგებაშვილის გულის შურაზი კი მაინც ერთგულ მეფეა. მწერალმა ერთგულ მეფის საომარი ცხოვრებიდან ბევრი ეპიზოდი დახატა. არ გამოუტოვებია ის პატარა დეტალები, რაც, აღნაბით, მას (ი. გოგებაშვილს) ფრიად აწუხებდა, ეს იყო ტანისამოსი. მისმა ინგილო ქალმა დიდი მზითველი და ბაჯალლო ოქრო დაიმსახურა, მხოლოდ იმიტომ, რომ პატარაობისას თამამად მიიყარა გზად მიმავალ მეფეს მთელი მეჭა ქლიავი, როცა ჰყოთეს, რად მოეცემა მეფეს ასე, მან გაბედულად უპასუხა: „ეგ რომ ჩვენი სახელოვანი მეფე ერთგულ იყოს, განა სპარსულ ქელს თავზე დაიხურავდა?“. მეფე ერთგულს მოეწონა პასუხი და უპასუხა: „სრულიათ მართალი ხარ... ქართველი მეფე ვარგეზობითაც, ტანისამოსითაც ქართველი უნდა იყოს. კარგი, ჩინებული დარბაზმა მომეცე შენ მეგ ქლიავის სრულით“. აღნაბით, იყ. გოგებაშვილი აქვს იმედობა ერთგულ მეფის სპარსულ ქელს და ენანებოდა, რომ არა ჩანდა მისი „მშვენივრად მოყვანილი ქართული თავი“.

იყ. გოგებაშვილი ვეღა ქართველს, განურჩევლად, ქალი იწმებოდა თუ კაცი, ავადღებულნი და ეფიქრა უფრო სამშობლოზე, ხალხზე, განსაკუთრებით ომიანობის დროს, ვიდრე საკუთარ შეილებზე. ეს გამოხატულია ერთ მის მოთხრობაში, სადაც კავთისხეველმა ღარიბი გლეხის ქალმა, რომლის ქონშიაც სვიმონ მეფემ თავი შეიფარა (მან არ იცოდა სტუმრის ვინაობა), პირველად მეფე იკითხა: „ჩვენი ძვირფასი

მეფე ომიდან ხომ მშვიდობით მყოფდა?“. ნეტავი უფალმა წყალობა მოიღოს ჩვენს მეფეზე... გვაღირსოს მისი მშვიდობით მოსტყნა [ღმრთის] მსხვერპლად... მისი ქირისა სანაცვლურ [ლხინიანური] ქმარ-შვილი იმწამს თითქოს არც ვაპსუნებია.

იყ. გოგებაშვილის ისტორიული ხასიათის წერილები და საბავშვო მოთხრობები დიდ მოვლენად იქმნა მიჩნეული, რადგან როგორც მაშინდელი პრესა აღნიშნავდა, მსგავსი წერილები და მოთხრობები „ქართველ ერს თავის დროშადის სანახავედაც არ ენახა... „ასპინძის ომი“ თავის დროზე ქართველთაგან დიდი საპოვნებით იქნა წაკითხული. ნამეტურ მდამბო ერთი აღტაცებული დარჩა, რადგანაც მათ ასე ლამაზად და გასაგებ ენით დაწერილი ქართული ისტორიული წიგნი წასაკითხად თვალთაც არ ენახა“. ამგვარად, იყ. გოგებაშვილის ისტორიულმა მოთხრობებმა გარკვეული როლი შეასრულა ქართველი ხალხის გაეთვითნობიერებაში.

სულ სხვა ხასიათისაა იყ. გოგებაშვილის მოთხრობა „იანენამ რა ჰქმნა?“. ამ მოთხრობაში ბავშვის არა მარტო ფსიქოლოგიური სიმაართეა ვადმოცემული, არამედ ის, თუ როდენ დიდი საქმიანობას წარმოადგენს ბავშვის ერთგულ კულტურაზე, მშობლებს ენახე აღზრდა.

ამის გარდა, იყ. გოგებაშვილიც ამ მოთხრობაში ჰქადაგებს ხალხთა მეგობრობას, მის განმტკიცებას, და ეს იმ პერიოდში, როდესაც ჩვენი მეზობლები არც თუ მცირე ზიანსა და ზარალს აყენებდნენ საქართველოს ზოგიერთ კუთხეს.

იყ. გოგებაშვილის მოთხრობების ენა ცალკე შესწავლის საგანია. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ორიოდ სიტყვას ვიტყვი. იყ. გოგებაშვილის მოთხრობების ენა სადა, მარტივი და ხატოვანია. ფრაზები მოკლე, ლაკონური, შედარებები ლამაზი, შოამბეჭდავი და ემოციურია (აქლემი, „სპილო“, „ფრინველების გადაფრინა“, სხვ. შრავალი). „ასპინძის ომში“ ერთგულ მეფის პრიოლი კობტა ბელადთან ან სხვა ადგილები, უნდა ითქვას, ბრწყინვალეა. იყ. გოგებაშვილი არასოდეს ხმარობს უხეშ სიტყვებს, ერთდებდა ძველ გამარტივებულ ფორმებსაც.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ იყ. გოგებაშვილი საბავშვო წიგნის პირველი კრიტიკოსია. იყ. გოგებაშვილამდე თითქმის არც ერთი საფუძვლიანი წერილი არ დაწერილა საბავშვო წიგნზე, თუ არ ჩავთვლით სამაღნიმე უმნიშვნელო რეცენზიას ამა თუ იმ თარგმნილ საბავშვო ნაწარმზეზე.

1884 წელს გაზეთ „დროების“ ფურცლებზე პირველად დაიბეჭდა ვრცელი წერილი ჩვენ შირ რეზოთ ნახსენებ ეურნალ „ნობათზე“. ამ წერილები იყ. გოგებაშვილმა ერთლად განავი-

თარა თავისი შეხედულება საბავშვო ლიტერატურაზე, და ბელისკისავეთ, წამოაყენა ერთი-ნული საბავშვო ლიტერატურის განვითარების თეორიებლობა; „რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება“ ყველა ერისა“.

ი.ჯ. გოგებაშვილმა ვრცელი წერილი მიუძღვნა შემდგომ გამოცემულ საბავშვო ჟურნალებს — „ჯეჯილსა“ და „ნაკიდულს“. მაგრამ მართო წერილების წერით როდი იფარგლებოდა. იგი ამ ჟურნალების ორგანიზაციაშიც იღებდა მონაწილეობას. „ჯეჯილის“ რედაქტორის — ანასტასია წერეთლის ვადმოცემით, ი.ჯ. გოგებაშვილი ყოფილა ნათლია და „ჯეჯილი“ მას დაერქმევიდა ჟურნალსათვის, ორივე ჟურნალს დიდი სიყვარულით ეპყრობოდა. თანამშრომლობდა და აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა სარედაქციო მუშაობაში.

მხოლოდ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ი.ჯ. გოგებაშვილის უნებლიეთი უგულვებელყოფა შესანიშნავი საბავშვო მწერლის თედო რაზიკაშვილისა. მას სრულიად შეუფასებელი დარჩა რაზიკაშვილი (თუმცა საბავშვო ჟურნალების მიზლიორგანიზაციაში ყოველთვის იხსენიებდა).

1901 წელს პარიზის გამოფენისათვის სპეცია-

ლურად დაწერილ წერილში ი.ჯ. გოგებაშვილი აღნიშნავს: „...საყმაწვილო ქართული ლიტერატურა ჯერ მდიდარი არ არის; მაგრამ შობე-პოემა მაინც საკმარისი რიცხვი წიგნებისა, რომელთა შორის, ნათარგმნის გარდა, თავისებური ნაწარმოებებიც არის. უკანასკნელ ნაწარმოებთა შორის შესანიშნავია საყმაწვილო ამბები ლუკა რაზიკაშვილისა, რომელიც პოეტისა და ბელეტრისტის საკვირველი ნიქის პატრონიაო“. იქვე იხსენიებს ე.ჯ. ვაბაშვილსაც. ამგვარად ი.ჯ. გოგებაშვილი ასახელებს მხოლოდ ლუკა რაზიკაშვილსა და ე.ჯ. ვაბაშვილს; მაშინ თედო რაზიკაშვილს უკვე დაწერილი ჰქონდა 26 მოთხრობაზე მეტი, მათ შორის ისეთი შესანიშნავი მოთხრობები როგორცაა: „თის ამბავი“, „ნიბლია“, „მურიცა“, „სვავი“, „გახადხული“, განსაკუთრებით კი „ფითრია“, რომელიც ი.ჯ. გოგებაშვილის „ბუნების კარს“ ამშვენებდა, ამგვარად ქართული საბავშვო ლიტერატურას მექანიკურად დააკლო ერთი შესამჩნევი საბავშვო მწერალი, მაგრამ ეს გარემოება უბრალო შეცდომად ჩაითვლება.

ასეთია პატრიოტის, გამოჩენილი მოღვაწის თავდადებული იაკობ გოგებაშვილის სახე ქართულ საბავშვო ლიტერატურაში.



იაკობ გოგებაშვილის მოთხრობების ზნეობრივ- ალმზიერობით) მხარე

დიდი ქართველი პედაგოგისა და მთარგმნის — იაკობ გოგებაშვილის მისწრაფება იყო აღეზარდა სრულყოფილი ქართველი ადამიანი — მაღალი მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი და სწრაფი ზნეობის პატარეული. ეს მისწრაფება მყარ ნიჟარს პოულობდა მისსავე საბავშვო მოთხრობებში, რომელთა მეტი წილი საბუნებისმეტყველო თემებზეა აგებული. ი. გოგებაშვილის მოთხრობებით მოხარდი ვცნობა ადამიანის მიერ ბუნების გამოყენებას თავის სასარგებლოდ და ბუნების საიდუმლო კანონ-ზომიერებებს. აერთი ბუნებას იყენებს ზნეობრივი აღზრდის დიდ წყაროდ.

სასიამოვნო და „მსმენელთათვის დიდი მარტივი“ — ასეთია აღმზრდელაობით პროფილი ი. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედებისა. — როგორ უნდა მოეუაროთ ტყეს, მცენარეს, ვაზს, როგორ უნდა გავუფრთხილდეთ მებღად სასარგებლო ფრინველებს, ცხოველებს; როგორი ზნე-ბასიით უნდა ჰქონდეს მოზარდს და საერთოდ ადამიანს, — ამ საკითხებზე, რომლებსაც იგი მებღად საინტერესო ფაქტებში აქსოვს.

იაკობ გოგებაშვილს მხატვრული გამოსახვის ორი ენარი აქვს გამოყენებული: ებოსი და ლირიკა. მეტივე მოცულობის ნაწერებშიაც კი, რომელთა შორის არის შენაღობა სამ და ოთხ-სტრიქონიანი მოთხრობა, მწერალი წინასწარ ითვალისწინებს იდეის შესაბამისს გარკვეულ კომპოზიციურ თანამიმდევრობას. მოხდენილად განვითარებულ სუბტემში იშვიათად ნახავთ ჩართულ ეპიზოდებს, სუბტემის გარკვეულ მოტივად ამბებსა და გადახვევებს. მის მოთხრობებში საღებავი, ფერი და, საერთოდ, კოლორიტის წარმომსახავი კომპონენტები თანამიმდევრულად ავითარებენ მწერლის აზრს, მის მორატს. ი. გოგებაშვილი, შთაგონებული მხატვრული საბუნების მომარტყვებით, მოხარდებს უნერგავს ცხოვრებაში გამოსადეგ აუცილებელ ჩვეულებასა და მისწრაფებებს. დიდი საბავშვო მწერალი არის და არ ტოვებს მოვლენებს უკომენტარიოდ, მის მოთხრობებში მორატის გარეშე არ რჩება არც ერთი დეტალი. მწერალი გაურბის უარყოფითის ნატურით მოცემას, მოქმედება გადააქვს ცხოველებზე, მცენარეებზე, მწერებსა და მათი

საშეილებათი გვიძღვეს უარყოფითის, ზაენე ზე-გაყენის დასურათხატებას. მწერალი იცის, რომ ზაეშეებს საარაკო ნიჭი აქვთ ნატურის მიხატვისა და ამიტომაც მიმართავს იგი ასეთს ზერხს. ამ გზით მწერალი თავისი ბასრია იარაღით — სენტრეციური ტონით, სიკეთის ქადაგებით — ყველგან ახერხებს ჩარევას. მაგრამ ყოველივე ეს მყოხველის შეგრძნებაში მშრალ რიტორიკად არა რჩება, რადგან ი. გოგებაშვილის მოთხრობები დაწერილია დიდი მხატვრული აღლოთი და მალაღნიჭიერა ხელოვანის კალმით.

რბილი იუმორი ი. გოგებაშვილის დამახასიათებელი სტრია, თუმცა გამინაღვერტებული სატრირის ნიმუშებიც გვხვდება მის მდიდარ მხატვრულ შემკვიდრებაში. ბევრი მისი მოთხრობა ზაეშეში იწვევს სიცილს და ამასთან ერთად კრიტიკულ დამოკიდებულებას დასაცინი ობიექტისადმი. მწერლის დაცინვის საგანი არისოდეს არ გადადის გარკვეტრულ სახეებში. ის არ მიმართავს შარეს, პასქვილს, გაურბის უარყოფითი მოვლენის ვაზვიადებულ ფორმებში ასახვის — გროტესკს.

ზატარა მოთხრობაში — „მუქთა-მუამელა“ შეითხველს აღლოდ გამოაქვს აზარი, რომ ადამიანმა თავისი შინაგანი ნაკლოვანებანი თვითვე უნდა დასძლიოს. ადამიანის ზნეობრივი გარდაქმნისათვის შინაგან ინსტრუქტთა მობილიზება საჭირო და არა ელად ეფექტის მოხდენისა ტანსაცმლოთ, უცნაური ქვევითა და სხე.

თხრობის დინჯა, ეპიური კილოთი, მხატვრული სიზუსტითა წარმოვადგენს აერთო უარყოფით მხარეებს და ყველგან მისი გამოსწორების ელამია:

„ქოთნები ერთად შეგროვილიყენენ. ერთი უტრო მადლი ქოთანი შუაში ჩამდგარიყო და იყენებინა; მე თქვენისთანა როლი ვარ, მე ოქროს ძარი მაქვსო. უტებ თავს წაღვა ციხეო. შეყენხარა ქონისა შერცხვა და ვაგმიდა ჰმა.

რად შერცხვა ციხევისა?“

ამ ხელსტრიქონიან მოთხრობაში მწერალი მოხდენილად აჯამებს მოცემულ სიტუაციას. სუბათი, როგორც ვხედავთ, იძლევა გარკვეულ ზნეობრივ კოდებს.

აგერ გუგული მამხარებულ ხუდეს ვაქეს.



რომ შიგ კერძები ჩადოს. მოძებნა კიდევ „შეკედლებული“ ბარტყები გუგულისა ეი მეტად ანგარებანი გამოდგნენ: ბუდიდან გადმოუფარეს დედებს პატარა მასპინძლები, რომ თვითონ რგებოდათ მეტი ლეკვა. მაგრამ ეს გუგულები საზოლოდ სიხარბისა და გაუმადრობის მსხვერპლი გახდნენ („გუგული“).

„ჩვენი კურდღელი ბეერს წელიწადს გაატარებდა ბედნიერად, თუ რომ დაკმაყოფილებულიყო მართო ტყის და მინდვრის ბალახითა, მაგრამ თავის საუბედროდ გლეხის ბოსტანში შესვლა მოინდომა და კომბოსტოს გემოს გაგება. კურდღელი არც საფრთხობელს შეეშინდა, რომელიც ცხადად ეუბნებოდა მას: „ეს მამული ეკუთვნის ადამიანსა, — თუ აქ შეხვალ, შენ ის უთუოდ დაგიჭერს და დაგსჯისო“. როდესაც კურდღელმა აქაც „გადაღახა“ წინა-

აღმდეგობა, მას ტყვია მოხვდა და მისგან მხოლოდ კურდღელის ფეხი-და დერჩქურტყელაქ ბავშვებმა დაინახნენ კლასშიც (კლასში მისი რის წასამლეად („კურდღლის ფეხი“)).

იაკობ გოგებაშვილის ბევრი მოთხრობა („იანანამ რა ჰქმნა“, „დევნილი მეგობარი“, „მელი და მისი სახლობა“, „ფრინველების გონიერება“ და სხვ.) ზნეობის დიდი მასწავლებელი და ვზის გამგნებია, ხოლო მწერლის უბადლო ქართული ენა — „ტყბილქართული“ ე.ი. დევ უფრო მეტად განვსკლავებებს მისი შესანიშნავი მოთხრობების აღმზრდელობით ძალას.

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებრივი და სამწერლო მოღვაწეობა, პირადი ცხოვრების მავალითი, ქართველი ერის სიღატაკის, მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის უტყუარი სარკეა.



იაკობ გოგებაშვილი — საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოს პირველი ავტორი

ა. გოგებაშვილის შრომებში მრავლად მოიპოვება გეოგრაფიული ცნობები საქართველოს, მთელი აზიურკავკასიის, რუსეთისა და შსოფლიოს სხვა ქვეყნების შესახებ. განსაკუთრებით ვრცელადა წარმოდგენილი გეოგრაფიული ცნობები საქართველოს შესახებ. მისი მისწრაფება ქართველი მოზარდი თაობის მიერ სამშობლოს უოველმხრივი შესწავლისადმი მჭიდროდაა დაკავშირებული ამ მიზნით პედაგოგიურ მოსაზრებებთან, რომ ბავშვს უნდა მიეცეს ყოველმხრივი და რეალური ცოდნა გარემო ბუნების, მკვლევარებთან სამეურნეო საქმიანობისა და ისტორიის შესახებ.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია „ბუნების კარი“, რომელშიც ა. გოგებაშვილს ჯერ განხილული აქვს საქართველოს გეოგრაფია იმავე თანამიმდევრობით, როგორც ეს თანამედროვე სახელმძღვანელოებშია მოცემული. ზოგადი ნაწილის შემდეგ, ავტორს მოცემული აქვს საქართველოს ისტორიულ-ეთნიკური კუთხეების — კახეთის, ქართლის, იმერეთ-რაჭის, გურჯისტანის, სამეგრელოს, სვანეთის, სამკორხაუნოსა და აფხაზეთის განხილვა. გარდა ამისა, მოკლე განხილავს ერევნის, ვანჯისა და ბაქოს გუბერნიებსა და დაღესტნის ოლქს, რომელიც ადმინისტრაციულად თბილისის გუბერნიისაში შედიოდა.

„ბუნების კარის“ გეოგრაფიული ნაწილის მიზნებისა და დანიშნულების შესახებ თვით ავტორი წიგნის წინასიტყვაობაში ამბობს: „ადვილობრივ თვისებას ამ წიგნს აძლევს საქართველოს გეოგრაფია. დამთავრებულმა უნდა სახუნო იქონიოს, რომ ეს სტატიები ყმაწვილებსათვის არიან შედგენილი და არა უფროსებისათვის. ჩვენ ვესურდა, რომ ყმაწვილს ამ სტატიების კითხვაში სიამოვნება ენახა და წახალისებულიყო თავისი სამშობლოს ქვეყნის დახლოებით გაეცნობა, ამიტომ ჩვენ უფრო დიდი უზრაველობა მივაქციეთ ხალხის ცხოვრებას, მის წარმოებას, ჩვეულებას და ზნეობას, მანამ თითონ ადგილის აღწერასა. მასალების უქონლობამ და სიჭკარამ შეძლება არ მოკვდა, რომ საქართველოს გეოგრაფია უფრო ვრცელად შევედგინა“ (თხზ., ტ. 6, გვ. 9).

ა. გოგებაშვილი ცდილობს უანგარო სიყვარული ჩაენერგოს მოსწავლე ახალგაზრდობას

თავისი სამშობლოსადმი, ამიტომ ის ზედმოწევნით იცავს ენისა და თხრობის ხალხურობას, მხედველობაში ღებულობს მოსწავლის ასაკს, მკითხველთა ფართო საზოგადოებას და ამასთანავე, საკითხების განხილვისას საგნის ყოველმხრივი შესწავლის საფუძვლებსაცან არასოდეს უკან არ იხევს. პირაქით, ხშირად მთელი რიგი მარჯვე მოსაზრებებით მკითხველს უნერგავს ხალხის და ახალის ძიების ორიენტაციას აძლევს. იგი მარტო უბრალო აღწერით, ნატურალურ მეთოდს კი მიმართავს, არამედ მონათხრობს ხშირად განაზოგადებს დასკვნების სახით.

გოგებაშვილს ვერ წარმოუდგენია მოსწავლის აღზრდა საყვთარო სამშობლოს გეოგრაფიისა და ისტორიის შესწავლის გარეშე. „თქვენ რადა კითხვა უნდა, — წერს იაკობ გოგებაშვილი, — გსურთ, რომ სასწავლებელში თქვენმა შვილმა საზოგადო გეოგრაფია დაწერილებათ ისწავლოს. თუ ამ გულის წადილის სრული მოწვევა გინდათ, თქვენ ყმაწვილს თავისი სამშობლო ქვეყანა კარგად გააცანით. ეს მით უფრო ადვილია, რომ ეს ცოდნა ყმაწვილებს გაეცემა სურთ. ვინ არ იცის, რომ მშობლებს მოსვენება არა აქვთ ამგვარ ბავშვების კითხვბილდან: ჩვენს იქით რა ქვეყანაა, ვინა ცხოვრობს იქა, როგორი ადგილია? ვინ არ იცის ეს ფაქტი, რომ ყმაწვილებს მგზავრობა გარშემო სოფლებში და ქალაქებში საშინლათა სურთ და მოგზაურობის ამბავს ერთგულათ ყურს უგდებენ ხოლმე. თუ დედნამა ყმაწვილს ამ სურვილს დაუწყაყოლებს და თავის სამშობლო ქვეყანას გააცნობს, დაწმუნებული უნდა იყავს, რომ საზოგადო გეოგრაფიის შესწავლა იმისათვის მერად ადვილი საქმე იქნება“ (თხზ., ტ. 6, გვ. 6).

„ბუნების კარი“ სრულყოფილად და პოპულარულად არის აღწერილი საქართველოს ცალკეული კუთხეები. საერთოდ, ზოგადი შიშობილდა თუ კერძობითი აღწერა საუკეთესო სარკეა საქართველოს იმდროინდელი დუბჰირი ყოფისა და ამავე დროს საუკეთესო მებრძოლი მოწოდებაც არის. მის მიერ მოცემული მასალა ორგანულად შეწყობულ-შეჯამებულია მხატვრული ლიტერატურითაც, რაც სამშობლო კუთხის მინდომებით შესწავლის საუკეთესო სა-

შეაღებია. ი. გოგებაშვილს ებრძობა ვანსახილველი გეოგრაფიული კუთხის ძირითადი კონტურების ვადმოკრემა. იგი აბრუნებს საქართველოს თითოეულ კუთხეს მოუძებნოს დამახასიათებელი ბუნებრივი და სამეურნეო პროფილი, მისი ნიშანდობლივი, სხვა კუთხეებისაგან განმასხვავებელი ნიშნები. რათა დასახოს კუთხის სასურველი მომავალი. ყველგან წითელი ზოლით მონიშნას ავტორის ოცნება, საქართველოს ახლებურად გარდაქმნის შესახებ.

როგორც ცნობილია, ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ გარდა საკითხავი წიგნი ქართულ სკოლებს XIX საუკუნეში არ განჩნდათ. ესაა პირველი საკლასო წიგნი-სახელმძღვანელო, რომელიც ემყარებოდა მრავალსაუკუნოვანი ქართული პედაგოგიის აზროვნების ნიშნებსა და მძლავრად მოწინავე პედაგოგიურ და დიდ-აქტიურ დაბეჭდვებს. უწინისი მსგავსად, ი. გოგებაშვილის წიგნი ენციკლოპედიური ხასიათისა, რომელშიც მოწოდებულად იყო ნაშრომების სხვადასხვა დარგისა.

ი. გოგებაშვილი გრძობს, რომ მოსწავლეს სკოლაში აუცილებლად უნდა ჰქონდეს გეოგრაფიის სახელმძღვანელო: „ყველას კარგად მოეხსენება, — სწერს ი. გოგებაშვილი, — რომ საშობლოს შესწავლა საძირკველია მისი სიყვარულისა, ნამდვილი მშველსმელობისა, ხოლო ქართველობა იმ გვირ პირაბებში არის ახლად ჩაყენებული, რომ სახალხო სკოლის მოსწავლენა უვიცნი დარჩებულან საშობლოს გეოგრაფიისა და ისტორიისა, თუ მათ ეს ცოდნა არ მიეწოდეთ იმ სახელმძღვანელოებში, რომელნიც დანიშნული არიან მესამე და მეოთხე წლისათვის“ (თხზ., ტ. 6, გვ. 242). მართლაც, ი. გოგებაშვილმა პირველმა ქართული ერის ისტორიაში, ეახტეტის შემდეგ, შეადგინა გეოგრაფიის შესანიშნავი სახელმძღვანელო საშუალო სკოლისათვის.

ი. გოგებაშვილი მართლ „ბუნების კართ“ არ კმაყოფილდება. მას ოცნებად აქვს გადაქვეყნილი სკოლებისათვის ვეღა საგანში ცალკე სახელმძღვანელო გაჩნდეს, მათ შორის ბოტანიკა, ზოოლოგია, ფიზიკა, გეოგრაფია, ისტორია და სხვ. ის არა მარტო ოცნებობს, არამედ მოუწოდებს ქართველ მეცნიერებს „ჩვენნი ქვეყნის მტერი“ „საამბოდ“ ჩაყვართ ნამდვილი საძირკველი ქართულის მეცნიერებისა, უნდა მიუცილებლად შეექმნათ ჩვენს ენაზე ელემენტარული სახელმძღვანელოები; ბოტანიკისა, ზოოლოგიისა, პიეციენისა, ფიზიკისა, ანტროპოლოგიისა, გეოგრაფიისა, ისტორიისა და სხვებისა“ (თხზ., ტ. 6, გვ. 731).

შეცხრე გამოცემის წინასიტყვაობაში ი. გოგებაშვილი წერს, რომ მან „ბუნების კარში“ წიგნის შესამდგმე შეეცა (ორასი გვერდი) დაუთმო საქართველოს გეოგრაფიასა და ისტორიას, მე-13 და მე-14 გამოცემებში კი გეოგრაფიული და ისტორიული განყოფილებები არ

ყოფილა, წიგნის მოცულობა დამატარებულა და ფსიქ დაკლებია. ამის მიზეზს თვითავტორი გვატყობინებს თავის ერთ-ერთ წიგნში: „სტატიანი — არაბულ არაბულ ქართულ კარში“ (1912 წ.), მას თურმე ჰქონია განზრახული საქართველოს გეოგრაფია და ისტორია ცალკე წიგნად გამოეცა „დღეა-ქვეყნის“ სახელწოდებით. ეს იქნებოდა მეორე საკითხავი წიგნი „ბუნების კარის“ შემდეგ, მაგრამ მთავრობამ არა თუ არ გადაფართოვა სახალხო განათლების პროგრამა, არამედ კიდევაც შეაქვეცა, ამიტომ მას უფრო უთქვია „დღეა-ქვეყნის“ გამოცემაზე და საქართველოს გეოგრაფიული და ისტორიული მიმოხილვა ისევ „ბუნების კარში“ შეუტანია.

დღეა ი. გოგებაშვილის დამსახურება ქართული კარტოგრაფიის განვითარებისა და პოპულარიზაციის დარგშიც. ეახტეტის ცნობილი შრომებისა და რუკების შემდეგ ქართულ ენაზე არ გამოსულა არც ერთი შრომა, რომელსაც ქართული რუკა ექნებოდა დართული. ი. გოგებაშვილი კი თავის პირველსავე გამოცემას დართო „ქართა კავკასიის იქეთა მხარისა“ (ტ. 1. ამირკავკასიისა), რომელიც კარტოგრაფ ეახტანე თელავისის მიერ ყოფილა შედგენილი. ჯერ კიდევ 1868 წელს განვით „სტრუბა“ (№ 51) იუწყებოდა, რომ „ამ ნომერთან ზვენ ვახუთის ზელის მთქმურთა გავგზავნებთ „ქართა კავკასიის იქეთა მხარისა“. ეს იგივე კარტა, რომელიც იაკობმა შემდეგში „ბუნების კარს“ დართო. თვითონ იაკობი „ბუნების კარის“ მეოთხე გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: „ქართა საქართველოსი გავადიდეთ, გავაქცულეთ და ამოეაქვეყნეთ ქვეზე, რადგანაც წინად ხშირად დონისძიებით დაბეჭდილი ქართა მდარე გამოდგაო“. საქართველოსი და მთელი ამირკავკასიის რუკის გამოცემა დიდი მოვლენა იყო ქართული კულტურისათვის, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში ქართველმა მოთხველმა, საერთოდ, პირველად იხილა ქართულ ენაზე დაბეჭდილი საქართველოს რუკა.

ი. გოგებაშვილი, რომ კარგად ერკვეოდა კარტოგრაფიის საკითხში, ეს ნაშნ არა მარტო მის წიგნში დართო გეოგრაფიული რუკიდან, არამედ იმ ნაყოფიერი მოზაბობადაც, რომელსაც ის ატარებდა რუკების რეცენზირების დარგში, ისე, შავალითად, ჯერ კიდევ 1868 წელს მას თავისი აზრი გამოუთქვამს ვინმე ზუგუის მიერ შედგენილ რუსეთის ვეროპული ნაწილის გეოგრაფიული რუკის შესახებ, რომელშიც კავკასიაც იყო შეტანილი. ი. გოგებაშვილი აღნიშნავს ზუგუის მიერ შედგენილი რუკის მთელ რიგ მთავარ შეცდომებს საქართველოს გეოგრაფიიდან, მას შიანია, რომ ზუგუის რუკაში დამახინჯებულია ქართული გეოგრაფიული ტრანსკრიფცია და მთელი პუნქტების სახელწოდებებიც თავის ადგილზე არაა დატანილი.

ცალკე და სივარჯილად უნდა აღინიშნოს ი. გოგებაშვილის დამახტვება საქართველოს კონსტა გეოგრაფიული სახელწოდებების დამკვიდრების საქმეში. ეს შიშ უფრო სინტაქსურია, რომ ი. გოგებაშვილის მოსაზრებები ამ საკითხში თანამედროვეობას ემხრობა. დღეს საქართველოში არაან შეცვლილი, რომლებიც ყრილობამ გამოაყენონ ასეთი ძველი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები, როგორებიცაა „ქართლი“, „კახეთი“, „იმერეთი“ და ა. შ. უკვე ვიდეე ი. გოგებაშვილს შოუბდა მართლა ზოგჯერით ისეთი ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც ამ გეოგრაფიულ სახელწოდებებში ხედავდა ძველი საქართველოს ეთნიკური ნიშნების გამოხატულებას.

1885 წელს „ბუნების კარი“ ხუთი თვის დავიანთი გამოსულა. ამის მიზნებს ვეგულისხმობთ თეთი ი. გოგებაშვილის განცხადებიდან, რომელიც კავკასიის საცენტრალ კომიტეტს გაუგზავნა (1885 წლის 29/IV და 5/VI). განცხადება საქმიად დიდია, ამიტომ მხოლოდ მოკლე აღნიშნავთ მის შინაარსს. ცენტრის ისარლოვს „ბუნების კარი“ გეოგრაფიული მიმოხილვიდან ამოვიღოთ გამოთქმები „დასავლეთ საქართველო“, „სამხრეთ საქართველო“ და სხვ. ამით მან ხაზი გაუსვა, რომ არ არსებობს არავითარი საქართველო, როგორც შილიანდ, ისე ცალკე ნაწილების სახით, არამედ არსებობს მხოლოდ თბილისის გუბერნიით. ცხადია, ი. გოგებაშვილმა სასტიკად გააღაჟრა ცენტრის არსლოვის ასეთი გამოხტონის წინააღმდეგ. ის თავის განცხადებაში სწერს, რომ რაიონის აღსე ფიზიკურ-გეოგრაფიულ იმერეთი ეწოლებდა, ასევე კახეთი, ქართლი და მსგავსი ტერმინები ქართულ სინამდვილეში ეთნიკური და ფიზიკურ-გეოგრაფიული მნიშვნელობისაა. რომელსაც იყენებს არა მარტო ქართველი, არამედ რუსი და უცხოელი გეოგრაფებიც. აი, ერთი მატარა და სანტერტის ადვილი ი. გოგებაშვილის განცხადებიდან კავკასიის საცენტრალ კომიტეტისადმი «...этнографические, провинциальные названия пользуются полным правом гражданства и даже в одобренных и рекомендованных учебниках по географии свободно употребляются не только такие термины, как «Малороссия», «Белороссия», «Польша», «Северная Польша». «Южная Польша» но и такой чисто политический термин, как «Царство польское», в чем Комитет может удостовериться из рассмотренных, между прочим, наиболее распространенных учебников Кузнецова и Белоха». ცხადია, დიდი შედეგოვა მართალი იყო, რიდეცაც მოითხოვდა ძველი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების დატოვებას თავის „ბუნების კარში“.

როგორც ცნობილია, ჩვენს ეპოქაში ეთნიკურ-ისტორიული სახელწოდებები აღარ გამო-

ხატავენ ძველი საქართველოს ფიზიკურ-კულტურების შინაარსს, პარტიკით, ასეთ სახელწოდებანი ვარკვეული გეოგრაფიული სახელწოდებანი აღნიშნენ სახელწოდებულ რეგიონში გეოგრაფიულ ნომენკლატურაში შტაკიელ დამკვიდრებას ადვილი. შავალითად, ლეღს, რიდეცა, რიდეცა ვამბობთ „კახეთი“, ვგულისხმობთ ითრ-ალბანის ებში მდებარე აღმინისტრაციულ რაიონთა რეგენს, ასევე „სამსხე“ გულისხმობს ახალციხე-ასპინძა-ადიგენის რაიონთა ტერიტორიას, „სეანეთი“ — მესტიისა და ლენტეხის რაიონების ტერიტორიის და ა. შ..

რით შეიძლება გვიამართლოთ ჩვენს ეპოქაში ეთნიკურ-ისტორიული სახელწოდებების არსებობა?

პირველი: ჩვენი ძველი ქართველი მწერლებისა და მემბტიანეებისათვის ცნება „ქართლი“, „კახეთი“, „იმერეთი“, მხოლოდდამხოლოდ ვარკვეული ტერიტორიის აღნიშნული იყო. „მტიანე ქართლისადმი“ პირდაპირა ნათქვამი — „ქუეუანა ქართლისა და კახეთისა“ (გვ. 216). ან „დაბეკა ყოველი ესე ქუეყანა სომხითა, ქართლი და კახი“ (გვ. 223). მამსადამე, ქართლი ან კახეთი ქუეყნის აღნიშნული ცნება ყოფილა და არა რომელიმე სამთავრო-საფეოდალთა.

შავალითად, ცნება „ქართლი“ თავის ვტიმოლოგიით სხულისად არ ნიშნავს რომელიმე ფეოდალის სამთავროს, შიშ უმეტეს, რომ ამ ცნებას ხშირად უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა. მეხტეთე საუკუნეში ქართლში შედიოდა პერეთიც (როგორც ეს ჩანს იაიბო ტურტაველის ნაწარმოებიდან — „შუშანიის წამება“), ხოლო აღიარო ქართველის ცხოვრება ვეიჩენებს, რომ ქართლი კახეთისათვისაც ვეიძლებოდა საზოგადო სახელი ყოფილიყო (VII ს.). თუ „ქართლს“ საზოგადო და ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, უმატებდნენ ხოლმე სიტყვის „ყოველი“ ან „ერთობლი“ და ამბობდნენ „ყოველი ქართლი“ ან „ერთობლი ქართლი“.

„ქართლი“ ისტორიულად საზოგადო, შემკრებლობითი მნიშვნელობისა იყო და შედამ გამოხატვად ვარკვეულ გეოგრაფიულ ტერიტორიას, ამიტომ საფეოდალო-საღარომოვბთაიანთ სახელწოდებას სწორედ ამ გეოგრაფიული სახელწოდებებიდან ლებულობდნენ და არა პირტიკით. გეოგრაფიული სახელწოდება „ქართლი“ პირველადია, ხოლო ეთნიკურ-ფეოდალური მნიშვნელობის ცნება — მეორადი. შავალითად, „ქართლის“ საზოგადო, შემკრებლობითი მნიშვნელობა საუცხოოდ აქვს მოცემული გორგი მერჩულეს თავის თხზულებაში (X ს.); ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღიარებების, რომელსა შინა ქართლითა ეწითა ეამე შეწირვის და ლოყაი ყოველი აღსარულებისა, მამსადამე, ყველგან, სადაც ქართული ენა სეფედა იმ დროს ქართლი იყო.

ღიდა ქართველი გეოგრაფი ვახუშტი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ პირდაპირ წერს, რომ ქართლი ქვეყნის სახელია და არსად არა აქვს აღნიშნული, რომ მსგავსი სახელწოდებები მარტოოდენ სამთავრო-სადროშოების აღმნიშვნელი უფილიკოსი. მაგალითად, „ხოლო ქვეყნისა ამის სახელი არსს საკეთარი ქართლი“ (გვ. 120), ან „ქვეყნისა ამისა სახელი არიან საერთოდ სამი პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი“ (გვ. 144). ვახუშტის ამ ტექსტიდან (და კიდევ სხვა ტექსტებიც არის) კარგად ჩანს, რომ ძველ საქართველოში „ქართლი“, „კახეთი“, „იმერეთი“ ან სხვა სახელწოდება საქართველოს გარკვეული ტერიტორიის საკეთარი სახელის აღმნიშვნელი უფილია.

ცნობილი ქართველ ისტორიკოს ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ძველი ისტორიული კუთხების აღმნიშვნელი სახელები სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა და მაგალითისათვის აღებული აქვს „კახეთი“, რასაც სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ხან ფართოდ, ხან ვიწროდ შემოფარგლული, ხან საკუთრივ კახეთის აღმნიშვნელი, ხან კახეთის სამეფოსი“ (ქართული ერის ისტორია“, ტ. II, 1946, გვ. 35). ამრიგად, „კახეთი“ იყო გარკვეული ტერიტორიის ამსახველი გეოგრაფიული სახელწოდება, ხან კი სამეფოს სახელი.

რომ ქართლი, კახეთი, იმერეთი და სხვ. გეოგრაფიული სახელწოდებებია და არა ძველი ეთნიკურ-ფეოდალური მნიშვნელობის ამსახველი ცნებები, თუმცა გარკვეულ პერიოდში ამ შინაარსის გამოამახველიც იყო, ამის საუფეთესო მაგალითია იაკობ გოგებაშვილის „ბუნების“ კარი, რომელშიც მოცემულია მთელი საქართველოს, ხოლო შემდეგ მისი ცალკე კუთხეების განხილვა, ამასთანავე, არც ერთი კუთხის განხილვისას, ი. გოგებაშვილს არა აქვს ნათქვამი, რომ რომელიმე კუთხის სახელი ძველი ფეოდალური სამთავროს სახელწოდების აღმნიშვნელი იყოს. ეს მაშინ როდესაც ფაქტიურად არ არსებობდა ერთი მთლიანი საქართველო, ჯერ კიდევ ძალაში იყო ძველი სამთავრო-სადროშოების აღმნიშვნელი სახელწოდებები.

მეორე: ჩვენში (ისე, როგორც სხვაგან) დღემდე არსებობს ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებიც ძველი ისტორიულ სახელწოდებების მატარებელი არიან მაგალი-

თად, რაგვის ქედი, სვანეთის ქედი, ქართლ-იმერეთის ქედი, იმერეთის მდლონი, ქართლ-კახეთის ზეგანი, კოლხეთის მდინარე-წყობა ქართლის ბარი, ჯავახეთის ზეგანები, მდინარე-წყობა ამ სახელწოდებებს ვიყენებთ სამეცნიერო ლიტერატურაში, პრესაში, ლაპარაკში გარკვეული გეოგრაფიკული ერთეულები აღსანიშნავად. გარდა ამისა, მთელ რიგ ქვეყნებში გვახდება მსგავსი სახელწოდებები. სამბოთა კავშირში დამკვიდრებულია და სამოქალაქო უფლებები მოიპოვეს მთელმა რიგმა გეოგრაფიულმა სახელწოდებებმა, როგორებიცაა, მაგალითად: „სომხობი“, „ლატვიამი — ჟერზემი, ლატვიალი, სომხეთში — დირალაგობი, ლორე, პამბაკი, ზანგეზური, აზერბაიჯანში — კობისტანი, შენახა, ტაჯიკეთში — ზერაგზანი, ფერგანა. ისტორიული სახელწოდებები ფრად გაგრეცლებულია კავშირგარეშე ქვეყნებში და გამოყენება სამეცნიერო ლიტერატურაში, ასეთებია მაგალითად, ინგლისში — უელსი, შოტლანდი, საფრანგეთში — შამპანი, ბერგუნდია, პროვანსი; ესპანეთში — ანდალუზია, გალიცია, ბასკონია, ჩეხოსლოვაკიაში — შორავია, სლოვაკია, კრემნეგოროე, უნგრეთში — დუნაიტული, ალფელი და სხვა მრავალი. ამრიგად, ი. გოგებაშვილის კიდევ ერთი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან არა მარტო დაიცვა ქართულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში ძველი ქართული სახელწოდებები, არამედ მტკიცედ დაამკვიდრა ისინი ჩვენს სინამდვილეში.

ი. გოგებაშვილის გეოგრაფიული ხასიათის შრომები და რუკები ცხადყოფს, რომ ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ, ის არის ქართული ნაბეჭდი გეოგრაფიის სახელმძღვანელოს მატყელი ავტორი. მისი „ბუნების კარი“ ნაბეჭარი საუკუნის განმავლობაში ფართო საზოგადოებისათვის ურთაღებრით წყარო იყო საქართველოს გეოგრაფიის შესასწავლად.

ი. გოგებაშვილმა მოკვება სასკოლო გეოგრაფიის მეთოდის ძირითადი პრინციპები, კერძოდ, ყურადღება გაამახვილა გეოგრაფიის სწავლებისას შესასწავლი თემატიკის ისტორიულ მხარეზე, მხატვრული შერჩეობის ნიმუშებისა და რუკის გამოყენებაზე. ი. გოგებაშვილს მტკიცედ მოითხოვდა გეოგრაფიის სწავლებას არა მარტო თხრობით, არამედ რუკის საფუძველზე.



იაკობ გოგებაშვილის წერილები ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოკიდებული, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთელთან ერთად, იაკობ გოგებაშვილი ნახევარი საუკუნის განმავლობაში გატაცებით ემსახურებოდა სამშობლოს გათავისცნობიერებას, მის განთავისცდულობასა და აღორძინებას.

„ვიცავდი და ვთხოვლობდი ხალხის განათლებას დედა-ენაზე ყველა სახალხო სკოლებში, — წერდა ი. გოგებაშვილი, — ქართული ენის აღდგენას ყველა საშუალო სასწავლებელში... ფართო თვითმმართველობას ჩვენი ქვეყნისათვის და სრულს ავტონომიას... ერთი სიტყვით ყველას, რაც კი საჭიროა ჩვენს ერის არსებობის დასაცავად, მისი თავისებურების გასაფრთხილებად, მის კულტურის განსავითარებლად, ასაღორძინებლად“ (იხ. თხ. ტომი IV, 1955 წ., გვ. 449).

რომ ეს ხალხი ჭეშმარიტება იყო, ამის ნათელსაყოფად, იმ დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ერთად, საკმარისია თვალი გადავავლოთ ი. გოგებაშვილის დღემდე შექონებ ბირად წერალებს ქართველი საზოგადო მოღვაწეებისადმი, იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც იაკობთან ერთად, მთელი თავისი ნათელი საცოცხლე შრომული ხალხის უკეთესი მერმოსისათვის ბრძოლას შეადგინა. ამ წერილებში, მკაცრი ცენზურული პირობების ვარგულში, ეტყვიანი ანარქულია მოკლებული მათი განვლილი ცხოვრებისა და შინაგანი ბრძოლის ყველა ის მტკივნეული მხარე, რაც კი მათ იმ დროს აწუხებდათ და თხოულობდა გადაქრასა და მოგვარებას.

70-იანი წლების დასაწყისში ხალხის ბოროტ მტრებს — შეფის განათლების სისტემაში მოკალათებულ მოხელეებს არ ასვენებდა იაკობის თავგანწირული შეშობა, ქართველი ხალხისა და ასალი თაობის კეთილდღეობისათვის. არ უნდოდათ მისი უვნებლად დატოვება; აბამდნენ თავიანთი ჯამშეშორ ქსელს და ცდილობდნენ იაკობის თავიდან მოცილებას.

ერთი მხრით ასეთმა იერიშებმა, ხოლო მეორე მხრივ დიდმა შრომამ გასტეხა მისი ისედაც სუსტი ჯანმრთელობა და ლოგინად ჩაეარდა. მწელი ძალებმა მიერ შექმნილია ასეთმა პირობებმა იაკობს სასოწარკვეთლობაში ჩააგდო. სულიერი სიმშვიდე და წონასწორობა

დაუკარგა და თვითმკვლელობამდე მიიყვანა. მან მტკვარში თავის დახრჩობა გადაწყვიტა, მაგრამ სრულიად მოულოდნელი პედნიერი შემთხვევით იგი გადარჩა.

1873 წელს ნ. ნიკოლაძე ერთ პირად წერილში სერგეი მესხს ატყობინებდა ი. გოგებაშვილის — თვითმკვლელობის განზრახვით მტკვარში გადაქრდნის შემთხვევას.

აღნიშნულის შემთხვევის შემდეგ ი. გოგებაშვილი ნერვიულად დაავადებული იყო და დიღანს ივანეშვიტობდა.

ი. გოგებაშვილი 1874 წლის ზაფხულსა და შემოდგომის სამკურნალოდ აბასთუმანში იმყოფება მიუხედავად ამისა, იგი მუშაობას მინც არ ანელებს, წერს სტატიებს აბასთუმანიდან, არჩევს ლიტერატურულ მასალებს „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ ახალი გამოცემისათვის, ამისათვის თადარავს იჭერს წინასწარ, რომ ილიამ და აკაკიმ რუსულიდან თარგმნონ საბავშო ლექსები, ბექდაეს საბავშო წიგნს „კონას“ და სხვ. წერილებით საქმიან ურთიერთობაშია კირილე ლორთქიფანიძისთან, სერგეი მესხთან და სხვებთან.

შემდგომი პერიოდში კირილე ლორთქიფანიძისა და ალ. ხახანაშვილისადმი მიწერილ წერილებში ჩანს თუ რა შეუენელებელ ბრძოლას აწარმოებდა ი. გოგებაშვილი სასწავლო ოქლის წინააღმდეგ სამეგრელოსა და სხვა სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუქმების გამო.

საყურადღებოა ის ვარგებობა, რომ „დროებში ი ა ბ ა ს თ მ ე ე ი ს“ ფსევდონიმით დაბეჭდილი კორესპონდენცია — „აბასთუმანი 24 აგვისტოს“ „დროებში“ 1874 წლის 13 სექტემბერს ი. გოგებაშვილის კალამს ეკუთვნის. ამას ადასტურებს ი. გოგებაშვილის პირველი წერილი კ. ლორთქიფანიძისადმი.

სერგეი მესხისადმი ვაგზავნილ მეორე წერილიდან ჩანს აგრეთვე, რომ „დროების“ კორესპონდენცია, „სოხუმი, 22 ნოემბერს“ 1874 წლის 29 ნოემბერს „დროებში“ ხელმოუწერლად და ბეჭდილი, ი. გოგებაშვილს ეკუთვნის.

იაკობ გოგებაშვილის წერილები კირილე ლორთქიფანიძის, სერგეი მესხისა და ალ. ხახანაშვილისადმი მეტად საყურადღებო საყოხებს ეხება და მათ არსებითი მნიშვნელობა აქვთ

ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქალღერის ისტორიისათვის.

პირად წერილებში იგრძნობა უაღრესად გულთბილი დამოკიდებულება, დიდი სიყვარული, რითაც გამსჭვალული იყო ყველა მოწინავე ქართველი მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე, მოსწავლე თუ სტუდენტი, ვისაც კი წერა-კითხვა უსწავლია ი. გოგებაშვილის მომადლებული ნიჭით შექმნილი სახელმძღვანელოებით — „დედღეინთა“ და „ბუნების კართი“.

I

კირილე ლორთქიფანიძისადმი¹

(1874 წელი, ივლისის პირველი ნახევარი)²

I. მამა ლორთქიფანიძე! ამ წინაშედ ინაშვილს წერალოთ ვთხოვე, რომ სამიოდე წიგნი ეყიდა და გამოეგზავნა ჩემთვის აბასტუმანში. მაგრამ წიგნები აქამდის არსადი სხანს. იქნებ ინაშვილი ქალაქშიაც არ იყოს. ამიტომ მეტი ღონე არ არის, ისევე თქვენ უნდა მოგმართოთ ამავე თხოვნით. ეს წიგნები არიან შემდგომნი: *детские рассказы и стихотворения Водовозовой. Элементарные рассказы из физики и химии Водовозова и Христоматия для детского чтения Соловьева-Васильева (если не ошибаюсь)*. ეს წიგნი ორი ავტორისაგან არის შედგენილი და გამოცემულია 1873 წელსა. აგრეთვე მეტათ საჭიროა ვრცელი (ორთაბან ნახევრისა) გამოცემა ჩემი ანბანისა³, რომელიც შეიძლება მელაქიშვილის⁴ სტამბაში იმოგონოს ან ითხოვოს კაცმა. ძალიან დამავალუბთ, თუ ამ წიგნებს ვართანთვის მალაზიანი იყიდით და გამოგიგზავნით აბასტუმანში⁵ ნ. უიფიანის⁶ ხელით, რომელიც ამ თვის 20—25 რიცხვებში აპირებს აქ ამოსვლას, სასულიერო ფულებსაც ნ. უიფიანის გამოართმევთ.

თუ თავისუფალი დრო ძალიან ცოტა არა გავით შეგვტყობინეთ წერილით როგორ მიდის ჩემი წიგნის ბეჭდვა და როდის გათავდება, აგრეთვე ისიც იბეჭდება, თუ არა, ცალკე ჩემთვის 24 ეგზემპლარი კარგ ქალაღღღედ, თანამად ჩემი თხოვნისა, ინაშვილის წერილში, პოლიტი პაეების შესახებ ნიკოლაძისაგან⁷ წერილს მოვლით თუ ტელეგრაფსა. მე ძალიან ვეძვენეულობ, რომ პოლიტი პაეებში წიგნის გამოსვლა არ დაევიანონ.

თქვენი ერთგული ი. გოგებაშვილი. მომტკბულეთ არ იქნება, რომ „დროებზე“ შემდგომ ნომერში ბიბლიოგრაფიული ცნობა დაბეჭდოთ ამ სახით:

ბიბლიოგრაფიული ცნობა
იბეჭდება და შემოდგომამდე გამოვა გამასულირით „საქმიწილო კონა“ ანუ პირველ დაწყებითი მითი თხრობებისა და ბუნების მეცნიერებების, პირველი ნაწილი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.⁸

P.S. ამ ცოტა ხანში უნდა გავგზავნოთ დიდი კვებავაძეს და აყაია წერეთელსა ვიდრეწილი საყმაწვილო რუსული ლექსები, ქართული ენაზედ გადასათარგმნელათა ლექსებს, მრდმით ვაწერიებ და კია ხანს წაართმევს ამ ჩვენს პოეტებს მათი თარგმნა, ამიტომ ცოტა არ არის ვეძვენეულობ, ვაი თუ უარს მითხრან, ან არა და იქნება ხელზედ ტყუილ უბრალოთ დამხვიონ: აღთქმა მამკენ და აღარ ამისრულონ. ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, ცივ უარზედ გამოჩებით უარესი იქნება. რადგანაც ლონისბიება არ მეტყნება სხვა პირებს ვისმე დროზედ მივმართო ამ საქმისათვის. არ შეიძლება, რომ თქვენ, პეტრემ⁹ და კიდევ სხვებმა ვიმეგმ თქვენი მხრით ვაეღნა იქონიოთ ამ ჩვენს პოეტებზედ და გადასარგმნა მოანდომებინოთ და დაბეჭდებინოთ. — არც კვებავაძის და არც წერეთლის ადრესი არ ვიცი, ამიტომ ვთხოვ წერილით შემატყობინოთ პირველივე ფონტით. —

ი. გოგებაშვილი.

24 ივლისსა [1874 წელი]

2. უფალო ლორთქიფანიძე!

წარსული ფონტით მე გამოეგზავნეთ თქვენი წერილი, რომელშიაც ვაგიმორეთ, თუ რამდენი ეგზემპლარი უნდა დაბეჭდოს ჩემი წიგნისა. რადგანაც იმ წერილის მოღწვევლობა თქვენამდის შესაძლებელია, ამიტომ ხელმოწერვდ ვეროთ, რომ უნდა დაბეჭდოს ერთი ზოდია ი. ი. 1200 ეგზემპლარი, ვარდა იმ ოცდაოთხი ეგზემპლარისა, რომელიც საყუთრათ ჩემთვის დაბეჭდება. — ვარდა ამისა თქვენ „დროებზე“ შემდგომ ნომერში დაბეჭდეთ შეუცვლელთ შემდგომი სტატიონები: „ჩვენ ამ წიგნზედაც გეჭონდა ვატონილი ი. გოგებაშვილისაგან და ახლაც დამტკიცებთ შევიტყუეთ მისგან, რომ ის თავის სახელმძღვანელოებს: ანბანს და პირველ საკითხავ წიგნსა დარიგებთ, თუ როგორ უნდა იმარებოდეს ეს წიგნი (ეს დარიგება ცალკე ბროშურით არის დაბეჭდილი), ბუნების კარსა და ახლათ შედგენილ წიგნსა, რომელიც იბეჭდება, და ყველა სახელმძღვანელოს, რომელსაც კი ის შემდგომში შეადგენს, სდებს სახალხო შოკლებს სრულ და წაუცილებელ საკუთრებთ. — მაგრამ რომ ამ ვიდრეწილულებამ შესაფერი სარგებლობა მოუტანოს ჩვენ სახალხო შოკლებს. საჭიროა, რომ ახლავი დიუკვიანებლიც, შესდგეს კომიტეტი წერაკითხვისა და მიიღოს თავის შორეულელობას ქვეშ სახელმძღვანელოების ბეჭდვა, მათი გავრცელება და იაფ-ყასათ და უფასოთ ვაგზავნა-გამოგზავნა შოკლებში.“¹⁰ — მე ჩემი ვადაწყვეტილების საქვეყნოთ გამოცხადება აქამდის არა მსურდა, მაგრამ რადგანაც ამ გამოცხადებას შეუძლია წერაკითხვის კომიტეტის დაარსება ბევრათ დანქაროს, ამიტომ საჭიროთ შევრაცხებ „დროებში“ მისი დაბეჭ-

და. თქვენ ადვილათ დამეთანხმებით, რომ მოახსენებელი ანგარიში ამ შემთხვევაში მე არ მისტყუებს. — თუ როგორმე წიგნის ბეჭდვის ამბავს შეგვატყობინებთ, მადლობელნი დავტყუებით.

თქვენი ი. გოგებაშვილი.

P.S. მე შეეცავე, რომ ა. წერეთელი! სამზღვარ ვაჩუქო არისო. ვის მივმართო ლექსების გადასათარგმნელათ მის შავიერათ, არ ვიცი.

3. უპატივემულესო კირილე ბეჟანისძე! 12 გუშინ საღამოზედ მოხდა ერთი (ერთი) კრება, რომელშიც დამაველა გამოშვებულნი თქვენთვის დაუყოვნებლივ 1) შავი ქალაქისა, რომელიც არის შედგენილი პასუხად დირექტორის მოახლოვნილობისა, რომ ძველის სენაის სახანურო სკოლაში ქართულს ენაზედ სწავლება მოსაზრებლ იქნის და 2) პირი ერთი რუსულის წერლისა, რომელსაც სავნად აქვს სამეგრელოს სკოლების ახლანდელი საშოწმწვლო გეგმა და რომელიც უკვე მოსმენილი გაქვთ (შემაოცლებით) წარსულს შემოედგინა ჩემს ყოფნის დროს ქუთაისში. საერთოდ აქაურები გთხოვთ თქვენ მანდაურებას ერთი ქალაქი და მეორეც ველდალებით ვადეთობთ განვითარებულ მეგრელებთან ერთად და შეგვატყობინოთ: ამგვარი ქალაქის გაგზავნი დირექტორის პასუხად თქვენი აზრით ხერხიანი იქნება, თუ არა? ამ წერლის დაბეჭდვა რომელსაზე რუსულს გამოცემაში ხომ სასარგებლო იქნება? თუ რაიმე ცვლილება საჭირონი არიან ან ერთში, ან მეორეში, რაში უნდა მდგომარეობდეს ეს ცვლილებანი? გარდა ამისა, რადგანაც სამეგრელო თავდასაზრთობის სურვილის შესახებ სწავლის მოწყობილობისა ძველის სენაის სკოლაში უპირველესი, საქმის გადამკრელი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მოუცილებლად საჭიროა, რომ მან თავისი საერთო სურვილი, უკვე სველსავე ცნობილი და ძველის სენაის სკოლის დარსების დროს გამოცხადებულ, ერთხელ კიდევ საქვეყნოდ გამოამართოს წლევენდელის საბანკო კრების დროსა და აღიაროს, რომ ჩვენი სკოლისათვის, ესდებთ ფულსა იმ პირობით, რომ იქაც სწავლა მიდიოდეს ქართულს ენაზედ, როგორც ქუთაისის და თბილისის სახანურო სკოლებში მიდისთქო. ამისათვის საჭიროა მხოლოდ სმეტის დამტკიცების დროს დაემატოს ერთი ვრცელი წინადადება. ქალაქების გამოკვება დაგვიანდა იმის გამო, რომ ჩვენ სრული იმედი ვქონდა ი. ჰეგუაშვილისა, რომელიც ახლა ქუთაისშია. მაგრამ ვუწინდელს კრებაზედ შიში აღიძრა, ვთუ თუ მან ჰეგუაშვილს, რომელიც სრულიად სხვა საქმეზეა წასული ქუთაისშიო. ეს საგანი დავიწყებს და მარჯვე შემთხვევა ხელიდან გავიხსნატესო. მაინცა და მაინც ამათ გამოგზავნი არა და შევდებარა. გთხოვთ ქალაქები დავგიბრუნოთ

ერთის კერის განმავლობაში, თუნდაც ვეპეჯაძის ხელითა. კარგი იქნება, ვეგონებ, რომ კომიტეები გადააწერინოთ (ეს უნდა) დონის სემეა) და დაიტოვოთ მანდაც და სხვა სხვა სხვა შიაც რაიმოდე ეგზემპლარი გაატანოთ.

თქვენი მარადის პატივისცემული იაკობ გოგებაშვილი

P.S. ყოველი შემთხვევისათვის გაცნობებთ ჩემს ადრესს:

Головинский проспект, дом Мухранинского № 12.

13 მაის 1887 წ.

4.XII.1887წ¹³

4. დიდად პატივემული კირილე ბეჟანისძე! გაწუხებთ ერთი საზოგადო საქმის გამო. უპატივით, შეტყობილი გაქვნებით, რომ ეს მეორე წელწადია, რაც თბილისში შეიუღლებით „ეფესვის-ტყოსნის“ თარგმანს ნემეცურს ენაზედ ლექსადე. თარგმანი იესისა ლეისტმა, რომელიც სწორედ ზედ-გამოტრიალი ამ საქმისათვის. ჩვენ დაეაჩქარეთ ეს მარჯვე შემთხვევა ხელადგან არ გავეშუა, რადგანაც ვინ იცის, იქნება სრულად აღიარების არ მოგვეცემა შემთხვევა ევროპულს ენაზედ ჩვენი სასიკადადლო ქმნილება გადაგვლებინა შესაფერი ფორმით პირობის ძალით, რომელიც მე შეეკარი ლეისტთან, მას „ეფესვის — ტყოსნის“ უნდა ვადეთთარგმნა ლექსად იოსის წლის განმავლობაში და თარგმანის საფასად მიეღო 700 მანეთი. ამ ეშვად თარგმანი მთელის წიგნისა უკვე გათავებულა და წაიკითხულიც არის ნემეცურის ვისს მცოდნე პარვის მიერ. ეს პირნი ერთმანდ აღიარებენ, რომ თარგმანი შესრულებულია მშვენიერად, ხელავენრადო. ესეც უნდა იყოს, რადგანაც გერმანიაში ლეისტი აღიარებულა, როგორც ნემეცური ევროპულ-გაზეთებდგანა სწამს, არა მარტო როგორც ნემეცური, არამედ ხელავენრადო (художественным) ნემეცურად. მისის დამდეგში ლეისტი მიდის გერმანიაში და იქ დაიჭერს „ეფესვის-ტყოსნის“ დაბეჭდვის თავდარიც რომელიც გამოჩენილი ფორმის შუამავლობით. დანამარა ფულადგან ჩვენ აქამდე მივეციოთ 400 მანეთი, უნდა მივეციოთ კიდევ 300 მანეთი თარგმანში და 200 მანეთი შემწეობა გამოცემისათვის. ამდენა ფულის მიცემა, მეტაბრე ერთმანდ, ძლიერი გვიძნელებდა, რადგანაც, თუმცა სიბერით ძლიერ ბერბა აღგიოთქვა ფულით შემწეობა, მაგრამ საქმით კი მთელი ხარჯი დაგვაწვა სულ თერთმეტ კაცს, რომელთა შთა თვლება ნიკო დილოზებრიძე¹⁵ ამის გამო ჩვენმა წრემ მე დამაველა მომემართინა თქვენთვის თხოვნიით, არ შეძლება, რომ თქვენი თაოსნობით ქუთაისში ქართულ-

ბაბაევი მიიღოს მონაწილეობა ხარჯში და შევიდეს ბუღალტრის ტერიტორიაში. თუ ეს შესაძლებელი გახდეს, ვთხოვ დაიქირაოთ ფულის შეკრება, რადგანაც 500 მანეთი ამ თვის გასულს უნდა ჩაებაროთ ლეიბსტა.

თქვენი მზად პატივისცემული იაკობ გოგებაშვილი

ჩემი ადრესი: Тифлис Я. Г. Давидовская площадь дом № 3.

II

სერგეი მესხისადმი

1874 წელსა 29-ს სექტემბერსა

1. ძმავ სერგეი წარსულმა ფორტამ მეტო სამწუხარო ამბავი მომიტანა შესახებ ჩემი წიგნის ბუქლეტისა. შე მეგონა საქმე გათავებამდინს იქნება შეყვანილი მეთქა, ის კი არა ულორთქიფინიძის იმდენი უღეაწილა თურმე რომ საქმეს აქამდისინაც არ შესდგომა. მტ მაკვირვებს ამ კაცის მოქმედება: იენისის გასულსვე თეთიონ გამოაცხადა „დროებაში“ წიგნი იმუქდება; მერმე ინაშვილის შემავლობით შემბატობინა, რომ ბუქლეტი დაგვიანდება ივლი. სის ნახევარმდის შეზღუდის უქონლობის გამოვო, — მერმე კი სწრაფად წაიფივანთ საქმესათ. ახლა ცხვედაძისათვის უთქვამს დამნაშავე თულაშვილი არისო, რადგანაც ფულები ქალღლის საყიდლით არ მამყო. რათ მალამდა ამ ნამდვილ მიზეზს მოეღი ორი თვის ვანმევალობაში მე ვერ ამიხსნია. მაგას რომ ორი სტრიქონი მოეწერა აბასტუმანში ჩემთვის, ამ მიზეზს ერთი კვირის ვანმევალობაში ბოლოს მოუღებდო, მაგრამ... ეტყობა რომ ორი სტრიქონის დაწერაც ზოგიერთჯერ შეუძლებელ ღეაწილს შეადგენს კაცისათვის, ყველა ეს პიო უმეტესად არის გასაკვირველი, რომ თეთიონ ლორთქიფინიძემ, გამოუწვევლად, გამოიჩინა სურვილი ზრუნვის მიღებინა თავის კისერზედ შესახებ წიგნის ბუქლეტისა.

ეს სტრიქონები ბიტომ დავსწერე, რომ შენ დაგანახეთ ის თუ რამდენათ საჭიროა შენი მონაწილეობა წიგნის ბუქლეტში, მე აქაც ვთხოვე ეს და ახლაც ვთხოვ. ბევრს დროს არ წავგართმევს ამ თხოვნის ასრულება და თუნდაც წავგართვა, სახეში იქონიებ, ჩასაკვირველია, იმას, რომ ამგვარი ნაწარმოები ამხადებს ნიადაგს იმ მოქმედების ფეხებ ქვეშ, რომელსაც შენ ადგიხარ. მამსალამე რამდენიც ადრე დაიბუქდება ქვეყანაზედ ეს ნაწარმოები, იმდენი უფრო დროთი დაინხარება ლიტერატურულ საქმეს. გვირინათ კარგბტურა — პირველი საქმეა საყმაწვილო წიგნებში, — იმედი მაქვს ამას სახეში იქონიებ. პოლიტპაქები მიუცილებლად საჭიროა მეტადე მეგ წიგნისათვის. უპოლიტპაქებოთ თავის

მნიშვნელობას სრულიად დაკარგავს, რადგანაც მისი მოცდა მე შეგონია, არ გამოდგება, შეიძლება ხელზედ დავიხიოთ და რამდენსამე თვის კიდევ დაავიანოს ბუქლეტის წამწერის გამოსვლის ვათავებ. ამიტომ წამწერის ბუქლეტისამე გავუზავნოთ ამ გვარად: გავუზავნი პოლიტპაქებს თუ არა? ტყუილად ხელზე ნუ დავიხივე. თუ არ ვზავნი, პეტერბურლიდგან დავიბარებთ, სხვა შენ იცი, როგორც წაივან საქმესა. ამაზედ ცხვედაძისათვმ ესწერ. რაც შეიძლება დავებარებთ. საუბედუროთ მართო ნაწარმოებით არა თაედება თქვენი ზრუნვა. უნდა მწარმოებელზე და ცოტა იზრუნოთ. საქმე იმაშია, რომ თუ ამ მწარმოებელმა ზრუნვისისგან გამოცხადებლი პრემია არ მიიღო, საწარმოვეს შოვნა სრულიად საჭირო აღარ დარჩება, — მის როლს ასრულებს შიმშილი. ყველახედ ცუდი ამ შემთხვევაში იქნება ის, რომ შემდგომი წლისათვის ჩვენ შევლებს სახელმძღვანელო არ ელირსებთ. მაგრამ განა მართო შემდგომი წლისათვის? ამიტომ მე იმედი მაქვს, რომ შენ ყოველ ღონისძიებას იზარებ, რათა ზარაფოვა თავისი გაღაწვეტილება აღასრულოს. თუ ის თბილისშია, საქმე გაადვილდება უფრო, თუ ისევე რუსეთში, ან საზღვარ გარეთ არის, წერილი უნდა გავუზავნოს და თანაც ვარდნივეტილება დაწიგნებულ კომიტეტისა, წერებებს ხელის მოწერით, შესახებ მისა, რომ წიგნი ყოველ შემთხვევაში კმაყოფილით არის შედგენილი და პრემიის ღირსი. ფულები უნდა დავთვიანებლოვ მოიხობოთ მისგან, რადგანაც ერთ თვის უკან მე სრულიად მშრალზედ დავრჩები მამე უღელისათვის შიმშილით საცესე დიალის დაღევა ჩემთვის პირთვანთ არ შეადგენს უსამოვნო საქმესა, მაგრამ... სხვა მხრივ კი მე შეგონია, ეს უღროვო იყოს, ჯერ-ჯერობით.

სხვა საგნებზედ შემდგომში მოგწერ, — „დროებაში“ 440 № წარსული ფორტით მომიიგდა. დიდი ხანია ჩემთვის გახეთს ისეთი კმაყოფილება არ მოუცია, როგორც ამ შემთხვევაში. ყველა სამშობლოთურ ჩამძეს შესახებ უკუდმა მართლდება ქართული ანდახა: როგორც თვითო შორს ისე გული შორსო. თუ ვინდა რომ ნომრები არ დავკარგო და დროზედ მოასწრინს ბოლმე, ჩემთან ზემო ადრესში გამბუქლარქვე: მის მაღალკეთილშობილებას თქო, იაკობ სიმონისსა თქო, გოგებაშვილს თქო.

შემდგომი წლის „დროების“ გამოცემაზედ ვანცხადება უნდა შესდგეს ხელთწერად. ამაზედ კარგა ფიქრი და მოსაზრება გმართებს. მე შეგონია რამდენათაც ვნერგოულად აღვიარებს „დროება“ თავის უწინდელ შეცოდაებათა, იმდენს უფრო ბევრ თანავარძნობას მოიპოვებს. თორემ რემეტაცია ვანეთისა სრულიად დავე-

მელა. მე ამაში დამარწმუნა ყველა ნაბიჯმა თბილისიდან აბასტუმანში და იქიდან აქა. „ქორის კოლოფი“ აი სახელი, რომელსაც „დროების“ შესახებ გაიგონებ არა ერთიღან. — შენი იაკობ გოგებაშვილი.

მესამე სათხოვარი შენთან კიდელამ დააიფიქსდა, რომ არ მამგონებოდა, ბევრს ვინანებდი შემდეგში, რადგანაც საჭირო საქმეს შეეხება. აი რაშია ძალა: სახელმწიფო-საქონლისათვის მე ლექსები სრულიად არა მაქვს. ზოგს ჩვენი პოეტები მითარგმნიან, მაგრამ მაინც საეპარსისი არ იქნება მათი ნაშრომი. მე მახსოვს „დროებაში“ ხან და ხან იმეჭვებოდნენ იმ გვარი ლექსები, რომლებიც ან მთლად, ან ნაწილობრივ ნაწილობრივ ბავშვებისათვის გამოდგებიან. გეთაყვა, სერგეი, გადაველე თვალი „დროების“ ნომრებს ძველიდან დაწყებული აქამომდე, ამოარჩიე ის ნომრები, რომლებშიაც ნახო საყმაწვილო ლექსები და გამომიგზავნე. მე ამოვსწავა, რაც საჭიროა, და ისევე უკან დავაბრუნებ. დაიარსებინა ნუ გეშინიან. მავალიათო: მე მახსოვს მშვენიერი ლექსი მგონია ვახ. ორბელიანისა, სათაური „იმედი“, რომლების ზოგიერთი ადგილი ბავშვებისათვისაც ვასაგებია. ფაბრისი⁸ და ჰილანდილან ლექსებშიაც ურევიათ საყმაწვილო ხასიათისანი.

ი. გოგებაშვილი.

10 დეკემბერს 1874 წ.

2. მხოლოდ ვერ წარმოიდგენ შენ, რა უკმაყოფილო განკარგულებაში მოვედი მე, როცა 28-ს ნოემბრიდან „დროების“ ნომერში წვეთობით დაბეჭდილი რასაკვირველია შეცვლით ის სტრიქონები, რომლებიც მე კერძო წერილში მოვწერე. მე არას დროს არ მოვიდებოდათ თუ შენ ამ სტრიქონებს ამ გვარ დანიშნულებას მისცემდი. მე მეგონა ნარეკლამისათვის ისარგებლებდი, როგორც მასალათა, თორემ ისე სუბტილათ არ მოვეცეოდი იმ ფაქტებსა და კემარტებისათან უფრო მჭიდროდ დავაბლოცებდი. ძალიან დაგრწავებია ისიც, რომ ზოგიერთა ზნეობის მფხავნავი სიტყვები გაიგვიდა დასაბეჭდელთა. ისინი უთუოდ გამოტოვებულნი უნდა ყოფილიყვნენ. სწორედ გათხრა ძალიან გაკავრებულ ვარ შენზედ. მაგრამ იმასაც ვფიქრობ, რომ რედაქტორის მდგომარეობა ხან და ხან ისეთია, რომ ის უნდა ეტეზს დასაბეჭდავ სტრიქონებს. თანამშრომლები დალატობენ, თვითონაც ილაჯ გაწყვეტილია ერთი და იგივე ზომის ზიგვითა და სცლის ცუნს, ძალიან ცუდს მდგომარეობასა. ამისთანა მდგომარეობაში მიმჩინიხარ შენ ახლა, ნებით თუ უნებლობით მიტოვებ დანიშნულებასა და, რომ მოსპო ცოტათი მაინც მიზნები ან ცუდს მდგომარეობას... გიგზავნი წერილს სულსმის შესახებ, ამისთანა წერილები მოვლავ სხვა და სხვა დროს სამაჟის არ ოთხამდის. გერა-ჯერობით მეტს ვერას ავითქვამ. მე მინდოდა მეტქვა შენ-

დგომი წლისათვის პედალოღობო წერილებში, მაგრამ... ვიცი რომ ჩემ მდგომარეობაში მტკიცე ელემენტი არ იპოვება და ამიტომ მტკიცე ვარა. — Недавни слово — крепко держись.

სოხშიდან წერილებს შენ მისცემ ფელეტონის ადგილსა. ეს, მგონია, წინააღმდეგი არიარისა იქნება. თუ ეს არ მოხერხდება კორესპონდენტებში ჩართობა, რასაკვირველია, ამ წერილებს მე ბევრს დროს ვერ მოვახმარებ, ამიტომ სუბტილ ხასიათი ექნებათ, მაგრამ სოხშივედ კი და იფხავებოდელ მთელ წარმოდგენას მისცემენ მკითხველებსა.¹⁰

შენგან აქამდის არ მომსვლია ის ნომრები „დროებისა“, რომლებშიაც იპოვებიათ საყმაწვილო ლექსები. გამომიგზავნე. — აგრეთვე არ მომსვლია 12, 13, 14 და 15 ფორმები „საყმაწვილო კონისა“ ესენი უთუოდ პირველივე ფორმით გამომგზავნე ჩემსკენ. სტრატებისა რა შენია? წიგნულ ვაპოცხადება რატომ ისე არ გადაასწორე, როგორც მე წერილში მოვწერე? ეს საჭიროა.

რაც შეეხება ჩემ მდგომარეობას, იგი იმდენათ უკმაყოფილოა, რომ ყოველ დღე შეიძლება საჭირო დარჩეს ჩემი ლოშკარბაღში გადასვლა. ხან ერთი სერი, ხან მეორე და ხან მესამე მოსვენებას არ მაძლევს. წერილებს კი ყოველ შემთხვევაში მიიღებ, რადგანაც ერთი მიზეზი, რომელსაც შეუძლია მათი მოსპობა, შორი ახლოს არის ჩემზედა: შვი ზღვაში წყალი ცივია. —

შენი ი. გოგებაშვილი

წერილების ქვეშ გვარი არ უნდა იყვეს მოწერილი, არც ნამდვილი, არც მოგონილი. —

III

ალექსანდრე ხახანაშვილისადმი.

[1901 წელი 25 ოქტომბრამდე]

1. ბატონო ალექსანდრე! ვერა ჰქენით კარგი საქმე, რომ ზღვებში ბორჯომს არ ეწვიეთ ერთი-ორი კვირით. თქვენს სიმართლეზე იქორი ჰაერი უმეკლად კარგს ვაგლენას იქონიებდი, და ამას გარდა ერთად განვიხილავდით რამდენაშე საბასუხისმგებლო სტატიას, რომელიც მე დაესწერე ბორჯომში. როცა მოლოდინი არ ამისრულდა. გორში ჩამოვედი, უნდა მენახეით, მაგრამ სოფლად წასულიყავით სწორედ იმ დროსა. ერთი იმ წერილთაგანი დაბეჭდა ამის წინად Петербург-ის Ведомост-ებში სათაურით: „Не справедливо обвинение (голово, из Тифлиса)“. სამიჯერედ დაბეჭდვას ელას; მხოლოდ ვერ გადგვიწყვეტია, სად დაბეჭდოთ. საჭიროდ სცნეს

აგრეთვე, რომ ერთი ვრცელი წერილი, რომელიც ვოსტოგოვის² მოქმედებას შეეხება უმთავრესად, რომელიმე რუსმა გაგზავნის პეტერბურგში თავისი ხელმოწერით; მაგრამ ვერ ვერ ვიპოვეთ ამისთანა რუსი.

ამ წერილს უმთავრესად გწერთ შემდეგი მიზეზით: ამ ხაყხელს ქალაქი მომეფიდა Bonaparte-მ დასაბრუნებელი მოხელედნი დაწინაურდა სტარა შესახებ ხალხს განათლების მდგომარეობისა საქართველოში.³ ხაყხელში ვერ მოვიცალე ამ საქმისათვის, და იმედი მქონდა, რომ შემოღობამაზე დავსწერდი; მაგრამ სიბრძნელემ მიმტრუნა და სხვა საქმეებიც აღმოჩნდა. ამიტომ ტელეგრაფში მივსწერე უარისა და ვერაფერ თქვენი პირდაპირი თხოვნით, უარს ნუ ეტყვიან. თქვენებურად, ცოცხლად და სხარტულად დაწინაურდა წერილს შესახებ ხალხს განათლებისა ქართულთა შორის დიდი მნიშვნელობა ექმნება და ყველასგან დიდს შაღლობას დამისახერხებთ. რა მასალებსაც მოგვთხოვ, იქნებამ ვამოგზავნი. ჩემი ნაწერებდგან ამ საკითხთან პირდაპირი კავშირი აქვს ამ წერილს ხალხს განათლების შესახებ, რომელიც დაიბეჭდა „მომავლის“ ნომერის წიგნში 1895 წელში.⁴ გამოყენებთ ერთი მხრით ამ წერილსაც, რომელიც პარტის გამოდგენისათვის დავსწერე და რომელიც დაიბეჭდა მერისი თურნალში ფრანგულ ენაზე და „ივერიაში“ მიმდინარე წლის დასაწყისში⁵ შეიძლება ცოტადნად ისარგებლოთ იმ ჩემი წერილითაც, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“ წარსულს ხაყხელს შესახებ სამრევლო სკოლების ახალის გეგმისა,⁶ ახლაც მაქვს რუსულ ენაზე და მასადებელი წერილი: Как улучшить народную школу в Грузии. ამის კოპიისაც გამოვიგზავნი. ეს წერილი დავსწერე მელიქიშვილის თხოვნით. როცა პეტერბურგში იყო, მინისტრის ახმანავს მეშინოვს ეტყვა: რომელსამე თქვენებურს შედარებით — დაწერინე წერილი შესახებ სახალხო სკოლის გაუმჯობესებისა და გამოგზავნეო, და ამ დღეებში უგზავნის.

ჩვენ ყველას გვაძინებს ის ვარაუდი, რომ მეტად ბევრსა სწერთ, ძლიერ ბევრსა შრომობთ და ვი თუ თქვენმა სხუელმა ვერ იტანოს ამდენი ჯაფა. თვითონ ხაყხელიც უდიდოდ დაეძინათ. სულ დაუდგრომელს მდგომარეობაში იყავით. მუუდროობა და დასვენება არც ხაყხელში ირგუნეთ, და ზამთარში ხომ ვანუწყავებდნენ ჯაფაში იქნებით. ღმერთმა ჰქნას, რომ უფროსად იტანოთ მაგოდენა შრომა.

ხაყხელში ბოცვამეს⁷ ეტრჩიე, რომ თავისი წერილი: На естественность естественного метода. თქვენ გამოვიგზავნეთ მოსკოვში დასაბეჭდად რომელსამე პერიოდულს გამოცემაში და ცალკე წიგნადაც გამოსაცემად. გამოსაცემს ფულს მე გამოვიგზავნი. თუ მოგივლიათ ეს

წერილი, დააქართო მისი დაბეჭდა, რადგანაც ახლა კარგი მომენტია. განათლების სამინისტრის როცა პირველ დაწინაურების სურდებურ ნებაზე გეგმას შეიმუშავებს, შესაძლებელია მისთვის რუსულის ენის სწავლებისა და დადგინოს, და მაგ სტარაის შეუძლიან კეთილი გაცელა იქონიოს.

„ივერიაში“ თავი დაანება საზოგადოებაში, კავაჯავახთან ვერ შეთანხმდა მოქმედებაში. კავაჯავაძე ემდებრებოდა: თვეში ვახეთის გასვალს, ხარჯს ორმოცი თუმანი მიუძღავო, და ხელს მომწერი კი არც ერთი, არ ვიცით, როგორ იქნება ვახეთ „ივერიაში“ საქმე.

ძლიერ გავიბრუნებს მდგომარეობაშია აგრეთვე „კეალის“. მახარებენ⁸ რადაც საიდუმლო მიზნებს გამოი თავი დაანება რედაქციისა და გურიაში შადის, გომარეთელი⁹ რომ აქ არ იყოს, „კეალის“ საქმე მეტად ცუდს მდგომარეობაში ჩაეარდებოდა. ფულად ძალიან აკლიათ და არ იციან წლის დამლევადინ რთვით გეგმონ ხარჯს მომავალი წლისათვის კი დიდი იმედები აქვს „ცნობის ფურცელი“ ათას ზედასი ცალი იყიდება და შემდეგ წელში კიდევ უფრო მოემატება, 200-მდე უნდა ავიდეს ხელის მომწერთა რიცხვი.

თქვენი სიბრძნელის და ყოველი სიკეთის მონატრონი იყავთ გოგებაშვილი.

ჩემი ადრესი: თბილისი, იაკობ გოგებაშვილისა, სხვა არადერი.

2 თებერვალი 1902 წელს.

ბატონო ალექსანდრე!

2. თქვენ წინაშე მიუტევებელი დანაშაულობა მიმძღვის. ძლიერ დავაგვიანე ვახეთებში გომოცხადება შესახებ თქვენ მიერ ნაყის ტრაქტატისა და ამით შეუძლებელი ვახებდნენ დროზე მოწოდება საკურო მასალისა სხვადასხვა პირებისაგან. ამის მიზეზი შექმნა ის ვარაუდი, რომ თქვენი წერილი მეორე დღესვე დამეარგა და ვეღარ ვიპოვე, თუმცა ბევრისაგან ბევრი ვეძებე. მხოლოდ ახალწლის წინა დღეებში, როცა, ჩვეულებრივსამერს, ყველა ჩემი ქალიღებნი ვაღვანობდი, ეპოვენი მხოლოდ მოწერლობა ჩემდამი ფოტოგრაფია და იგი მაშინვე გარდაევი „ივერიაში“ რედაქციისა, რათა საკურო მოწოდება დავწერა ამ სიგნის შესახებ. მაგრამ რადგანაც ვახეთმა რიგაზად ვერ ისარგებლა ამ დოკუმენტით, ამიტომ მეორე თუ მესამე დღეს მე თვითონ დაებეჭდე განმარტება და მივმართე განათლებულს ქართველებს მონაწილეობა მიეღოთ ამ დიდს საქმეში სხვადასხვა მასალის მოწოდებით¹⁰. შემდეგ ფორტო გამოვიგზავნე ჩემი წერილი რუსულ ენაზე: „Как улучшить начальную школу в Грузии“¹¹ და Ученый план¹² იანოესკისა¹³. ჩემი წერილი შეიძლება მანდ სადმე დაბეჭდ-

ვინათ, თუ ამას საჭიროდ დანიხავთ. მხოლოდ უნდა იყოფეთ, რომ იგი მარბალმა მელიქიშვილმა წაიღო პეტერბურგში, სადაც წარუდგინს განათლების მინისტრს. არა მგონია, რომ საქარისი მასალა მოვივიდეთ მანდ აქედან. მხოლოდ ზაფხულში, როცა აქ ჩამობრძანდებოთ, შეგიძლიან თუითონ თქვენ შეაგროვოთ საქარისი მასალა. მე ვგონებ, რომ ფაბრიკის ერთს წელწიდან მაინც მოგეცემთ ვადად, რადგანაც მისი კაპიტალური გამოცემა ამაზე ადრე ვერას გზით ვერ დაშვალდება. და ეს ვადა კი თქვენთვის სრულად საქარისი ექნება.

ბედაც ბევრს ვერაფერს მოგწერთ, რადგანაც ავად ვარ ინფლუენციით, რომელიც მეორედ დამიბრუნდა. საზოგადოდ ამ საქმეს მუყაოთობა ვერ გავუწევი იმის გამო, რომ შემოდგომის აქეთ მე ძლიერ მოშლილი და დასუსტებული ვარ. სხვათაშორის ძლიერ ცუდი ზედგაუღენია იქონია ჩემზე „ცნობის ფურცლის“¹⁵ უნაშესო გამოლაშქრებაში. და ბოლოს რა აღმოჩნდა? თვით მისი თანამშრომლის რევიზიამ შეამოწმა იმისთანა უდებიო და სასტუმბოური ცემა-ტყემა ბავშვებისა კერძოდლაშვილისა¹⁶ იკრა, რომ ამ ერთის კვირის წინად წერაკათვის საზოგადოების გამგეობამ ვადასწევიტა: დაუყენებლივ იქნას დათხოვნილი კერძოდლაშვილი თანამდებობიდან. ეს თავის გამბრუნებად და შეურაცყოფად ჩასთვალეს ვართამ¹⁷ და მღელვამ ნათამ¹⁸, რომელნიც უარს მყოფდნენ ცემა-ტყემაში, და პირველმა დირექტორს თურმე მისცა არაა დათხოვნაზე (ესეც ახალი ინტრიგული დემონსტრაცია მის მიერ) და მეორემ კიდევ გამგეობასა. მიზანი ამ ორკაცი ინტრიგანობისა ის ვახლავთ, რომ კერძოდლაშვილი შეუნარჩუნონ სკოლასა და ბოცემ¹⁹ მოამორონ. და ამისთანა სამწუხარო მოვლენას კავთვემი ადგილი ექნება იქნობამდინ ვიდრე ინტრიგანა ჩინოვნიკები იქნებიან იქ გამგებლად. გამგეობას სერს მოსპოს ეს ანორმალური გამგებლობა; მაგრამ წინანდელი გამგე კახიძე და ახლადელი გოთოი ხელს უშლიან მოთაბობას ურდენ ჩვენს შინაურს საქმეში. მოდი და ამისთანა მდგომარეობაში შეინარჩუნეთ მხნეობა და იმედი მომავლესა.

ვოსტორგოვი² დიდს ამბავშია. ჯილდოს ჯილდოზე იღებს და საფუძვლიანადაც ქართული ენა ისე შევიწროვა სამრველო სკოლებში, რომ „დედა-ენა“ წარსულის წლის განახლებაში ვაგზავნა მხოლოდ 800 ცალი, როდესაც 1900 წელში ტატელის დროს 1700 ცალი ვიგზავნა სკოლებში. აგრეთვე ერთი ორად ნაყლები წააღებინა „Русское Слово“ რომლის ნაყვლად ზმარობს იმისთანა პახელმძღვანელოებს, სადაც ქართულის ქაპანებაც არ არის. და ამავე დროს - ცოლვის ფურცელი¹⁵, როგორც აკვირ ექმის, ივხუბურად ქადაგებს ჩემი სა-

ხელმძღვანელოების წინააღმდეგ. ბედნიერად ვრია ქართველობა!

ბოცეაძის⁶ სტატია „Не естественный методъ тѣственного метода“ ჩემი აზრით უღრმეს ბეჭდოს ცალე წიგნავად, მიუხედავად იმისა, მოთავსებული იქნეს იგი „Вестник Воспитания“-ში თუ არა. გამოაქვთ ფულს მე გამოგვაზავნით, მხოლოდ, რამდენი იქნება საჭირო, მაისნობეთ, როცა საზაფხულოდ თბილისში ჩამოხვალთ, გთხოვთ ჩემთან ჩამოხტეთ, ცალეკე სასტუმრო ოთახი მაქვს მოწყობილი, სადაც ყოველს შეწევნებას მოშორებული იქნებით.

თქვენის სიმართლის მშვიდობის და ბედნიერების მონატერი იაკობ გოგებაშვილი.

16. I. 1905 წ.

3. ბატონო და მეგობარო ილექსანდრე! მივიღე გუშინწინ თქვენი წერილი. გუშინ გამოგიგზავნეთ ჩემი ახალი რუსული წიგნაკი „Государственный языкъ в грузинскихъ начальныхъ школахъ“, ოდოევის სასახლეოთ.¹² ზედ დომევე რამდენიმე ცალი წიგნისა, რომელსაც თქვენე ვაუგზავნით ზედ წარწერით: „редакцию... для отзыва“, ამ ვაუგთებს, ან ჟურნალებს („Русская мысль“, მაგალითად), რომელთაგან მოსალოდნელია კეთილი სიტყვა არ დაიშრონ. წიგნაკი ასეა დაწერილი, რომ ყოველს კეთილ-გონიერს რუსსაც კი თქმევენის: აი რა უსამართლოდ და უღირსად იმეციან ქართველებსაო. ეგ წიგნაკი და წინანდელიც: „Какъ улушшить Кав. народ. школы“²¹, ვამოგზავნი მართო მოსკოვში დურნოვი² ამისთანა ზედ წარწერით: „Благородному другу Грузинъ и всехъ угнетенныхъ Н. Н. Дурново“, ეს პირველი ვაგზავნაა, წინად არაფერი გამამიგზავნია მაგ ჩვენის ერთგულის მეგობრისათვის.

მკითხებით: ცავარლისში პირით: როდის დაიბეჭდება თქვენი პასუხი ჯავახიშვილის²² წიგნაკის შესახებო. ამის შესახებ და სხვა საგნების შესახებაც დაეწერეთ წერილი ცავარელთამ² და ამასთან ერთად ეგზავნება მას. ჯერ-ჯერობით იძულებული ვიყავი ჯავახიშვილი დამეწეებოდა სრულიად და საეხებო. საჩქარო მაინც და მაინც არაფერია, სხვა საქმეებო, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საეადონი, ითხოვდნენ და ითხოვენ ჩემს ყურადღებასა. საზოგადოებაც ერთმე იმ აზრს დაადგა, რომ ჯავახიშვილმა ადგილი კატორი გამოსარჩლება ქართველის ერისა დანაშაულობად ჩასთვალა — და იმავ დროს სწორედ აბოკატორი გამოსარჩლება ვაუწია მასსო. პირადნი დაბრკოლებანი თავის დროზე პასუხის დაწერისა და დასტამბისა მდგომარეობდნენ შემდეგში: ზაფხულში და შემოდგომაზე

აქედან გამომდინარე, შემდეგ ოდოევის პასუხს მო-
ვნიდა, რომლის ნებართვა ცენზორის მიერ
ქლიერ გაძნელდა, გაგრძელდა და ძლიერ შე-
ვეცილი გაეაშვებინა. დიდს ყურადღებას ით-
ხოვდა ჩემ მიერ და ითხოეს პოლიტიკანების
ცდილობა, რომ ჩემი სახელმძღვანელოები
მოლაღ და საესებით გაუქმებული იყვნენ სეკ-
ტემბრადგან. საერო უწყებამ, ზავადსკის²³
განაჩვენებით, ფაქტობრივად გააუქმა Русское
чтение და ბუნების კარი სახალხო სკოლებში;
ვოსტორგოვმა დაამტკიცებინა სინოდს გადაწ-
ყვებილება, რომლის ძალით ყველა ჩემი სა-
ხელმძღვანელოები ქართული და რუსული უნ-
და გამოდევნილი იქმნენ ყველა საბრძოლო სკო-
ლებიდან... *)

დიდი დრო დამუხარება აგრეთვე „ივერიის“
საქმის მოსაგვარებლად. დიდი ვალი დაედო,
ათას თუმანზე მეტი, ამხანაგობაში გაძლიერდა
განხეთქილება, რევოლუციებით აპირებდნენ
დარხოვდნენ ერთმანეთსა, დახმარება სთხოვეს
ზნაღაშვილსა, პასუხი არაფერი მოუვალათ.
ცხვედაქემ იყისრა საქმის მოგვარება, მაგრამ
მთელის თვის განმავლობაში ვერარას გახდა.
მაშინ მე იძულებული ვაგებდი პირადად ჩა-
რეოდი საქმეში; საქართველოს ენციკლოპე-
დიის საქმეში დამაბღოვსა ზნაღაშვილთანა და
ამ საბღოვით ვიარგებლე და მან იყისრა
„ივერიის“ სიკვდილისაგან გადაჩვენა, 24 რუ-
გოცკ მოგწერეთ უკვე.

ყველა ამან ისე შეიზურა ჩემი დრო, ყურად-
ღება და ძალა, რომ ყურამ წერილებზედაც კი
ვერა ვახერხებ პასუხების მიცემასა, ქუთაის-
იდან ამ ორი-სამი კვირის წინად მთხი წე-
როლო შამივიდა და არც ერთზე ვერ პასუხი
არ მიპოცია. წლევანდელი წელი საზოგადოდ
ძლიერ გაქირებული დროა ჩემთვის, მაგრამ
შაინც იმედს არა ვაქვამ, რომ გამაჩვენებელი
გამოვალ სხვა საგნებზე კვლავ.

თქვენი სიმართლის და დღეგრძელობის მო-
ნატური იაკობ გოგვაშვილი.

შენიშვნები და კომენტარები

I

1. ი. გოგვაშვილის წერილები კობილე
ლორთქიფანიძისადმი დაეკულია ქუთაისის
ისტ-ეთნოგრაფიულ სახელმწიფო მუზეუმის
ფონდში (№№ 56 — 59).

2. აქედანყოფილის გამო ი. გოგვაშვილმა
1874 წლის ზაფხული და შემოდგომა აბასთუ-
მანში გაატარა.

წერილი გამოგზავნილია აბასთუმანში 1874
წლის ივლისის პირველ ნახევარში.

* აქ ადგილი გამოეტოვეთ.

3. აქ ი. გოგვაშვილის მხედველობაში უნდა
ქონდეს — ქართული ანბანი და პირველი სა-
კითხავი წიგნი მოსწავლეთათვის [ქმნენ] [ქმნენ],
შეესებული, თბილისი, 1873 წ. [ქმნენ] [ქმნენ].

4. იველისხმება სტეფანე მელიქიშვილი
(1841 — 1886) გაზ. „დროების“ გამომცემელი,
სტამბის მმართველი.

5. ნიკო ყიფიანი — ცნობილი საზოგადო
მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის უფროსი შვილი,
ჟურნალისტი.

6. ამ დროს ბეჭდვის პროცესში იმყოფებოდა
ი. გოგვაშვილის „საემწევილო კონა“.

7. ნიკო ნიკოლაძე, ამ დროს საზღვარგარეთ
იმყოფებოდა. (იხ. „დროება“, 7. XII. 1873, №
401, წერილი — „რედაქციისაგან“).

8. ეს „ბიბლიოგრაფიული კონა“ ამ სახით
2 აგვისტოდან „დროებაში“ ხანგამოშვებით
იბეჭდებოდა წიგნის გამოსვლამდე (იხ. „დრო-
ება“, 1874 წ. №№ 434, 436, 438 და სხვ.).

9. იველისხმება პეტრე უშიაიშვილი (1838 —
1904).

10. კ. ლორთქიფანიძემ, ი. გოგვაშვილის
თხოვნით „დროებაში“ „წერილი ამბების“ სა-
თაურის ქვეშ თითქმის უცვლელად დაბეჭდა
(იხ. „დროება“ 2. VIII. 1874 წ., № 434, გვ. 1).

11. როგორც ცნობილია, ი. გოგვაშვილი
თავის სახელმძღვანელოებში ფართო ადგილს
უთმობდა აკაკის ორიგინალურსა და თარგმნილ
თხზულებებს, რაზედაც ხაზგასმით მიუთითებს
ეს წერილებიც.

12. კირილე ლორთქიფანიძე ამ პერიოდში
თითქმის მუდმივად ცხოვრობდა ქუთაისში, წე-
რილში აღმართული საკითხი ეხება სამეგრელოს
სკოლებში ქართული ენის სწავლების გა-
უქმებას.

13. წერილის ეს ადგილი დაზიანებულია, რის
გამოც თაბილის უკანასკნელი რიცხვი არ იკით-
ხება, — უნდა იყოს 1889 წელი.

14. არტურ ლეისტი (1852 — 1927) გერმანე-
ლი მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვა-
წე, ქართული მწერლობისა და კულტურის დი-
დი მოყვარე.

15. ნიკო ლოლობერიძე (1838 — 1911) ქველ-
მოქმედი საზოგადო მოღვაწე. 80-იან წლებში
იგი შავი ქვის მრეწველი იყო და თავისი შემო-
სავლის გარკვეულ ნაწილს სპეკულაციურად
საქმეებს ახმარდა.

II

1. ი. გოგვაშვილის წერილები ს. მესხისად-
მი დაეკულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (იხ. ს.
მესხის დონდი № 55). ს. მესხი საზღვარგარე-
თიდან დაბრუნდა 1874 წლის სექტემბრის ბო-
ლოს და შეედგა „დროების“ რედაქტორობას.
ამ პერიოდში სწორედ ი. გოგვაშვილის პირ-
ველი წერილი ს. მესხისადმი გაგზავნილია.

2. იველისხმება ი. გოგებაშვილის „საყმაწვილო კონა“.

3. ნიკო ცხვედაძე (1845 — 1911) ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

4. იველისხმება ვახტანგ თელაველი (1834 — 1910) საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, რომელმაც 1864 წელს სტეფანე მელიქიშვილთან, დიმი. ბაქრაძესთან ერთად დააარსა ქართული სტამბა.

5. ზარაფიშვილი სტეფანე, შეძლებული ქართველი მრეწველის შემკვიდრე, ქველმოქმედი, ქართული მწერლობის დიდი მოყვარული, რომელმაც თავისი ხარკით გამოსცა ქართული სახელმწიფო სკოლები, ი. გოგებაშვილის „კონა“ და სხვ. (იხ. „ღროება“ № 400, 1873 წ.).

6. ი. გოგებაშვილს აქ მხედველობაში აქვს „ღროების“ 1874 წლის 13 სექტემბრის № 440-ში ინციალით C ხელმოწერილი ვახუთის მოწინავე — „შმაკს“ რა აკადანებს?“.

7. ეს წერილი გამოგზავნილია სოხუმიდან, როგორც ამ წერილიდან და შემდეგ წერილიდანაც ჩანს, ი. გოგებაშვილი აბასთუმის შემდეგ, სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან სოხუმში იმყოფებოდა სამკურნალოდ.

8. პოეტი მამია გერციელი.

9. როგორც ამ წერილიდან ჩანს, ი. გოგებაშვილს 22 ნოემბერს (1874 წ.) სოხუმიდან გამოგზავნიდა წერილი სერგეისადმი. ამ წერილის მიხედვით დასტურდება, რომ ს. მესხს „ღროებაში“ ხელმოწერა დადებულად; „ღროების“ კორექტორდენცია, სოხუმი, 22 ნოემბერს“ (იხ. „ღროება“ № 451, 29. XI. 1874 წ.). სამწუხაროდ ამასთან ერთად ი. გოგებაშვილის მიერ გამოგზავნილი წერილი ს. მესხსადმი არ შემონახულა.

10. აქ იველისხმება ი. გოგებაშვილის ხელმოწერად „ღროებაში“ დაბეჭდილი სტატია — „სოხუმი, 10 დეკემბერი. წერილი პირველი“ (იხ. „ღროება“ 5. 1. 1875, № 3 გვ. 2-3; № 4, გვ. 3).

11. ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო მოთავსებული ი. გოგებაშვილის „საყმაწვილო კონა“-ს ბეჭდვა. ბიბლიოგრაფიულ ცნობაში, რომელიც ეხსენებოდა „ღროებაში“, ს. მესხმა 13 დეკემბრიდან შეასწორა. სიტყვა „იბეჭდვას“ მან გერ — დაიბეჭდა და მოკლე დროში გამოეცა გასაყიდად „ს ა ყ მ ა წ ვ ი ლ ო კ ო ნ ა“ და სხვ. (იხ. „ღროება“ 13. XII. 1874 წ. № 453, გვ. 4; 1 იანვარი 1875, № 1, გვ. 4).

III

1. ი. გოგებაშვილის პირველი და შესაძლო წერილი ალ. ხახანაშვილისადმი დაეცა ხელნაწერთა ინსტიტუტში (იხ. ალ. ხახანაშვილის ფონდი № 194), ხოლო მეორე წერილი სომხეთის სსრ სახსარგარო ბიბლიოთეკის ფონდში.

პირველი წერილი უთარილოა. მასში დასახელებული ფაქტების მიხედვით დაზუსტდება, დაწერილია 1901 წლის 25 თებერვლიდან. 2. ელსტორგოვი, საქართველოს საგარეო-სამრეწველო სკოლების უფროსი 900-იან წლებში. (იხ. ი. გოგებაშვილის „დეკანოზ ვოსტოროვის პროექტი“, „ივერია“, 1901, № 145; იხ. ტ. 3, 1954, გვ. 254 — 261).

3. პეტერბურგის თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოების (Вольное экономическое общество) თავმჯდომარეს ვ. ფალობრის 1901 წლის 13 ივნისს თხოვნით მიმართავს ი. გოგებაშვილისთვის, რომ მას დაეწერა სტატია სახალხო განათლების მდგომარეობის შესახებ საქართველოში (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ი. გოგებაშვილის ფონდი № 82); ი. გოგებაშვილს ავადმყოფობისა და მოუცულობის გამო უარი შეუთვლია და თავის მხრივ დაესახელებია პროფ. ალ. ხახანაშვილი, რომელიც დაწერა აღნიშნული ხასიათის შრომა. ვ. ფალობრის სხარეული მიზეზი მისი წინადადება და ამ საკითხზე მიმოიწერა გაუმართავს ალ. ხახანაშვილთან. (იხ. ი. გოგებაშვილის ფონდი № 122). შემდეგი წერილიდან ჩანს, რომ ალ. ხახანაშვილს უცნობია აღნიშნული შრომის დაწერა და მისთვის ი. გოგებაშვილს შემოწმდება საამისოდ საჭირო მასალა.

4. ი. გოგებაშვილი მიუთითებს თავის შრომაზე „ხალხის განათლება შესახებ“, ნა ც ნ ო შ ი ს ხ ე ლ მ ო წ ე რ ი თ, (იხ. „მოამბე“ 1895 წ., № XI, გვ. 21 — 33).

5. წერილი „ქართველთა სწავლა-განათლების მიზნი“, ნა ც ნ ო შ ი ს ხ ე ლ მ ო წ ე რ ი თ (პეტრე მირიანაშვილის ფრანგულად ნათარგმნი), რომელიც ი. გოგებაშვილმა პარიზის გამოცენისათვის დაწერა, დაბეჭდა თბილისში, დრანგულ ეურნალში „Le Causase Justre“ № 10, 1900 წ. გვ. 13 — 16; ქართულად იხ. „ივერიაში“ (გ. I. 1901, № 2, გვ. 2 — 3; № 3, გვ. 1 — 3).

6. ი. გოგებაშვილს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ნა ც ნ ო შ ი ს ხ ე ლ მ ო წ ე რ ი თ გამოცენებული წერილი „ქართული მიმართულება“ (იხ. ივერიაში, I. VI. 1901, № 117).

7. აქ იველისხმება თბილისის გუბერნიის თავადინსტრუქტორის წინამძღოლი დავით მელიქიშვილი, რომლის დავალებითაც ი. გოგებაშვილმა 1901 წლის შემოდგომაზე დაწერა რუსულ ენაზე „Как улучшить народную школу в Грузии“ (იხ. ამის შესახებ მისივე — „საჭირო განმარტება“, „ივერია“, 1902, № 75; იხ. ტ. 3, 1954, გვ. 306 — 307). ი. გოგებაშვილის ეს წერილი შემდეგ შეთურებად დაიბეჭდა ვახ. „ივერიაში“ სათაურით — „როგორ უნდა მოეწყოს უცუთესად საბავლო სკოლა?“ (იხ. 1902, № 76 — 73 და № 75 — 77).

8. იველისხმება ლუარსაბ ბოცაძე (1865 —

1919) ცნობილი ქართველი პედაგოგი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე.

9. მხედველობაში აქვს ალექსანდრე სააკაშვილი (1851 — 1915) ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რედაქტორობდა 1901 წლის 5 დეკემბრიდან — 1903 წლის 20 VII-მდე.

10. იველისძემა ფილიპე მახარაძე, პედაგოგისტი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე.

11. იველისძემა ივანე გომართელი, ცნობილი ექიმი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

12. ამ საქმის გარშემო ი. გომბაზშვილის თხოვნით „ივერიაში“ დაიბეჭდა სარედაქციო წერილი „პირველ-დასაწყის საერო განათლების შესახებ ჩვენში“. (იხ. №63, 1902 წ., გვ. 2—3).

13. ი. გომბაზშვილის მეორე წერილი აღ. ხანაშვილისადმი და ამ რუსული სტატიის ხელნაწერი დატულია სომხეთის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

14. იანოვსკი კირილე პეტრეს ძე (1822—1902) კავკასიის სასწავლო ოლქის მხრუნველი 1879 წლიდან 1899 წლამდე. რუსი-ფიკარი, მოძულე ქართული სკოლისა და ქართული ენისა.

15. „ცნობის ფურცელი“ ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა 1896—1906 წლებში. მის ჰქონდა იმავე სახელწოდების ყოველკვირეული სურათებიანი დამატება (1901 წ.—1906 წ.). გაზ. „ცნობის ფურცლის“ — რედაქციისა და ი. გომბაზშვილის შორის კავკასიის სკოლის გარშემო 1901—1902 წლ. ცხარე პოლემიკა იყო გამართული იხ. „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში ი. გომბაზშვილზე მოთავსებული კარკატურები (1901, №№ 13, 15, 25); პ. გოთუას „ღია წერილი ბ. ი. გომბაზშვილის“ („ცნ. ფურც.“; 1901, №1638); პ. გოთუას „მეორე და უკანასკნელი წერილი ბ. იაკობ გომბაზშვილს“ („ცნ. ფურც.“, 1902, №№1676, 1677) და სხვ.; ი. გომბაზშვილი საპასუხო წერილები: „სიმიართლის შიში“ („ივერია“, 1901, № 279), „სიკრუსის ბოლო“ („ივერია“, 1901, № 283), „სიმიართლის აღდგენა (წერილი რედაქციისადმი)“ (გაზ. „ცნ. ფურც.“, 1901, №1630) „პასუხი ბატონ გოთუას“ („ცნ. ფურც.“, 1901, №1651); „მამაცური ცრუ-პენტელომა (პასუხად ბ-ნს გოთუას)“ (გაზ. „ივერია“, 1902, № 12) და სხვ.

16. იველისძემა ნიკო კერძღელაშვილი —

ნარკანის ფსევდონიმით ცნობილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე, რომელიცეჭ მუცხე მკვლავში ქ. შ. წ. — ქ. გ. საზოგადოების ქარწყლესკოლის მასწავლებლად მუშაობდა.

17. იველისძემა პართენ ვოთეა, ჟურნალისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, რომელიც იმ დროს კავკასია ქ. შ. წ. ქ. გ. საზოგადოების ქართული სკოლის გამგედ მუშაობდა. ამ სკოლის მასწავლებელთა შორის ჩამოყარდნილი უთანხმოება ხანგრძლივად ირჩეოდა ქ. შ. წ. ქ. გ. საზოგადოების გააცოცხაში (იხ. ზეითი შენიშვნა 15).

18. გიორგი ნათაძე იმავე სკოლის მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე.

19. ი. გომბაზშვილის ეს წიგნი რუხელად, საქართველოს სამართლო სკოლების მეთვალყურის ოფიციის რეცენზიის საპასუხოდ დაიბეჭდა თბილისში, 1905 წ.

20. ი. გომბაზშვილის ეს შრომა რუსულად პირველად ი. სვიმონიძის ხელმოწერით დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიში“ (იხ. 1903 წ. №№ 6296, 6300, 6303, 6307, 6310, 6322); იმავე წელს ცალკე წიგნიად გამოვიდა (იხ. თბილისი, 1903 წ. გვ. 60).

21. იველისძემა ალექსანდრე ცვაბრელი (1844—1929) ცნობილი ქართველი მეცნიერი, ქართული კულტურის დედუღავი მკვლევარი—ფილოლოგი, ისტორიკოსი.

22. ივანე ჯავახიშვილი (1876—1940) — გამოჩენილი ისტორიკოსი, ქართული კულტურის დედუღავი მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე. ი. გომბაზშვილს პოლიმიკა ჰქონდა იმ დროს ახლგაზრდა მეცნიერთან, მისი წიგნიას გამოსვლის გამო. (იხ. „მამულშივილობა და „მეცნიერება“ 1904 წ.).

23. მიხეილ ზავადსკი კავკასიის სასწავლო ოლქის მხრუნველის თანამეწე სახალხო სკოლებში სდევნდა ი. გომბაზშვილის სახელმძღვანელოებს. (იხ. ი. გომბაზშვილის „პრინციპიალობა“ „ორგანი“ შესუერისა“. თხზ. ტ. 4, გვ. 285; ანტიპედაგოგიური ჯიუტობა „კოლხიდის „პედაგოგისა“, თხზ. ტ. 4. გვ. 429—451 და სხვ.).

24. როცა ილია ჭავჭავაძემ საბოლოოდ ხელი აიღო (1902 წლიდან) „ივერიის“ გამომცემლობაზე, ეს გარემოება აქვს მხედველობაში იაკობს.



კ. ღ. ბაღმონტი და ქართველობა

გვიან გავიგე კ. ბაღმონტის მიერ სრულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა. თვით ბაღმონტის გარდაცვალებაც (1947 წ.) დაგვიანებით მაქვს გაგებულა.

ამიტომ განვიზრახე, ცოტა რამ მოვიგონო იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გავიცანი კ. ბაღმონტი სამოქალაქო ომის მძიმე პირობებში (1917 — 1920 წ.) და იმ ურთიერთობიდან, რომელიც მას მოსკოვის ქართველ საზოგადოებასთან ჰქონდა.

წინათ, როცა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლები არ არსებობდა, საშუალო სკოლა-დამთავრებულა, სწავლამწყურებულა ახალგაზრდობა რუსეთის საღვთისმეტყველო ქოლექტისაკენ, ან საზღვარგარეთ მიემუდრებოდა სწავლის გასაგრძელებლად.

პირადად მე ვადავწყვიტე მოსკოვის უნივერსიტეტში შეესულიყავ და ეს იმიტომ, რომ არსებულ მქონდა რუსული ენისა და ლატერატურის დარგი, თანაც, ვიცოდა, მოსკოვერი კილო რუსული ლატერატურული ენის ფუძედ ითვლებოდა.

აჲ, სწორედ ამ პერიოდში შევხედი კ. ბაღმონტს.

ჩემი მოგონებები უმთავრესად შეეხება კ. ბაღმონტის შემოხობის ქართული ენის ცოდნის გულმგებანზე. ადრე, თბილისის ლატერატურულ წრეებში, უკვე ჰქონდა მას დაწყებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ზოგადი გაცნობა.

საშუალო სკოლაში დამალი კლასებიდანვე ვეწეოდი რეპეტიტორობას, მოწაფეების მომზადებას, შემდეგ ვმასწავლებლობდი — ჯერ საქართველოში და ბოლოს მოსკოვში — ვაეთა ვინაზიასა და საშუალო ტექნიკურ სასწავლებელში.

მოსკოვის ქართველობა მიცნობდა როგორც მასწავლებელს.

ბაღმონტი ხშირად ესწრებოდა ქართველთა საზოგადოების მიერ გამართულ ტრადიციულ საღამოებს. კითხულობდა ლექციებს, გამოდიოდა საკუთარი ლექსებით.

ერთხელ ასეთ საღამოს მოსკოვში მყოფი თითქმის შავი ქართველობა დაესწრო. ბაღმონტი, როგორც ყოველთვის, იჯდა სტუდენტების შორის და ვაცხოველებით ემასებოდა მათ.

საღამოს ესწრებოდა იერილიულ ფაქულტეტის მოწინავე სტუდენტო ქეთევან ჩიგო-

ვიძე. ის ჩემზე ადრე იყო ჩამოსული მოსკოვში და კარგად იცნობდა ბევრ ქართველ თუ რუს მოწინავე ინტელიგენტს, მათ შორის პოეტ კ. ბაღმონტსაც.

საუბრის დროს ბაღმონტი ქართული ენის შესწავლის სტრევილი გამოსთქვა.

კ. ჩიგოვიძემ ჩემზე მიუთითა. ბაღმონტი მხოლოდ მისი წინადადება და რამდენიმე ხნის შემდეგ სიტყვა საქმედ აქცია: დაიწყო სიარული ჩემთან ქართულ ენაში სამეცადინოდ.

გაკვეთილები ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა. ვსამარჯულოზე, რა თქმა უნდა, არც ვუღიქობდი, რადგან ბაღმონტისაგან დავალებულად ვთვლიდი თავს; ვიცოდით ქართველმა ახალგაზრდებმა, რომ კ. ბაღმონტი მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე. შემოკლებული თარგმანი უკვე გამოცემული იყო. და, საერთოდ, კ. ბაღმონტი იყო სახელმწიფოებრივი, ცნობილი პოეტი არა მარტო რუსეთში, არამედ მის გარეთ — ევროპაშიც.

კ. ბაღმონტი იშვიათი ხალისით ისმენდა და ამზადებდა ქართული ენის ყოველ გაკვეთილს. სიბეჯითი, უტრადლების სიმსახილე და პარიონობა არ აკლდა მას იმ დროსაც კი, როცა მრავალი საპატრიო მიზნის მოგებებოდა „გაყვეთილის გამოტოვებისათვის“.

ჩვენი მეცადინეობის მანძილზე არა ერთხელ აღუფრთოვანებია პოეტო ქართული სიტყვისა და ლექსის კეთილზმოვანებას. მოეწონებოდა თუ არა რომელიმე სიტყვა, შეწყვიტდა გაკვეთილს და დაიწყებდა ამ სიტყვის თავისთვის ხმაილად გაშეორებას. შემდეგ მოიხილდა ბოლიშვი პოეტური „სილამისათვის“ და ისევ უბრუნდებოდა მითოებულ გაკვეთილს.

ხდებოდა ასეც: ქართული ლექსის მუსიკალობა იმდენად ხიზლავდა ხოლმე, რომ ყოფილა შემოხვევები, როცა უთხოვნია ჩემთვის — წამეკითხა კიდევ რომელიმე ლექსი. ყოველი ლექსის მოსმენა მისთვის ახალი განცდებისა და სიამოვნების უსრეტ წყაროს წარმოადგენდა მასთვის, ი. გრინაშვილის ერთერთმა ლექსმა იმდენად ააღლუა, რომ იტოცებოდა წამოიძახა: „Чертовски хорошо“-ო.

ერთხელ, გაკვეთილის დროს, ვადავუშაღე მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი, მოკლე გამოცემა და შორიდებით გამოე-

თუ მართლა მწერლის სტილი, წერის მანერა ავტორის სულიერი ცხოვრების ანარქელია და მისი ხასიათის უშუალო გამოვლენა, მაშინ გერონტი ქიქოძის ნაწერები ამ შეხედულების დამამტკიცებელი კლასიკური მაგალითია. მისი თავისუფალი, ბუნებრივი და გამჭვირვალე სამწერლო მეტყველება, მკითხველთან თითქო უნებლიეთ წამოწყებული საუბარი ზუსტად გამოხატავდა ავტორის სულის წყობას, ფიქრების სინატიფეს, დაზვეწილ გემოვნებასა და ხასიათის შინაგან მელოდირობას. გერონტი ქიქოძის მომხიბლავი ქართული მის სულში დაცული წონასწორობის მაჩვენებელია და ხასიათში შემჩნეული ზომიერების გრძნობითაა აღტურვილი. მის სამწერლო მეტყველებას თავისებური მუსიკალობა და კლასიკური სიზუსტე ახასიათებდა. გერონტი ქიქოძეს თავის ნაწერებში არასდროს არ გაჰპარავია ნერვული სტრიქონი, რიტმიდან ამოვარდნილი წინადადება ან ნაწარმოების ენობრივი ქსოვილისათვის შეუფერებელი სიტყვა. თვითეული კრიტიკული წერილი, მოგონება თუ მხატვრული თარგმანი ქართული ენის საოცარ მოქნილებასა და ბრწყინვალეობას ადასტურებდა. მისი კალამი ქართული ენის სტიქიაშა დაიბადა და ქართული ენის ბუნების საიდუმლოებს ღრმად ჩასწვდა. იგი იყო ტემბილ ქართულით მოღვაწი მწერალი და სიტყვით მოჯადოებული ხელოვანი. ქართულ სიტყვას თითქო ხელით ეფერებოდა, მოფერებით იმორჩილებდა და ნაწარმოებში თვითეული წინადადება მისი სისხლით და ხორციით იყო ზიარებული. ასე მოფერებით მონადირებული სიტყვების მეშვეობით, იგი თავის გულისნადებს გვიზიარებდა და მის სალიტერატურო ენას უჩვეულო აღურსიანობა მოჰყვებოდა.

გერონტი ქიქოძემ არა ერთი და ორი თარგმნილი უცხოური მწერლობის შედეგები შესძინა ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობას. ისევე როგორც თავის დროზე „ვისრამიანის“ ქართულად მთქმელმა ახალი ფურცელი გადაშალა

ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში, გერონტი ქიქოძემაც „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“ თარგმნილ ქართული პროზაული მეტყველების დიდი პოეტურობა დაამტკიცა, რაინდული ხანის კოლორიტი და პოეტური სურნელება, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მეშვეობით, საოცარი ბუნებრივობით აღადგინა, ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქო ეს ნაწარმოები თავიდანვე ქართული ენის წიაღში აღმოცენდა და მას თარგმანის დალი დიდი არტისტულობით ააშორა. „ტრისტანი და იზოლდა“ ქართული ხატოვანი აზროვნებისა და სალიტერატურო ენის დამდვილი საუნჯე გახადა. ამ ნაწარმოების მთარგმნილიც ქართული სიტყვის კეთილშობილი რაინდი, ქართული ენობრივი სამყაროს დიდი მესაიდუმლე იყო და მისი ნაწერები ამ ენის მომხიბლავის ერთ-ერთი ბრწყინვალე გამოვლენაა.

ნაწერებში გამომქალაქებულ სულიერ წონასწორობას იგი ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გამოხატავდა. მშვიდი და დინჯი ხასიათი ჰქონდა. რაც უნდა საშური საქმე ჰქონოდა, ფეხს არ აუჩქარებდა, არ აფუსფუსებოდა. რაც უნდა შეუფოთებული ან გაბრაზებული ყოფილიყო, არ აყვირებოდა. გერონტი ქიქოძემ აღულებაც იცოდა და ღრმა გრძნობით გამსჭვალული აღტაცებაც. საკმარისია გავისხენოთ დიდი შთაგონებით აღბეჭდილი წერილები: „ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან“, „სიბრძნე ბალაეარისა“, „აღუქსანდრე ყაზბეგი“, „ლადო გუდიაშვილი“ ან „ჩაქუჩიანი მამაკაცო“ და თვალწინ გადაიშლება პოეტური სულის მომხიბლავი ნააზრვეი, რომანტიკული ხასიათი, პოეტური წვის უნარი და სიცოცხლის ტრფიალებით გააღვნილი ტემპერამენტი. ყველა მისი წერილი გამოირჩევა დიდი შინაგანი გატაცებითა და კეთილშობილი გარეგნული სიდინჯით. მაინც, როგორც ზემოთ ვთქვით, მისთვის ყველაფერი ფიქრისა და განსჯის საგანი იყო. დიდი გატაცება და შინაგანი თავშეყვება მის სულიერ ცხოვრებაში საოცრად შეხავეფ

ბული ჩანდა. საკუთარ ზრახვებს ცხოვრებასა და მწერლობაში იგი თითქო მოთვინიერებული სიტყვიერი მასალით, მიშხიდველი ინტონაციით გამოხატავდა და თავის მეგობრებზე დიდ ზნეობრივ გავლენას ახდენდა. იგი თითქო თავისი უჩვეულო გარეგნობითაც ქართული ფიქრისა და ზნეობრივი კეთილშობილების პლასტიკურ განსახიერებას წარმოადგენდა. ოგიუსტ როდენის შემდეგ, თუ რომელიმე ხელოვანი აღამიანის ფიქრის პლასტიკური ფორმით გამოძერწვას ისურვებდა, იგი გერონტი ქიქოძის სახეზე, მის გამომეტყველებაზე უფრო საუკეთესო ნატურას ვერ იპოვიდა. „ეროვნული ენერჯის“ ავტორის შთაგონებას მუდამ ძალდაუტანებლობა ეტყობოდა. მისი ხელიდან გამოსულ თვითველ ნაწარმოებს, გონებრივ სიმძაფრესთან ერთად, უჩვეულო, დარბაისლური სიმსუბუქე ახასიათებდა. იგი თითქო თავს ძალას არ ატანდა, არ უყვარდა გადამეტებული პათოსი და გარეგნული შემართება. სხვისი ტალანტის დაძაბულობაც არ მოსწონდა. იგი თვითველი შემოქმედისაგან, დახვეწილ ტემპერამენტთან ერთად, კლასიკურ სიმშვიდეს მოითხოვდა.

გერონტი ქიქოძე თითქო მეგობრული ღიზისა და საუბრებისათვის იყო დამადებული. საუბარი ისტორიულ ძეგლებზე, პლასტიკური ხელოვნების ნიმუშებზე და მხატვრულ პროზაზე უყვარდა. კლასიკურ კულტურაზე იყო აღზრდილი, მაგრამ ძლიერ მოსწონდა ახალი მხატვრობის წარმომადგენლებიც: ელუარდ მანე, პოლ გოგენი, ნიკო ფიროსმანი და ლადო გუდიაშვილი. ერთობ მახვილი თვალი და შესანიშნავი სმენა ჰქონდა. თავისი შეხედულების გამოუმუშავებაში იგი თავის მეგობრებს დიდად უმადლოდა და ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის, „მეგობრული საუბრები მიყალიბებდა შეხედულებას ამა თუ იმ საგანზე და ეს დიდად მებძარებოდაო“. ლიტერატურული წერილების წერაც დიდიოგების სახით უყვარდა. საკუთარი ესთეტიკური შეხედულებების უჩვეულო სისადა-

ვით გადმოცემის უნარი ჰქონდა. იგი მუდამ ინტელექტუალური განწყობით ცხოვრობდა, ე. წ. იდეებში ცხოვრება და ხმამაღლა ფიქრი მისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა.

ძლიერ უყვარდა ქვეითად სიარული და თავის სამშობლო მიწა-წყალზე მოგზაურობა. თბილისში იგი ხშირად დასეირნობდა მთაწმინდაზე, ბოტანიკურ ბაღში და მტკვრის სანაპიროზე. მისთვის ეს უბრალო სეირნობა და გარეთობა არ იყო. იგი ამ შემთხვევაშიც მეგობარს დაეძებდა ბუნების წიაღში. თბილისის ბუნების სხვადასხვა უბანთან წლების განმავლობაში საუბრობდა და ამ ბუნებასთან საერთო ენას პოულობდა. გამწვრივებულ ქადრების ჩრდილებს მიჰყვებოდა და დარწმუნული ჩრდილების საეანეში დამაფიქრებელი განწყობილების შექმნას ცდილობდა. შეიძლება ხსენებული ადგილები მას ფილოსოფიური საუბრებისათვის განკუთვნილ უბნებად მიაჩნდა და ამ უბნებში ანტიკური აკადემიის ხეივნები ეჩვენებოდა. გერონტის ზიზღავდა არა მარტო ყინწვისის ძველი ტაძრის კედელზე გამოხატული ანგელოზის მშვენიება, არამედ ამ ტაძრის ეზოში კაკლის ხეების მიერ გაფენილი, ჩოხასავით სქელი ჩრდილები, სადაც მცირე მეგობრული სუფრის გაშლა და მაცდურ საწუთროზე საუბრის გაჩარხვა შეიძლება. უყვარდა არმანში პოტიასშების სამარეებთან ყოფნა და წარსულის აჩრდილებთან იდუმალი საუბარი. ოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენ ხშირად გვიმოგზაურია ერთად და საქართველოს ისტორიის თუ ხუროთმოძღვრების ძეგლები დაგვივალაოვებდა. როდესაც იგი რომელიმე ისტორიულ ძეგლს დაათვალიერებდა, ნანგრევის ქვაზე ჩამოჯდებოდა, ღვინით სავსე ჭიქას ასწევდა და წარსულის აჩრდილებს მოიგონებდა. საქართველოს გმირულ წარსულში ისე იჭვრიტებოდა, როგორც საკუთარი სულის კუნჭულში. აგრე შეეძლო მას ძველი იბერიელების ხასიათის რაობაზე თავისი მოსაზრება გამოეთქვა და მათს ფსიქოლოგიურ წყობაზე ისე ემსჯელა.

თითქო მათი მომსწრე ყოფილიყოს. იგი იყო თავისებური წარსულის რომანტიკოსი, ქართული სულისა და საქართველოს ბუნების მოტრფიალე, მისი მშვენიებით დამწვარი და მრავალგზის დაფრფლილი პიროვნება. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში რამდენიმეჯერ მითხრა: „სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ ასეთ მომხიბლავ ბუნებას და საყვარელ მეგობრებს როგორ მოვშორდეთ“. საქართველოს დიადი ბუნების რომელიმე სურათით ან ისტორიული ძეგლის სიდიადით მოხიბლული, მხრებს აიჩჩინავდა, თავს გადახრიდა და თავის ალტაცებას ასე გაგვიზიარებდა.

გერონტი ქიქოძე ბუნებისა და წიგნების მეგობარი იყო, მაგრამ ბოლო წლებში წიგნებს ძლიერ შერჩევით კითხულობდა. უყვარდა დავით გურამიშვილის ლექსების, პიერ აბელარის „ჩემ უბედურებათა ისტორიის“ და მარკ ავრელის „ჩანაფიქრების“ ხშირად გადაკითხვა. იგი ხსენებულ წიგნებში გამოხატულ უიმედობასა და სასოწარკვეთის გრძობას სრულიად არ თანაუგრძობდა, მაგრამ იტაცებდა ამ ნაწარმოებებში აღბეჭდილი პიროვნული ბიოგრაფია ავტორებისა, უნდოდა ამ წიგნებში უშუალოდ მათი პირადული აღსარების ამოკითხვა. თვითუფლ ნაწარმოებში იგი ავტორის ხასიათს და მისი პიროვნული მიდრეკილებების ანარეკლს ეძებდა. სურდა ავტორის ცხოვრებაში ღრმად ჩაეხედა და ამით საკუთარ გულში სიცოცხლის საყვარული უფრო განმეტკაცებინა. გერონტი ქიქოძეს ცხოვრების საყვარულს ბუნების მშვენიება და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები უორკეცებდა. ხელოვნების ნაწარმოებში იგი კომპოზიციის გრძობას გადამეტებით აფასებდა. ეს იყო მისთვის ხელოვნურ ნაწარმოების სული და სიცოცხლის მომნიჭებელი თვისება.

მაინც ხელოვნებაში სამყაროს პირველი ხილვა და ხელოვანში ჩასახული პირველი შთაბეჭდილებების ასახვა უფრო ხიბლავდა, ვიდრე დიდი ოსტატობით გამოსახული ყოფა-ცხოვრებითი სურათე-

ბი. ალბათ, ამიტომ უყვარდა განსაკუთრებით პოლ გოგენი, ნიკო ფიროსმანი და მათთან სრულიად განსხვავებულ მხარამ უშუალო, პირველი ხილვების დიდი მხატვარი ალექსანდრე ყაზბეგი. ამ თორმეტი წლის წინათ, ერთ საუბარში გამიმელანა: „აღრე ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას ჯერონთან ვერ ვაფასებდი, არავის არ ვუშხედი, მაგრამ არ მომწონდაო. ახლა გადავიკითხე და ალტაცებაში მოვედი, რა უშუალო და რა დიდი ხელოვანია, რა სიტუაქიზე და სულიერი სიმტკიცე გამოსჭვივის მის თვითუფლ ნაწარმოებშიო“. და იგი ალტაცებით საუბრობდა ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობებზე და რომანებზე. ალექსანდრე ყაზბეგის მიერ გამოქმნილი სამყაროს უმანკოება, მონუმენტური ბუნება და ამ ბუნების წიაღში აღზრდილი გმირები გერონტი ქიქოძის ალტაცების საგანს შეადგენდა.

დიდი მონოგრაფიების წერა არ უყვარდა. მხოლოდ ერეკლე მეორის ცხოვრებასა და სამხედრო მოღვაწეობას მიუძღვნა ვრცელი ნაშრომი. იგი ბუნებით ესეისტი იყო და მწერალთა ან ხელოვანთა მოკლე ლიტერატურულ პორტრეტებს თხზავდა, მწერლობისა და ხელოვნების ნიმუშებზე მოხდენილად დაწერილ შთაბეჭდილებებს მკითხველს უზიარებდა. ადრინდელ წერილებში იმპრესიონისტული მიმდინარეობის ძლიერი გავლენა იგრძობოდა. ამ ხანებში გამოქვეყნებულ შესანიშნავ წერილში — „ოგიუსტ როდენი“ — იგი ხელოვნებაში ახალ მიმდინარეობას იცავდა და ქართულ სახეობის ხელოვნებაშიც ამ მიმდინარეობის გამოქაზილს ეძიებდა. შეკლეგში მისმა ესთეტიკურმა შეხედულებებმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. ოცდაათიანი წლებიდან იგი უფრო კლასიკური კულტურისაკენ გადაიხარა და მეცხრამეტე საუკუნის ქართული რეალისტური მწერლობის დიდი თავყანისმცემელი გახდა. საერთოდ, შეხედულებათა ცვლადობა ახასიათებდა, მაგრამ „ეროვნული ენერჯის“ ავტორის გონებრივ ცხოვრებაში ეს ხდებოდა დი-

დი განსჯისა და დაფიქრების შედეგად. მისი შეხედულებები ვითარდებოდა და იცვლებოდა ისე, როგორც ვითარდება და იცვლება ცოცხალი სინამდვილე.

იგი თავის რთულ და მდიდარ ბიოგრაფიას, თავის განვლილ მრავალფეროვან ცხოვრებას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. საოცრად თავმდაბალი და კდემამოსილი ადამიანი იყო. ამჟოლი ხასიათი ჰქონდა და ხშირად სრულიად ახალგაზრდას, ჯერ მწერლობაში გამოუცდელი მეგობრის გემოვნებას თუ შეხედულებას მოულოდნელად დაენდობოდა. მჯობნდება, ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლების დასაწყისში, თავისი რამდენიმე ნოველა გადმოშტა და მითხრა: „წაიკითხე, თუ მოგეწონება, დაბეჭდვად, თუ არ მოგეწონება, გულახდილად მიიხარი და არ გამოვაქვეყნებო?“ მაშინდელი ჩემი შეცდომა ახლა ვერ მიბატებიან საკუთარი თავისათვის. ნოველები არ მომეწონა და გულახდილად ვაუწყებ მას. ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ ვცდებოდი. მაგრამ გერონტიმ მაშინ დამიჯერა და ეს ნოველები არ დაბეჭდა. შემდეგში მრავალგზის ვაღიარე მის წინაშე ჩემი შეცდომა, მაგრამ ჩემი სინანულის გაგონება არ სიამოვნებდა და ყოველთვის სიტყვას მაწყვეტიებდა. ოგორც ზემოთ აღვნიშნე, გერონტი ქიქოძე და მე ძალიან შეჩვეული ვიყავით ერთმანეთს. მას ჩემგან არაფერი ჰქონდა დაფარული და მუდამ გულახდილად მესაუბრებოდა. თუ ჩემ მიერ გამოთქმულ რაიმე მოსაზრებას არ ეთანხმებოდა, მაშინვე დაჭრიდებლად შეტყოდა და მერმე დამამშვიდებდა. საერთოდ, პირში ქება არ უყვარდა, ეუხერხულებოდა და თუ, შემთხვევით, ვინმეს წინაშე მაინც წამოცდებოდა საქმბარი სიტყვა, თვითვე დაირცხვენდა და მოსაუბრეს თვალს აარიდებდა. ორმოცდაორ წელს, როდესაც მწერალთა კავშირში პირველად „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ წაიკითხე, იგიც მსმენელთა შორის იყოფებოდა და იმ საღამოს პოემის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია. სამი დღის შემდეგ მწერალთა კავშირის ეზოში

შემხვედა და რამდენიმე მწერლის თანდასწრებით მითხრა: „ამ სამი დღის დიქრის შემდეგ დაერწმუნდები, რომ პოემა ძლიერ მომეწონაო, მოწილოცავსო“. მერმე ეს თითქო პირში ქებად მოეჩვენა, დაიმორცხვა, მხრები შეარხია, ხელი მოშვია და იპაონური კედარისაყენ წამიყვანა. მე ვერაფერი დი გერონტის. ჩვენს ურთიერთობაში მის მიერ ჩემი ნაწერების შეფასების ანარეკლი არასდროს არ მიძებნია. მე იგი მიყვარდა დამოუკიდებლად ყოველივე ამისა, მაინც ძლიერ გამახარა მისმა გულწრფელმა სიტყვებმა. განვლო დრომ და, როდესაც რამდენიმე ამხანაგი უმართებულად თავს დამესხა, იგი გამოვიდა ჩემს დასაცავად და მათ საჯაროდ შეექიდა. იგი დიდად გულშემატიყვარი და ყურადღებიანი ადამიანი იყო, მოყვასის სიყვარული თითქო განუყრელად მხარდამხარ დაჰყვებოდა და მის გარეგნულ ახოვანებას ამშვენებდა.

გერონტი ქიქოძე ადრე გამჭრიახი, მახვილი პოლიტიყური მოაზროვნე იყო და ახალგაზრდობაში პოლიტიყური მოღვაწეობისაყენ მიღრეკილებაც ჰქონდა. მის წიგნებში — „ეროვნული ენერგია“ და „პოლიტიყური წერილები“ აისახა მისი პოლიტიყური აზრის განვითარება და მომწიფება. ადრე პოლიტიყური მოღვაწის რთული გზა გაიარა, მრავალგზის სწორი პოლიტიყური აღლო და წინდახედულება გამოიჩინა, მაგრამ შინაგანი ბუნებით იგი მაინც პოეტი, თავისეზური მომღერალი იყო. იგი მუდამ ემოციების სამყაროში ცხოვრობდა, ნესტანებისა და თინათინების სილამაზეს მუდმივად ეტრფოდა და რაინდული ზრახვებით ცხოვრების გზას იკაფავდა. რომანტიყულობა და სილამაზის ტრფიალი მას ხელს არ უშლიდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში უაღრესად პრინციპული და ერის თავდადებული მომავე ყოფილიყო. მან გონების გამჭრიახობა, გრძნობის სიჭაბუყე, მეგობრების სიყვარული და სილამაზის ტრფიალი კუბოს კარამდე მიიტანა და ჩვენ თვალწინ ჩაატარა მარად შეუბღალავი და

დაუბერებელი ცხოვრება. იგი იყო ქართული მწერლობის სიყვარული და სიამაყე.

გერონტი ქიქოძე იყო არა მარტო ქართული ლიტერატურული აზროვნების ერთ-ერთი მესაჰე, არამედ ქართული ეროვნული ხასიათის ერთი ბრწყინვალე გამოვლენაც. იგი ახერხებდა თვითველ თავის ნააზრევში ეროვნული იერი შეენახა და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ქართული კოლორიტი თუ ეროვნული თავისებურება შეენარჩუნებინა, მაგრამ ყველგან ზომიერება ჰქონდა დაცული და ხასიათის წონასწორობას არასდროს არ არღვევდა. ვაჟა-ფშაველა ამბობდა: „პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჰქუა-გონებისა. თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი“. გერონტი ქიქოძესაც წრფელი პატრიოტული გრძნობა ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი, მაგრამ ეს წმიდა გრძნობა მისი კეთილგონიერებით განსჯილი და გააზრებული ვლინდებოდა მუდამ. მაგონდება სამამულო ომის მრისხანე დღეებში, როცა გერმანელი ფაშისტების ჯარები საქართველოს უახლოვდებოდნენ, როგორ შეფოთავდა, როგორ ღელავდა იგი და ვერ ისვენებდა. მიტინგებზე სიტყვებით გამოდიოდა, წერილებს სტამბავდა, ახალგაზრდული ძაღლით მუშაობდა და თავისი წვლილი

შეჰქონდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში. იგი იყო მუდამ გონიერ და მუდამ სამართლიანი, დაუცხრამეტად უნაგარო საზოგადო მოღვაწე.

გერონტი ქიქოძე ჩვენი საუკუნის თითქმის დასაწყისში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და ქართული ესთეტიკური კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა. იგი მოგვევლინა, როგორც ღრმად მოაზრონე მწერალი, ახალი ესთეტიკური გემოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი და ჩვენი ლიტერატურული აზროვნების ერთ-ერთი მეთაური. გერონტი ქიქოძე იყო საყვარელი, გულსხმიერი ხელოვანი და ადამიანი. მისი სული კაცთმოყვარეობის უმწიკლო გრძნობით იყო გამსჭვალული. იგი ჩვენ შორის ცხოვრობდა მაღალი, კეთილშობილი ზრახვებით და ქართული მწერლობის ყველა თაობაში ჰყავდა ახლობელი ადამიანი, მრავალი ახალგაზრდა მწერალი ამაყობდა მასთან ურთიერთობით. მართალია, იგი სამოცდათხუთმეტ წელს გადაშორდა, მაგრამ ცხოვრების ხალისი წუთით არ დაუკარგავს და გულში, ადრე ჩასახული, სილამაზის ტრფიალი არ დასქნობია. გერონტი ქიქოძე ცხოვრობდა თავისი ხალხის დიდი ცხოვრებით და მისი შთაგონებული ნააზრევი ყოველთვის დარჩება ჩვენი ხალხის სულიერ საგანძურში.



რომანი სიყვარულსა და ერთგულებაზე

იკინთე ლისაშვილი სამწერლო სარბიელზე ჯერ კიდევ მენშევიკური ხელისუფლების ბატონობის წლებში გამოვიდა. როგორც კომუნისტი მწერალი, იგი შეეპოვრად იბრძოდა არსებულ სინამდვილის წინააღმდეგ და თავის ლექსებში გამოთქავდა ქართული ხალხის დუხვირი ცხოვრებისაგან განთავისუფლების ღრმა რწმენასა სპარტოველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ი. ლისაშვილი, თავის თანამოკალმეებთან ერთად, აქტიურად იღწოდა ახალი მწერლობის შესაქმნელად და მახელი ლიტერატურული ნაწარმოებებით ხელს უწყობდა კიდევ ქართული საბჭოთა მწერლობის ფორმირებასა და ზრდას.

ამჯერად ჩვენ გვიანტერესებს მწერლის არა მთლიანი შემოქმედებითი გზის მიმოხილვა, არამედ მის მიერ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ რომანი „ერთგულება“, სადაც მთელი სიმწვაითაა დასმული ოჯახის პრობლემა თანამედროვე საზოგადოებაში.

საბჭოთა ხალხის ძლიერმოხილი გამოარჯვებით დამთარდა დიდი სამამულო ომი. ვალმოხდელი საბჭოთა ადამიანები უბრუნდებიან თავიანთ მშობლიურ ქერს და აქტიურად ებმებიან შვილობიან შემოქმედებით შრომაში. ბევრი მათგანის სანუკვარი ოცნებაა ოჯახის შექმნა. მთ ხომ ომმა ქორწინების ასაკში მოუსწრო. ამ რომანის მთავარ გმირს, ახალგაზრდა ინჟინერს, თამაზსაც ჰყავდა ომში წასულამდე სატრფო. წერილებსაც ღებულობდა მისგან ფრონტის მიწინავე ხანზე. ეს წერილები მტერთან შევიდებულ ვეჯაკეს მხრეთისათა და გამარჯვების რწმენით აღდგებდა, ბრძოლის უნარს უორკვეებდა. მაგრამ გადიოდა დრო და ამ წერილებს თანდათანობით აკლდებოდა პირიანდელი სითბო და სისათუთე, ბოლოს კი თამაზის პარათები ჰკაბებო ოცნებად ექცა. ამ გარემოებით აფორაქებული ჰაბუკის გულში მტანჯველმა ეჭვებმა დაისადგურეს. თამაზი ამ ეჭვებსაც ისეთივე შეუპოვრობით ებრძოდა, როგორც მოსისხლე მტერს. ომის მრისხანე ჰარინშალმა ზაბჭოთა და გუგრონით გადიგარიალ. 1945 წლის გზაფხულში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ზეიმად იქცა. სამშობლოს წინაშე ელმოხდელი თამაზი ფრონტიდან ბრუნდება და თბილისში ჰამოსელისთანავე თავისი საყვარელი არსებისაკენ მიუზურება. იგი მიუბლოცდა ნაცრობს სახლს და თითქოს გული შეექუმ-

მა... ძალ-ღონე მოიკრიფა, კიბებს შეუდგა. თამარი ამ დროს თამაზისათვის სრულიად უცხო უმწევილთან ერთობოდა, არც მოელოდა თამაზს, თამაზმა მამინეე დატოვა წინათ ეგზომ საყვარელი სახლი. ამ ეპროზოლით იწყება რომანის სინტერესო სიუჟეტი. შეკთხეული ადამიანებულად აღდგენებს თავლს თამარისა და თამაზის შემდგომ ნაბიჯებს და გულსიტკოილს გამოთქვამს თამარის მოქმედების გამო. თამარის სურსტა ნებისყოფის ადამიანი აღმოჩნდა, იგი აღილიად მოეცა ფუქსაიგარ გენრიეტის გველენაში. გენრიეტამ იყოლია იგი, თუბნია ცხოვრების გზა და სიცოცხლე სანანებელი გაუხადა. მწერალი ცხოვრებას უყურებს არა ეარლისფერი სათვალთ, არამედ ნამდვილი რეალისტის თვლით, იგი ამჩნევს არა მარტო იმ დიდ სოციალურ ძერებს, რაც ჩვენს ქვეყანაში ზდება და რასაც თან მოჰყვა ადამიანის უდიდესი შინაგანი ამიღლება, არამედ იმ სულიერ მანკერებასაც, რომელიც ჩვენს საზოგადოების ზოგიერთ წარმომადგენელს გააჩნია. აქ მხედველობაში გვყავს გენრიეტა, ეორა ბალითურაშვილი, ილარიონ ბარველიაე და რომანის სხვა პერსონაჟები. ეორა რომანის დასაწყისში შემოდის სცენაზე და ისევე მალე გავტოვებს. ეორა მეთხეულმა გაიღწო, როგორც გენრიეტას საქმრო. გენრიეტას მეშვეობით გავიგეთ, რომ იგი იმ სწარმოს გამგეა, სადაც ლაქის ფეხსაცმელები იყრება. იმავე გენრიეტამ გვაუწყა, რომ ეორა სპეკულაციისათვის „რკინის საცერწა“ მოჰყვა და გენრიეტამ სარდიანი სატრფო დაჰგარა. შედარებით რთული პერსონაჟია ერთ-ერთი მსხვილი მშენებლობის უფროსის მოადგილე ილარიონ ბარველიაე. ბარველიაე თავის თავზე დიდი წარმოდგენისაა. იგი ქედმაღალი და შედიღური, პატივმოყვარი და გულზედაიდი. ეს ხასიათი მას ბავშვობაში გამოემუშავდა. იგი ებრძვის თავის თავს, მაგრამ არაფერი გამოსდის. მის ცლას, ყოფილიყო ებრალთ და ბუნებრივი ადამიანი, სასურველი შედეგი არ მოყოლია. ეერ შეძლო დაეძლია ინდივიდუალისტური მიღრკელილები. ასე დაამახინჯა მისი ბუნება ბავშვობაში მშობლების მიერ ჩანერგულმა რწმენამ, რომ ყველა მისი ტოლი არ არის და იგი ყველაზე უკეთესია. ამით მწერალს იმის თქმა რიდი სურს, თითქოს ადამიანს არ შეეძლოს თავისი თავის გარდაქმნა, ხელშეორბედ აღზრდა, ერთხელ უკვე შემოქმედა-

ლი ხასიათის შეცვლა. მაგრამ ავტორი ყვეუბნება, რომ ეს უბრალო და მარტივი საქმე კი არ არის, არამედ რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომლის დაძლევა ყველას არ შეუძლია. მწერალი კონკრეტული მხატვრული სურათებით გვიჩვენებს იმ მწვევე შედეგებს, რაც თან მოჰყვება ბავშვის აღზრდაში დაშვებულ შეცდომას. ეს თქმის გენრიეტას შესახებაც. გენრიეტას გაუმართლად ცხოვრება და ახლა მისი გამოსწორება ძნელია გენრიეტა რომანში პოლომდე ურაცოფით პერსონაჟად რჩება. მაგრამ ერთი კი უღაოა: შორალმა ისე არტატურად დახატა იმ გზაქდენილი, არაგულწრფელი ქალიშვილის სახე, რომ შეცვლენებელია მისი ცხოვრება დასავლობი მაგალითი არ გახდეს მისი ტოლებსათვის. გენრიეტა ვნებათა ღელვას აუოლილი ქალიშვილია. იგი ერთ დროს უნივერსიტეტშიაც სწავლობდა. მკედურმა ყმაწვილებმა მისი სისუსტე გამოიყენეს და ღამაში გოგონა შეაკლდნენ. ცხოვრების ამ კრიტიკულ მომენტში მზარდაშვირი არაფერს გამოუჩნდა და ახლა იგი გაბოროტებული დარბოს, მოუსვენარია და ცდილობს სხვებიც თავის მდგომარეობაში ჩააყენოს. გენრიეტამ იერიში თამარზე მიიტანა, მან პირველმა ჩააწყვეთა თამარს ყურში, რომ თამარს იგი აღარ უყვარს, თორემ შეეძლო მძიმე კრილობის გამო ფრონტიდან დაბრუნებულიყო. პირველ ხანებში თამარს არ სჯერა მისი. მაგრამ გენრიეტა რა გენრიეტაა თუ კი იგი „მიზანს“ ვერ მიაღწევს თამარი მოსწონდა ახალგაზრდა მომღერალს ისიღორე თუხარულს. ეს იცოდა გენრიეტამ. იგი ცდილობს ისიღორე დაუახლოოს თამარს და თამაზისათვის მიცემული სიტყვა გაატეხინოს. ასეც მოხდა. არ შეიძლება ითქვას, თითქმის ისიღორეს გულწრფელად არ უყვარდეს თამარი. მაგრამ მათ შეუძლებას თამაზის მოულოდნელმა სტუმრობამ შეუღლა ხელი. მიუხედავად თამარის თხოვნისა, თამაზისთან სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ, გენრიეტამ ყველაფერი უაზომო ისიღორეს, რაც საჭმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ უკანასკნელს ეკოლი აეყარა თამარზე და თანდათანობით ჩამოცილდა მის. გენრიეტასაც ხომ ეს უნდოდა: ის ქალიშვილი, რომელიც მას უწევს ჭალად თელიდა ახლა — მოტყუებული და შერცხვნილი, თეიონიაც ხომ უწისო გებია, მარიალია თამარი გზას აცდა, პირველს მეორე შეცდომა მოჰყვა და ა. შ. მაგრამ თამარის ვათანაბრება გენრიეტასთან შიდა არ შეიძლება. რა თქმა იონა. თამარის გამართლებას აქ არ შეუძლებელია, მაგრამ მინეც საქირთოდ მივაინია ხალხი გაუსვთა იმ მიზეზებსა და ვარშეობებს, რომელმაც თამარი ცხოვრების კლამორტადან ამოავდო. ფაქტია, რომ თამარს თაოაოიწყოობით უყვარდა ხალხი და უმწიკლო ბუნების მქონე თამაზი. მაგრამ რამდენადც უსახლგრო იყო თამარის სიყვა-

რული თამაზისადმი, იმდენად დიდი იყო მოყვანილებული ძალა იმ ეკვიანობისა, რომლის შემათაც იგი გენრიეტამ მოწმუნდა. მხატვრული ადამიანის მოღალატეც სხვადასხვა ნელო დღე, რომელმაც თამაზი აიძულა გასცლოდა თამარს და ერთხანს მთელ საზოგადოებასაც. შავი რგოლა თამარის ცხოვრების ერთეულ ჯაჭვში. მაგრამ ეს რგოლი მისი ზნეობის დასახასიათებლად გადამწყვეტი და განმსახლგრელი შინეც არ არის, რადგან თამარი, სულიერად ნაგვებ-ნაცემი, ეკლავ ცხოვრების ჯანსაღ გზას დაუბრუნდა. მან შრომისმოყვარე პატრონისი ადამიანის გზა გაავრთელა.

შევეთი სიუჟეტს.

თამარის სახლიდან ცივად გამობრუნებულმა თამაზმა ძველ მეგობართან შეუხვია, შემდეგ მან წავიდა, მაგრამ შვებას ვერსად პოულობს. გადაწყვეტა სოფელში წასვლა და მშობელი დედის მონახულება. მაგრამ თამარი დიანა, თავის თამაზი ზოიკტა, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შირიქით, ადამიანებთან შეხვედრის გატრბის და სრულებით არ ცდილობს თავისი დიდი ცოდნა და მდიდარი გამოცდილება სხვებს გაუზიაროს. ისმება კითხვა: არის თუ არა ეს თამაზის ხასიათის ნაკლი? ეფიქრობთ, რომ არა. თამაზს, რომ სრულიად უმტკიცუნელოდ გადაეტანა მძიმე სასიყვარულო ტრამვა, რა გამართლება ექნებოდა იმ მალად და კეთილშობილურ გრძობას, რაც ისე აღამაზებდა მის სულიერ ცხოვრებას? თამაზის ცხოვრებისაკენ შემობრუნებაში, მის სულიერ განახლებაში, თვით თამაზის ვაეკატურ ნებისყოფისთან ერთად, დღეი როლი ითამაშეს მის გარშემო მყოფმა ადამიანებმა, კერძოდ, კოლმეურნიების თავმჯდომარე ვარდენმა და ნატომ. თამაზის მომავალმა მუედლემ. ნატო სრული კონტრასტია თამარისა. როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მას ახასიათებს მორალური სისპეტაკე, საქმისადმი ღრმა ინტერესი და ერთგულება, ენერჯილიზმი, მიუღენათა სწორად ქურტის ალღო, ადამიანისადმი უადრესად ფაქიზი და გულთბილი დამოკიდებულება. რაკილა ხასიათების დაპირისპირებაზე ჩამოვარდა ღამარაკი და პარალელებს მიგმართეთ, უნდა ითქვას, რომ მისაბაძი საჭრომანში მარტო ნატო როლია. რომანის დადებითი პერსონაჟებიდან, ნატოს შემდეგ, აუცილებლად უნდა იქნეს დასახილებული თამარის და ნინო, რომელმაც საბავალითო თაჯბი შექმნა. ნინოს პორტრეტი ავტორმა ისე დახატა, რომ ფუნჯის პირველივე მოსმდიან ეგრძობობთ ამ ქალიშვილის სასიხარულო მომავალს. ნინო მწერალმა აღრევე გაგვაცნო, როგორც მტკიცე ხასიათის, ურყევი ნებისყოფის და ნათელი გონების მქონე ქალიშვილი. აქვე არ შეიძლება უყურადღებოდ დატოვოთ თამარის სკოლის მეგობრები — დიდი და

ანკო, რომლებიც თამარს ჩამოსცილდნენ იმის გამო, რომ იგი გენრიეტას დაუახლოვდა მაგრამ საყვარელი შევობარა მათ გულიდან მიანც ვერ ამოიღეს. უფსკრულის პირად მღვარ თამარს კატეგორიულად მოსთხოვეს ჩამოშორებოდა გენრიეტას, სამსახური დაეწყო და ცხოვრების სწორ გზას დასდგომოდა. ამ შეპყრობისა და მისი გზის შევობარის შეგობარულმა რჩევამ სასურველი შედეგი გამოიღო, რასაც, ცხადია, ხელი შეუწყო თვით თამარის პიროვნებაში არსებულმა კეთილმა აღმანიერმა საწყისებმა. რაკი ქვეითი გენრიეტაზე მეტს აღიარებდა ვიტყვი, ამიტომ აქვე გვინდა გავაცეთ პასუხი იმისთვის: არსებობს თუ არა გზა გენრიეტასა და მისი მსგავსი ერთეულების გამოსასწორებლად? ამ კითხვას ჩვენ დადებითად ვუპასუვებთ. არასასურველი შემთხვევითა თუ ვარემოებით ზნეობრივად დაშლიანებულ ადამიანებზე, კერძოდ, ქალიშვილებზე, რომლებიც ჩირქს ცხებენ ჩვენი სამავალითა ქალების სახელს, მთელი სიმკაცრით უნდა ვამხილოთ, მთელი სიმწვავეით დავანახოთ მათ თავიანთი უსაქიერეობა, რამდენად სკდასა და რჯახზე რომ არაფერი ეთქვას, დიდ დახმარებას ვაგვიწევს მხატვრული ლიტერატურა. ამ მხრივაც რომანი „ერთგულემა“ უდავოდ მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. მწერალი გენრიეტასა და მის მსგავს ადამიანებს დამარცხებულ მხატვრული სახეების მეშვეობით ცხოვრების სარკვეში ახედებს.

დავებრუნდეთ თამარს. ჩვენ ნაწილობრივ უკვე აღვნიშნეთ თუ რა მძიმედ განიცადა თამარმა თამარის დაღი. მას შემდეგ, რაც თამარმა ნატო გაიწია და ვარდენის თხოვრით დაეხმარა მას სოფლის კლუბის პრაქტიკის საბოლოო ვარიანტის დამუშავებაში, იგი საგრძნობლად შეიკვალა. თამარი თანდითანობით წაემა ცხოვრების ფერხულში და ნატოსადმი ერთგვარი სიმპათიით გაიმსკვალა.

როცა თამარს პიროვნებაზე ვმსჯელობთ, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ მის უარესად ადამიანურ ბუნებასა და სულგრძელობაზე. მიუხედავად იმისა, რომ თამარის დაღმა მას გული ვაუტეხს, ყმაწვილკაცური თინებები გულამტვრია, იგი მიანც არ იფიქრებს თამარს, როგორც მძიმე სულიერი ტკივილებით შეპყრობილ მახლობელ ადამიანს, როგორც სუსტი ნებისყოფისა და უზნეო პიროვნების მსხვერპლს. ადევნებს თვალყურს მის ცხოვრებას ხოლო ლოგინდ ჩავარდნილს მოინახულებს და ტანჯვას უმსუბუქებს. ამით თამარმა თავისი ზნეობრივი ვალი მოიხადა, რასაც, ცხადია, ყველა ვერ შესძლებდა. როცა თამარის მომჯობინება ვაიგო, უდიდესი შვება იგრძნო. სულიერად კმაყოფილ და დამშვიდებულ თამარს ახლა უკვე გაახსენდა, რომ სამასობისმგებელი, საზოგადოებრივი საქმე ელოდებოდა და მეტადურგის გამოცდილი სპეციალისტი — ინჟინერი ლომიციხეში მიეშურება თავის მე-

გობრებთან. ამ დღიდან თამარი უმეტესად სულიერად ცალკე მშენებელთა მოწინავე ტრეკებში დგას და ენერჯიულად ემსახურება წამყვან ლოს, მშენებლობის ახალ უზწყობლობას. ლომიციხის მშენებლობაზე თამარს უკვე სულიერად აღდგენილსა და რჯახის ბედნიერებით კმაყოფილს ვხედავთ. აქვე ვეცნობით თამარის რუს და უკრაინულ მეგობრებს. ავტორი ახერხებს მოგვცეს რუსი ვაჟაკების გამოკვეთილი ხასიათები. მაგალითად, ღრმად დასამსახრებელია სერგო ივანეს ძის, ბორისოვის, ბორისოვის, სმირნოვის, ტაჩუკოს და სხვათა სახეები. მწერალი მათ ისეთი რეალისტური მანერით გვიხატავს, რომ მოთხველს უხარია ამ გულახდილი, დიდბუნებოვანი, შრომისმოყვარე, თავისი საქმის მცოდნე და ხალისიან ადამიანებთან შეხვედრა.

რომანის ეს ნაწილი ნამდვილად მხატვრული მატარება ქართული ფოლადის კერის დაბადებისა.

„ერთგულემა“ ფსიქოლოგიური ხასიათის რომანია. მისი პათოსია უმაღლესი მორალი, ადამიანთა სულიერი სისხტეკა. სწორედ ადამიანის შემეცნებით ღირსება და იდეური მნიშვნელობა. რომანს ახასიათებს დრამატუზმი, რასაც მწერალი გადმოგვცემს ტრეალისტურ სურათებით. კერძოდ, თამარისა და თამარის სასოციალური ისტორიის აუღლებლად წყობილება შეუძლებელია. ვაგვისხვით ფორნტიდან დაბრუნებულ თამარს შეხვედრა თამართან. რაოდენი ტკივილი, რაოდენი ადამიანური ტანჯვა ჩაქსოვილი ამ მძიმე ეპიზოდში.

ადამიანის სულიერი მდგომარეობის პლასტიკურად გამოხატვის მიზნით მწერალი ხშირად იშვილებს ბუნებას: სულიერად ვაძარცვლი თამარი თავისი პიროვნების შინაგან ანარეკლს მასავით ვაძარცვლ შემოდგომის ბუნებაში ხედავს და იგრძნობს თუ როგორ იბმება იდეალური სიმები მოწყვეტილ ბუნებასა და ადამიანს შორის. პირადი უბედურებით ჩადიქრებული თამარი ახალს ვაყურებდა. დინჯად ირბოდნენ ხეები, შეყვითლებული ფოთლები სწყვდებოდნენ. ზოგჯერ ერთხანად აშრიალდებოდნენ, რტოებს ხელებივით მიწაზედინენ ერთმანეთს და თითქოს ამბობდნენ: „ნუთუ აღარაა საშველი, ნუთუ ასე დამშვიდებით უნდა ველოდოთ, სანამ სამოსი შემოგვაცდებდა, ვაიძარცვებით და ვაეგრტვლებით“. ასე ვაძარცვულდ მიანდა თამარსაც თავისი ცხოვრება. იგი ფიქრობდა, რომ ყველამ დაიფიქრა და მისი სიყოცხვ ახლა არავის აინტერესებს, გული მწარედ ვეუშვებოდა და ვაჩენის დღეს წყველიდა. ასე ძლიერად და დასამსახრებლად დახატა მწერალმა თამარის ცხოვრება.

ბუნებისავე ფონზე ავტორი სრულიად საპირისპირო სურათს იძლევა — ცხოვრებით კმაყოფილი, ლდი და ფრინველივით ფრთავსილი, სპეტაკი და შრომის მოყვარე ნატოს შინა-



განი სამყაროს გასახსნელად: „პატარა ეზოში ხალისიანად შეთვალეგრა ნაყოფით დატვირთული, შტოვებდაბრილი ვაშლისა და მსხლის ნორჩი ხეები. ჯერ ციკრუსების ახლად გამოსულ ნაყოფს გაუღიმა, მერე ხარბად ამოზრდილ ვარდის კოკრებს ხელი მოხვია, ჩაიხტა და რაღაც უქნაურმა გრძობამ გული აუჩქარა“.

„ერთგულება“ გამოირჩევა თავისი მრავალრიცხოვანი პერსონაჟებით, აქ მოქმედებენ, მსჯელობენ და საუბრობენ მუშები, გლეხები, მწყემსები, ინჟინრები, ექიმები, აგრონომები, მასწავლებლები, სტუდენტები, ომის გმირები, მხატვრები, პოეტები, პროფესორები, მოხუცები, ახალგაზრდები, ბიჭუნები და გოგონები. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოების ყველა პერსონაჟი მკაფიოდ გამოყვეთილი ინდივიდუალური სახეა, მაგრამ ერთი კი უღვათა — რომანის ყველა მოქმედ პირს გარკვეული იდეურ-მხატვრული ფუნქცია აქვს დაეისრებული და თითქმის ყველა მათგანს, თავისი სიხარულითა და ტკივილებით, საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე თათავის ადგილი აქვს მიჩნეული. რომანის დადებითი პერსონაჟები ურთიერთ შეკავშირებული არიან ამ მთლიან საზოგადოებრივი ინტერესებით და თავიანთი აქტიური შემოქმედებით შრომით ქვეყანას წინ წივენ, ზემოქმედებს ახდენენ ცხოვრებასა და ბუნების მოვლენებზე. მართალია, ზოგჯერ მათი მსჯელობა მშრალია, მოკლებულია ემოციურობას და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მათ ავტორი ალაპარაკებს და არა საკუთარი ვნებები, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, რომანის მოქმედი პირები მართალი და გულწრფელი არიან და საბჭოთა ადამიანების საუკეთესო მისწრაფებებს გამოხატავენ. რაც შეეხება უარყოფით პერსონაჟებს, ავტორს მხატვრული აღლი არც ამ სახეების ძერწვის დროს ღალატობს. ამას მკაფიოდ ადასტურებს თუნდაც მის მიერ დახატული გენაიგება.

როცა ა. ლისაშვილის მხატვრულ უნარზე ვლაპარაკობთ, ჩვენ პირველ რიგში ვგულისხმობთ მის შემოქმედებითს შესაძლებლობას. — დრამად ჩაგვახდლოს მოქმედ პერსონა სულიერ სამყაროში, დაგვანახოს მათი აქა-აქა, მკაფიოდ გამოხატოს ადამიანის ხასიათი, თავი რომ დაავნებოთ იმ ადამიანებს, რომლებიც რომანის ცენტრში დგანან და შეეწერდეთ მხოლოდ ეპიზოდურ პერსონაჟებზე, დაიხიბათ თუ შწერალი როგორ აბერებებს ამ პერსონაჟების თვისებების გადმოცემას. მხედველობაში გვყავს ნინოს მუდღვე დაეითი, პროფესორი კოტე, მშენებელი ინჟინერია სერგო ივანეს ძე და სხვები.

ნინოს მუდღვე — დავითმა სამშობლოს მარჯვენა შესწირა და ახლა იმგადახდილი ვაჟ-

კაცი ქვეყანას პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომით ემსახურება. თამაზის ფრენტზე წასვლის შემდეგ რაინგზას სადგურშიდან მან მომავალ ატირებულ თამარს, შემფთავებულ იმის გამო, რომ თამაზს განწირებისას ერთ სიტყვაც არ უთქვამს მისთვის, დავითი ასე ამწვადებს:

„მთავარია ერთგულება და არა სიტყვა სიტყვა ქარია, თუ სინამდვილეს მოწყვეტილია“. მართლაც, რამდენი სიმართლე იყო დავითის ამ სიტყვებში, რომლებიც თითქოს რაღაც საოცარი გუმანი იყო ნაქარნახევი და ვაფრთხილებად ვაისმა თამარის მიმართ. ეს პატარა მონოლოგი, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამ პერსონაჟზე, ხოლო ამ წარმოდგენას დავითის მთელი ცხოვრება და საქმიანობა მთლიანად ამბობს. საყურადღებო ფიგურაა აგრეთვე პროფესორი კოტე, იგი, საერთოდ, ადამიანებისა და, აქრძოდ, თამაზის მიმართ დიდ გულსაბიერებას იჩენს.

ინჟინერ სერგო ივანეს ძის სახე მკითხველის წინაშე კინოლენტულია გაიძლევს, მაგრამ მწერალს ამ სახის დასახატავად ისეთი ეფექტიანი შტრიხები შეურჩევია, რომ იგი არ გაიწყვდებათ. რომანი გამოთბარია ხალხთა დიდი და ძლიერი მეგობრობის სუნთქვით. აქ მეგობრობა ნაჩვენებია, როგორც მტკიცე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ძალა, ადამიანთა კეთილდღეობის წყარო. დიდი ინტერესითა და მღვლეარებით ეკითხულობთ თუ რა ენთუზიაზმით მოდიან რუსი და უკრაინელი მეტაღრგები, რათა ლომიკობის მშენებლებს მხარში ამოუდგნენ და დახმარება გაუწიონ.

მიუხედავად ამისა, რომ რომანში ბერია ჩართული ეპიზოდუ, ადგილი აქვს სიუჟეტოვან გადახვევებს, კომპოზიციურ ქსოვილიში ჩავარდნილი თელები მანც არ არის. ნაწარმოებში არ გვხვდება უფუნქციო პერსონაჟები და უაღვითი დეკორაციები.

როგორც ვიცით, მწერლობაში სიტყვის იგივე როლი აქვს დაეისრებული, რაც ფერწერაში საღებავს. მწერალი სიტყვით ქმნის ფერებისა და სახეების პროპორციას, სიტყვით განვსჯდევინებს ადამიანთა სულში დატრიალებულ ქარნაზას. ამიტომ, ბუნებრივია, მწერლის ენა ნაწარმოებში სრულყოფის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ამ მხრივ ა. ლისაშვილის რომანი „ერთგულება“ სათანადო სიმაღლეზე დგას ზვენ მანიც გვიანდა შეენიშნით, რომ ნაწარმოებში აქა-იქ გვხვდება ენობრივი ბერბუმეღა.

ამრიგად, რომანი „ერთგულება“ კარგად ვადმოგვემს მწერლის მიერ დასახულ ამოცანას, იგი გვიჩვენებს, რომ სიყვარული და ერთგულება ადამიანთა არსებობის სასიცოცხლო წყაროა, მათი ბედნიერებისა და კეთილდღეობის დასაყრდენი და ქვეყნობედი.



კ. დ. ბაღმონტი და ქართველობა

გვიან გავიგე კ. ბაღმონტის მიერ სრულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა. თვით ბაღმონტის გარდაცვალებამ (1947 წ.) დაგვიანებით მაქვს გაგებულა.

ამიტომ განვიზრახე, ცოტა რამ მოვიგონო იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გავიცანი კ. ბაღმონტი სამოქალაქო ომის მძიმე პირობებში (1917 — 1920 წ.) და ამ ურთიერთობიდან, როგორც მას მოსკოვის ქართველ საზოგადოებასთან ჰქონდა.

წინათ, როცა საქართველოში უმალესი სასწავლებლები არ არსებობდა, საშუალო სკოლადასაყრდენი, სწავლამოწუხებელი ახალგაზრდა რუსეთის საუნივერსიტეტო ქოლევებისაკენ, ან საზღვარგარეთ მიემშრებოდა სწავლის გასაგრძელებლად.

პირადად მე გადავწყვიტე მოსკოვის უნივერსიტეტში შეესულიყავ და ეს იმიტომ, რომ არჩეული მქონდა რუსული ენისა და ლიტერატურის დარგი, თანაც, ვიცოდი, მოსკოვში არც ერთ რუსული ლიტერატურული ენის ფაქტად ითვლებოდა.

თ, სწორედ ამ პერიოდში შევედი კ. ბაღმონტს.

ჩემი მოგონებები უმთავრესად შეეხება კ. ბაღმონტის შემთხვევით ქართული ენის ცოდნის გაღრმავებაზე. ადრე, თბილისის ლიტერატურულ წრეებში, უკვე ჰქონდა მას დაწვებულ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ზოგადი გაცნობა.

საშუალო სკოლაში დაბალი კლასებიდანვე ვეწყოდი რეპეტიტორობას, მოწოდებების მომზადებას, შემდეგ ვმასწავლებლობდი — ჯერ საქართველოში, და ბოლოს მოსკოვში — ვაერთა ვიმართავთ და საშუალო ტექნიკურ სასწავლებელში.

მოსკოვის ქართველობა მიცნობდა როგორც მასწავლებელს.

ბაღმონტი ზმირად ვსწრებოდა ქართველთა საზოგადოების მიერ გამართულ ტრადიციულ საღამოებს. კითხულობდა ლექციებს, გამოდიოდა საკუთარი ლექსებით.

ერთხელ ასეთ საღამოს მოსკოვში მყოფი თითქმის მთელი ქართველობა დაესწრო. ბაღმონტი, როგორც ყოველთვის, იჯდა სტუდენტებს შორის და ვაცხოველებით ებასებოდა მათ.

საღამოს ესწრებოდა იურიდიული ფაკულტეტის მოწინავე სტუდენტი ქეთევან ჩიგო-

გიძე. ის ჩემზე ადრე იყო ჩამოსული მოსკოვში და კარგად იცნობდა ბევრ ქართველ თუ რუს მოწინავე ინტელიგენტს, მათ შორის პოეტ კ. ბაღმონტსაც.

საუბრის დროს ბაღმონტი ქართული ენის შესწავლის სურვილი გამოსთქვა.

კ. ჩიგოგიძემ ჩემზე მიუთითა.

ბაღმონტი მიიღო მისი წინადადება და რამდენიმე ხნის შემდეგ სიტყვა საქმედ აქცია: დაიწყო სიარული ჩემთან ქართულ ენაში სამუცადინოდ.

გაკვეთილები ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა. ვსამარჯველოზე, რა თქმა უნდა, არც ვუფრობდი, რადგან ბაღმონტისაგან დავალებულად ვთვლიდი თავს; ვიცოდით ქართულში ახალგაზრდებში, რომ კ. ბაღმონტი მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე. შემოკლებული თარგმანი უკვე გამოცემული იყო. და, საერთოდ, კ. ბაღმონტი იყო საბელაშოველი, ცნობილი პოეტი არა მარტო რუსეთში. არამედ მის გარეთ — გერომაშიაც.

კ. ბაღმონტი იშვიათი ხალისით ისმენდა და ამზადებდა ქართული ენის ყოველ გაკვეთილს. სიბეჯით, ყურადღების სიმამვილე და პირიანობა არ აკლდა მას ამ დროსაც კი, როცა მრავალი საპატრიო მიზეზი მოეპოვებოდა „გაკვეთილის გამოტოვებისათვის“.

ჩვენი შეცადინების მანძილზე არა ერთხელ აღუფრთხიანებია პოეტი ქართული სიტყვისა და ლექსის კეთილმოგონებას. მოეწონებოდა თუ არა რომელიმე სიტყვა, შეწყვეტდა გაკვეთილს და დაიწყებდა ამ სიტყვის თავისთვის ხმაილილი გამოკრებას, შემდეგ მოიხდიდა ბოდმშს პოეტური „სილაღისათვის“ და ისევ უბრუნდებოდა მიტოვებულ გაკვეთილს.

ხდებოდა ასეც: ქართული ლექსის შესიკალობა იმდენად ხიზლავდა ხოლმე, რომ ყოფილა შემთხვევები, როცა უთბოვნია, ჩემთვის — წამყვანმა კიდევ რომელიმე ლექსით ყოველი ლექსის მოსმენა მისთვის ახალი განცდებისა და სიამოვნების უმრავლეს წყაროს წარმოადგენდა. მასთვის, ი. კრიშნაშვილის ერთერთმა ლექსმა იმდენად აადლევა, რომ აღტაცებით წამოიძახა: „Чертовски хорошо“.

ერთხელ, გაკვეთილის დროს, ვადიდებდი მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი, მკაყ გამოცემა და მორიდებით გამოე-

თქვე ჩემი აზრი თარგმანის იმ ადგილის შესახებ, რომელიც ასე იწყება:

„Уж когда в пещере льята, — льяца, лев вполне равны...“

მე შეენიშნე: თქვენი თარგმანის მიხედვით ძუ და ხვადი თანასწორნი არიან შანამ, ვიდრე ისინი გამოქაბულში იმყოფებოდნენ, ხოლო შემდეგ, როცა იქედან გამოვლენ, მათი თანასწორება ირღვევა-შეთოქი.

შემდეგ მოვხვებნე მეორე ადგილი: „რალია იგი სინათლე: რასაცა ახლავს ბნელი“, რომელიც სიტყვა სიტყვით ასე თარგმნება: «Что это за свет, который сопровождается тьмой».

კ. ბალმონტის თარგმანის მიხედვით კი ეს აზრი შემდეგ ფორმაშია მოცემული: «Где же свет, что тьму просветит?»

პოეტს ვანიშნე დედნის აზრის არასწორად აღმოცემა თარგმანში, რასაც დაეთანხმა და, საერთოდ, კმაყოფილებით მიიღო ჩემი ორივე შენიშვნა. როცა ჩემს შენიშვნებს ვუზიარებდი, სახის გამომეტყველებაზე ვეატყობდი, რომ პირველად ისმენდა მითითებას თარგმანში დაშვებულ შეცდომებზე. სამწუხაროდ, შემდგომ, სრულ თარგმანშიც, რომელიც 1936 წელს გამოიცა, ვერ მოხერხებულა ამ ნაკლის თავიდან აცილება.

ერთ-ერთი გაკვეთილის დროს ბალმონტმა რვეულში ჩამაწერინა ერთი ქართული ლექსის ნაწილი, იმ განზრახვით, რომ შეპირად ესწავლა და შემდეგ ჩაებატრებინა ჩემთვის, როგორც გაკვეთილი. თვით ლექსი არ ვსვლებოდა, მხოლოდ ზოგჯერტი ბეგრის გამოთქმა უჭირდა.

ეს იყო ი. ვრიშაშვილის ლექსის „შენ ხარ ღვთაებას“ ის ადგილი, რომელიც ასე იწყება:

„მხოლოდ შენთვის ჰყვებს ნახად ბუღბული,
შენს არეს აფრქვევს სურნელს სუბული,
შენთვის ბიბინებს, თვით მდელი მწვანე,
შენ გეთაყვანე...“

ბალმონტმა ეს სტროფი რამდენჯერმე გაიმეორა, რომ უფრო სწორად და მკაფიოდ გამოეთქვა ზოგიერთი ბეგრა. აღტაცებაში მოჰყავდა თანხმობან ასეთი თავშეყრის ქართულ სიტყვებში. ის ამბობდა: Красиво — сильные русские слова: Горнило, Наковальня, Докот, через загромождение звучных согласных, делаются еще красивее и еще звучнее, возникая в горных теснинах грузинской речи: Брдзმеди, Гრემლი, Гრвინვაა¹.

როგორც ზემოთაღ ვამბობდი, ბალმონტი ყოველთვის დიდი ყურადღებით ისმენდა ქართული ენის გაკვეთილებს, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა თვითონ დაიწყებდა

ჩემთვის საინტერესო ამბების მოყოლას საქართველოზე.

მაგალითად, ერთხელ მოხერხდა ქართული ხალხური ვადმოცემა თამარ მეფის ქანაშის ლოს შთავიგნებულად წარმოთქვა:

«О, Тamar! царица семи царств!
Тебе подвластны барсы гор...» და სხვ.

რუსთაველა აღარებდა დაწესეს, პეტრარკის და მიქელანჯელოს. იგი ამბობდა: «Среди всемирно прославленных Я нахожу имена Руставели, Данте, Петрарка, Мекель-Анджелю И в звездном грозде четырех этих имен... певуче имя Руставели мне кажется наиболее справедливо вознесенным»¹.

მეცადინეობა კარგა ხნის მანძილზე გრძელდებოდა ბალმონტი წუხდა, რომ გასამარჯელოს არ ვიღებდი, ბოლოს, როგორც იქნა მოვაბერებე და გულიდან ამოვადგებინე ამაზე ფიქრი. თუმცა მობრძნებოდა, ერთ-ერთი უტყუარ ენის სწავლებით აენახლებებინა ჩემი შრომა ჩემთვის სიამოვნებად ისიც კმაროდა, რომ ბედმა შარგუნა ვყოფილიყავ ისეთი დიდი პოეტის მასწავლებელი, როგორც კ. დ. ბალმონტი. და მერე რა დროს: სამთავრო ომის მძიმე წლებში, ჩემს გაყინულ ოთახში იჯდა პალტოში გამოხვეული, კალშვაუბდელი შესანიშნავი პოეტი, რომ ქართული ენის ფინეტიკა, დიდი რუსთაველის ენა შეესწავლა...

ცნობილია, რომ რუსული ბეგრები „II“, „III“ „Ж“ ყოველთვის მაგრად გამოითქმის — რბილი სმოვანის წინაა ის თუ მაგარის.

ასევე მაგრად გამოითქვამდა ბალმონტი ქართულ „ც“, „ტ“, „ქ“ და „შ“. მაგალითად: „Цква“, „Цзма“, „Цзри“, „Шэни“, „Шыи“, „Жыи“ და სხვ.

რუსული ბეგრა „К“ ზოგჯერ რბილად გამოითქმის, ამიტომ ის იტყობდა: „კრას“ მაგვირად „ქერას“, „კულის“ ნაცვლად „ქულის“, „კარის“ — „ქარი“ და ა. შ.

როცა ვაიგებდა ყოველი მათგანის მნიშვნელობას და შეაჯერებდა გულს, კმაყოფილებით საგან დიმილა მოუვიდოდა, რადგან თვითონვე დარწმუნდებოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბეგრის სისწორით გამოთქმას.

ქართული და რუსული შესაბამისი ბეგრების სწორად გამოთქმას, როგორცაა მაგალითად, К — ქ, Ч — ჭ, К — ყ, Ц — წ, დიდ ყურადღებას აქცევდა და დიდ დროს ანდამებდა მათ გამოთქმებზე ვარჯიშს. ყურადღებას ასეთი გამახვილება მოწმობდა, რომ მას კარგად ჰქონდა შეგნებელი, თუ რა უხერხულობას წმინდა „კედის“ ნაცვლად „ქუდის“ თქმა, „პურის“ მაგივრად „ფურის“ და სხვ. იგი თანდათანობით გადადიოდა „ღუვირქისლადან“, „ზეიბასისზე“, მერე „ზეირქისზე“, ბოლოს მიუახლოვდებოდა „მ“ და „ფ“-ს.

სამთავრო ომი და მისი შედეგები ხალხისათვის დამღუპველად მოაჩნდა, მაგრამ ითმენ

¹ იხ. „გეოგრაფიკისაინანს“ შემოკლებული თარგმანი. 1917 წ. გვ. 13, 17.

და და სხვებსაც აქეთვე მოუწოდებდა: Не будем падать духом-ო ხშირად იტყოდა ის.

ერთხელ, გაყვითლის შემდეგ, როცა წასვლა დაახრა, გზიდან რაღაც ქალაქში გახვეული ამოიღო, მივიღებ და დღე და მიიხრა: «Заморите червя!». მისი წასვლის შემდეგ გაემხლე ქალაქი და აღმოჩნდა სპილენძის მურჩიანისოდენა ორი ცალი ვ. წ. «კერი»... ეტობოდა, სახლიდან წამოეღო. გამიხარდა, თუმცა ჩემს გაჭირვებას ეს რას უშველიდა?! მაგრამ მომავლად «სულთ და გულთ მოძღვრის» ამბავი და სამოწინებო ვიგარქენი.

მასობას, საფრანგეთში წასასვლელად ემზადებოდა. დადგა დღე გამგზავრებისა. მეცადინეობა შეწყვიტეთ. გამოშვებდომებისას მის ბინაზე მივედი (Новопесковский пер., д. 15, кв. 2), რომ დაინახა, ესამოვნა, მიმოწეა და ევეც ცოლს დაუძახა, წარსდგინა ჩემი თავი: «Я тебя познакомлю с грузиночкой М. Дондуи». ცოლმა შემომხედა, გამიღმა და ხელი მგარად ჩამომართვა. არ ვიცი, შეინიშნა თუ არა მან ჩემი შეერთობა, როცა შემომესმა მისი სიტყვები: «ბედნიერთა ვარ, რომ ქართული ქალი გავიცანი».

გავედი მეორე ოთახში, აქ ვინმე ახალგაზრდა ქაბუცი წიგნებს აღაგებდა კარადაში. ბალმონტმა მიმიყვანა მასთან და გააცნო ჩემი თავი შემდეგი სიტყვებით: Сандро, будьте знакомы, поэт М. Дондуа». ძლიერ გამაკვირვა ბალმონტის ასეთმა რეკომენდაციამ. რას ნიშნავს ეს — ფიქრობდი, — და პასუხი ვერ შეპოვნა. ქაბუცი კი განავრძობდა წიგნების დალაგებას.

როგორც გამოირკვა, ეს ის წიგნები იყო (თავთ ბალმონტმა მიიხრა), რომლებსაც აბარებდა ამ ახალგაზრდას საფრანგეთში გაგზავრების წინ.

ბალმონტს ვითბე მისი ვინაობა და ასე მიპასუხა: «Он поэт Сандро Кусиков, сам из аула... после меня он первым...»

«Поэт Дондуа-ს» შესახებ ბალმონტს შევეკოებე: «სწინდრო კუსიკოის მართლა ხომ არ ვეგონე პოეტი-მეტი?». მან მომიგო: «Я знаю, милая, что говорю, Вы поэт, поэт в душе, как и почти все грузины».

ბალმონტის რეკომენდაციამ, ეტუობა, გველენა მოახდინა კუსიკოვზე. კითხიები კითხვებზე დამეყარა საქართველოს შესახებ. კერძოდ, აინტერესებდა თბილისი, საქართველოს დედაქალაქი და მეფისდროინდელი კავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი.

შემდეგ დაწყოლებით გამოქითბა რომელი კუთხიდან ვეყოი: რა დაჩებე ესწავლობდი და სხა. მარტო თავისი წიგნი — «Зеркало Аллах» შემდეგი წარწერით: «Родному Кавказу — Вашей страсти нагорных вуршиш — прекрасной искренности огкровення

глас Маргариты. Дружески... С. Кусиков. 1919 г.

ბოლოში არაბულად მიწერაღო: «გვანამ-ვეყურესულადიყა გამეორებელი»... კიდევ ერთი შემთხვევა: კ. ბალმონტს ტვერის ქუჩაზე შევხვდი. ბინდი იყრებოდა. შევეჩერდით ტროტუარზე. ამ დროს მან დაინახა ქუჩის მეორე მხარეზე მიმავალი ნაცონო ქალი და სთხოვა გადმოეღო ჩვენსკენ. ქალი გადმოვიდა და მოგვიახლოვდა. გაცნობის ჩვეულებრივი წესის შესრულების შემდეგ, უცხრად კ. ბალმონტი გავეშორდა და ჩვენც თავთავით გზით წავედი.

ეს ქალი, ბალმონტის გადმოცემით, იყო ცნობილი პოეტი, რომლის გვარი, სამწუხაროდ, აღარ მაგონდება.

პარიზში წასვლამდე, მეცადინეობის პირველ ხანებში ბალმონტმა მიძღვნა თავისი წიგნი — «Лиховъ», кн. 5, რომელზეც აღმოჩნდა ჩემი დამი მიძღვნილი ოთხსტრიქონიანი ლექსი:

Уж когда луч дошел к волце —
Зыбь светла лазурных струй,
Я приду к тебе во сне,
Будет нежни поцелуй.

ამ წიგნმა რუსეთი მოიარა, სამოქალაქო ომის საზინელ წლებს გადურბა, ქუთაისამდე მოაღწია და შემდეგ საღ გაქრა, ჩემთვის დღემდეც გამოურკვევლია.

კ. ბალმონტისგან დამარჩა მხოლოდ მისი წერილი, სადაც გაყვითლებზე მოესვლელობის მიზეზს მატუობინებდა.

კონერტის ერთი ნაწილი დაზიანებულია, თვით ტექსტი კი დათოლა ურევალად. მომეყავს წერილის შინაარსი სიტყვა-სიტყვით.

«1919 г. 6. 30. Б. Новопесковский пер., д. 15, кв. 2. г. Гиреево. Милая, мне завтра необходимо поехать в Новогиреево, увы, не смогу к Вам прийти, как мы условились, ибо вернусь лишь ночью.»

Приду к вам в среду, часов в 8. Если это вам неудобно, извините, когда к Вам придет.

К. Бальмонт.

მოსკოვის ქართული საშაბტრო თეატრის (დაარსებული იყო 1912 წ.) სცენაზე ხშირად გამოდიოდა ლადო მესხიშვილი, გარდა ამისა, საქართველოდან ჩამოდიოდნენ სხვა გამოჩენილი მსახიობებიც.

ერთხელ აღნიშნულ თეატრში გამართა საზეიმო წარმოდგენა ლადო მესხიშვილის მონაწილეობით. როგორც უნდა ყოფილიყო ჩემი შიში და თან სიხარული, როცა გავიგე, რომ ლ. მესხიშვილის მიერ ფრანგულიდან თარგმნილ პიესაში ერთ-ერთი წამყვანი როლი მეც უნდა შემესრულებოდა და ისიც პირველად ჩემს სიტოცლებში წარმოდგენის დიდძალა საზოგადო-

დოება დაესწრო. ბალმონტიც იქ იყო. სექტაკლის დამთავრების შემდეგ, კიბეზე ჩამოსვლის დროს, ის მგზნებარედ ელაპარაკებოდა მესხი-შვილის შესახებ თავის ნაცნობებს.

ბალმონტი ჩვენს საღამოებზე, როგორც ვთქვით, ზშირად კითხულობდა ლექციებს და გამოდიოდა საერთო რეპეტიციით, რომელთაც დაუზარებლად კითხულობდა. დიდი ხალისი და სიციცხლე შეტყონდა მის დამსწრე საზოგადოებაში.

ერთ-ერთ ასეთ ტრადიციულ საღამოზე, 14 იანვარს, რომელიც ქართველთა განმანათლებელი ნინოს ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი, ბალმონტმა ექსპრომატად წარმოთქვა ლექსი, რომელიც დამსწრეთგან, ილბათ, დღესაც ბევრს ახსოვს:

«Я думал: тверд я, как рубин,
Как дуб, как имя Константин,
Но пред грузином и грузинкой
Я таю нежною снежинкой.
Теперь уж времена не те —
Не Константин я, а Котез».

საერთოდ ბალმონტი ცნობილი იყო იშვიათი თავაზიანობით. იგი მეტისმეტად თავდაკერილი და ხალისიანი იყო შეხვედრისას.

ვადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბალმონტი იყო ქართული საქმის ნამდვილი პატრიოტი. ის გულდაგულ სწავლობდა ქართულ ენას, თანდათან აღრმავებდა ცოდნას, რომ უფრო მკიდროდ დაკავშირებოდა თავის საყვარელ შოთა რუსთაველის სამშობლოს.

მის ოცნებას შეადგენდა — «ვეფხისტყაოსნის» თარგმანის ბოლომდე მიყვანა. **მარტინელი** ქართველ სტუდენტთაგან უმსჯელოდ მგვგობრობდა. ბალმონტს ტიციან ტაბიძე, ზშირად შეზღუდულით მათ ერთად თეატრში ან სხვა ადგილას.

ქლიერ მაინტერესებდა, თუ რა შეხედულებას იყო ბალმონტი ქართველ ქალებზე. ერთხელ გაიბედა და შეეცაითებ ამის შესახებ. «Гордые и неприступные, как горы Ваши» — მომიგო მან.

სხვათაშორის, იმ წიგნში, რომელიც მან მიძღვნა, ერთ-ერთი ლექსი («Черноглазая лань») ვინმე ქართული ქალისადმი იყო მიძღვნილი. იმ ქალის სურათი მე თვითონ ენახე ბალმონტის ბინაში დიდ ჩარჩოში მოთავსებულ. ქართველი ქალის ნამდვილ, ტაბიურ სახეს წარმოადგენდა.

საფრანგეთში გამგზავრებისას, ბალმონტმა თან წაიყვანა ცოლ-შვილი და მას შემდეგ მისი არსებობის შესახებ არა ვიცოდი რა.

როცა ვიგონებ დიდი პოეტის წარსულს და იმ გულწრფელ, უანგარო დამოკიდებულებას, როგორითაც აღმეკდილია ძოელი მისი ურთიერთობა მოსკოვის ქართველობასთან, არ შეიძლება კმაყოფილებით არ აღვნიშნოთ, რომ ბალმონტი სიციცხლეშევე მოესწრო თავისი სანუეკარი ოცნების განხორციელებას — «ვეფხისტყაოსნის» სრული თარგმანის დაბეჭდვასა და გამოცემას (1936 წელს).



ქართული ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან*

ამ აზრის საილუსტრაციოდ ზედმეტი არ იქნება ორიოდ სიტყვა ვთქვათ სენ-სიმონის ხსენებული ნაწარმოების შესახებ და აგრეთვე გავეცნოთ თვით ნ. ყიფიანის თარგმანს.

აღსანიშნავია, რომ ნ. ყიფიანის დაკითხვის ოქმიდან არ ჩანს, არც ხსენებული ნაწიკვების შინაარსი და არც ის, თუ სენ-სიმონის რომელი ნაწარმოებიდან (თუ სიტყვიდან) არის იგი ნათარგმნი, მაგრამ ამის დადგენა მაინც მოახერხდა იმ ქალღღების ვადათვალეურებისას, რომელიც პოლიციას ნ. ყიფიანისთვის ჩამორთმევი, ზვენ წაეაწვილით ერთ ფურცელზე წეროდა ხელით რუსულად ნაწარ ტექსტს, რომელიც იწყება სიტყვებით: Дружба в Англии много ученых¹. ეს ტექსტი არქივის საქმეში აღნუსხულია როგორც ნ. ყიფიანის საკეთარი თხზულება, მაგრამ, როგორც გამოირკვა, არქივარქივებს უნებლიე შეედომია მოსკოლით². სინამდვილეში, — როგორც ეს სენ-სიმონის ნაწარების გულდასმით გადათვალეურებამ დაგვჩანა, — სწორედ ეს ტექსტი აღმოჩნდა სენ-სიმონიდან თარგმნილი ნაწიკვები, რომელზეც ნ. ყიფიანის დაკითხვის ოქმშია ლაპარაკი.

სენ-სიმონის იმ ნაწარმოებს, რომელმაც ჩვენს თანამემამულეს ჯერ კიდევ 1866 წელს უთარგმნია ზემოთხსენებული მეტად საინტერესო ნაწიკვები, სახელად ჰქვია „Письма женевского обитателя к современникам“.³ ეს არის სენ-სიმონის პირველი დიდი ნაწარმოები,

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3, 4, 5, 6, 7, 8.

¹ ასევე შეედომით იყო მოსკოვის ცენტრალური საისტორიო არქივის საქმეში ჩინიშხული. თითქმის ნ. ყიფიანის ავტორი სტატიისა: „Николай Гаврилович Чернышевский“ რომელიც — როგორც ნ. ყიფიანის დაკითხვის ოქმიდან აშკარად ჩანს — „კოლოკოლის“ ფრანგული გამოცემიდანაა ნ. ყიფიანის მიერ ნათარგმნი. ეს შეედომია ადგილზევე აღვიღად გასწორდა. ამჟამად კი ვასწორებთ არქივის მუშათა ზემოთხსენებულ მეორე უნებლიე შეედომას.

² Сен-Симон, «Избранные сочинения», 1948 г., т. I, стр. 125.

რომელიც გამოქვეყნდა 1803 წელს და რომელიც ჩამოყალიბებულია მისი ძირითადი სოციალისტური იდეების¹ ურადღებებს იქცევა² ის გაგრძობა, რომ ნ. ყიფიანის ხსენებული ნაწარმოების თარგმნა დაეწყო ანა თაფიდან, არამედ იმ ადგილიდან, რომელიც რუსეთის იმპერატორის ტრანზობას და რუსი გლეხის დაბეჭავებულ მდგომარეობას შეეხება; ეს გაგრძობა უდავოდ ადასტურებს იმ აზრს, რომ ნ. ყიფიანის სენ-სიმონის თარგმნისთვის ხელი მოუკლდა ანა ფრანგული ენის სიყვარულით, არამედ სრულიად გარკვეული პოლიტიკური მიზნით. იმისათვის, რომ მკითხველი დარწმუნდეს ამ მოსაზრების სისწორეში, მოგვყავს ხსენებული ნაწიკვები მთლიანად:

„მეგობრებო!

ინგლისში ბევრია მეცნიერები, ზრდილობანი ინგლისელები მეცნიერებს უფრო მეტ პატივს სცემენ, ვიდრე მეფეებს. ინგლისში ყველამ იცის წერა-კითხვა, ანგარიში; და იქ ყველანი, ჩემო მეგობრებო, ქალაქის მუშებიც და სოფლის მუშებიც კი, ყოველ დღე ხორცს სჭამენ, ღვინს სვამენ და კარგ ტანისამოსს იცავენ.

რუსეთში კი მეცნიერს, რომელიც რაიმე მიზეზის გამო არ მოეწონება იმპერატორს, ცხვირს და ყურებს სჭრიან და ციხეში იშვებენ. რუსეთში გლეხები ისევე უმეცარნი არიან, როგორც მათი ცხენები; და აი, რუს გლეხებს არ ყოფნით სასმელ-საჭმელი, არა აქვთ საკმარისი ტრანსპორტი და მათ ხშირად ჯიხის ცემით უმასპინძლებიან.

დღემდე მდიდრები მარტო იმას აკეთებდნენ, რომ თქვენზე მბრძანებლობდნენ; აძულეთ ისინი განათლდნენ და გასწავლონ თქვენ; ისინი აძულდნენ თქვენს ხელებს იმეშაონ მათთვის, თქვენ კი აძულეთ მათი თავები იმეშაონ თქვენთვის. გაუწიეთ მათ სამსახურ-

¹ ნაწარმოებს ძირითადად წერილების ფორმა აქვს, მაგრამ ზოგჯერ სენ-სიმონი სიტყვის ფორმითაც მიმართავს თავის მკითხველებს, ამით აიხსნება, რომ ნ. ყიფიანის დაკითხვის ოქმში ზემოთხსენებულ ნაწიკვებს იხსენიებენ როგორც სენ-სიმონის სიტყვიდან ნათარგმნს.

რი და განთავისუფლეთ ისინი სამინდელი მოწყვენილობისაგან; ისინი თქვენ ფულს გინ-დიან თქვენ კი ვადაუხდით პატარისკებით; პატარისკემა ძალიან ფერფხასი მოინება და მაღლობა ღმერთს, რომ ღარიბებს ის ცოტა მაინც გააჩნიათ, დახარჯეთ ეს მონეტა, თქვენს განკარგულებაში რომაა და თქვენი ხედვრი მაშინვე გაუმჯობესდება.

იმისათვის, რომ თქვენ იფრინოთ, რა დიდ-მინდუნელობაა ჩემი რჩევის განხილვა და დაინახათ სარგებლობა, რაც შეიძლება მოქ-ვეს იმ პროექტის განხორციელებას, რომელ-საც მე კაცობრიობას ვთავაზობ, — ჩემთვის აუცილებელია ზოგიერთი რამ დეტალურად გადმოვკეთო, მაგრამ მარტო ისეთი დეტალუ-ბით შემოვიფარგლები, რომელიც მე აუცი-ლებლად მიმაჩნია.¹

როგორც ვხედავთ, ამ ნაწყვეტის შინაარსი ნათლად გვიჩვენებს რომ ნ. ყიფიანის თარგმა-ნის მიზანს საერთო ასაფერი ჰქონდა ფრან-გული ვენის შესწავლა; ეს ნაწყვეტი თა-ვისი შინაარსით უადრესად მწვავე პოლიტი-კური ბრალდება მეფის რუსეთის შთავი-ბისადმი, ის ნამდვილი პროკლამაციაა, რომელ-საც შექმლი გარკვეული სამხატური გაეწია მაშინდელი რევოლუციური აგიტაციის ამო-კანებისათვის.

მეტემეტე და მეთექვსმეტე კითხვებით გამოპიებულები ცდობიან გაიგონ: საიდან იშოვნა ან რა მიზნისათვის სკირდებოდა ნ. ყი-ფიანს „კოლოკოლის“ ორი ფურცელი, აგრე-თვე აკრძალული ფრანგული ბროშურები, რომლებიც მას ჩხრეკის დროს აღმოუჩინეს; ვისი ხელითაა გადაწერილი ან სად იშოვნა ა. სერნო სოლოვიევიჩის „Наши домаш-ние дела“² „ეს აკითხებდა ამ ფურცლებ-

სა და ბროშურებს; ვინ დახატა პრეფერენსა და მიხაილოვის პორტრეტები, საიდან შეიძი-ნა ისინი და აგრეთვე ჩერნიშევსკის ფურც-გრაფული სურათი ნ. ყიფიანის ფურცლები, რჩება რა თავისი ტაქტიკის ერთგული, ნ. ყიფიანი ყველა ამ კითხვას უპასუხებს მიკითხულ-მოკითხულად და გამოგონილი ამბე-ბით ცდილობს შეარბილოს კითხვების სი-ძიმე, გამოავლიოს მათ პოლიტიკური სარ-ჩული. მაგრამ მის პასუხებში მაინც აშკარად გამოსკვივის ის მიზანი, რისთვისაც ინახავდა იგი აკრძალულ ლიტერატურას და გამოწვინილ რევოლუციონერთა პორტრეტებს. საინტერე-სოა, რომ ნ. ყიფიანი აქ კვლავ ამბობდა თავის ნაცად ხერხს, — გარდაცვლილი მეგობ-რისადმი ყველაზე მძიმე „დანაშაულს“ გა-დამბრალებას. ის ამბობს: „ჩემთან ნაპოვნი „კოლოკოლის“ ორი ფურცელი, აგრეთვე ფრანგული ბროშურა, რომელშიც მოთავესხუ-ლია თავად დოღგორუცივის წერილი და სერნო-სოლოვიევიჩის სტატია „ჩვენი შინაური საქმეები“ სხვა წიგნებთან და ნოთებთან ერ-თად შეკრული, ამა წლის დსაწყისში დამი-ტრევა ჩემმა ამხანაგმა სტუდენტმა ბოსტაევმა. ეს ნაკრავი ბოსტაევმა, რომელიც ჩემთან არ დღეს იყო, კლნივამო წასულისას დამიტოვა და მიხოვა შემენახა იგი, ვიღაც ის კლინიკაში აჭ-ნებოდა... როცა ბოსტაევი გარდაიცვალა, მისი ნოთები მე დავიტოვე. სერნო-სოლოვიევიჩის სტატია, ჩემი ფურცელი, ბოსტაევის ხელით არის დაწერილი“¹.

კიდევაც რომ დავთვალო, რომ ნ. ყიფიანის მიერ აქ მონახობი ამბავი მართალია (რაც საშუალებას მოგვცემს რევოლუციონერ კარ-თვლ სტუდენტთა რიგებს კიდევ ერთი თავა-საჩინო წევრი, უღრთოდ გარდაცვლილი ბოს-ტაევილი მიუგობრობ), მაინც არ გვექნება ცოტად თუ ბევრად სერიოზული საფუძველი დავამცირით თვით ნ. ყიფიანის როლი ზემო-სხენებული რევოლუციური ლიტერატურის შენახვისა და გავრცელების საქმეში. ნ. ყი-ფიანის პასუხიდან აშკარად ჩანს, რომ მან არა მარტო შეინახა ბოსტაევილისაგან (ვითომც) დატოვებული აკრძალული ლიტერატურა, არა-მედ ზოგი მათგანი გადასწერა, გაამრავლა და, უნდა ვიფიქროთ, გაავრცელა კიდევაც. ამ, მაგალითად, დავაკვირდეთ ნ. ყიფიანის პასუ-ხის შემდეგ ადგილს: „სერნო-სოლოვიევიჩის სტატია მე გადასწერად მივეცი ჩემ ამხანაგს, სტუდენტ პოლტორაევის, რომელიც გადაწე-რით ფულს შოულობდა. მაგრამ მან ამ დროს სხვა სამუშაო მიიღო და ეს სტატია უკანვე

¹ ЦГИАМ, ф. 95, оп. 2, д. 355, л. 3, 1868 г. საფუძვლებია, რომ ნ. ყიფიანის მიერ სენ-სიმონიდან თარგმნილი ნაწყვეტის მოცულობა ამაზე გაიცილებით მეტი იყო, მაგრამ შესაძლოა იგი შთლიანიდ არ შენახულა. ასეთი ვარაუდი-სათვის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარე-შობა: აქ მოტანილი ნაწყვეტიდან არ ჩანს, საიდანაა ის თარგმნილი და ძნელი დასაჯერე-ბელია, რომ მეფის მოხელეებს მარტო ამ ნაწყვეტის მიხედვით მიხედვრილიყვნენ, რომ ის სწორედ სენ-სიმონის „სიტყვის“ თარგმანია.

² ეს სტატია, როგორც ცნობილია, ასახავს ა. გერცენთან რუსეთის ახალგაზრდა ემიგრან-ტის უთანხმოების მომენტის ის გამოცემული იყო ცალკე ბროშურის სახით. მისი გადაწერა ნ. ყიფიანის მიერ მოწმობს იმ დიდ ინტერესს, რომელსაც პეტერბურგის ქართული სტუდენტ-ობა იჩენდა ევროპაში მყოფი რუსი ემიგრან-ტების რევოლუციური საქმიანობისადმი. ამ სა-კითხს, — ქართული სტუდენტების ურთიერ-

ობის რუს ემიგრანტებთან — შეეხებით ქვე-მით, როცა აღპარაკი გვექნება ნ. ნიკოლაძის რევოლუციურ მოღვაწეობაზე.

¹ ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 427, л. 104.

მომტანა ისე, რომ ვერც კი მოასწრო გადაწერის დაწყება. პოლტორაკის ის გადასაწერად იმითმ მივეცი, რომ, ჯერ ერთი, მიწოდდა მისთვის სამუშაო გაქვინა, რადგან გაქირებულ იყო და ჩემგან პირდაპირ ფულად დახარჯვას არ იღებდა; მეორეც, — მე მიწოდდა სტატიის გადაწერისას ასლი ბარემ მერძებდა სტუდენტ სლუცკოვისთვის, რომელმაც მანამდე წაიკითხა ეს სტატია და მთხოვა მისთვის მიეცა* 1.

მამასადავამ: სტუდენტ სლუცკოს სეროსლოგიოვიჩის სტატია წაუკითხავს ნ. ყიფიანთან (უნდა ვიფიქროდ, რომ ნ. ყიფიანი მის გარდა სხვადასუ ბევრს წაუკითხებდა სხვებულ სტატიას) და უთხოვია გადაეწერა მისთვის ასლი; ნ. ყიფიანს თვითონ უკისრია მისთვის ასლის გადაღება და მოუცია ამ მიზნით სტატია პოლტორაკისათვის, რომელიც უკვე დახელოებული გადაწერა ყოფილი; ამ უკანასკნელს სხვა ბევრი ქონია (აღმათ ამგვარივე ლიტერატურა) გადასაწერა. აქედან ნათელია, რომ ნ. ყიფიანი და მისი შეგობრები უდავოდ აქტიურად ეწეოდნენ რევოლუციური ლიტერატურის გადაწერას და გავრცელებას.

